კონსტანტინე მეძველია

თერგდალეულები
და
რუსეთის სამოციანი წლების
რევოლუციონერი მოღვაწეები

ნაწილი

სასწავლო-პედაგოგიური ლიტერატურის
სახელმწიფო გამომცემლობა
„ცოდნა"
თბილისი — 1950

წინასიტყვაობა

მე-19 საუკუნის დასაწყისიდან ქართველი ხალხის მატერიალური და ინტელექტუალური სამყარო მჭიდროდ უკავშირდებოდა რუსი ხალხის ცხოვრებას, მაგრამ ეს კავშირი ყველაზე მეტად სამოციანი წლებიდან იგრძნობა.

ამ დროიდან დიდი გარდატეხა ხდება ჩვენი ქვეყნის ეკონომიურსა და პოლიტიკურ ცხოვრებაში. ინგრევა ძველი ფეოდალური, კარჩაკეტილი სამეურნეო წყობა და რეფორმის შედეგად გზას იკაფავს ახალი ძალა კაპიტალიზმი. კაპიტალიზმის განვითარებამ დაამსხვრია ფეოდალიზმის ზღუდეები და მანამდე დაქუცმაცებული ქვეყანა ერთ მთლიან ეროვნულ ერთეულად ჩამოაყალიბა.

ამავე დროს დიდი ცვლილებები მოხდა ქართული აზროვნებისა და ლიტერატურის სფეროში. სამოქმედო ასპარეზზე გამოვიდნენ რუსეთის რევოლუციურ-დემოკრატიულ იდეებზე აღზრდილი ახალგაზრდები — თერგდალეულები.

სამოციან წლებში საქართველოში ილია ჭავჭავაძისა და მისი თანამებრძოლების მიერ აღმართული დემოკრატიზმისა და ეროვნული თავისუფლებისათვის ბრძოლის დროშა ნახევარი საუკუნის მანძილზე ფრიალებდა და დიდი ტრადიციის მქონე ქართული აზროვნება და ლიტერატურა რუს ხალხთან მეგობრობაში იჭედებოდა.

აღსანიშნავია ისიც, რომ სამოციან წლებში ქართველი მოღვაწეების — თერგდალეულების ჯგუფში ძირითადად მხოლოდ პეტერბურგის უნივერსიტეტის სტუდენტები შედიოდნენ. ეს ის ახალგაზრდები იყვნენ, რომლებიც იწვრთნებოდნენ რევოლუციური აზროვნების ცენტრის — პეტერბურგის მღელვარე ქუჩებში და მისი საიმპერატორო უნივერსიტეტის ბობოქარ კედლებში. პეტერბურგი იყო მათი რევოლუციური აზროვნების აკვანი. აქ ჩამოყალიბდნენ ისინი როგორც მებრძოლი მწერ-

ლები და მოქალაქეები, აქვე გაიცვნეს პირველად ნესტიანი ციხის კედლების საიდუმლოება და პეტერბურგის ქუჩებში მიიღეს პირველი რევოლუციური ნათლობა.

სამოციან წლებში რუსეთის ყველა კუთხეში იგრძნობოდა რევოლუციური მოძრაობის ნაპერწკალი, მაგრამ ბრძოლის ყველაზე დიდი ცეცხლი პეტერბურგის ქუჩებსა და მისი უნივერსიტეტის კედლებში ენთო.

ამდენად, თერგდალეულების შემოქმედების საფუძვლიანი შესწავლისათვის, პირველ ყოვლისა, აუცილებელია სამოციანი წლების რუსული რევოლუციური აზროვნებისა და კერძოდ პეტერბურგისა და მისი საიმპერატორო უნივერსიტეტის საბრძოლო ტრადიციების გაცნობა.

ამ მიზნით წარმოდგენილ შრომაში დიდი ადგილი დავუთმეთ რუსეთის სამოციანი წლების რევოლუციური მოძრაობის საკითხებს და სტუდენტი ახალგაზრდობის ბრძოლის ისტორიას.

მართალია, ქართული ლიტერატურის ისტორიის მკვლევარები თავიანთ ნაწერებში ეხებიან თერგდალეულების პეტერბურგის პერიოდს, მაგრამ ამ საკითხს მხოლოდ გაკვრით განიხილავენ და დღემდე იგი ცალკე კვლევის საგნად არ გამხდარა.

არამცთუ საქართველოში, თვით რუსეთშიაც სამოციანი წლების პეტერბურგის უნივერსიტეტის სტუდენტთა მოძრაობისა და მისი მნიშვნელობის შესახებ ჯერ კიდევ სერიოზული შრომა არ დაწერილა. სხვათა შორის, ეს ჩანს ლენინგრადის უნივერსიტეტის დოცენტის ნ. გ. სლადკევიჩის სიტყვებიდანაც:

„...ჯერ კიდევ ჩვენ არ გვაქვს სერიოზული გამოკვლევა, რომელიც მოგვცემდა ყოველმხრივ მეცნიერულ ანალიზს სამოციანი წლების დასაწყისში უნივერსიტეტში წარმოშობილი მოძრაობისა და რუსეთის რევოლუციურ-დემოკრატიულ წრეებში მისი გამოძახილის შესახებ. კერძოდ ლიტერატურაში არამცთუ არ არის გარკვეული, არამედ არც კია ასე თუ ისე დამაკმაყოფილებელი ფორმით დასმული საკითხი პეტერბურგის უნივერსიტეტის როლის შესახებ სამოციანი წლების რუსეთის საზოგადოებრივ მოძრაობაში“ [1].

ამ საკითხზე საქართველოში ერთადერთ მნიშვნელოვან დოკუმენტს წარმოადგენს ნ. ნიკოლაძის „მოგონებანი სამოციან წლებზე“ და მკვლევარებიც მხოლოდ ამით იფარგლებიან. ჩვენს შრომას კი საეუძვლად უდევს ლენინგრადის საოლქო და ცენტრალურ არქივებში დაცული პეტერბურგის უნივერსიტეტის მასალები და ამ პერიოდის რევოლუციური მოძრაობის სხვა დოკუმენტები, მოსკოვის საოლქო არქივის სა-

---

[1] Ленинградский государственный ордена Ленина университет. Труды юбилейной научной сессии, секция исторических наук, 1948 г., стр. 109.

ბუთები, საქართველოს არქივებსა და მუზეუმებში ნაპოვნი ხელნაწერები და პრესაში გამოქვეყნებული მემუარები.

ამ მასალებზე დაყრდნობით დაწვრილებით შევისწავლეთ სამოციანი წლების რუსეთის რევოლუციური მოძრაობა, რომელმაც დიდი როლი ითამაშა თერგდალეულების: ილია ჭავჭავაძის, აკაკი წერეთლის, გიორგი წერეთლის, ნიკო ნიკოლაძის, კირილე ლორთქიფანიძის, დავით უიფიანის, ბესარიონ ღოღობერიძის, ნიკოლოზ ღოღობერიძისა და სხვათა იდეოლოგიურ წრთობის საქმეში.

დოკუმენტალურად გამოვარკვიეთ ქართველი ახალგაზრდობის მონაწილეობა 1861 წლის პეტერბურგის უნივერსიტეტის სტუდენტთა რევოლუციურ მოძრაობაში და, საერთოდ, მათი საქმიანობა პეტერბურგში.

ამ ჯგუფთაგან განსაკუთრებული ყურადღება მიიპყრო ჯერ კიდევ ნაკლებად ცნობილმა, მაგრამ საინტერესო მწერალმა და საზოგადო მოღვაწემ კირილე ბეჟანის ძე ლორთქიფანიძემ. იგი ილია ჭავჭავაძესთან და სხვა თერგდალეულებთან ერთად დაეუფლა პეტერბურგში რუსეთის მოწინავე აზროვნებას, მათთან ერთად გამოვიდა სამოციან წლებში სამოღვაწეო ასპარეზზე და ამ ჯგუფთან ეწეოდა მთელი ნახევარი საუკუნის მანძილზე ეროვნული კულტურისა და ლიტერატურის განვითარების მძიმე შრომას.

კ. ლორთქიფანიძე მრავალმხრივი მოღვაწეა, იგი საინტერესოა ჩვენთვის როგორც პოეტი-მთარგმნელი, კრიტიკოსი, პუბლიცისტი, რედაქტორ-გამომცემელი, ენათმეცნიერი, ეკონომისტ-ფინანსისტი, მოწინავე პედაგოგიური აზრებისა და მეცნიერების სხვადასხვა დარგების პოპულარიზატორი საქართველოში. იგი საინტერესოა, აგრეთვე, როგორც ბატონყმობის სისტემის წინააღმდეგ მებრძოლი და რუსული რევოლუციურ-დემოკრატიული იდეების ქართულ ნიადაგზე დამკვიდრებისათვის თავდადებული მოღვაწე.

თვით კ. ლორთქიფანიძის პიროვნების თავისებურება უწყობდა ხელს დღემდე მისი ღვაწლის დაჩრდილვას, მის მოღვაწეობას კარგად არ იცნობენ არა მარტო ფართო მასები, არამედ თვით ლიტერატურის სპეციალისტებიც კი. ამდენად, სამართლიანობა მოითხოვდა, თერგდალეულების ცხოვრებისა და შემოქმედების შესწავლის დროს განსაკუთრებული ყურადღება მიგვეცია კ. ლორთქიფანიძისათვის, როგორც ამ ეპოქის დღემდე შეუსწავლელი მწერლისათვის. ამის გამო ვრცლად განვიხილეთ მისი ცხოვრებისა და მოღვაწეობის საკითხები. თუმცა ჩვენგან დამოუკიდებელი მიზეზებით, წიგნის მოცულობის შეზღუდულობის გამო, შრომის ეს ნაწილი გამოყოფილი იქნა მეორე წიგნის სახით. ამავე

შრომაში წარმოვადგინეთ ზოგადი ცნობები ნაკლებად პოპულარული თერგდალეულების: დავით ყიფიანის, ნიკოლოზ ღოღობერიძის, ბესარიონ ღოღობერიძის, ილია ოქრომჭედლიშვილის, სამსონ აბაშიძის, დავით ბაქრაძის, დავით აბდუშელიშვილისა და სხვათა შესახებ.

დასასრულ, საჭიროდ მიგვაჩნია აღვნიშნოთ, რომ ამ შრომაში წარმოდგენილი ძირითადი ნაწილი სხვადასხვა დროს გამოქვეყნდა ალ. წულუკიძის სახელობის ქუთაისის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის შრომებში.

შესავალი

რუსსა და ქართველ ხალხებს შორის დიდიხანია მეგობრული ურთიერთობაა დამყარებული.

ირანელებისა და თურქებისაგან შევიწროებული ქართველი ხალხი ხშირად იმედის თვალით შეჰყურებდა ჩრდილოელ მოძმეს.

ქართველმა მეფეებმა და მხატვრული სიტყვის ოსტატებმა: თეიმურაზ პირველმა, არჩილმა და ვახტანგ მეექვსემ თავისი ქვეყნის უკეთესი მომავლის ძიების მიზნით ცხოვრების მნიშვნელოვანი წლები რუსეთში გაატარეს.

არჩილის შვილი, ალექსანდრე ბატონიშვილი, რომელსაც პეტრე დიდმა გენერალ-ფელდცეხმეისტრის წოდება მიანიჭა, შვედებთან მამაცური ბრძოლის მსხვერპლი გახდა.

დიდმა სარდალმა პეტრე ბაგრატიონმა რუსული მიწის დასაცავად ბოროდინოს ველზე გმირულად დაასრულა სიცოცხლე. საქართველოდან გადახვეწილმა დ. გურამიშვილმა რუსეთში ჰპოვა თავისი მეორე სამშობლო და მან პირველმა უმღერა რუსი, უკრაინელი და ქართველი ხალხების მეგობრობას.

კიდევ რამდენი მაგალითი ახსოვს ისტორიას ამ ორი მოძმე ხალხების მეგობრული ურთიერთობისა, საერთო მტერთან ერთად ბრძოლისა, ჭირსა და ლხინში ერთად ყოფნისა.

მე-19 საუკუნის დასაწყისიდან კიდევ უფრო ახლო ურთიერთობა დამყარდა რუსეთსა და საქართველოს შორის. ამ დროიდან ქართველმა ხალხმა თავისი ბედი დიდი რუსი ხალხის ბედს დაუკავშირა და მრავალი ისტორიული ქარტეხილის შემდეგ რუსი ხალხის წინამძღოლობით საბჭოთა კავშირის ხალხთა დიდ ოჯახში საპატიო ადგილი დაიკავა. ამდენად რუსი და ქართველი ხალხების მეგობრობას შორეულ წარსულში აქვს გადგმული ფესვები და იგი მტკიცე საძირკველზეა დამყარებული.

ორი ქვეყნის პოლიტიკურმა და ეკონომიურმა სიახლოვემ კიდევ უფრო გააძლიერა და განამტკიცა მათ შორის კულტურულ-ლიტერატურული ურთიერთობა.

მეცხრამეტე საუკუნის დასაწყისიდან საქართველოში თავი მოიყა-

რა ბედისაგან შორს გადმოხვეწილმა რუსეთის მოწინავე ახალგაზრ-
დობამ.

„თბილისი რუსეთისა და საქართველოს მოწინავე კულტურული ძა-
ლების დაახლოების ცენტრად გახდა. აქ განაგრძობდნენ ერთმანეთთან
ურთიერთობას დეკაბრისტები, ქმნიდნენ წრეებს, ამყარებდნენ კავშირს
ადგილობრივ პროგრესულ მოღვაწეებთან. ისინი თავს იყრიდნენ გან-
გებლოვთან, სასურველი სტუმრები იყვნენ ალექსანდრე ჭავჭავაძის
სახლში“ [1].

მთავრობისადმი ოპოზიციურად განწყობილმა მოღვაწეებმა ჩვენ
ქვეყანაში შემოიტანეს პროგრესული აზროვნების თესლი. ესენი იყვნენ
სენატის მოედანზე გამოვლინებული ტრაგედიის გმირები — დეკაბრის-
ტები: კიუხელბეკერი, ბესტუჟევ-მარლინსკი, რაევსკი, ოდოევსკი და
სხვები.

„სხვადასხვა დროს, 1826 წლიდან დაწყებული, კავკასიაში იმყოფე-
ბოდნენ დეკაბრისტები: ა. ბესტუჟევი, ა. ოდოევსკი, პ. ბესტუჟევი,
ა. ვედენიაპოვი, ა. განგებლოვი, ვიშნევსკი, ნ. კოჟევნიკოვი, ხოლო უფ-
რო გვიან, — 1827 წელს, აკულოვი, პ. კონოვნიცინი, მ. პუშჩინი, ლაპა,
ფოკი, ცებრიკოვი, ე. მუსინ-პუშკინი, ე. ლაჩინოვი. 1828 წელს—ბურ-
ცევი, ვ. ტოლსტოი, ნ. რაევსკი, ვ. გოლიცინი, ზ. ჩერნიშევი, კორნილო-
ვიჩი, კრივცოვი, სუხორუკოვი, ლიხაჩევი, ლორერი, ნაზიმოვი, ნარიშკი-
ნი, ა. როზენი, ბელიაევი და სხვა მრავალი“ [2].

„საქართველოში გადმოსახლებული იქნა სენატის მოედანზე აჯანყე-
ბის მონაწილე მთელი პოლკი, რომელშიაც 33 ოფიცერი ითვლებოდა.
ამას გარდა, სხვადასხვა დროს აქ გადმოასახლეს 70 დეკაბრისტი“ [3].

მე-19 საუკუნის პირველ მესამედში საქართველოში სხვადასხვ›
დროს იმყოფებოდნენ და ნაყოფიერ მუშაობას ეწეოდნენ: ვ. ნარეჟნი,
ა. შიშკოვი, რუსული მხატვრული სიტყვის ბუმბერაზები: ა. გრიბოედო-
ვი, ა. პუშკინი, მ. ლერმონტოვი. ამათთვის ჩვენი ქვეყანა — უცნაური
შთაგონების მხარე შეიქმნა, მათ პოეტურ ხმას „ცა-ფირუზ, ხმელეთ-
ზურმუხტი“ საქართველოს ბუნება ჯადოსნურ ძალას მატებდა და თა-
ვისებურ ელფერს აძლევდა. ამავე დროს, რუსეთის ამ მოწინავე ინტე-
ლიგენციას დიდი გავლენა ჰქონდა ქართველ მწერლებზე და საზოგადო
მოღვაწეებზე. ალ. ჭავჭავაძე, გრ. ორბელიანი, ნ. ბარათაშვილი, სოლ.
დოდაშვილი, გ. ერისთავი, მიხ. თუმანიშვილი, სოლ. რაზმაძე და სხვები
ახლო უკავშირდებოდნენ და ხარბად ითვისებდნენ მათ იდეურ მისწრა-
ფებებს.

---

[1] ვ. შადური, რუსი მწერლები საქართველოს შესახებ, ტ. I, გვ. XI.
[2] ლ. ბარამია, დეკაბრისტები საქართველოში, გვ. 137.
[3] ა. კეკელიძე, საქართველოს ისტორია (მე-19 საუკ.), გვ. 131 — 132.

ერთი მხრივ, საქართველოს ბუნება და მისი ყოფითი მრავალფეროვნება თავისებურ გაელენას ახდენდა დიდ რუს მწერლებზე, ხოლო, მეორე მხრივ, რუსეთის მოწინავე აზროვნება, დეკაბრისტების მებრძოლი სულისკვეთება, პუშკინისა და ლერმონტოვის პოეზიის ჭეშმარიტი ქუხილი ნათელ ჰორიზონტებს უშლიდა ქართველ მწერლებს შემოქმედების გზაზე.

ბელინსკი სამართლიანად უწოდებდა კავკასიას რუსი ტალანტების აკვანს. უცნაური რამაა. კავკასია თითქოს მოწოდებული იყო გამხდარიყო ჩვენი პოეტური ტალანტების აკვნად, მათი მუზის შთამაგონებლად, მათ პოეტურ სამშობლოდ.

მიუხედავად ცარიზმის კოლონიალური პოლიტიკისა, ქართველი და რუსი მოწინავე ადამიანები მაინც ახერხებდნენ მტკიცე მეგობრული კავშირის გაბმას.

დიდი რუსი პოეტი ა. გრიბოედოვი ახლო დაუკავშირდა ა. ჭავჭავაძის ოჯახს და აქვე იგრძნო მან ნამდვილი გულწრფელი სიყვარული ქართველი ქალისა.

ალ. ჭავჭავაძის სტუმართმოყვარე ქართული ოჯახი წარმოადგენდა რუსი და ქართველი ინტელიგენციის დამეგობრების ადგილს. მასთან თბილისსა და წინანდალში ხშირად თავს იყრიდნენ ქართველი და უცხოელი სტუმრები.

მისი შესანიშნავი ოჯახი, — წერს დამსწრე რუსი ოფიცერი ტორნაუ, — ერთადერთი იყო თბილისში, სადაც ჩრდილოეთიდან და დასავლეთიდან ჩამოსულ სტუმრებს ხვდებოდა წმინდა ქართული სტუმართმოყვარეობა, რომელიც კარგად პასუხობდა განათლებული ევროპული საზოგადოების წრეს.

ალ. ჭავჭავაძის სახლის კარები ასევე ღია იყო წინანდალში ნიჟეგოროდის პოლკის ოფიცრებისათვის, რომლებთანაც თვით პოეტიც მსახურობდა და საქმიან ურთიერთობას ამყარებდა.

ამრიგად, საქართველოში გადმოხვეწილი რუსეთის მოწინავე ინტელიგენცია ახლო ეცნობოდა ქართველი ხალხის მრავალსაუკუნოვან კულტურას, ხოლო ქართველი მოღვაწეები ხარბად ითვისებდნენ სტუმრების მოწინავე იდეებს და ამ გზით მყარდებოდა რუს და ქართველ ხალხებს შორის მეგობრობა და სიყვარული.

მართალია, მეცხრამეტე საუკუნის პირველ ნახევარში ქართველმა მწერლებმა ეროვნული თავისუფლების დაკარგვის გამო ცრემლიანი სტრიქონებით გამოიტირეს ქართველის ბედი, მაგრამ რაკი ისინი დარწმუნდნენ საქართველოს დამოუკიდებლობის შენარჩუნების შეუძლებლობაში, ბედს დამორჩილებულებს რუსეთთან კავშირის და მეგობრობის ნაცვლად სხვა ხალხების თანაგრძნობა არ უძებნიათ, არც შეიძლე-

ბოდა, მოწინავე ქართველი ინტელიგენცია სხვაგვარად მოქცეულიყო, სხვა გზას დადგომოდა.

იმას, ვისაც სწამდა ქართველი ხალხის წმინდა სისხლი, ირანთან და თურქეთთან უსწორო ბრძოლაში დანთხეული, ვინც პატივს სცემდა სახელოვანი ქართველი მეფისა და მხედართმთავრის ერეკლეს სახელს, არ შეიძლებოდა სათაყვანებელ საგნად არ გაეხადა ბარათაშვილისაგან თქმული სიტყვები:

აწ განთქმულია რუსთა სახელი,
. . . . . .
დიდი ხანია გვაქვს ჩვენ ერთობა,
მტკიცე კავშირი, — სარწმუნოება, —
მას შინდა მივცე მემკვიდრეობა.
(„ბედი ქართლისა")

მართალია, 1832 წლის შეთქმულებაში ქართველი ინტელიგენციის დიდი ნაწილი ღებულობდა მონაწილეობას, მაგრამ საქმის დაწვრილებით შესწავლა დაგვარწმუნებს, რომ ამ დაჯგუფების ორგანიზატორებმა, ბაგრატიონთა სამეფო ტახტის უსუსურმა მაძიებლებმა, შეთქმულებაში ძალად ჩაითრიეს რამდენიმე მონაწილე, უმთავრესად ახალგაზრდები, რომლებმაც ფაქტიურად არც კი იცოდნენ საქმის ნამდვილი ვითარება. მაგალითად, ავთანდილოვი, დიმიტრი ყიფიანი და სხვები [1].

ამასთან ერთად ისიც უნდა აღვნიშნოთ, რომ შეთქმულების მონაწილეთა პროგრესულ ნაწილს სრულებით არ ეინტერესებოდა ბაგრატიონების დინასტიის აღდგენა და ქართული მონარქიის დაბრუნება. მათ სურდათ, პირველ ყოვლისა, ცარიზმის ტირანიისა და მისი უხეში ბიუროკრატიული აპარატის მოსპობა და განადგურება და არაროს ხალხთან მეგობრული ურთიერთობის გაწყვეტა. აბა, სხვაგვარად როგორ უნდა გავიგოთ ის ფაქტი, რომ ფარული ორგანიზაციის ზოგიერთი აქტიური წევრი იმ დროს დაწერილ კერძო ბარათებში (ცხადია ეს ბარათები არ იყო დაწერილი ცენზურის შიშით. — კ. მ.) საქართველოს რუსეთთან შეერთებას არა მარტო დადებით მოვლენად, არამედ ჩვენი ქვეყნის „განცისკროვნებად" და „გამოუთქმელ კეთილდღეობად" თვლიდა.

მაგალითად, სოლომონ დოდაშვილი შეთქმულების მზადების დღეებში, 1832 წლის იანვარს, ძმას პეტერბურგში ასეთი შინაარსის ბარათს წერდა:

„...შემდგომ დიდის მისა მშვიდობის დამტკიცებისა საგრძნობლად ჰჩანს განცისკროვნება სხივთა ჭეშმარიტისა განათლებისათა მამულსა შინა ჩვენისა... ჭეშმარიტად გამოუთქმელ არიან ზომანი კეთილდღეობათანი, რომელნიცა მოჰფინა ქვეყანასა ზედა

[1] დიმ. ყიფიანი, მემუარები, გვ. 127 — 128.

ჩ ვ ე ნ ს ა დ ი დ ს ულ მ ა ნ ე რ თ მ თ ა ვ ა რ მ ა ნ ჩ ვ ე ნ მ ა ნ, რ ო-
მ ე ლ ს ა ც ა ჰ ს უ რ ს, რ ა თ ა მ ხ ო ლ ო დ ვ ი ს ა რ გ ებ ლ ო თ
ჩ ვ ე ნ კ ე თ ი ლ ო ბ ი თ ა მ ი ს ი თ ა, გ ა ნ ვ ი ნ ა თ ლ ო თ გ უ-
ლ ი დ ა გ ო ნ ებ ა, რ ო მ ე ლ ი ც ა ა რ ს დ ა წ ყ ებ ა ბ ე დ ნ ი ე-
რ ებ ი ს ა ჩ ვ ე ნ ი ს ა. გარდა ამისა, შენ იცი, რომელ ქართველთა
აქვთ თვისებად მხიარულება, უმეტეს აწინდელსა შემთხვეულებასა ში-
ნა გული ყოვლისა კაცისა განიხსნა და სახესა ზედა მათსა გამოიხატა
მიუწედომელი სიხარული და შვება“ [1].

სოლომონ დოდაშვილის ეს სიტყვები მეტად დამაფიქრებელია, იგი, მადლიერების გრძნობით აღფრთოვანებული, ქება-დიდებას უძღვნის „ერთ მთავარს“, რუსეთის მეფეს, რომელსაც განათლების ჭეშმარიტი სხივები მოუფენია ჩვენი ქვეყნისათვის და „რომელსაც ჰსურს... ვისარგებლოთ ჩვენ კეთილობითა მისითა“. უდავოა, ამ წერილის ავტორი არ შეიძლებოდა რუს ხალხთან მეგობრობის წინააღმდეგი ყოფილიყო, თუმცა ამავე დროს იგი ფარული ორგანიზაციის წევრი იყო და მეფის ბიუროკრატული აპარატის წინააღმდეგ მახვილს ლესავდა.

ავრეთვე „ს ა ლ ი ტ ე რ ა ტ უ რ ო ნ ა წ ი ლ ნ ი ტ ფ ი ლ ი ს ი ს
უ წ ყ ებ ა თ ა გ ა ნ ი ს“ მესამე ნომერში, რომლის რედაქტორი სოლომონ დოდაშვილი იყო, დაბეჭდილი არის ღ. ლ. სენ. გიორგი ე რ ი ს-
თ ა ვ ი ს ლ ე ქ ს ი „ს ტ ი ხ თ ქ მ ნ ი ლ ებ ა“ „მ ო წ ო დ ებ ა ი ვ ე რ-
თ ა მ ა მ უ ლ ი ს დ ა ც ვ ი ს ა თ ვ ი ს დ რ ო ს ა ს პ ა რ ს თ ა შ ე-
მ ო ს ვ ლ ი ს ა ს ა ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო ს ს ა მ ზ ღ ვ ა რ თ ა შ ი ნ ა“[2].

ლექსის ავტორი გ. ერისთავი იმდენად აღფრთოვანებულია საქართველოს რუსეთთან შეერთებით, რომ იგი ამ მოვლენას საქართველოსათვის მზის შარავანდედით ნათებს ადარებს და ამ ისტორიული ფაქტის შემდეგდროინდელი საქართველოს ცხოვრება „ოქროვან დროდ“ აქვს წარმოდგენილი. მოგვაქვს ნაწყვეტი ამ ლექსიდან:

...რა სცნა გიორგი მეფემ ქართველთა შეწყრებანი,
ყიზილბაში, ოსმალთაგან, ყოველთვის აოხრებანი,
მიგვცა იმპერატორსა, მივიღეთ დიდებანი,
მ ზ ი ს ა შ ა რ ა ვ ა ნ დ თ ა გ ა ნ, ი ქ მ ნ ა ფ ა რ ვ ე ლ ო ბ ა ნ ი,
ა ი დ რ ო ო ქ რ ო ვ ა ნ ი, გ ფ ა რ ა ვ თ ი მ პ ე რ ა ტ ო რ ი...
ჩვენი მტერნი დაეცნენ, მახლობელნი თუ შორნი,
აჰა შვილთა დიდება, ჰსწავლა აღზრდილობანი.
ახ ივერნო ისმინეთ, ჩემ მოხუცის თხრობანი[3].

---

[1] „საისტორიო მოამბე“, 1952 წ., № 6, გვ. 281 — 282. ხაზი ჩვენია. — კ. ბ.

[2] აქ დასახელებული პიროვნება არის გენერალი, სენატორი, გიორგი იესეს ძე ერისთავი, რომელმაც პასკევიჩის არმიაში აქტიური მონაწილეობა მიიღო 1827 წელს თავრიზის აღებისათვის წარმოებულ ბრძოლაში.

[3] „საისტორიო მოამბე“. 1952 წ., № 6, გვ. 288 — 289.

ცხადია, სოლომონ დოდაშვილს შეეძლო ასეთი შინაარსის ლექსი არ დაებეჭდა თავის ჟურნალში, თუ ეს იდეურად მისთვის მიუღებელი იქნებოდა.

მაგრამ ლიტერატურული ფაქტები იმას მოწმობენ, რომ 1832 წლის შეთქმულების ზოგიერთი მონაწილე მაინც დადებითად აფასებდა საქართველოს რუსეთთან შეერთებას და ცარიზმის წინააღმდეგ აღმართული მათი მახვილი, სრულიადაც არ გულისხმობდა რუსი ხალხის მეგობრობის წინააღმდეგ ბრძოლას.

აღსანიშნავია ისიც, რომ ფარული ორგანიზაციის დამარცხების შემდეგ მოკლე დროში მოხდა ოპოზიციურად განწყობილი ინტელიგენციის იდეური განიარაღება. ისინი მალე დარწმუნდნენ იმაში, რომ თუ არა რუსეთი, საქართველო ბარბაროსი თურქეთისა და ირანის მსხვერპლი გახდებოდა.

შეთქმულების მონაწილე, მაგრამ ამავე დროს რუსეთის მოწინავე კულტურის დიდი პოპულარიზატორი საქართველოში, პოეტი ალ. ჭავჭავაძე საქართველოს ისტორიის შესახებ ნარკვევში რუსეთთან შეერთების საკითხს შეეხო და ეს მოვლენა ისტორიულ აუცილებლობად აღიარა:

„საქართველომ თვალნი თვისნი მიაპყრო ერთ მორწმუნე რუსეთს, რომელშიაც იგი წინადაც ჰპოებდა დასაყრდნობს“ [1].

გიორგი მეთორმეტის შესახებ ავტორი აღნიშნავს: „მან მიმართა რუსეთს, იცოდა რა ქართველების ძველთაგანი მისწრაფება მისდამი და არც შემცდარა არჩევანში. მის განზრახვას ხალხი ერთსულოვანი სიხარულით შეხვდა“ [2]. და პატრიოტი პოეტი მხოლოდ იმით იყო გულნატკენი, რომ მთავრობის კეთილგანზრახულება, ბიუროკრატიული აპარატის უხეშობის გამო, უცვლელად არ აღწევდა მოსახლეობამდე, თორემ მაშინ ქართველები ბედნიერნი იქნებოდნენო:

„...და მართლაც, — წერს ა. ჭავჭავაძე, — რა იქნებოდა საქართველოზე უფრო ბედნიერი რუსის მთავრობის დროს, მის (მთავრობის) მზრუნველობას (საქართველომდე) უცვლელად რომ მოეღწია ხოლმე...“[3]

ამიტომ იყო, რომ ალ. ჭავჭავაძე აღფრთოვანებული ხვდება დარიალის კარის გახსნას და ჩრდილოეთიდან განათლებისა და კულტურის სხივის შემონათებას.

განიხსნა გზა და ეშვათ ივერელთ სასოება,
რომე მუნით შევიდეს მათ შორის განათლება [4].

---

[1] ალ. ჭ ა ვ ჭ ა ვ ა ძ ე, თხზულებანი, ი. გრიშაშვილის რედაქციით გამოცემული, 1940, გვ. 243.

[2] ი ქ ვ ე, გვ. 243 — 244.

[3] ი ქ ვ ე, გვ. 253.

[4] ი ქ ვ ე, გვ. 78.

დროთა ვითარებამ დიდი მხედართმთავრისა და შორსმჭვრეტელი მეფის — ერეკლეს ბრძნული ანდერძი სათაყვანებლად გახადა ქართველი მოწინავე ინტელიგენციისათვის. ცხოვრების მიმდინარეობამ ქართველი პოეტი ნ. ბარათაშვილი დაარწმუნა ერეკლეს ორიენტაციის სისწორეში და ამ ჭეშმარიტების ღრმა შეგნებამ მუხლი მოადრეკინა მას ერეკლეს საფლავის წინაშე.

მოვიდრეკ მუხლთა შენს საფლავს წინ, გმირო მხცოვანო,
და ცრემლთ დავანთხევ შენს სახელზე, მეფეო ხმოვანო.
ახ, რად არ ძალუძს განცოცხლება წმიდას აჩრდილსა,
რომ გადმოხედო ახალს ქართლსა, შენს პირმშო შვილსა [1].

დაბოლოს, მადლიერი ქართველი ხალხის სახელით უკვდავმა მგოსანმა, ნ. ბარათაშვილმა ასე შეღაღადა ერეკლეს აჩრდილს:

თაყვანს ვსცემ შენსა ნაანდერძევს, წინასწარად თქმულს.
გასხოეს, სიკვდილის ჟამს რომ უთხარ ქართლს დაობლებულს;
აჰა, აღსრულდა ხელმწიფური აწ პაზრი შენი,
და ვსსპამთ ნაყოფსა, მისგან ტკბილსა, აწ შენნი ძენი.

ეს ტკბილი ნაყოფი გარეშე მტერთაგან მოსვენებასა და საქართველოში განათლების თესლის შემოტანას ნიშნავდა და ორივე ეს მომენტი პირველად ნ. ბარათაშვილმა დაინახა:

...ჟამთ ვითარებით გადახვეწილთ შენთ შვილთ მიდამო,
მოაქვეთ მამულში განათლება და ხმა საამო...
...სადაც აქამდინ ხმლით და ძალით ჰფლობდა ქართველი,
მუნ სამშვიდობო მოქალაქის მჴართავს აწ ხელი [2].

„

მე-19 საუკუნის მეორე ნახევრიდან კიდევ უფრო თვალსაჩინო გახდა რუს ხალხთან მეგობრობის „ტკბილი ნაყოფი". მოწინავე რუსული იდეების გავლენა განსაკუთრებული სიმძლავრით გამოიხატა სამოციანი წლების ქართულ აზროვნებასა და ლიტერატურაში. თერგდალეულების თვალსაჩინო წარმომადგენლებმა: ილია ჭავჭავაძემ, აკაკი წერეთელმა, გიორგი წერეთელმა, ნიკო ნიკოლაძემ, კირილე ლორთქიფანიძემ, დავით უიფიანმა და სხვებმა ღრმად შეითვისეს: ბ. ბელინსკის, ა. გერცენის, ნ. ჩერნიშევსკის, ა. დობროლუბოვის, დ. პისარევის, ნ. ნეკრასოვის, მ. მიხაილოვისა და სხვების რევოლუციური ტრადიციები.

---

[1] ნ. ბ ა რ ა თ ა შ ვ ი ლ ი, ლექსები, პოემა, წერილები, 1939 წ., გვ. 24.
[2] ი ქ ვ ე.

ილია ჭავჭავაძე სიამაყით აცხადებდა, რომ იგი და მთელი მისი თაობა აღზრდილი იყო რუსი ხალხის მოწინავე კულტურაზე.

„...რუსულმა ლიტერატურამ დიდი ხელმძღვანელობა გაგვიწია წარმატების გზაზედ და დიდი ზედმოქმედება იქონია ყოველს მასზედ, რაც ჩვენს სულიერ ძალღონეს შეადგენს და ჩვენს გონებას, ჩვენს აზრს, ჩვენს გრძნობასა და ერთობ ჩვენს მიმართულებას ზედ დააჩნია მან თავისი ავ-კარგიანობა.

არ არის დღეს ჩვენში არც ერთი მოღვაწე და მოქმედი კაცი მწერლობაში თუ საზოგადო საქმეთა სარბიელზედ, რომ თავისუფალი იყოს ხსენებული ლიტერატურის ზეგავლენისაგან... რუსულმა სკოლამ — მეცნიერებამ გაგვიღო კარი განათლებისა და რუსულმავე ლიტერატურამ მოაწოდა საზრდო ჩვენს გონებასა და გამოჰკვება ჩვენი აზრი მოძრაობის გზაზედ... თვითოეული ჩვენგანი რუსული ლიტერატურით გაზრდილა, თვითოეულს ჩვენთაგანს მის გამონარკვევზედ აუგია თავისი რწმენა, თავისი მოძღვრება და თავისი საგანი ცხოვრებისა...“ [1]

მიუხედავად იმისა, რომ ილია ჭავჭავაძე მთელი სიმკაცრით იბრძოდა ცარიზმის შავბნელი რეაქციის წინააღმდეგ, მას არასოდეს აზრად არ მოსვლია საქართველოს რუსეთის მფარველობიდან გამოთიშვა და ჩამოცილება. პირიქით, ილიას ქართველი ხალხის სასიცოცხლო პირობად მიაჩნდა რუს ხალხთან ძმობა და მეგობრობა. იგი უდიდეს მნიშვნელობას ანიჭებდა საქართველოს რუსეთთან შეერთების ისტორიულ ფაქტს.

„ამ ღირსსახსოვარ დღიდამ, საქართველომ მშვიდობიანობა მოიპოვა. შიში მტრისა ერთმორწმუნე ერის მფარველობამ გაუფანტა. დამშვიდდა დიდისხნის დაუმშვიდებელი, დაღალული ქვეყანა, დაწყნარდა აკლებისა და აოხრებისაგან, დასცხრა ომისა და ბრძოლისაგან. დადუმდა ჟღერა ხმლისა და მახვილისა, მტრისა ხელით მოღერებულისა ჩვენზე და ჩვენს ცოლ-შვილზე, გაქრა ცეცხლი, რომელიც სწვავდა და ჰბუგავდა ჩვენს მამა-პაპათა ბინას, ჩვენს საცხოვრებელს, გათავდა რბევა და აკლება, მიეცა წარსულს და მარტო საშინელ და შემაძრწუნებელ სახსოვრადღა დაგერჩა. დაუდგა ახალი ხანა, ხანა მოსვენებულის, უშიშარის ცხოვრებისა სისხლდანთხეულ და ქრისტეს ჯვარისთვის ჯვარცმულ საქართველოს“ [2].

თერგდალეულების მეორე ბუმბერაზი წარმომადგენელი, მხატვრული სიტყვის უბადლო ოსტატი, აკაკი წერეთელი ნახევარსაუკუნეზე მეტხანს უმღეროდა ხალხთა ძმობასა და მეგობრობას; განსაკუთრებით აფასებდა რუს ხალხთან კავშირსა და სიახლოვეს.

---

[1] ილია ჭავჭავაძე, თხზულებანი, ტ. 8, 1928, გვ. 285.
[2] მისივე, თხზულებანი, ტ. 5, 1927, გვ. 234 — 235.

„ჩვენ დიდათ ვაფასებთ, — წერს აკაკი წერეთელი, — ძმობასა და მეგობრობას რუსეთის ერთან. მართალია რუსის ხალხში ბევრია ისეთები, რომლებსაც არ სურთ და ეჯავრებათ ჩვენი ასეთი ძმური კავშირი, მაგრამ არის სამაგიეროთ ახალგაზრდა რუსეთი, რომელთანაც, ჩვენ გვსურს ხელიხელჩაკიდებული სიარული, არა მარტო ეროვნული, არამედ საკაცობრიო იდეალების განსახორციელებლად...“ [1]

აკაკის აქ მოტანილი სიტყვები მრავალმხრივაა საინტერესო. პოეტი აშკარად ამჩნევს ორი სხვადასხვა რუსეთის არსებობას, — მეფისა და მემამულეების შავბნელი წყვდიადით მოცულს და ახალგაზრდა, მომავლის რწმენით აღსავსე რუსეთს. ამავე დროს აკაკი დიდ იმედებს ამყარებს ახალგაზრდა რუსეთზე და მასთან მჭიდრო კავშირში მოელის ეროვნული და საკაცობრიო საკითხების ჭეშმარიტ გადაჭრას.

„შორს არ არის ის გაზაფხული, რომელიც თავისი ცხოველმყოფელი სხივებით გავათბობთ არა მარტო თქვენ, — ეუბნებოდა იგი ახალგაზრდა რუსეთის წარმომადგენლებს, — არამედ ჩვენც, განაპირა მხარის მცხოვრებთ. მე მუდამ მჯეროდა, რომ მალე მოვა განახლებული რუსეთი“.

ამ წინასწარმეტყველურ სიტყვებში აკაკი წერეთელმა მოწინავე ქართველი ინტელიგენციისა და მშრომელი ხალხის აზრები და მისწრაფებები გამოხატა.

ქართველი ინტელიგენციის სასახელოდ უნდა ითქვას, რომ მათ მთელი მეცხრამეტე საუკუნის მანძილზე არასოდეს არ გადაუხვევიათ რუს ხალხთან მეგობრობის გზიდან.

არამცთუ თურქეთსა და ირანზე არ გასცვლიდა ქართველი ხალხი რუსეთთან მეგობრობას, არამედ ევროპის მაშინდელ მოწინავე სახელმწიფოებთან დაკავშირება და რუსეთიდან ჩამოცილება დამღუპველად მიაჩნდა საქართველოსათვის სამოციანი წლების სახელოვან მოღვაწეს ნ. ნიკოლაძეს.

„...იმ შემთხვევაშიაც კი, — წერს ნ. ნიკოლაძე, — თუ ევროპის სახელმწიფოები აიყვანდნენ საქართველოს თავიანთ საკუთარ და ამასთანავე შინაური პროვინციის ხარისხამდე, მაშინაც კი საქართველო წაგებული (осталось бы сносом) დარჩებოდა... ათასი მაგალითები გვარწმუნებენ იმაში, რომ ევროპის სახელმწიფოები იმ წამშივე შეუდგებიან საქართველოს განათლებას ალჟირის მსგავსად და ექსპლოატაციას ინდოჩინეთის მსგავსად“ [2].

ცხადია, ნ. ნიკოლაძის ამ უაღრესად ჭეშმარიტ დებულებაში ქართველი ხალხის საერთო სურვილი იყო გამოხატული.

---

[1] ჟურნალი „კლდე“, 1913 წ., № 6.

[2] Р п о-Н е л и, Освобождение крестьян в Грузии, «Колокол», 1865 г., № 199.

სამოციანი წლების ქართველ მოღვაწეებს რუს ხალხთან მეგობრული ურთიერთობა შემდეგშიაც არ შეუწყვეტიათ. რუსული კულტურისა და მისი სახელოვანი მწერლების კეთილგონივრულ გავლენაზე მეცხრამეტე საუკუნის ბოლო წლებშიაც აღნიშნავდნენ ილია ჭავჭავაძე და მისი თანამებრძოლები.

1899 წელს პუშკინის დაბადების ასი წლის თავთან დაკავშირებით ილია ჭავჭავაძემ ამ თარიღს „ივერიის" მთელი ნომერი უძღვნა. სარედაქციო წერილში და სხვა სტატიებში ლაპარაკია არა მარტო პუშკინის შემოქმედების დიდ პოეტურ ღირებულებაზე, არამედ ქართული მწერლობისათვის მისი უკვდავი პოეზიის მნიშვნელობაზეც:

„ჩვენთვის, საზოგადოთ კავკასიელთათვის, და კერძოთ... ქართველებისათვის პუშკინის მნიშვნელობა ფრიად დიდია. ამ სამოცდაათი წლის განმავლობაში ისეთი ჩამომავლობა არ ყოფილა საქართველოში, რომელსაც რაიმე ესწავლოს და პუშკინის მუზას არ დაწაფებოდეს... ჩვენი საუკეთესო პოეტები გრიგოლ ორბელიანი, ალექსანდრე ჭავჭავაძე, ნიკოლოზ ბარათაშვილი, რაფიელ ერისთავი, ილია ჭავჭავაძე, აკაკი წერეთელი — ამათ ყველა ნაწერებში წილი უძევს პუშკინს... რუსეთის სწავლულ საზოგადოებას შეადგენს არა მარტო რუსნი, არამედ წარმომადგენელნი მრავალთა ერთა, რომელთაგანაც შესდგება რუსეთი. ყველა ამათ გონებრივ ცხოვრებაში, ოტად თუ ბევრად დაუმჩნევია კვალი პუშკინის პოეზიას, მოღვაწეობას, ამიტომაც ყველა დღესასწაულობს დღევანდელ დღეს" (ხაზი ჩვენია. — კ. მ.).

„ივერიის" ამ სარედაქციო წერილში ერთი მეტად საინტერესო მოტივია წამოყენებული. ეს არის რუსეთის ხალხთა მეგობრობის და ძმობის საკითხი, რომლის სიმბოლოდ, სამართლიანად, პუშკინის პოეზიაა გამოცხადებული.

ხოლო მეორე წერილში, რომლის ავტორი მწერალი ნ. ლომოურია. პუშკინი რუსი და ქართველი ხალხების ძმობისა და მეგობრობის საფუძვლად არის წარმოდგენილი და თვით რუსეთი საქართველოს უფროს ძმადაა გამოცხადებული.

„მხოლოდ ამისთანა მწერლებს შეუძლიათ,—ლაპარაკია პუშკინზე,— იმ წმინდა და შეურყეველი კავშირის, ძმობის და სიყვარულის დამკვიდრება სხვადასხვა ერთა შორის, რომელიც სანატრელია ყოველის აწინდელის ქართველისათვის. მაშ დიდება და უკვდავება პუშკინის დიდებულ სახელს. აღტაცებულის გრძნობით შორიდან ხელს ვუწვდით ჩვენს უფროსს.

ძმებს — რუსეთის ერსა და მასთან ერთად ვღაღადებთ: დიდება და უკვდავება პუშკინის სახელს...“

სამოციანი წლების მოღვაწეთა მეგობრობის სახელოვანი ტრადიცია კიდევ უფრო გააღრმავეს შემდეგი დროის ქართველმა მწერლებმა და პუბლიცისტებმა. ეგ. ნინოშვილის რომანის „ჯანყი გურიაში“ მოქმედი გმირი გიორგი ასე ლაპარაკობს რუსეთთან ურთიერთობის შესახებ: „მე იმას ვიტყვი, რომ ვინც ჩვენ ხალხს რუსეთის წინააღმდეგ აჯანყებას ურჩევს, იმას ჩვენი ქვეყნის დაღუპვა მოუწადინია“. ეგნატე ნინოშვილი ცდილობს ამ დებულების დასამტკიცებლად კონკრეტული მაგალითი მოიტანოს. ამ მიზნით რომანის გმირი ასე აგრძელებს მსჯელობას: „აქამდე, რუსებს რომ ჩვენთვის პატრონობა არ გაეწია, დარწმუნებული ბრძანდებოდეთ, ჩვენ ვიქნებოდით მაშინ ბარბაროსი ოსმალეთის ანუ ეგეთივე ბარბაროსი სპარსეთის ყურმოჭრილი ყმა. მხოლოდ რუსეთმა იხსნა ჩვენი ქვეყანა ამ უბედურებისაგან“ [1].

საგულისხმოა ისიც, რომ ნინოშვილმა ისტორიულ ფაქტს რომანში არა მარტო სწორი შეფასება მისცა, არამედ ამ შეფასების დასაბუთებაც სცადა.

ასევე ცნობილი პუბლიცისტი გიორგი მაიაშვილი ნათლად ხედავს რუსი და ქართველი ინტელიგენციის მჭიდრო კავშირის აუცილებლობას და სარგებლიანობას საქართველოსათვის. იგი ამის შესახებ აღნიშნავს, რომ „ფხიზლად და თვალ-გაფაციცებით ვადევნებდეთ თვალყურს და ვიძიებდეთ რუსეთის ცხოვრების ვითარებასა და შეძლებისგვარად ჩვენც ხელს ვუმართავდეთ რუსეთში და მით ჩვენშიაც, კეთილის ზნეობისა და უკეთესის ცხოვრების დამყარებას“ [2].

ამავე დროს, საინტერესოა ისიც, რომ გ. მაიაშვილი პატივს სცემს არა საერთოდ რუსეთის ინტელიგენციას, არამედ მის მოწინავე და საუკეთესო ნაწილს.

მაიაშვილი წერს: „რუსეთის ინტელიგენცია მეტად მიმზიდველი და საყვარელი ინტელიგენციაა სხვა ინტელიგენციათა შორის. ვრცელი განათლება, პატიოსანი კაცობრივი ნატვრა-სურვილი, პირდაპირი, გულუბრყვილო და პატიოსანი ხასიათი... რა თქმა უნდა, აქ ჩვენ სახეში გვყავს... მისი უკეთესი ნაწილი“. დაბოლოს, ავტორი დასძენს:

„დაახლოება ინტელიგენციის ამისთანა ნაწილთან საკეთილოა... ჩვენი ახალგაზრდობისათვის“ [3].

მსგავსი მაგალითების მოტანა მრავლად შეიძლებოდა, მაგრამ ვფიქ-

---

[1] ე. ნინოშვილი, თხზულებანი. ტ. I. „ჯანყი გურიაში“, გვ. 18.

[2] „ივერია“, 1889 წ., № 226.

[3] იქვე.

რობთ, წარმოდგენილი დოკუმენტები ნათლად ამტკიცებს ქართველი მოწინავე ინტელიგენციის მეგობრობასა და სიყვარულს დიდი რუსი ხალხისადმი.

მაგრამ უნდა აღინიშნოს ისიც, რომ ქართველი ხალხის მოწინავე ინტელიგენციის ასეთ მეგობრულსა და გულწრფელ სიყვარულს ყოველთვის როდი ხვდებოდა თანაგრძნობით სავსე გული და სამოყვროდ გაშლილი ხელები. ხშირად მოყვრულად მოსული სტუმარი თოკს გვიჭერდა ყელში და მფარველობის მაგიერ ფეხქვეშ თელავდა ჩვენს ღირსებასა და თავისუფლებას. ასეთი იყო მეორე რუსეთი, მეფის მოხელეებისა და შემამულეების რუსეთი, რომელთანაც სხვაგვარ კილოზე ლაპარაკობდნენ ქართველი ხალხის მოწინავე შვილები.

დიდი ლენინი გვასწავლის: „ყოველ თანამედროვე ერში არის ორი ერი... არის ორი ეროვნული კულტურა ყოველ ეროვნულ კულტურაში. არის ველიკორუსული კულტურა პურიშკევიჩებისა, გუჩკოვების და სტრუვეების, — მაგრამ არის აგრეთვე ველიკორუსული კულტურა, რომელიც ხასიათდება ჩერნიშევსკისა და პლეხანოვის სახელებით“ [1].

ისტორიულად ცნობილია, რომ ქართველი ხალხი და მისი მოწინავე ინტელიგენცია გრძნობდა ორი რუსეთის არსებობას.

ილია ჭავჭავაძე, აკაკი წერეთელი და სხვები სასტიკად ებრძოდნენ უვიც რუს ჩინოვნიკებსა და ოფიცრებს, ებრძოდნენ შავრაზმელ კატკოვებსა და იანოვსკებს, რომლებიც ტალახში სვრიდნენ ქართველი ხალხის მრავალსაუკუნოვან კულტურასა და ზნე-ჩვეულებას. მაგრამ იგივე ქართველი მოღვაწეები დედის ძუძუსავით დაეწაფნენ მოწინავე რუსულ აზროვნებას, ბელინსკის, ჩერნიშევსკის, დობროლუბოვისა და სხვების რევოლუციურ მისწრაფებებს, რუსი ხალხის პროგრესულ იდეებს.

რუს ხალხთან მეგობრობა და მათი მოწინავე კულტურისადმი სიყვარული სრულიად არ უშლიდა ხელს ილია ჭავჭავაძეს და სხვა ქართველ მოღვაწეებს სასტიკი ბრძოლა ეწარმოებინათ ცარიზმის კოლონიალური პოლიტიკის წინააღმდეგ. როგორც ბელინსკის, ჩერნიშევსკის, დობროლუბოვის, ნეკრასოვისა და სხვა რუსი რევოლუციონერების ბრძოლა, მიმართული ცარიზმის შავბნელი რეაქციის წინააღმდეგ, არ ნიშნავდა რუსი ხალხის წინააღმდეგ ბრძოლას, ასევე ილია ჭავჭავაძის, აკაკი წერეთლის, ნიკო ნიკოლაძის, კირილე ლორთქიფანიძისა და სხვების მტრული დამოკიდებულება რუსი ხელჯოხიანი მოხელეების მიმართ არ ნიშნავდა დიდი რუსი ხალხის ტრადიციული მეგობრობის უარყოფას. პირიქით, მეცხრამეტე საუკუნის ქართული მოწინავე კულტურა და აზროვნება დიდ რუს ხალხთან მჭიდრო კავშირში და ცარიზმის შავბნელი რეაქციის წინააღმდეგ ბრძოლაში გამოიჭედა.

---

[1] ლენინი ლიტერატურის შესახებ, 1945 წლის გამოცემა, შედგენილი ვ. შადურის მიერ, გვ. 13.

რუსეთის სამოციანი წლების რევოლუციური მოძრაობა და სტუდენტი ახალგაზრდობა

რევოლუციური სიტუაცია 60-იანი წლების რუსეთში

მეცხრამეტე საუკუნის სამოციანი წლები რუსეთის ისტორიაში რევოლუციური მოძრაობის აღმავლობის პერიოდია. ამ დროიდან თვალსაჩინო ხდება კაპიტალიზმის განვითარებით გამოწვეული სოციალურ-პოლიტიკური ტკივილები. ბატონყმობის სისტემა ნატურალური მეურნეობითა და მონური შრომის პრინციპებით წინ ეღობება საზოგადოების ნორმალურ განვითარებას. დროთა მსვლელობაში კ-დევ უფრო მწვავდება ბატონსა და ყმას შორის დამოკიდებულება. სამოციან წლებში მებატონეთა თავგასულობა კულმინაციურ წერტილს აღწევს, რის გამოც ცა რუხი ღრუბლებით იფარება და მეხის გავარდნის დროც ახლოვდება. ყოველივე ამას გრძნობენ როგორც ცარიზმისა და ფეოდალიზმის მტრები, ისე მისი მოყვრები. ორივე ბანაკი ემზადება თავიანთი ინტერესების დასაცავად.

სამოციანი წლების უდიდესი დემოკრატი-რევოლუციონერი ნ. გ. ჩერნიშევსკი ადრევე ხედავდა რუსეთში გლეხთა აჯანყების აუცილებლობას და ამის შესახებ 1852 წელს თავის დღიურში წერდა: „...ჩვენში მალე მოხდება აჯანყება და თუ ეს იქნება მე აუცილებლად მივიღებ მასში მონაწილეობას... ეს აუცილებლად ასე იქნება. ხალხის უკმაყოფილება მთავრობის წინააღმდეგ... სულ იზრდება. საჭიროა მხოლოდ ერთი ნაპერწკალი, რომ გაჩაღდეს ბრძოლა. ამასთან ერთად იზრდება განათლებული წრიდან მტრულად განწყობილ ადამიანთა რიცხვი თანამედროვე წყობილების წინააღმდეგ. აი მზად არის ნაპერწკალიც, რომელმაც უნდა დაანთოს ეს ხანძარი. საეჭვოა მხოლოდ ერთი, როდის იფეთქებს ეს. შეიძლება ათი წლის შემდეგ, მაგრამ მე ვფიქრობ, ეს იქნება უფრო ადრე... და თუ იფეთქებს... მე აუცილებლად მივიღებ მონაწილეობას...“[1]

ჩერნიშევსკის ეს წინასწარმეტყველური სტრიქონები ორი თვალ-

[1] Н. Г. Чернышевский, Полное собрание сочинений, т. I, стр. 418—419.

საზრისით არის საინტერესო. ერთი მხრივ, იგი ახასიათებს ჩერნიშევსკის რევოლუციურ ბუნებას, მის თავგანწირულებას მშრომელი ხალხისადმი, მეორე მხრივ, აქ ნათლად მოჩანს, ჩერნიშევსკის მიერ წარმოდგენილი საზოგადოების ზუსტი ანალიზი.

რუსეთის მებრძოლი ინტელიგენცია გრძნობდა ცარიზმის და ფეოდალიზმის საძირკველის სიდამპლეს, ხედავდა ცხოვრებაში დიდი ცვლილებების აუცილებლობას.

მაგრამ აღსანიშნავია ისიც, რომ არც ცარიზმის დამცველებს გამორჩენიათ ეს მომენტი მხედველობიდან, ისინიც გრძნობდნენ მიწისძვრის წინასწარ ბიძგს და, შეშინებულები გადარჩენის გზებსა და თავშესაფარ ხვრელებს ეძებდნენ. ამის საუკეთესო მაგალითს წარმოადგენს კონსტანტინე აკსაკოვის პროექტი[1], რომლის საშუალებითაც იგი ცდილობდა განუკურნებელი სენით დაავადებულ ცარიზმისა და ფეოდალიზმის გადარჩენას. ამ მიზნით მან ალექსანდრე მეორეს 1855 წელს 15 მუხლისაგან შემდგარი პროექტი წარუდგინა. პროექტში მოცემულია ბატონყმობის სისტემისა და ცარიზმის დესპოტიზმის მკაცრი კრიტიკა. მაგრამ ავტორის მიზანია, არა ბრძოლა არსებული წყობილების წინააღმდეგ, არამედ ამ სისტემის საფუძვლების დაცვა და გამაგრება. აკსაკოვის კრიტიკა მკაცრია, მაგრამ მეგობრულია, მოყვრის პირში ზრახვაა. იგი რევოლუციის ტალღების მოახლოების შიშით სახელმწიფო სისტემაში ცვლილებებს მოითხოვს, რათა ამით შეანელოს ხალხის მოსალოდნელი რისხვა და თავიდან ააცდინოს გაბატონებულ კლასს მომავალი უბედურება.

პროექტში ნათქვამია:

„1. რუსეთის ხალხმა, „რომელსაც არა აქვს“ თავის თავში პოლიტიკური ელემენტი, ჩამოაშორა თავის თავი სახელმწიფოს...

2. სამაგიეროდ რუსი ხალხი მოითხოვს თავის თავის ზნეობრივ თავისუფლებას, ცხოვრების და სულის თავისუფლებას...

9. რუსული სამოქალაქო წყობილების საწყისები არ ყოფილა დარღვეული რუსეთში ხალხის მიერ... არამედ იყო დარღვეული მთავრობის მხრივ, ე. ი. მთავრობა ჩაერია ცხოვრების და სულის (აზრის, სიტყვის) ზნეობრივ თავისუფლებაში და ამნაირად გადავიდა სულიერ დესპოტიზმში, რომელიც ჩაგრავს ხალხის სულიერ სამყაროს და ადამიანურ ღირსებებს, დაბოლოს, ეს აღინიშნა რუსეთში ზნეობრივი ძალის დაცემით და საზოგადოებრივი გარყვნილებით. მომავალში კი ეს დესპოტიზმი ემუქ-

[1] კონსტანტინე სერგის ძე აკსაკოვი (1811 — 1860) არის შვილი მწერალ სერგი ტიმოთეს ძე აკსაკოვისა, — ლიტერატორი, კრიტიკოსი, ისტორიკოსი, ფილოსოფოსი. იყო სტანკევიჩის წრის წევრი. ავითარებდა რელიგიურ-იდეალისტურ მსოფლმხედველობას, იცავდა მემამულეთა ინტერესებს. — კ. მ.

რება რუსეთს ან სრული დასუსტებით და დაცემით, მისთა მტერთა სასიხარულოთ, ანდა სრული საწყისების დამახინჯებით თვით ხალხში, რომელიც ვერ იპოვის რა ზნეობრივ თავისუფლებას, დაბოლოს, მოისურვებს რევოლუციას და დასტოვებს თავის ჭეშმარიტ გზას[1]. გამოსავალი ერთიც და მეორეც საშინელია. რადგანაც ერთიც და მეორეც დამღუპველია, ერთი მატერიალური და ზნეობრივი, მეორე მხოლოდ ზნეობრივი.

10. მაშასადამე, დარღვევა მთავრობის მხრივ რუსული სამოქალაქო წყობილებისა, წართმევა ხალხისათვის ზნეობრივი თავისუფლებისა, ერთი სიტყვით, მთავრობის გადახვევა ჭეშმარიტი რუსული საწყისებიდან, აი ყოველგვარი ბოროტების წყარო რუსეთში...

12. მთავრობამ დაადვა ზნეობრივი და სასიცოცხლო ჩაგვრა რუსეთს. მან უნდა მოხსნას ეს ჩაგვრა. მთავრობამ უნდა დაიხიოს უკან რუსული სამოქალაქო ჭეშმარიტი საწყისებისაკენ. ის უნდა დაუბრუნდეს ამ საწყისებს, სახელდობრ: მთავრობას — განუსაზღვრელი სახელმწიფოებრივი ხელისუფლება, ხალხს — მოქმედებისა და მაშასადამე კანონის უფლება... აზრისა და მაშასადამე სიტყვის უფლება. აი, ერთადერთი სასიცოცხლო რჩევა ამჟამად რუსეთისათვის.

14. თავისუფლება სიტყვისა, აი რა არის საჭირო რუსეთისათვის"[2].

ხოლო სახელმწიფო მმართველობის დარგში აკსაკოვი მოითხოვს საშუალო საუკუნეების ანარქიულ ფორმას „საერობო კრების" „земский собор"-ის აღდგენას.

აკსაკოვი მაშინ ქადაგებს ზნეობრივ თავისუფლებას, როდესაც ხალხი იბრძვის პოლიტიკური თავისუფლებისათვის, იგი მაშინ მოითხოვს სიტყვისა და პრესის თავისუფლებას, როდესაც რევოლუციის გრიგალი წალეკვით ემუქრება ცარიზმის ციხე-სიმაგრეებს. მაგრამ არა მარტო კონსტანტინე აკსაკოვი მოითხოვდა ამას, არამედ ლიბერალური ინტელიგენციის წარმომადგენლებიც, რევოლუციის მოახლოებით შეშინებულნი, ცდილობდნენ, როგორმე თავიდან აეცილებინათ გადატრიალება და კონსტიტუციისა და რეფორმების გზით შეენელებინათ გამწვავებული კლასობრივი მდგომარეობა. მაგალითად, 1859 წლის 30 მარტის დღიურში პროფესორი ა. ვ. ნიკიტენკო წერდა: „რასაკვირველია, კონსტიტუცია არის მშვენიერი საგანი და არ შეიძლება იმისი გვერდის ავლა, მაგრამ მე არც კი შემიძლია ვიფიქრო, რომ ამისთვის აუცილებელი იყოს რევო-

---

[1] ხაზი ჩვენია. — კ. მ.

[2] «Исторический вестник», 1908 г., стр. 255—257. იხ. აგრეთვე «Русь». 1881 г., изд. И. С. Аксакова.

ლუცია. ღმერთმა დაგვიხსნას ჩვენ რევოლუციისაგან, ეს იქნებოდა ყველაზე მეტი უგნურება“ [1].

მეორე ლიბერალი, პეტერბურგის უნივერსიტეტის ცნობილი პროფესორი კაველინი, ასევე ცდილობდა როგორმე გამოენახა საიმედო საშუალება რევოლუციის თავიდან ასაცილებლად. იგი აღნიშნავდა, რომ „...გადაიჭრას აზრიანად, საფუძვლიანად და სინდისიერად... ეს საკითხი (ესე იგი რევოლუციის საკითხი.—კ. მ.), მაშასადამე ნიშნავს გადავრჩეთ უაზრობას და 500 წლის განმავლობაში მივცეთ რუსეთს შინაგანი სიწყნარე და შესაძლებლობა სწორი და საქმიანი წარმატებისა ყოველგვარი დოღისა და ნახტომის გარეშე“ [2].

ჩანს, რევოლუციის საფრთხე მოსვენებას არ აძლევდა რეაქციონერებსა და ლიბერალებს.

რუსეთში ამ დროს საერთო პოლიტიკური სიტუაციის გაუწვავებას ხელი შეუწყო ყირიმის ომის კატასტროფულმა დასასრულმა. ამან ნათელყო ცარიზმის სისტემის უვარგისობა და მისი ძალის სისუსტე. ვ. ი. ლენინის სიტყვებით: „ყირიმის ომმა ცხადყო ბატონყმური რუსეთის სიდამპლე და უძლურება. გლეხთა „ამბოხებებმა“, რომლებიც განთავისუფლებამდე ფართოვდებოდა ყოველ ათწლეულში, აიძულა პირველი მემამულე, ალექსანდრე მეორე, ეღიარებინა, სჯობს გავათავისუფლოთ ზევიდან, ვიდრე ქვევიდან დაგვამხობდნენო“ [3].

ჯერ კიდევ 1859 წლის იანვრის თვეში ალექსანდრე მეორის მთავრობამ დაამუშავა რეფორმის ჩატარების წესები. იმპერატორის მიერ გამოყოფილი კომისია სიფრთხილეს იჩენდა ამ საქმეში, რადგან იოლი როდი იყო ყალყზე შემდგარი გლეხობის დაწყნარება, ბატონყმობა ისე უნდა გაეუქმებინათ, რომ თავადაზნაურობას ფაქტიურად არაფერი დაკლებოდა და გლეხობაც კმაყოფილი დარჩენილიყო.

მართლაც, იმპერატორმა 1861 წლის 19 თებერვალს გამოსცა მანიფესტი, რომელიც ფაქტიურად გლეხობის უსინდისო გაძარცვას წარმოადგენდა.

მანიფესტში ლაპარაკია ბატონისა და ყმის ურთიერთობის მანამდე არსებულ კანონზე, როგორც გონივრულსა და კეთილშობილურზე, მაგრამ, მანიფესტის ავტორების აზრით, ისეთი ადამიანების ხელში, რომლებიც მხოლოდ საკუთარი თავის სარგებლობაზე ზრუნავდნენ, ირღვეო-

---

[1] А. В. Никитенко, Дневник в трех томах, т. 2, 1858 — 1865, Госуд. издат. художест. лит-ры, 1955 г., стр. 81.

[2] Н. Барсуков, Жизнь и труды М. П. Погодина, кн. 14, СПБ, 1900, стр. 215.

[3] ვ. ი. ლენინი, თხზულებანი, ტ. 17, მე-4 გამოცემა, გვ. 127.

და ეს ზომიერება გლეხთა საზიანოდ და ხშირად თავს იჩენდა თვითნებობა.

შემდეგ მანიფესტში განსაზღვრულია ახალი კანონის საფუძველზე ნაბატონარისა და ნაყმევის ურთიერთობა, რომ მიწა რჩება ნაბატონარის ხელში და გლეხს ეძლევა უფლება მისი გამოსყიდვისა. აგრეთვე, რომ გლეხს შეუძლია მებატონის მიწა აიღოს სანადელოდ და სხვა. მანიფესტის ბოლოს წარმოდგენილია ორგანიზაციული ხასიათის საკითხები და მთავრდება ასე: «Дан в Санктпетербурге, в 19-й день февраля в лето от Рождества Христова 1861 г. царствования же нашего в 7-е. На подлином собственною Его Императорского Величества Рукою подписано: А л е к с а н д р»[1].

იმპერატორმა და მისმა მოხელეებმა ადრევე იცოდნენ, თუ რა შედეგი მოჰყვებოდა ასეთი შინაარსის მანიფესტის გამოცხადებას და ამისათვის წინასწარ ღებულობდნენ ორგანიზაციულ ზომებს, რათა გლეხთა მოსალოდნელი წინააღმდეგობა შეიარაღებული ძალებით ჩაეხშოთ. მანიფესტი უნდა გამოცხადებულიყო ცალკე გუბერნიებში სპეციალურად გამოყოფილი ფლიგელ-ადიუტანტების დახმარებით.

ამასთან დაკავშირებით, ამ მომენტისათვის ჯარის ნაწილები ისე უნდა განლაგებულიყო რუსეთში, რომ ყველა გუბერნიას და ადგილობრივ ხელისუფლებას შესაძლებლობა ჰქონოდა, გლეხობის მცირე წინააღმდეგობის შემთხვევაშიაც კი გამოეყენებინათ სამხედრო ძალა. ამის თაობაზე სამხედრო მინისტრი მილიუტინი იგონებს: «...был составлен по особому соображению под влиянием тех опасений, которые возбуждало освобождение крестьян из крепостного состояния; признавалось нужным так располагать войска, чтобы повсеместно имелась под рукой местного начальства достаточная военная сила, на случай возникновения беспорядков и волнения»[2].

არა მარტო რუსეთის შიდა გუბერნიებში, თვით სატახტო ქალაქში, პეტერბურგშიაც, საჭირო გახდა სპეციალური მომზადება მანიფესტის გამოცხადების დღისათვის, იმის გამო, რომ ეს მომზადება — სამხედრო ძალების განლაგება — დაგვიანდა, 19 თებერვლის ნაცვლად მანიფესტი პეტერბურგში 5 მარტს გამოაცხადეს. ამ დღისათვის კი ჯარის ნაწილებს უბრძანეს პეტერბურგის ქუჩებში განაწილებულიყვნენ შემდეგნაირად: «...Завтра... трем эскадронам сводного казачьего полка собраться: двум в придворном манеже в Канюшенной, а одному в Михайловском манеже. По требованию генерал-губернатора, казаки направляются к Казанскому собору: один эскадрон по Ма-

---

[1] Н. Б а р с у к о в, Жизнь и труды М. П. Погодина, т. 18, 1904 г., стр. 4.

[2] Рукоп. отд. библиот. им. Ленина, ф. Милютина Д. А., М., 7840, л. 35

лой Канюшенной, другой по Канаве, а третий по Ново-Михайловской на Невский. В то же время три роты Преображенского полка, выйдя на Невский, встанут поперек проспекта и займут выход из Большой Канюшенной. Гольваническая рота пойдет за казаками по Невскому» [1].

ეს სამზადისი ბუნებრივი იყო, რადგან მათ კარგად იცოდნენ, რომ მოტყუებული გლეხობა ასეთ „მოწყალებას“ პროტესტითა და ბუნტით უპასუხებდა. მართლაც, მანიფესტი სხვადასხვა დროს გამოცხადდა რუსეთის შიდა გუბერნიებში, ხოლო განაპირა კუთხეებში რამდენიმე წლით დააგვიანდა. მაგალითად, საქართველოში 1864 წელს დაიწყო და 1871 წლამდე გაგრძელდა ეს პროცესი. ასე თანდათანობით და ციფრთხილით ატარებდა მთავრობა ამ მეტად დიპლომატიურ ღონისძიებას, რომლის არსებითი მხარე შეუმჩნეველი მაინც არ დარჩა საზოგადოების მოწინავე ნაწილს.

მეფის უფლებების დამცველები მაშინვე შეეცადნენ მანიფესტი უდიდეს მოვლენად გამოეცხადებინათ. მაგალითად, კონსტანტინე აქსაკოვი პათოსით წერდა: „მოხდა ნამდვილად დიდი საქმე. ბატონყმობა უკვე აღარ არსებობს, ის ამოშლილია კანონიდან და ცხოვრებიდან. მხოლოდ რეფორმის შემდეგ ეხლაა შესაძლებელი თვით ხალხის წინ მსვლელობა და დაიძრა კიდევაც, როგორც მუდმივი ყინული. ნახევარი წლის შემდეგ თქვენ მათ ვერ იცნობთ“ [2].

ასევე, რეფორმის დიდ მნიშვნელობაზე წერდნენ ლიბერალური ინტელიგენციის წარმომადგენლებიც. მაგ., პოგოდინი დარწმუნებული იყო იმაში, რომ რეფორმამ ხალხს დიდი კეთილი საქმე მოუვლინა: „ხალხი, ხელმძღვანელობდა რა თავისი უტყუარი ალღოთი, ღებულობს როგორც რწმენას, რომ მას გაუკეთეს კეთილი საქმე, ლოცავს ღმერთს, მადლობას უხდის ხელმწიფეს“ [3].

მანიფესტის გამოცხადების დღეებში ა. ვ. გოლოვნინი ა. ი. ბარიატინსკის წერდა:

„პოლონეთის საქმე ძლიერ აწუხებს მის უდიდებულესობას. სამაგიეროდ გლეხთა საკითხი, მადლობა ღმერთს, ბოლოს შევიდა კანონიერ ძალაში“ [4].

იმ დროს, როდესაც რეაქციონერები და ლიბერალები რეფორმისაგან ასეთ დიდ შედეგებს მოელოდნენ, რუსეთის რევოლუციონერი ინტელიგენცია და მოწინავე მშრომელი გლეხობა სამარცხვინო ბოჭვა

---

[1] Робл, ф. Милютина Д. А., М., 7969, л. 1—1 об.

[2] Н. Барсуков, Жизнь и труды М. П. Погодина, стр. 15.

[3] იქვე, გვ. 10.

[4] იქვე, გვ. 12.

აკრავდა მეფის მატყუარა პოლიტიკას და ნამდვილი თავისუფლებისათვის რაზმავდა მშრომელთა მასებს. ჩერნიშევსკი, მიხაილოვი, ნეკრასოვი და სხვები რევოლუციური მოძრაობის ცეცხლს აჩაღებდნენ „სოვრემენიკის“ ფურცლებიდან. ისინი გლეხობას მოუწოდებდნენ ნამდვილი თავისუფლებისათვის, სისხლითა და ბრძოლით მოპოვებული თავისუფლებისათვის..

სამოციანი წლების რუსეთის მებრძოლი ინტელიგენციის დიდ რევოლუციურ გაქანებაზე ლაპარაკობს ჩერნიშევსკის მიერ შედგენილი მოწოდება-პროკლამაცია — „Барским крестьянам“.

ამ პროკლამაციაში ჩერნიშევსკი გლეხობას აჯანყებისაკენ მოუწოდებს, მასების შეკავშირება და ერთიანი ფრონტის შექმნა მიაჩნია მას გამარჯვების საფუძვლად.

«Ждали вы, что даст вам царь волю, вот вам и вышла от царя воля. Хороша ли воля, какую дал вам царь, сами вы теперь знаете... Так вот оно к чему по царскому-то манифесту да по указам дело поведено: не к воле, а к тому оно идёт, чтобы в вечную кабалу вас помещики взяли, да ещё в такую кабалу, которая гораздо и гораздо хуже нынешней. А не знал царь, что ли, какое дело он делает? Да сами вы посудите, мудрено ли это разобрать? Значит, знал. Ну и рассудите, чего надеяться вам на него.

Оболгал он вас, обольстил он вас. Не дождетесь вы от него воли, какой вам надобно. А почему не дождетесь от него, тоже рассудить можно. Сам-то он кто такой, коли не тот же помещик?.. Вы у помещика крепостные, а помещики у царя слуги, он над ними помещик. Значит, что он, что они — все одно. А сами знаете, собака собаку не ест: ну царь и держит барскую сторону. А что манифест да указы выпустил, будто волю вам даст, так он только для обольщения сделал»[1].

ჩერნიშევსკის ეს პროკლამაცია საბრძოლო მოწოდება იყო პეტერბურგის რევოლუციური შტაბისა. ამ დოკუმენტმა კიდევ უფრო გამოაფხიზლა ისედაც ამოძრავებული მშრომელი გლეხობა. მაგრამ ჩერნიშევსკიმ და მისმა თანამებრძოლებმა კარგად იცოდნენ, რომ გლეხობას ზურგის გამაგრება სჭირდებოდა, დამხმარე ძალა ესაჭიროებოდა და, მართლაც ამ დიდ საქმეში ჩაბმული იქნა მოსწავლე ახალგაზრდობა და ჯარის ნაწილები. ასეთივე საბრძოლო მოწოდებები დაეგზავნა ჯარის ნაწილებსა და სტუდენტობას.

---

[1] Н. Г. Чернышевский. Полное собрание сочинений. т. 7, 1947 г., стр. 520 — 521.

ჩერნიშევსკისა და მისი თანამებრძოლების რევოლუციური აზროვნების ნაპერწკლები „Современник“-ის საშუალებით რუსეთის შორეულ გუბერნიებში ანათებდა.

ჩერნიშევსკი გერცენისადმი მიწერილ ბარათში — „წერილი პროვინციიდან“ სამართლიანად აღნიშნავდა: „არა, ჩვენი მდგომარეობა საზარელია, აუტანელი და მხოლოდ ნაჯახს შეუძლია ჩვენი ხსნა. არაფერი, გარდა ნაჯახისა, ვერ გვიშველის, სხვა ხსნა არ არის“.

იგივე ჩერნიშევსკი თავის სტატიაში „უმისამართო წერილი“, რომელიც არ დაბეჭდილა 1873 წლამდე, მკაცრად აკრიტიკებდა ალექსანდრე მეორის გაიძვერა პოლიტიკას და ბოლომდე ააშკარავებდა 1861 წლის 19 თებერვლის მანიფესტის სიყალბეს [1].

რევოლუციური ინტელიგენციის მებრძოლი იდეები ხალხში ღრმად შეიჭრა. ჩერნიშევსკის, დობროლუბოვის, ნეკრასოვის, მიხაილოვის და სხვათა მებრძოლმა იდეებმა დარაზმა მშრომელთა დიდი ნაწილი ცარიზმისა და ტირანიის წინააღმდეგ საბრძოლველად.

1861 წლის რეფორმის შედეგად აჯანყებათა რაოდენობამ კულმინაციურ წერტილს მიაღწია. 1861 წლის მარტიდან 1862 წლის ივნისამდე გლეხთა აჯანყებამ იფეთქა რუსეთის 50 გუბერნიაში. საერთოდ ამ პერიოდში რეგისტრირებული იყო 1576 შემთხვევა ბუნტისა [2].

რეფორმის შემდეგ გლეხთა მოძრაობას ადგილი ჰქონდა ციმბირისა და პენზის გუბერნიებში. დიდი შეტაკება მოხდა ჩემბარსკის მაზრაში უვაროვის მამულში, რამაც აიძულა გენერალ-მაიორი დრენიაკინი ორი ბატალიონი მოეყვანა გლეხების წინააღმდეგ. ასევე იფეთქა გლეხთა ბუნტმა კარენსკის მაზრის სოფელ კონდეევსკში, ვოლკოვის მამულში. აქ გამოვიდა ათი ათასამდე გლეხი, რომლებიც ხმამაღლა გაჰყვიროდნენ „თავისუფლება, თავისუფლებაო“. გასროლის შემდეგ მოკლული იქნა 8 და დაიჭრა 26 კაცი.

ამ პერიოდში ყველაზე დიდი აჯანყება მოხდა ყაზანის გუბერნიის სპაასკის მაზრის სოფელ ბეზდნაში, გრაფ მუსინ-პუშკინის მამულში. აჯანყებას სათავეში ჩაუდგა რევოლუციონერი გლეხი ანტონ პეტროვი. სპეციალურად მოწვეულმა ჯარის ნაწილებმა აჯანყება სისხლში ჩაახრჩეს, ხოლო ანტონ პეტროვი საჯაროდ დახვრიტეს მოედანზე.

ვ. ი. ლენინი, ეხებოდა რა 1861 წლის მანიფესტის მნიშვნელობას, წერდა: „ყბადაღებული „განთავისუფლება“ იყო კლეხობის ყოვლად

---

1 Н. Г. Чернышевский, Письма без адреса, жур. «Вперед», т. 1, 1873.

2 В. Г. Баскаков, Миропозерение Чернышевского, стр. 42.

უსინდისო გაძარცვა, იგი წარმოადგენდა მათ მიმართ მთელ რიგ ძალადობას და პირდაპირ დაცინვას“ [1].

ვ. ი. ლენინი დიდად აფასებდა სამოციანი წლების რევოლუციონერებს და მათ სახელოვან ბელადს ნიკოლოზ გაბრიელის ძე ჩერნიშევსკის. მისი აზრით, ჩერნიშევსკი იყო „...რევოლუციონერ-დემოკრატი, ის რევოლუციურ გავლენას ახდენდა თავისი ეპოქის ყველა პოლიტიკურ მოვლენაზე, ატარებდა — მიუხედავად ცენზურის მრავალგვარი დაბრკოლებებისა — გლეხთა რევოლუციის იდეას, ყველა ძველი ხელისუფლების დასამხობად მასების ბრძოლის იდეას“ [2].

სხვა ადგილზე ვ. ი. ლენინი ჩერნიშევსკის ბრძოლას, 1861 წლის მანიფესტის მატყუარა ხასიათის წინააღმდეგ, გენიალურ მოღვაწეობად თვლიდა.

„საჭირო იყო სწორედ ჩერნიშევსკის გენიალობა, რომ იმ დროს, თვით საგლეხო რეფორმის მოხდენის ხანაში... ასე ნათლად გაეგო მისი ძირითადი ბურჟუაზიული ხასიათი... ჩერნიშევსკის ესმოდა, რომ რუსეთის ბატონყმურ-ბიუროკრატიულ სახელმწიფოს არ შეეძლო გლეხობის განთავისუფლება, ე. ი. მებატონეების დამხობა, რომ მას შეეძლო მოეხდინა მხოლოდ „სისაძაგლე“... და ის პროტესტს აცხადებდა, წყევლიდა რეფორმას, მარცხს უსურვებდა მას, სურდა რომ მთავრობა გახლართულიყო ეკვილიბრისტიკაში ლიბერალებს და მემამულეებს შორის და საქმე ისეთი კრახით დამთავრებულიყო, რომელიც რუსეთს კლასთა აშკარა ბრძოლის გზაზე გამოიყვანდა“ [3].

ვ. ი. ლენინის აზრით, სამოციანი წლების რაზნოჩინცულმა ინტელიგენციამ დიდი როლი ითამაშა რუსეთის რევოლუციური მოძრაობის ისტორიაში. რევოლუციის განვითარების იმ სამი ეტაპიდან, რომელსაც ლენინი ასახელებს, ძლიერ მნიშვნელოვან რგოლს წარმოადგენდა სამოციანი წლების პერიოდი.

„განმათავისუფლებელმა მოძრაობამ, — წერს ვ. ი. ლენინი, — რუსეთში სამი მთავარი ეტაპი განვლო, შესაბამისად რუსი საზოგადოების სამი მთავარი კლასისა, რომლებიც მოძრაობას თავიანთ ბეჭედს ასვამდნენ: 1. თავადაზნაურული პერიოდი, დაახლოებით 1825-დან 1861 წლამდე. 2. რაზნოჩინცული, ანუ ბურჟუაზიულ-დემოკრატიული, დაახლოებით 1861-დან 1895 წლამდე. 3. პროლეტარული — 1895 წლიდან დღემდე“ [4].

---

1 ვ. ი. ლენინი, ტ. 17, მე-4 გამოცემა, გვ. 126.
2 იქვე, გვ. 129 — 130.
3 ვ. ი. ლენინი, ტ. 1, მე-4 გამოცემა, გვ. 331 — 332.
4 ვ. ი. ლენინი, ტ. 20, მე-4 გამოცემა, გვ. 292.

რუსეთის სამოციანი წლების რევოლუციონერმა მოღვაწეებმა მარქსისა და ენგელსის დიდი ყურადღება დაიმსახურეს. მარქსმა სპეციალურად შეისწავლა რუსული ენა იმისათვის, რათა ჩერნიშევსკისა და სხვა რუსი დემოკრატების ნაწერები დედანში წაეკითხა.

აი რას წერს მარქსი ამის შესახებ: „იმისათვის, რომ შესაძლებლობა მქონოდა საგნის შესახებ საკუთარი ცოდნით განმეხილა და დამეფასებინა რუსეთის ეკონომიური განვითარება, რუსული ენა შევისწავლე და შემდეგ მრავალი წლის მანძილზე ვსწავლობდი ოფიციალურსა და სხვა გამოცემებს, რომელთაც კი რაიმე დამოკიდებულება ჰქონდა ამ საკითხთან“ [1].

გარდა ამისა, მარქსი და ენგელსი ხშირად აქებდნენ და დიდ მნიშვნელობას ანიჭებდნენ რუსი რევოლუციონერების მოღვაწეობას საერთაშორისო რევოლუციური მოძრაობის საქმეში.

1860 წლის 11 იანვრის თარიღით კ. მარქსი ფ. ენგელსს სწერდა: „ჩემის აზრით უდიდესი მოვლენა მსოფლიოში ეხლანდელ დროს არის, ერთი მხრივ, ამერიკელი მონების მოძრაობა, რომელიც დაიწყო ბრაუნის მკვლელობის გამო, და, მეორე მხრივ, მოძრაობა მონებისა რუსეთში...“ [2]

1884 წელს რუს ემიგრანტ ქალს პაპრიცს ენგელსისადმი გაგზავნილ წერილში სამოციანი წლების რუს რევოლუციონერთა ნაკლოვანებებზე ჰქონდა ლაპარაკი. ენგელსი არ იზიარებს პაპრიცის ასეთ მოსაზრებას და საპასუხო წერილში აღნიშნავს:

„ხომ არ ჩადიხართ თქვენ ცოტა უსამართლობას თქვენი თანამემამულეების მიმართ. ჩვენ ორივეს, მარქსსა და მე, მათზე სამდურავი არ გვეთქმის. თუ ზოგიერთი სკოლა თავისი რევოლუციური მგზნებარებით უფრო გამოირჩეოდა, ვიდრე მეცნიერული გამოკვლევებით... იყო აგრეთვე ისეთი კრიტიკული აზრი და თავგანწირული ძიებანიც წმინდა თეორიის დარგში, რომელიც შეეფერებოდა იმ ხალხს, დობროლუბოვი და ჩერნიშევსკი რომ მოგვცა. მე ვლაპარაკობ არა მარტო აქტიურ რევოლუციონერ-სოციალისტებზე, არამედ ისტორიულ და კრიტიკულ სკოლებზეც რუსულ ლიტერატურაში, რომელიც განუსაზღვრელად მაღლა დგას ყველა იმაზე, რაც კი გერმანიასა და საფრანგეთში ოფიციალურ ისტორიულ მეცნიერებებს შეუქმნია. და თვით აქტიურ რევოლუციონერ პრაქტიკოსთა შორისაც ჩვენი იდეები და მარქსის მიერ

---

[1] კ. მარქსისა და ფ. ენგელსის მიწერ-მოწერა რუს პოლიტიკურ მოღვაწეებთან, 1955 წ., გვ. 279.

[2] К. Маркс и Ф. Энгельс, Избранные письма, 1947 г., стр. 115.

საფუძვლიანად გადამუშავებული ეკონომიური მეცნიერება ყოველთვის სიმპათიას და გაგებას ჰპოებდა“ [1].

ასეთი მსოფლიო მნიშვნელობა ჰქონდა ჩერნიშევსკისა და მისი თანამებრძოლების მოღვაწეობას რევოლუციური აზროვნების განვითარებისა და ხალხთა თავისუფლებისათვის ბრძოლის საქმეში. სამოციანი წლების რევოლუციური საქმიანობა ნიადაგს ამზადებდა შემდგომი უფრო დიდი და სახალხო მოძრაობისათვის რუსეთში. ამიტომ იყო, რომ ამ მოვლენამ მარქსიზმის კლასიკოსების დიდი ყურადღება დაიმსახურა.

---

[1] კ. მარქსისა და ფ. ენგელსის მიწერ-მოწერა რუს პოლიტიკურ მოღვაწეებთან, 1955 წ., გვ. 346.

პოლიტიკური დაძაბულობა რუსეთის იმდროინდელ უნივერსიტეტებში

რუსეთის უნივერსიტეტები დიდ როლს თამაშობდნენ მე-19 საუკუნის მოწინავე აზროვნების განვითარების საქმეში. სამოციანი წლების რევოლუციურ მოძრაობაში სტუდენტი ახალგაზრდობა მნიშვნელოვან ძალას წარმოადგენდა. ყოველი ახალი, რევოლუციური ნაპერწკალი უნივერსიტეტების აუდიტორიაში პოულობდა განვითარებისათვის ხელსაყრელ ნიადაგს. ზოგჯერ ეს ნაპერწკალი, ხანძრად ქცეული, უეცრად იფეთქებდა ხოლმე უმაღლესი სასწავლებლების კედლებში.

ამდენად უნივერსიტეტები ზოგჯერ ვერ „ამართლებდნენ" მთავრობის ნდობას. ხშირად ეს სასწავლებლები, ნაცვლად სახელმწიფოს ინტერესების დაცვისა, ცარიზმისა და ფეოდალიზმის სისტემის ძირგამომთხრელი მუშაობის კერებად იქცეოდნენ და, ბუნებრივია, მთავრობის გულისწყრომასა და რისხვას იმსახურებდნენ. ბოლოს საკითხი ისე გამწვავდა, რომ წარმოიშვა აზრი უნივერსიტეტების, როგორც მავნე დაწესებულებების, დახურვის შესახებ.

მაგალითად, საიდუმლო ცენზურული კომიტეტის თავმჯდომარე ბუტერლინი მოითხოვდა დაეხურათ უნივერსიტეტები, როგორც პოლიტიკურად საეჭვო ახალგაზრდობის თავშესაფარი დაწესებულებები. ხოლო როსტოვცევი და მისი მსგავსი უხერხემლო ჩინოვნიკები ფიქრობდნენ უნივერსიტეტების ნაცვლად შექმნილიყო — «Высшие корпуса, где науки преподавались бы специально только людям высшего сословия, готовящимся к службе»[1]. მთავრობის ინტერესების დამცველი ზოგიერთი ნიჰილისტი საჯაროდ გაიძახოდა: «Исход один был возможен: действительно закрыть университеты и восстановить совсем в новом виде, совсем на новых началах, может быть, даже в других местах и под другим названием» [2].

თვით ლიბერალი პროფესორი ნ. პ. პოგოდინი აღშფოთებული იყო მაშინდელი უნივერსიტეტების მდგომარეობით, ამის თაობაზე იგი წერდა:

„ჩვენი უნივერსიტეტები, როგორც ნათლად ჩანს, იხრებიან დაცე-

[1] А. В. Никитенко, «Зап. и дневн.», т. I, 1905 г., стр. 378.

[2] Н. Барсуков. Жизнь и труды Н. П. Погодина, стр. 217.

მულობისაკენ. მათი ახალგაზრდობა დემორალიზებულია, პროფესორებს წართმეული აქვთ ყოველივე საშუალებები... ბევრი კათედრა ცარიელია, სხვებიც მალე დაცარიელდებიან და არავინ იქნება შემცველელი...“ [1]

პროფესორ ა. ვ. ნიკიტენკოს აზრით: „უნივერსიტეტები დაღუპვის პირას იმყოფებოდნენ, ისინი დახურვის საფრთხის წინაშე იდგნენ“ [2].

უნივერსიტეტების დახურვის მიზნით მე-19 საუკუნის 50-იან წლებში ბევრი პროექტი დაიწერა და მოსაზრება გამოითქვა, მაგრამ უძლური აღმოჩნდნენ რეაქციული ძალები, მათ ვერ შესძლეს უნივერსიტეტების ფიზიკური განადგურება, რადგან ცარიზმის მომხრე ჩინოვნიკების მოსაზრებებს ყოველთვის წინ ეღობებოდა რუსეთის მოწინავე ინტელიგენცია, მოწინავე რუსული აზროვნება. თუმცა ცარიზმის მოხელეებმა უმაღლესი სასწავლებლების, ამ „მავნე დაწესებულებების“ — ლიკვიდაცია ვერ შესძლეს. მაგრამ იმდენი მაინც მოახერხეს, რომ მათი საქმიანობა მთლიანად მესამე განყოფილებას დაუმორჩილეს. მკაცრი მეთვალყურეობის ქვეშ იმყოფებოდნენ როგორც სტუდენტები, ისე პროფესორები. აუდიტორიებსა და დერეფნებში ყველგან ჯაშუშების ქსელი იყო გაბმული.

პოლიტიკური კონტროლის ქვეშ იკითხებოდა ყველა სამეცნიერო დისციპლინა. ლექციები გაჟღენთილი უნდა ყოფილიყო რელიგიური შინაარსითა და თვითმპყრობელობის უსაზღვრო სიყვარულით [3].

რუსეთის ყველა უმაღლესი სასწავლებელი ფარულად თუ აშკარაღ მესამე განყოფილებასა და პოლიციას ემორჩილებოდა. პეტერბურგის საიმპერატორო უნივერსიტეტის საქმიანობას განაგებდა ჰუსართა პოლკის ყოფილი პოლკოვნიკი მუსინ-პუშკინი. მ:ს სურდა, უნივერსიტეტში კადეტთა კორპუსში არსებული რეჟიმი დაემყარებინა და ამის მისაღწევად ყოველგვარ საშუალებას იყენებდა.

მოსკოვის სასწავლო საქმეს „ხელმძღვანელობდა“ სიმკაცრით განთქმული გენერალი ნაზიმოვი. კიევში უნივერსიტეტს მართავდა ადგილობრივი გენერალ-გუბერნატორი. ხარკოვის უნივერსიტეტის ბედი კი ხელში ეპყრა პეტერბურგის ყოფილ ობერ-პოლიცმეისტერს, იმჟამად ხარკოვის გენერალ-გუბერნატორს, კოკოშკინს, რომელიც გატაცებული იყო სამხედრო დისციპლინით და სანანებლად მიაჩნდა, უნივერსიტეტში დისციპლინის კათედრა რომ არ არსებობდა... [4]

---

[1] Н. Барсуков. Жизнь и труды Н. П. Погодина. стр. 227.

[2] А. В. Никитенко. «Зап. и днев.», 1905 г., стр. 3[2]4.

[3] С. Ашевский. Русское студ. в эпоху шестнад. годов (1855 1868). ახილეთ ავრეთვე «Современный мир», 1907 г., № 6, стр. 16.

[4] იქვე. გვ. 13 — 14.

ყაზანის ოლქის მზრუნველი გენერალი მოლოსტოვი თავის თავს უფრო პოლიციელად თვლიდა, ვიდრე სასწავლო-აღმზრდელობითი დაწესებულების ხელმძღვანელად. ხოლო ყაზანის უნივერსიტეტის ინსპექტორი ლანგე კარცერში სვამდა სტუდენტებს გრძელი თმისა და ულვაშების ტარებისათვის [1].

დერპტის უნივერსიტეტს „მფაოველობდა" გენერალი კრაფმშტრე-ბი. ყველა ამათ ჯაშუშთა მრავალრიცხოვანი შტატი ჰყავდათ უმაღლეს სასწავლებლებში და მათი საშუალებით იცოდნენ სტუდენტებისა და პროფესორების ყოველი საქმიანობა.

კიევის გენერალ-გუბერნატორი ბიბიკოვი სააქტო დარბაზში შეკრებილ მედიკური ფაკულტეტის სტუდენტებსა და პროფესორებს ასეთი სიტყვებით მიმართავდა:

„...თქვენ პროფესორებო, შეგიძლიათ შეიკრიბოთ ერთმანეთთან, მაგრამ მხოლოდ კარტის სათამაშოდ და თქვენც, სტუდენტებო! დაიმახსოვრეთ, რომ მე მოწყალების თვალით შევხედავ თქვენს ქეიფს და ა. შ. მაგრამ ჯარისკაცის ქუდი ემუქრება თვითოეულს თქვენთაგანს, რომელიც იქნება შემჩნეული თავისუფალ აზროვნებაში" [2].

მთავრობის წრეები მხოლოდ იმას აქცევდნენ ყურადღებას, რომ სტუდენტებს პოლიტიკურ საქმიანობაში არ მიეღოთ მონაწილეობა, თორემ სხვა მხრივ ახალგაზრდობის ყოფა-ქცევა მათ ნაკლებად აინტერესებდათ. პირიქით, ზოგჯერ ხელმძღვანელი ჩინოვნიკები კმაყოფილებით ხვდებოდნენ სტუდენტთა აღვირახსნილი ცხოვრების შემთხვევებს, რადგან, მათი აზრით, ასეთ სტუდენტებს არ ექნებოდათ არც დრო და არც ინტერესი არალეგალურ წრეებში მუშაობისა და პოლიტიკური მოღვაწეობისა.

მთავრობის რეპრესიები საწინააღმდეგო შედეგებს იძლეოდა, ეს კიდევ უფრო ზრდიდა ოპოზიციურად განწყობილ ახალგაზრდობის რიგებს.

ჯერ კიდევ სამოციან წლებამდე, ესე იგი მანამდე, სანამ სტუდენტთა მასობრივი აჯანყებები დაიწყებოდა, რუსეთის უნივერსიტეტებში რევოლუციური იდეებით შეიარაღებული ახალგაზრდობა, არალეგალური ორგანიზაციების სახით, დაუნდობელ ბრძოლას აწარმოებდა ცარიზმისა და ფეოდალიზმის სისტემის წინააღმდეგ.

ამ დროისათვის მოსკოვის უნივერსიტეტის სტუდენტებს მოწყობილი ჰქონდათ არალეგალური სტამბა. აქ იბეჭდებოდა აკრძალული წიგნები და სტატიები. ფარულად გამოსცეს ბიუხნერის, ფოიერბახის, გერ-

---

[1] იხ. «Соврем. мир», 1907 г., № 6, стр. 13—14.

[2] Пантелеев, Из воспоминаний прошлого, сб. ст. 1895 г., стр. 158.

ცენის, ჩერნიშევსკის, ოგარიოვის და სხვების წიგნები. აკრძალულ ლიტერატურას სტუდენტები ინახავდნენ სპეციალურ სარდაფებში, საიდანაც იგზავნებოდა ადგილებზე და ამით მრავლდებოდა შებრძოლთა რიგები [1].

ჯაშუშთა საშუალებით პოლიციამ მალე აღმოაჩინა ეს სტამბა. დააპატიმრეს ამ საქმესთან დაკავშირებული სტუდენტები. შეიქმნა დამნაშავეთა სპეციალური საქმე — „О составлении и распространении злоумышленных сочинений"-ს სახელწოდებით.

მთავრობამ მკაცრად დასაჯა მოსკოვის უნივერსიტეტის არალეგალური მომუშავე სტუდენტები: ტოლც-მილერი, ნოვიკოვი, პეტროვსკი-ილიენკო, სვერჩევსკი, სულინი, იაშენკო და ამ საქმის მთავარი ორგანიზატორი პერიკლე არგიროპულო [2]. პირადად იმპერატორის განკარგულებით და სენატის გადაწყვეტილებით სტუდენტები გადასახლებულნი იქნენ რუსეთის შორეულ გუბერნიებში [3].

აგრეთვე, 1859 წელს. მოსკოვის უნივერსიტეტთან პ. არგიროპულომ და პ. ზაიჩნევსკიმ ჩამოაყალიბეს სტუდენტთა არალეგალური წრე „ახალი რუსეთის" სახელწოდებით. ამ წრის აქტიური წევრები იყვნენ: ა. ნოვიკოვი, ი. პონიატოვსკი, ა. პოკროვსკი, ე. პრაოტცოვი, ა. დროზდოვი. პ. ლებედინსკი, ა. ლევიშოვი, ი. გოც-მილერი; წრეში აგრეთვე მონაწილეობას ღებულობდნენ პეტროვსკი-ილიენკო, ი. სულინი, სვერჩევსკი, ლ. იაშჩენკო, ა. კისტერი და სხვები, სტუდენტი პ. არგიროპულო არა მარტო კარგ ორგანიზატორად ითვლებოდა, არამედ იგი მათი იდეური მასწავლებელიც იყო.

1856 წელს, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ხარკოვში ჩამოყალიბდა „საიდუმლო რევოლუციური საზოგადოება", რომლის მიზანს შეადგენდა „საყოველთაო გადატრიალების მოხდენა რუსეთში და დაწყება ვლეხთა განთავისუფლებისა". ამ მიზნის მისაღწევად, საზოგადოების ორგანიზატორის ზავადსკის თქმით, საჭირო იყო მასებთან კავშირი და ხალხის მომზადება აჯანყებისათვის, ამისათვის ისინი იყენებდნენ პროკლამაციებსა და არალეგალურ ლიტერატურას.

---

[1] «Исторический вестник», т. CXII, 1908 г., стр. 224 — 225.

[2] პერიკლე არგიროპულომ 1857 წელს დაამთავრა ხარკოვის მეორე გიმნაზია და იმავე წელს ჩაირიცხა მოსკოვის უნივერსიტეტის იურიდიულ ფაკულტეტზე. როგორც პირადი საქმიდან ჩანს, მას უნივერსიტეტში დაუყვია ორი წელი. იხ. Дело совета Императорского Московского Университета о принятии в студенты Перикла Аргиропуло, дело № 244 (Государственный Исторический Архив Московской Области, фонд 418, опись 26, год 1857, дело 244, стр. 1 — 12).

[3] «Исторический вестник», т. CXII; 1908 г., стр. 255—256.

რევოლუციონერი სტუდენტები ცდილობდნენ ზოგჯერ მკაცრი პრაქტიკული ნაბიჯებიც გადაედგათ. ერთ-ერთ სხდომაზე მათ გადაწყვიტეს იმპერატორის მთელი ოჯახის ამოწყვეტა. ამ საქმის სისრულეში მოყვანა იკისრა სტუდენტმა ზავადსკიმ, რისთვისაც იგი უნდა გამგზავრებულიყო პეტერბურგს, მაგრამ იმქამად ამის განხორციელება არ მოხერხდა. ამ სხდომას ესწრებოდნენ წრის სხვა წევრები: ეფიმენკო, მურავსკი, ივკოვი, ბეკმანი, ლევჩენკო, პორტუგალოვი, ზელენსკი და სხვები [1].

ორგანიზაციის წევრებმა დიდი მუშაობა ჩაატარეს სტუდენტ-ახალგაზრდობაში. მათი ინიციატივით მოეწყო 1857 — 1858 წლებში ხარკოვის უნივერსიტეტის სტუდენტთა არეულობა.

ხარკოვის უნივერსიტეტის სტუდენტთა მღელვარებამ მძლავრი გამოხატულება ჰპოვა კიევის უნივერსიტეტის სტუდენტთა შორის. კიევში სტუდენტთა მოძრაობის აღმავლობას ხელი შეუწყო ხარკოვის უნივერსიტეტიდან გარიცხულების ჩამოსვლამ. აქ მათ დააარსეს სტუდენტთა ფარული ორგანიზაციები. მუშაობა წარიმართა ორი მიმართულებით, ნაწილი ახალგაზრდობისა არალეგალური გზით ცდილობდა პოლიტიკური გადატრიალების მოხდენას, მეორე ნაწილი კი ხალხში ეწეოდა კულტურულ-საგანმანათლებლო მუშაობას. რისთვისაც იყენებდა პრესასა და საკვირაო სკოლებს.

აღსანიშნავია ისიც, რომ 1857 წლის 14 აპრილს კიევის უნივერსიტეტის სტუდენტებმა თეატრის ახლოს საზოგადოების წინაშე პოლიტიკური გამოსვლა მოაწყვეს. ამ საქმის აქტიური მონაწილეები გარიცხეს უნივერსიტეტიდან.

«Во исполнение Высочайшей конференции по делу о безпорядках, произведенных студентами 14 апреля 1857 года около киевского театра, совет Университета Св. Владимира исключил из университета казеннокоштных студентов юридического факультета Пискурского Фердинанда и Медицинского факультета Стетиковского Владислава и своекоштных студентов Историко-Филологического факультета Цешковского Адольфа. Комара Фаддея и Кручковского Адольфа, Физико-математического факультета Фошовича Юстина и Еливицкого Эдуарда...»[2]

„არაკეთილსაიმედო ყოფაქცევისათვის" სისტემატურად ირიცხებოდნენ სტუდენტები სხვა უმაღლესი სასწავლებლებიდანაც. 1857 წლის 2 მარტს გაირიცხნენ „неблагонадёжное поведение"-ს გამო.

---

[1] «Исторический вестник», т. CXII, 1908 г., стр. 226.

[2] ГИАМО, фонд 418, опись 26, год 1857, дело 111, стр. 13—14.

პეტერბურგის მედიკო-ქირურგიული აკადემიის მე-4 კურსის სტუდენტი ნიკოლოზ ნაუმოვი და პირველი კურსის მსმენელი ლუდვიგ ლეოპარდი“ [1].

ამავე წელს ყაზანის უნივერსიტეტიდან „არაკეთილსაიმედო ყოფაქცევისათვის“ გაირიცხნენ სტუდენტები: მედიცინის ფაკულტეტის მესამე კურსიდან უმნოვი ივანე; იურიდიული ფაკულტეტის კამერალური განყოფილების მესამე კურსიდან — სოკოვპინი ნიკოლოზ, სტრადინი პავლე და პირველი კურსიდან — პაპიზოვსკი ვლადიმერ; მედიცინის ფაკულტეტის პირველი კურსიდან რეზნოვი იზმაილ და სხვები [2]. უნივერსიტეტიდან გარიცხული სტუდენტების შესახებ ბრძანებები, განსაკუთრებული მიმართვით, ეგზავნებოდა რუსეთის ყველა უმაღლესი სასწავლებლის ადმინისტრაციას, რათა დასჯილ სტუდენტებს მოსპობოდათ საშუალება სხვა უმაღლეს სასწავლებელში მოწყობისა. ამით აიხსნება ყაზანის და სხვა უნივერსიტეტებიდან აქ დასახელებულ გარიცხულ სტუდენტთა საქმეების არსებობა მოსკოვის უნივერსიტეტის არქივში, რომელსაც, სხვა საბუთების ძებნის დროს, შემთხვევით წავაწყდით.

უნივერსიტეტებს გარდა, მოსწავლეთა არალეგალური ორგანიზაციები არსებობდნენ სასულიერო სემინარიებთან და სხვა ტიპის სასწავლებლებთან. მაგალითად, 1859 წელს ვიატკის სემინარიის მსმენელთა შორის რევოლუციონერი ა. ა. კრასოვსკი აყალიბებს საიდუმლო წრეს, რომლის წევრები იყვნენ მოსწავლეები: კრასნოპეროვი, რომანოვი, სელივანოვსკი, მოლოტოვსკი და სხვები. წრის სამუშაო ადგილი იყო კრასოვსკის ბინა. აქ დიდი გატაცებით კითხულობდნენ ბელინსკის, გერცენის, ჩერნიშევსკის. დობროლუბოვის ნაწერებს. ხალხში ეწეოდნენ რევოლუციური აზრების პროპაგანდა-აგიტაციას [3].

იმავე 1859 წელს მოსწავლეთა არალეგალური წრე ჩამოყალიბდა პერმში. წრის ორგანიზატორი და ხელმძღვანელი იყო კოლეგიის ასესორი და პერმის სემინარიის ფილოსოფიის პროფესორი ა. იკონიკოვი. 1860 წლიდან წრის მუშაობა კიდევ უფრო გაჩაღდა, რადგან ამ დროიდან აქ გადმოასახლეს ხარკოვის უნივერსიტეტის სტუდენტთა არალეგალური წრის ერთ-ერთი ხელმძღვანელთაგანი პ. ს. ეფიმენკო.

მკაცრი რეპრესიები საწინააღმდეგო შედეგს იძლეოდა. რაც დრო გადიოდა. სტუდენტთა მღელვარება მასობრივ ხასიათს ღებულობდა. ამის გამო განათლების სამინისტრო შეეცადა, პეტერბურგის ოლქის მზრუნველის დახმარებით წესრიგი დაემყარებინა სტუდენტთა შორის

---

1 ГИАМО, фонд 418. опись 26, год 1857, дело 111, стр. 4.

2 იქვე, გვ. 3.

3 В. Г. Баскаков, Мировоззрение Чернышевского, стр. 143. იხ. აგრეთვე И. М. Красноперов, «Записки разночинца», М.-Л., 1929 г.

და მითითებაც გამოსცა სტუდენტთა კრებებისა და დემონსტრაციების აკრძალვის შესახებ. მთავრობა მოითხოვდა მკაცრად დაესაჯათ ამ საქმეში დამნაშავე სტუდენტები.

ამის შესახებ 1857 წლის 17 დეკემბრის თარიღით განათლების საბინისტროს დეპარტამენტის მიმართვაში ოლქის მზრუნველისადმი ნათქვამია:

„ამ უკანასკნელ ხანებში ზოგიერთ უნივერსიტეტში მომხდარი უწესობა გვარწმუნებს, რომ სტუდენტები იმყოფებიან უკიდურეს დაბნეულობაში, ფიქრობენ რა ისინი, რომ მათ აქვთ უფლება საჯარო მოქმედებისა... შეადგინონ ურთიერთშორის კრება და მოაწყონ სხვადასხვა სახის დემონსტრაციები. რომ მოვუღოთ ბოლო ასეთ არა სწორ და მავნებლურ მიმართულებას... უნდა შთავაგონოთ სტუდენტებს... რომ ჩვენი კანონი სასტიკად კრძალავს ყოველგვარ კრებას და დემონსტრაციას... დამნაშავენი, რომელიმე აქ დასახელებულ მოქმედებაში შენიშნულნი, სასწრაფოდ იქნებიან გარიცხულნი უნივერსიტეტიდან მიუხედავად იმისა, რამდენიც არ უნდა იყოს რიცხვი ასეთებისა“ [1].

მაგრამ საქმის ვითარებას ვერც განათლების საბინისტროს დეპარტამენტმა და ვერც ოლქის მზრუნველებმა უშველეს. სტუდენტთა მღელვარებამ ამის შემდეგ კიდეე უფრო სერიოზული ხასიათი მიიღო.

1859 წელს თვით იმპერატორი ალექსანდრე მეორე იძულებული გახდა მონაწილეობა მიეღო სტუდენტთა საწინააღმდეგო ღონისძიებათა შემუშავებაში. მალე გამოიცა მის მიერ ხელმოწერილი დოკუმენტი, რომლის მიხედვით ძლიერ შეიზღუდა სტუდენტთა უფლებები. ასევე აეკრძალათ სტუდენტებს კრებების მოწვევა და განცხადებების გაკვრა რაიმე ცნობების გავრცელების მიზნით.

იმპერატორის მიერ ხელმოწერილ საბუთში აღნიშნულია: „...საზოგადოებრივი აზრი ამ შემთხვევებს მიაწერს სტუდენტთა განსაკუთრებულ მდგომარეობას, რომლის მიხედვით ისინი არ ემორჩილებიან საერთო წესდებას და, რომ აცილებული იქნას ასეთი შემთხვევა, მიეთითოს იმ აუცილებლობაზე, რომ სტუდენტები პოლიციის წესის მიმართ გათანასწორებულნი იყვნენ სხვა მცხოვრებლებთან, და რომ ადგილობრივ ხელისუფალთა მხრივ არ იყოს მათზე გავრცელებული შეღავათები, რასაც აქამდის ჰქონდა ადგილი, ღებულობდნენ რა მხედველობაში მათ მუნდირს... ამიტომ მე ვფიქრობ, სასურველი მიზნის სრული მიღწევისათვის საჭიროა...

ა) დაიხუროს ოთახი, რომელშიაც თამბაქოს სწევენ სტუდენტები...

ბ) აეკრძალოს სტუდენტებს განცხადების საშუალებით ცნობების

[1] ЦГИАЛ, фонд 733, опись 88, дело 188, год 1858, стр. 1—2.

გავრცელება... რადგან ამ ცნობათა რიცხვში არის ისეთებიც, რომლის მიხედვით კეთდება სხვადასხვა მითითება. მაგალითად, წარსულ შემოდგომას განცხადებაში აღნიშნული იყო, თუ სად შეიძლებოდა რუსი მწერლების სურათების ყიდვა და მათ შორის ისკანდერის [1] სურათის ყიდვა...

გ) მოსპობა სტუდენტთა ტანისამოსის ფორმისა. იცვამს რა მუნდირს, ახალგაზრდა კაცი ეჩვევა ისეთ აზრს, რომ პოლიციას არ აქვს მასზე არავითარი უფლება... მუნდირი ამტკიცებს და აახლოებს სტუდენტებს ერთმანეთთან. ფორმაში მყოფი სტუდენტები თავიანთ თავს თვლიან მრავალრიცხოვანი ოჯახის წევრად" [2].

ამ დოკუმენტს მოჰყვა პრაქტიკული ღონისძიება.

მართლაც, 1859 წლის 6 მაისის თარიღით გამოცემულ იქნა ბრძანება უნივერსიტეტის შენობის გარეთ სტუდენტებისათვის პრივილეგიების გაუქმების შესახებ.

იგივე იმპერატორი 1861 წლის აპრილში მოითხოვს სტუდენტების უფლებათა კიდევ უფრო მეტად შეზღუდვასა და ზოგიერთი უნივერსიტეტის დახურვასაც კი. მაგალითად, იგი განათლების მინისტრს ამის შესახებ სწერს:

„ასეთი უწესრიგობა, რომელიც ახლა აღელვებს უნივერსიტეტებს, არ შეიძლება შემდეგში იყოს მოთმენილი და განზრახული მაქვს შევუდგე გადამწყვეტი ზომების განხორციელებას, დაიხუროს ზოგიერთი უნივერსიტეტი..." [3]

მიუხედავად ასეთი მუქარისა, სტუდენტთა მოძრაობა თანდათან მასობრივ ხასიათს ღებულობს. განსაკუთრებით სერიოზული ხასიათი ჰქონდა სტუდენტთა მღელვარებამ ყაზანის უნივერსიტეტში, რასაც დიდად შეუწყო ხელი ბეზდნაში მომხდარმა ისტორიული მნიშვნელობის ტრაგედიამ.

1861 წლის რეფორმის შემდეგ ხშირად ხდებოდა რუსეთის სხვადასხვა გუბერნიებში გლეხთა მასობრივი აჯანყებები. ერთი ასეთი მასობრივი აჯანყება მოხდა 1861 წლის აპრილის თვეში. სოფელ ბეზდნაში. აჯანყებამ მასობრივი ხასიათი მიიღო. ბრძოლაში ჩაებნენ სხვადასხვა მაზრებისა და გუბერნიების გლეხები. მთავრობა იძულებული გახდა ჯარის ნაწილები გაეგზავნა აჯანყების ჩასაქრობად გრაფ აპრაქსინის მეთაურობით [4].

ამ ფაქტმა დიდი გავლენა მოახდინა ყაზანის უნივერსიტეტის სტუ-

---

[1] გერცენის ფსევდონიმია. — კ. ბ.

[2] Центральный Государственный Исторический Архив в Ленинграде, фонд 733, опись 88, дело 213, год 1859.

[3] «Современный мир», 1907, № 7/8, стр. 68.

[4] БСЭ, т. 4, стр. 382.

დენტთა შორის. სტუდენტებს გვერდში ამოუდგნენ სასულიერო აკადემიის მსმენელები და ინტელიგენციის მოწინავე ნაწილი.

ყაზანის ქუჩებში, მთავრობის მოქმედების პროტესტის ნიშნად, უნივერსიტეტის სტუდენტებმა და სასულიერო სემინარიის მსმენელებმა დიდი დემონსტრაცია მოაწყვეს. აგრეთვე დახოცილთა პატივსაცემად გადახდილ იქნა პანაშვიდი.

შეკრებილთა წინაშე მთავრობის საწინააღმდეგო სიტყვა წარმოსთქვა ყაზანის უნივერსიტეტის ახალგაზრდა პროფესორმა ა. პ. შ ა პ ო ვ მ ა.

შაპოვი სასწრაფოდ გაიწვიეს პეტერბურგს, რის შემდეგ აღარ დაბრუნებულა თავის კათედრაზე. იგი დააპატიმრეს, საიდუმლოდ გაასამართლეს და ასევე საიდუმლოდ გაამგზავრეს ციმბირისაკენ. მაგრამ სტუდენტებმა მაინც მოახერხეს შაპოვის გაცილება და ფოტოგრაფირება.

კატორღაში მიმავალი შაპოვი ერთ ლექსში ასე ემშვიდობება თავის ქალაქ ყაზანს:

Город сплетен, город пыли,
Город разных лихорадок,
Город, где меня судили,
Как змея, ты стал мне гадок!..
Город, ты меня душил
То в мученьях, то в проклятьях
Дни в тебе я проводил
За страданьем мужика.
Восемь лет в своих объятьях,
Город, ты меня мучил,
То в мученьях, то в проклятьях
Дни в тебе я проводил.
Много слез в тебе я пролил
За страданье мужичка.
Ты широких дум не понял
Сына бедного дьячка.
Жалкий город! Ты потехи
Ждал с кафедры от меня,
Думал ты, что я для смеха
Выступаю перед тобою,
Нет, не в том мое призванье,
Чтоб потехою служить!
Не хочу святое званье
Я учителя срамить!
Я открыто, грямо, ясно
Все сказал тебе, что мог,
А теперь с тебя я гласно
Отряхаю прах от ног...
Спи же город сном глубоким[1].

ყაზანის უნივერსიტეტის სტუდენტები ქუჩებში დემონსტრაციებით არ კმაყოფილდებოდნენ. ისინი დერეფნებსა და აუდიტორიებშიც გამოდიოდნენ კონსერვატორი პროფესორებისა და ადმინისტრაციის წინააღმდეგ. ხშირად სტენენთა და „გაეთრიეს“ შეძახილებით გამოჰყავდათ აუდიტორიიდან მათთვის არასასურველი ლექტორები.

ამ მხრივ საინტერესო დოკუმენტს წარმოადგენს ყაზანიდან პროფესორ პოგოდინის სახელზე გაგზავნილი ბარათი, სადაც აღნიშნულია:

„ჩვენთან სტუდენტები შეუდგენ გადამწყვეტ ჯვაროსნულ ლაშქრობას... სიტყვიერების ფაკულტეტიდან გაწურეს ორი შ ჩ ე რ ბ ა და

[1] Б. Б. Глинский, «Исторический вестник», т. CXII, 1908 г., стр. 224—225. იხ. აგრეთვე Н. Барсуков, Жизнь и труды М. П. Погодина.

ს ტ რ უ ვ ე... იმის შემდეგ, რაც სტრუვემ არ მოუსმინა მათ თხოვნას, არ წაეკითხა ლექცია და ძალად ავიდა კათედრაზე... უსტვინეს მას და ძახილით „გაეთრიე", „გაეთრიე" გამოიყვანეს ლექციიდან..." [1]

აქ მოტანილი დოკუმენტები ნათლად ამტკიცებენ იმას, რომ ამ დროისათვის, ესე იგი მე-19 საუკუნის 60-იან წლებში, რუსეთის უნივერსიტეტების მოსწავლე ახალგაზრდობის საგრძნობი ნაწილი მთავრობის საწინააღმდეგოდ იყო დარაზმული. ამდენად უნივერსიტეტის კედლებში დიდი პოლიტიკური დაძაბულობა იგრძნობოდა, რაც თავის მხრივ აღშფოთებასა და განრისხებას იწვევდა მმართველ წრეებში.

---

[1] Н. Барсуков, Жизнь и труды Н. П. Погодина, стр. 223.

პეტერბურგის უნივერსიტეტი

პეტერბურგის უნივერსიტეტი, რუსეთის სხვა უმაღლეს საასწავლებლებთან შედარებით, ახალგაზრდა დაწესებულებაა. მასზე ადრე არსებობდა მოსკოვის, დერპტის, ვილნოს, ყაზანის და ხარკოვის უნივერსიტეტები.

1819 წელს, ქალაქ პეტერბურგის დაარსებიდან 125 წლის შემდეგ, საფუძველი ჩაეყარა პეტერბურგის საიმპერატორო უნივერსიტეტს. იგი აღმოცენდა მანამდე არსებული პედაგოგიური ინსტიტუტის ბაზაზე.

პირველ ხანებში უნივერსიტეტში არსებობდა სამი ფაკულტეტი და ერთი განყოფილება:

ფილოსოფიურ-იურიდიული,
ფიზიკა-მათემატიკური,
ისტორიულ-ფილოლოგიური და
აღმოსავლურ ენათა განყოფილება.

პირველი გამოშვება მოხდა 1823 წელს. უნივერსიტეტი დაამთავრა 23 მსმენელმა. თავიდან უნივერსიტეტის შტატი და მსმენელთა რაოდენობა ცოტა იყო, მაგრამ მალე უნივერსიტეტი გაიზარდა რიცხობრივადაც და თვისებრივადაც, მოკლე დროში იგი რუსეთის უძველეს უნივერსიტეტებს შორის საპატიო ადგილს იკავებს. ამას ხელი შეუწყო პეტერბურგის პოლიტიკურმა ცხოვრებამ. მე-19 საუკუნეში პეტერბურგი არა მარტო ადმინისტრაციულ, არამედ მოწინავე აზროვნების ცენტრსაც წარმოადგენდა. დაწყებული დეკაბრისტებიდან, მთელი მე-19 საუკუნის განმავლობაში, პეტერბურგში არ ჩამქრალა რევოლუციის ხანძარი. ხოლო სამოციან წლებში პეტერბურგი რევოლუციური მოძრაობის შტაბს წარმოადგენდა, რომელსაც სათავეში დიდი დემოკრატი ჩერნიშევსკი ედგა.

საერთოდ ცნობილია, რომ ამ დროიდან გონებრივმა ცენტრმა მოსკოვიდან პეტერბურგში გადაინაცვლა.

პეტერბურგში 50 — 60-იან წლებში თავი მოიყარა რუსეთის მოწინავე ინტელიგენციამ. «Петербург стал в эту пору местом сосредоточения значительных слоев демократической интеллигенции, а

Петербургский университет — центром притяжения лучшей части ее» [1].

რომ პეტერბურგი განსაკუთრებით იზიდავდა რუსეთის მოწინავე ახალგაზრდობას, ეს, აგრეთვე, ნათლად ჩანს ნ. ვ. შელგუნოვის სიტყვებიდანაც. «Я не могу отдать себе отчет, что тянуло нас в Петербург, но что-то тянуло и ужасно тянуло: он казался нам единственной светлой точкой России, где можно жить» [2].

„ეს გარემოება ხელს უწყობდა პეტერბურგში, კერძოდ უნივერსიტეტში მოსწავლე ქართველ ახალგაზრდობას ხარბად დაწაფებოდა თავისი დროის მოწინავე იდეებს და განეცადა მათი ცხოველმყოფელი გავლენა“ [3].

სამოციან წლებში პეტერბურგი და მისი საიმპერატორო უნივერსიტეტი მთელი რუსეთის ყურადღების ცენტრში მოექცა. მართალია, ამ დროს რუსეთის ყველა უმაღლეს სასწავლებელში იგრძნობოდა პოლიტიკური დაძაბულობა, მაგრამ ჭექა-ქუხილის ღრუბლები ყველაზე მეტად მაინც პეტერბურგის უნივერსიტეტის კოშკურებს დასტრიალებდა თავს.

აქაური სტუდენტები უშუალოდ იყვნენ დაკავშირებულნი დიდ რევოლუციონერ მოღვაწეებთან და ზოგჯერ პეტეობურგის ქუჩებში დანთებული რევოლუციის ცეცხლი უნივერსიტეტის კედლებს შიგაც გიზგიზებდა.

ამ დროს პეტერბურგის უნივერსიტეტში თავმოყრილნი იყვნენ სხვადასხვა მხარეებისა და გუბერნიების მრავალი ეროვნების და სოციალური წრის წარმომადგენელი ახალგაზრდები. მართალია, ეს სტუდენტები მაღალი არისტოკრატიული ოჯახებიდან მსხვილი ვაჭრებისა და მოხელეების ფენიდან იყვნენ გამოსულნი [4], მაგრამ ჭეშმარიტების ნაპერწკალი მათ გულშიაც იკაფავდა გზას და ხალხის თავისუფლებისათვის აღძრულ ბრძოლაში აქტიურად აბამდა სტუდენტებს.

---

[1] Н. Г. Сладкевич. Петербургский университет и общественное движение в России в начале 60-х годов XIX века. Л. Г. У. 1819 — 1944 гг. Труды юбилейной научной сессии, секция ист. наук. 1948 г., стр. 111.

[2] Н. В. Шелгунов. Воспоминания, стр. 63.

[3] პროკლე კეკელიძე, აკაკი წერეთელი. 1953. გვ. 46.

[4] 1861 წელს პეტერბურგის უნივერსიტეტში. არასრული ცნობებით, ითვლებოდა 1648 სტუდენტი. მათი შემადგენლობა ასეთი იყო: სასულიერო წოდებიდან 94, თავადები და ჩინოვნიკები 1280, საპატიო მოქალაქე 24, ვაჭართა წრიდან 83, მეშჩანი და სხვა თავისუფალი მდგომარეობის მოქალაქე 123, საზღვარგარეთიდან 32, ჯარისკაცი 2 (კაზაკი), გლეხური წარმოშობის 10. უმა გლეხი არც ერთი (Государственный Исторический Архив Ленинградской Области. фонд 14. дело 582. связка 456. опись 1. год 1861. стр. 175).

უნივერსიტეტები ვალდებულნი იყვნენ ეხელმძღვანელათ 1835 წლის წესდებით, მაგრამ სინამდვილეში ეს წესდება უკვე დავიწყებული იყო. ოლქის მზრუნველები და გენერალ-გუბერნატორები თვითნებურად მართავდნენ უმაღლეს სასწავლებლებს.

მაგალითად, მუსინ-პუშკინის მზრუნველის თანამდებობაზე ყოფნის დროს, 1845 — 1855 წლებში, 1835 წლის წესდების ხსენებაც აღარ იყო.

«...власть попечителя решала и определяла все, а от устава едва сохранилось несколько параграфов в целости»[1].

ფაქტიურად 1861 წლიდან დაიწყო მუშაობა პეტერბურგის საიმპერატორო უნივერსიტეტის წესდების შესადგენად. მაგრამ მთავრობა მიზნად ისახავდა, რომ უნივერსიტეტის წესდება უმკაცრესი ყოფილიყო და ამით აელაგმათ „თავგასული“ სტუდენტობა.

იმპერატორი ალექსანდრე მეორე კიდევ უფრო აღშფოთებული იყო მაშინდელი სტუდენტების მოქმედებით, იგი კვლავ ღრენდა და იკბინებოდა მტკიცედ მოითხოვდა ზოგი უნივერსიტეტის დახურვასა და ახალგაზრდების მოქმედების სრულ შეზღუდვას.

პროფესორ ა. ვ. ნიკიტენკოს თქმით, განრისხებულმა იმპერატორმა ვამოიძახა განათლების მინისტრი ე. პ. კოვალევსკი და ოფიციალურად განუცხადა: «...такие беспорядки, какие ныне волнуют университеты, не могут быть долее терпимы, и что он намерен приступить к решительной мере — закрыть некоторые университеты».

მაგრამ კოვალევსკის იმპერატორი დაურწმუნებია ასეთი ნაბიჯის საშიშროებაში. დაბოლოს, მას უთქვამს მინისტრისათვის:

«...так придумайте же сами, что делать... но предупреждаю вас, что долее терпеть такие беспорядки нельзя, и я решился на строгие меры»[2].

ასეთ დაძაბულ პოლიტიკურ ვითარებაში მოუხდა მუშაობა პეტერბურგის უნივერსიტეტის ახალი წესდების შემდგენელ კომისიას. კომისიამ მაინც შედარებით ლიბერალური პროექტი წარმოადგინა, რომელიც გადაეცა განათლების მინისტრს დასამტკიცებლად[3]. მაგრამ ამ დროს ძველი ხელმძღვანელობა გადაყენებულ იქნა. იმპერატორმა სათანადო ღონისძიებების გაუტარებლობის გამო მოხსნა განათლების მინისტრი კოვალევსკი და მის მაგიერ დანიშნა შავი ზღვის ყოფილი ადმირალი პუტიატინი, ასევე განთავისუფლებული იქნა პეტერბურგის

---

[1] Сочинения В. Д. Спасовича, т. IV, стр. 23.

[2] Н. Барсуков, Жизнь и труды М. П. Погодина, стр. 228.

[3] Проекты правил для устройства студентов С.-Петербургского университета. ЦГИАЛ, фонд 733, дело 231, опись 27, год 1861, стр. 19 — 23.

სასწავლო ოლქის მზრუნველი და მის ნაცვლად დაინიშნა კავკასიის ომების მონაწილე გენერალი ფილიპსონი.

ახალმა ხელმძღვანელებმა უარყვეს კომისიის წარმოდგენილი პროექტი და თავის მხრივ შეადგინეს მკაცრი წესდება, რომელიც 1861 წლის 31 მაისს დაამტკიცა მთავრობამ.

ახალი წესდება თავისი შინაარსით ძალზე მკაცრი აღმოჩნდა. ამის მიხედვით გაუქმებული იქნა სტუდენტთა წრეები, ურთიერთდამხმარე სალაროები, სტუდენტთა სათვისტომოები, ტანისამოსის ფორმა, სასაუზმე და თამბაქოს მოსაწევი ოთახები. აგრეთვე გაუქმებული იქნა სტუდენტთა პრივილეგიები პოლიციის მოხელეების წინაშე, ამიერიდან ისინი ჩვეულებრივი მოქალაქეების მსგავსად ემორჩილებოდნენ პოლიციას, აიკრძალა კრებები და სტუდენტთა თავმოყრა რაიმე მსჯელობის მიზნით. აკრძალეს წიგნების გამოცემა, კრებულების შედგენა, შემოღებული იქნა კურსიდან კურსზე გადასაყვანი გამოცდები, ჩაუბარებლობის შემთხვევაში სტუდენტი ირიცხებოდა უნივერსიტეტიდან, საპატიოდ მხოლოდ ავადმყოფობა ითვლებოდა. დაწესდა ყველა სტუდენტისათვის წლიური სავალდებულო გადასახადი 50 მანეთის რაოდენობით. სტუდენტი ვალდებული იყო საცხოვრებელი ადგილის შესახებ ცნობა წარედგინა უნივერსიტეტის მდივანთან, დანაშაულისთვის დაპატიმრებული სტუდენტების საქმე საერთო წესით უნდა განეხილა სასამართლოს. აგრეთვე შემოღებული იქნა ახალი ტიპის მატრიკული, რომელშიაც შეტანილი იყო ახალი წესდება. ახალი მატრიკულის მიხედვით სტუდენტს არ შეეძლო რაიმე განმასხვავებელი ნიშნის ტარება. სტუდენტები ვალდებულნი იყვნენ უსიტყვოდ დამორჩილებოდნენ რექტორის მორიგეებს, რომლებიც ამავე დროს ჯაშუშების როლსაც ასრულებდნენ. აგრეთვე უნივერსიტეტში ჩამოყალიბდა სტუდენტთა სასამართლო, რომელსაც შეეძლო მოსწავლის უმკაცრესი დასჯა [1].

ერთი სიტყვით, უნივერსიტეტში სულ სხვაგვარი რეჟიმი დამყარდა, სამხედრო კორპუსების წესრიგი გამოცხადდა, რის საშუალებითაც ცდილობდნენ „უწესრიგო“ სტუდენტების დამორჩილებასა და „გამოსწორებას“. ამ მიმართულებით დიდ როლს ასრულებდა ახალი ტიპის მატრიკული. მატრიკულში ახალი წესდება იყო შეტანილი. მას არსებითად დაკარგული ჰქონდა თავისი ძირითადი დანიშნულება, მატრიკული სინამდვილეში მესამე განყოფილების მოხელეთათვის უფრო საჭირო და სასარგებლო დოკუმენტი იყო, ვიდრე სტუდენტთა აკადემიური აღრიცხვის საბუთი.

---

1 Устав Императорского С.-Петербургского университета. ЦГИАЛ, фонд 733, опись 88, дело 261, год 1861, стр. 43 — 44.

ამის საილუსტრაციოდ მოგვაქვს დამახასიათებელი ადგილები ნიკო ნიკოლაძის „ახალი ტიპის მატრიკულიდან“.

მატრიკულის პირველ ფურცელს აწერია:

„...წესები, რომელსაც უნდა დაემორჩილოს სტუდენტი უნივერსიტეტში ყოფნის დროს...

2. აეკრძალოს სტუდენტებს კაკარდის ტარება და არ იქნას დაშვებული ტარება ცალკეული ეროვნებისა და ან რაიმე საზოგადოების ნიშნებისა...

8. თუ პრორექტორის მიერ დანიშნული მორიგე დააკავებს სტუდენტს, ეს უკანასკნელი ვალდებულია დაემორჩილოს მას, წინააღმდეგ შემთხვევაში იგი გადაეცემა უნივერსიტეტის სასამართლოს...

15. საცხოვრებელი ადგილის გამოცვლის შემთხვევაში სტუდენტი ვალდებულია წარუდგინოს სტუდენტთა საქმეთა მდივანს ცნობა, რომლის საფუძველზე მდივანი გააკეთებს აღნიშვნას როგორც მატრიკულში, ისე მის ასლში...

27. სტუდენტებს უნივერსიტეტის კედლებში ეკრძალებათ შეკრება (сходка).

28. სტუდენტებს ეკრძალებათ უნივერსიტეტის კედლებზე გააკრან რაიმე განცხადება, როგორი შინაარსისაც არ უნდა იყოს იგი. განცხადების გაკვრის უფლება აქვს, როგორც გამონაკლისი, მხოლოდ პრორექტორს, რომელიც ხელს აწერს ყველა განცხადებას“ [1].

პეტერბურგის უნივერსიტეტის სამეცნიერო საბჭომ არსებითი წინააღმდეგობა გაუწია განათლების სამინისტროს ახალი წესდების მიღების საკითხში. მაშინ მინისტრი იძულებული გახდა სპეციალური განკარგულება დაეწერა პეტერბურგის უნივერსიტეტის პროფესორებისათვის, რათა ისინი დამორჩილებოდნენ მთავრობის მოთხოვნილებას და პრაქტიკულად განეხორციელებინათ წესდებაში წარმოდგენილი დებულებები.

«О распоряжениях Министерства Народного Просвещения относительно приведения в исполнение новых правил для университетов и действиях по сему предмету профессоров С.-Петербургского Университета»[2].

განათლების სამინისტროს მიმართვაში განმეორებულია ახალ წესდებაში წარმოდგენილი დებულებები და აღნიშნულია სტუდენტთა მოძ-

---

1 ГИАЛО, фонд 14, опись 5, ед. хр. 2107, год 1861, стр. 10—15.

2 ЦГИАЛ, фонд 733, опись 27. ед. хр. 281, год 1861. стр. 1—18.

რაობის დიდი პოლიტიკური მნიშვნელობის შესახებ, ამასთან დაკავშირებით მითითებულია პროფესორების როლისა და მოვალეობის კონკრეტულ საკითხებზე. მაგალითად, ბრძანების პირველ პუნქტში ნათქვამია, რომ „უნივერსიტეტის მმართველობას ევალება აკრძალოს სტუდენტთა სალარო, კონცერტებისა და წარმოდგენების გამართვა, წიგნებისა და ჟურნალების გამოცემა...“ [1]

მეორე პუნქტი ავალებს უნივერსიტეტის რექტორატს „... გააძლიეროს სიმკაცრე გამოცდებზე და ისეთები, რომლებიც გამოიჩენენ სათანადო მოუმზადებლობას, გარიცხონ უნივერსიტეტიდან...“

ამავე დროს პეტერბურგის უნივერსიტეტის სტუდენტთა მღელვარება ამ დოკუმენტში შეფასებულია, როგორც რევოლუციური და დემოკრატიული მოძრაობის საწყისი.

«Причины происшедших в С.-Петербургском университете беспорядков совершенно иные... чем тому времени, когда на студенческих сходках стали находить себе место революционные и демократические начала, и соразмерно с этим в студентах начало развиваться направление слишком противное всякому законному порядку вещей...»[2]

დოკუმენტის სხვა ადგილზე დაგმობილია პოზიცია ს.-პეტერბურგის უნივერსიტეტის პროფესორებისა, რომლებიც. ნაცვლად მთავრობის ინტერესების დაცვისა, მეამბოხე სტუდენტებს მფარველობდნენ.

როგორც აქ მოყვანილი მასალიდან ჩანს, 1861 წლიდან ერთიანი ლაშქრობა დაიწყო სტუდენტების წინააღმდეგ. მალე, 1861 წლის ივნისში პეტერბურგის ოლქის მზრუნველი იმპერატორის სახელით. ახალ განკარგულებას უგზავნის პეტერბურგის უნივერსიტეტის საბჭოს სტუდენტების მიმართ მკაცრი ზომების მიღების შესახებ.

ეს განკარგულება შედგება 12 მუხლისაგან, თითოეული მუხლი მიძღვნილი აქვს წესდების სპეციალურ დებულებებს. მაგალითად, მე-2 მუხლში ლაპარაკია სტუდენტთა კრებებისა და დემონსტრაციების აკრძალვაზე, მე-6 მუხლი შეეხება ტანისამოსის ფორმის გაუქმებას და ეროვნული თუ საზოგადოების განმასხვავებელი ნიშნების ტარების აკრძალვის საკითხს.

ასევე მკაცრ ზომებს ატარებს სტუდენტების მიმართ მოსკოვის ოლქის მზრუნველიც, იმავე 1861 წლის 8 ივნისს, მოსკოვის უნივერსიტეტის საქმე სპეციალურად განუხილავს მინისტრთა საბჭოს და მკაცრი

---

1 ЦГИАЛ, фонд 733, опись 27, ед. хр. 231, год 1861, стр. 4.

2 ибидем, гв. 15.

დადგენილება გამოუტანია „თავხედი“ სტუდენტების წინააღმდეგ. დადგენილება სპეციალური მიმართვით ეგზავნება მოსკოვის უნივერსიტეტის საბჭოს.

«Совету Императорского Московского Университета.

Государь Император, признав необходимым усилить меры наблюдения за университетскими студентами по случаю беспрерывно возникающих беспорядков, удостоил внимательного обсуждения это дело в совете Министров и, выслушав разносторонние мнения по сему предмету, — высочайше повелеть соизволил»[1].

და შემდეგ წარმოდგენილია პრაქტიკული ღონისძიებანი, რომლის განხორციელებას მთავრობა ავალებს მოსკოვის უნივერსიტეტის მმართველობას. ასევე მკაცრი შინაარსისაა მოსკოვის უნივერსიტეტის წესდება, რომელიც ორჯერ იქნა შედგენილი, პირველად 1860 წლის აგვისტოს თვეში[2] და მეორედ 1862 წლის თებერვალში[3].

მკაცრი მეთვალყურეობის ქვეშ იმყოფებოდნენ სტუდენტები არა მარტო უნივერსიტეტში, არამედ საცხოვრებელ ბინაშიც. პეტერბურგის მოქალაქეს არ ჰქონდა უფლება, პოლიციის ორგანოების ნებართვის გარეშე, თავის ბინაში მოეთავსებინა სტუდენტი. არც უნივერსიტეტის ადმინისტრაცია იყო უფლებამოსილი სტუდენტთა სიაში ჰყოლოდა ისეთი მოქალაქე, რომელსაც ყოველთვიურად, საცხოვრებელი ადგილის მიხედვით, პოლიციის მიერ შემოწმებული დოკუმენტი არ ექნებოდა წარმოდგენილი სამდივნოში.

სანიმუშოდ მოგვაქვს პეტერბურგის უნივერსიტეტის სტუდენტის კირილე ლორთქიფანიძის სახელზე გაცემული პეტერბურგის პოლიციის სპეციალური სტანდარტული ბლანკი, რომელზედაც აღნიშნულია ყოველთვიური ხელმოწერა.

„წარმომდგენი ამისა, კავკასიის კომიტეტის სტიპენდიატი სტუდენტი კირილე ლორთქიფანიძე, შეტანილია პეტერბურგის საიმპერატორო უნივერსიტეტის უწყებაში, რის გამო ეძლევა მას ეს მოწმობა პეტერბურგში თავისუფალი ცხოვრებისათვის 1862 წლის იანვრამდე, რომელიც ყოველი თვის ბოლოს უნდა წარმოადგინოს სათანადოდ შემოწმებული.

ს.-პეტერბურგი, 5 სექტემბერი 1861 წელი.

ს.-პეტერბურგის საიმპერატორო უნივერსიტეტის ინსპექტორი, სტა-

---

1 ГИАМО, фонд 418, опись 30, дело 640, год 1861, стр. 8 — 14.

2 ГИАМО, фонд 418, опись 29, дело 609, год 1860, стр. 5 — 10.

3 ГИАМО, фонд 418, опись 31, дело 73, год 1862, стр. 1.

ტსკი სოვეტნიკი და კავალერი (ხელმოწერილია). ყ ო ვ ე ლ თ ვ ი უ-
რ ი ხ ე ლ მ ო წ ე რ ა: იანვარი, თებერვალი, მარტი, აპრილი, მაისი, ივნისი, ივლისი, აგვისტო.

შ ე ნ ი შ ვ ნ ა: საცხოვრებელი ადგილის გამოცვლის შემთხვევაში სტუ-
დენტმა ეს მოწმობა უნდა წარუდგინოს ინსპექტორს. როდესაც სტუდენტი
გადადის ახალ ბინაზე, სახლის პატრონს ეკრძალება მისი მიღება, თუ მოწმობაზე არ
ექნება სტუდენტთა ინსპექტორის ან პოლიციის ყოველთვიური ხელმოწერა.

სტუდენტი კირილე ღორთქიფანიძე, მცხოვრები ვიბორგის მხარეში, მესამე კვარ-
ტალი, ბერასიონის სახლი. ინსპექტორი (ხელმოწერილია)" [1].

ახალ წესდებაში სხვა შეზღუდულობაზეც არის ლაპარაკი, ამიერიდან სტუდენტები პოლიციის მკაცრი მეთვალყურეობის ქვეშ უნდა ყოფილიყვნენ. ამ მიზნის მისაღწევად ადმინისტრაციამ გააძლიერა ჯაშუშური მუშაობა. სტუდენტთა უმნიშვნელო მოქმედების შესახებ ცნობები მიჰქონდათ პრორექტორთან, რექტორთან, სასწავლო ოლქის მზრუნველთან და თვით განათლების მინისტრთანაც კი.

მაგალითად, პეტერბურგის ოლქის მზრუნველი, გენერალი ფილიპსონი პეტერბურგის საიმპერატორო უნივერსიტეტის რექტორს ასეთი შინაარსის მიმართვას უგზავნის:

„ს.-პეტერბურგის უნივერსიტეტის ბატონ რექტორს!

გუშინ მეოთხე ლექციის დროს, მერვე აუდიტორიის წინ, ავანზალაში, სტუდენტებმა მოაწყვეს კრება, რომელსაც ესწრებოდა 50 კაცი. სტუდენტმა პავლე სერგეევმა თავისი ამხანაგების წინაშე წაიკითხა საესეთ ნაწერი ფურცელი ქაღალდისა. როცა მათთან ადგილზე მივიდა მორიგე და მოუწოდა სტუდენტებს დაიშალენითო... სტუდენტებმა გაუწიეს წინააღმდეგობა და ბევრი მათგანი დამაშინებელი ტონით ყვიროდა: „გაიარეთ", „იქით გაიარეთო"... ასევე წინააღმდეგობა გაუწიეს მათთან მისულ პრორექტორის მოვალეობის შემსრულებელს. მისი და მორიგეს განცხადებაზე იმის შესახებ, რომ არ მისცემენ არავის ნებას უნივერსიტეტიდან გასვლისას, სანამ ამ უწესრიგობაში მონაწილეთა გვარებს არ ჩაიწერდნენ, სტუდენტებმა თვითონ ჩაწერეს თავიანთი გვარები... ვცნობთ რა მათ ასეთ მოქცევას სტუდენტებისადმი დამტკიცებული წესების წინააღმდეგ მოქმედებად... მე უაღრესად გთხოვთ... ოცდაორი სტუდენტი გადასცეთ უნივერსიტეტის სასამართლოს... რაც შეეხება ტ. ო. ოსმალოვსკის, რადგანაც ის არ ეკუთვნის უნივერსიტეტს, სასამართლომ უნდა შეაგროვოს მასზე ცნობები და გადასცეს სამხედრო გე-

[1] ქუთაისის ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმი, კ. ღორთქიფანიძის არქივი, ხელნაწ. № 514.

ნერალ-გუბერნატორს, რათა მან მოახდინოს შემდგომი განკარგულება...

ს.-პეტერბურგის სასწავლო ოლქის მზრუნველი. სენატორი, გენერალ-ლეიტენანტი გ. ფილიპსონი“ [1].

პრორექტორები და ინსპექტორები ხომ ძლიერ დახელოვნებულნი იყვნენ ასეთი ჯაშუშური ცნობების წარდგენაში. უნივერსიტეტის პრორექტორის მოვალეობის აღმასრულებელი ოზერეცკი რექტორ პლეტნევს ასეთ ცნობას აწვდის სტუდენტთა „უწესრიგობის“ შესახებ:

„დასმენა პრორექტორის მოვალეობის აღმასრულებლის ოზერეცკისა ს.-პეტერბურგის უნივერსიტეტის რექტორს პლეტნევს... გიდგენთ დედაწში დასმენას „ნადვორნი სოვეტნიკის“ შმიდტისა... ს.-პეტერბურგის უნივერსიტეტში მომხდარი შემთხვევის გამო... აუდიტორიების მოსამსახურემ ალექსი პოგრებნოიმ მაუწყა მე, რომ სტუდენტები შეიკრიბენ მერვე აუდიტორიის წინა დერეფანში ბატონი შმიდტის ახლოს და დაუწყეს მას ხმამაღალი ლაპარაკი... ორ პიროვნებას. როგორც უწესრიგობაში შემჩნეულ დამნაშავეებს, როგორც კი მიმითითა შმიდტმა, ეუბრძანე წამოსულიყვნენ ჩემთან უნივერსიტეტის მმართველობაში. მათ გადაწყვეტით უარი თქვეს და სხვა სტუდენტებთან ერთად გაემართნენ უნივერსიტეტის გასასვლელისაკენ...“ [2]

ასეთი დოკუმენტების მოტანა მრავლად შეიძლებოდა. მაგრამ ესეც საკმარისია მაშინდელი სტუდენტების მდგომარეობის გასაცნობად. ახალი წესდების ყველაზე მტკივნეული ადგილი მე-9 პარაგრაფი იყო, რომლის მიხედვით „თითოეული გუბერნიიდან მხოლოდ ორი სტუდენტი თავისუფლდებოდა სწავლის ქირისაგან“ [3].

ეს ბევრს ართმევდა სწავლის უფლებას. მაგალითად, თუ 1859 წელს პეტერბურგის უნივერსიტეტის 1019 სტუდენტიდან სწავლის ქირისაგან განთავისუფლებული იყო 659, ახალი კანონით მხოლოდ ერთეულები მოიპოვებდნენ ამის უფლებას. ყოველივე ეს განსაკუთრებით ემუქრებოდა დემოკრატიული წრიდან გამოსულ ახალგაზრდებს და მთავრობასაც ხომ მათი უნივერსიტეტიდან ჩამოცილება უნდოდა [4].

ახალმა წესდებამ აგრეთვე დიდი უფლებები მიანიჭა სტუდენტთა სასამართლოებს, რაც ასევე სტუდენტთა დევნის და შევიწროებისათვის იყო გამოყენებული.

---

1 ГИАЛО, фонд 14, дело 10/22, связка 3897, год 1861, стр. 14—18.

2 იქვე, გვ. 11.

1 С. Ашевский, Русское студенчество... «Совр. мир», 7/8, стр. 69.

4 М. Лемке, Очерки освободительного движения «Шестидесятых годов», С.-Петербург, 1908 г., стр. 472.

თუ წინათ სტუდენტთა სასამართლოები მხოლოდ მოსწავლეთა შინაურ საქმეებს იხილავდნენ და სასამართლოს შემადგენლობას თვით სტუდენტები ირჩევდნენ თავიანთი წრიდან, ახლა იგი ფაქტიურად პოლიციის ხელში გადავიდა და მოწინავე ახალგაზრდობის დასჯის ორგანო გახდა.

პეტერბურგის უნივერსიტეტის სამართლის ისტორიის პროფესორის ვ. დ. სპასოვიჩის გადმოცემით, სტუდენტთა პირველი სასამართლო პეტერბურგის უნივერსიტეტში 1860 წელს შექმნილა სტუდენტთა სალაროს თანამშრომლის ბ. ულჩენის საქმესთან დაკავშირებით. მას სტუდენტების 1000 მანეთი გაუფლანგავს. დამნაშავის გასასამართლებლად სტუდენტთა სასამართლო აურჩევიათ. სასამართლო პროცესი უნივერსიტეტის მე-11 აუდიტორიაში ჩატარებულა. სასამართლოს გაურიცხავს უნივერსიტეტიდან ულჩენი, რაც პეტერბურგის ოლქის მზრუნველს დაუდასტურებია[1]. ხოლო შემდეგ, 1861 წლიდან კი სტუდენტთა სასამართლოებს პოლიცია და მესამე განყოფილება დაეპატრონა და ცარიზმის მოხელეები ამ ორგანოს საკუთარი მიზნებისათვის იყენებდნენ. ამას, სხვათა შორის, ადასტურებს პეტერბურგის ოლქის მზრუნველის ფილიპსონის მიმართვა პეტერბურგის უნივერსიტეტის რექტორისადმი: «Господину Ректору С.-Петербургского университета!

При предложении от 4 минувшего сентября за № 4691 я препроводил к Т. исправлявшему должность Ректора С.-Петербургского университета... проект организации полицейско-инспекторского надзора за студентами.

Между прочим мерами этой организации установлен университетский суд...»[2]

უნივერსიტეტის სასამართლოებში ფორმალურად ირჩევდნენ პროფესორებს. მზრუნველის ბრძანებით პეტერბურგის უნივერსიტეტის სტუდენტთა სასამართლოში წევრებად დამტკიცებულნი იყვნენ პროფესორები: ბლაგოვეშჩენსკი, ანდრეევსკი, სპასოვიჩი და სხვები[3].

რომ სტუდენტთა სასამართლოები მთავრობის დავალებით მოქმედებდნენ და მესამე განყოფილება მათაც რევოლუციონერი ახალგაზრდობის წინააღმდეგ საბრძოლველად იყენებდა, ამას ადასტურებს თვით სასამართლოს სხდომების ოქმები.

---

[1] Сочинения В. Д. Спасовича, т. 4, С.-Петербург, 1891 г., стр. 25. ამავე საკითხზე ცოტად უფრო განსხვავებულ ცნობას გვაწვდის ს. ამევსკი. იხ. მისი სტატია Русское студенчество... «Совр. мир», 1907, 7/8, стр. 24.

[2] ГИАЛО, фонд 14, дело 570, год 1861, связ. 456, стр. 1.

[3] იხილეთ დასახელებული ოქმი, ГИАЛО, фонд 14, дело 18, связ. 3900, опись 25, год 1861, стр. 21.

მაგალითად, 1861 წლის 5 დეკემბრის სხდომაზე სასამართლოს განუხილავს პრორექტორის მოვალეობის აღმასრულებლის ოზერეცკის და „ნადვორნი სოვეტნიკის“ შმიდტის მიერ დაბეზღებული, ზემოთ დასახელებული, 28 ნოემბერს მერვე აუდიტორიის წინ ავანზალაში შეკრებილი სტუდენტების საქმე [1].

ყოველივე ეს გარკვევით ადასტურებს იმას, თუ რა მძიმე პირობები შეიქნა სტუდენტებისათვის. მთავრობა მხოლოდ იმას ცდილობდა, რაც შეიძლებოდა მეტად შეეზღუდა სტუდენტები და რეპრესიებით ჩაექრო მათი მღელვარება, სტუდენტები კი, თავის მხრივ, მედგრად იბრძოდნენ მთავრობის წინააღმდეგ. დათმობას არც ერთი მხარე არ აპირებდა. ამის გამო დიდი დაძაბულობა იგრძნობოდა უნივერსიტეტების კედლებში, ცა ჰექა-ქუხილისათვის ემზადებოდა და ბარომეტრი ქარიშხლის მოახლოებას აჩვენებდა.

---

[1] ГИАЛО, фонд 14, дело 18, связ. 3900, опись 25, год 1861, стр. 21.

პეტერბურგის უნივერსიტეტის სტუდენტთა მღელვარება 1861 წელს

1861 წელს არანორმალურად დაიწყო სასწავლო სემესტრი პეტერბურგის უნივერსიტეტში. პირველი დღეებიდანვე იგრძნობოდა საერთო მდგომარეობის დაძაბულობა. მაშინ როდესაც რუსეთის სხვა უნივერსიტეტებში პირველი სექტემბრიდან დაიწყო ლექციების კითხვა, აქ 18 სექტემბრამდე უნივერსიტეტის კარები არ გაღებულა სტუდენტებისათვის. ამის მიზეზი ის იყო, რომ მთავრობა დიდი ცვლილებების მოხდენას ფიქრობდა პეტერბურგის უნივერსიტეტში და ამისათვის წინასწარი მომზადება იყო საჭირო.

როგორც იმპერატორი ალექსანდრე მეორე შიშობდა და დიდი სიფრთხილით ცდილობდა 19 თებერვლის მანიფესტის გამოცხადებას ხალხში, ასევე პეტერბურგის უნივერსიტეტის ადმინისტრაცია და ოლქის მზრუნველი ცდილობდნენ მოხერხებულად შეეპარებინათ სტუდენტებისათვის ახალი წესდება, რომელიც ახალი სისტემის მატრიკულში იყო ჩამოყალიბებული. იმქამად უნივერსიტეტის მმართველთა მთავარ ამოცანას სტუდენტებზე მატრიკულების გადაცემა წარმოადგენდა, რადგან, თუკი სტუდენტი ახალ მატრიკულს თავისი სურვილით მიიღებდა, ეს იმას ნიშნავდა, რომ შემდეგ იგი უნდა დამორჩილებოდა მას, როგორც სავალდებულო კანონს.

ჯერ კიდევ 1861 წლის 16 ივნისს შეიქნა მთავრობის სპეციალური კომისია, რომელიც სტუდენტთა ახალ წესდებას პრაქტიკულად გაავრცელებდა პეტერბურგის უნივერსიტეტის სტუდენტთა შორის. კომისიამ კარგად იცოდა, თუ რა ძნელი მოვალეობა ჰქონდა დაკისრებული, რომ ისედაც არეული მდგომარეობის დროს ახალი წესდების გამოცხადება სტუდენტთა დიდ წინააღმდეგობას გამოიწვევდა, მაგრამ კომისიას ზურგს უმაგრებდა მესამე განყოფილების გაძლიერებული მეთვალყურეობა და პოლიციის მოხერხებული საქმიანობა. მიუხედავად ამისა, კომისია მაინც ტაქტიკურ მოქმედებას არჩევდა.

სტუდენტთა მეთვალყურეობის მიზნით დაარსდა უნივერსიტეტში ახალი თანამდებობა სტუდენტთა პრორექტორისა, რომელიც უშუალოდ მიაწვდიდა ცნობებს მზრუნველსა და პოლიციის მოხელეებს სტუდენტთა მოქმედების შესახებ.

პეტერბურგის უნივერსიტეტის სტუდენტები 1861 წელს საზაფხულო არდადეგებზე ისე წავიდნენ, რომ მათ დანამდვილებით არაფერი იცოდნენ ახალი წესდებისა და მატრიკულის შესახებ.

მართალია, ხმები ისმოდა წესების ცვლილებების თაობაზე, მაგრამ ამისათვის ყურადღება არავის მიუქცევია, სტუდენტები ჩვეულებრივი განწყობილებით გაემგზავრნენ დასასვენებელ ადგილებზე. მალე მიიწურა არდადეგები. აგვისტოს ბოლო რიცხვებში დაბრუნდა ახალგაზრდობა სწავლის გასაახლებლად, კვლავ გამოცოცხლდა ვასილევის ,,უნძული, მაგრამ უნივერსიტეტის ცხოვრება ახალგაზრდებს სრულიად შეცვლილი დახვდათ.

ამ საკითხზე საინტერესო ცნობას გვაწვდის ამ დროის პეტერბურგის უნივერსიტეტის სტუდენტი სოროკინი.

«Перед каникулами 1861 года до студентов доходили слухи, что их собираются сильно подтянуть. Но мы со свойственной молодости самоуверенностью вообще и в частности с сознанием тогдашними студентами какой-то несокрушимости нашей общественной силы, на все эти слухи мало обратили внимание и попрежнему беззаботно разъехались на каникулы в разные стороны. Возвратившись к концу августа в Петербург, мы увидели, что весь наш студенческий быт парализован до основания и изменен во всех его самых существенных особенностях»[1].

სხვა დოკუმენტებიდან ჩანს, რომ სტუდენტები, მართალია, ელოდნენ ცვლილებებს უნივერსიტეტის სისტემაში, მაგრამ ასეთი სიმკაცრის წარმოდგენა შეუძლებელი იყო.

ახალი წესდება, მატრიკულებში გადატანილი, როგორც უნივერსიტეტის სავალდებულო კანონი, უნდა გატარებულიყო პირველი სექტემბრიდანვე, მაგრამ ამ საკითხზე დავა წარმოებდა განათლების სამინისტროსა და უნივერსიტეტის საბჭოს შორის და ამან დააგვიანა სექტემბრამდე მატრიკულების დაბეჭდვა.

6 სექტემბერს უნივერსიტეტის საბჭოს დღის წესრიგში სტუდენტთა პრორექტორის არჩევის საკითხი იდგა. ეს თანამდებობა ერთ-ერთ პროფესორთაგანს უნდა დაეკავებინა, რომელსაც დავალებული ექნებოდა სტუდენტთა მეთვალყურეობა და დაბეზღება ზემდგომი ორგანოების წინაშე. მაგრამ უნივერსიტეტის საბჭომ ეს საკითხი არც კი ჩათვალა განხილვის ღირსად და არც პროფესორთაგან გამოჩნდა ვინმე, რომელიც ასეთ თანამდებობას იკისრებდა. ახლა კი უფრო თვალსაჩინო გახდა პროფესორების პოზიცია, ეს უკვე ფაქტიურად მთავრობის წინააღმდეგ გალაშქრებასა და მღელვარე სტუდენტთა მხარის დაჭერას ნიშნავდა.

---

[1] «Современный мир», 1907 г., № 7/8, стр. 71.

უნივერსიტეტის საბჭომ თავისი გადაწყვეტილება ოქმში გააფორმა, სადაც კატეგორიულად ჩაწერა:

«Совет подписал единогласно протокол, в котором было выражено, что совет не может представить ни одного кандидата для занятия должности проректора...»[1]

სექტემბრიდან პეტერბურგის უნივერსიტეტში სწავლის დაუწყებლობა კიდევ უფრო ამწვავებდა მდგომარეობას, ეს სტუდენტთა შორის დიდ მითქმა-მოთქმასა და მღელვარებას იწვევდა. ამან ოლქის მზრუნველი იძულებული გახადა ნება დაერთო უნივერსიტეტის მმართველობისათვის ასეთ რთულ მდგომარეობაში სწავლა დაეწყოთ. ხოლო უნივერსიტეტის შენობაში სტუდენტები შევიდოდნენ რექტორის მიერ გაცემული სპეციალური ბილეთებით, რაც კიდევ უფრო აღელვებდა ახალგაზრდობას.

17 სექტემბერს სტუდენტებმა მოაწყვეს კრება და დეპუტატები გაგზავნეს მზრუნველთან თხოვნით, მოსულიყო იგი უნივერსიტეტში და გამოეცხადებინა ახალი წესდების შინაარსი. შეშინებულმა მზრუნველმა ვერ გაბედა უნივერსიტეტში გამოცხადება, თავი გაიმართლა იმით, რომ იგი არ არის ორატორი და საერთოდ არ არის საჭირო მისი გამოსვლა ამ საკითხზე.

18 სექტემბერს დაიწყო ლექციების კითხვა, მაგრამ იმ დღიდანვე თან დაჰყვა ამ სასწავლო წელს სტუდენტთა მღელვარება და აღშფოთება. სტუდენტები ჯგუფ-ჯგუფად იკრიბებოდნენ თავისუფალ აუდიტორიებში და მსჯელობდნენ არსებული მდგომარეობის შესახებ, ზოგჯერ აშკარად გამოდიოდნენ მთავრობის წინააღმდეგ, მაგრამ რექტორი და ინსპექტორი თითქოს ვერც კი ამჩნევდნენ, ისე უსიტყვოდ უვლიდნენ მათ გვერდს[2].

ბოლოს მზრუნველის განკარგულებით დაკეტეს ყველა თავისუფალი აუდიტორია, რათა სტუდენტებს მოსპობოდათ შეკრების საშუალება. მაშინ აღელვებულმა სტუდენტებმა დიდი სააქტო დარბაზის კარები შეამტვრიეს და იქ მოაწყვეს ყრილობა.

22 სექტემბერს უნივერსიტეტის ადმინისტრაციამ გააუქმა უნივერსიტეტში შესასვლელი ბილეთები, მაგრამ უკვე გვიანღა იყო. ახლა მღელვარე სტუდენტების დაწყნარება ძნელ საქმეს წარმოადგენდა. ამავე დროს მზრუნველი მკაცრი ზომების გატარებას აპირებდა. მას სურდა მეამბოხე სტუდენტების გარიცხვა, ლექციების შეწყვეტა და უნივერსიტეტის დახურვა.

---

[1] «Современный мир», 1907 г., № 7/8, стр. 34.

[2] М. Лемке, Очерки освобод. движен. «Шестидесятых годов», стр. 475. იხ. აგრეთვე Н. Барсуков, Жизнь и труды Н. П. Погодина, стр. 238—239.

23 სექტემბერს უნივერსიტეტში ჩატარდა დიდი კრება. ეხლა ლექციებზე მეტად სტუდენტებს ორგანიზაციული საკითხები აინტერესებდათ, აინტერესებდათ ის, თუ რა ცვლილებები მოხდებოდა უნივერსიტეტის ცხოვრებაში.

„იმ შემოდგომაზე, — წერს ნ. ნიკოლაძე თავის მოგონებაში, — ლექციებზე არანაკლებ გვაინტერესებდა სხვა საკითხებიც, განზრახული ცვლილებანი უნივერსიტეტის რეჟიმში, საკითხი „მატრიკულების“ შესახებ და სხვა. ყველა ამის შესახებ ცხარე ლაპარაკი იყო აუდიტორიაში მეზობლად მსხდომ სტუდენტებს შორის. ამ საკითხში აზრთა სხვაობა არ იყო. ყველა ერთსულოვნად გამოთქვამდა თავის განკიცხვასა და პროტესტს მოსალოდნელი ცვლილებების მიმართ“ [1].

სტუდენტები აშკარად გრძნობდნენ, რომ მთავრობის ყოველი ახალი ნაბიჯი, ყოველი ახალი ბრძანება მათ წინააღმდეგ იყო მიმართული, მაგრამ ეს სრულებით არ აშინებდა თავისუფლებისათვის მებრძოლ ახალგაზრდობას, ისინი გრძნობდნენ, რომ მათ ზურგს უმაგრებდა და ძალას აძლევდა ჩერნიშევსკი და რუსეთის რევოლუციონერი ინტელიგენცია.

18 სექტემბერს, უნივერსიტეტის ამბებთან დაკავშირებით, პეტერბურგში მოეწყო ჩერნიშევსკის ხელმძღვანელობით სტუდენტთა რევოლუციური კომიტეტის სხდომა, რომელზედაც გადაწყდა მთავრობის საპასუხოდ სტუდენტთა დემონსტრაციის მოწყობა და პროკლამაციის გამოშვება [2].

24 სექტემბერს განათლების მინისტრმა პუტიატინმა, პირველად თავისი მინისტრობის პერიოდში, მოიწვია სამინისტროში პროფესორების სხდომა. მინისტრი მლიქვნელურად პირდებოდა პროფესორებს პირობების გაუმჯობესებას, ხელფასის მომატებას სტუდენტთა სწავლის ქირის ხარჯზე და სხვა მრავალს იმ პირობით, თუ პროფესორები მას დაეხმარებოდნენ მატრიკულების დარიგებისა და, საერთოდ, ამბოხებული სტუდენტების დაწყნარების საქმეში. მაგრამ მან ამ გზით სასურველ შედეგს ვერ მიაღწია.

ლექციების დაწყებიდან არ გასულა დიდი დრო, რომ უნივერსიტეტის კედლებში უჩვეულო ამბავი მოხდა, პირველი ნაბეჭდი პროკლამაცია გამოჩნდა. ეს ის მომენტი იყო, როდესაც სტუდენტების მოთმინების ფიალა თანდათანობით ივსებოდა და საკმარისი იყო სულ ცოტა მიზეზი, რომ ნაპირს გადასცდენოდა და გადასცდა კიდეეაც. დაიწყო პირველი მასობრივი გამოსვლები მთავრობის წინააღმდეგ, რამაც

---

[1] ნ. ნიკოლაძე, ტ. I, გვ. 96.

[2] В. Г. Баскаков, Мировоззрение Чернышевского. стр. 226.

შემდეგ სისტემატური ხასიათი მიიღო. ამ მოძრაობის დაწყებას ხელი შეუწყო უნივერსიტეტის კედლებში შემოვრილმა პროკლამაციამ.

ამის თაობაზე საინტერესო ცნობას გვაწვდის ნ. ნიკოლაძე: „ლექციები სექტემბრის მეორე კვირას დაიწყო, ათიოდე დღის შემდეგ ტანისამოსის დასაკიდში, იმ ადგილას, სადაც ჩვენი მოხუცი შვეიცარი, ოთხად მოღუნული საველიჩი, სტუდენტების სახელზე მოსული ფულის უწყებებს ჰკიდებდა, — გაჩნდა ჯერეთ რუსეთში არ გაგონილი რამ, დაბეჭდილი პროკლამაცია „К молодому поколению". ეტყობოდა, იგი საზღვარგარეთ იყო დაბეჭდილი, ამას მოწმობდა ის თოვლივით თეთრი ქაღალდი, რომელზედაც პროკლამაცია იყო დაბეჭდილი და რომლის მსგავსიც იმ დროს რუსეთში არ მოიპოვებოდა. ამასვე მოწმობდა მისი შრიფტი, ბევრად უფრო კოხტა და ლამაზი, ვიდრე ის, რითაც მაშინდელი რუსული ჟურნალები იბეჭდებოდა. სათაურის ქვეშ პროკლამაციას ანშვენებდა წვრილი ასოებით დაბეჭდილი ეპიგრაფი კ. ფ. რილეევის მთელი ნაწარმოები" [1].

ჩვენ ხელთ გვქონდა ნ. ნიკოლაძის მიერ აქ დასახელებული პროკლამაცია „К молодому поколению". იგი, მართლაც განსაკუთრებულ თეთრ ქაღალდზეა დაბეჭდილი და შრიფტიც განსაკუთრებულია მაშინდელ რუსულ ბეჭდურ გამოცემებთან შედარებით, მაგრამ პროკლამაციაზე წარწერის მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, საზღვარგარეთ კი არა, იგი პეტერბურგში უნდა იყოს დაბეჭდილი, რადგან მას სათაურ ქვეშ ასეთი წარწერა აქვს: «Печатано без цензуры. С.-Петербург, в сентябре 1861 года»[2].

სხვა მხრივ გაუგებარია, საზღვარგარეთ დაბეჭდილ პროკლამაციას რატომ უნდა ეწეროს პეტერბურგშია დაბეჭდილიო, მაშინ როდესაც შესაძლებელი იყო, პოლიციის თვალის აცვევის მიზნით, პირიქით მომხდარიყო, პეტერბურგში დაბეჭდილი პროკლამაციისათვის მიეწერათ საზღვარგარეთ არის დაბეჭდილიო. ამას უნდა დაემატოს ისიც, რომ პროკლამაციის ავტორები არიან იმ ჟამადაც პეტერბურგში მცხოვრები, ჩერნიშევსკის უახლოესი თანამებრძოლები: მიხაილოვი და შელგუნოვი. მაშასადამე, პროკლამაცია ამ მღელვარების დროსაა პეტერბურგში დაბეჭდილი.

საერთოდ, ეს პროკლამაცია უდიდესი მოვლენა იყო არა მარტო პეტერბურგის უნივერსიტეტის სტუდენტთა ცხოვრებაში, არამედ რუსეთის რევოლუციური მოძრაობის ისტორიაში. იგი სამოციანი წლების რუსეთის რევოლუციური მოძრაობის სამოქმედო პროგრამას წარ-

---

[1] ნ. ნიკოლაძე, ტ. I, გვ. 97.

[2] ЦГИАЛ, фонд 52, дело 6631, год 1861, стр. 207 — 208.

შოადგენდა. მასში ლაპარაკია მანიფესტის მატყუარა ხასიათზე, ხელისუფლების დესპოტიზმზე, მემამულეთა თავგასულობის შესახებ, ხალხთა მონობაზე და ცხოვრების აუტანელ პირობებზე, სამეფო ტახტის გაუქმებაზე და მეფის მემკვიდრეობითი სისტემის მოსპობაზე და მის ნაცვლად დემოკრატიული არჩევითი ხელისუფლების შემოღებაზე. პროკლამაციის ავტორები მოითხოვენ ცენზურის გაუქმებას, ადამიანთა თანასწორუფლებიანობასა და მიწის სახალხო საკუთრებად გამოცხადებას. მათი აზრით ამ დიდი და სახიფათო ამოცანის გადაწყვეტა უნდა იკისროს ახალმა თაობამ, გაბედულმა და მებრძოლმა ახალგაზრდობამ. მოგვაქვს დამახასიათებელი ადგილები დასახელებული პროკლამაციიდან:

„როდესაც მანიფესტი თავისუფლების შესახებ მზად იყო და დარჩა მხოლოდ მისი გამოცხადება, რუსეთის მთავრობას პირველყოვლისა შეეშინდა. ის შეაშინა თავისმა საკუთარმა საქმემ, ვაი, თუ მთელი რუსეთი აჯანყდეს, ვაი, თუ ხალხმა ზამთრის სასახლეზე გაილაშქროსო!

ხოლო თუ მთავრობას ეშინოდა ხალხის, მაშასადამე, მას ჰქონდა შეშინების მიზეზი და, მართლაც, იყო მიზეზი. ჯერ ერთი, ის, რომ ხელმწიფემ ხალხს არ გაუმართლა არსებითად მოლოდინი, მათ მისცა თავისუფლება არა ნამდვილი, არა ის, რომელზედაც ხალხი ოცნებობდა და როგორიც მათთვის საჭირო იყო... ხალხი კი არ უნდა არსებობდეს მთავრობისათვის, არამედ მთავრობა ხალხისათვის... რომანოვები ვერ ამართლებენ ხალხის იმედებს, ძირს ისინი! ჩვენ არ გვინდა ჩვენი შეურაცხმყოფელი ხელისუფლება... ჩვენ გვინდა არა მეფე, არა იმპერატორი, არა ღვთისაგან მირონცხებული, არა ყარყუმის მანტიაში გამოხვეული მემკვიდრეობითი უუნარობა, ჩვენ გვინდა მეთაურად მიწიერი, უბრალო მომაკვდავი ადამიანი, რომელიც იცნობს ცხოვრებას და იმ ხალხს, რომელმაც ის აირჩია. ჩვენ გვინდა არა იმპერატორი მიძინების ტაძარში მირონცხებული, არამედ არჩეული მამასახლისი, რომელიც თავისი შრომისათვის მიიღებს გასამრჯელოს... ჩვენ გვინდა, რომ ხელისუფლება, რომელიც იდგომება ჩვენს სათავეში, იყოს ხელისუფლება გონიერი, ხელისუფლება ისეთი, რომელიც გაიგებს ქვეყნის მოთხოვნილებას და იმოქმედებს ხალხის ინტერესებისათვის...

ჩვენ გვინდა სიტყვის თავისუფლება, ე. ი. ყოველგვარი ცენზურის მოსპობა...

ჩვენ გვინდა, რომ რუსეთის ყველა მოქალაქე სარგებლობდეს ერთნაირი უფლებით...

ჩვენ გვინდა, რომ მიწა ეკუთვნოდეს არა პიროვნებას, არამედ ქვეყანას...“

დაბოლოს, პროკლამაციის ავტორები მიმართავენ ახალგაზრდობას მგზნებარე და ამაღელვებელი სიტყვებით:

„ახალგაზრდებო, არ დაივიწყოთ ის!..“

„... კიდევ ერთხელ მოგმართავთ თქვენ, რომლებისთვისაც ძვირფასია რუსეთის ბედნიერება, მოგმართავთ ერთხელ კიდევ ახალგაზრდა თაობავ!.. ხშირად ელაპარაკეთ ხალხს და ჯარისკაცებს, აუხსენით მათ ყველაფერი, რაც ჩვენ გვსურს და როგორ შეიძლება იოლად ამის მიღწევა. ჩვენ მილიონები ვართ, ისინი ასეულები... აუხსენით ხალხს ხელისუფლების უკანონობა და გარყვნილება, შეაგვებინეთ ხალხს და ჯარისკაცებს ეს უბრალო ჭეშმარიტება, რომ გენერლის გატეხილი ცხვირიდან გამოდის ისეთივე სისხლი, როგორიც გლეხის ცხვირიდან...

მოგმართავთ ერთხელ კიდევ ახალგაზრდა თაობას, ძირს შიში და კანკალი, ძირს ცარიელი სიტყვებით საქმიანობა, ძირს ლიბერალური კრუნჩხვა... დადგა დრო მოქმედებისა...“ [1]

ეს ვრცელი ამონაწერი იმიტომ მოვიტანეთ, რომ დაგვენახა, თუ რა ღრმა და მრავალფეროვანი იყო სამოციანი წლების რევოლუციონერთა საბრძოლო პროგრამა, თუ როგორ მოქმედებდნენ ისინი ეკონომიური და პოლიტიკური ცხოვრების რადიკალური გარდაქმნისათვის. ცხადია, პროკლამაცია შინაარსის მიხედვით საერთო ხასიათისაა და მასში თითქმის არაფერია ნათქვამი უნივერსიტეტის სპეციფიურ საკითხებზე. ჩანს, რომ იგი დაწერილია 25 სექტემბრამდე, ესე იგი სტუდენტთა დემონსტრაციის მოწყობამდე.

პროკლამაციის გამოჩენა სტუდენტ ახალგაზრდობაში ყუმბარის გასროლას უდრიდა. იგი საბრძოლო მოწოდება გახდა ახალგაზრდობისათვის. როგორც პროფესორი კაველინი სამხედრო მინისტრისადმი დაბეზღებაში აღნიშნავს, პროკლამაცია ექვსი საათის განმავლობაში ყოფილა მილურსმული კედელზე და ყველას შეეძლო მისი თავისუფლად წაკითხვა. ეს ფაქტი მოწმობს იმას, რომ მარტო რევოლუციონერი ახალგაზრდები არა ყოფილან დაინტერესებულნი (პროკლამაცია ბევრს წაეკითხა). დღის ბოლოს სტუდენტებმა კედლიდან ჩამოგლიჯეს ეს პროკლამაცია, მაგრამ არა იმისათვის, რომ პოლიციის შიშით გადაემალათ, არამედ უნივერსიტეტის სააქტო დარბაზში ათასეული სტუდენტის წინაშე წაეკითხათ.

„ერთმა სტუდენტთაგანმა... ნეკლიუდოვმა ჩამოიღო კედლიდან, — წერს ნ. ნიკოლაძე, — პროკლამაციის ფურცელი და გამოაცხადა, რომ სააქტო დარბაზში წაიკითხავს მას ყველას გასაგონად. აუდიტორიებიდან გამოსული სტუდენტები გაჰყვნენ მას. ნეკლიუდოვი შედგა მაგიდაზე, რომელზედაც ოქროს ფოჩებიანი წითელი მაუდი იყო გადაფარებული და დიდის პათოსით წაიკითხა პროკლამაცია. გულისფანცქა-

---

[1] ЦГИАЛ, фонд 1405, опись 59, дело 6631, год 1861, стр. 207—208.

ლით ვუსმენდით მის მაღალ ხმას, რომელიც თანდათან აღფრთოვანებაში გადადიოდა. პროკლამაცია თავიდან ბოლომდე ახალი გამოცხადება იყო ჩვენთვის... ნეკლიუდოვის გარეგნობა, ზემოთ მოყვანილი ლექსი და ძალაუნებური ცახცახი, გამოწვეული პროკლამაციის საჯარო კითხვით და ისიც საიმპერატორო პეტერბურგის უნივერსიტეტის ხალხით გაჭედილ სააქტო დარბაზში, ახლაც თვალწინ მიდგას, როგორც ცოცხალი სურათი“ [1].

ნეკლიუდოვის მქუხარე სიტყვებს მოჰყვა ორატორების მღელვარე გამოსვლები. მის შემდეგ ტრიბუნაზე ავიდა უფროსი კურსის სტუდენტი უტინი, რომელიც ხმამაღლა გაიძახოდა: „კმარა, რაც ველოდეთ და ვითმინეთ, ჩვენი დუმილია სწორედ იმის მიზეზი, რომ არამზადები და უვიცები ასე გათავხედდნენ“. სიტყვის დასასრულს მან მოითხოვა მეფის ტახტის დამსხვრევა, სიტყვის თავისუფლება და ხალხთა თანასწორუფლებიანობა. უტინის სიტყვები ტაშის გრიალმა და ვაშას შეძახილმა დაფარა. ეს კი მთელი დარბაზის ერთსულოვან თანაგრძნობას ნიშნავდა.

1861 წლის შემოდგომაზე პროკლამაცია „К молодому поколению“ გავრცელდა რუსეთის ქალაქებსა და გუბერნიებში. ამის გამო მთავრობამ მკაცრი ზომები მიიღო, ფოსტაში კონტროლი დაწესდა კონვერტებზე და სხვა სახის ამანათებზე. სამხედრო ნაწილებს სპეციალური ბრძანება დაეგზავნა, რომ არ გავრცელებულიყო პროკლამაცია. მოსკოვის გენერალ-გუბერნატორი სასწრაფოდ იქნა გაფრთხილებული, რათა გადამწყვეტი ზომები მიეღო ამ მავნე დოკუმენტის წინააღმდეგ. აგრეთვე მთავრობა დიდ ჯილდოს დაპირდა მას, ვინც ამ პროკლამაციის შემდგენელს აღმოაჩენდა [2].

მიუხედავად ასეთი მკაცრი ზომებისა, პროკლამაცია დიდი სისწრაფით გავრცელდა ქალაქებსა და სოფლებში, ასევე ჯარის ნაწილებში.

უნივერსიტეტში პროკლამაციის გამოჩენიდან დაიწყო ის დიდი პოლიტიკური მოძრაობა, რომელსაც შემდეგ მოჰყვა სტუდენტთა მასობრივი დემონსტრაციები და დაპატიმრებები. რეპრესიები კიდევ უფრო აღელვებდა და აქეზებდა ახალგაზრდობას.

„ახლა ჩვენ გვიკრძალავენ არსებითად ყველაფერს, ნებას გვრთავენ მხოლოდ ვიჯდეთ წყნარად მერხებზე, ვისმინოთ შიშით ცენზურაში გატარებული ლექციები, დავიკაოთ თავი ისე, როგორც ეს ევალებათ სკოლის მოსწავლეებს და თხოულობენ არ ვიმსჯელოთ... გესმით... თუ არა, არ ვიმსჯელოთ... ხა, ხა, ხა...“ [3]

---

[1] ნ. ნიკოლაძე, ტ. I, გვ. 98.

[2] В. Г. Баскаков, Мировоззрение Чернышевского, стр. 255.

[1] «Колокол», 1861 г., № 116. იხ. აგრეთვე «Исторический вестник», т. CXIII, 1908 г., стр. 234.

სტუდენტები მუქარას მუქარითვე პასუხობდნენ, არ ეშინოდათ პოლიციელებისა და მეფის სხვა მოსყიდული აგენტებისა, რადგან მათი რიგები მრავალრიცხოვანი იყო და იმათ მართალ საქმეს მასები თანაუგრძნობდნენ.

«Мы легион потому, что за нас здравый смысл, общественное мнение, литература, профессора, безчисленные кружки свободно мыслящих людей, Западная Европа, все лучшее, передовое за нас. Нас много более даже, чем шпионов...»[1]

სტუდენტები ერთხმად აცხადებდნენ უარს ახალი წესდების წინააღმდეგ. ისინი არ ღებულობდნენ ახალი სისტემის მატრიკულს. ყოველივე ამის გამო განათლების მინისტრის განკარგულებით უნივერსიტეტი დახურულ იქნა.

25 სექტემბერს, ორშაბათს, სტუდენტებს უნივერსიტეტის კარებზე ასეთი განცხადება დახვდათ გაკრული:

«По распоряжению Высшего начальства... лекции прекращены, и вход в университет закрыт до дальнейших распоряжений...

25 сентября, 1861 года»[2].

ახლა სტუდენტები უნივერსიტეტის შესასვლელთან შეგროვდნენ. გაიმართა სახელდახელო მიტინგი. ორატორებმა ტრიბუნად შესასვლელი კიბეები, ღობე და შეშის ნაჭრები გამოიყენეს. სტუდენტები საჯაროდ კიცხავდნენ მთავრობის მოხელეებს და მოითხოვდნენ უნივერსიტეტის დახურვის მიზეზის გაგებას.

პირველად მათ მიმართეს ფილიპსონს, რომელსაც კაბინეტი თვით უნივერსიტეტის შენობაში ჰქონდა, მაგრამ შეშინებული გენერალი დაიმალა და სტუდენტებს უთხრეს არ არისო. მაშინ სტუდენტებმა გადაწყვიტეს ბინაზე წასულიყვნენ და იქ მოლაპარაკებოდნენ სასწავლო ოლქის მზრუნველს. ამ მიზნით ახალგაზრდობის დიდი კოლონა დაიძრა სასახლის ხიდიდან ნევის პროსპექტით კოლოკოლის ქუჩისაკენ, სადაც ფილიპსონი ცხოვრობდა.

დემონსტრაციის მსვლელობას ვრცლად აღწერს ნ. ნიკოლაძე.

„...რამდენიმე ათასი სტუდენტი მწყობრად მიემართებოდა სასახლის ხიდზე, ნევის გასწვრივ და დაბრკოლება არსად არ შეხვედრიათ.

---

[1] «Колокол», 1861 г., № 116. იხ. აგრეთვე «Исторический вестник», т. CXIII, 1908 г., стр. 235.

[2] ЦГИАЛ, фонд 1405, опись 59, дело 6631, год 1861, стр. 401.

მალე შეუხვიეს ვლადიმირსკის ქუჩით და გავიდნენ კოლოკოლნაიაზე, დიმიტროვსკის და პოვარსკის შესახვევებთან. პროცესიის თავი ყაზანის ტაძართან იყო, ხოლო ბოლო სასახლის ხიდზე. „მალაია სადოვაიას“ ქუჩასთან შემოგვხვდა დიდი მთავარი ნიკოლოზ ნიკოლოზის-ძე (ახლანდელის მამა), რომელიც სადღაც მიჰქროდა „ლიხაჩით“. მან გააჩერა ცხენი და იკითხა, სად მიდიან სტუდენტებიო? უპასუხეს, რომ მზრუნველთან მიდიან მატრიკულების წინააღმდეგ პროტესტის გამოსაცხადებლად. მაშინ ბრძანებასა და მორჩილებას მიჩვეული ხმით ბრძანა: „разойтись“ — და გაუდგა თავის გზას. პროცესიამ კი თავისი გზა განაგრძო. მზრუნველი თავის ბინაზე არ აღმოჩნდა. ჩვენ დიდხანს ველოდეთ მას და, ალბათ, მალე გავიფანტებოდით სადილის საჭმელად, რომ არ გამოჩენილიყო პრეობრაჟენსკის პოლკი მთელი თავის შეიარაღებით. ყველას კი მოეჩვენა, თითქოს პოლკი დიდი მთავრის მიერ ყოფილიყო გამოგზავნილი. პოლკი ნელ-ნელა გაიშალა და ალყად შემოერტყა კოლოკოლის ქუჩის სამხრეთის მხარის ქვაფენილს და დაიჭირა ვლადიმირის და ნიკოლოზის ქუჩებში გასასვლელი. პოლკის უფროსები და გენერალიტეტი მოთავსდნენ ვლადიმირისა და კოლოკოლის ქუჩების კუთხეში. ოფიცრებმა და ადიუტანტებმა წინადადება მისცეს სტუდენტებს დაწლილიყვნენ. სტუდენტებმა უპასუხეს, რომ მზრუნველის სანახავად იყვნენ მოსულნი. ამასობაში ჯარისკაცებმა გასტენეს თოფები (მაშინ თოფები ლულიდან იტენებოდა ზუმბით) ისინი შორიდან გვაჩვენებდნენ ტყვიებს, — გვაფრთხილებდნენ — კი არა ვხუმრობთო... საბედნიეროდ საქმე მშვიდობით დამთავრდა. საიდანღაც ფ ი ლ ი პ ს ო ნ ი ც გაჩნდა... ფილიპსონმა სულ ახლოს გაიარა იმ ჯგუფთან, რომელთანაც მე ვიდექი. ამ შემთხვევის წყალობით გარკვევით გვესმოდა მისი საუბარი სტუდენტებთან. უფრო დავუახლოვდით, როცა იგი სრულიად დამშვიდებით შეუდგა იმის განმარტებას, რომ საქმიანი მოლაპარაკების წარმოება ქუჩაში მოუხერხებელია და ამისათვის უნივერსიტეტში წავიდეთო. უფროსმა სტუდენტებმა უპასუხეს, რომ წავიდოდით იმ შემთხვევაში, თუ პრეობრაჟენსკის პოლკი მოიხსნებოდა და თავის სადგომს დაუბრუნდებოდა. ფილიპსონი მყისვე გაეშურა გენერალიტეტთან, საიდანაც მალე დაბრუნდა უფრო მხიარული, ვინემ საზოგადოდ იყო. მან გვითხრა, რომ პოლკი წავაო. მართლაც პოლკი მალე მოიხსნა და წავიდა. ფილიპსონმა გამოგვიცხადა, რომ გენერალ-გუბერნატორს აღუთქვა, რომ პასუხს ვაგებ სტუდენტების ყოფაქცევისათვისო...“ [1]

ნ. ნიკოლაძის მოგონებაში წარმოდგენილი ფაქტების სისწორეს ადასტურებს სხვა მრავალი დოკუმენტი. მაგალითად, სტუდენტთა დემონს-

---

[1] ნ. ნ ი კ ო ლ ა ძ ე, ტ. I, გვ. 102 — 103.

ტრაციაზე პოლიციელების და ჯარისკაწილების თავდასხმის შესახებ დაახლოებით ასეთივე ცნობებს იძლევა ს. აშევსკიც [1].

25 სექტემბრის სტუდენტთა დემონსტრაციის შესახებ წარმოდგენილ საერთო დოკუმენტებს ემთხვევა სამხედრო მინისტრის დ. ა. ჯ.-ლიუტინის გადმოცემაც [2].

მაგრამ ყველაზე უფრო საინტერესოა თვით ფილიპსონის ცნობა მის წინააღმდეგ მოწყობილ სტუდენტთა ლაშქრობის შესახებ.

„უნივერსიტეტში საჩქაროდ მიმავალი მე შევხვდი მრავალ სტუდენტს ნევის პროსპექტზე, ხოლო უნივერსიტეტში გავიგე, რომ ყველა ისინი მიდიოდნენ ჩემი ბინისაკენ. იქ მისულმა დავინახე ბრბო ათასამდე კაცისაგან შემდგარი ქუჩაში, ჩემი ბინის პირდაპირ. სტუდენტთა შორის იყო ბევრი გარეშე პირი, როგორც მედიკები, ოფიცრები სხვადასხვა შეიარაღებისა და ხალხი კერძო ტანსაცმელში, რომლებსაც არაფერი ჰქონდათ საერთო სტუდენტებთან. როცა მე შევედი ბრბოში და შეიქნა შესაძლებელი მომესმინა სტუდენტების სურვილები მათი რწმუნებული ამხანაგებისაგან, მე ვუპასუხე მათ, არ მაქვს უფლება ველაპარაკო მათ ქუჩაში, როგორც მზრუნველმა... ამ დროს ბრბოში გაისმა ყვირილი: Войска идуть!.. Ура!.. და მთელი ბრბო ყვირილით გაექანა ვლადიმირის ქუჩისაკენ, საიდანაც გამოჩნდა პოლიციის ქვეითი კომანდა და რამდენიმე ცხენოსანი. მე მოვახერხე წინ გასვლა და შეჩერება გაგიჟებულებისა, რომლებსაც აუცილებლად სურდათ გამოეწვიათ მოწინააღმდეგეთა ძალა... ზოგმა სტუდენტმა მთხოვა, ნება დამერთო წასულიყვნენ უნივერსიტეტში იმ პირობით, რომ იქ მე მივიღებდი მათ დეპუტატებს. როცა მე ამაზე დავთანხმდი, მთელი ბრბო წყნარად დაიძრა უნივერსიტეტისაკენ, სადაც მე მივასწარი მათ და საბჭოს დარბაზში მოვიწვიე სხდომა. სხდომას ესწრებოდნენ: რექტორი, პრორექტორი და პროფესორი ნიკიტენკო. სტუდენტები და ბევრი გარეშე პირები მოთავსდნენ ეზოში და აივნების წინ ქუჩებში. დეპუტატებად გამოცხადდნენ სტუდენტები: მიხაელისი, გენი და სტეპანოვიჩი. მათ გაგვიცხადეს, რომ ამხანაგებმა დაავალეს ეკითხათ ჩვენთვის, რისთვის დახურეს უნივერსიტეტი და რამდენი ხნით. და რისთვის არ უშვებენ მათ სტუდენტთა ბიბლიოთეკაში, რომელიც არის მათი საკუთრება...“ [3]

პროფესორი ვ. დ. სპასოვიჩი უფრო სხვაგვარად გადმოგვცემს ფილიპსონის უნივერსიტეტში დაბრუნების ფაქტს.

---

[1] «Совр. мир», 1907 г., № 9, стр. 74.

[2] Робл, фонд Милютина Д. А., М., 3567, стр. 11.

[3] Революционное движение 1860-х годов, сборник под редакцией Горева, Москва, 1932 г., стр. 13.

მისი თქმით, სტუდენტები არ ენდვნენ მზრუნველის განცხადებას და მოითხოვეს იგი მათ გაჰყოლოდა ფეხდაფეხ. ფილიპსონიც გაჰყოლია მათ და მხოლოდ უნივერსიტეტთან მიახლოების შემდეგ მიუციათ მისთვის კარეტაში ჩაჯდომის უფლება[1]. ნიკო ნიკოლაძის ცნობით კი ფილიპსონის გაყოლა დაავალეს ქართველ სტუდენტებს.

„სრულიად მოულოდნელად მზრუნველთან მოსაუბრე სტუდენტებმა ქართველი სტუდენტების ჯგუფს დააკისრა გაჰყოლოდა ფილიპსონს უნივერსიტეტამდე. ამაზე უფრო საკვირველი ის იყო, რომ ქართველების ჯგუფმა ამ მისიის შესრულება მე და ჯავახიშვილს მოგვანდო... საფიქრებელია, რომ სტუდენტებს ეჩოთირებოდათ ასეთი ულამაზო და პასუხსაგები დავალების აღსრულება, და ჩვენც ამისათვის დაგვასახელეს... თუმცა პატარები ვიყავით—თითქმის ბავშვები შედარებით, მაგრამ ფილიპსონს მაინც ეჩოთირებოდა ჩვენთან სიარული. ნევის პროსპექტამდე ის თავაზიანად გვესაუბრებოდა. გამოგვკითხა, ვინ ვიყავით და საიდან. როცა გაიგო ჩვენი ქართველობა, მოიგონა რამდენიმე ქართველი ოფიცრის სახელი, რომლებიც სამსახურში ყოფილიყვნენ მის ხელქვეშ. მის მიერ დასახელებულ ოფიცრებში რამდენიმე ჯავახიშვილის ნათესავი აღმოჩნდა, რამდენიმე კიდევ დედა-ჩემის. შემდეგ მოიმიზეზა გზის საშორე და დაჭრილი ფეხი და გვთხოვა დაგვეჯერებია კავკასიის ოფიცრის პატიოსანი სიტყვა, რომ თვითონ წავიდოდა უნივერსიტეტში და იქ მოგვიცდიდა. ...ფილიპსონი, მართლაც, უნივერსიტეტში დაგვხვდა. მას არა თუ ჯარი, მცველებიც კი არ ახლდა თან... ფილიპსონის წინადადებით სახელდახელოდ არჩეული იქნა „დეპუტაცია", რომელიც უნდა წარსდგომოდა განათლების მინისტრს და ჩვენი საჩივარი მოეხსენებია..." [2].

ვ. გ. ბასკაკოვის აზრით, ფილიპსონი დემონსტრაციის ხელმძღვანელებმა: უტინმა, პეჩატკინმა და ღოლობერიძემ, აიძულეს გაჰყოლოდა უნივერსიტეტში მოსალაპარაკებლად [3].

აქ მოტანილი სხვადასხვა ცნობიდან ნ. ნიკოლაძის მოგონება ყველაზე უფრო ემთხვევა ფილიპსონის გადმოცემას.

ჩვენ იმიტომ შევჩერდით ამ დემონსტრაციის მსვლელობაზე და ხასიათზე, რომ ასეთი დემონსტრაციები ნამდვილი სკოლა იყო, მეორე უნივერსიტეტი იყო, სადაც იწვრთნებოდა და ყალიბდებოდა რევოლუციონერი ახალგაზრდობა. ამ დემონსტრაციის აქტიური მონაწილენი

---

[1] Сочинения В. Д. Спасовича, т. 4, стр. 34 — 35.

[2] იქვე, გვ. 103 — 104.

[3] В. Г. Баскаков, Миропоззрение Чернышевского стр. 227.

იყვნენ პეტერბურგის უნივერსიტეტის ქართველი სტუდენტები, შემდეგში ცნობილი მწერლები და საზოგადო მოღვაწეები.

იმავე 25 სექტემბერს მზრუნველის ხელმძღვანელობით ჩატარდა უნივერსიტეტის საბჭოს სხდომა. განათლების სამინისტრო, მიუხედავად მძიმე მდგომარეობისა, უკან დახევას მაინც არ აპირებდა. ფილიპსონმა მღელვარე სიტყვა წარმოსთქვა საბჭოს წევრების წინაშე:

«После печальных событий нынешняго дня, вы, М. М. Г. Г. конечно, сами убеждены, что правительство не отступит ни на шаг, всякая уступка была бы слабостью. Выдача матрикулов должна быть приведена в исполнение...»[1]

და ფილიპსონის აზრით, რადგან ადმინისტრაციას დაკარგული ჰქონდა ავტორიტეტი, მატრიკულები ფაკულტეტების სხდომებზე საზეიმო ვითარებაში პროფესორებს უნდა გადაეცათ სტუდენტებისათვის, ხოლო სტუდენტები მიიღებდნენ რა მატრიკულებს, საჯაროდ განაცხადებდნენ, რომ ისინი დაემორჩილებოდნენ მატრიკულში შეტანილ წესებს, ვინც ამ მოთხოვნას არ შეასრულებდა, გაირიცხებოდა უნივერსიტეტიდან.

საბჭომ მზრუნველის წინადადება არ მიიღო (14 მომხრე, 15 წინააღმდეგი) [2]. განრისხებული ფილიპსონი საბჭოს წევრებს მიმართავს:

«Государственная служба имеет свои требования, и кто не хочет нести обязанностей ее, волен ее оставить»[3].

და როდესაც პროფესორები მაინც არ დაემორჩილენ მზრუნველის განკარგულებას, ფილიპსონმა წამოიძახა: «...вы ставите вопрос, — либо университет, — либо Россия» ხოლო პროფესორები პასუხობდნენ: «...либо университет без матрикул, либо матрикулы без университета».

ბოლოს გამოუვალ მდგომარეობაში ჩავარდნილმა მზრუნველმა და განათლების მინისტრმა პროფესორების დაშინების ხერხს მიმართეს. უნივერსიტეტის საბჭოს წევრებმა 26 სექტემბერს დილით განათლების მინისტრის მიმართვა მიიღეს, რომელშიაც აღნიშნული იყო: ვინც ეწინააღმდეგებოდა მზრუნველის წინადადებას, მას საღამოს 5 საათამდე წერილობით ახსნა-განმარტება უნდა წარედგინა რექტორისათვის. ისინი ფიქრობდნენ, შეშინებული პროფესორები ვერ გაბედავდნენ წერილო-

---

[1] Сочинения В. Д. Спасовича, т. IV, стр. 40 — 41.

[2] წინააღმდეგი იყვნენ პროფესორები: გალსტუნსკი, ბერეზინი, ანდრეევსკი, უტინი, კა

ბით დოკუმენტების წარმოდგენას და უკან წაიღებდნენ თავიანთ წინადადებას, მაგრამ მოხდა საწინააღმდეგო. საღამოს 5 საათისათვის, 15-ის ნაცვლად, 17 პროფესორმა წარმოადგინა დოკუმენტი მზრუნველის წინადადების წინააღმდეგ. ცხადია, ამათში ისეთებიც იყვნენ, რომლებიც წინა დღეს ფილიპსონს ემხრობოდნენ. ეს კი აშკარად ამყღავნებდა უნივერსიტეტის პროფესორთა უმრავლესობის პოზიციას.

მართალია, ფილიპსონი უნივერსიტეტის საბჭოს წინაშე დამარცხდა, მაგრამ ძალა-უფლება ხომ მის ხელში იყო. მან იმავე ღამეს დააპატიმრა სტუდენტების მიერ არჩეული დეპუტატები და სხვა პირები [1].

25 სექტემბრის დემონსტრაცია დიდი პოლიტიკური მოვლენა იყო რუსეთის რევოლუციური მოძრაობის ისტორიაში. აქედან დაიწყო სტუდენტთა მასობრივი მღელვარება პეტერბურგში, რომელმაც დიდი გამოხმაურება ჰპოვა სხვა უმაღლეს სასწავლებლებში. დემონსტრაცია საერთო ხასიათისა იყო, მასში, უნივერსიტეტის სტუდენტებს გარდა, მონაწილეობდნენ მედიკო-ქირურგიული აკადემიის მსმენელები, ოფიცრები და ქალაქის მოსწავლე ახალგაზრდობა [2].

26 სექტემბერს უნივერსიტეტთან დიდძალმა ხალხმა მოიყარა თავი. ნ. ნიკოლაძის გადმოცემით, უნივერსიტეტის კარები დაკეტილი იყო და შესავალს პოლიცია იცავდა. გაოცებული სტუდენტები ჯგუფ-ჯგუფად დადიოდნენ ნევის განაპირა ქუჩაზე. სტუდენტებს გარდა, აქ მოსულნი იყვნენ პროფესორები, მწერლები და სხვადასხვა უწყების მუშაკები. „ჩვენ — ახლებს, — წერს ნ. ნიკოლაძე,—ძველი სტუდენტები შორიდან გვაჩვენებდნენ გამოჩენილ პირებს, — არტილერიის პროფესორებს პ. რ. ლავროვს და ნ. ენგელგარდტს, სატყეო აკადემიის პროფესორს ნ. ვ. შელგუნოვს, „Отечественные записки"-ს თანარედაქტორს ალბერტინს, გამომცემელს ნ. ლ. ტიბლენს და ბევრ სხვას... ჩვენ გავეცოდით, როცა ყველა ეს პროფესორები სამხედრო ტანისამოსში და ჩინებში დავინახეთ" [3].

ახალგაზრდობა აღშფოთებული იყო მთავრობის მოქმედებით. ისინი მოითხოვდნენ დაპატიმრებული ამხანაგების განთავისუფლებას ანდა მათთან ერთად დაპატიმრებას. სტუდენტების დაპატიმრებამ ძლიერ გაზარდა მებრძოლი ახალგაზრდობის რიგები. „მარტო ამ დატუსა-

---

[1] დაპატიმრებულთა შორის იყვნენ: მიხაელისი, გენი, უტინი, სტეპანოვიჩი, დანენბერგი, ლევენტალი, ზელენსკი და პოპოვი. იხ. Революционное движение 1860-х годов. сборник под редакцией Горева, стр. 13. აგრეთვე ნ. ნ ი კ ო ლ ა ძ ე, ტ. I, გვ. 393.

[2] В. Г. Б а с к а к о в, Мировоззрение Чернышевского, стр. 228.

[3] ნ. ნ ი კ ო ლ ა ძ ე, ტ. I, გვ. 104 — 105.

ღებამ დეპუტაციისა... უფრო მეტი გავლენა იქონია, ვიდრე ეს შეეძლო მოეხდინა ყველა აგიტატორებისა და პროპაგანდისტების შეერთებულ ძალებსო" — წერს ნ. ნიკოლაძე [1].

27 სექტემბერს კვლავ დიდძალი ახალგაზრდობა შეიკრიბა უნივერსიტეტთან. მაგრამ სტუდენტებს უნივერსიტეტის კარები ისევ დახურული დახვდათ, რომელსაც ჯარის გაძლიერებული ნაწილები იცავდნენ.

«Между тем университет был совершенно закрыт для студентов, а для большей безопасности двор, швейцарская и нижний коридор университетского здания были подчинены генерал-губернатору, который поставил там отряд солдат...»[2]

მიუხედავად ჯარის იქ ყოფნისა, სტუდენტები გაბედულად მოქმედებდნენ. ეწყობოდა სახელდახელო მიტინგები. ტრიბუნებად კვლავ ღობეები და შეშის ნაკრები ჰქონდათ გამოყენებული. ორატორები ერთმანეთს ეჯიბრებოდნენ მთავრობის ლანძღვაში და ყოველივე ეს ხდებოდა მთავრობის თვალწინ, რამდენიმე ნაბიჯის წინ ზამთრის სასახლიდან.

სტუდენტთა მღელვარებამ 27 სექტემბერს ისეთი სერიოზული ხასიათი მიიღო, რომ სასწრაფოდ გამოიძახეს ცხენოსანი და ქვეითი პოლიცია. ამათ დასახმარებლად ფინეთის პოლკის ბატალიონიც გამოიწვიეს, მაგრამ იმ დღემ მშვიდობით ჩაიარა.

27 სექტემბრის სტუდენტთა მღელვარების გამო ობერპოლიცმეისტერმა გენერალ-ადიუტანტმა პატკულმა გამაფრთხილებელი ბრძანება გამოაქვეყნა 28 სექტემბრის «Ведомости С.-Петербургской Городской Полиции»-ის 210 ნომერში:

„უმაღლესი მმართველობის განკარგულებით ს.-პეტერბურგის უნივერსიტეტში, უწესრიგობის განმეორების გამო, ლექციები შეწყვეტილია და უნივერსიტეტის შესასვლელი დახურულია შემდგომ განკარგულებამდე. ამის გამო სასტიკად იკრძალება სტუდენტთა ყოველგვარი კრება. დამნაშავენი, რომლებიც დაარღვევენ ამ განკარგულებას, კანონის მიხედვით, მიცემულნი იქნებიან მკაცრ პასუხისგებაში. ს.-პეტერბურგის პოლიცია ამას აცხადებს ცნობად და სათანადოდ შესასრულებლად.

ს.-პეტერბურგის ობერპოლიცმეისტერი გენერალ-ადიუტანტი პატკული" [3].

სტუდენტთა მღელვარება ყოველდღიურად მატულობდა. უნივერსიტეტის წინ დიდძალი ახალგაზრდობა იყრიდა თავს.

---

[1] ნ. ნიკოლაძე, ტ. I, გვ. 106.

[2] С. Ашевский, «Совр. мир», 1907, № 9, стр. 77.

[3] ЦГИАЛ, фонд 1405, опись 56, ед. хр. 6630, стр. 104.

სტუდენტთა გაბედულ მოქმედებას ისიც უწყობდა ხელს, რომ ამ დროს იმპერატორი პეტერბურგში არ იმყოფებოდა და მინისტრები ვერ ბედავდნენ გადამწყვეტი ზომების მიღებას, რადგან ასეთი საერთო პოლიტიკური დაძაბულობის პერიოდში მოუფიქრებლად გადადგმულ ნაბიჯს შეიძლებოდა საბედისწერო შედეგი მოჰყოლოდა და პასუხისმგებლობაც მათვე დაეკისრებოდათ.

იმპერატორი ალექსანდრე იმ დღეებში იყო საქართველოში: 1861 წლის 23 სექტემბერს ჩამოვიდა, ინახულა სოხუმი, ფოთი და ქუთაისი, დარბაზობა ჰქონდა ქართველ თავადებთან, მოისმინა საქართველოს ეგზარხოსის წირვა სობოროში, შეამოწმა ჯარის ნაწილები და 29 სექტემბერს ისევ უკან დაბრუნდა. ღამე ფოთში გაათენა და შემდეგ გემით — „ტიგრით" გაემგზავრა ლივადიაში [1].

29 — 30 სექტემბერს იმპერატორი ლივადიაშია, ხოლო ამ დროს სატახტო ქალაქში დიდი მღელვარებაა. სტუდენტებსა და მოსწავლე ახალგაზრდობას სამხედრო აკადემიის მსმენელები და პროფესორებიც მიემატნენ. ჯარის ნაწილებიდან ოფიცრებიც გამოჩნდნენ. გართულებული საკითხის გადასაწყვეტად ყოველდღე იმართებოდა მინისტრთა საბჭოს სხდომები, მაგრამ შედეგი მაინც არ ჩანდა, რადგან მეფის გარეშე გადამწყვეტი ზომების მიღებას ვერავინ ბედავდა. ბოლოს, მიხეილ ნიკოლოზის ძე იძულებული გახდა, სასეირნოდ წასული მეფისათვის ეს არასასიამოვნო ამბავი შეეტყობინებინა. 29 სექტემბერს მეფეს აცნობეს სატახტო ქალაქის ამბავი. 30 სექტემბერს იმპერატორისაგან დაშიფრული დეპეშა მიიღო მიხეილ ნიკოლოზის ძემ, რომელშიაც ნათქვამია:

«Беспорядки между студентами крайне грустны и еще хуже отголосок их на военные учебные заведения. Надеюсь, что предварительные меры будут приняты для недопущения сходки в Казанском соборе. Скажи графу Путятину, Игнатьеву, Плаутину и всему гвардейскому начальству, что я вполне уверен, что каждый из них исполнит свой долг с энергией и без всякого ослабления. На гвардию мою вполне надеюсь. Шувалову особенно спасибо за его деятельное участие. Решу отъезд по дальнейшим сведениям»[2].

მეფის მადლობით წახალისებული შუვალოვი და სხვები ახლა უფრო აძლიერებენ უნივერსიტეტის დაცვას. უნივერსიტეტის კარებს

---

[1] «Русский архив», 1889 г., № 6, стр. 279. იხ. აგრეთვე, И. Барсуков, Жизнь и труды М. П. Погодина, С.-Петербург, 1904.

[2] В. Г. Баскаков, Мировоззрение Чернышевского, стр. 229.

მიაყენეს, პოლიციელებისა და ჟანდარმთა გარდა, ფინლანდიის პოლიციის ბატალიონი მთელი თავისი შეიარაღებით, მაგრამ სტუდენტები მაინც არ ცხრებოდნენ, ისინი ჩვეულებრივად მართავდნენ კრებებს და მიტინგებს.

1 ოქტომბერს განათლების მინისტრმა გამოაქვეყნა გაზეთის საშუალებით დიპლომატიური განცხადება. უნივერსიტეტში სწავლა განახლდებოდა, თუ სტუდენტები ფოსტის საშუალებით განცხადებას გამოაგზავნიდნენ სწავლის გაგრძელების სურვილის შესახებ და თანხმობას განაცხადებდნენ ახალი სისტემის მატრიკულის მიღებაზე. წინააღმდეგ შემთხვევაში ყველა სტუდენტი მექანიკურად ირიცხებოდა უნივერსიტეტიდან [1]. იმდენად შეშინებული ჰყავდა სტუდენტებს ადმინისტრაცია, რომ მათი შეკრება უნივერსიტეტში სახიფათოდ იყო მიჩნეული და ამიტომ შესთავაზეს განცხადების ფოსტის საშუალებით გამოგზავნა, მაგრამ ამ ცდამაც დიდი შედეგი ვერ გამოიღო. 1500 კაცის ნაცვლად სწავლის სურვილი მხოლოდ 500-მა განაცხადა, თუმცა ესენიც არ მოსულან ლექციებზე დანარჩენი სტუდენტების შიშით.

2 ოქტომბერს უნივერსიტეტთან კვლავ გაიმართა მიტინგი. მიტინგის აქტიური მონაწილე 36 კაცი იმ ღამესვე დააპატიმრეს. რადგანაც სტუდენტთა მღელვარება არ ცხრებოდა და უფრო სერიოზულ ხასიათს ღებულობდა, 2 ოქტომბერს განათლების მინისტრი პუტიატინი იმპერატორს ასეთი შინაარსის დეპეშას უგზავნის:

«На случай новых беспорядков испрашиваю разрешения окончательно закрыть университет».

მართალია, ალექსანდრე მეორე თანახმა იყო უნივერსიტეტის საბოლოო დახურვისა, მაგრამ განათლების მინისტრი და სხვები მაინც ცდილობდნენ საქმე უკიდურესობამდე არ გამწვავებულიყო, სხვადასხვა ხერხით როგორმე შეეჩერებინა, ხელში სტუდენტებისათვის მატრიკულები, მაგრამ სტუდენტები როგორც საფრთხობელას, ისე გაურბოდნენ მატრიკულს. მატრიკულის სახელი საძაგელ სიტყვად გადაიქცა მათთვის.

«Имя «матрикул» стало впоследствии ненавистным, именно потому, что с ним соединилось представление о всех тех стеснительных мерах, которые пали на университетскую жизнь с новою системою и которые были закреплены теми «некоторыми переменами»[2].

ახალი ტიპის მატრიკული ფაქტიურად სტუდენტთა დათრგუნვის

---

[1] Сочинения В. Д. Спасовича, т. IV, стр. 47 — 52.

[2] იქვე, გვ. 30.

იარაღი იყო, ამის მიმღები სტუდენტი ადმინისტრაციის წინაშე დამორ-ჩილების პირობას დებდა. ასევე ახასიათებს ამ ტიპის მატრიკულს პროფესორი კ. დ. კაველინი [1].

3 ოქტომბერს უნივერსიტეტის მმართველობამ ახალი განცხადება გამოაქვეყნა გაზ. «Ведомости С.-Петербургской городской полиции"-ს ფურცლებზე. ამ განცხადებაშიაც არსებითად წინანდელი პირობებია განმეორებული: სწავლის გაგრძელების მსურველი ვალდებულია განცხადება გაგზავნოს ფოსტით რექტორის სახელზე, წინააღმდეგ შემთხვევაში ყველა სტუდენტი გაირიცხება უნივერსიტეტიდან. განსხვავება ის არის, რომ განცხადების მიღების ვადა განსაზღვრული იყო 7 ოქტომბრამდე [2]. მაგრამ არც ამას მოჰყოლია სასურველი შედეგი. ახალი მატრიკულის მიღების მსურველი ძალიან ცოტა გამოჩნდა.

4 ოქტომბერს იმავე პოლიციის უწყებებმა გამოაქვეყნა კიდევ ახალი განცხადება, არსებითად განსხვავებული შინაარსისა. რადგანაც სხვა ხერხმა არ გასჭრა, მთავრობა შეეცადა სტუდენტების ფულით მოსყიდვას. გაზეთი აუწყებს სტიპენდიანტ სტუდენტებს, რომ, თუ ისინი განცხადებებს შემოიტანენ და ახალი ტიპის მატრიკულის მიღებაზე თანხმობას განაცხადებენ, მათ საცხოვრებელ ადგილებზე, პოლიციის საშუალებით, დაეგზავნებათ სტიპენდია [3].

როგორც დოკუმენტებიდან ჩანს, ეს ცდაც უშედეგო აღმოჩნდა. სტუდენტები მხოლოდ უნივერსიტეტის შენობის ირგვლივ ტრიალებდნენ და, ამ პირობით, შიგ შესვლას არ აპირებდნენ.

5 ოქტომბერს ჟურნალისტის ალბერტინის ბინაზე 18 კაცი დააპატიმრეს. პატიმართა რაოდენობა დიდად გაიზარდა პეტრეპავლეს ციხეში.

სტუდენტთა მოძრაობის ამბავი მალე ცნობილი გახდა რუსეთის სხვადასხვა გუბერნიასა და უმაღლესი სასწავლებლებისათვის. საზღვარგარეთ გერცენის „ქოლოქოლი" ახმაურდა და ახალგაზრდობის მამაცობამ საზოგადოების თანაგრძნობა და მხარისდაჭერა ჰპოვა. და ეს ყოველივე მაშინ ხდება, როდესაც გლეხთა ბუნტებისა და აჯანყებების ცეცხლი მძლავრად გიზგიზებს რუსეთის სხვადასხვა კუთხეში.

მართალია, მთავრობას ჯარისკაცის ხიშტი და პეტრეპავლეს ციხე უმაგრებდა ზურგს, მაგრამ ამ გართულებული პოლიტიკური სიტუაციის დროს, ზამთრის სასახლის ცხვირის წინ, ასეთი სცენების მოწყობა

---

[1] Собрание сочинений К. Д. Кавелина, том второй, С.-Петербург, 1898 г., стр. XX.

[2] ЦГИАЛ, фонд 1405, опись 59, ед. хр. 6630, год 1861, стр. 106.

[3] იქვე. გვ. 108.

მაინცდამაინც ხელსაყრელი არ იყო მთავრობისათვის. ყოველივე ამის გამო განათლების მინისტრი ცდილობდა ქუჩაში გაფანტული ეს „უწესრიგო“ ახალგაზრდობა უნივერსიტეტის კედლებში შეეტყუებინა და როგორმე დაეწყნარებინა, მაგრამ ეს მას სურდა ყოველგვარი დათმობის გარეშე.

განცხადების შეტანის უკანასკნელი დრო 7 ოქტომბერიც გავიდა, მაგრამ სტუდენტები ისევ ქუჩებში დახეტიალებდნენ. არც სტ-პენდიის მიღების სურვილს უცდუნებია ვინმე. მაშინ მთავრობა იძულებული გახდა, ერთხელ კიდევ გაეფრთხილებინა სტუდენტები უნივერსიტეტის გახსნისა და ლექციების დაწყების შესახებ. ამ მიზნით 9 ოქტომბერს განათლების მინისტრი უნივერსიტეტის რექტორს ასეთი შ-ნაარსის მიმართვას უგზავნის:

„ს.-პეტერბურგის უნივერსიტეტის ბატონ რექტორს!

უმაღლესი მმართველობის გადაწყვეტილებით ს.-პეტერბურგის უნივერსიტეტში ლექციების კითხვა უნდა დაიწყოს ოთხშაბათს, ე. ი. 11 ოქტომბერს, ყველა კურსზე და ფაკულტეტზე. ლექციებზე მხოლოდ დაშვებული იქნებიან ის სტუდენტები და თავისუფალი მსმენელები, რომლებიც შემოიტანენ განცხადებებს და მიიღებენ მატრიკულს ან მოწმობას... სტუდენტებსა და თავისუფალ მსმენელებს, რომლებსაც არ ექნებათ შემოტანილი განცხადებები უნივერსიტეტის კურსის გაგრძელების შესახებ, უნდა გამოეცხადოთ, რომ ისინი გარიცხული იქნებიან უნივერსიტეტიდან“[1]. ეს განცხადება აგრეთვე იმავე 9 ოქტომბერს გამოქვეყნდა «Ведомости С.-Петербургской городской Полиции»-ს 220 ნომერში.[2]

11 ოქტომბერს, მართლაც, გახსნეს უნივერსიტეტის კარები და დაიწყეს ლექციების კითხვა პროფესორებმა, მაგრამ სტუდენტების ძალიან მცირე ნაწილი გამოცხადდა აუდიტორიებში. პროფესორ სპასოვიჩის თქმით: «... 11 Октября университет был почти совсем пуст, ходило по коридорам каких-нибудь полсотни слушателей, да и из них совсем не заглядывали в аудитории, а видимо желали только посмотреть, что делается в университете и, запугивая «матрикулистов», советовали им не бывать на лекциях»[3].

სხვა ცნობებით, ლექციებზე 1600—1700 სტუდენტის ნაცვლად აუდიტორიებში გამოცხადდა მხოლოდ ასამდე კაცი. ასე, რომ თითო პროფესორს 1 — 2 სტუდენტი უსმენდა, ხოლო ზოგი აუდიტორია სრულიად თავისუფალი იყო. ეს უკვე იმას ნიშნავდა, რომ სტუდენტები

---

1 ГИАЛО, фонд 14, дело 17, опись 25, связ. 3897, стр. 1.
2 ЦГИАЛ, фонд 1405, опись 59, ед. хр. 6630, год 1861, стр. 109.
3 Сочинение В. Д. Спасовича, т. IV, стр. 55.

უნივერსიტეტის ადმინისტრაციას არ ემორჩილებოდნენ, არ სურდათ ახალი კანონის მიღება.

12 ოქტომბერს უნივერსიტეტში კიდევ უფრო ნაკლები რაოდენობით გამოცხადდნენ მსმენელები, მაგრამ სამაგიეროდ უნივერსიტეტის კარებთან დიდძალი ახალგაზრდობა იყო თავმოყრილი. ეს გახლდათ სტუდენტების ის ნაწილი, რომელსაც არ ჰქონდა მიღებული მატრიკული და არც აპირებდნენ მის მიღებას. კიდევ მეტი, ვისაც მანამდე მიეღო იგი, ახლა პოლიციელებისა და მთავრობის მსხვილი მოხელეების თვალწინ საჯაროდ ხევდნენ და ქაღალდის ნაფლეთებს ტროტუარზე ყრიდნენ. «На площади перед университетом валялись сотни разорванных книжек с матрикулами. Аудитории оставались пустыми по отсутствию слушателей» [1].

პროფესორ სპასოვიჩის ცნობით: «Весьма многие «матрикулисты»... рвали свои матрикульные книжки и бросали их на мостовую, так что пропасть бумаг валялась вдоль всего фасада университетского здания»[2].

12 ოქტომბერი ისტორიული დღეა პეტერბურგის უნივერსიტეტის სტუდენტთა ცხოვრებაში. ეს დღე ჩაიწერა რუსეთის რევოლუციური ახალგაზრდობის მატიანეში, როგორც თავისუფლებისათვის ბრძოლის საუკეთესო მაგალითი. ამ დღეს მოხდა დიდი შეტაკება სტუდენტებსა და ჯარისკაცებს შორის, რამაც ახალგაზრდობის დიდი მორალური სიმტკიცე და მამაცობა გამოამჟღავნა.

ეტყობა, მთავრობა ამ დღისათვის სპეციალურად ემზადებოდა. იმპერატორიც ჩაბრძანდა სატახტო ქალაქში და სტუდენტობისადმი ლოიალობის პერიოდიც დამთავრდა. 12 ოქტომბერს უნივერსიტეტის კარებთან დააყენეს, ჟანდარმთა და პოლიციელთა შეიარაღებული ძალების გარდა, ფინლანდიისა და პრეობრაჟენსკის პოლკის ჯარის ნაწილები. მოულოდნელად ობერპოლიცმეისტერის პატკულის განკარგულებით ჯარისკაცები გარს შემოერტყნენ უნივერსიტეტის წინ მდგარ სტუდენტებს და ყველანი კონდახის ცემითა და ლანძღვა-გინებით შერეკეს უნივერსიტეტის ეზოში. როდესაც მათი გვარები და სახელები დაიწერეს, ისევ ჯარისკაცების თანხლებით გამოიყვანეს მწყობრად დაწყობილი და გაუყვანეს პეტრეპავლეს ციხისაკენ, სადაც ბევრი მათი ამხანაგი დიდიხანია იყო დაპატიმრებული. ჯერ კიდევ უნივერსიტეტის ახლოს მოხდა უჩვეულო ამბავი. თავისუფლად დარჩენილი სტუდენტთა დიდი ჯგუფი თავს დაესხა ჯარისკაცებს, გაწყვიტეს ალყა და შეუერთდნენ დაპატიმრებულ ამხანაგებს. ეს ისე მოულოდნელად და სწრაფად მომხ-

---

[1] Собрание сочинений К. Д. Кавелина, т. II, стр. XXI.

[2] Сочинения В. Д. Спасовича, т. IV. стр. 55.

დარა, რომ, ნ. ნიკოლაძის თქმით, დაბნეულობა გამოუწვევია ჯარისკაცებსა და ოფიცრებში. ყველა ეს სტუდენტი შეჰყარეს პეტრეპავლეს ციხის ნესტიან სარდაფებში. 12 ოქტომბერს დაპატიმრებული იყო 280 კაცი, 14 ოქტომბრისათვის ეს რიცხვი გაიზარდა 335-მდე. ამათ შორის, არასრული ცნობით, დაპატიმრებული იყო 13 ქართველი სტუდენტი. სახელდობრ: აბელ შანშიაშვილი, ვასილ სავანელი, ნიკოლოზ შანშიაშვილი, ნიკო ნიკოლაძე, აბელ ჩოლოყაშვილი, დავით ღოღობერიძე, დავით აბდუშელიშვილი, პეტრე ალხაზაშვილი, კირილე ლორთქიფანიძე, გიორგი ჯავახიშვილი, გიორგი წერეთელი, იაკობ ისარლიშვილი, ბესარიონ ღოღობერიძე [1].

თავისუფალ სტუდენტთა ჯგუფის თავდასხმას ჯარისკაცებზე და მათ შეერთებას დაპატიმრებულ ამხანაგებთან ასე იგონებს ნ. ნიკოლაძე: „ამ დროს უეცრად იმ ჯარს, რომელიც გარს გვერტყა, თავს დაესხა სტუდენტების დიდი ბრბო, რომელსაც სურდა გაენაწილებია ჩვენი ხვედრი. ყველანი დაიბნენ, არა თუ ჯარისკაცები, მათი უფროსებიც... ეხლა კი იერიში გარედან მოჰქონდათ... რათა თვითონ ყოფილიყვნენ დატყვევებულნი, ეს უმაგალითო შემთხვევა იყო. აქ ძალაუნებურად დაიბნეოდი. თავდამსხმელი სტუდენტობა სამასზე მეტი იყო. დაიწყო რაღაც ხელჩართული ბრძოლისმაგვარი. გვარდიელები ცდილობდნენ დაეშალათ სტუდენტებისათვის მათი რიგების გარღვევა. მაინც ასორმოცდაათმა უმაწვილმა მოახერხა რიგის გარღვევა და ჩვენს წრეში შემოიჭრნენ, თუმცა ამ დროს ბევრს მათგანს დაუმტვრიეს გვერდები და ერთს კი თავიც. სტუდენტთა ბრბოს დანარჩენი ნაწილი გაფანტა ცხენოსან ჟანდარმთა ესკადრონიის უეცარმა იერიშმა, რომელმაც შუაზე გააპო მათი რიგები. ყოველივე ეს რამდენიმე წუთის საქმე იყო. სტუდენტების ხელჩართული ბრძოლა წრეში შესასვლელად, ესკადრონიის თავდასხმა, ასორმოცდაათი სტუდენტის შემოჭრა ჩვენს წრეში და დანარჩენი... ამასთან არა მცირედი რიცხვი სტუდენტებისა, ცხენებით გათელილი ან კონდახით ნაცემნი, ეყარნენ ქვაფენილზე“ [2].

ნ. ნიკოლაძის მასალები ემთხვევა პოლიციის დოკუმენტებში წარმოდგენილ ფაქტებს. რომ დაპატიმრებულ სტუდენტებს „ურას“ ძახილით შეუერთდა სტუდენტთა ახალი ჯგუფი, რომ სტუდენტებმა ჟანდარმთა ცხენებს დაუწყეს თავში კეტების ცემა და პოლკის ნაწილებმა სტუდენტები ცემით წაიყვანეს პეტრეპავლეს ციხეში. დოკუმენტებში ამის შესახებ ნათქვამია:

3. დაპატიმრებულთ უნივერსიტეტის ეზოდან გამოსვლის დროს

---

[1] «Колокол», 1861 г., № 114, стр. 340.

[2] ნ. ნ ი კ ო ლ ა ძ ე, ტ. I, გვ. 107 — 109.

ხედებოდათ ბრბო პირებისა, რომელნიც იყვნენ მსურველნი მიეღწიათ პატიმრებამდე ცხენოსანთა ალყის გაკვეთით, „ურას“ ყვირილით და თხოვნით გაანთავისუფლონ პატიმრები, ან დააპატიმრონ მათთან ისინიც. რის გამო ობერპოლიცმეისტერმა უბრძანა ჟანდარმებს გაეცალკევებინათ ეს ჯგუფი და შემოერტყათ მათთვის ალყა. მაშინ სტუდენტებმა, რომლებსაც სცემდნენ კეტებით, დაუწყეს ცემა ჟანდარმთა ცხენებს თავში. იქნევდნენ რა ცხვირსახოცებს, ყვიროდნენ „ურას“ პრეობრაჟენსკის პოლკის ჯარისკაცების წინაშე... ყველა ისინი დააპატიმრეს და წაიყვანეს ციხეში...

4. ამ უწესრიგობის დროს კანდიდატმა ლებედევმა კეტით ცემა ლ. გვ. პრეობრაჟენსკის პოლკის ჯარისკაცებს, ხოლო ეს უკანასკნელნი (იგულისხმება ჯარისკაცები. — კ. მ.) იცავდნენ რა თავს, მიაყენეს მას (ლებედევს) თოფის კონდახით ჭრილობა თავში... ლებედევი დაეცა...

5. ციხისაკენ მსვლელობისას დაპატიმრებული სტუდენტები, ცდილობდნენ რა გამოეწვიათ ხალხის თანაგრძნობა, აქნევდნენ ხელებს და ემშვიდობებოდნენ ხალხს განცხადებით, რომ ისინი მიჰყავთ ციხეში...

6. როცა დაპატიმრებულთა პარტია გამოჰყავდათ ეზოდან, ბრბო, რომელიც კარებთან უცდიდა მათ, „Ура, браво, не выдавать“ ყვირილით, ეცა კარებს იმ განზრახვით, რომ შესულიყვნენ უნივერსიტეტის ეზოში, მაგრამ ჯარისკაცები იცავდნენ კარებს...

8. ამ დროს სტუდენტების დიდი ნაწილი პირველი გროვიდან მობრუნდა ყვირილით: „Народ за нас! ура!“ ეცენ რა ისინი პრეობრაჟენსკისა და ფინლანდიის ცხენოსან ჯარისკაცებს, მათ ისეთი ძალის დარტყმა მიაყენეს, რომ ბევრი კეტი გადატეხილი იყო, ხოლო ჯარისკაცებმა მიიღეს მნიშვნელოვანი დაშავება, ზოგიერთს იარაღზე დაეჩნდა დამახინჯების კვალი...

9. გზაზე, ციხისაკენ მიმავალ დატყვევებულ სტუდენტებს არ შეუწყვეტიათ ლანძღვა ჯარისკაცებისა უკიდურესი უშვერი სიტყვებით. აღმართავდნენ რა ზემოთ კეტებს, ბედავდნენ წარმოეთქვათ ოფიცერთა დაშინების სიტყვები, უმატებდნენ... რომ იმათი სახელები ცნობილი იქნება მთელს ევროპაში, რადგან დაიბეჭდება „კოლოკოლში“ და რომ მთავრობის მოხელეები პასუხს აგებენ შთამომავლობის წინაშე სტუდენტებისათვის...“ [1]

იმავე 12 ოქტომბერს, საღამოს, ასეთი დიდი ბრძოლის შემდეგ, მზრუნველმა მოიწვია უნივერსიტეტის საბჭოს სხდომა. ამ დროს შენობის ქვედა სართული მთლიანად დაკავებული ჰქონდა ჯარის ნაწი-

---

[1] ЦГИАЛ, фонд 1405, опись 59, ед. хр. 6644, год 1861, стр. 1 — 26.

ლებს. სხდომას ესწრებოდა საზღვარგარეთიდან ახლად დაბრუნებული რექტორი პ. ა. პლეტნევი.

მზრუნველი კვლავ უნივერსიტეტის გახსნის საკითხზე დაპარაკობდა. საბჭოს წევრებს რჩევას თხოვდა, როდის და რა პირობებში გაეხსნათ უნივერსიტეტი, რომ სტუდენტთა ასეთი მღელვარება თავიდან აეცილებინათ. ამაზე პროფესორები: ანდრეევსკი და სტასულევიჩი მოახსენებენ: „გახსნას რას გვეკითხებით, როდესაც დახურვა არ გიკითხავთო“.

განრისხებული მზრუნველი ცდილობდა დაეტუქსა ასეთი მოწინააღმდეგეები, მაგრამ მზრუნველი შეაფერხა რექტორის პლეტნევის ვაჟკაცურმა გამოსვლამ. „Я двадцать с лишком лет, — აღნიშნავს პლეტნევი, — исправляю должность ректора, прошу довериться моей опытности. Никакие полицейские порядки не помогут...»

და როდესაც მზრუნველი უსვამს კითხვას რექტორს: რაა საჭირო იმისათვის, რომ წესრიგი დამყარდესო“, პლეტნევი გაბედულად უპასუხებს: «Отмены правил и передачи нам забот об усмирении студентов» [1].

რექტორის ასეთი გაბედული გამოსვლა საბჭომ ერთსულოვნად მოიწონა. შეურაცხყოფილმა მზრუნველმა დემონსტრაციულად დატოვა სხდომა. ცხადია, ამის შემდეგ პლეტნევი დიდხანს ვერ დარჩებოდა რექტორის თანამდებობაზე. დაპატიმრებულ სტუდენტთა საქმის შესასწავლად მთავრობამ გამოყო ორი კომისია. ერთ მათგანს ევალებოდა პეტრეპავლეს ციხეში, ხოლო მეორეს კრონშტადტის სიმაგრეში მოთავსებული სტუდენტების საქმის გამორკვევა.

უნივერსიტეტში ფაქტიურად ლექციები არ იკითხებოდა, მაგრამ განათლების მინისტრმა მაინც 20 ოქტომბერს მეორეჯერ ოფიციალურად დახურა უნივერსიტეტი. დაპატიმრებული სტუდენტები სასწრაფოდ გარიცხეს უნივერსიტეტიდან, ხოლო დანარჩენი ყველა სტუდენტი მექანიკურად გაირიცხა, ასე რომ ყველა მათგანს დაეგზავნა უნივერსიტეტიდან გარიცხვის საბუთი. ხოლო პროფესორების პროგრესულმა ნაწილმა დატოვა უნივერსიტეტი.

---

[1] Сочинения В. Д. Спасовича, т. IV, стр. 50—52.

პეტერბურგის უნივერსიტეტის სტუდენტთა მღელვარების გამოძახილი რუსეთის სხვა უნივერსიტეტებში

1861 წლის პეტერბურგის უნივერსიტეტის სტუდენტთა მოძრაობამ დიდი გავლენა მოახდინა რუსეთის სხვა უმაღლეს სასწავლებლებზე და მათ შორის მოსკოვის უნივერსიტეტზე.

მოსკოვის უნივერსიტეტი უძველესი უმაღლესი სასწავლებელია რუსეთში. დიდი ხანი არ არის მას შემდეგ, რაც მისი არსებობის 200 წლისთავი აღინიშნა.

ბევრი საზოგადო მოღვაწე და რევოლუციონერი აღზრდილა მის კედლებში.

სამოციან წლებში მოსკოვის უნივერსიტეტში დაახლოებით იმდენივე სტუდენტი სწავლობდა, რამდენიც პეტერბურგის უნივერსიტეტში[1].

1861 წელს სწავლა მოსკოვის უნივერსიტეტში ნორმალურად დაიწყო. «...не слышно было ни малейшего неудовольствия ни на правила... ни на новые распоряжения, словом, ни одного облачка не только грозового, но и дождевого не было видно на университетском горизонте»[2].

27 სექტემბერს მოსკოვის უნივერსიტეტში ოფიციალურად გამოცხადდა პეტერბურგის უნივერსიტეტის სტუდენტთა მოწოდება და ამ დღეს გაიგეს უნივერსიტეტის დახურვის ამბავიც, რასაც მოსკოვის უნივერსიტეტის სტუდენტთა დიდი მღელვარება მოჰყვა.

«По получении известия о беспокойствах в Петербургском университете, начались волнения. Письмо, присланное петербургскими студентами к здешним, было читано одним студен-

---

[1] 1860 — 1861 წლებში მოსკოვის უნივერსიტეტში სწავლობდა 1560 სტუდენტი. ფაკულტეტების მიხედვით: ისტორიულ-ფილოლოგიურზე 64, ფიზიკა-მათემატიკურზე 349, იურიდიულზე 427, სამედიცინოზე 720.

სოციალური მდგომარეობის მიხედვით ასე ნაწილდებოდა: თავადი და ჩინოვნიკი 1063, საეკლესიო წოდების 142, საპატიო მოქალაქე და ვაჭრები 134, მეშჩანი 136, რაზნოჩინცელები 44, გლები 22 და სხვები 19.

[2] Студенческие волнения в Москве в 1861 г. П. Д. Шестаков, стр. 221.

том в аудитории с кафедры, вследствие чего, когда инспектор... хотел принять меры для противодействия сходкам, был освистан»[1].

პეტერბურგის უნივერსიტეტის დაპატიმრებულ სტუდენტთა საქმის შემსწავლელმა კომისიამ გამოარკვია, რომ პეტერბურგის სტუდენტები დაკავშირებულნი იყვნენ მოსკოვის უნივერსიტეტთან და სხვა უმაღლეს სასწავლებლებთან.

მესამე განყოფილების კანცელარიაში აღმოჩენილი იქნა წერილი, რომელიც პეტერბურგელ სტუდენტს ლიმონოვს გაუგზავნია მოსკოვის უნივერსიტეტის სტუდენტებისათვის. წერილში ლაპარაკია პეტერბურგის უნივერსიტეტში მომხდარი აჯანყების, უნივერსიტეტის დაბურვისა და 25 სექტემბერს დემონსტრაციის მოწყობის შესახებ. ამ წერილის თაობაზე მესამე განყოფილების საიდუმლო საქმეებში წერია:

„მისი იმპერატორობითი უდიდებულესობის მესამე განყოფილების საკუთარი კანცელარიის მიერ ნაპოვნია მოსკოვის თეატრში პეტერბურგიდან ვიღაც ლიმონოვისაგან გაგზავნილი წერილი, რომელშიაც გადმოცემულია მთავრობის წინააღმდეგ მუქარა, რასაც ადგილი ჰქონდა 25 სექტემბერს სტუდენტთა არეულობის დროს პეტერბურგის უნივერსიტეტში. მოტანილია ამ დღეს შეკრებაზე წარმოთქმული ერთი სტუდენტის სიტყვა და წინადადებას იძლევა, რათა ეს წერილი წაეკითხოს ყველა ამხანაგს და გავრცელდეს შიგ მოთავსებული ცნობა მოსკოვის სტუდენტთა შორის“ [2].

ჩვენი აზრით, 27 სექტემბერს მოსკოვის უნივერსიტეტის აუდიტორიაში წაკითხული მოწოდება აქ დასახელებული ლიმონოვის წერილი უნდა იყოს, რომელიც ალბათ გაამრავლეს და თეატრშიაც გაავრცელეს.

აღსანიშნავია ისიც, რომ შინაგან საქმეთა სამინისტროს იმ დღესვე შეუტყვია პეტერბურგიდან მოსკოვში სპეციალური კაცის გაგზავნის შესახებ და ამის თაობაზე სასწრაფოდ უცნობებია მოსკოვის გენერალ-გუბერნატორისათვის. ხოლო მოსკოვის გენერალ-გუბერნატორს თავის მხრივ გაუფრთხილებია მზრუნველი და უნივერსიტეტის ადმინისტრაცია. მოსკოვის უნივერსიტეტის სტუდენტთა ინსპექტორი შესტაკოვი აღნიშნავს, რომ იგი გამოიძახეს და გააფრთხილეს „... რომ პეტერბურგის უნივერსიტეტი სტუდენტთა მღელვარების გამო დახურული, და რომ პეტერბურგის სტუდენტობამ გაგზავნა მოსკოვში ემისარი,

---

[1] Б. Козьмин, Из истории студенческого движения в Москве в 1861 году, стр. 23.

[2] ЦГИАЛ, фонд 1405, опись 54, дело 6638, год 1861, стр. 30.

მოსკოვის უნივერსიტეტის სტუდენტთა შორის უწესოების გასაღვიძებლად"[1].

პროფესორი ს. აშევსკი სამართლიანად შენიშნავს, რომ:

«Известие о закрытии Петербургского университета послужило искрой, которая зажгла горячие материалы, накопившиеся уже давно»[2].

პეტერბურგის გავლენაზე მიუთითებს მოსკოვის უნივერსიტეტის საბჭოს დადგენილებაც. ცდილობდნენ რა საბჭოს წევრები აეცილებინათ პასუხისმგებლობა მოსკოვის სტუდენტთა მოძრაობის შესახებ, ისინი ერთსულოვნად აღიარებდნენ, რომ მათთან სტუდენტთა „უწესოება" გამოიწვია პეტერბურგის უნივერსიტეტის დახურვამ და იქ მომხდარმა სტუდენტთა არეულობამ[3].

მართლაც, ამ დოკუმენტებთან ერთად, თვით მოსკოვის უნივერსიტეტის მღელვარების დასაწყისი ცხადყოფს პეტერბურგის უნივერსიტეტის გავლენას მოსკოვის სტუდენტებზე. მოსკოვის სტუდენტთა მოძრაობა 1861 წლის 27 სექტემბრიდან დაიწყო, და ეს ის დღეა, როდესაც მოსკოვის უნივერსიტეტის სტუდენტებმა ოფიციალურად შეიტყვეს პეტერბურგის უნივერსიტეტის დახურვისა და დემონსტრაციის მოწყობის ამბავი. ამ დღეს სტუდენტები შეიკრიბნენ უნივერსიტეტის აუდიტორიაში, სადაც სტუდენტმა გიჟიცკიმ საჯაროდ წაიკითხა პეტერბურგელთა მოწოდება. კრებამ სერიოზული ხასიათი მიიღო. ადგილზე გამოცხადდა ინსპექტორი, რომელმაც მოაგონა მათ კანონი კრებების აკრძალვის შესახებ, მაგრამ სტენით გამოაგდეს იგი აუდიტორიიდან. აუდიტორია ვერ იტევდა მღელვარე ახალგაზრდებს და კრება გადატანილი იქნა უნივერსიტეტის ბაღში. კრება ფაქტიურად დემონსტრაციად გადაიქცა: ორატორები მოითხოვდნენ დაპატიმრებული სტუდენტების განთავისუფლებას და პეტერბურგის უნივერსიტეტის გახსნას.

ამ დროს მოსკოვში ჩამოსული იყო ნიკოლოზ ალექსანდრეს ძე, სტუდენტებს სურდათ ესარგებლათ ამ შემთხვევით და გადაეცათ მეფის მემკვიდრისათვის ახალი წესების წინააღმდეგ პროტესტის ქაღალდი. მემკვიდრემ თანხმობა განაცხადა, რომ იგი მივიდოდა უნივერსიტეტში და მოესაუბრებოდა სტუდენტებს, მაგრამ მან დაპირება

[1] П. Д. Шестаков, Студенческие волнения в Москве, в 1861 г., стр. 209. იხ. აგრ. Н. Г. Сладкевич, Петербургский университет и общественное движение в России Л. Г. У. 1819—1944 г., Труды юбилейной научной сессии — секция исторических наук, 1948 г., стр. 119.

[2] «Современ. мир», № 10, стр. 56.

[3] А. А. Титов, Студенческие безпорядки в Московском университете 1861 году, стр. 11.

არ შეასრულა. სტუდენტებთან შეხვედრის დღეს ფარულად გაემგზავრა პეტერბურგისაკენ.

მღელვარე სტუდენტები იკრიბებოდნენ აუდიტორიებში, ხშირად მიტინგი იმართებოდა უნივერსიტეტის ბაღში, სადაც ორატორები პროტესტს აცხადებდნენ მთავრობის მოქმედების წინააღმდეგ. კითხულობდნენ პეტერბურგის სტუდენტების მიერ გამოგზავნილ პროკლამაციებსა და მოწოდებებს.

ამ საქმეში განსაკუთრებულ აქტივობას იჩენდნენ მოსკოვის უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის პირველი და მეორე კურსის სტუდენტები.

ინსპექტორი შესტაკოვი უძლური აღმოჩნდა, დაეწყნარებინა მღელვარე ახალგაზრდობა, ახლა უკვე საქმეში ჩაერია მთავრობის უმაღლესი წრეები. პირველი იერიში მიტანილი იქნა იურიდიული ფაკულტეტის სტუდენტებზე.

28 სექტემბერს განათლების მინისტრი მოსკოვის უნივერსიტეტის საბჭოს ასეთი შინაარსის მიმართვას უგზავნის:

«Г. Исправляющий должность инспектора студентов! От 28-го сего же сентября на 1-м и 2-м курсах юридического факультета происходили беспорядки и произносились речи. Несмотря на сделанное им лично, на основании правил, двукратное напоминание, беспорядки не прекратились. Поэтому правление университета, согласно составленным на основании Высочайшего повеления, правилам... для студентов и слушателей Московского университета. определило 1- и 2- курсы юридического факультета лишить прослушания лекций в течение года...»[1]

მართლაც, 28 სექტემბერს, მოსკოვის უნივერსიტეტის საბჭომ იურიდიული ფაკულტეტის პირველი და მეორე კურსი დახურა და გარიცხა ის სტუდენტები, რომლებმაც არ წარმოადგინეს სათანადო საბუთები სტუდენტთა მღელვარებაში მონაწილეობის მიუღებლობის შესახებ. ასეთი კი 302 სტუდენტიდან 97 აღმოჩნდა.

ამან კიდევ უფრო აღაშფოთა ახალგაზრდობა. ხუთასამდე სტუდენტი შეიჭრა უნივერსიტეტის საპროფესოროში და პირადი შეურაცხყოფა მიაყენეს მზრუნველ ისაკოვს. „Подлец, сын палача" უძახეს. ასევე პირადი შეურაცხყოფა მიაყენეს სიტყვიერების ცნობილ პროფესორს ზოდიანსკის და რუსეთის ისტორიის პროფესორს დიმიტრიევს.

4 ოქტომბერს პროფესორ გრანოვსკის საფლავზე გაიმართა დიდი მი-

---

[1] ГИАМО, фонд 418, опись 30, дело 637, год 1861, стр. 1.

ტინგი [1]. პოლიციამ იქაც ვერ დაშალა სტუდენტთა რიგები. დილით სტუ-დენტთა დიდი კოლონა უნივერსიტეტის ბაღიდან, კუზნეცკი მოსტის ქუჩით გაემგზავრა პიატნიცკის სასაფლაოზე, სადაც დასაფლავებული იყო პროფესორი გრანოვსკი. ადგილზე გაიმართა დიდი მიტინგი. ორა-ტორები აშკარად გამოდიოდნენ მთავრობის წინააღმდეგ. მოითხოვდნენ დაპატიმრებული ამხანაგების განთავისუფლებას და ახალი წესების შეცვლას. უცებ სასაფლაოზე გამოჩნდა კაზაკთა პოლკი, დიდძალი პო-ლიციელები და ჟანდარმერიის მებრძოლები. ამათთან ერთად იქვე გამოცხადდა თვით ობერპოლიცმეისტერი, მაგრამ ყოველივე ეს უშე-დეგო აღმოჩნდა, მათ ვერ შესძლეს მიტინგის ჩაშლა.

4 ოქტომბერს მოწყობილ სტუდენტთა დემონსტრაციისა და მი-ტინგის შესახებ უნივერსიტეტის საბჭოს დოკუმენტში აღნიშნულია: «Несколько дней спустя, студенты решились сделать демонстра-цию на могиле покойного профессора Грановского...

Толпа, состоявшая из около 300 студентов, двинулась из университетского сада на место погребения. Полиция была предупреждена. Около кладбища стояли казаки, жандармы, полицейская команда... Полицейские начальники стали отговаривать студентов от всяких изъявлений, в особенности от произнесения речей. Сам г. оберполицмейстер явился посреди толпы, но должен был немедленно удалиться. Речи были произнесены, некоторые весьма неумеренные студенты, несмотря на убеждения полиции, такою же сплошною массою возвратились в университет»[2].

სხვათა შორის, უნდა აღინიშნოს ისიც, რომ სტუდენტებზე დიდი გავლენა მოახდინა სამართლის პროფესორის ჩიჩერინის ლექციამ გრა-

---

[1] ტიმოთე ნიკოლოზის ძე გრანოვსკი (1813 — 1855) გამოჩენილი რუსი მეცნიერი და საზოგადო მოღვაწე, მოსკოვის უნივერსიტეტის ზოგადი ისტორიის კათედრის პროფესორი. 1839 წლიდან ამ თანამდებობაზე იმყოფებოდა სიკვდილამდე. აქტიური მონაწილე იყო მე-19 საუკუნის 30 — 40-იანი წლების რევოლუციური მოძრაობისა. მონაწილეობდა სტანკევიჩის წრეში. იგი აქტიურად იბრძოდა ცარიზმის დესპოტიზმისა და ფეოდალიზმის შაებნელი რეაქციის წინააღმდეგ. იყო ბელინსკისა და გერცენის უახლოესი თანამებრძოლი და მეგობარი, მაგრამ გრანოვსკი ვერ ამაღ-ლდა რევოლუციური დემოკრატიზმის პრინციპამდე.

გრანოვსკის პროგრესულ აზროვნებას, განსაკუთრებით მის მგზნებარე ლექციებს, დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ახალგაზრდობის იდეურად აღზრდის საქმეში.

გერცენი წერდა: „გრანოვსკიმ მოახდინა დიდი გავლენა რუსეთის მოწინავე ლი-ტერატურაზე და თავისი დროის ახალგაზრდა თაობაზე...“ (БСЭ, т. 12. стр. 447).

[2] А. А. Титов, Студенческие беспорядки в Московском университете в 1861 году, стр. 15.

ნოვსკის შესახებ. 28 სექტემბერს, სტუდენტთა მღელვარების დროს, ჩიჩერინი აუდიტორიაში აღფრთოვანებით ლაპარაკობდა გრანოვსკის დამსახურებისა და მისი პიროვნების სიდიადეზე. მართალია, თვით პროფესორი ჩიჩერინი არ თანაუგრძნობდა რევოლუციონერ სტუდენტებს, მაგრამ მისმა ლექციამ უდავოდ ბიძგი მისცა ახალგაზრდობის მოძრაობას, გრანოვსკის საფლავზე მიტინგისა და დემონსტრაციის მოწყობის საქმეს [1].

განათლების სამინისტრო ხედავდა, რომ ბრძოლის ცეცხლი ყველა უმაღლეს სასწავლებელს მოედო და მისი ჩაქრობა არც ისე იოლი საქმე იყო. ამდენად მინისტრი და მზრუნველი ცდილობდნენ ერთგვარ დათმობაზე წასულიყვნენ.

რადგან აღმოჩნდა, რომ იურიდიული ფაკულტეტის მსმენელთა დიდმა ნაწილმა წარმოადგინა 27 სექტემბრის მღელვარებაში მონაწილეობის მიუღებლობის შესახებ დოკუმენტები, განათლების სამინისტრომ გადაწყვიტა იურიდიული ფაკულტეტის პირველი და მეორე კურსის აღდგენა. ამის თაობაზე, განათლების სამინისტრო, 10 ოქტომბრის თარიღით, მოსკოვის უნივერსიტეტის საბჭოს ასეთი ხასიათის მიმართვას უგზავნის:

«В Совет Императорского Московского университета.

Присутствию правления университета Г. Исправляющий должность инспектора студентов 9-го октября доложил список студентов и слушателей 1-го и 2-го курсов юридического факультета, заявивших ему о своем неучастии в произведенных теми курсами 27-го минувшего сентября в новом доме университета безпорядках, вследствие которых по определению правления университета, состоявшемуся 28-го минувшего сентября, означенные курсы закрыты...

Так-как из числа 302 студентов и слушателей 1-го и 2-го курсов юридического факультета, большая половина их, и именно, 205 человек заявило о своем неучастии в безпорядках 27-го минувшего сентября, то правление полагает, что означенные курсы могут быть ныне открыты снова для чтения лекций..., и слушателей 1-го и 2-го курсов юридического факультета, заявивших о своем неучастии в безпорядках, допустить к слушанию лекций...

...О таковом постановлении своем правление университета имеет честь уведомить совет университета для зависящих распоряжений об исключении из списков учащихся остальных студен-

[1] ამის შესახებ დაწვრილებით იხილეთ Барсуков, Жизнь и труды М. П. Погодина, 1904, стр. 260 — 263.

тов и слушателей 1-го и 2-го курсов юридического факультета, не заявивших своего неучастия в беспорядках 27-го числа минувшего сентября...»[1]

განათლების სამინისტრომ ამ საბუთების საფუძველზე აღადგინა ლექციები იურიდიული ფაკულტეტის პირველ და მეორე კურსზე, ხოლო დემონსტრაციაში აქტიური მონაწილე სტუდენტები გარიცხეს სხვა უმაღლეს სასწავლებელში შესვლის უფლების ჩამორთმევით. საარქივო დოკუმენტებში წარმოდგენილია გარიცხულ სტუდენტთა სიები და ჩამოთვლილია მათი გვარი და სახელი[2]. გარიცხულთა შორის დასახელებულია იურიდიული ფაკულტეტის პირველი კურსის სტუდენტი ევგენი გიჟიცკი, რომელმაც საჯაროდ წაიკითხა აუდიტორიაში პეტერბურგის უნივერსიტეტის სტუდენტთა მოწოდება და მეოთხე კურსიდან ალექსანდრე კრიჟოვი, რომელსაც აქტიური მონაწილეობისათვის წილად ხვდა დაპატიმრება[3].

მიუხედავად ასეთი რეპრესიებისა, სტუდენტთა მოძრაობა მაინც თავისი გზით მიდიოდა.

11 ოქტომბერს სტუდენტთა დიდი ჯგუფი შეიჭრა პროფესორ აშევსკის ლექციაზე და აიძულა პროფესორი და მსმენელები დაეტოვებინათ აუდიტორია. ამას შედეგად მოჰყვა იმ ღამითვე გენერალ ისაკოვის განკარგულებით სტუდენტთა დიდი ჯგუფის დაპატიმრება. 12 ოქტომბერს დიდძალმა ახალგაზრდობამ მოიყარა თავი უნივერსიტეტის ეზოსა და აუდიტორიებში. ისინი მოითხოვდნენ დაპატიმრებული ამხანაგების განთავისუფლებას, მაგრამ როდესაც მზრუნველისაგან უარყოფითი პასუხი მიიღეს, გადაწყვიტეს მიემართათ მოსკოვის სამხედრო გენერალ-გუბერნატორისათვის. ამ მიზნით სტუდენტთა დიდი კოლონა დაიძრა ტვერის მოედნისაკენ, გენერალ-გუბერნატორის ბინისაკენ. პროცესია შეჩერდა გუბერნატორის სახლის აივნის წინ. მათ ბინაზე გაგზავნეს ოთხი დეპუტატი, რომელთაც უნდა მოეთხოვათ სტუდენტების სახელით დაპატიმრებული ამხანაგების განთავისუფლება. ჯერ კიდევ დეპუტატები არ იყვნენ დაბრუნებულნი, რომ უეცრად სტუდენტებს თავს დაესხნენ ცხენოსანი და ქვეითი პოლიციელები. მოხდა შეტაკება სტუდენტებსა და პოლიციელებს შორის. სამასამდე სტუდენტი ცემით შერეკეს პოლიციის უახლოესი უბნის ეზოში[4].

პოლიციელების უხეში დამოკიდებულების შესახებ საარქივო დოკუმენტში აღნიშნულია: „ტვერის მოედანზე და ქუჩაზე დაპატიმრე-

---

[1] ГИАМО, фонд 418, опись 30, дело 637, год 1861, стр. 8.

[2] იქვე, გვ. 141 — 148.

[3] იქვე. გვ. 149.

[4] «Совр. мир», 1907 г., № 10, стр. 54.

ბულ» სტუდენტების ცემა-ტყეპას საზღვარი არ ჰქონდა. პოლიციის ეზოში შერეკილი სამასამდე სტუდენტი ...იმყოფებოდა ღია ცის ქვეშ, ჯარისკაცების მეთვალყურეობით საღამოს 10 საათამდე. ნაცემი, დაჭრილი და ავადმყოფი სტუდენტები მთელი დღე ეყარნენ ეზოში, „მხოლოდ გვიან საღამოს, ცხენოსანთა ძლიერი ძალით პატიმრები გაანაწილეს ცალკე პოლიციის განყოფილებების მიხედვით და მოათავსეს ვიწრო კამერებში“ [1].

ტვერის ქუჩაზე დემონსტრაციის შესახებ საბჭოს სხდომის ოქმში, დაახლოებით იგივეა აღნიშნული, რაც სხვა დოკუმენტებში.

«...студенты отправились к г. Военному Генерал-Губернатору. Толпа была многочисленная, но часть ея отделилась и на Тверскую площадь прибыло около 300 человек...»[2]

12 ოქტომბერს მომხდარ ისტორიულ ფაქტს გამოეხმაურა გერცენის „კოლოკოლი“. „კოლოკოლში“ მოთხრობილია სტუდენტების მიმართ ჯარისკაცების უხეში მოქმედების შესახებ.

„მეწინავე ჟანდარმები, რომელთაც წინ მოუძღოდათ ოფიცრები, სახეში სცემდნენ ახლო მდგომ სტუდენტებს. ამას ვერ ითმენდნენ სტუდენტები და სამაგიეროს პასუხობდნენ. ამან კიდევ უფრო გაამხეცა ჟანდარმები და მოზღვავდა ახალი ჯგუფი მაუდიანი რაინდებისა... მუშტებით, თოფის კონდახზე ორპირიანი მახვილებით, დანებით, მარჯვნიდან, ზურგიდან, მარცხნიდან ცემდნენ სტუდენტებს. მერე, როგორც მხეცები, ისინი შერეკეს მახეში... გაქცეულ სტუდენტებს გამოედევნენ ჟანდარმები და ცემდნენ უკიდურესამდე, ზურგში, კისერში, ერთი სიტყვით, სადაც კი მოხვდებოდათ. სტუდენტებს, რომლებიც თავს იცავდნენ, ესხმოდნენ ეს ადამიანის ჯირები, ხუთი ერთს და აქ უკვე ნუ იკითხავთ შებრალებას“[3].

ი. ს. აკსაკოვის გადმოცემით [4] დიდი შეჯახება მოხდა ტვერის მოედანზე სტუდენტებსა და ჯარისკაცებს შორის, რის შედეგად რამდენიმე მძიმედ დაიჭრა, ხოლო ორასი სტუდენტი დააპატიმრეს და შერეკეს პოლიციის უბნებში [5].

---

[1] «Совр. мир», 1907 г., № 10, стр. 57.

[2] А. А. Титов, Студенческие беспорядки в Московском университете, в 1861 году, стр. 16.

[3] «Колокол», 1862 г., № 128, 8 апреля.

[4] ივანე სერგის ძე აკსაკოვი (1823 — 1886) ცნობილი რუსი პუბლიცისტი, შვილი მწერალი სერგი ტიმოთეს ძე აკსაკოვისა და ძმა კონსტანტინე სერგის ძე აკსაკოვისა. დაგვიანებული სლავიანოფილი. თანამშრომლობდა სხვადასხვა ჟურნალ-გაზეთში. იცავდა ლიბერალურ პოზიციას. — კ. მ.

[5] И. С. Аксаков, т. IV, стр. 183—185.

ტვერის მოედანზე მომხდარი ამბის შესახებ საინტერესო ცნობებია გადმოცემული სოფიო ნიკიტას ასული ბიბიკოვას პირად ბარათებში [1].

იგი წერს: „ღვთის წყალობით ახლობელთაგან და ნაცნობთაგან არავინ დაშავებულა და დაზიანებულა მოსკოვის უნივერსიტეტის საშუხარო ამბის დროს... იქერდნენ გამვლელ სტუდენტს... პირველად შეაგროვეს 500 კაცი... კლინიკაში წაიყვანეს ორი მძიმედ დაჭრილი, გარდა ამისა, რიცხვი დაშავებულებისა და გათელილებისა აღწევდა 20-მდე“.

მეორე წერილში იგივე სოფიო ბიბიკოვა წერს, რომ სტუდენტები გარიცხეს უნივერსიტეტიდან. ხოლო სტუდენტი კრიჟოვის შესახებ აღნიშნავს: „კრიჟოვი ალექსანდრე მიხეილის-ძე მღელვარების ერთ-ერთი ხელმძღვანელთაგანი და დეპუტაციის წევრი, არეულობის დროს მძიმედ დაშავდა ფიზიკურად“ [2].

სოფიო ბიბიკოვას წერილის სინამდვილეს ადასტურებს თვით კრიჟოვსკის ბარათი, საავადმყოფოდან გაგზავნილი ტვერის გუბერნიის თავადაზნაურთა წინამძღოლის ვ. დ. ბოვეინისადმი.

წერილი საინტერესოა იმითაც, რომ აქ ყველა ზემოთ მოტანილ დოკუმენტებზე უფრო ვრცლად არის აღწერილი 12 ოქტომბრის ისტორიული ამბავი. მოგვაქვს ზოგიერთი ადგილი ამ დოკუმენტიდან: „ჟანდარმები... მოქმედებდნენ ხმლებითა და მუშტებით. ჩემი თვალის წინ სტუდენტი სეროსეკი გაგლეჯილი სახით დაეცა მიწაზე და გასისხლიანებული წაიყვანეს ტვერის მოედანთან კერძო სახლის ეზოში... ორი ჟანდარმი მეცა პალტოს საყელოში ხელებით, და როცა მე დავუწყე რწმუნება მათ, რომ ეს უშედეგოა, მე თვით ჩემი ნებით წამოვალთქო, მაშინ პასუხის მაგიერ ერთმა მათგანმა, წესრიგის დამცველმა, ძლიერ მაგრად დამკრა მკერდის ქვედა ნაწილში ხმლის ტარის თავი და დამიყვირა: „წამოდი“, მაგრამ ასეთი დარტყმის შემდეგ იგი იძულებული გახდა წაველე მე. კერძო სახლის ეზოში მოსულმა ექიმმა, იმისათვის რათა დახმარებოდა ძლიერ დაშავებულებს, შემამჩნია მეც, რომ ღია ცის ქვეშ ჩემი დატოვება არ შეიძლებოდა, რადგან ნაღვლის ძლიერი ჩაქცევა მქონდა და ნამდვილად ვგრძნობდი განსაკუთრებულ სისუსტეს და ტკივილებს. მაგრამ მე მაინც არ გამიშვეს საავადმყოფოში, იმიტომ რომ ფიქრობდნენ კომისია დაკითხვის შემდეგ გამანთავისუფლებდა... საღამოს, დაახლოებით 5 საათზე, მე გამომიძახეს — კომისიაში, რომლის პრეზიდენტი იყო გ. სავე-

---

[1] სოფიო ნიკიტას ასული ბიბიკოვა (1820 — 1892) არის ქალიშვილი დეკაბრისტის ნიკიტა მიხეილის ძე მურავიოვისა. — კ. მ.

[2] «Каторга и ссылка», 1930 г., № 5 (66), Москва, стр. 115—116. იხ. აგრ. Сергей Гессен, Студенческая демонстрация в Москве в 1861 году, стр. 104 — 105.

ლიევი. ის დაკითხვის შემდეგ სტუდენტებს ან გაუშვებდა, ან აპატიმრებდა თავისი შეხედულებით, რომელიც არ აქცევდა ყურადღებას იმას, თუ რას პასუხობდნენ და რას წერდნენ... მან მე შომცა რამდენიმე უცნაური კითხვა... შემდეგ გასცა განკარგულება ჩემი დაპატიმრებისა... მესამე დღეს მე სავსებით ავადმყოფი გამაგზავნეს კლინიკაში... არ შემიძლია ჩუმად ვიყო იმის შესახებ, რომ ტვერის კერძო სახლის კაზემეტებში პატიმარ სტუდენტებს ორი დღის განმავლობაში არ მიუღიათ არავითარი საჭმელი... ორ დღედაღამეში ვიყავი ტიფოზურ მდგომარეობაში... ვთხოვე გავეწერე საავადმყოფოდან, ვიმედოვნებდი, რომ ახლად დამტკიცებული კომისია გამომიძახებდა და გამათავისუფლებდა... მაგრამ მოსკოვის კომისიამ არ მიიღო ანგარიშში, რომ მე ახალგამოსული ვიყავი საავადმყოფოდან და დამამწყვდიეს ისევ ციხეში... ციხის ფანჯრის მინები ჩამტვრეული იყო და ქარი არ იძლეოდა საშუალებას სანთელი აგვენთო. ვინღა ჩიოდა სიცივეს, ... შემდეგ გადამიყვანეს პრეჩისტენკის უბანში, სადაც მდგომარეობა უკეთესი იყო კომისიის წევრების წყალობით და ამხანაგებისა და საზოგადოების შემოწირულების საშუალებით... 4 ნოემბერს გენერალ-გუბერნატორის განკარგულებით განთავისუფლებული ვიყავი სამკურნალოდ მშობლების თავდებობის ქვეშ“ [1].

მალე მოსკოვის უნივერსიტეტის სტუდენტებმა პროკლამაციაც გამოსცეს, რომელშიაც მოთხრობილია 12 ოქტომბრის ისტორიული ფაქტები და დაგმობილია მთავრობის სამარცხვინო მოქმედება სტუდენტთა წინააღმდეგ, რომ შეიარაღებული ჯარისკაცები და პოლიციელები სცემდნენ უიარაღო სტუდენტებს. პროკლამაციის ავტორები დასძენენ: «Пусть узнают они, как велика сила безоружных, испытают на себе все правительственные оплеухи“.

პროკლამაცია თავდება სიტყვებით:

Браво студенты!
Подлецы полиция.

Подлецы полиция,
Браво студенты,

Вон Сычинский![2]

---

[1] Революционное движение 60-х годов, сборник под редакцией Горева, Москва, 1932 г., стр. 27, — 31.

[2] ი ქ ვ ე, გვ. 32 — 37. სიჩინსკი იყო მოსკოვის ობერპოლიცმეისტერი, რომელიც ხიმკაცრეს იჩენდა სტუდენტებისადმი. —კ. ბ.

13 ოქტომბერს კიდევ უფრო მეტი რაოდენობით გამოცხადდნენ სტუდენტები უნივერსიტეტში. ადმინისტრაცია ცდილობდა მათ დაწყნარებას, მაგრამ ახალგაზრდობა თავისას არ იშლიდა. ბოლოს, როდესაც სტუდენტებმა ადგილობრივი ხელისუფლებისაგან გადამწყვეტი პასუხი ვერ მიიღეს, იძულებული გახდნენ უშუალოდ იმპერატორისათვის მიემართათ. სტუდენტთა დელეგაცია, სათანადო პეტიციით ხელში, გაემგზავრა „ცარსკოე სელოში“ ალექსანდრე მეორესთან.

სტუდენტები მოითხოვდნენ დაპატიმრებულების დაუყოვნებლივ განთავისუფლებას, სალაროების, სათვისტომოებისა და სხვა ორგანიზაციების აღდგენასა და უნივერსიტეტის ახალი წესდების გაუქმებას. იმპერატორი იძულებული გახდა ნაწილობრივ მაინც დაეკმაყოფილებინა ახალგაზრდობის მოთხოვნა. დაპატიმრებულთა დიდი ნაწილი გაათავისუფლეს, ხოლო მოძრაობის ხელმძღვანელები გადაასახლეს შორეულ გუბერნიებში. ასეთი ბედი ეწია მოსკოვის უნივერსიტეტის სტუდენტებს: გ ი ე ი ც კ ი ს, ვ ო ი ნ ა რ ს კ ი ს და სხვებს. უნივერსიტეტიდან გარიცხეს 15 კაცი, დანარჩენებმა მოიხადეს სხვადასხვა სახის სასჯელი[1]. გარიცხულ სტუდენტებს უნივერსიტეტის ადმინისტრაციამ მისცა ასეთი საბუთები (სანიმუშოდ მოგვაქვს ერთი ასეთი მოწმობა):

«Свидетельство от императорского Московского университета бывшему студенту юридического факультета 2-го курса, из дворян, Николаю Хрущеву, в том, что он, окончив полный курс учения в Пензовской гимназии в августе месяце 1860 года, принят был, без экзамена в число студентов сего университета, где в течение 1860 — 1861 академического года слушал профессорские лекции 1-го курса, а в настоящем 1861 — 1862 академическом году допущен был к слушанию лекций 2-го курса, а ныне, за участие в безпорядках, произведенных студентами Московского университета в сентябре и октябре месяцах сего года, исключен на один год с правом снова вступить в число студентов по представлении удовлетворительного свидетельства о своем поведении за время небытности в университете...»[2]

ყველა ეს დოკუმენტი ნათლად ამტკიცებს იმას, რომ მოსკოვის უნივერსიტეტის სტუდენტთა მღელვარება მნიშვნელოვანი მოვლენა იყო სამოციანი წლების რუსეთის რევოლუციური მოძრაობის ისტორია-

---

[1] «Соврем. мир», 1907 г., № 10, стр. 58.

[2] ГИАМО. фонд 418, опись 30, дело 637, год 1861, стр. 69.

ში. იგი განვითარდა პეტერბურგის სტუდენტთა გავლენით და პეტერბურგის ცენტრის უშუალო ხელმძღვანელობით. ამას ადასტურებს მოსკოვის უნივერსიტეტის სტუდენტთა მოძრაობის თანმიმდევრობითი ხასიათი პეტერბურგის სტუდენტთა მოქმედებასთან და 12 ოქტომბრის სტუდენტთა მასობრივი დაპატიმრებები პეტერბურგსა და მოსკოვში.

პეტერბურგისა და მოსკოვის შემდეგ, 1861 წლის შემოდგომაზე, სტუდენტთა დიდი მღელვარება დაიწყო ყაზანის უნივერსიტეტში. ამას იმანაც შეუწყო ხელი, რომ ბეზდნაში მომხდარი ისტორიული ფაქტი ჯერ კიდევ არ იყო დავიწყებული. იქ დაღვრილი მშრომელთა სისხლი ჯერ კიდევ არ შეშრობოდა მიწას. შაპოვის თანამებრძოლებს ჯერ კიდევ ხელში ეკავათ ბრძოლის იარაღი მაშინ, როდესაც პეტერბურგისა და მოსკოვის ქუჩებში რევოლუციური მოძრაობის ხანძარმა იფეთქა.

ყაზანის უნივერსიტეტის მოწინავე სტუდენტები იკრიბებოდნენ აუდიტორიებში, კამათობდნენ და მსჯელობდნენ პოლიტიკურ საკითხებზე, კითხულობდნენ პეტერბურგის სტუდენტთა პროკლამაციებს და შოწოდებებს.

უნივერსიტეტის ადმინისტრაციას, აშინებდა რა ბეზდნას ამბებთან დაკავშირებული სტუდენტთა მღელვარება, 8 ოქტომბრის საბჭოს სხდომაზე გამოაქვს დადგენილება: „შეწყვეტილ იქნას დროებით ლექციები სიმშვიდის დამყარებამდე“. ხოლო იმავე საღამოს უნივერსიტეტის შენობა დაიკავეს ჯარის ნაწილებმა, რომელსაც მეთაურობდა მაიორი ვერბიცკი [1].

მეორე დღეს, 9 ოქტომბერს, სტუდენტები გამოცხადდენ მზრუნველთან და მოითხოვეს ახსნა-განმარტება უნივერსიტეტის დახურვის გამო. მაგრამ მზრუნველმა ვერ დააკმაყოფილა სტუდენტთა მოთხოვნა. ამის შემდეგ ახალგაზრდები ყოველდღიურად იკრიბებოდნენ უნივერსიტეტის ეზოში, ქუჩაში და აწყობდნენ დემონსტრაციებსა და მიტინგებს, რის გამო სპეციალურმა კომისიამ, რომელსაც ევალებოდა დამნაშავე სტუდენტების საქმის შესწავლა, უნივერსიტეტიდან გარიცხა 66 სტუდენტი. მათ შორის შემდეგში ცნობილი საზოგადო მოღვაწეები: ე ლ პ ი დ ი ნ ი (ენენვაში ცნობილი გამომცემელი) და კარაკოზოვი [2].

---

[1] «Совр. мир», 1907 г., № 10, стр. 63.

[2] დიმიტრი ელადიმერის ძე კარაკოზოვი (1840 — 1866) რუსი რევოლუციონერი. მოსკოვიდან იგი სამოღვაწეოდ გადადის პეტერბურგში. იქ მან გამოსცა პროკლამაცია სახელწოდებით „Друзьям рабочим“. 1866 წლის 4 აპრილს კარაკოზოვმა საზაფხულო ბაღთან ესროლა ალექსანდრე მეორეს. ააცილა. იქვე დააპატიმრეს. 31 აგვისტოს უმაღლესმა სასამართლომ მას მიუსაჯა სიკვდილით დასჯა. 3 სექტემბერს ჩამოახრჩვეს პეტერბურგში სმოლენსკის მოედანზე საჯაროდ. — კ. ბ.

შეიძლება ითქვას, რომ ყაზანის სტუდენტთა მოძრაობა თავისი დიაპაზონით ისეთი არ იყო, როგორც პეტერბურგისა და მოსკოვის, მაგრამ ერთი კი ფაქტია, რომ ყაზანის სტუდენტთა მღელვარებას დიდი კვალი დააჩნია ბეზდნას ამბებმა.

«Если в Харьковском и Киевском университетах мы наблюдаем стремление студенчества к политическим организациям и к выступлению на поприще общественного служения родине, то в Казанском университете в 1861 г. замечается повышенное настроение умов учащейся молодежи, в связи с известными читателям, даже кровавыми событиями в с. Бездне»[1]

მსგავსი ამბები ხდება კიევისა და ხარკოვის უნივერსიტეტებში. 9 ოქტომბერს კიევის უნივერსიტეტის სტუდენტები შეიკრიბნენ უნივერსიტეტის ეზოში. გაიმართა მიტინგი და მოეწყო დემონსტრაცია. ადმინისტრაციამ სტუდენტების შიშით დაკეტა უნივერსიტეტის კარები, მაგრამ მეორე დღეს ახალგაზრდებმა ძალით შეამტვრიეს იგი, შეიჭრნენ სხდომის დარბაზში. კედლიდან ჩამოიღეს ჩარჩო, რომელშიაც უნივერსიტეტის ახალი წესდება იყო გამოკრული და ადმინისტრაციის წინაშე დაანარცხეს მიწაზე.

სტუდენტთა მღელვარებას აგრეთვე ადგილი ჰქონდა ხარკოვის უნივერსიტეტში [2].

პეტერბურგის უნივერსიტეტის სტუდენტთა მოძრაობამ. ცოტად თუ ბევრად, გამოძახილი ჰპოვა რუსეთის სხვა უნივერსიტეტებშიაც. უნდა ითქვას, რომ უნივერსიტეტებმა დიდი როლი ითამაშეს მე-19 საუკუნის სამოციანი წლების რევოლუციური აზროვნების ზრდისა და განვითარების საქმეში. ისინი ტონის მიმცემნი იყვნენ ყოველივე მოწინავისა და პროგრესულის.

«Что касается Петербургского университета, то он в своем оппозиционном настроении наиболее резко проявил себя студенческой историей осенью 1861 года, которая послужила как бы сигналом к возникновению студенческих беспорядков и явилась своего рода эрою в жизни наших высших учебных заведений»[3].

---

[1] «Истор. вестник», т. CXIII, стр. 223.

[2] ლუკვრილებით იხილეთ ნ. ნ. მაზურენკოს წერილი: Первая Харьковская университетская история. «Истор. вестник», 1907 г., сентября.

[3] «Истор. вестник», т. CXIII, 1908 г., стр. 226.

პეტერბურგის უნივერსიტეტის დაპატიმრებულ სტუდენტთა საქმის გამოძიება და სასჯელი

როგორც აღნიშნული იყო, დაპატიმრებულ სტუდენტთა საქმის შესასწავლად გამოყოფილი იყო ორი კომისია. ერთ მათგანს ევალებოდა პეტრეპავლეს ციხეში და მეორეს კრონშტადტში მოთავსებულ პატიმარი სტუდენტების საქმის გამოკვლევა.

სხვა ცნობით, ერთ კომისიას უნდა გაერჩია სექტემბერ-ოქტომბრის თვეში, 12 ოქტომბრამდე, ხოლო მეორე კომისიას 12 ოქტომბერს დაპატიმრებულ სტუდენტთა საქმე. კომისიებში. უნივერსიტეტიდან შედიოდნენ პროფესორები: ნიკიტენკო, გორლოვი და ანდრეევსკი [1].

კომისიას ხელმძღვანელობდა შინაგან საქმეთა სამინისტროს საიდუმლო მრჩეველი პუშჩინი.

«Для разбирательства степени виновности этих лиц... была учреждена комиссия под председательством состоящего при Министерстве Внутренних дел тайного советника Пущина»[2].

სტუდენტთა მასობრივი დაპატიმრება 12 ოქტომბერს მოხდა, ხოლო მათი ბინების გაჩხრეკა მეორე დღიდანვე დაიწყო. გაჩხრეკის დროს აღმოჩნდა პროკლამაციები, აკრძალული წიგნები, „კოლოკოლის“ და „სოვრემენიკის“ ნომრები და სხვა ლიტერატურა. უბნის რეგვენი ზედამხედველები და ბოქაულები ამის შესახებ აღგენდნენ აქტებს.

ქართველი სტუდენტების: ნ. ნიკოლაძის, კ. ლორთქიფანიძის, გ. წერეთლის, დ. აბდუშელიშვილის, გ. ჯავახიშვილის და სხვათა ბინები 16 ოქტომბერს, დაპატიმრებიდან 4 დღის შემდეგ, გაჩხრიკეს; გაჩხრეკის დროს საეჭვო არაფერი აღმოჩენილა. ცხადია, თუ სხვა არა „კოლოკოლისა“ და „სოვრემენიკის“ ნომრები მაინც ექნებოდათ მათ, მაგრამ თავისუფლად დარჩენილი ამხანაგები ოთხი დღის განმავლობაში ასეთის გადამალვას მოახერხებდნენ.

ციხეში სტუდენტები დიდხანს იმყოფებოდნენ დაკითხვისა და გამოძიების გარეშე, თუმცა კრონშტადტის პატიმრები არხეინად გრძნობდ-

---

1 «Русская старина», 1906 г., № 11, стр. 77—82.

2 ЦГИАЛ. фонд 1405. опись 59. ед. хр. 6644. год 1861, стр. 1—26.

ნენ თავს და მაინცდამაინც დიდად არც კი აწუხებდათ გამოძიების დაგვიანებით დაწყება, მაშინ როდესაც პეტრეპავლეს ციხეში მყოფნი მკაცრ საციხო რეჟიმში იმყოფებოდნენ და სხვა მხრივადაც ცუდი პირობები ჰქონდათ შექმნილი. მათ ცუდად კვებავდნენ. დღიურად კვებისათვის მხოლოდ 7-დან 10 კაპიკამდე იხარჯებოდა. კრონშტადტში კი მაძღრად იკვებებოდნენ სტუდენტები [1].

პეტრეპავლეს ციხის შესახებ ნ. ნიკოლაძე წერს: „მაინც ამ ობმოკიდებულ კაზემატებში, სადაც წმინდა ანტონის საჭმლით ვიკვებებოდით, კვირაზე მეტი არ დავრჩენილვართ, თორემ უთუოდ დავსნეულდებოდით“ [2]. ხოლო კრონშტადტში, იმავე ნ. ნიკოლაძის გადმოცემით, ნამდვილი შვება და თავისუფლება იგრძნეს პატიმრებმა. აქ ისინი მართავდნენ კონცერტებს, ლიტერატურულ საღამოებს, პატიმრებს თავიანთი არჩეული კომიტეტი ჰყავდათ, რომელიც განაგებდა საერთო საქმეებს, იკვებებოდნენ კარგად და სხვა.

„...ჩვენ 240 ტუსაღმა დავაარსეთ ჩვენი რესპუბლიკა, არჩეული მთავრობით. მთავრობას ყოველ კვირა უნდა ჩაებარებინა ანგარიში ჩვენი საერთო ყრილობისათვის, რომელიც იკრიბებოდა ცალკე პალატაში. ჩვენ ცარიელად გვქონდა დატოვებული ერთი ოთახი — „საზოგადო ზალა“ როგორც ასეთი ყრილობისათვის, ისე კონცერტებისათვის, სალიტერატურო-სადეკლამაციო საღამოებისათვის, სანიმუშო სასამართლოებისათვის და სხვა... კრონშტადტის მანდილოსნებმა დიდის სიამოვნებით გვათხოვეს ორი ფორტეპიანო და მუსიკის მოყვარულნი უკრავდნენ მასზე მორიგეობით. ფორტეპიანოები ჩვეულებრივ ყაზარმის განყოფილებებში იდგა, მაგრამ კონცერტების დროს ისინი საზოგადო „ზალაში“ გადაგვქონდა, სადაც წესისამებრ გამართული იყო ჩვენი დუქანი პაპიროსით, ტკბილეულობით და სხვა ასეთებით, მას ცალკე არჩეული კომიტეტი განაგებდა... დილით და საღამოთი გვაძლევდნენ ჩაის თუნუქის კრუშკებით და შუადღისას სადილს, ორ თავს. კვირაობით კი კრონშტადტის მანდილოსნები რეგულარულად გვიზიდავდნენ მშვენიერ სადილს შესანიშნავი დესერტის დართვით“ [3].

ნ. ნიკოლაძეს ამ ცნობას ადასტურებს სოროკინის მოგონებაც. მისი თქმით: „სტუდენტები იყვნენ მოთავსებულნი დიდ საერთო ოთახებში. სეირნობდნენ ბაღში. იკვებებოდნენ საკმაოდ მაძღრისად. ამას გარდა,

[1] ЦГИАЛ, фонд управления коменданта СПБ крепостью, 1861 г., № 237. «О заключении в казематы СПБ крепости студентов СПБ университета и друг. лиц». стр. 17. იხ. აგრეთვე Т. В. Вольфсон, Петербургские студенты в Петропавловской и Кронштадской крепостях в 1861 г., «Вестник Ленинградского университета», № 1, 1949 г., стр. 133—134.

[2] ნ. ნიკოლაძე, ტ. I, გვ. 112.

[3] იქვე, გვ. 114.

ნათესავებს, ყოველგვარი შეზღუდვის გარეშე, ჰქონდათ უფლება გამოეგზავნათ პატიმრებისათვის ყველაფერი. ყოველ კვირას ორჯერ, ოთხშაბათსა და კვირას, იმართებოდა ნათესავებთან შეხვედრა „ციხის" კომენდანტის ბინაზე, რომელიც იმ დღეს გადაიქცეოდა რომელიღაც უზარმაზარ რესტორნად მოქეიფე ახალგაზრდებისა. ჰქონდათ ჟურნალები და გაზეთები. დილაობით სტუდენტები კითხულობდნენ და მეცადინეობდნენ, ხოლო ნასადილევს აწყობდნენ ვოკალურ ვარჯიშს, დრამატიულ სცენებს და ზოგჯერ თხზავდნენ მთელ ოპერას, რომლის მუსიკას ქმნიდნენ იმ დროს საინტერესო ოპერის „Норма"-ს მოტივზე, ხოლო ლიბრეტოს ადგენდნენ იუმორისტული ლექსებიდან, რომელშიაც გამოხატული იყო კომიკურ მდგომარეობაში მაშინდელი სტუდენტების ცხოვრების ისტორია, განათლების მინისტრი, ადმირალი პუტიატინი, მზრუნველი ფილიპსონი, პოლიციის უმაღლესი ჩინოსნები და ადმინისტრაცის სხვა წარმომადგენლები..."[1]

რომ კრონშტადტის პატიმრები მკაცრი მეთვალყურეობის ქვეშ არ იმყოფებოდნენ, ამას ადასტურებს მესამე განყოფილების მოხელის დასმენა საზღვაო სამინისტროს მმართველ კრაბისადმი:

„კრონშტადტში მოთავსებული სტუდენტებისადმი მეთვალყურეობა ძრასაკმაოდ მკაცრია და მათდამი გამოჩენილმა თავმდაბლობამ შეიძლება, საზამთრო გზის გახსნის გამო, დაბადოს ზოგიერთ მათგანში აქედან გაქცევის აზრი"[2].

ასეთ განსხვავებულ პირობებში იმყოფებოდნენ კრონშტადტისა და პეტრეპავლეს სატუსაღოში მოთავსებული პატიმარი სტუდენტები.

დაახლოებით ერთი თვის შემდეგ, ნოემბრის შუა რიცხვებში, პატიმრებს დაურიგეს კითხვარები, რომელზეც მათ წერილობითი პასუხი უნდა გაეცათ. ამ დოკუმენტს დაემატა პოლიციის დაკითხვები, ჯაშუშთა დაბეზღებები, ობერპოლიცმეისტერისა და სტუდენტთა ინსპექტორის ცნობები და ამის საფუძველზე კომისიამ შეადგინა საბრალმდებლო დასკვნა[3].

კომისიამ პატიმარი სტუდენტები დაყო დანაშაულის ხარისხის მიხედვით ცალკე კატეგორიებად, მაგრამ საინტერესოა, რომ ასეთი კატე-

---

[1] «Совр. мир», 1907 г., იხ. აგრეთვე «Вестник Ленинградского университета», № 1, 1947, стр. 139.

[2] «Совр. мир», 1907 г., იხ. აგრეთვე „Вестник Ленинградского университета», № 1, 1949 г., стр. 139.

[3] Заключение комиссии, учрежденной для разбирательства степени виновности студентов и других лиц, арестованных 12-го октября 1861 г., за противузаконные сборища и беспорядки (ЦГИАЛ, фонд 1405, опись 59, ед. хр. 6644, стр. 1 — 26).

გორიების რაოდენობის შესახებ სხვადასხვა დოკუმენტებში სხვადასხვა აზრია გატარებული.

ნ. ნიკოლაძის გადმოცემით, დამნაშავეთა ოთხი კატეგორია არსებობდა.

„პირველ კატეგორიაში მოხვედრილნი, არეულობის ხელმძღვანელად ცნობილი შვიდი პირი, იგზავნებოდნენ შორეულ გუბერნიებში. დანარჩენები, რომლებიც მეორე კატეგორიაში მოხვდნენ, — ასეთები იყვნენ უმთავრესად მეოთხე კურსის სტუდენტები, — ირიცხებოდნენ უნივერსიტეტიდან ეგრედწოდებული „მგლის პასპორტით", ე. ი. მათ უფლება ესპობოდათ სხვა უმაღლეს სასწავლებელში სწავლისა. მესამე კატეგორიას შეეძლო შესულიყვნენ იმავე კურსზე პროვინციულ უნივერსიტეტებში. მეოთხე კატეგორია, რომელშიდაც მოვხვდით ჩვენ — „ძუძუმწოვრები", მშობლების თავდების ქვეშ გაგვიშვეს" [1].

ნ. ნიკოლაძის ეს ცნობა ერთგვარ დაზუსტებას მოითხოვს, რასაც თავის დროზე აღნიშნავდნენ „Каторга и ссылка"-ს რედაქცია და პროფესორი ს. ხუნდაძე [2].

სპეციალურ კომისიას, რომელსაც ევალებოდა დამნაშავე სტუდენტთა საქმის გამოძიება და მათი დასჯა, პატიმრები დანაშაულის ხარისხის მიხედვით დაყოფილი ჰყავდათ სამ კატეგორიად.

პირველ კატეგორიაში ხვდებოდნენ ის პირები, რომლებიც დაპატიმრებულნი იქნენ შემთხვევით, გაუგებრობის ნიადაგზე და კომისიამ გაანთავისუფლა. მეორეში შედიოდნენ ისეთები, რომლებიც ესწრებოდნენ კრებებსა და მონაწილეობდნენ დემონსტრაციებში, მესამე კატეგორიას მიაკუთვნეს მიტინგებისა და დემონსტრაციების აქტიური მონაწილეები და ორგანიზატორები [3].

ხოლო განათლების მინისტრის მიმართვაში, შინაგან საქმეთა მინისტრის სახელზე, ლაპარაკია დამნაშავე სტუდენტების ორ კატეგორიად დაყოფის შესახებ.

„ბატონ შინაგან საქმეთა მინისტრს!

უმაღლესობის 1861 წლის 4 დეკემბრის ბრძანების თანახმად ს.-პეტერბურგის სტუდენტები, არეულობაში მონაწილეები, განაწილებულნი იყვნენ ორ კატეგორიად:

„პ ი რ ვ ე ლ ს მიეკუთნებიან სტუდენტები უმაღლესი (მეოთხე) კურსისა, გამორიცხულები უნივერსიტეტიდან და გადასახლებულნი აქედან შინაგან საქმეთა სამინისტროს განკარგულებით...

---

[1] ნ. ნ ი კ ო ლ ა ძ ე, ტ. I, გვ. 119.

[2] ამის შესახებ დაწვრილებით იხ. ნ. ნიკოლაძის ტ. I, გვ. 39Ე.

[3] ЦГИАЛ, фонд 1405, опись 59, дело 6638, год 1861, стр. 1 — 2.

მ ე ო რ ე ს — მიწერილნი არიან სტუდენტები სამი დაბალი კურსისა (პირველი, მეორე და მესამე), რომელთაც ებოძათ შეწყალება და მიეცათ წინადადება ორი კვირის განმავლობაში ან მიეღოთ მატრიკულები და ან დაბრუნებულიყვნენ სამშობლოში"[1].

საერთოდ უნდა აღინიშნოს, რომ კომისიის გადაწყვეტილება ლმობიერი ხასიათისა იყო. ამის მიხედვით, სტუდენტებს ბრალად ედებოდათ, მხოლოდ პოლიციის უფროსის განკარგულების „დაიშალენითო" შეუსრულებლობა და ამისათვის კანონის ძალით მათ ეკუთვნოდათ 3-დან 7 დღემდე პატიმრობა, რაც უკვე დიდიხანია ციხეში მოხდილი ჰქონდათ. ამის თაობაზე კომისიის დადგენილებაში ნათქვამია: „За сим вина лиц, задержанных 12-го октября пред университетом, заключается в неисполнении ими приказаний полицейского начальства немедленно разойтись, при чем, хотя начальство и признало нужным, для разогнания толпы, призвать воинскую команду, но лица, составлявшие эту толпу, не оказали при этом никакого сопротивления. В этом... поступке все они в одинаковой степени виновны, так как зачинщиков и возбудителей между ними не обнаружено. Виновные в таком поступке, по 1280 ст. долож. в 1 кн. XV тома, подвергаются аресту на время от 3-х до 7-ми дней.

Обвиняемые содержатся под стражей с 12-го октября сего года.

Председатель, тайный советник (подпись)»[2].

ცხადია, ასეთი გადაწყვეტილება არ მოეწონებოდათ იმპერატორსა და მის ერთგულ მსახურებს. კომისიის მუშაობა არ აღმოჩნდა სასურველი და ახლა საქმეში უშუალოდ ჩაერევნენ სამხედრო გენერალ-გუბერნატორი, ოლქის მბრძანებელი, განათლებისა და შინაგან საქმეთა მინისტრები, რომელთა მოქმედებით შეცვლილი იქნა პატიმარი სტუდენტებისადმი წაყენებული ბრალდება და აქედან გამომდინარე სასჯელიც. ახალი კომისიის გადაწყვეტილების მიხედვით ისინი დამნაშავენი იყვნენ.

а) В составлении в стенах университета сходок, на которых произносились возбуждающие к неповиновению начальству речи и вывешивались подобного же рода объявления и б) в образовании вне стен университета, сборищ, для разсеяния ко-

---

[1] ЦГИАЛ, фонд 733, опись 27, дело 325, год 1862, стр. 39.

[2] ЦГИАЛ, фонд 1405, опись 59, ед. хр. 6644, год 1861, стр. 1—26.

торых начальство вынуждено было употреблять полицейские и военные команды...

20-го сентября... перед студентами и посторонними лицами, читались одним студентом возмутительная прокламация и другим проект адреса государю императору об отмене означенных правил...

В сведениях Отделения Собственной его императорского величества канцелярии изъяснено, что студенты собрались в огромном количестве с целью согласиться всем не подчиняться изданным для них правилам..., что затем все должны собраться на Николаевском мосту и публично сжечь там экземпляры правил, которые будут им розданы...

При арестовании в кабинете Альбертини оказались на столе и доставлены в комиссию С.-Петербургским оберполицмейстером: а) Черновая с поправками, статья под заглавием «Студентское дело», в коей изложены последние события в С.-Петербургском университете...,

б) копия с сей статьи, имеющая заглавие: «Несколько слов о студентском деле», в) печатные возмутительного содержания листки: «Великорусс» в двух экземплярах и «К молодому поколению», г) два печатных нумера газеты: «Колокол» 15 сентября 1860 г. и два тех-же чисел нумера газеты «Под суд»...

2. Из отделения Собственной его императорского величества Канцелярии найденное в Московском театре, писанное из С.-Петербурга каким-то Н. Лимоновым письмо, в котором, излагая в укорительных для правительства выражениях, описываются происходившие 25 сентября действия студентов С.-Петербургского университета... и приводя сказанную в этот день на сходке одним студентом речь, предлагает прочесть это письмо всем товарищам и распространить заключающееся в нем известие между студентами Московского университета.

3. С.-Петербургским оберполицмейстером отобраны и изъяты, оказавшиеся у арестованного... писанные его рукою возмутительного содержания бумаги:

а) в неоконченном письме от 7-го февраля к какому-то Александру Иванову, в коем писавший, порицая распоряжения правительства и называя его глупым и невежественным, выражается, что сделанное составителями «Великорусс» и статьи «К

молодому поколению», вероятно, не пропадет даром и скоро, быть может, принесет плоды»[1].

ჩვენ მხოლოდ უფრო მნიშვნელოვანი ადგილები მოვიტანეთ ამ დოკუმენტიდან. აქ ბევრი ისეთი ფაქტია დასახელებული, რომელზედაც სრულიად არაფერია წინა კომისიის დასკვნაში ნათქვამი და რომელიც უყურადღებოდ იქნა დატოვებული. საწინააღმდეგოდ წინა კომისიისა, იმპერატორის უშუალო მითითებებით, იუსტიციის მინისტრმა გრაფმა პანინმა პატიმარ სტუდენტთა დასჯის შესახებ შეადგინა მკაცრი ბრძანება, რომელზედაც ხელი მოაწერა თვით ალექსანდრე მეორემ.

ბრძანება შესდგება 10 მუხლისაგან. ფაქტიურად ამ დოკუმენტში ჰპოვა გამოხატულება ყველა კატეგორიამ და ყველა სახის სასჯელმა. ბრძანება იწყება ასე: «Государь император... по сему предмету Высочайше повелеть соизволил:

1. Участвовавших в беспорядках между студентами С.-Петербургского университета дворянина Филитера Орлова и кончившего в 1860 году курс в здешнем университете Михаила Покровского выслать первого в Пермскую, а второго в Архангельскую губернии под строгий надзор городничих тех уездных городов...

2. Изобличенных дознаниями, или сознавшихся в действиях, обнаруживающих намерение не исполнять предписаний начальства, студентов С.-Петербургского университета... (перечень имен этих лиц), исключив из университета, выслать в разные уездные города отдаленных губерний по соглашению министра внутренних дел с шефом жандармов, под строгий надзор местных городничих...

3. Из числа прочих студентов С.-Петербургского университета, участвовавших в беспорядках... старшего IV курса... исключить из университета и тех из них, кои имеют родителей или близких родственников, отдать родителям и родственникам на поруки... тех же, кои не имеют ни родителей, ни родственников, принимающих на себя поручительство в их благонадежности, выслать, по соглашению министра внутренних дел с шефом жандармов в разные уездные города губерний Вятской, Вологодской, Олонецкой... Затем студентам младших III-го и II-го и I-го курсов (по прилагаемым спискам за № 2, 3 и 4-й 192 человека), сделав строгое внушение за участие в беспорядках..., да-

---

[1] ЦГИАЛ, фонд 1405, опись 59, дело 6638, год 1861, стр. 1 — 30.

ровать Всемилостивейшее прощение и дозволить в двухнедельный срок или принять матрикулы или возвратиться на родину...

4...

5. Лицам, записавшимся для слушания лекций в университете..., сделать строгое внушение о несовместимости их поступков с объявлением, что вперед за малейшее нарушение полицейских правил они будут высланы из столицы в отдаленные города.

6...

7...

8. Суждение о студенте Московского университета Эдуарде Кватц отложить до рассмотрения исследования о Московских студентах...

9. Для разбора отобранных у подсудимых бумаг составить особую комиссию при III отделении собственной его величества канцелярии из чиновников, кои участвовали в занятиях С.-Петербургской и Кронштадской комиссий с назначением председателя по ближайшему усмотрению генерал-адьютанта князя Долгорукова, который и даст комиссии надлежащее наставление.

10. Исполнение его высочайшего повеления поручить министру внутренних дел по соглашению с генерал-адьютантом князем Долгоруковым и С.-Петербургским военным генерал-губернатором.

Подписал: Министр юстиции статс-секретарь граф-Панин».

ბრძანებას წარწერილი აქვს:

«На подлинном собственною его императорского величества рукою написано: «Исполнить»[1].

აგრეთვე, ცალკე სამხედრო სასამართლომ გაასამართლა პორუჩიკი ანდრეევი, არტილერიის პროპორჩიკი ბოგდანოვი, არტილერისტი სემევსკი და სხვები.

როგორც ვხედავთ, დიდი განსხვავება ჩანს კომისიის გადაწყვეტილებასა და იუსტიციის მინისტრის ბრძანებას შორის. მაშინ, როდესაც კომისია არ სცნობდა სტუდენტებს დიდ დამნაშავეებად და მათი სასჯელი 3-დან 7 დღეს არ აღემატებოდა, იუსტიციის მინისტრმა, იმპერატორის უშუალო მითითებით, ციმბირის შორეულ გუბერნიებში გადაასახლა სტუდენტების ნაწილი.

---

1 ГИАЛО, фонд 14, дело 19, связка 38999, опись 25, год 1861, стр. 2—5

ზემოთ მოტანილი ბრძანების შესატყვისად იუსტიციის სამინისტროს საბუთებში წარმოდგენილია დაპატიმრებულ სტუდენტთა 6 სია. პირველი 4 სია დალაგებულია კურსის პრინციპის მიხედვით. მაგალითად:

«Список № 1 студентов, участвовавших в беспорядках, но в действиях коих не обнаружено предумышленного намерения сопротивляться распоряжениям правительства. IV курса».

ამ სიაში შეტანილია ქართველებიდან ბესარიონ ღოღობერიძე.

მეორე ნომერ სიაში (მესამე კურსი) არც ერთი ქართველის გვარი არ არის მოხსენებული.

მესამე ნომერ სიაში (მეორე კურსი) დასახელებულია: ვასილ სავანელი, პეტრე ალხაზაშვილი, კირილე ლორთქიფანიძე, გიორგი ჯავახიშვილი და დავით ღოლობერიძე.

მეოთხე ნომერ სიაში (პირველი კურსი) წარმოდგენილია: დავით აბდუშელიშვილი, გიორგი წერეთელი, იაკობ ისარლიშვილი, ნიკო ნიკოლაძე და აბელ ჩოლოყაშვილი.

მეხუთე ნომერ სიაში შეტანილია ის პირები, რომლებმაც თანხმობა განაცხადეს უნივერსიტეტში დაბრუნებასა და ახალი მატრიკულის მიღებაზე, ე. ი. რომლებიც მთავრობის რეპრესიების შემდეგ დაემორჩილნენ უნივერსიტეტის ახალ რეჟიმს. საინტერესოა ისიც, რომ ამათ შორის არც ერთი ქართველის გვარი არ არის დასახელებული.

მეექვსე ნომერ სიაში წარმოდგენილია გარეშე პირები, რომლებიც დაპატიმრებულნი იყვნენ სტუდენტებთან ერთად [1].

როგორც დავინახეთ, მოთავე სტუდენტები მკაცრად დასაჯეს, მაგრამ საკვირველია, რომ ზოგი მათგანი სრულიად დაუსჯელი დარჩა. მაგალითად, ბრძანებაში არსად არ არის მოხსენებული ნეკლიუდოვის გვარი, რომელმაც, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, საქმე დარბაზში საჯაროდ წაიკითხა პროკლამაცია. ასევე არაფერია ნათქვამი უტინის, ლებედევის, ლიმონოვის და სხვების შესახებ. ამ საკითხს, როგორც ნ. ნიკოლაძის მოგონებიდან ჩანს, მაშინაც მიუქცევია საზოგადოების ყურადღება. ამის შესახებ ნ. ნიკოლაძე წერს: „ყველა გააოცა იმ ამბავმა, რომ უმთავრეს „მეამბოხეებად“ ჩაეთვალათ არა უტინი, ნეკლიუდოვი და სხვა ორატორები ჩვენი მიტინგისა, არამედ თითქმის ყველასათვის უცნობი უმაღლესი კურსის სტუდენტები: გენი, გერიკე, პოკროვსკი, ფრანკელი და მიხაელისი. რასაკვირველია, ისინიც არ

[1] ЦГИАЛ, фонд 14, дело 19, опись 25, связ. 3897, год 1861, стр. 6—21.

იყვნენ აბრამის ბატკნები, მაგრამ ყველას გვაოცებდა, თუ რითი იყო გამოწვეული, რომ მათ დაატყდათ სასჯელის მთელი სიმძიმე“ [1].

ეს საკითხი ჩვენთვის ამჟამადაც გაურკვეველია.

იუსტიციის მინისტრის ბრძანების შედეგად სტუდენტების უმეტესი ნაწილი, თანდართული სიების მიხედვით, გაანთავისუფლეს პატიმრობიდან. 6 დეკემბერს კრონშტადტში მყოფთ გამოუცხადეს, სახაზინო ტანისამოსი გაეხადათ და საკუთარი ჩაეცვათ. მალე სტუდენტები კრონშტადტიდან ასამდე მარხილით, გაყინულ გზაზე გავლით, მიიყვანეს პეტერგოფში, ხოლო აქედან სპეციალური მატარებლით იმგზავრეს პეტერბურგში. მართალია, საპატიმროდან ბევრი გამოუშვეს, მაგრამ მათი განთავისუფლების პირობა სხვადასხვა სახის იყო. ზოგს აკრძალული ჰქონდა სატახტო ქალაქში ცხოვრება და 24 საათში უნდა დაეტოვებია იგი, ზოგს თავდებით ცხოვრების უფლება ჰქონდა, მაგრამ თუ ასეთს ვერ იშოვიდნენ, მაშინ იმათაც 24 საათში უნდა დაეტოვებიათ პეტერბურგ.

განთავისუფლებული სტუდენტები გამოუვალ მდგომარეობაში ჩავარდნენ. მათ არც მშობლები და ნათესავები ჰყავდათ თავდებისათვის და არც ფული ჰქონდათ გასამგზავრებლად.

მაშინ პროფესორ ანდრეევსკის რჩევით და თანხლებით, სტუდენტები მიმართავენ ახალდანიშნულ გენერალ-გუბერნატორს, დიდი მხედართმთავრის ალექსანდრე ვასილის ძე სუვოროვის შვილიშვილს, ალექსანდრე არკადის ძე სუვოროვს. იგი, როგორც პროგრესულად მოაზროვნე პიროვნება, დიდად განსხვავდებოდა მეფის ხელჯოხიანი მოხელე-ჩინოვნიკებისაგან და გულთბილად შეხვდა ახალგაზრდებს. როდესაც ანდრეევსკიმ გააცნო გენერალ-გუბერნატორს სტუდენტების მდგომარეობა თავდების აუცილებლობის შესახებ, მთავრობის ასეთი მოქმედებით ძალზე ნაწყენმა თქვა: „რაკი ნაბრძანებია უნდა შესრულდესო“. ხოლო როდესაც ანდრეევსკიმ აუხსნა მას სტუდენტების მოსალოდნელი საფრთხე თავდების უყოლობის გამო და ასეთის შოვნის შეუძლებლობა, მაშინ სუვოროვმა ანდრეევსკის გამოართვა ყოფილი პატიმრების სია და 30 კაცის თავდებობა თვით პროფესორ ანდრეევსკის დაავალა, 50 კაცი თვითონ აიყვანა, 25 თავის პროკურორს დაწერა და ამდენივე თავისი კანცელარიის მმართველზე გააფორმა. ნახევარი საათის განმავლობაში საქმე მოაგვარა. ასე რომ, ყოფილი პატიმრები დაიხსნა გენერალ-გუბერნატორმა ისევ ციხეში დაბრუნების საფრთხისაგან.

---

[1] ნ. ნიკოლაძე, ტ. I, გვ. 119.

კიდევ მეტი, სუვოროვი იმ საღამოსეე აწყობს საგანგებო თათბირს და ანდრეევსკის მიერ წარდგენილი სიის მიხედვით ფულად დახმარებას აძლევს ყველა მათგანს. ასეთი მზრუნველობა შემდეგაც დიდხანს არ შეუწყვეტია მას ახალგაზრდებისათვის. ამის შესახებ თვით ანდრეევსკი წერს:

«Хлопот по этому делу было не мало. Мне всякий день приходилось видеться с князем Суворовым, и я не могу не засвидетельствовать, что относиться постоянно так радушно к интересам молодого поколения мог только сановник. действительно любящий родину»[1].

1861 წლის პეტერბურგის სტუდენტთა მღელვარებამ ბევრი თანამდებობის პირი იმსხვერპლა. მართალია, მინისტრები და სხვა მოხელეები დიდ ერთგულებასა და სიფრთხილეს იჩენდნენ, მაგრამ პასუხისმგებლობა მაინც ვერ აიცილეს თავიდან.

გართულებულმა პოლიტიკურმა მდგომარეობამ ყველაზე მეტად პეტერბურგის ოლქის მზრუნველს ფილიპსონს დასცა შიშის ზარი. კავკასიის ომების ვეტერანი, გენერალი ფილიპსონი, ისე შეაშინა ახალგაზრდობის მღელვარებამ, რომ იძულებული გახდა თანამდებობიდან განთავისუფლება ეთხოვა და საფუძვლად თავისი უძლურება დაესახელებინა.

ფილიპსონი აღიარებს, რომ იგი არ არის შესაფერი ასეთი თანამდებობისათვის. იგი აღნიშნავს, მართალია პეტერბურგის სტუდენტთა მღელვარების დროს ერთგულად ვასრულებდი ჩემს მოვალეობას, მაგრამ ჩემს ადგილზე რომ სხვა ყოფილიყო, უკეთესად მოაგვარებდა ამ საქმესო.

განსაკუთრებით მას აშინებდა პეტერბურგის უნივერსიტეტის მომავალი. მისი აზრით, ამ სახით ამ უმაღლესი სასწავლებლის დატოვება არ შეიძლებოდა, ხოლო მისი გარდაქმნისათვის საჭირო ღონისძიების გატარება მის ძალღონეს აღემატებოდა. ამის თაობაზე იგი წერს:

«Теперь дела пришли в такое положение, что С.-Петербургский университет, очевидно, не может долее оставаться в настоящем виде. Его удовлетворительное и сообразное с современ-

---

[1] Татищев, «Русская старина», т. XXXV, 1882 г., стр. 562, ob. აგრეთვე Н. Барсуков, Жизнь и труды М. П. Погодина, стр. 278—280.

ными потребностями устройство должно иметь благотворное влияние на весь ход образования в средних и низших учебных заведениях округа. Наконец, следует иметь в виду факт, сделавшийся, к сожалению, очевидным в последнее время: пример С.-Петербургского университета немедленно отзовется на всех остальных университетах империи. При таких важных обстоятельствах, звание попечителя округа должно быть возложено на лицо, обладающее сверх других достоинств, специальною опытностью, которой я не имею. Проведя в военной службе тридцать девять лет, я совершенно чужд новому для меня поприщу, а сверх того здоровье мое, в последнее время, сделалось ненадежным, вероятно вследствие двадцати шести лет, проведенных в тревогах Кавказской боевой службы.

Поэтому обращаюсь к вашему сиятельству с убедительнейшею просьбою: исходатайствовать всемилостивейшее увольнение меня от должности попечителя округа»[1].

ასეთი თხოვნით მიმართავდა პეტერბურგის ოლქის მზრუნველი ფილიპსონი განათლების მინისტრს, მაგრამ არც მინისტრის მდგომარეობა იყო უკეთესად, სტუდენტებთან ბევრჯერ დავასა და პროფესორების ოპოზიციას პუტიატინი გამოუვალ მდგომარეობაში ჩაუყენებია. ხშირად უნახავთ იგი თვალცრემლიანი, ტუჩებ და ხელებაკანკალებული[2].

მალე ოლქის მზრუნველი ფილიპსონი გადაყენებულ იქნა. ასევე გადააყენეს განათლების მინისტრი პუტიატინი და მის ადგილზე დაინიშნა ალექსანდრე ვასილის ძე გოლოვნინი. შინაგან საქმეთა მინისტრის ლენსკის ნაცვლად დაინიშნა პეტრე ალექსანდრეს ძე ვალუევი. განათლების სამინისტროს დეპარტამენტი დატოვა დელიანოვმა. სამხედრო გენერალ-გუბერნატორი პოტაპოვი, უფრო ადრე, შესცვალა ბ. ნ. იგნატიევმა. ყოველივე ამის შესახებ გერცენი ირონიულად წერდა:

«Петербургское генерал-губернаторство, как Английская корона при Георгах, переходит от идиота к сумасшедшему и от сумасшедшего к идиоту»[3].

---

[1] «Русская старина», 1897 г., май, стр. 356. Н. Барсуков, Жизнь и труды М. П. Погодина, стр. 273 — 274.

[2] დაწერილებით იხ. «Русская старина», 1901 г., июнь, стр. 81—82.

[3] Герцен, Собр. соч., т. XI, стр. 62.

მთავრობაში მომხდარი ცვლილებების შესახებ ნ. ნიკოლაძე აღნიშნავდა: „...ჩვენმა „დემონსტრაციამ“ უკვე ნაყოფი გამოიღო. ხელმწიფემ პეტერბურგში დაბრუნებისთანავე განდევნა არა მარტო ობერ-პოლიცმეისტერი გენერალ-გუბერნატორთან ერთად, არამედ მზრუნველი ფილიპსონი და მინისტრი პუტიატინი და მათთან ერთად ზოგიერთი სხვა მინისტრი“[1].

1861 წლის 4 ნოემბერს პეტერბურგის გენერალ-გუბერნატორად დაინიშნა თავად ალექსანდრე არკადის ძე სუვოროვი, როგორც ზემოთ აღნიშნეთ, დიდი მხედართმთავრის სუვოროვის შეილიშვილი. სუვოროვი გულისხმიერად ეკიდებოდა სტუდენტების საქმეს. 7 ნოემბერს იგი შეუდგა მოვალეობის შესრულებას და იმავე დღეებში ინახულა პატიმარი სტუდენტები და დაიწყო მათთან მოლაპარაკება[2]. აგრეთვე სუვოროვი დაეხმარა განთავისუფლებულ სტუდენტებს საჯარო ლექციების მოწყობის საქმეში, რაზედაც სხვა ადგილზე გვექნება ლაპარაკი.

გადაყენებულ მოხელეთა ბედი ეწია უნივერსიტეტის რექტორს — პლეტნევს, მხოლოდ განსხვავება იმაში იყო, რომ მას პატივი სცეს და თავისი თხოვნით გაანთავისუფლეს.

1861 წლის 9 ნოემბრის თარიღით ჯერ კიდევ პეტერბურგის ოლქის ძველი მზრუნველი ფილიპსონი განათლების მინისტრის სახელზე წერს პლეტნევის შესახებ.

«Господину Министру Народного Просвещения

Занятия по службе Ректора Императорского С.-Петербургского университета, тайного советника Плетнева, продолжающиеся более 47-лет в последнее пятилетие, начали вредно действовать на его здоровье..., я считаю долгом испрашивать благосклонного ходатайства вашего о преимуществах, которые признано будет справедливым дать, при увольнении от службы, Г. Плетневу...»[3]

ახლა რექტორის მაგიერ უკვე დახურული უნივერსიტეტის მმართველობა დროებითი კომისიის ხელში გადავიდა.

კომისიაში შედიოდნენ:

---

1 ნ. ნიკოლაძე, ტ. I, გვ. 118.

2 Н. Барсуков, Жизнь и труды Н. П. Погодина, стр. 276.

3 ЦГИАЛ, фонд 733, год 1861, опись 27, дело 242, стр. 1—12.

აღმოსავლეთ ენათა ფაკულტეტიდან: დეკანი ორდინარი პროფესორი ა. ს. მუხლინსკი, ორდინარი პროფესორი დ. ი. ჩუბინაშვილი, ორდინარი პროფესორის მოვალეობის აღმასრულებელი ი. ნ. ბერეზინი.

ყოფილი ისტორიულ-ფილოლოგიური ფაკულტეტიდან: დეკანი, ორდინარი პროფესორი ი. ი. ბერეზინი.

ყოფილი ისტორიულ-ფილოლოგიური ფაკულტეტიდან: დეკანი, ორდინარი პროფესორი სრეზნევსკი, ორდინარი პროფესორი ი. ბ. შტეინმანი.

ყოფილი ფიზიკა-მათემატიკის ფაკულტეტიდან: დამსახურებული პროფესორი უ. ხ. ლენცი, ორდინარი პროფესორი ა. ნ. სავიჩი.

ყოფილი იურიდიული ფაკულტეტიდან: დეკანი, ორდინარი პროფესორი ი. ა. გორლოვი და დამსახურებული პროფესორი ი. უ. ივანოვსკი[1].

დროებითი კომისიის უმთავრეს საქმიანობას შეადგენდა გარიცხული სტუდენტებისათვის გარიცხვის მოწმობების გაცემა, განათლების სამინისტროსა და III განყოფილებისათვის საეჭვო სტუდენტების საქმეების წარდგენა და სხვა ამგვარი ოპერაციების წარმოება.

პეტერბურგის უნივერსიტეტის დახურვა დიდ პოლიტიკურ მოვლენას წარმოადგენდა. ეს მთავრობის სისუსტეს ნიშნავდა, მაგრამ ალეჭსანდრე მეორე დათმობაზე წასვლას მაინც არ აპირებდა.

მეორე მხრივ, არც სტუდენტები აპირებდნენ იარაღის დაყრას. ციხიდან განთავისუფლებულნი, კვლავ რევოლუციურ მუშაობას განაგრძობდნენ.

ლ. პანტელეევი საინტერესო მასალას გვაწვდის პატიმრობიდან განთავისუფლებულ სტუდენტთა საქმიანობის შესახებ. მისი გადმოცემით. სასჯელმოხდილი სტუდენტები მიდიოდნენ პეტერბურგის რევოლუციონურ კომიტეტში და კვლავ საბრძოლო დავალებებს თხოულობდნენ:

«Скажите, что же нам делать, давайте нам практические указания... мы готовы идти куда укажете...»[2]. და, მართლაც, ისინი საინტერესო საბრძოლო ოპერაციებს ასრულებდნენ.

მიუხედავად იმისა, რომ სტუდენტებს აკრძალული ჰქონდათ პეტერბურგში ცხოვრება, მათი საკმაო ნაწილი მაინც იქვე დარჩა და კვლავ

ГИАЛО. фонд 14, дело 611, связка 459, год 1862, стр. 34.

[2] А. Ф. Пантелеев, Из воспоминаний прошлого, стр. 53.

არალეგალური საქმიანობა განაგრძო. ასევე მოექცა ქართველი სტუდენტების ნაწილი.

რევოლუციური მუშაობა არ შეუწყვეტიათ ციმბირის შორეულ გუბერნიებში გადასახლებულებსაც კი.

მაგრამ, არც ალექსანდრე მეორე და მისი მოხელეები იყვნენ უმოქმედოდ. კიდევ უფრო გააქტიურდნენ მესამე განყოფილების აგენტები და პოლიციის მოხელეები.

1862 წელს პეტერბურგის უნივერსიტეტის სტუდენტს ი ა კ ო ვ ლ ე ვ ს სამხედრო სასამართლომ დახვრეტა მიუსაჯა, რაც შემდეგ კატორღით შეუცვალეს. მას ბრალად ედებოდა: „...за распространение между нижними чинами сочинений возмутительного содержания и преступных мыслей об ограничении прав верховной власти и изменении существующего порядка правления...»[1]

იმავე 1862 წელს პეტერბურგის უნივერსიტეტის თავისუფალ მსმენელს მცირეწლოვან ნიკოლოზ ვ ა ს ი ლ ი ე ვ ს სენატმა, აგრეთვე, სიკვდილით დასჯა გადაუწყვიტა. იგი სიკვდილს გადარჩა, მაგრამ კატორღაში დიდხანს იყო. ასევე მკაცრად დასაჯეს მედიკო-ქირურგიული აკადემიის მსმენელი: ხ ო ხ რ ი ა კ ო ვ ი და ს ტ ა ხ ო ვ ი ჩ ი.

საყურადღებოა ისიც, რომ შინაგან საქმეთა სამინისტროს თავისი მეთვალყურეობის ქვეშ ჰყავდა სტუდენტები არა მარტო უნივერსიტეტში, არამედ ასეთივე მეთვალყურეობა ჰქონდა დაწესებული არდადეგების პერიოდშიაც საცხოვრებელ ადგილებზე.

ამ მიზნით, შინაგან საქმეთა სამინისტრომ პეტერბურგის უნივერსიტეტის დროებითი კომისიისაგან თხოულობს ზუსტ მისამართებს არდადეგების დროს სტუდენტთა ადგილსამყოფელის შესახებ. ოლქის მზრუნველი პეტერბურგის უნივერსიტეტის დროებით კომისიას წერს:

«По особенным обстоятельствам нынешнего года Министерство Внутренних Дел признало необходимым иметь сведения о тех студентах, которые будут увольняемы в губернии на вакационное время.

Вследствие сего, исполняя желание Г. Министра Народного Просвещения, предложением от 1-го сего июня № 5461, просит сделать по С.-Петербургскому университету на 1863 год распоряжение:

1. Чтобы Канцелярия университета сообщала в Особенную Канцелярию Министра Внутренних Дел общие списки студентов,

---

[1] «Совр. мир», 1907 г., № 11, стр. 116.

уволенных в отпуск, с означением, куда именно каждый из них уволен...

2. Чтобы при выдаче студентам увольнительных свидетельств на отпуск означались в этих свидетельствах с точностью те места, куда именно увольняемый намерен ехать...

3. Если университетскому начальству станет известно, что некоторые студенты, заслуживающие вообще одобрительного отзыва, намерены провести каникулярное время в путешествиях по разным губерниям с учеными целями, то о таковых молодых людях доставлять прямо из университета в департамент Народного Просвещения подробные списки с обозначением цели путешествия и мест, которые студенты желали бы посетить...

ხელს აწერს პეტერბურგის ოლქის მზრუნველი (ხელმოწერილია)"[1].

სტუდენტების დევნა და მკაცრი კონტროლი ასევე გრძელდება მოსკოვის უნივერსიტეტშიაც. 1862 წლის თებერვალში განათლების სამინისტრო ავალებს უნივერსიტეტის საბჭოს, გარიცხონ უნივერსიტეტიდან და გაასახლონ მოსკოვიდან არეულობაში მონაწილე სტუდენტები და ეს ბრძანება დაუგზავნონ ყველა უმაღლეს სასწავლებელს, რათა მოუსპონ მათ საშუალება სხვა უმაღლეს სასწავლებელში სწავლის გაგრძელებისა.

«...Правление университета... имеет честь покорнейше просить совет, исключить из списков учащихся студентов и вольнослушателей, подлежащих к высылке из Москвы и сообщить во все российские университеты состоявшееся ныне об них Высочайшее повеление...»[2].

გარდა ამისა, 1862 წლის 6 თებერვალს გაირიცხა მოსკოვის უნივერსიტეტიდან „უწესოებაში მონაწილეობის" გამო 13 სტუდენტი და 2 თავისუფალი მსმენელი[3].

იმავე 1862 წლის 16 მაისს გაირიცხა გორიგორეცკის ინსტიტუტიდან (Горыгорецкого института) სტუდენტები: მოდარდ კორგა და ლუდვიგ დოკოსოვსკი არასაიმედო ყოფაქცევისათვის[4].

---

1 ГИАЛО. фонд 14, дело 67, опись 25, связка 3903, год 1863, стр. 1—2.

2 ГИАМО, фонд 418, опись 30, дело 637, год 1862, стр. 158.

3 იქვე. გვ. 141 — 148.

4 ГИАМО. фонд 418, опись 31, дело 185. год 1862, стр. 1.

როგორც აქ წარმოდგენილი დოკუმენტებიდან ჩანს, სტუდენტი ახალგაზრდობის ბრძოლა სერიოზული ხასიათისა იყო. იგი განუყრელ ნაწილს წარმოადგენდა სამოციანი წლების საერთო რევოლუციური მოძრაობისას. მათი ბრძოლა ცარიზმის ტირანიის წინააღმდეგ ხალხთა თავისუფლების საქმეს ემსახურებოდა და ამიტომ იყო, გერცენი ასე აღფრთოვანებული რომ მოუწოდებდა მათ.

«...не жалейте вашей крови! Раны ваши святы, вы открываете новую эру нашей истории...»[1]

---

[1] Герцен, т. 11, стр. 325.

ახალგაზრდობის იდეური წრთობისათვის ხელისშემწყობი პირობები

სამოციანი წლების სტუდენტთა მღელვარება უშუალოდ იყო დაკავშირებული რუსეთის საერთო რევოლუციურ მოძრაობასთან. მას მიზნად არ ჰქონია დასახული მხოლოდ უნივერსიტეტის რეჟიმის შეცვლა, ახალი წესდებისა და მატრიკულის შემოღების წინააღმდეგ ბრძოლა. ეს ერთგვარი საბაბი იყო, რომელმაც ხელი შეუწყო სტუდენტი ახალგაზრდობის დარაზმვას, რევოლუციური ცენტრის ხელმძღვანელობით, ხალხთა თავისუფლებისათვის საბრძოლველად.

«История в Петербургском университете 1861 г. находится в тесной связи с общим движением, охватившим в тот период все русское общество, во всех его интеллигентных пластах, и является типичным барометрическим показателем его настроения, его чаяний и порывов. Эта история нашла себе отклик на всей тогдашней России, гулко отозвалась на берегах Темзы в редакции «Колокола» и выделила из стен университета в общественную среду немало будущих деятелей, как носителей активной опозиции и борцов за освободительные начала»[1].

როგორც აღვნიშნეთ, სამოციანი წლების რევოლუციური მოძრაობის სულისჩამდგმელი და ორგანიზატორი ჩერნიშევსკი იყო. იგი დიდი მოაზროვნე, საოცარი ორგანიზატორული ნიჭის, რაღაც ზღაპრული ჯადოქრული უნარისა და შეუდრეკელი ნებისყოფის ადამიანი იყო.

«Достаточно указать хотя бы на тот факт, что из двухсот двадцати пяти юношеских рукописей Чернышевского было написано: на немецком языке — 12 работ, на французском — 4, латинском — 62, греческом — 12, арабском — 3, персидском — 5, татарском — 10, еврейском — 3»[2].

---

1 «Исторический вестник», т. CXII, стр. 268.

2 В. Г. Баскаков, Мировоззрение Чернышевского, стр. 17.

მას შეეძლო ყოველდღიურად განუწყვეტლივ ეწერა. ფილოსოფიური შრომები, პოლიტიკური ტრაქტატები, კრიტიკული სტატიები, ესთეტიკური გამოკვლევები, პროკლამაციები, კორესპონდენციები, რომანები და ამავე დროს შეეძლო ხელმძღვანელობა გაეწია მრავალი ათეული ორგანიზაციისათვის. ჯარის ნაწილებში, სტუდენტთა შორის, ინტელიგენციის სხვადასხვა ფენისათვის როგორც პეტერბურგში, ისე შორეულ გუბერნიებში. ამას დავუმატოთ ისიც, რომ ჩერნიშევსკიმ სულ 60 წელი იცოცხლა და აქედან თითქმის თავისი ცხოვრების ნახევარი, 27 წელი, ციხეში გაატარა.

ჩერნიშევსკიმ მთელი თავისი სიცოცხლე ხალხის სამსახურს მოახმარა. ჩერნიშევსკი და მისი თანამებრძოლები: ნ. დობროლუბოვი, ა. გერცენი, ნ. ნეკრასოვი, დ. პისარევი, მ. მიხაილოვი და სხვები იყვნენ შთამაგონებელნი და უშუალო მასწავლებლები სტუდენტი ახალგაზრდობისა. ჩერნიშევსკის ოჯახი წარმოადგენდა რევოლუციური მოძრაობის შტაბს, საიდანაც რუსეთის შორეულ კუთხეებშიაც კი წვდებოდა რევოლუციური ცეცხლის ნაპერწკლები.

ჩერნიშევსკის ოჯახში იკრიბებოდნენ და საზოგადოების საჭირბოროტო საკითხებზე თათბირობდნენ: სტუდენტები, მასწავლებლები, წვრილი ჩინოვნიკები, პროფესიული რევოლუციონერები და თვით მეფის არმიის ოფიცრებიც.

სამართლიანად აღნიშნავს ვ. ბასკაკოვი, რომ: «После образования Петербургского центра квартира Чернышевского превратилась в своеобразный подпольный революционный штаб. Здесь Чернышевский принимал активных революционеров — практиков, подолгу беседовал с ними, давал советы и указания, подсказывая, как нужно действовать, чтобы обеспечить создание, укрепление и расширение революционной организации в России, подготовку всенародного вооруженного восстания. В конце 1860 и в первой половине 1861 г. он принимал в своей квартире многих активных участников революционного подполья, лучших представителей революционно-разночинской интеллигенции, демократической молодежи, передового офицерства русской армии»[1].

მაგრამ ჩერნიშევსკის რევოლუციური მოძღვრებისა და „სოვრემენიკის“ მებრძოლი იდეების ყველაზე სწრაფი ამოვისებელი და მასებში პოპულარიზატორი უნივერსიტეტის მოსწავლე ახალგაზრდობა იყო.

---

[1] В. Г. Басаков, Мировоззрение Чернышевского, стр. 150—151.

ჩერნიშევსკი და მისი რევოლუციური შტაბი განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევდა ახალგაზრდობას, რომელიც მათ დასაყრდენ ძალად მიაჩნდათ, ამას ამტკიცებს პროკლამაცია „К молодому поколению", მიძღვნილი ახალთაობისადმი.

ჩერნიშევსკი ახალგაზრდობაში ხედავდა ისეთ ძალას, რომელსაც შეეძლო გადაერჩინა რუსეთი. ახალგაზრდობა, მისი აზრით, მასების წინამძღოლი უნდა ყოფილიყო და, გარდა ამისა, მასვე ეკისრებოდა პროპაგანდა-აგიტაცია ხალხში და ჯარის ნაწილებში.

ჩერნიშევსკი ახალგაზრდათა შორის ყველაზე მოწინავე ძალად პეტერბურგის უნივერსიტეტის სტუდენტებს სთვლიდა.

«Чернышевский особенно большое значение придавал конспиративной работе среди петербургских студентов, выступавших в авангарде революционного студенческого движения того времени. В самом начале 1861 г. группа наиболее революционных слушателей столичного университета, связанных с Чернышевским, создала Петербургский комитет студентов, во главе которого встал... Михаелис»[1].

რომ ჩერნიშევსკი დიდ მუშაობას აწარმოებდა ახალგაზრდობაში და დიდი ავტორიტეტი და გავლენა ჰქონდა მათზე, ამას ადასტურებს იმპერატორ ალექსანდრე მეორეს სახელზე გაგზავნილი III განყოფილების 1862 წლის ანგარიში.

ამ დოკუმენტში აღნიშნულია, რომ „ჩერნიშევსკი... სარგებლობს დიდი ავტორიტეტით ახალგაზრდა თაობას შორის... რომ მან შეადგინა შორეულ ნაცნობთა წრე უმეტესად ახალგაზრდებისაგან და აგრეთვე მთავრობის უკმაყოფილო ცრუ პროგრესისტებისაგან. მასთან შეკრება ყოველთვის ხდება განსაკუთრებული საიდუმლოებით და უმეტეს შემთხვევაში ღამით. გარეშე პირის მისვლა გაძნელებულია. წერილები მას მოსდიოდა აუარებელი, არა მარტო რუსეთიდან, არამედ საზღვარგარეთიდანაც. ჩერნიშევსკისადმი მთავრობის განსაკუთრებული ყურადღება გაძლიერდა ს.-პეტერბურგის უნივერსიტეტში 1861 წლის შემოდგომაზე მომხდარი უწესრიგობის შემდეგ, როდესაც მიღებული იქნა ცნობა იმის შესახებ, რომ სტუდენტთა შორის გავრცელებული ახალგაზრდობის წამქეზებელი პროკლამაცია შედგენილი იყო ჩერნიშევსკის მიერ. ამ მომენტიდან მასზე დაწესდა განსაკუთრებული მეთვალყურეობა..." [2]

---

[1] В. Г. Басаков, Мировоззрение Чернышевского, стр. 162.

[2] «Процесс Н. Г. Чернышевского», стр. 45—46.

რომ ჩერნიშევსკის ოჯახში სისტემატურად ეწყობოდა შეხვედრები და კრებები სტუდენტებისა და სხვა პოლიტიკური მოღვაწეებისა, ამის შესახებ ბევრი საინტერესო დოკუმენტი მოიპოვება როგორც პოლიციისა და III განყოფილების მასალებში, აგრეთვე მდიდარ და მრავალფეროვან მოგონებებში. ჩერნიშევსკის ოჯახთან ახლო ურთიერთობა ჰქონდათ აგრეთვე ქართველ სტუდენტებსაც, როგორც ნ. ნიკოლაძე აღნიშნავს: „სტუმრების უმრავლესობას შეადგენდნენ ქართველი სტუდენტები უმაღლესი კურსებიდან...“[1]

ჩერნიშევსკი, სხვა მის თანამებრძოლებთან ერთად, უშუალოდ ღებულებდა მონაწილეობას პეტერბურგის სტუდენტთა მოძრაობაში. ივი პირადად აძლევდა მითითებებსა და დავალებებს სტუდენტთა მოძრაობის მეთაურებს[2].

მაგრამ ჩერნიშევსკი სტუდენტი ახალგაზრდობის არა მარტო იდეური ხელმძღვანელი, არამედ, მათი დამცველი და მამობრივი მზრუნველიც იყო. ჩერნიშევსკი საჭიროების შემთხვევაში რაინდული გამბედაობით გამოდიოდა მეამბოხე სტუდენტების დასაცავად.

1862 წლის 10 მარტის «В Петербургских академических ведомостях“-ში დაბეჭდილი იყო სტატია ვინმე ა. ე. ევალდისა „Учиться или не учиться“ („ვისწავლოთ თუ არ ვისწავლოთ“). სტატიის ავტორი პეტერბურგის უნივერსიტეტის დახურვის საქმეში სტუდენტებს ბრალს სდებდა, რომ მათ თავი დაანებეს სწავლას და ხელი მოჰკიდეს მათთვის შეუფერებელ საქმეს, პოლიტიკას.

ჩერნიშევსკი, ასეთი დაძაბული პოლიტიკური ვითარების დროს საჯაროდ გამოვიდა ევალდის წინააღმდეგ სტუდენტების დასაცავად. მისი საპასუხო სტატია «Научились ли?» („ისწავლეს კი“) დაიბეჭდა „სოვრემენიკის“ 1862 წლის აპრილის ნომერში.

ჩერნიშევსკი ამართლებს რა სტუდენტების მოქმედებას, არკვევს მათი მღელვარების მიზეზს და ერთ ასეთ მიზეზად უნივერსიტეტის ახალ წესდებას ასახელებს, რომლის მიხედვით მომწიფებულ ახალგაზრდებს წართმეული აქვთ ადამიანური უფლებები, რომ ახალმა წესდებამ ახალგაზრდობის უმეტესობას წაართვა სწავლის საშუალება გადასახადის შემოღების გამო. «Мы доказали, — წერს ჩერნიშევსკი, — что события, имевшие своим следствием закрытие университета, произошли от недовольства студентов «правилами», отнимавшими у большинства их возможности учиться»[3].

---

[1] ნ. ნიკოლაძე, ტ. I, გვ. 121.

[2] Н. М. Чернышевская-Быстрова, «Каторга и ссылка», № 6 (43). 1928 г., Москва, стр. 69.

[3] «Современник», 1862 г., № 4.

და წერილის ბოლოს ჩერნიშევსკი ხაზს უსვამს იმ გარემოებას, რომ სანამდე არ მოისპობა ეს მიზეზები, სტუდენტთა მღელვარება ყოველთვის იქნება მოსალოდნელიო და დასძენს: „აღნიშნული მოვლენა უნდა გახდეს გაკვეთილად იმ ადამიანებისათვის, რომლებიც ფიქრობენ. რომ დემონსტრაციის მოწყობა მავნებლობაა, ეს ადამიანები უნდა ცდილობდნენ მოსპონ ის პირობები, რომლებიც ბადებენ ასეთ დემონსტრაციებს“ [1].

როგორც დოკუმენტებიდან ჩანს, ჩერნიშევსკი ამ სტატიის გამოქვეყნებით არ დაკმაყოფილებულა. იგი პირადად შეხვედრია ევალდს და მოუთხოვია მისთვის საჯაროდ გამოსვლა და სტუდენტების მიმართ წაყენებული ბრალდების უარყოფა. ევალდიც ჩერნიშევსკის წინადადებას დასთანხმებია და ამის თაობაზე 1862 წლის 24 მაისს იგი ჩერნიშევსკის წერს: „მოწყალეო ხელმწიფეო ნიკოლოზ გაბრიელის ძეე, თქვენ გნებავდათ წარმოგედგინათ ჩემთვის პირადად შეხვედრისას დასაბუთება იმისა, რომ პეტერბურგის სტუდენტები არ იყვნენ მიზეზი უნივერსიტეტის დახურვისა... არა მარტო სურვილი მაქვს, არამედ ვალდებულიც ვარ მივიღო თქვენი მიწვევა, რის გამო მაქვს პატივი უმორჩილესად გთხოვოთ გამხადოთ ღირსი თქვენთან მოსვლისა თანდართულ ადრესზე“ [2].

ცხადია, ასეთ გართულებულ პოლიტიკურ პირობებში, როდესაც გააფთრებული ბრძოლა წარმოებდა სტუდენტებსა და მთავრობას შორის, სტუდენტების საჯაროდ დაცვა მთავრობის წინააღმდეგ გალაშქრებას ნიშნავდა. ამან მთავრობის წრეებში დიდი აღშფოთება გამოიწვია. ჩერნიშევსკის დაპატიმრება ყოველდღიურად იყო მოსალოდნელი, მაგრამ იმჟამად მთელი იერიში რევოლუციურ პრესაზე მიიტანეს. „სოვრემენიკი“ და „რუსკოე სლოვო“ ამის გამო პოლიციის განკარგულებით დახურეს. ამის თაობაზე ნ. ნიკოლაძე საინტერესო ცნობას გვაწვდის: „ვერ მოასწრო ამ მეხუთე წიგნმა გამოსვლა (აქ ნ. ნიკოლაძე გულისხმობს „სოვრემენიკის“ მე-5 ნომერს, რადგან ევალდის საპასუხო სტატია ჩერნიშევსკიმ „სოვრემენიკის“ მე-4 ნომერში დაბეჭდა. — კ. მ.) რომ გამოცხადდა უმაღლესი განკარგულება ჟურნალ „სოვრემენიკის“ და „რუსკოე სლოვოს“ აკრძალვის შესახებ რვა თვის განმავლობაში“ [3].

ნ. ნიკოლაძის ამ ცნობის სინამდვილეს ადასტურებს საცენზურო კომიტეტის საქმეებში შემონახული დოკუმენტები „სოვრემენიკისა“ და „რუსკოე სლოვოს“ შესახებ.

---

[1] «Современник», 1862 г., № 4.

[2] ЦГИАЛ, фонд 1, опись 1, един. хр. 353, стр. 1—2.

[3] ნ. ნიკოლაძე, ტ. I, გვ. 134.

დოკუმენტში ნათქვამია: «Особая Канцелярия Министра Народного Просвещения имеет честь препроводить при сем копию с предложения Г. Управляющего Министерством Народного Просвещения Г. Председателю С.-Петербургского цензурного Комитета от 15 текущего июня за № 1120, о временном прекращении издания журналов «Современник» и «Русское слово»[1].

და როდესაც, 8 თვის გასვლის შემდეგ, „სოვრემენიკის" რედაქტორმა ნ. ნეკრასოვმა განცხადება შეიტანა საცენზურო კომიტეტში ჟურნალის გამოცემის განახლების შესახებ და საცენზურო კომიტეტმა თავის მხრივ შუამდგომლობა აღძრა განათლების სამინისტროს წინაშე ამ საკითხზე, განათლების სამინისტრომ უარი განაცხადა ჟურნალის აღდგენაზე იმ მიზეზით, რომ „სოვრემენიკი" ისევ ძველ მიმართულების გაგრძელებას აპირებდა.

«Господину Председателю С.-Петербургского Цензурного Комитета

...имею честь уведомить Ваше Превосходительство, для предложения Комитету, что возвращаемое при сем объявление об издании «Современника» в 1863 году не может быть допущено к печати в настоящем, что редакция этого журнала намерена сохранить то самое направление оного, которое признано было правительством неодобрительным...

Подписал Управляющий Министерством, Статс-Секретарь Головин»[2].

ამის შემდეგ დიდი შრომა და ბრძოლა დასჭირდა ნეკრასოვს „სოვრემენიკის" თავის უფლებებში აღდგენისათვის.

აღსანიშნავია ისიც, რომ ჩერნიშევსკი პრაქტიკულად ეხმარებოდა ახალგაზრდობას. პატიმარ სტუდენტებს ციხეში უგზავნიდა შემოწირულებებს და ლიტფონდიდან აწვდიდა ფულად დახმარებას, ხოლო ციხიდან გამოსვლის შემდეგ პეტერბურგში მათთვის ეძებდა საბინავო ადგილზე საცხოვრებელ ბინებს. ჩერნიშევსკის ასეთ დამოკიდებულებას სტუდენტებისადმი ადასტურებს მრავალი დოკუმენტი. რომელთა ნაწილს საილუსტრაციოდ მოვიტანთ აქ.

1861 წლის ნოემბრის თვეში, როდესაც პეტერბურგის უნივერსიტეტის სტუდენტები კრონშტადტისა და პეტრეპავლეს ციხეში იმყოფებოდნენ, ჩერნიშევსკი პ. ლავროვს წერს: „მიხეილ ალექსანდრეს ძე ვორონოვი, ჩემი ძველი მეგობარი, გიჩვენებს თქვენ ჩემს მიერ კრონშ-

---

[1] ЦГИАЛ, фонд 773, год 1862, опись 1, дело 158.

[2] იქვე, გვ. 10.

ტადტიდან მიღებულ დეპეშას. მე მგონია, კარგი იქნებოდა გაგვეგზავნა კრონშტადტში ვისიმე საშუალებით (მაგალითად, მიხ. ალექ. ეორონოვის, ან სტუდენტი ლომანსკის, ან და სხვა რწმუნებულის საშუალებით) 500 ან 600 მანეთი ფონდიდან განთავისუფლებული სტუდენტების გადმოსაყვანად პეტერბურგში და აგრეთვე ვიზრუნოთ პეტერბურგში იმათ საბინედო ბინებში მოწყობაზე.

თქვენი ნ. ჩერნიშევსკი" [1].

1861 წელს სტუდენტთა მღელვარების დროს დაპატიმრებული ახალგაზრდა ლიტერატორი „სოვრემენიკის" თანამშრომელი ი. ა. პიოტროვსკი კრონშტადტის ციხიდან ჩერნიშევსკის ასეთი ხასიათის ბარათს წერდა: „მოწყალეო ხელმწიფევ! ჩვენი ცხოვრება, დაპატიმრებულების, ყოველდღიურად უფრო და უფრო აუტანელი ხდება. ცოტაა ის, რომ არ იცის საქმის მსვლელობა, არა გაქვს საშუალება მოეწყო მეტად თუ ნაკლებად გასაძლისად... განუწყვეტელი ხმაურობა არ იძლევა მუშაობის საშუალებას... წესიერად რომ წერილი დავწერო, იმის საშუალებაც არ არის... აი, ახლა ღამის ოთხი საათია და პალატაში ყვირილი და ხმაურია. ჩვენ ვზივართ ყველანი ერთად, პალატა, რომელშიაც მე ვიმყოფები, გასასვლელია... როგორც ხედავთ, მდგომარეობა სრულებით არ არის დამაკმაყოფილებელი. მე არ ვლაპარაკობ ჰაერის, საწოლის, თეთრეულის და საკმელის შესახებ. ამას, მართალია, გაკირვებით, მაგრამ მაინც შემიძლია შევურიგდე... მომწერეთ რაიმე ნიკოლოზ გაბრიელის ძევ! განსაცვიფრებლად მძიმეა, არ იცოდე არაფერი იმის შესახებ, რაც მე ასე მაინტერესებს. ფული მე არა მაქვს არც ერთი კაპიკი... საერთოდ ჩვენ აქ უფულობა გვჭირს. თუ შეგროვდება რაიმე თანხა ღარიბი სტუდენტებისათვის, დაე ნუ დაივიწყებთ ჩემთან მყოფ პატიმრებსაც. ამათ უმრავლესობას არ აქვს საშუალება იყიდონ სანთელი, შაქარი, პური და ეს არის პირველაუცილებელი საგნები. ბოდიშს ვითხოვ ნიკოლოზ გაბრიელის ძევ, რომ ასე იშვიათად გწერთ თქვენ და გამომიგზავნეთ თქვენ, თუ გნებავთ, მოკლე წერილი... ჩემი მისამართია:

«В Кронштадт, в Комендантское управление для передачи Игнатию Пиотровскому»[2].

აღსანიშნავია ისიც, რომ ჩერნიშევსკი დახმარების ხელს უწვდიდა რუსეთის შორეულ გუბერნიებში მომუშავე ახალგაზრდებსაც. მათთან იგი აწარმოებდა მიწერ-მოწერას, აძლევდა რჩევა-დარიგებებს და ზოგჯერ მატერიალურ დახმარებასაც.

---

[1] Н. Г. Чернышевский, Полное собрание сочинений, т. XIV стр. 444.

[2] «Каторга и ссылка», 1928 г., № 6.

მატერიალურ დახმარებას მოითხოვს ჩერნიშევსკისაგან ხარკოვის უნივერსიტეტის რეპრესირებული სტუდენტი ეფრემენკო. „მე მოგმართავთ თქვენ უღრმესი თხოვნით, რათა იქნებ როგორმე გაისარჯოთ, რომ ლიტფონდიდან მივიღო დახმარება. ჩემი გვარია ეფრემენკო. მე ვარ ხარკოვის უნივერსიტეტის სტუდენტი, გადასახლებული ვიყავი 1860 წელს საცხოვრებლად პირველად პენზის გუბერნიაში, შემდეგ გასულ წელს არხანგელსკის გუბერნიაში. პირველდაწყებისას პოლიტიკური საზოგადოების საქმეზე, რომელიც არსებობდა ხარკოვში სტუდენტებს შორის, იქაურ უნივერსიტეტში, მეორეჯერ... ხელნაწერისათვის სახელწოდებით: «Послания старца Кондратия», რომელიც გახსნილი იქნა ქალაქ პენზაში.

მე არა მაქვს არავითარი საშუალება არსებობისა, გარდა მცირე სარჩოსი... სხვათა შორის, ჩემი ჯანმრთელობა სრულიად შერყეულია ისე, რომ მე არა მაქვს საშუალება ხელი მოვკიდო რაიმე საქმეს. П. Ефременко, Адрес: в Онегу, Арханг. бывшему студенту Харьковского Университета Петру Саввичу Ефременко. гор. Онега, 1862 г., июня 16»[1].

დახმარებას და რჩევა-დარიგებას თხოვს ჩერნიშევსკის ვიატკის სასულიერო სემინარიის მსმენელი კრასნოპეროვი. „დარწმუნებული ვარ, რომ თქვენ მე არ დამსჯით ივისათვის, რომ მე პირდაპირ, თქვენ, უცნობს, მოგმართავთ თხოვნით რჩევისათვის... გეტყვით სიმართლეს, მე ვარ ვიატკის სემინარისტი, შვილი სოფლის დიაკვნისა. დიდიხანია მაქვს სურვილი მოვეწყო პეტერბურგის უნივერსიტეტში და არ ვიცი, რა სახით განვახორციელო ეს აზრი, რომელსაც არა მაქვს არავითარი საშუალება. სემინარია მე დიდიხანია შემძულდა. მე არ შემიძლია ვიმყოფებოდე მასში არც ერთი დღე ისე, რომ არ მომაყენონ შეურაცხყოფა ყოველ ნაბიჯზე... ასე რომ მე ვთვლი სამარცხვინოდ, ჩემს თავს ვუწოდო სემინარისტი.

1862 წლის 8 ივნისის დღე"[2].

ასეთი შინაურული და გულწრფელი წერილები, რომელსაც ახალგაზრდები ჩერნიშევსკის უგზავნიდნენ, ერთხელ კიდევ ადასტურებს ჩერნიშევსკის სიახლოვეს და მამობრივ მზრუნველობას მებრძოლი ახალგაზრდობისადმი. ჩერნიშევსკის ისინი უყურებდნენ, როგორც უახლოეს ადამიანს და ჩერნიშევსკიც ყოველგვარ ღონისძიებას ხმარობდა, რათა დახმარებოდა მათ და დაეკავშირებია ისინი რევოლუციურ ცენტრთან — პეტერბურგთან.

კრასნოპეროვი ჩერნიშევსკის დახმარებით აქტიური რევოლუციო-

---

[1] «Каторга и ссылка», 1928 г., № 7 (44).

[2] იქვე, გვ. 74.

ნერი გახდა. ჯერ იგი ვიატკის არალეგალურ ორგანიზაციაში მუშაობდა, ხოლო შემდეგ ყაზანის სტუდენტთა მღელვარებაში ღებულობს მონაწილეობას.

ვიატკაში ყოფნის დროს კრასნოპეროვი კრასოვსკის საშუალებით კავშირს აბამდა ჩერნიშევსკისთან და დობროლუბოვთან.

თუ როგორ გავლენას ახდენდა რუსეთის შორეულ გუბერნიებში ჩერნიშევსკის რევოლუციური მოღვაწეობა და რა ინტერესით ეწაფებოდა მის ნაწერებს ახალგაზრდობა, ამის საუკეთესო საბუთს წარმოადგენს კრასნოპეროვის მოგონება: „არა მარტო არდადეგებზე, არამედ სწავლის დროსაც ალექსანდრე ალექსანდრეს ძე (იგულისხმება რევოლუციონერი ალექსანდრე ალექსანდრეს ძე კრასოვსკი. — კ. მ.) მიემგზავრებოდა ცოტა ხნით პეტერბურგში. ყოველთვის მისი მოსვლისას ვიატკაში, ალექსანდრე ალექსანდრეს ძე გადმოგვცემდა ჩვენ კლასში თავის შთაბეჭდილებას. მისი საუბარი დობროლუბოვზე და ჩერნიშევსკიზე ისე ღრმად აღწევდა ჩვენამდე, რომ ღრმა სიყვარული და პატივისცემა ამ პიროვნებებისა ჩვენზედაც გადმოვიდა. ყველა სტატიებს ჩერნიშევსკისას და დობროლუბოვისას „სოვრემენიკში“ ჩვენ ვკითხულობდით ერთად ალექსანდრე ალექსანდრეს ძესთან და ამის გარდა ჩვენთვის კიდევ გადავიკითხავდით ცალკე ნომერში!..“ [1]

კრასნოპეროვს „ყაზანის შეთქმულებაში“ ბრალად ედებოდა ბროშურის «Французский карбонаризм»-ის შედგენა და ხალხში გავრცელება, რისთვისაც მას სენატმა 8 წლის კატორღა მიუსაჯა [2].

ყოველივე ეს კარგად ამტკიცებს იმას, რომ ჩერნიშევსკი დიდ გავლენას ახდენდა სამოციანი წლების ახალგაზრდობაზე, მათ იდეურ წრთობაზე. ამდენად, ჩერნიშევსკის სახელი ყველაზე ძვირფასი და პოპულარული იყო ახალგაზრდობისათვის. მის ავტორიტეტულ სიტყვას შეეძლო მებრძოლთა რიგებში ჩაეყენებია ათასეულები, განსაკუთრებით ეს ყველაზე მეტად იგრძნობოდა სამოციან წლებში. «В 1861 году имя Чернышевского было самым популярным... — он владел умами молодежи, являлся авторитетом в глазах литературной братии и рисовался правительству, как грозная сила, которая в состоянии увлечь за собою все русское общество на путь активной борьбы с властью под революционным знаменем, во имя торжества социалистических начал» [3].

ჩერნიშევსკის სახელი, მართლაც, დროშა იყო რევოლუციური

---

[1] И. М. Красноперов, Записки разночинца, стр. 62.

[2] Деятели революционного движения в России — Био-библиографический словарь, т. 2, ч. 2, шестидесятые годы, стр. 187.

[3] Б. Б. Глинский, «Истор. вестник», т. CXII, 1908 г., стр. 274—275.

ახალგაზრდობისათვის. ჩერნიშევსკის სიტყვას დიდი ძალა და ავტორიტეტი ჰქონდა მასებში, რადგან იგი თავისი პირადი საქმიანობით თავგანწირულების მაგალითს იძლეოდა. მისი მებრძოლი სული ვერ მოდრეკა 27 წლის ციხემ და კატორღამ. იგი მზად იყო საკუთარი სისხლი დაეღვარა, საკუთარი სიცოცხლე შეეწირა ხალხის თავისუფლებისათვის, რადგან იცოდა, რომ მისგან გაღებული მსხვერპლი კეთილდღეობას მოუტანდა მილიონობით ადამიანებს. იგი სრული შეგნებით ამბობდა: «Жертвы необходимы... по крайней мере, великая цель оправдает гибель пионеров. Я, может быть, и сам погибну, так что же делать? По крайней мере умру с сознанием, что не даром прожил свой век, и на моих костях вырастет дерево новой цивилизации! Мне кажется, что каждый образованный и честный человек не может иначе рассуждать и действовать»[1].

და არ შეიძლებოდა ასეთ გაბედულ რევოლუციონერს გავლენა არ მოეხდინა ახალგაზრდობაზე, არ შეიძლებოდა ასეთ წინამძღოლს მხარში არ ამოდგომოდნენ თავისუფლებისათვის მებრძოლი მოწინავე მასები.

სამოცდაანი წლების ახალგაზრდობის რევოლუციური იდეოლოგიით შეიარაღების საქმეში დიდი როლი შეასრულა რევოლუციურმა პრესამ — „სოვრემენიკმა", „კოლოკოლმა", „რუსკოე სლოვომ", სამოციანი წლების აწერლობამ და პროკლამაციებმა.

ამ პერიოდის რუსულ ლეგალურ ორგანოთა შორის ყველაზე ძლიერი იყო მებრძოლი იდეების პროპაგანდის საქმეში „სოვრემენიკი". მას დიდი ხნის ისტორია აქვს. იგი დაარსდა 1836 წელს პუშკინის მონაწილეობით. 1846 წლიდან ჟურნალი გადავიდა დიდი დემოკრატ-რევოლუციონერის ნ. ნეკრასოვის ხელში. ჟურნალში თანამშრომლობდნენ: ბ. ბელინსკი, ა. გერცენი, ნ. ოგარიოვი, ი. ტურგენევი, ი. გონჩაროვი და სხვები. გასული საუკუნის 40-იან წლებში ბელინსკის სიკვდილმა და გერცენის საზღვარგარეთ გამგზავრებამ ხელი შეუწყო „სოვრემენიკში" ლიბერალურ-ბურჟუაზიული მიმართულების გაძლიერებას, მაგრამ ამ დროს თანამშრომლად მოიწვიეს ნ. ჩერნიშევსკი და ამ დღიდანვე იწყება „სოვრემენიკის" იდეური აშაღლება.

„სოვრემენიკის" ავტორიტეტი განსაკუთრებით გაიზარდა სამოციან წლებში, როდესაც მის ფურცლებზე გამოქვეყნდა ჩერნიშევსკის მაჯილებელი წერილები რეფორმის მატყუარა ხასიათის შესახებ. სამოციან წლებში „სოვრემენიკს" 7000-ზე მეტი ხელისმომწერი ჰყავდა, მაშინ როდესაც ოფიციალური ჟურნალების ხელისმოწერა 3500 არ აღემატებოდა, „სოვრემენიკის" რედაქცია წარმოადგენდა რევოლუციური აზრის

---

[1] «Исторический вестник», т. 62, СПБ, 1895, стр. 729.

პროპაგანდის ცენტრს, იგი რუსეთის შორეულ გუბერნიებში თესდა ჩერნიშევსკისა და მისი თანამებრძოლების რევოლუციურ მოძღვრებას.

„სოვრემენიკის“ ფურცლებზე, მიუხედავად ცენზურის სიმკაცრისა, იბეჭდებოდა რევოლუციური ხასიათის სტატიები, ყმა გლეხის უმწეო ცხოვრების გამომხატველი წერილები, მთავრობის უხეში მოქმედების მამხილებელი კორესპონდენციები და სხვა. ჩერნიშევსკიმ „სოვრემენიკში“ გამოაქვეყნა მოწოდება რუსეთის ინტელიგენციისადმი — „Не начало ли перемены?“ ამ სტატიაში იგი მოუწოდებდა განათლებულ საზოგადოებას დაახლოებოდა ხალხს ახალი ამოცანის გადასაწყვეტად და ეს ახალი ამოცანა ხომ რევოლიუციისათვის მზადება იყო.

„სოვრემენიკში“, ჩერნიშევსკისა და დობროლუბოვის გარდა, იბეჭდებოდა: მიხაილოვის, ობრუჩევის, შელგუნოვის, სერნო-სოლოვიევიჩის, ელისეევის და სხვათა ნაწერები.

ჟურნალის ყოველი ახალი ნომერის გამოსვლას მოუთმენლად ელოდა ახალგაზრდობა. იგი მათ აწვდიდა სულიერ საზრდოს, მათი სამაგიდო წიგნი იყო. პატიმარ სტუდენტთა ბინების გაჩხრეკის დროს ყმაწვილებს აღმოაჩნდათ „სოვრემენიკისა“ და „კოლოკოლის“ ნომრები. „სოვრემენიკი“ ასევე იდეურ საზრდოს აწვდიდა ქართველ სტუდენტებს, ხშირად ღამეებს ათენებდნენ ისინი მის კითხვაში, მასში მოთავსებული სტატიების შესახებ სჯა-ბაასში.

ახალგაზრდობის მასაზრდოებელი იყო აგრეთვე გაზეთი „კოლოკოლი“.

„კოლოკოლის“ ფურცლებზე იბეჭდებოდა პროკლამაციები, რევოლუციური მოწოდებები, საბრძოლო ლოზუნგები. „კოლოკოლი“ ამხელდა მთავრობის უსამართლობას, თავგასულობას და მასებს მოუწოდებდა შეიარაღებული აჯანყებისაკენ, სისხლიანი რევოლუციისაკენ. „კოლოკოლის“ გაბედულებას ხელს უწყობდა მისი გამოცემის პირობები. იგი ცენზურის გარეშე გამოდიოდა ლონდონში და შემდეგ ჟენევაში 1857—1867 წლებში. მისი ხელმძღვანელები იყვნენ ემიგრანტი რევოლუციონერები — გერცენი და ოგარიოვი. „კოლოკოლი“ თავისუფალი პრესის საუკეთესო ნიმუშს წარმოადგენდა. იგი საზღვარგარეთიდან არალეგალურად შემოჰქონდათ რუსეთში და არა მარტო პეტერბურგსა და მოსკოვში, არამედ რუსეთის სხვადასხვა ქალაქებსა და გუბერნიებში ვრცელდებოდა.

სამოციან წლებში „კოლოკოლის“ ფურცლებზე მკვეთრი გამოხატულება ჰპოვა ორმა დიდმა ისტორიულმა საკითხმა — რეფორმის მატყუარა ხასიათმა და პეტერბურგში მომხდარმა სტუდენტთა მღელვარებამ. საგლეხო რეფორმის წინაღმდეგ ბევრი საინტერესო სტატია გამოქვეყნდა „კოლოკოლის“ ფურცლებზე, რომლის ავტორები ნიღაბს ხდი-

დნენ მანიფესტის მატყუარა ხასიათს და ნამდვილი თავისუფლებისათვის ბრძოლისაკენ მოუწოდებდნენ გლეხობას. გერცენი 1861 წელს „კოლოკოლში“ გამოქვეყნებულ სტატიაში მიმართავდა რუს ხალხს:

«Ты ненавидишь помещика, ненавидишь подьячего, боишься их и совершенно прав, но веришь, еще в царя и в архиерея... не верь им! Царь с ними, и они его»[1].

ხოლო გერცენის თანამებრძოლი რევოლუციონერი ოგარიოვი არწმუნებდა გლეხობას, რომ არავითარი განთავისუფლება არ მომხდარა, მხოლოდ ამით მეფემ ხალხი მოატყუა. იმავე 1861 წელს იგი „კოლოკოლის“ ფურცლებზე წერდა: «Старое крепостное право заменено новым. Вообще крепостное право не отменено, народ царем обманут»[2].

„კოლოკოლი“ განსაკუთრებით პეტერბურგის სტუდენტთა მოძრაობას გამოეხმაურა. დემონსტრაციაში მონაწილე სტუდენტები ტყუილად როდი გაიძახოდნენ სიამაყით, რომ მათ გვარებს „კოლოკოლი“ გამოაცხადებდა და მთელი ევროპა გაეცნობოდა მათ სახელოვან მოქმედებას. მართლაც, ასრულდა სტუდენტების წინასწართქმული.

1861 წლის 114 ნომერ „კოლოკოლში“ გამოქვეყნდა 12 ოქტომბერს დაპატიმრებული 240 სტუდენტის სია, რომელსაც წინ მიუძღვის რედაქციის სტატია: «Материалы для истории гонения студентов при Александре II».

ეს სტატია იწყება ასე: «Кажется, тризна, совершенная над петербургским университетом Строгановым, Путятиным, Филипсоном, Шуваловым, Игнатьевым и Паткулем, кончилась, ряды злодеяний завершены, целое университетское поколение раздавлено. Конечно, не сбылось и вероятно не сбудется громко и публично сказанное слово Игнатьева, что самое здание Петра Великого будет срыто до основания. Слово это витязя, носившегося во время событий в полной генеральской форме, на белом коне, не сбылось, здание стоит, но оно внутри пусто и безжизненно. Дело разрушения кончилось, сведем-же печальный итог»[3].

კიდევ მეტი, გერცენმა ამ დიდ ისტორიულ მოვლენას ვრცელი და საინტერესო სტატია მიუძღვნა სახელწოდებით — „ბუმბერაზი იღვიძებს“, რომელიც დაიბეჭდა 1861 წლის ნოემბრის „კოლოკოლში“. გერცენის ამ სტატიას არ შეიძლებოდა დიდი გავლენა არ მოეხდინა მებრძოლ ახალგაზრდობაზე, არ შეიძლებოდა მას აღფრთოვანებაში არ მოეყვანა ისედაც აღელვებული სტუდენტები.

მეამბოხე სტუდენტებს სტატიის ავტორი გმირებსა და რაინდებს

---

1 А. И. Герцен, Полное собрание сочинений и писем, т. XI. стр. 194.
2 «Колокол», 1861 г., № 101.
3 «Колокол», 1861 г., № 114.

უწოდებს, რომ მათი სახელოვანი მოქმედებით იწყება ახალი ერა რუსეთის ისტორიაში და მეცნიერების ტაძრიდან განდევნილებს ხალხში სამუშაოდ გასვლას ურჩევს ავტორი. «В России закрыты университеты... Ну куда же вам деться, юноши, от которых заперли науку?... сказать вам куда?... В народ! К народу, — вот ваше место... Хвала вам! Вы начинаете новую эпоху...»[1]

სტუდენტები აღფრთოვანებულნი კითხულობდნენ გერცენის ამ საბრძოლო მოწოდებას. გაზეთი ხელიდან ხელში გადადიოდა და „კოლოკოლის" ეგზემპლარების სიმცირის გამო ხელნაწერის სახით ვრცელდებოდა ეს წერილი ახალგაზრდობაში.

როგორც ბ. გლინსკი აღნიშნავს, გერცენის და ოგარიოვის მგზნებარე წერილებმა, შმაგმა და აღმაშფოთებელმა სიტყვებმა, გამოაღვიძა მიძინებული საზოგადოება და განსაკუთრებით სამოციან წლებში დარაზმა მასები არსებული წყობილების წინააღმდეგ საბრძოლველად.

ასევე დიდი ინტერესი გამოიწვია რევოლუციონერ ახალგაზრდობაში ჩერნიშევსკის თანამებრძოლის ნ. სერნო-სოლოვიევიჩის[2] სტატიამ «Ответ Великоруссу» რომელიც 1861 წლის სექტემბერში გამოქვეყნდა „კოლოკოლში".

1861 წელს პეტერბურგში გამოდის პროკლამაცია „ველიკორუსის" სახელწოდებით. სარწმუნო წყაროებით მტკიცდება, რომ ამ პროკლამაციის ავტორი თვით სერნო-სოლოვიევიჩია[3]. პროკლამაციაში ლაპარაკია რეფორმის სიყალბეზე და განათლებული კლასის მოვალეობაზე. ხოლო იმავე წელს იგივე ავტორი „კოლოკოლში" აქვეყნებს ზემოთ ნასახელებულ სტატიას „პასუხი ველიკორუსს", რომელშიაც მკაცრი—რადიკალური აზრებია გატარებული. სტატიის ავტორი განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევს რევოლუციური ძალების გაერთიანებას და მასებთან კავშირს. მას სწამს, რომ თუ ხელმძღვანელობა აიღებს ინიციატივას, მასები გაჰყვებიან რევოლუციას. ამ დასკვნამდე იგი მიჰყავს ცხოვრების მოვლენების მეცნიერულ ანალიზს. ავტორი ხედავს, რომ გლეხის მოთმინების ფიალა უკვე ავსებულია, საკმაოა ერთი პატარა ბიძგი და ხალხი ხელში აიღებს კეტსა და ნაჯახს.

---

[1] А. И. Герцен, Полное собрание сочинений и писем, т. XI, стр. 259.

[2] ნიკოლოზ სერნო-სოლოვიევიჩი 1858 — 1859 წლებში მუშაობდა კალუგაში გუბერნიის კომიტეტის მდივნად. შემდეგ გადადის სახელმწიფო საბჭოში, მაგრამ 1859 წლიდან დემონსტრაციულად ტოვებს სამსახურს, რადგან მას არ შეუძლია მუშაობა იმ მთავრობაში, რომელიც მიდის უმსგავსოებისა და თვითნებობის გზით. 1861 წელს ბერლინში სცემს ბროშურას, რომელშიაც სასტიკად კიცხავს მთავრობას რეფორმის მატყუარა პოლიტიკის გამო. შემდეგ ბრუნდება პეტერბურგში და აგრძელებს არალეგალურ მუშაობას. — ჯ. ბ.

[3] «Минувшие годы», № 5, 1908 г., стр. 182.

ამის დასამტკიცებლად სერნო-სოლოვიევიჩს ბევრი საინტერესო მაგალითი მოაქვს თავის სტატიაში მთავრობის სამარცხვინო მოქმედებისა — გლეხთა დაწიოკების, მასობრივი მკვლელობების და გადასახლებისა. მაგრამ იქვე დასძენს, რომ რეპრესიები ვერ შეანელებენ ხალხების მოძრაობას, გადასახლება და მკვლელობა ვერ გასტეხს მებრძოლი ხალხის ბუნებას, ერთს გადაასახლებენ, ასეულები დადგებიან მათ ადგილზე, მოკლავენ, გამოჩნდებიან შურისმაძიებლები. „Но опыт веков свидетельствует, что всякое преследование усиливает преследуемую партию. Пострадавшие станут мучениками, святыми, их страдания сделают для дела в сто раз более их личных действий· ...они в заточении явятся гигантами в умах единомышленников, сошлют — в местах ссылки найдутся люди для проповеди, найдутся средства для бегства, казнят — каждая капля крови родит мстителей...» [1]

ცხადია, ასეთი ცეცხლიანი სტრიქონები, გაბედული გამოსვლები და მოწოდებები დიდ გავლენას მოახდენდა რუსეთის მოწინავე ახალგაზრდობაზე. ასეთი პროპაგანდის გავლენით სტუდენტები არალეგალურ ორგანიზაციებში შედიოდნენ და მებრძოლთა რიგებში ირაზმებოდნენ.

ამასთანავე „კოლოკოლი“ მოითხოვდა გლეხთა განთავისუფლებას მიწიანად, ცენზურისა და ადამიანის სიკვდილით დასჯის გაუქმებას. მაგრამ ყოველთვის როდი იდგა „კოლოკოლი“ ასეთ პრინციპულ სიმაღლეზე, ზოგჯერ მის ფურცლებზე გამოჩნდებოდა ლიბერალური და მეფესთან შემთანხმებლური აზრებიც, რაც თვით მისი რედაქტორის, გერცენის ბუნებიდან გამოდიოდა. მაგრამ ვ. ი. ლენინის შენიშვნით: „...მიუხედავად გერცენის მერყეობისა დემოკრატიზმს და ლიბერალიზმს შორის, მასში მაინც დემოკრატიზმი იმარჯვებდა ყოველთვის“ [2]. ლენინის ეს სიტყვები ასევე გამოხატავს „კოლოკოლის“ ბუნებასაც.

სამოციანი წლების რევოლუციური იდეების პროპაგანდის საქმეში აგრეთვე დიდი როლი ითამაშა ჟურნალმა „რუსკოე სლოვომ“, რომლის ხელმძღვანელი იყო დიდი რუსი დემოკრატი-რევოლუციონერი დიმიტრი პისარევი. „რუსკოე სლოვო“ არსებითად „სოვრემენიკის“ გზას მიჰყვებოდა. მათი მსგავსებისა და განსხვავების შესახებ საინტერესო აზრს გამოთქვამს ნ. შელგუნოვი:

«Оно было лишь другой стороной медали, первую сторону которой представлял «Современник»... Но как «Современник», разрешая экономические, общественные и политические вопро-

---

[1] «Колокол», 1861 г., № 107, стр. 196—197.

[2] ლენინი ლიტერატურის შესახებ, 1945 წლის გამოცემა, შედგენილი ვ. შადურის მიერ, გვ. 67.

сы, не обходил вопросов бытовых и личных, так и «Русское слово», разрабатывая личные вопросы, не обходило и всех остальных. Таким образом, «Современник» примыкал своими бытовыми и личными вопросами к «Русскому слову», а «Русское слово» статьями политического, общественного и экономического содержания примыкало к «Современнику»[1].

„რუსკოე სლოვოსა“ და „სოვრემენიკის“ იდეურ ნათესაობაზე მიუთითებს ისიც, რომ მთავრობის მოხელეები ერთსა და იმავე დროს ერთნაირ ბრძოლას აწარმოებდნენ ორივე ჟურნალის წინააღმდეგ.

1861 წლის 23 ნოემბრის თარიღით ცენზურის მთავარი სამმართველო წერს პეტერბურგის საცენზურო კომიტეტს, რომ „რუსკოე სლოვოს“ რედაქტორი გაფრთხილებული იყო შეეცვალა ჟურნალის მიმართულება, მაგრამ ეს მითითება არ შეუსრულებია „რუსკოე სლოვოს“ და „სოვრემენიკის“ რედაქციებსო[2]. და შემდეგ ცენზურის მთავარი სამმართველო, ახასიათებს რა „რუსკოე სლოვოს“ საქმიანობას, აღნიშნავს, რომ ჟურნალი „მიზნად ისახავს, დაანგრიოს არსებული სისტემა. საერთოდ დანგრევა მისი სპეციალობაა, ის სპობს ხელისუფლების ყოველგვარ ავტორიტეტს, ზნეობას, სარწმუნოებას, მეცნიერებას“.

ცხადია, მთავრობის მიერ ასეთი შეფასება საუკეთესო დოკუმენტია ჟურნალის პოლიტიკური მიმართულებისა და საქმიანობის გასარკვევად.

რადგან მთავრობის განკარგულება ჟურნალების „რუსკოე სლოვოს“ და „სოვრემენიკის“ რედაქციებმა არ შეასრულეს და პოლიტიკური მიმართულება არ შესცვალეს, როგორც ზემოთ დავინახეთ, 1862 წლის 19 ივნისს ორივე ჟურნალი დახურულ იქნა[3].

ასეთი ხასიათის პრესა, რევოლუციური იდეებისათვის მებრძოლი ჟურნალ-გაზეთები წრთვნიდნენ და ამზადებდნენ სამოციანი წლების ახალთაობას თავისუფლებისათვის საბრძოლველად.

ჟურნალ-გაზეთებთან ერთად, დიდი გავლენა მოახდინა ახალგაზრდობაზე პროკლამაციებმა, რომლებიც ხშირად ვრცელდებოდა უმაღლეს სასწავლებლებში, დაწესებულებებსა და ჯარის ნაწილებში.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, უნივერსიტეტში პირველად გამოჩნდა პროკლამაცია «К молодому поколению», რომელმაც დიდი მღელვარება გამოიწვია სტუდენტ ახალგაზრდობაში. ამას მოჰყვა შემდეგ სხვა პროკლამაციები: «Молодая Россия», «Великорусс», «Студенческое дело», «Друзьям рабочим», «Барским крестьянам» და სხვა.

---

[1] Н. В. Шелгунов, Сочинения в двух томах.

[2] ЦГИАЛ, фонд 1, опись 1, ед. хр. 305, стр. 8—10.

[3] ЦГИАЛ, фонд 773, год 1862, опись 1, дело 158, стр. 6.

ამ პროკლამაციათა შორის ყველაზე რადიკალური და გაბედული შინაარსის იყო „Молодая Россия“, რომელიც დაწერა მოსკოვის უნივერსიტეტის სტუდენტმა პ. ზაიჩნევსკიმ.

პროკლამაცია იწყება ასეთი სიტყვებით: „რუსეთი თავის არსებით შედის რევოლუციურ პერიოდში... რევოლუცია, რევოლუცია სისხლიანი და შეუწყნარებელი. რევოლუცია, რომელმაც რადიკალურად უნდა შეცვალოს ყველაფერი, ყველაფერი ყოველგვარი გამონაკლისის გარეშე — საფუძველი თანამედროვე საზოგადოებისა. უნდა დაიღუპოს და მოისპოს ამ საზოგადოების დამცველებიც. ჩვენ არაფრის არ გვეშინია, თუმცა ვიცით, რომ ადიდდება მდინარეები, რომ დაიღუპება უდანაშაულო ადამიანებიც. ჩვენ წინასწარ ვხედავთ ყოველივე ამას, მაგრამ, მიუხედავად ამისა, მაინც მივესალმებით მის დასაწყისს. მზად ვართ შევსწიროთ საკუთარი სიცოცხლე, მხოლოდ მოვიდეს ის დიდი ხნის ნანატრი...

„დაიმახსოვრეთ, ახალგაზრდებო, რომ თქვენი რიგებიდან უნდა გამოვიდნენ ხალხის წინამძღოლები, რომ თქვენ უნდა ჩაუდგეთ სათავეში მოძრაობას. რომ თქვენზე ამყარებს იმედებს რევოლუციური პარტია. იყავით მზად დიდი მოვალეობისათვის. ეცადეთ, რომ თქვენ არ მოგისწრონ მოუმზადებელს. ამისათვის შეიკრიბეთ ხშირ-ხშირად. მალე დადგება ის დღე, როცა ჩვენ აღვმართავთ მომავლის უდიდეს დროშას, წითელ დროშას... და თუ ამბოხება არ მოხდება, და თუ დაგვჭირდება იქვე ვაგოთ პასუხი საკუთარი სიცოცხლით იმის ცდისათვის, რომ მივცეთ ადამიანებს ადამიანური უფლება, ამისათვის შეუთრთოლებლად წავალთ ეშაფოტზე, უშიშრად დავდებთ თავს ჯალათის კუნძზე, ან თავს გავყოფთ ყულფში, ხოლო გავიმეორებთ იმასვე მაღალის ხმით: გაუმარჯოს რუსეთის სოციალურსა და დემოკრატიულ რესპუბლიკას“ [1].

განზრახ მოვიტანეთ მოზრდილი ამონაწერი ამ პროკლამაციიდან იმისათვის, რათა გავეცნოთ, თუ რა იდეური საზრდოთი იკვებებოდა და როგორ გარემოში იწრთობოდა სამოციანი წლების ახალგაზრდობა.

არ შეიძლებოდა ამ სტრიქონების წამკითხველი არ აგზნებულიყო რევოლუციური სულისკვეთებით, თუ მასში ოდნავ ღვიოდა ხალხისა და თავისუფლების სიყვარული.

პროკლამაცია სწრაფად გავრცელდა რუსეთის სხვადასხვა ადგილში. 1862 წლის მაისის თვეში ეგი უკვე გაკრული იყო მოსკოვის ბაღებში და

---

[1] ამოღებულია ბ. ლემკეს წიგნიდან: «Политические процессы Михайлова. Писарева и Чернышевского, стр. 94—104.

მოედნებზე, ეყარა სახლების შესასვლელებთან, ფოსტით უგზავნიდნენ მეფის ჩინოვნიკებს. მრავალი ეგზემპლარი გავრცელდა უნივერსიტეტის დერეფნებსა და აუდიტორიებში. რამდენიმე ცალი უნივერსიტეტის სტუდენტთა სამისამართო წიგნშიაც აღმოჩნდა.

ამ პროკლამაციის შესახებ ნ. ნიკოლაძე წერს: „1862 წლის მაისის დასაწყისში ქალაქში გავრცელდა ახალი დიდი პროკლამაცია «Молодая Россия», ყველაზე სასტიკი და დაურიდებელი იმ დრომდის გამოსულ პროკლამაციებთან შედარებით. მათი ავტორები მიმართავენ არა ახალგაზრდობას, ან საზოგადოებას, არამედ „ხალხს", იგი მოუწოდებდა არა მარტო მთავრობის ჩამოგდებისაკენ, არამედ მემამულეთა და მოხელეთა გაწყვეტისაკენ. სხვათა შორის, მასში იყო ლაპარაკი გერცენის როლზე იმდროინდელ საქმეში. პროკლამაცია ღირებულად სთვლიდა მისი მეორმოცე წლების ლიტერატურულსა და მეორმოცდაათე წლების პირველი ნახევრის სააგიტაციო მოღვაწეობას, მაგრამ მასთან „ახალგაზრდა რუსეთი", ამტკიცებდა, რომ ამ ჟამად გერცენი უკან ჩამორჩა. ახლა იგი იმით არის გართული, რომ ჭკუას არიგებს მეფესა და მინისტრებს, მაშინ როცა იგი ზარს უნდა რეკდეს ხალხის მოსაგროებლად, ის უნდა მოუწოდებდეს ხალხს: „ცულებით, ბიჭებო", ეცით იმ არამზადებს, სადაც არ უნდა შეგხვდეთ". ამ პროკლამაციის უმთავრესი აზრის სისწორეს უსათუოდ ვადასტურებ. რასაკვირველია, იგი მეხიეით გავარდა ქალაქში. მე მომეჩვენა პირველად, რომ ეს თვით მეს:მე განყოფილების ნაწარმოებია, რათა დაეშინებია საზოგადოება და მოესპო მასში კეთილგანწყობილება ახალთაობისადმი. მაგრამ ეს ეჭვი სისულელე გამოდგა. მთავრობა ხუმრობაგაშვებით შეშინდა. მან მაშინვე გაბოაცხადა ქალაქში სამხედრო წესები. იმ პირებს, რომელზედაც ეჭვი ჰქონდათ, რომ ისინი მონაწილეობას იღებენ ამ პროკლამაციის გავრცელებაში, აძლევდნენ სამხედრო სასამართლოში ომის წესების თანახმად დასასჯელად. ამ სასამართლოს პირველი მსხვერპლი შეიქნა მთელი უნივერსიტეტის საყვარელი სტუდენტი იაკოვლევი, რომელიც კრონშტადტში ჩვენთან ერთად იჯდა. მას დასვრეტა მიუსაჯეს და ეს დადგენილება მაშინვე დაიბეჭდა ყველა გაზეთებში. შემდეგ ის, მართალია, შეიბრალეს და კატორღაში გაგზავნეს, მაგრამ იქ იგი მალე დაიღუპა. ყოველგვარი ზომები იყო .მიღებული ავტორების აღმოსაჩენად და პროკლამაციის დაბეჭდვის ადგილის გამოსარკვევად. ჩხრეკას, დატუსაღებას, გადასახლებას არ ჰქონდა ბოლო და საზღვარი..."[1]

პროკლამაციის მქუხარე ხმა რუსეთის საზღვრებს იქითაც გაცდა, მსოფლიო პროლეტარიატის ბელადი კარლ მარქსი «Молодая Россия»-ს შესახებ წერდა:

[1] ნ. ნიკოლაძე, ტ. I, გვ. 131—132.

«Этот манифест содержал ясное и точное описание внутреннего положения страны... делал вывод о необходимости социальной революции. Он призывал всех серьезных людей сплотиться вокруг радикального знамени»[1].

ასეთ დიდ შეფასებას აძლევდა ამ დოკუმენტს პროლეტარიატის ბელადი მარქსი. აგრეთვე, ახალგაზრდობის ყურადღება მიიქცია პროკლამაციამ «Великорусс»-მა, რომელიც სწრაფად გავრცელდა საზოგადოებაში.

იგი შინაარსით უფრო ლიბერალური ხასიათისაა, ვიდრე წინათ დასახელებული პროკლამაციები, მაგრამ, იმ ეტაპზე, რევოლუციური მოძრაობის ისტორიაში მაინც მნიშვნელოვანი მოვლენა იყო. ამ პროკლამაციის მთავარი ნაკლი ის იყო, რომ მისი ავტორი მასებს კი არ ეყრდნობოდა, არამედ იმედებს ამყარებდა „განათლებულ კლასზე", რომ რეფორმით მოტყუებული გლეხობის ხსნა შეუძლია განათლებულ კლასს. პროკლამაციაში აღნიშნულია: „საბატონო გლეხები უკმაყოფილონი არიან იმ ცვლილებათა გამო, რომელსაც მთავრობა აწარმოებს განთავისუფლების სახელით. მათი უკმაყოფილება უკვე გამოიხატება მღელვარებაში, რომელსაც თანაუგრძნობენ სახელმწიფო გლეხები და სხვა უბრალო ადამიანები..."

მაგრამ, პროკლამაციის ავტორის აზრით, „თუ განათლებული კლასები ჩათვლიან თავიანთ თავს უძლურად, არ გრძნობენ სიმტკიცეს ალაგმონ მთავრობა და უხელმძღვანელონ მათ, მაშინ პატრიოტები იძულებული გახდებიან მოუწოდონ ხალხს იმ საქმის აღსასრულებლად, რომელიც უარყო განათლებულმა კლასმა..." [2]

მაშასადამე, პროკლამაციის ავტორი გლეხთა ნამდვილი თავისუფლების მოპოვებას ინტელიგენციის საშუალებით აპირებს, ხალხის გარეშე. ხალხთან დაკავშირებას მხოლოდ იმ შემთხვევაში ფიქრობს, როდესაც „განათლებული კლასი" ვერ შეასრულებს თავის მოვალეობას.

ამ პროკლამაციის ნაკლოვანების შესახებ თვით ნ. ნიკოლაძეც აღნიშნავდა: „და სწორედ ამავე დროს დაიწყო ახალი პროკლამაციების გამოსვლა, თუმცა უფრო პატარა ფორმატით, და უფრო თავდაჭერილი შინაარსით; — ეს, უკვე ეტყობოდა, შინაურული წარმოებისა იყო, დაბეჭდილი საბაზრო გამოცემების რუხ ქაღალდზე ცუდი შრიფტით. ეს იყო სამი ნომერი «Великорусс»-ის, რომელიც- მოითხოვდა მხოლოდ წარმომადგენლობითს მმართველობას, რაღაც „ზემსკი სობორის" მაგვარს" [3].

---

[1] К. Маркс и Ф. Энгельс, Соч., т. XIII, ч. 2. стр. 641—642.
[2] ЦГИАЛ, фонд 1405, опись 59, дело 6631, год 1861, стр. 206.
[3] ნ. ნიკოლაძე, ტ. I, გვ. 120.

როგორც დოკუმენტებიდან ირკვევა, ამ პროკლამაციის ავტორია პეტერბურგის მედიკო-ქირურგიული აკადემიის მსმენელი პეტრე ს ო ბ ო ლ ე ვ ი. III განყოფილების საქმეებში აღნიშნულია: „ს.-პეტერბურგის ობერპოლიცმეისტერმა აღმოუჩინა დაპატიმრებულს... აქაური მედიკო-ქირურგიული აკადემიის სტუდენტს პეტრე სობოლევს თავისი ხელით დაწერილი აღმაშფოთებელი შინაარსის ქაღალდები“ [1].

პეტრე სობოლევის „აღმაშფოთებელ“ ქაღალდებში არის პროკლამაცია „ველიკორუსს“. ბოლოს კვლევა-ძიებით გამორკვეულია ისიც, რომ ამ პროკლამაციის შემდგენელი თვით სობოლევი იყო. დაპატიმრებულთა საქმეში (№ 6631) ჩაკერებულ «Великорусс»-ის თავისუფალ ფურცელს მიწერილი აქვს თვით სობოლევის ხელით:

«Действительно писано рукою моею, студент П. Соболев 1861 г., 10 октября»[2].

სულ სხვა შინაარსისაა პროკლამაცია „Студенческое дело“. იგი მხოლოდ უნივერსიტეტის საკითხებს ეხება და ბრძოლის მახვილი უნივერსიტეტის ახალი რეჟიმისა და წესდების წინააღმდეგაა მიმართული.

პროკლამაციაში ნათქვამია: „...ამდენხანს სტუდენტებს ნება ეძლეოდათ შეკრებილიყვნენ თავის საქმეზე, ჰქონდათ სალარო ღარიბი სტუდენტების დასახმარებლად, ნება ეძლეოდათ კრებულების გამოცემისა, ჰქონდათ საკუთარი ბიბლიოთეკა და ამავე დროს ღარიბები თავისუფლდებოდნენ ლექციების მოსმენის გადასახადისაგან...

ახალი წესდება უკრძალავს სტუდენტებს ყოველივე ზემოთ დასახელებულს და რა უნდა ექნათ სტუდენტებს? მათ დაიწყეს მოქმედება... ჩვენთვის შესაძლებელი გზით...“ [3]

პატიმარ სტუდენტთა შემსწავლელი კომისიის საქმეში არის პოლიციის დაბეზღება იმის შესახებ, რომ სტუდენტთა დაპატიმრების დროს „კოლეჟსკი ასესორის“ ა ლ ბ ე რ ტ ი ნ ი ს ბინაზე აღმოჩნდა პეტერბურგის უნივერსიტეტში 20 სექტემბერს გამოკრული პროკლამაციის ასლი და რამდენიმე სიტყვა „Студенческое дело“-ზე.

ასევე, 1862 წელს სტუდენტმა პავლე მ ო შ კ ა ლ მ ა შეადგინა პროკლამაცია «Русское правительство под покровительством шедофорроти».

ავტორი ამ პროკლამაციისა საზღვარგარეთ გაიქცა და მთავრობამ იგი გაძევებულად გამოაცხადა. ასევე სტუდენტმა ლეონიდ ო ლ შ ე ვ ს კ ი მ შეადგინა «Рассказ дяди Кузьмича». დიმიტრი კ ა რ ა კ ო ზ ო ვ მ ა კი

---

[1] ЦГИАЛ, фонд 1405, опись 54, дело 6638, год 1861, стр. 10.

[2] ЦГИАЛ, фонд 1405, опись 59, дело 6631, ед. хр. 6644, год 1861, стр. 206.

[3] ЦГИАЛ, фонд 1405, год 1861, опись 59, дело 6631, стр. 204.

გამოსცა პროკლამაცია «Друзьям рабочим» და სხვ [1]. ეს პროკლამაციები ვრცელდებოდა რუსეთის სხვადასხვა ადგილზე და რაზმავდა მასებს გადამწყვეტი ბრძოლისათვის. ამ ამბების მოწმე შელგუნოვი აღნიშნავს: «Теперь мы становимся лицом к лицу с «печатью подпольною», которая с величайшими жертвами для ея создателей получает широкое распространение по всей России и является «вольным голосом" русских людей у себя дома, на родном берегу.

№ 1 «Великорусса», напечатанный в тайной типографии, появился в июле 1861 г. и открыл собою первую главу из истории отечественной нелегальной литературы»[2].

ამასთან ერთად, სტუდენტები ავრცელებდნენ რევოლუციური შინაარსის მქონე ჟურნალებსა და კრებულებს. ჯერ კიდევ 1857 წელს პეტერბურგის უნივერსიტეტის სტუდენტებმა გამოსცეს „კრებული", რომელშიაც ისინი გამოხატავდნენ თავისუფალ აზრებსა და ილუზიებს. ხოლო 1859 წელს მოსკოვის უნივერსიტეტის სტუდენტებმა გამოუშვეს ჟურნალი „Изобличитель" („მამხილებელი"). რომელშიაც მკაცრად იყო გაკრიტიკებული უნივერსიტეტის ადმინისტრაცია და რეაქციონერი პროფესორები. როგორც ჟურნალში მოთავსებულ სტატიებიდან ჩანს, სტუდენტები ხელჩართულ ბრძოლას აწარმოებდნენ ადმინისტრაციის უხეში მოქმედების წინააღმდეგ და ასევე მკაცრად უსწორდებოდნენ ზოგიერთ პროფესორს, რომელთა ლექციები მონარქიზმის სიყვარულითა და რელიგიური რწმენით იყო გაჟღენთილი.

მოსკოვის უნივერსიტეტში რუსეთის ლიტერატურის ისტორიას კითხულობდა დოცენტი აპოლონ ალექსანდრეს ძე მ ა ი კ ო ვ ი[3], რომელსაც მე-7 ლექციის შემდეგ სტუდენტებმა უსტვინეს. სდუტენტთა ბუნტის მეთაური იყო ვ. ი. გ ე რ ი ე, შემდეგში ცნობილი ისტორიკოსი. ერთ დღეს გერიეს თაოსნობით მაიკოვის ლექცია დემონსტრაციულად დატოვეს სტუდენტებმა, მაიკოვი მაინც განაგრძობდა კითხვას. გერიემ გააფრთხილა ლექტორი, თუ ლექციების კითხვას არ დაანებებდა თავს, მას პირად შეურაცხყოფას მიაყენებდნენ. მაშინ მაიკოვი უპასუხებს: „რომ იგი ლექციის წასაკითხად მოვა არა ერთი, არამედ პოლიციელებით". მართლაც, შემდეგ მის ლექციებს ესწრებოდნენ უნივერსიტეტის რექტორი ალფონსკი, დეკანი სოლოვიევი და მზრუნველის თანაშემწეც კი. მაგრამ სტუდენტებმა მაინც თავისი გაიტანეს და მაიკოვი იძულებუ-

---

[1] М. Л е м к е, Политические процессы Михайлова, Писарева и Чернышевского, стр. 117.

[2] Из прошлого к настоящему, «Истор. вестник». т. CXII, 1908 г., стр. 274 — 275.

[3] ცნობილი პოეტის ა. ნ. მაიკოვის ბიძაშვილი.

ლი გახდა თავი დაენებებია უნივერსიტეტისათვის. ყოველივე ეს მოთავსებულია „იზობლიჩიტელში“, რომლის ერთი სტატიის დასასრულს ნათქვამია: „ასეთია ახლანდელი მდგომარეობა მოსკოვის უნივერსიტეტისა. რა ელის მას მომავალში? ბრძოლა და განახლება ან ბრმა მორჩილება და საბოლოო გახრწნა“ [1].

ამავე ჟურნალში მოთხრობილია ზოოლოგიის პროფესორ ნიკოლოზ ალექსანდრეს ძე ვ ა რ ნ ე კ ი ს ამბავიც. მას ლექციის დროს სტუდენტებმა უსტვინეს, ხოლო რამდენიმე წუთის შემდეგ დემონსტრაციულად დატოვეს აუდიტორია. იმავე საღამოს ინსპექტორმა შეკრიბა სტუდენტები და ხელწერილი ჩამოართვა, რომ თუ ვარნეკის ლექციებს არ დაესწრებოდნენ, გაირიცხებოდნენ უნივერსიტეტიდან. 1 ნოემბერს ლექციაზე გამოცხადდა სამედიცინო ფაკულტეტის დეკანი პროფესორი ა ნ კ ე, აუდიტორია სავსე იყო მსმენელებით, მაგრამ არც ერთი სტუდენტი არ ესწრებოდა იმ ჯგუფიდან, რომლებსაც ევალებოდათ კურსის მოსმენა. ლექციის დამთავრებისას აუდიტორიაში შემოიჭრა სტუდენტების სახელით ჟოხოვი, რომელმაც აუდიტორიაში პროფესორს შეურაცხყოფა მიაყენა. ნახევარი საათის შემდეგ პროფესორმა დატოვა უნივერსიტეტი, მაგრამ მას მოჰყვა ჟოხოვის გარიცხვაც. ამ საქმის გამო შეიქნა სპეციალური კომისია, რომელმაც გარიცხა უნივერსიტეტიდან რამდენიმე სტუდენტი.

ყოველივე ეს იწერებოდა „იზობლიჩიტელის“ ფურცლებზე და ვრცელდებოდა სტუდენტთა ფართო წრეებში.

ახალგაზრდობის იდეურ წრთობაზე საგრძნობ გავლენას ახდენდა. სხვათა შორის, სტუდენტთა რევოლუციური მოძრაობის თემატიკაზე შექმნილი პოეტური სტრიქონებიც, რომლებიც არალეგალურად — ხელნაწერების სახით — ვრცელდებოდა ხალხში.

როდესაც 1861 წლის 12 ოქტომბერს პეტერბურგში სტუდენტთა მასობრივი დაპატიმრება მოხდა, პატიმარ სტუდენტებს პეტრეპავლეს ციხეში დახვდათ ჩერნიშევსკის თანამებრძოლი, პროკლამაცია «К молодому поколению»-ს შემდგენელი მ. მიხაილოვი. მიხაილოვი, ისე როგორც ჩერნიშევსკის სხვა თანამებრძოლები, სტუდენტებისათვის ძალზე საყვარელი პიროვნება იყო, იგი უშუალოდ ხელმძღვანელობდა სტუდენტთა მოძრაობას. სტუდენტმა ი. ა. რ ო ჟ დ ე ს ტ ვ ე ნ ს კ ი მ, ციხეში მყოფი სტუდენტების სახელით, ასეთი ლექსი გაუგზავნა იქვე ციხის კამერაში მყოფ მიხაილოვს:

Из стен тюрьмы. из стен неволи,
Мы братский шлем тебе привет,

[1] А. М а л е и н, «Изобличитель» — рукописный журнал студентов Московского университета (1859 г.), «Звенья», III—IV, 1934 г., М.-Л., стр. 474.

Пусть облегчит в час злобной доли
Тебя он, наш родной поэт!
Проклятым гнетом самовластья
Нам не дано тебя обнять,
И дань любви, и дань участья
Тебе, учитель наш, воздать,
Но день придет, и на свободе
Мы про тебя расскажем все,
Расскажем в русском мы народе,
Как ты страдал из-за него.
Да, сеял доброе ты семя,
Вещал ты слово правды нам,
Верь, плод взойдет — и наше племя
Отмстит сторицею врагам,
И разорвет позора цепи,
Сорвет с чела ярмо раба,
И призовет из снежной степи
Сынов народа и тебя[1].

ნ. ნიკოლაძე როედესტვენსკის ამ ლექსის მხოლოდ ნაწილის აღდგენას ახერხებს თავის მოგონებაში და ისიც ცოტა შეცვლილი სახით[2].

თანაც დასძენს ნ. ნიკოლაძე: „სტუდენტები, როცა კითხულობდნენ ამ წერილს, რასაკვირველია, არც კი ფიქრობდნენ, რომ იგი მართლაც მიაღწევდა მიხაილოვთან. როგორი უნდა ყოფილიყო ჩვენი აღტაცება, როცა რამდენიმე დღის შემდეგ მიღებული იქნა პოეტის პასუხი „სტუდენტებს“, რომელმაც ბევრს ცრემლები გვაფრქვევინა. არა მგონია. რომ ვინმე ჩვენგანს სიკვდილამდე დავიწყებოდეს ეს ნაგრძნობი და სისხლით დაწერილი სტრიქონები“[3].

მართლაც, როედესტვენსკის ლექსმა მიაღწია მიხაილოვამდე და მანაც, ციხის კედლებიდანვე, ასეთი ამაღელვებელი სტრიქონები უძღვნა საპასუხოდ სტუდენტებს:

Крепко, дружно вас в объятья
Всех бы, братья, заключил
И надежды, и проклятья
С вами, братья, разделил.
Но тупая сила злобы
Вон из братского кружка
Гонит в снежные сугробы,
В тьму и холод рудника.
Но и там, на зло гоненью,
Веру лучшую мою

[1] М. Михайлов, Полное собрание стихотворений, М.-Л., 1934 г., стр. 641—642. В. Г. Баскаков, Мировоззрение Чернышевского, стр. 231.

[2] ნ. ნიკოლაძე, ტ. I, გვ. 110.

[3] იქვე.

В молодое поколенье
Свято в сердце сохраню.
В безотрадной мгле изгнанья
Твердо буду света ждать
И в душе одно желанье,
Как молитву, повторять:
Будь борьба успешней ваша,
Встреть в бою победа вас,
И минуй вас эта чаша,
Отравляющая нас[1].

უნდა აღინიშნოს ისიც, რომ ნ. ნიკოლაძეს მ. მიხაილოვის ეს ლექსი „სტუდენტებს" მთლიანად და უცვლელად აქვს აღდგენილი თავის მოგონებაში[2].

რომ ასეთი პოეტური სტრიქონები დიდ გავლენას ახდენდა ახალგაზრდობაზე, ამას ადასტურებს თვით ნ. ნიკოლაძის მოგონებაც. „ადვილი წარმოსადგენია, — წერს იგი, — თუ როგორ იმოქმედებდა ეს ლექსი ჩვენზე: ჩვენ გავიზარდენით ჩვენსავე თვალში და კიდევ უფრო გავმტკიცდით ჩვენს გადაწყვეტილებაში გვებრძოლა სრულ გამარჯვებამდე, რომ ამით გაგვემართლებინა ჩვენი დანაპირი, რომელსაც აძლევდა როდესტვენსკი მიხაილოვს თავისი ლექსის ბოლოში: «Вызовем из снежной дали сынов свободы и тебя»[3].

როგორც ნ. ნიკოლაძე იმავე მოგონებაში აღნიშნავს, როდესტვენსკის სხვა ლექსებიც დაუწერია მთავრობის წინააღმდეგ, რომელსაც ზეპირად სწავლობდნენ და მღეროდნენ პატიმარი სტუდენტები.

რევოლუციონერი პოეტი მიხაილოვი პეტრეპავლეს ციხეში პატიმრობის დროსაც არ ყრიდა ბრძოლის იარაღს. იგი ნესტიან კამერებში დაწერილი თავისი ცეცხლიანი პოეტური სტრიქონებით გაბედული და გადამწყვეტი ბრძოლისაკენ მოუწოდებდა ახალგაზრდობას. მისი ყოველი სიტყვა მოწოდებას და საბრძოლო ყიჟინას წარმოადგენდა, რომელსაც ფარულად, ხელნაწერების საშუალებით, იზეპირებდნენ სტუდენტები: მოგვაქვს ერთი ასეთი ლექსი:

Смело, друзья! не теряйте
Бодрость в неравном бою,
Родину-мать защищайте,
Честь и свободу свою!
Пусть нас по тюрьмам сажают,
Пусть нас пытают огнем,

---

[1] М. Михайлов, Полное собрание стихотворений, стр. 617, იხ. აგრ. В. Г. Баскаков, Мировоззрение Чернышевского, стр. 231—232.

[2] ნ. ნიკოლაძე, ტ. I, გვ. 110.

[3] იქვე.

Пусть в рудники посылают,
Пусть мы все казни пройдем!
Если погибнуть придется
В тюрьмах и шахтах сырых, —
Дело, друзья, отзовется
На поколеньях живых.
Стонет и тяжко вздыхает
Бедный, забитый народ,
Руки он к нам простирает,
Нас он на помощь зовет.
Час обновленья настанет —
Воли добьется народ.
Добрым нас словом помянет,
К нам на могилу придет
Если погибнуть придется
В тюрьмах и шахтах сырых. —
Дело, друзья, отзовется
На поколеньях живых[1].

არ შეიძლებოდა ასეთ ლექსებს მაორგანიზებელი გავლენა არ მოეხდინა ისედაც მშფოთვარე ახალგაზრდობაზე.

ამდენად, როგორც ვხედავთ, პოეტები და პუბლიცისტები, რევოლუციური პრესის საშუალებით ქება-დიდებას ასხამდნენ თავისუფლებისათვის მებრძოლ ახალგაზრდებს, ბუმბერაზებსა და რაინდებს უწოდებდნენ მათ, მაგრამ აღსანიშნავია ისიც, რომ იგივე რადიკალურად მოაზროვნე ადამიანები სამარცხვინო ბოძზე აკრავდნენ და მასხარად იგდებდნენ სტუდენტთა წინააღმდეგ მებრძოლ მეფის მოხელეებსა და არმიის ოფიცრებს.

როგორც ადრევე დავინახეთ. 12 ოქტომბერს, სტუდენტთა მასობრივი დაპატიმრების დღეს, მთავრობამ სტუდენტთა წინააღმდეგ შეიარაღებული ძალა გამოიყენა. ფინეთისა და პრეობრაჟენსკის პოლკების ჯარისკაცებმა ხმლებისა და თოფის კონდახის ცემით შერეკეს სტუდენტები პეტრეპავლეს ციხეში. ამ დროს, როგორც ჩანს, განსაკუთრებით თავი უსახელებია პრეობრაჟენსკის პოლკს და მის მეთაურს პოლკოვნიკ ი ლ ა რ ი ო ნ ტ ო ლ ს ტ ო ი ს.

როგორც დოკუმენტებიდან ჩანს, ტოლსტოის თვით გაუცია განკარგულება თავისი პოლკის ჯარისკაცებისადმი — ხმლებითა და ხიშტებით შეტაკებოდნენ უიარაღო სტუდენტებს. ბოლოს აზარტში ‘ესული, არც ის ჩამორჩენია თავის ჯარისკაცებს და რამდენიმე სტუდენტისათვის თავში დაუკრავს ხმალი. ამ ბრძოლის შედეგად ქუჩაზე დარჩენილან გასისხლიანებული სტუდენტები. იმპერატორმა არ დაივიწყა

[1] М. Михайлов, Полное собрание стихотворений, 1934 г., М.-Л., стр. 617 — 618.

„რაინდის დამსახურება“ და 1862 წლის 17 აპრილს იგი დააჯილდოვა „ფ ლ ი გ ე ლ-ა დ ი უ ტ ა ნ ტ ი ს წ ო დ ე ბ ი თ“[1].

ამ სამარცხვინო ფაქტმა ხალხის სამართლიანი აღშფოთება გამოიწვია და ამან მკაცრი გამოხატულება ჰპოვა პოეტურ სტრიქონებში. ბევრი ანონიმური ლექსი გაიგზავნა ტოლსტოის მისამართით, სადაც გამასხარავებული იყო არა მარტო ილარიონ ტოლსტოი, არამედ თვით მეფეც.

ანონიმი პოეტები პუშკინის მიბაძვით წერდნენ სატირულ ლექსებს. ერთი ლექსი იწყება ასე:

«1. Письмо Татьяны А. С. Пушкина (но не к Евгению Онегину, а к флигель-адъютанту Илларион Николаевичу Толстому).

(рифма А. С. Пушкина)

Я к вам пишу, чего-же боле?
Да! Мне вам надобно сказать,
Что было в вашей доброй воле
Себя холопом показать.
Теперь в позорной вашей доле,
Хоть тень приличия храня —
Извольте выслушать меня:
Сначала я молчать хотела,
По вижу, вашего стыда
Вам уж не спрятать никогда.
Скажу, надежду я имела,
Что царь ни в тот, ни в этот раз
Не наградит позорно вас
За ваши действия и речи
В октябрьской драме... но потом —
Вполне уверилась в одном:
Я б не желала с вами встречи.
Мы за студентов, нам, как им.
Под гнетом деспотизма душно...
Их жизнь, их быт — одни мученья
Народ, страдая, ждет волненья...
Толстой, в каком позорном свете
Несчастный, — где-же честь твоя?..
Ти впереди штыков мелькнул.
Чтоб земляков облиться кровью?
Не к трону-ль хамскою любовью?
Не зло дух тебе шепнул,
Что штык единый наш хранитель?!
Не аксельбант-ли искуситель
Тебя смутил?.. о...
Татьяна Ларина[2].

---

[1] А. П. Керн, Воспоминания, 1929 г., Ленинград, стр. 357—358.

[2] «Литературное наследство», 1936 г., № 25—26, стр. 619—621.

მეორე ლექსში, რომლის სახელწოდებაა: «Послание к флигель-адъютанту Илларион Николаевичу Толстому». პოლკოვნიკი ტოლსტოი ასეა დახასიათებული:

Есть Лев Толстой известный сочинитель,
Хорошего он много написал,
А ты, Толстой, студентов победитель,
Умом, душой и телом ты капрал.
19-го апреля, 1862 г.[1].

სხვა ლექსში «Флигель-адъютанту Илларион Николаевичу Толстому» ლაპარაკია არა მარტო ილარიონ ტოლსტოის შესახებ, არამედ აქ გამათრახებულია თვით მეფე-იმპერატორი ალექსანდრე მეორეც.

Царские палаты
Спят во тьме ночной.
У ворот солдаты
И городовой.
Сам же царь угрюмо
Бродит по дворцу,
Но серьезность думы
Ему не к лицу...
В нем-то он герой,
Что студентов бил,
Царскою рукою
Аксельбант дарил!..
Адъютант ты с виду.
И капрал душой,
Пусть же не в обиду
Вензель тебе мой...
Теперь власти много,
Аксельбанты, кресты,
Погоди немного
Повисишь и ты![2]

სამოციანი წლების ახალგაზრდობაზე დიდი გავლენა მოახდინეს აგრეთვე პროგრესულად მოაზროვნე პროფესორებმა. მართალია, ამდროინდელ უნივერსიტეტებში პროფესორების უმრავლესობა ცარიზმის პოლიტიკას ემსახურებოდა და წინააღმდეგი იყო აზროვნების სფეროში ყოველივე ახალისა, მაგრამ მათ შორის მოიპოვებოდნენ ისეთე-

[1] «Литературное наследство», 1936 г., № 25/26, стр. 621.
[2] იქვე, გვ. 621 — 629.

ბიც, რომლებიც ხელს უწყობდნენ და თანაუგრძნობდნენ მებრძოლ ახალგაზრდობას.

ამ დროისათვის, პროგრესულად მოაზროვნე პროფესორების რაოდენობა, სხვა უნივერსიტეტებთან შედარებით, პეტერბურგის უნივერსიტეტში ყველაზე მეტი იყო, მაგრამ რეაქციონერებიც საკმაოდ მოიპოვებოდნენ. ამას ადასტურებს ის შავი ლაქა, რომელიც ჩერნიშევსკის დისერტაციის დაცვასთან დაკავშირებით მოეცხო პეტერბურგის უნივერსიტეტის სამეცნიერო საბჭოს 1855 წლის 10 მაისს. როგორც ცნობილია, ჩერნიშევსკიმ პეტერბურგის უნივერსიტეტში წარადგინა სამაგისტრო დისერტაცია „ესთეტიკური დამოკიდებულება ხელოვნებისა სინამდვილესთან". რეაქციონერმა პროფესორებმა: ა. ნიკიტენკომ, მ. სუხომლინოვმა, ს. დუდკინმა და ა. დრუჟინინმა მოინდომეს ჩერნიშევსკის საჯარო გაშავება. მაშინ, როდესაც ჩერნიშევსკიმ მთელი ეპოქა შექმნა რუსეთის აზროვნების ისტორიაში და დღესაც მას ასეთი დიდი ინტერესით ეკიდება ჩვენი ხალხი, მისი ოპონენტების სახელები მხოლოდ პეტერბურგის უნივერსიტეტის მტვრიან ქაღალდებს თუ შემოუნახავს. რა საცოდავად გამოიყურებიან დღეს ეს ადამიანები აზროვნების გოლიათის ჩერნიშევსკის წინაშე?!

სამოციან წლებში პეტერბურგის უნივერსიტეტის საბჭო უკეთესად გამოიყურება. ამ დროს მოწინავე პროფესორები წამყვან როლს ასრულებენ, თავისუფლებისათვის მებრძოლ სტუდენტობას აშკარად თუ ფარულად თანაუგრძნობენ. ამას ადასტურებს ის წინააღმდეგობები, რასაც მთავრობის მოხელეები წააწყდნენ უნივერსიტეტის ახალი წესდების განხილვის და მისი პრაქტიკულად ცხოვრებაში გატარების დროს. მოწინავე მეცნიერები არამცთუ ხელს უშლიდნენ და აწუნარებდნენ მეამბოხე სტუდენტებს, პირიქით, თავიანთი ლექციებითა და პირადი მოქმედებით ხელს უწყობდნენ მათში ოპოზიციური აზრის განვითარებას. ამიტომ იყო, პეტერბურგის სასწავლო ოლქის მზრუნველი რომ აფრთხილებდა უნივერსიტეტის რექტორს.

«Господину Ректору С.-Петербургского Университета...

Г. г. профессорам должно быть объявлено, что правительство ожидает от каждого из них добросовестного и точного исполнения своего дела и не сомневается, что они употребят с своей стороны все зависящие от них средства к объяснению студентам их обязанностей и к отвращению беспорядков, которых возобновление может повести к печальной необходимости совсем закрыть университет»[1].

---

[1] ГИАЛО, фонд 14, дело 17, опись 25, связ. 3897, год 1861, стр. 1.

მაგრამ პროფესორების საგრძნობი ნაწილი ვერ ამართლებდა მთავრობის იმედებს. ზოგი მათგანი თვითონ უწყობდა ხელს „წესრიგის“ დარღვევას. მაგალითად, როცა მთავრობა იძულებული გახდა დათმობაზე წასულიყო და 1862 წელს პეტერბურგის უნივერსიტეტის ზოგიერთ ფაკულტეტზე განაახლა ლექციების კითხვა, მაშინ თვით პროფესორები არ გამოცხადდნენ ლექციებზე და ამით ხელი შეუწყეს მთავრობის ღონისძიების ჩაშლას. ამის შემდეგ პეტერბურგის ოლქის მზრუნველი პეტერბურგის უნივერსიტეტის დროებითი კომისიის თავმჯდომარეს სწერს: „...ჩვენამდე მოვიდა ცნობა იმის შესახებ, რომ ს.-პეტერბურგის უნივერსიტეტის ზოგიერთი პროფესორი და მასწავლებელი არ გამოცხადდა ლექციების წასაკითხავად 17 — 18 სექტემბერს. არ ინებებთ გამოარკვიოთ გამოუცხადებლობის მიზეზი?“ [1]

კიდევ მეტი, შემჩნეული იყო, რომ ზოგიერთი პროფესორი ხელს უწყობდა სტუდენტთა შორის „მავნებლური აზრების“ გავრცელებას, რისთვისაც „გაფრთხილება მიეცათ პროფესორებს...“ [2]

პეტერბურგის უნივერსიტეტის პროფესორების ასეთ მოქმედებას მოჰყვა წმენდა. ბევრი მათგანი იძულებული გახდა თვითონ დაეწერა განცხადება უნივერსიტეტიდან განთავისუფლების შესახებ. ასეთი ბედი ეწია რუსეთის ისტორიის ცნობილ მკვლევარს, პეტერბურგის უნივერსიტეტის ორდინარ პროფესორს ნიკოლოზ ივანეს ძე კ ო ს ტ ო მ ა რ ო ვ ს [3].

1861 წლის სტუდენტთა მოძრაობის საქმესთან დაკავშირებით გაანთავისუფლეს პეტერბურგის უნივერსიტეტის პროფესორები: ს პ ა ს ო ვ ი ჩ ი, კ ა ვ ე ლ ი ნ ი, უ ტ ი ნ ი, ს ტ ა ს ულ ე ვ ი ჩ ი, პ ი პ ი ნ ი და სხვები.

მაგრამ, პეტერბურგის უნივერსიტეტთან შედარებით, სხვაგვარი სურათი გვაქვს მოსკოვის უნივერსიტეტში. მოსკოვის უნივერსიტეტის პროფესორები უფრო კონსერვატორები იყვნენ. თუ პეტერბურგის უნივერსიტეტის სამეცნიერო საბჭო ხშირ შემთხვევაში სტუდენტებს ეხმარებოდა და მათ წინააღმდეგობას მაინც არ უწევდა, მოსკოვის უნივერსიტეტის საბჭო მოსკოვის სამხედრო გენერალ-გუბერნატორს უსაყვედურებდა სტუდენტებისადმი ლმობიერ დამოკიდებულებას. საბჭო უკმაყოფილო იყო იმის გამო, რომ რასაც უნივერსიტეტის ადმინისტრაცია უკრძალავდა სტუდენტებს, იმის უფლებას აძლევდა ქალაქის მმარ-

---

[1] ГИАЛО, фонд 14, дело 640, опись 2, связка 461, год 1862, стр. 43.

[2] «Истор. вестник», т. CXII, 1908 г., стр. 232.

[3] ГИАЛО, фонд 14, дело 606, связка 459, год 1861, стр. 30—31.

თველობა და ამის გამო საბჭო აბეზღებდა ადგილობრივ ხელისუფლებას უმაღლესი ორგანოების წინაშე.

«Совет уверен, что г. Военный Генерал-Губернатор руководствовался при этом одним только желанием миролюбно покончить неприятную историю и краткими средствами успокоить взволнованные умы. Но совет не может не представить Вашему Сиятельству... что когда молодые люди поставлены между двумя властями, из которых одна разрешает то, что запрещает другая... то все понятия о власти и о законе должны у них перепутаться, что им становится невозможным различить, что дозволено и чего нельзя, и что самое неповиновение начальству получает для них законный характер»[1].

საბჭო უსაყვედურებს ხელისუფლების წარმომადგენლებს, რომ მათი გულგრილობა და მასების თანაგრძნობა აქეზებს სტუდენტებს უწესრიგო მოქმედებისაკენ.

«...они видели, что городское начальство не смотрит неблагосклонно на их действия, а в окружающем их обществе, как совет имел уже честь объяснить Вашему сиятельству, они встречали такую нравственную поддержку, которая не только подстрекала к движению, но и заставляла их стыдиться равнодушия к общему делу»[2].

მოსკოვის უნივერსიტეტის პროფესორმა პ ო ლ უ ნ ო ვ მ ა 1861 წელს სტუდენტთა დასჯის ვრცელი პროექტი წარმოადგინა, რომლის მიხედვით სტუდენტი უშუალოდ უნდა დამორჩილებოდა პროორექტორს და დამნაშავენი დაისჯებოდნენ უნივერსიტეტის სასამართლოს მიერ. პროექტით, რომელიც შესდგება 11 მუხლისაგან, ძალზე შეზღუდული იყო სტუდენტთა პირობები და გაფართოებული — სტუდენტთა სასამართლოს უფლებები[3].

ამ პროექტის ავტორის სახით ჩვენ საქმე გვაქვს რეაქციონერ პროფესორთან, რომელიც ყოველგვარ საშუალებას ხმარობს სტუდენტთა მოძრაობის წინააღმდეგ.

ამასთანავე ისიც უნდა აღინიშნოს, რომ მოსკოვის უნივერსიტეტის

---

1 А. А. Титов, Студенческие беспорядки в Московском университете в 1861 году, стр. 13.

2 იქვე, გვ. 18.

3 ГИАМО, фонд 418, опись 30, дело 637, год 1861, стр. 106.

პროფესორების იდეური გავლენა აშკარად ეტყობა იქაური სტუდენტების მოქმედებას. ამდენად, 1861 წელს მოსკოვის უნივერსიტეტის რევოლუციური საქმიანობა უფრო შეზღუდულია. ეს თუნდაც იქიდან ჩანს, რომ როდესაც უნივერსიტეტის ადმინისტრაციამ სტუდენტებს გამოუცხადა, ვინც ცნობას წარმოადგენს დემონსტრაციაში მონაწილეობის მიუღებლობის შესახებ, იმას სტუდენტთა უფლებებში აღვადგენთო, მცირე გამონაკლისის გარდა, ყველამ წარმოადგინა ასეთი ცნობა და მალე აღდგენილი იქნა იურიდიული ფაკულტეტის პირველი და მეორე კურსი, მაშინ როდესაც პეტერბურგის უნივერსიტეტის ადმინისტრაციამ კი ვერავითარი საშუალებით ვერ შესძლო სტუდენტთა საერთო ძალის გატეხა და უნივერსიტეტში ნაწილობრივ მაინც ლექციების კითხვის განახლება. ამასთან აღსანიშნავია ისიც, რომ მოსკოვის უნივერსიტეტის სტუდენტთა 1861 წლის მოძრაობა მხოლოდ პეტერბურგის უნივერსიტეტის სტუდენტთა გავლენით განვითარდა და ამასთან ხანმოკლე და კუდმოკვეცილი აღმოჩნდა, მაშინ როდესაც მოსკოვის უნივერსიტეტის პროფესორები მოითხოვდნენ სტუდენტთა მიმართ მკაცრი ზომების მიღებას, პეტერბურგის პროფესორები, იცავდნენ მებრძოლი სტუდენტების ინტერესებს, შუამდგომლობდნენ განათლების მინისტრთან მათთვის სასჯელის შემსუბუქების შესახებ.

«...профессора составили и подписали на имя графа Путятина адрес, в котором просили Министра по возможности облегчить участь арестованных студентов»[1].

მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ მოსკოვის უნივერსიტეტში სამოციან წლებში არ იყვნენ მოწინავე პროფესორები. ცხადია, მცირე რაოდენობით, მაგრამ მაინც იყვნენ. მაგალითად, მოსკოვის უნივერსიტეტიდან რევოლუციური საქმიანობისათვის გაძევებულ იქნა მეცნიერების კანდიდატი ალექსი ზ ო რ ი ნ ი.

განსაკუთრებით დიდი გავლენა მოახდინეს ახალგაზრდობაზე ყაზანის უნივერსიტეტის პროფესორმა შაპოვმა და სხვებმა. აღსანიშნავია ის ფაქტიც, რომ არა მარტო უნივერსიტეტის პროფესორები, — სხვა უმაღლესი სასწავლებლების და თვით სამხედრო აკადემიის — პროფესორებიც კი თანაუგრძნობდნენ მეამბოხე სტუდენტებს. სამართლიანად შენიშნავს ვ. გ. ბასკაკოვი, რომ:

«Полковник генерального штаба С. С. Рехневский, начиная с 1859 г., проводил подпольную работу среди профессорско-преподавательского состава Академии генерального штаба,

[1] «Совр. мир», 1907 г., стр. 77.

о чем свидетельствуют материалы архива департамента полиции и другие архивные документы»[1].

სხვა უმაღლესი სასწავლებლების პროფესორების თანაგრძნობის შესახებ ნ. ნიკოლაძე საინტერესო ცნობებს გვაწვდის:

„მალე უნივერსიტეტის წინ შეგროვდა, — წერს ნ. ნიკოლაძე, — სხვა ახალი ჯგუფებიც, — შემდგარი მწერლებისა, პროფესორებისა, მღვდლების და ქალებისაგან. ჩვენ ახლებს, ძველი სტუდენტები შორიდან გვიჩვენებდენ გამოჩენილ პროფესორებს, — არტილერიის პროფესორს პ. ლ. ლავროვს და ნ. ენგელგარდტს, სატყეო აკადემიის პროფესორს ნ. ვ. შ ე ლ გ უ ნ ო ვ ს... და ბევრ სხვას. ყველას ვერ ვიგონებ. ჩვენ გავვოცდით, როცა ყველა ეს პროფესორები სამხედრო ტანისამოსში და ჩინებში დავინახეთ“[2].

ზოგიერთი პროფესორი კ ო ს ტ ო მ ა რ ო ვ ი, კ ა ვ ე ლ ი ნ ი, უ ტ ი ნ ი და სხვები სტუდენტებს თავიანთ ლექციებზე რევოლუციურ მოძღვრებასთან ერთად, ეროვნული თავისუფლებისათვის ბრძოლის იდეებსაც უნერგავდნენ. ამ მიზნით ისინი განსაკუთრებულ კავშირს აბამდნენ ნაციონალურ უმცირესობის ახალგაზრდობასთან, რომლებიც საერთო რევოლუციურ მოძრაობას ეროვნული თავისუფლების იდეებსაც უკავშირებდნენ. ამ მხრივ განსაკუთრებულ ინტერესს პოლონელი სტუდენტებისადმი იჩენდნენ. პოლონელი სტუდენტები მართლაც აქტიურად იბრძოდნენ მთავრობის წინააღმდეგ. მათ ორმაგი ანგარიში ჰქონდათ გასასწორებელი მეფის მთავრობასთან, რადგან ისინი, საერთო რეპრესიებს გარდა, ეროვნულ ჩაგვრასაც განიცდიდნენ. ამასთან ერთად, მათ თვალწინ ედგათ სამშობლოსათვის თავგანწირულ პატრიოტთა მაგალითები, რაც გამბედაობასა და ძალას მატებდა სამოციანი წლების პოლონელ სტუდენტ ახალგაზრდობას.

ჩერნიშევსკი, აძლევდა რა დიდ მნიშვნელობას ცარიზმის განადგურების საქმეში, რუსეთის იმპერიის არარუსს ხალხთა ნაციონალურ-განმათავისუფლებელ მოძრაობას, დიდ რევოლუციურ მუშაობას აწარმოებდა პოლონელ სტუდენტებთან. ითვალისწინებდა აგრეთვე იმასაც, რომ პოლონელი ახალგაზრდობის გულისტკივილი ორმაგი ბუნებისა იყო და რომ აქედან გამომდინარე ისინი მშვენივრად აერთებდნენ საერთო რევოლუციური მოძრაობის ინტერესებს ეროვნული თავისუფლების იდეასთან.

პოლონელ ახალგაზრდებს შორის დიდ რევოლუციურ მუშაობას აწარმოებდნენ ჩერნიშევსკის მოწაფეები და თანამებრძოლები პოლო-

---

[1] В. Г. Б а с к а к о в, Мировоззрение Чернышевского, стр. 196.

[2] ნ. ნ ი კ ო ლ ა ძ ე, ტ. 1, გვ. 104.

ნელი რევოლუციონერები: სიგიზმუნდ სერაკოვსკი და იოსაფატა ოგრიზკო. ისინი პეტერბურგის უნივერსიტეტის ყოფილი სტუდენტები იყვნენ და ამდენად მათ რევოლუციური წრთობა პეტერბურგში მიიღეს.

ჯერ კიდევ 50-იანი წლებიდან შეიქმნა პეტერბურგში პოლონელი ახალგაზრდობის რევოლუციური წრე, რომლის ორგანიზატორი და ხელმძღვანელი იყო სიგიზმუნდ სერაკოვსკი. თვით სერაკოვსკი 1848 წლიდან იწყებს რევოლუციურ მოღვაწეობას, რისთვისაც იგი გადასახლებულიც იყო. სერაკოვსკი 1856 წელს ბრუნდება პეტერბურგში და კვლავ უკავშირდება ჩერნიშევსკისა და რევოლუციურ ორგანიზაციებს. 1858 წელს სერაკოვსკი შედის პეტერბურგის გენერალური შტაბის აკადემიაში, სადაც იგი აწყობს არალეგალურ ორგანიზაციას ოფიცერთა შორის. ამავე დროს ოგრიზკო ხელმძღვანელობს პეტერბურგში პოლონელების წრეს, ასე რომ პეტერბურგში, სამოცი-ან წლებში, პოლონელი ახალგაზრდობის მრავალი არალეგალური წრე არსებობდა [1].

საგამომძიებლო კომისიის დოკუმენტებში ნათქვამია: „ჯერ კიდევ დიდი ხნით ადრე, პოლონელების აჯანყების აღმოჩენამდე, სატახტო ქალაქში და იმპერიის სხვადასხვა ადგილებზე მცხოვრებმა პოლონელებმა დაიწყეს განსაკუთრებული შემეიდროება ურთიერთ შორის და ჩამოაყალიბეს ინტიმური წრეები, რომელთა მიზანს შეადგენდა ფულის შეგროვება მომავალი აჯანყებისათვის... შოვნა იარაღისა, ახალგაზრდობის მიზიდვა ბანდაში გასაგზავნად. პეტერბურგში ასეთი წრეები ჩამოყალიბდა ჯერ კიდევ 1859 წელს ცნობილი სერაკოვსკის ჩამოსვლასთან დაკავშირებით“ [2].

პოლონელთა არალეგალურ წრეებში არსებითად გაერთიანებული იყვნენ: სტუდენტები, ჩინოვნიკები და სხვა პირები.

სამხედრო მინისტრი დ. მილიუტინი თავის მოგონებაში აღნიშნავს სერაკოვსკის შესახებ: „მის ირგვლივ ჩამოყალიბდა პოლონელთა წრე, რომელშიაც მან ჩაბა ახალგაზრდობა: ერთი მხრივ, ოფიცრები, ჩინოვნიკები, იუნკრები, მეორე მხრივ, უნივერსიტეტის სტუდენტები, ქირურგიული აკადემიის მედიკები და მსმენელები სხვა უმაღლესი სასწავლებლებისა, რომლებიც გადატვირთულნი იყვნენ მაშინ პოლონელი სტუდენტებით“ [3].

მართლაც, როგორც უნივერსიტეტის მასალებიდან ჩანს, პოლო-

---

[1] В. Г. Баскаков, Мировоззрение Чернышевского, стр. 148.

[2] «Голос минувшего», 1915, № 4, стр. 204. В. Г. Баскаков, Мировоззрение Чернышевского, стр. 148.

[3] РОБЛ, ф. Милютина Д. А., М., 10853, стр. 113.

ნელების დიდი რაოდენობა სწავლობდა რუსეთის მაშინდელ უმაღლეს სასწავლებლებში. ამავე დროს უნივერსიტეტში ასწავლიდნენ პოლონელი პროფესორებიც. მაგალითად, იურიდიულ ფაკულტეტზე სასამართლო წარმოებას, სისხლის სამართალს და სხვა საგნებს კითხულობდნენ პროფესორები: ზაბოროვსკი, ჩაიკოვსკი, კრჟიჟანოვსკი, ბუდჩინსკი და სხვები [1].

სამოციანი წლებიდან განსაკუთრებით გაძლიერდა პოლონელი ახალგაზრდობის მოძრაობა. ამას ხელი შეუწყო რუსეთის საერთო რევოლუციურმა აღმავლობამ და გადასახლებული რევოლუციონერი პოლონელების დაბრუნებამ პეტერბურგში.

სამხედრო მინისტრი დ. მილიუტინი თავის მოგონებაში აღნიშნავს, რომ: „ხანგრძლივი დროის განმავლობაში, რუსეთის მმართველობის თვალწინ მოქმედებდა პოლონური პროპაგანდა. რუსეთის მტრული ელემენტები კიდევ უფრო გაძლიერდნენ უკიდურესად 1860 წლის ბოლოს და 1861 წლის დასაწყისს, ციმბირიდან, ორენბურგის მხარიდან და კავკასიიდან გადასახლებული პოლონელების დაბრუნების გამო, რომლებიც გადასახლებულნი იყვნენ სხვადასხვა დროს წინანდელ აჯანყებაში მონაწილეობისათვის და რევოლუციური მოქმედებისათვის. ვერც გადასახლებამ, ვერც წლების განმავლობაში მიღებულმა გამოცდილებამ ვერ მოაჭკუიანა ისინი. დაბრუნდნენ სამშობლოში ისევე აღტაცებულნი უგუნურნი, როგორიც იყვნენ ახალგაზრდობაში“ [2].

მთავრობაც გრძნობდა პოლონელების გააქტიურებას და პოლონეთის საკითხის გამწვავებას, რასაც ზოგჯერ იმპერატორიც კი ჩაუფიქრებია. ამის თაობაზე ა. ვ. გოლოვნინი ა. ი. ბარიატინსკის სწერდა: «Дело Польское очень озабочивает Его Величество» [3].

რომ პოლონეთისა და უნივერსიტეტის საკითხი მთავრობის სერიოზულ საფრთხეს წარმოადგენდა, ამის შესახებ 1861 წელს შევირიოვი პროფესორ პოგოდინს სწერდა:

«У нас, кроме крестьянского, два вопроса: университеты и Польша. Поляки изо всех сил бьются, чтобы оттереть нас в Азию»[4].

და მართლაც, პოლონეთის მოძრაობა და სტუდენტთა აჯანყება ერთ

---

[1] Н. Г. Сладкович, Петерб. универ. и общественное движ. в России, ЛГУ (1819—1944), стр. 113.

[2] РОБЛ, ф. Милютина Д. А., М., 7840, стр. 36.

[3] Н. Барсуков, Жизнь и труды М. П. Погодина. Книга восемнадцатая, стр. 12.

[4] ибид. стр. 116.

მიზანს ისახავდა — ეს იყო ცარიზმის მოსპობა და განადგურება. ორივე ეს ძალა სერიოზულ საფრთხეს წარმოადგენდა იმ გართულებულ პირობებში. ამავე დროს პოლონელი ახალგაზრდები სტუდენტთა მოძრაობის საერთო ტონის მიმცემი იყვნენ. ისინი მუდამ ოპოზიციაში იმყოფებოდნენ ხელისუფლების წარმომადგენლებთან და ამით სხვებსაც აძლევდნენ უსამართლობასთან ბრძოლის საუკეთესო მაგალითს. კიდევ მეტი, მთავრობის წრეებში ისეთი აზრიც იყო შემუშავებული, რომ ყოველგვარი მოძრაობისა და „უწესრიგობის" მიზეზად პოლონელი სტუდენტები ითვლებოდნენ.

მოსკოვის უნივერსიტეტის ინსპექტორი შესტაკოვი ამტკიცებდა, რომ «студенческие волнения 1861 года были польским делом»[1].

ინსპექტორის ამ აზრს იზიარებდა უნივერსიტეტის მთელი საბჭოლქის მზრუნველისადმი დაწერილ მიმართვაში აღნიშნულია:

«Совет не может скрыть от Вашего Сиятельства, что из донесений г. Инспектора видно, что значительное участие в смутах принимали польские студенты»[2].

პოლონელი სტუდენტები რომ ითვლებოდნენ ყოველგვარი „ბუნტის" მეთაურად, ამას ამტკიცებს სხვა დოკუმენტებიც. მესამე განყოფილება აწარმოებდა რა სპეციალურ მეთვალყურეობას პოლონელი სტუდენტებისადმი, იგი განათლების სამინისტროდან მოითხოვდა პოლონელი სტუდენტების სიას.

«Господину Управляющему Министерством Народного Просвещения.

...не позволите ли Вы представить... списки уроженцев западных губерний Империи и Царства Польского, состоящих в числе студентов и вольнослушателей С.-Петербургского, Дерптского, Киевского, Харьковского и Казанского университетов.

Генерал-Адьютант... Долгоруков».

განათლების სამინისტრო სასწრაფოდ ასრულებს ამ დავალებას და III განყოფილებას აძლევს პოლონელი სტუდენტების სიას, რომელშიაც შეტანილია 458 კაცი. ამათგან 143 სტუდენტი პეტერბურგის უნივერსიტეტის მსმენელია.

მიუხედავად მკაცრი შეზღუდულობისა, პოლონელები მაინც აქტიურად მოქმედებდნენ, მონაწილეობდნენ სხვადასხვა დემონსტრაციებში, გამოდიოდნენ საჯარო მოხსენებებით და სიტყვებით, აწყობდნენ აშკა-

---

[1] С. Ашевский, «Совр. мир», № 10, 1907, стр. 66.

[2] А. А. Титов, Студенческие беспорядки..., стр. 18.

რა პოლიტიკურ გამოსვლებს. მაგრამ აღსანიშნავია ისიც, რომ პოლონელ სტუდენტებს ყოველთვის მხარში ედგა რუსეთის მოწინავე ინტელიგენცია. მათ შორის მტკიცე კავშირი და მეგობრული სიყვარული იგრძნობოდა, რადგან იმათ აერთიანებდათ საერთო მტრის, ცარიზმის სიძულვილი.

ვარშავის ქუჩებში დახოცილთა პატივსაცემად პოლონელმა სტუდენტებმა 1861 წლის პირველ მარტს პეტერბურგის კათოლიკების ეკლესიაში პანაშვიდი გადაიხადეს. ამას დაესწრნენ არა მარტო რუსი და სხვა ეროვნების სტუდენტები, არამედ პეტერბურგის უნივერსიტეტის ცნობილი პროფესორებიც: კოსტომაროვი, უტინი და სხვები. პანაშვიდის შემდეგ კოლონა გამოვიდა ქუჩაში და პოლონური ნაციონალური ჰიმნის სიმღერით. ამის შესახებ დოკუმენტებში აღნიშნულია: „Близость и единомыслие студентов и поляков особенно наглядно выразились в тех демонстрациях, которые последовали после кровавых событий в Варшаве; так, когда в Петербурге в католической церкви 1-го марта была отслужена панихида по полякам, убитым в Варшаве во время уличной демонстрации, на ней присутствовали многие русские студенты и профессора, как, например, Костомаров и утин. После панихиды был пропет польский национальный гимн, поддержанный и русскими студентами»[1].

როდესაც მთავრობამ გადაწყვიტა ამის გამო პოლონელი სტუდენტები გაერიცხათ უნივერსიტეტიდან, რუსი სტუდენტობა ერთხმად აღსდგა მთავრობის განზრახვის წინააღმდეგ. ისინი მოითხოვდნენ პოლონელებთან ერთად რუსების გარიცხვასაც, განცხადებაში ნათქვამია:

«Мы, нижеподписавшиеся, были 1-го марта на реквиеме в память убитых в Варшаве, участвовали в пении национального польского гимна и потому просим считать нас равноответственными вместе со студентами поляками»[2].

განცხადებას ხელს აწერდა 300 რუსი სტუდენტი.

ეს ფაქტი მეტად საინტერესოა რუსი და არარუსი მოწინავე ახალგაზრდობის მეგობრობის ისტორიისათვის, და თუ ეს რუსმა ახალგაზრდობამ ამ მეტად რთულ ისტორიულ პირობებში გააკეთა პოლონელი ახალგაზრდობისათვის, ბუნებრივია, რომ ისინი ასევე დაიცავდნენ, სხვა, არარუსი სტუდენტების ინტერესებსაც.

ასეთივე პანაშვიდი გადახდილი იქნა მოსკოვშიაც. ისე როგორც

---

[1] «Историч. вестник», т. CXIII, 1908 г., стр. 227.

[2] იქვე.

პეტერბურგში, მოსკოვშიაც პოლონელებს დიდი თანაგრძნობა გამოუცხადეს რუსმა სტუდენტებმა. კიდევ მეტი, მოსკოვში იმ პროცესის დროს საჯაროდ გამოვიდა ჩვენთვის უკვე ცნობილი სტუდენტი ზ ა ი ჩ ნ ე ვ ს კ ი, რომელმაც პოლიციელებისა და მთავრობის მოხელეების წინაშე საჯაროდ განაცხადა: «... у русских и поляков общий враг — русское правительство».

ამ სიტყვებს ტაშისცემითა და შეძახილებით შეხვდა ხალხი. ზაიჩნევსკის ეს გამოსვლა ძეტად საყურადღებო მოვლენას წარმოადგენს. აქედან აშკარად ჩანს რუსი და არარუსი სტუდენტების ერთიანი ბრძოლა საერთო მტრის, ცარიზმის წინააღმდეგ. ზაიჩნევსკი ამ გამოსვლის გამო სამუდამოდ კატორღაში გადაასახლეს.

ცხადია, რაც დრო გადიოდა პოლონელების წინააღმდეგ უფრო მეტ სიმკაცრეს იჩენდნენ. განსაკუთრებით ეს გამოაშკარავდა 1861 წლის პეტერბურგის უნივერსიტეტის სტუდენტთა მასობრივი დაპატიმრების შემდეგ. მაგრამ რეპრესიებმა აიძულა პოლონელების დიდი ნაწილი თავი დაენებებინათ უმაღლესი სასწავლებლებისათვის და სამშობლოში დაბრუნებულიყვნენ, თუმცა უკმაყოფილო ახალგაზრდების პერიფერიებში დაბრუნება კიდევ უფრო მეტ საშიშროებას წარმოადგენდა მთავრობისათვის. ყოველივე ამის გამო III განყოფილება ცდილობდა მეთვალყურეობა არ შეენელებინა შინდაბრუნებული სტუდენტებისათვისაც. ამ მიზნით პეტერბურგის ოლქის მზრუნველი და პოლიციის მოხელეები ცდილობენ, გაიგონ შინწასული პოლონელების ვინაობა. ამის თაობაზე პეტერბურგის ოლქის მზრუნველი უნივერსიტეტის ადმინისტრაციას წერს:

„მოაღწია ცნობამ სახალხო განათლების ბატონ მინისტრამდე, რომ ბევრი სტუდენტი, დაბადებული პოლონეთის სამეფოში და დასავლეთის გუბერნიებში, მიდის თვითნებურად უნივერსიტეტის ქალაქიდან... უმორჩილესად გთხოვთ, სასწრაფოდ მომაწოდოთ ასეთი სტუდენტების სია"[1].

ამ მომართვის საპასუხოდ ს.-პეტერბურგის უნივერხიტეტის ადმინისტრაცია განათლების სამინისტროს 1863 წლის 11 თებერვლის თარიღით უგზავნის სიას[2].

სხვა დოკუმენტებიდან ჩანს, რომ მესამე განყოფილება არ დაკმაყოფილდა ასეთი სიით და განმეორებით მოითხოვს პეტერბურგის უნივერსიტეტიდან ასეთი ცნობის სისტემატურ წარდგენას. განმეორებით მიმართვაში ნათქვამია: „უმორჩილესად გთხოვთ... მომაწოდოთ ყოველკვირე-

---

[1] ГИАЛО, фонд 14, связка 3904, опись 25, дело 51, стр. 1—2.

[2] იქვე, გვ. 3.

ული ცნობა პეტერბურგის უნივერსიტეტის იმ პოლონელ სტუდენტებზე, რომლებიც ტოვებენ უნივერსიტეტს“ [1].

ასეთივე მკაცრი მეთვალყურეობის ქვეშ იმყოფებოდნენ უკრაინელი, ბელორუსი, ქართველი და სხვა ეროვნების სტუდენტებიც, ეს კი ხელს უწყობდა მათ შეკავშირებას და დარაზმულობას საერთო ბრძოლის საქმეში, რომელსაც ისინი ეროვნულ-განმათავისუფლებელ ხასიათს აძლევდნენ. პოლონელები ასევე ახლოს იყვნენ ქართველ სტუდენტებთან. ქართველი და პოლონელი სტუდენტების მეგობრობის საუკეთესო დოკუმენტს წარმოადგენს გ. წერეთლის მოთხრობაში, „მგზავრის წიგნში“, გამოყვანილი პოლონელი სტუდენტი ხ...კი.

ყოველივე ამის შემდეგ ნათელია, თუ რა დიდი გავლენა მოახდინა სამოციანი წლების სტუდენტთა მოძრაობაზე პოლონელების მებრძოლმა ბუნებამ და მათმა კავშირმა რუს და არარუს სტუდენტებთან.

ამასთან ერთად, სტუდენტ ახალგაზრდობაზე ყველაზე მეტი გავლენა მასების თანაგრძნობას ჰქონდა. და ეს თანაგრძნობა და დახმარება არა მარტო მორალური სახის იყო, არამედ ხშირად პრაქტიკულ ხასიათსაც ატარებდა. კიდევ მეტი, ზოგჯერ დემოკრატიული წრიდან გამოსული მასწავლებლები, კულტის მსახურნი, ოფიცრები და სხვები სტუდენტთა არალეგალურ კრებებსაც კი ესწრებოდნენ.

„სტუდენტთა კრებებზე, სტუდენტთა წრეებში, რომლებიც გახდნენ უფრო მრავალრიცხოვანი შემადგენლობით და ფართო თავისი ამოცანებით, ჩვენ ვხვდებოდით გარეშე პირებს რუსეთის სხვადასხვა ფენებიდან: მწერლებს, პროფესორებს, პედაგოგებს, ოფიცრებს, სამღვდელო პირებს და სხვას“ [2], — წერს ამ წრის ერთი მონაწილეთაგანი.

მებრძოლი სტუდენტებისადმი მასების თანაგრძნობაზე მიუთითებს ნ. ნიკოლაძის მოგონებაში წარმოდგენილი ზოგიერთი ადგილი. საინტერესოდ აგვიწერს ნ. ნიკოლაძე პატიმარი სტუდენტების კრონშტადტის ციხეში მიყვანის მომენტს: „შემოდგომის ერთ დილას, ნევასთან ჩასაფალ პატარა კიბეს მოადგა ძველის-ძველი სამხედრო გემი, რომელზედაც დაგვსვეს ყველანი, ისე როგორც ვიყავით... ქროდა სუსხიანი ცივი ქარი და სცრიდა წვრილი წვიმა, თოვლნარევი. ნევა აზვირთებული იყო. მე მარტო პიჯაკი მეცვა, ვკანკალებდი, როგორც ვერხვის ფოთოლი — კბილი კბილს აღარ ხვდებოდა... ჩვენ მივცურავდით ასეთ მდგომარეობაში მთელი ოთხი საათი, თუ მეტი არა. გემი ძველი იყო და უძლური, რის ვაი-ვაგლახით მივაღწიეთ კრონშტადტს. მაგრამ აქ ჩვენ ისეთი შეხვედრა მოგველოდა, რომ ერთ წამში დაგვიყუჩა ყველა ჩვენი წყენა და გაჭირვება. როცა ჩამოგვსხეს გემიდან და კონვოიმ ციხისაკენ წაგვიყვანა,

[1] ГИАЛО, фонд 14, связка 3904, опись 25, дело 52, год 1863, стр. 1.

[2] «Совр. мир», 1907 г., № 7/8, стр. 22.

ოღონდ გამოპრანჭულმა გვარდიელებმა კი არა, არამედ გარნიზონის საცოდავმა ჯარისკაცებმა,' რომელნიც ჯერ კიდევ ნიკოლოზ I-ლის დროის ფორმაში იყვნენ გამოწყობილნი, მოულოდნელი სანახაობა წარმოგვიდგა; წარმოიდგინეთ ჩვენი განცვიფრება და აღტაცება, როცა ციხის კარებთან დაგვიხვდა ქალების გრძელი რიგი, ორივე მხრით გაბმული; მიუხედავად საშინელი დარისა, ისინი უღმერთოდ მორთულიყვნენ; და ვიდრე ამ მომხიბლავ წრეს გაგვატარებდნენ, ჩვენსკენ მოდიოდა ყვავილების თოელი, თუმცა ეს ყვავილები ჯარისკაცებს უფრო ხვდებოდათ, ვიდრე ჩვენ. ან კი საიდან იშოვეს ამ დროს იმდენი ყვავილები, საოცარია. ოვაცია პირდაპირ გულისამაჩუყებელი გამოვიდა. **რასაკვირველია, ამის შემდეგ წამების ჯვარი უკვე აღარ გვამძიმებდა, არამედ გვართობდა კიდეც**" [1].

როგორც პოლიციის დოკუმენტებიდან, ისე ნ. ნიკოლაძის მოგონების სხვა ადგილებიდან ჩანს, რომ სტუდენტების თანამგრძნობთა რიგები მრავალფეროვანი და მრავალრიცხოვანი იყო. მათ შორის იყვნენ ჩინოსანი და სხვადასხვა თანამდებობის ოფიციალური პირებიც.

„მაყურებელთა ეს სხვადასხვა ჯგუფები, რომელნიც მოდიოდნენ იმ დღეს და შემდეგ დღეებშიაც, რათა დამტკბარიყვნენ ჩვენი „მოძრაობით" და ამით გამოეცხადებინათ ჩვენთვის თანაგრძნობა. მართალი გითხრათ, უცნაურ და საკვირველ სანახაობას წარმოადგენდა, **მას შეეძლო შეცდომაში შეეყვანა არათუ მხოლოდ ისეთი ბავშვები, როგორიც ჩვენ ვიყავით, ბევრიც ჩვენზე უფროსებიც, როცა ხედავდნენ ამოდენა წარჩინებულ პირებს, შემკულთ ორდენებით, რომელნიც ტაშს გვიკრავდნენ და ყვავილებს გვესროდნენ, დარწმუნებული იყვნენ, რომ მთელი რუსული საზოგადოება ჩვენთან არის და რომ მთავრობის დღეები დათვლილია.** არათუ მანდილოსნები, არამედ ხშირად თვითონ ეს წარჩინებული პირებიც მოგვართმევდნენ ხოლმე თაიგულებს, რომლებისათვისაც არც კი ვიცოდით რა გვექნა. ჩვენში ცოტაღა დარჩა ისეთი, რომელსაც არ სჯეროდა, **რომ მთელი რუსეთი ჩვენთან არის**" [2].

ნ. ნიკოლაძის მოგონების ეს ადგილები შესანიშნავ დოკუმენტს წარმოადგენს მასების გავლენის საკითხის შესასწავლად. ამ საკითხში ბუნებრიობასა და დამაჯერებლობას ნ. ნიკოლაძემ იმით მიაღწია, რომ იგი ამ ისტორიული ფაქტის უშუალო მონაწილე იყო. რომ ნ. ნიკოლაძე, როგორც ამ ბრძოლის ერთი ჯარისკაცთაგანი, გრძნობდა მასების თანაგრძნობით გამოწვეულ სულიერ სიდიადეს და ამისათვის მას „წამების ჯვარი არ ემძიმებოდა", მოსალოდნელი განსაცდელი უმსუბუქდებოდა. რაკი ხალხის მოქმედებამ ახალგაზრდობაში ისეთი გრძნობა დაბადა,

[1] ნ. ნიკოლაძე, ტ. I, გვ. 112. ხაზი ჩვენია. — კ. ბ.

[2] იქვე, გვ. 105. ხაზი ჩვენია. — კ. ბ.

რომ „მთელი რუსეთი მათთან იყო“ და „მთავრობის დღეებიც მალე დაითვლებოდა“, ცხადია, ეს ორმაგ ძალას შემატებდა მებრძოლ სტუდენტებს და, ამით წახალისებულნი „შუა გზაზე შეჩერებას“ და იარაღის ხელიდან გაშვებას არ მოისურვებდნენ. შემთხვევით როდი ყვიროდნენ დემონსტრანტები ქუჩებში: „ხალხი ჩვენთან არისო“. მართლაც, ხალხის დიდი ნაწილი მათთან იყო და ეს მებრძოლ ახალგაზრდობას ახალი საგმირო საქმისათვის რაზმავდა.

მაგრამ საინტერესოა ისიც, რომ ხალხის თანაგრძნობა მარტო სიტყვითა და თაიგულებით არ გამოიხატებოდა. ზოგჯერ ეს თანაგრძნობა კიდევ უფრო ეფექტური ხასიათისა იყო.

მაგალითად, ცნობილია, რომ მასები პატიმარ სტუდენტებს მატერიალურად ეხმარებოდნენ, მათთვის აწარმოებდნენ ფულადი სახსრების შეგროვებას, მართავდნენ კონცერტებს და სხვა სახის წარმოდგენებს, რომელთა ფულადი შემოსავალი ციხეში იგზავნებოდა, აგროვებდნენ ტანსაცმელს, წიგნებს, თამბაქოს, თეთრეულს და მათვე უგზავნიდნენ. საინტერესოა ისიც, რომ ზოგჯერ ასეთ საქმეში აქტიურად მონაწილეობდნენ ოფიციალური პირები და გვარდიის ნაწილების ოფიცრებიც კი.

ს. აშევსკი თავის საინტერესო შრომაში აღნიშნავს:

«Сочувствие к «бунтующей» молодежи не ограничивалось одними словами или участием в студенческих сборищах. В пользу бедных студентов гораздо усерднее, чем раньше, собирались деньги, устраивались концерты даже гвардейскими офицерами. Когда были арестованы целые сотни студентов, был организован сбор денег, белья, съестных припасов, книг, газет, папирос и т. п. для доставления петропавловским и кронштадским узникам»[1].

ყოველივე ამასთან ერთად, სტუდენტთა მასობრივ მოძრაობას ხელს უწყობდა არალეგალური ორგანიზაციები, საკვირაო სკოლები, სამოციანი წლების რევოლუციური მწერლობა და განსაკუთრებით რეფორმის მატყუარა ხასიათი.

ყოველივე ეს ერთად წარმოადგენდა ისეთ მოქმედ ძალას, რომელიც მასობრივად რაზმავდა ახალგაზრდობას ცარიზმის ტირანიის წინააღმდეგ საბრძოლველად.

---

[1] «Соврем. мир», 1907 г., № 9, стр. 83.

პეტერბურგის უნივერსიტეტის ზოგიერთი ფაკულტეტის აღდგენა და საჯარო ლექციები

1861 წელს პეტერბურგის საიმპერატორო უნივერსიტეტი დახურეს და გარიცხეს არა მარტო პატიმარი სტუდენტები, არამედ ყველა მსმენელი.

ეს ფაქტი საზიანო იყო არა მარტო სტუდენტებისათვის, არამედ ჩირქს სცხებდა მთავრობის ავტორიტეტსაც. ამავე დროს, ათასობით მებრძოლი ახალგაზრდის ქუჩაში დატოვება საშიში იყო მათთვის.

ქუჩაში დარჩენილი სტუდენტები მოითხოვდნენ უნივერსიტეტის აღდგენასა და ლექციების განახლებას.

მმართველი წრეები სერიოზულად ჩააფიქრა სტუდენტების სამართლიანმა მოთხოვნამ, საგულისხმო იყო ისიც, რომ სტუდენტები მარტო არ იმყოფებოდნენ, საქმეს ართულებდა მათდამი მასებისა და ინტელიგენციის თანაგრძნობა და რუსეთის სხვადასხვა გუბერნიაში გლეხობის მასიური აჯანყებები. ასეთ პირობებში სატახტო ქალაქში, პეტერბურგის ქუჩებში, ათასობით მღელვარე ახალგაზრდობის მოძრაობას, ცხადია, შეეძლო არასასურველი შედეგი მოეტანა, ყოველივე ამის გამო მთავრობა იძულებული გახდა, ისევ გაეხსნა უნივერსიტეტი.

პირველ რიგში აღდგენილი იქნა აღმოსავლურ ენათა ფაკულტეტი. 1862 წლის 26 იანვრის თარიღით განათლების მინისტრი პეტერბურგის უნივერსიტეტის დროებით კომისიას სწერს:

«მისმა უდიდებულესობამ: ინება ...2. Открыть ныне же Восточный факультет... 7. Бывших студентов III и IV курса, равно и посторонних слушателей допустить к испытанию в С.-Петербурге — студентов III курса в предметах всего курса, а студентов IV курса и посторонних слушателей в предметах требуемых программой»[1].

აღმოსავლური ენების ფაკულტეტის პირველ რიგში გახსნა იმით იყო გამოწვეული, რომ ასეთი ფაკულტეტი რუსეთის იმპერიის არც ერთ უნივერსიტეტთან არ არსებობდა და ამით ამ ფაკულტეტის მსმენელებს წართმეული ჰქონდათ საშუალება სხვა უნივერსიტეტში სწავლის გაგრძელებისა.

---

[1] ГИАЛО, фонд 14, дело 611, связка 459, год 1861, стр. 1—4.

აღმოსავლური ენების ფაკულტეტის გახსნამ ახალგაზრდობის მცირე ნაწილის მოთხოვნილება დააკმაყოფილა, მაგრამ სტუდენტების დიდი არმია მაინც ქუჩაში დარჩა, რაც იმას ნიშნავდა, რომ ჯერ კიდევ არ იყო მოხსნილი საშიშროება.

1862 წლის შემოდგომაზე მთავრობამ თვითონ წამოჭრა საკითხი უნივერსიტეტის აღდგენის შესახებ, ამის ერთ-ერთი მოტივი ისიც იყო, რომ თუ უნივერსიტეტის ყოფილი სტუდენტები დამნაშავენი იყვნენ და საჭირო აღმოჩნდა მათი დასჯა, რა ბრალი მიუძღოდათ იმ ახალგაზრდებს, რომლებიც ახლა ამთავრებდნენ საშუალო სასწავლებლებს და სამართლიანად თხოულობდნენ პეტერბურგის უნივერსიტეტში სწავლის გაგრძელებას? ამ მოტივით და სხვა პირობების გათვალისწინებით პეტერბურგის ოლქის მზრუნველი იძულებული ხდება მიმართოს განათლების სამინისტროს, რათა ამ უკანასკნელმა სთხოვოს უნივერსიტეტის დროებით კომისიას იმსჯელოს იმის შესახებ, თუ რა პირობებში იქნებოდა შესაძლებელი პეტერბურგის უნივერსიტეტის გახსნა. საინტერესოა ისიც, რომ ოლქის მზრუნველი ფიქრობს გახსნას უნივერსიტეტი ახალი წესდების ვარეშე.

მიმართვაში ნათქვამია:

«...Между тем значительное число молодых людей желает продолжать в С.-Петербурге университетское образование, — к числу их следует отнести людей, которые оканчивают в нынешнем году воспитание в гимназиях... По сему весьма бы желательно открыть университет, не ожидая утверждения нового устава... По сим соображениям, Г. Управляющий Министерством Народного Просвещения просит мнения предложить Временной Комиссии, учрежденной для управления делами С.-Петербургского университета, обсудить..., на каком основании и на каких условиях комиссия признавала бы возможным открыть осенью нынешняго года, в обыкновенное время, все или некоторые факультеты» [1].

მაშასადამე, ახლა უკვე საკითხი ისმის, საერთოდ, უნივერსიტეტის ყველა ფაკულტეტის აღდგენის შესახებ.

მაგრამ მთლიანად მაინც არ მოხერხდა უნივერსიტეტში ლექციების განახლება. ეს საკითხი მინისტრთა საბჭოს სპეციალური მსჯელობის საგანი გამხდარა და გადაუწყვეტიათ 1862 წლის ივნისში გაეხსნათ ფიზიკა-მათემატიკის ფაკულტეტი. დადგენილებაში აღნიშნულია, რომ: «Государь Император, на обсуждении в совете Министров представление Управляющего Министерством Народного Просвещения об открытии С.-Петербургского университета... соизволил:

[1] ГИАЛО, фонд 14, № 604, связка 416, год 1862, стр. 1 — 2.

1. Представить Статс-Секретарю Головнину открыть осенью нынешняго года физико-математического факультета университета на том же основании, как открыт факультет Восточных языков.

2. Остальные затем факультеты... открыть осенью будущего года...»

დადგენილებას ხელს აწერს იმპერატორი[1].

იმავე 1863 წლის სექტემბრიდან ოლქის მზრუნველი ნებას რთავს უნივერსიტეტის დროებით კომისიას აღდგენილი იქნას ლექციების კითხვა საღვთო სჯულსა და უცხო ენებში აღმოსავლური ენებისა და ფიზიკა-მათემატიკის ფაკულტეტებზე. ამის თაობაზე პეტერბურგის ოლქის მზრუნველი უნივერსიტეტის დროებით კომისიას სწერს: «Вследствие представления Временной Комиссии от 13 сего сентября, я разрешаю с начала нынешнего учебного года открыть при С.-Петербургском университете чтение лекций богословия и всех, положенных по уставу университетов, новейших иностранных языков для студентов и вольнослушателей физико-математического и восточного факультетов ...»[2]

ორი ფაკულტეტის გახსნას არ შეეძლო სტუდენტთა საერთო მოთხოვნილების დაკმაყოფილება. დანარჩენი სტუდენტები სწავლის გაგრძელებას მოითხოვდნენ. მთავრობას 1863 წლამდე სხვა ფაკულტეტები არ გაუხსნია, მაგრამ ერთგვარ დათმობაზე მაინც წავიდა და ქუჩაში დარჩენილ სტუდენტებს საჯარო ლექციების მოწყობის უფლება მისცეს. ამ საქმეში სტუდენტებს დიდი დახმარება აღმოუჩინა ჩვენთვის უკვე ცნობილმა პეტერბურგის გენერალ-გუბერნატორმა სუვოროვმა. როდესაც სუვოროვის დახმარებით სტუდენტებმა მთავრობისაგან ნებართვა აიღეს საჯარო ლექციების კითხვისა, მაშინ თხოვნით მიმართეს რადიკალურად მოაზროვნე პროფესორებს. პროფესორებიც დათანხმდნენ და უნივერსიტეტის ნაცვლად დაიწყო საჯარო ლექციები ქალაქის საბჭოს დარბაზში და წმინდა პეტრეს სასწავლებელში. ეს ფაქტიურად ოფიციალური უნივერსიტეტის პროგრამის გაგრძელებას წარმოადგენდა.

საჯარო ლექციებს კითხულობდნენ პროფესორები: ანდრეევსკი, ბეკეტოვი, ბლაგოვეშჩენსკი, კაველინი, კოსტომაროვი, მენდელეევი, პავლოვი, სოვეტოვი, სპასოვიჩი, სეჩენოვი, ფომიცინი და სხვები, სულ ოც კაცამდე.

ამათ გარდა, მოწვეულნი იყვნენ: ლავროვი, პიპინი, ჩერნიშევსკი,

[1] ЦГИАЛО, фонд 733, год 1862, опись 27, дело 305, стр. 44.

[2] ГИАЛО, фонд 14. дело 640, связка 461, опись 2, год 1862, стр. 38.

მაგრამ ასეთი რადიკალურად მოაზროვნე ლექტორები, და განსაკუთრებით ჩერნიშევსკი, არ იქნენ დაშვებულნი საჯარო ლექციების წასაკითხად.

ლექციების ორგანიზაციისა და მისი სასწავლო ხასიათის შესახებ მეტად საინტერესო ცნობას გვაწვდის ამ ლექციების მსმენელი კირილე ლორთქიფანიძე. იგი წერს:

„პეტრეს დარბაზში დაიწყეს პუბლიკური ლექციების კითხვა ყველა ფაკულტეტის პროფესორებმა და, ამის გარდა სამმა კაცმა. პროფესორებმა, ვინც დაიწყეს, ყველამ ასე გამოაცხადა პირველ ლექციაზე, რომ თუმცა ჩვენ ვკითხულობთ პუბლიკურ ლექციებს, მაგრამ სახეში უფრო გვყავს ის მსმენელები, რომლებიც ყურს გვიგდებდნენ წარსულ წელს უნივერსიტეტში (ე. ი. გამორიცხული სტუდენტები) და ამისათვის ჩვენი ლექციები იქნება უნივერსიტეტის კურსის გაგრძელებაო. უნდა გიამბო, რომ ჩვენ (სტუდენტებს) გვყავდა ამორჩეული რამდენიმე დეპუტატი, რომლებიც წავიდნენ და სთხოვეს უკეთეს პროფესორებს, რომ მათ ეთხოვათ ნება... ახლა კითხულობენ ლექციებს შემდეგნი: კ ო ს ტ ო მ ა რ ო ვ ი, პ ა ვ ლ ო ვ ი, ს ტ ა ს ულ ე ვ ი ჩ ი, ბ ლ ა ღ ო ვ ე შ ჩ ე ნ ს კ ი, შ ე ი მ ა ნ ი. იურიდიულის: კ ა ვ ე ლ ი ნ ი, ს პ ა ს ო ვ ი ჩ ი, უ ტ ი ნ ი, ა ნ დ რ ე ე ვ ს კ ი. ი ვ ა ნ ო ვ ს კ ი, გ ო რ ლ ო ვ ი. ბუნების საგნებს: ს ო კ ო ლ ო ვ ი, მ ე ნ დ ე ლ ე ე ვ ი, ფ ო მ ი ც ი ნ ი. ბ ე კ ე ტ ო ვ ი, ს ო ვ ე ტ ო ვ ი, გ ა დ ო ლ ი ნ ი, ბ ა ზ ი რ ი ე ვ ს კ ი. ამათ გარდა კიდევ გარეშე კაცები (ე. ი. უნივერსიტეტის გარეშე პირები): სეჩენოვი (ცხოველთა ფიზიოლოგიას) პროფესორი მედიკური აკადემიისა. ლ ო ხ ვ ი ც კ ი (энциклопедия законоведения), კ ლ ი ნ ო ვ ს კ ი (финансовое право). ასე კითხულობს 21 კაცი. კიდევ მიემატებიან მალე მათემატიკური ფაკულტეტის პროფესორები, ორი მაინც. ს ო მ ო ვ ი და ჩ ე ბ ი შ ი. დღეში კითხულობენ ექვს ლექციას სხვადასხვას. არის რაღა უნივერსიტეტი, მაგრამ არაოფიციალური. ესენი იკითხავენ შუა აპრილამდის. ერთად ყველა ლექციის ფასი თითო საგანზე არის, ორ ორი თუ თითო მანეთი, და თუ ერთად არ იყიდი ერთჯერ შესვლა 25 კაპიკი. სტუდენტების მეტ წილს აქვს უფასო ბილეთი, რომლითაც შეუძლიათ, ყოველთვის ყველასთან შევიდეს, მეც მაქვს... კოსტომაროვის ორ მანეთიანი ბილეთი იყო დაბეჭდილი 600 ცალი და ყველა გაიყიდა. კიდევ ბევრი თხოულობს. ასე, რომ კიდევ უნდა დაიბეჭდოს 600 ცალი. მაშასადამე, მუდამ მის ლექციებზე ყოველთვის გაიყიდება ხუთშაურიანი ბილეთი 30 მანეთამდის. ისე უშველებელი ზალა დუმისა გატენილია... ზალები, რასაკვირველია, უფასოდ არის ნათხოვარი...“[1]

[1] ქუთაისის ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმი, კ. ლორთქიფანიძის არქივი, ხელნაწერი 61 (ძველი აღწერილობით). ეს ხელნაწერი პირველად გამოვაქვეყნე 1939 წელს სტატიაში — 1861 წ. რევოლუციური მოძრაობა პეტერბურგში და ქართველი სტუდენტები. „ძნათობი“. 1939 წ., № 9.

როგორც აქ წარმოდგენილი მასალებიდან ჩანს, სტუდენტები დიდი ინტერესით ისმენდნენ საჯარო ლექციებს. საინტერესოა ისიც, რომ ზოგ პროფესორს ათასამდე მსმენელი ჰყავდა.

კ. ლორთქიფანიძის ცნობებს საჯარო ლექციების შესახებ ემთხვევა ნ. ნიკოლაძის მოგონებაც. ნ. ნიკოლაძე წერს: „უფროსმა სტუდენტებმა გამოითხოვეს თავ. სუვოროვისაგან ნებართვა საჯარო კითხვათა კურსების გახსნისა ქალაქის თვითმართველობის დარბაზში. თითქმის ჩვენმა ყველა დათხოვნილმა პროფესორებმა მიიღეს მონაწილეობა ამ საჯარო კითხვაში, ე. ი. განაახლეს თავისი უნივერსიტეტის კურსები... ყოველი ჩვენგანი უსმენდა დღეში ორ-სამ ლექციას, სწორედ ისე, როგორც უნივერსიტეტში“ [1].

ცხადია, მებრძოლი ახალგაზრდობისათვის ამ სახის საჯარო ლექციები უფრო ხელსაყრელი იყო, ვიდრე ცენზურისა და III განყოფილების მოხელეების ფილტრში გატარებული უნივერსიტეტში წაკითხული საგნები. სამართლიანად შენიშნავს ვ. ბასკაკოვი: „მსმენელების წინაშე, რომელთა რიცხვი ჩვეულებრივად ათასიდან ორიათას კაცამდე აღწევდა, ზოგიერთი ლექტორთაგანი, ცენზურის გვერდის აცლით, გამოთქვამდა რევოლუციურ იდეებს. გამოდიოდა რა რუსეთის ფეოდალურ-ბატონყმური წყობილებიდან, მოუწოდებდა სტუდენტებს აქტიური რევოლუციური მოქმედებისაკენ“ [2].

მაგრამ, სამწუხაროდ, საჯარო ლექციების კითხვა დიდხანს არ გაგრძელებულა. 1862 წლის 2 მარტს პეტერბურგში რაუზეს დიდ დარბაზში გაიმართა დობროლუბოვის ხსოვნის საღამო. სიტყვებით გამოვიდნენ ჩერნიშევსკი და ნეკრასოვი. რომლებსაც ხალხი დიდი აღფრთოვანებით და ოვაციით შეხვდა. ჩერნიშევსკიმ ილაპარაკა დობროლუბოვის პიროვნებისა და დამსახურების შესახებ, ხოლო ნეკრასოვმა წაიკითხა დობროლუბოვის ლექსები. ამის შემდეგ ახალი ისტორიის პროფესორმა პ. ვ. პ ა ვ ლ ო ვ მ ა წაიკითხა მოხსენება თემაზე „რ უ ს ე თ ი ს ა რ ს ებ ობ ი ს ა თ ა ს ი წ ე ლ ი“. პავლოვმა მთელი თავისი სიტყვა მთავრობის წინააღმდეგ საბრალმდებლო დებულებებზე დაამყარა. მან დაასახელა 1861 წლის 19 თებერვლის რეფორმა და აღნიშნა, რომ, მთავრობა განადგურებული იქნება, თუ ხალხს არ მიეცემა ნამდვილი თავისუფლებაო.

ამ საღამოს ესწრებოდნენ ქართველი სტუდენტებიც. ამის თაობაზე ნ. ნიკოლაძე თავის მოგონებაში აღნიშნავს: „ჩვენმა ახალი ისტორიის პროფესორმა პლ. ვას. პ ა ვ ლ ო ვ მ ა, რომელიც სულ ცოტა ხნის წინათ იყო გადმოყვანილი კიევის უნივერსიტეტიდან, წაიკითხა „რუსეთის არსებობის ათასი წელი“, დაბეჭდილი იმ წლის „აკადემიურ კალენდარ-

[1] ნ. ნ ი კ ო ლ ა ძ ე, ტ. I, გვ. 126.

[2] В. Г. Б а с к а к о в, Мировоззрение Чернышевского, стр. 236.

ში". მოხსენების დასასრულს პროფესორმა რამდენიმე თბილი სიტყვა დაუმატა, სადაც იგი იმედს გამოთქვამდა ჩვენი წყობილებისა და დაწესებულებათა გადახალისების შესახებ. საზოგადოებამ, რომელიც იმ საღამოს მეტად აღფრთოვანებული იყო და განურჩეველად ყველას გააფთრებულ აპლოდისმენტს უძღვნიდა, დააჯილდოვა იგი მხურვალე ტაშის ცემით და მრავალჯერ გამოიწვია ესტრადაზე. რაც უფრო ხშირად გამოდიოდა იგი საზოგადოების წინაშე, მით უფრო ხვამაღლა გაისმოდა „ვაშას" ძახილი. უზარმაზარი დარბაზი გრგვინავდა და ზანზარებდა ტაშის ცემისაგან" [1].

ამ გამოსვლის შედეგად პროფესორი პავლოვი დააპატიმრეს და გადაასახლეს. ამასთან დაკავშირებით სტუდენტთა კომიტეტმა ჩერნიშევსკის მეთაურობით, გადაწყვიტა საჯარო ლექციების შეწყვეტა, რადგან მოსალოდნელი იყო, რომ სტუდენტთა საჯარო ლექციები დემონსტრაციაში გადაზრდილიყო და ამას ისევ მასობრივი დაპატიმრებები და გადასახლებები მოჰყვებოდა, რაც დიდი მსხვერპლის ფასად დაუჯდებოდა ახალგაზრდობას. ამის თაობაზე ბასკაკოვი აღნიშნავს: „როცა მთავრობამ დააპატიმრა პროფესორი პავლოვი, პეტერბურგის სტუდენტთა კომიტეტმა, თანახმად ჩერნიშევსკის მითითებისა შესცვალა ტაქტიკა. გამოიტანა დადგენილება ლექციების შეწყვეტის შესახებ, უფრო იმისათვის, რომ არ მომხდარიყო დემონსტრაცია, რომელსაც შეეძლო მიეყვანა რევოლუციური ახალგაზრდობა მასობრივ დაპატიმრებამდე..." [2]

როგორც დოკუმენტებიდან ჩანს საჯარო ლექციებს ისმენდნენ არა მარტო სტუდენტები, არამედ სხვებიც. ამ დროს ისეთი დაძაბული მდგომარეობა ყოფილა, რომ სტუდენტთა მონაწილეობის გარეშეც თვით საჯარო ლექციების კერძო მსმენელებს შეეძლოთ მოეწყოთ ახალგაზრდობის დემონსტრაცია, რასაც ფაქტიურად მაინც სტუდენტთა რეპრესიები მოჰყვებოდა, მიუხედავად იმისა ამ საქმეში სტუდენტები იქნებოდნენ მონაწილე თუ არა. ჩანს, ამ დროს ჩერნიშევსკი ტაქტიკურ უკანდახევას აწარმოებდა; ასეთი მძლავრი რეაქციის პერიოდში სიფრთხილეს იჩენდა. ეს იქიდანაც ჩანს, რომ მ. მიხაილოვის მოქმედება პოლიციის წინაშე — დანაშაულის აღიარება — ჩერნიშევსკის არ მოსწონებია. ამის შესახებ, როგორც ნ. ნიკოლაძე აღნიშნავს, ჩერნიშევსკის უთქვამს: „ჩვენ არც იმდენად მრავალრიცხოვანი ვართ, რომ თვითვე გავყოთ თავი სახრჩობელას თოკში".

თვით ჩერნიშევსკიმ დიდი თავდაჭერილობა გამოიჩინა დობროლუბოვის საღამოზე. მთავრობის აგენტები ფიქრობდნენ ჩერნიშევსკის ღა-

---

[1] ნ. ნიკოლაძე, ტ. 1, გვ. 127.

[2] В. Г. Баскаков, Мировоззрение Чернышевского, стр. 238.

საპატიმრებელ საბუთს იშოვნიდნენ და დაინტერესებულნი მოელოდნენ მის რადიკალურ გამოსვლას, ჩერნიშევსკიმ კი დიპლომატიური მანევრი გააკეთა და გვერდი აუარა ასეთ საკითხებს. ამას, როგორც ნ. ნიკოლაძე აღნიშნავს, მაყურებელში განცვიფრებაც კი გამოუწვევია. „ყველაზე მეტად ჩვენ იმან გაგვაკვირვა, რომ ჩერნიშევსკის არ წარმოუთქვამს არც ერთი სიტყვა ხელისუფლების მიერ ხალხის შევიწროებაზე, არაფერი უცენზურო, არავითარი დასკვნა არ გამოუყვანია, იგი ისევე უბრალოდ ადგა და გავიდა, როგორც ლაპარაკობდა, დარბაზი გაოცებისაგან გაშრა“ [1].

ამ დროს საჯარო ლექციების კითხვის შეწყვეტაც ასეთივე ტაქტიკური მოსაზრებით იყო გამოწვეული. მაგრამ ჩერნიშევსკის და სტუდენტთა კომიტეტის გადაწყვეტილებას ეწინააღმდეგებოდა ზოგიერთი პროფესორი და მათ შორის კოსტომაროვი.

კოსტომაროვს თავისი მომხრეები ჰყავდა. ისინი იცავდნენ საჯარო ლექციების გაგრძელების საჭიროებას, მაგრამ ბოლოს დაძლიეს იგი და იძულებით დაატოვებინეს სალექციო აუდიტორია.

ამ ამბების მოწმე ნ. ნიკოლაძე ასე წარმოგვიდგენს ბრძოლას კოსტომაროვსა და მის მოწინააღმდეგეთა შორის. „როგორც კი სტუდენტობამ გაიგო პავლოვის გადასახლების ამბავი, ატყდა ახალი ჩოჩქოლი. ლექციების გამგე კომიტეტის ერთ-ერთმა წევრმა წინადადება შეიტანა დაეხურათ კურსები პროტესტის ნიშნად. უმრავლესობა, და მეტადრე პროფესორები, ამაზე არ დათანხმდნენ. კოსტომაროვის მეთაურობით ისინი ამტკიცებდნენ. რომ კურსების დახურვა — ეს სწორედ მთავრობისათვის იქნება ხელსაყრელი, რომ ეს ზიანს მოუტანდა მხოლოდ სტუდენტობას, რომელიც დარჩებოდა დაქსაქსული, უხელმძღვანელოდ, ხოლო უმთავრესად კი, სტუდენტობა მოკლებული იქნებოდა საზოგადოებასთან შეხვედრას და მასში პროპაგანდის გაწევის საშუალებას... დიდი უმრავლესობა კოსტომაროვის მსმენელებისა, რომელთაც გაიგეს კამათის შინაარსი, წინააღმდეგი იყვნენ კურსების დახურვისა. როცა ლექცია დაიწყო, დარბაზის ყველა კუთხიდან მოისმა ხმები: „არ გვინდა“, „ნუ კითხულობთ“ და ამას მოჰყვა სტვენა. სტუდენტების ნაწილი პროფესორის გასამხნევებლად ტაშს უკრავდა და ყვიროდა „განაგრძეთ“... მან დიდხანს უცადა სიჩუმის ჩამოვარდნას, მაგრამ ყვირილი „ჩვენ გვინდა პავლოვი“ როდი ცხრებოდა. რამდენჯერმე დააპირა კოსტომაროვმა ლაპარაკი, მაგრამ როგორც კი გააღებდა პირს, იმწამსვე მოისმოდა ყვირილი „ძირს“, სტვენა, ყეფა, კატის კნავილი და ათასი უხამსობა. საბრალო სანახავი იყო კოსტომაროვი, რომლის სახე გამოიცვალა ამ მო-

[1] ნ. ნიკოლაძე, ტ. I, გვ. 127.

ულოდნელი თავდასხმისაგან, რომ ძლივსღა იცნობდა ადამიანი. მან ნაღვლიანად მოკრიბა თავისი ქაღალდები და ჩამოვიდა კათედრიდან თვალცრემლიანი. მისი ტანჯული სახე დიდხანს არ მომშორებია ხსოვნიდან. წინა დღეს კი მთელი ეს ახალგაზრდობა აღმერთებდა მას. ამ დროიდან დავრწმუნდი, რომ პოპულარობა ცარიელი სიტყვაა.

ამის შემდეგ ვერც ერთი პროფესორი ვერ ბედავდა გამოსვლას, სადაც კოსტომაროვს აუტეხეს სტვენა და აღარ მოუსმინეს, ვინღა შებედავდა უკიდურესთა წინააღმდეგ ხმის დაძვრას"[1].

საინტერესოა ის ფაქტიც, რომ ჩერნიშევსკი იძულებული გამხდარა სახლში მისულიყო კოსტომაროვთან და პირადად მოლაპარაკებოდა მას ლექციის შეწყვეტის შესახებ, მაგრამ კოსტომაროვს იქაც წინააღმდეგობა გაუწევია მისთვის.

ამის შესახებ ჩერნიშევსკი წერს:

«...Прямо с этого я и начал, как зашел в комнату: «Здравствуйте, Николай Иванович; мы давно не видимся; и разумеется, **если я зашел к вам , то считаю важным дело, о котором хочу поговорить с вами.** Вы хотите читать лекцию. Будет демонстрация. Наперекор воле студентов будет. Они не хотят обидеть вас. Но большинство публики осуждает вас. И вы будете преданы позору публикою... не позорьте себя». — Я говорил долго. — Он отвечал, что он будет читать. — Тогда я стал говорить точнее прежнего о том, какую роль хочет он разыграть. — «Результатом демонстрации будут аресты, процессы, ссылки. Люди, которые устраивают такие происшествия, какие нужны для принятия репрессивных мер, — это агенты-провокаторы. Не берите на себя роль агента-провокатора»[2].

როგორც ვხედავთ, დიდი ბრძოლა დასჭირდა ჩერნიშევსკის, რომ დაეთანხმებინა პროფესორები და სტუდენტები საჯარო ლექციის შეწყვეტაზე. მაგრამ ძნელი დასაჯერებელია, რომ კოსტომაროვი განზრახ. პროვოკაციული მიზნით აკეთებდა ამას, როგორც ამას ბასკაკოვი აღნიშნავს. იგი ამის შესახებ წერს:

«И только благодаря решительным действиям Чернышевскому удалось предотвратить провокационное выступление Ко-

---

[1] ნ. ნიკოლაძე, ტ. 1, გვ. 127 — 128. ნ. ნიკოლაძის ეს და სხვა მრავალი ადგილი გამოყენებული აქვს ვ. გ. ბასკაკოვს თავის შრომაში „Мировоззрение Чернышевского».

[2] Н. Г. Чернышевский, Полное собрание сочинений, т. I, стр. 761 — 762. В. Г. Баскаков, Мировоззрение Чернышевского, стр. 240.

стомарова и тем самим сохранить сотни молодых революционеров от диких полицейских репрессий»[1].

ვინც კარგად იცნობს კოსტომაროვის როლს მოწინავე ახალგაზრდობის აღზრდის საქმეში, ძნელი დასაჯერებელია, რომ იგი ამას განზრახ აკეთებდა. ამ შემთხვევაში ბასკაკოვი უდავოდ სცდება, აქარბებს კოსტომაროვის განზრახვის შეფასებაში.

ასეთი დიდი შეხლა-შემოხლის შედეგად საჯარო ლექციების კითხვა შეწყვეტილი იქნა და დიდი ხნის განმავლობაში სტუდენტები მოკლებულნი იყვნენ სწავლისა და ერთად მსჯელობის საშუალებებს.

ხოლო 1863 წელს გაიხსნა პეტერბურგის უნივერსიტეტის ყველა ფაკულტეტი და ყველა საგანში განახლდა ლექციები. მაგრამ უნივერსიტეტს თავისი პირვანდელი იერი არ ჰქონდა, იგი ფაქტიურად განადგურებული იყო. თუ 1861 წელს, უნივერსიტეტის დახურვამდე მასში სწავლობდა 1500 — 1600 სტუდენტი, 1863 წელს ეს რიცხვი 265-ზე დავიდა. არც ლექციები ტარდებოდა ძველი ხალისითა და ინტერესით. მართალია, სტუდენტები ცხადდებოდნენ ლექციებზე, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავდა, რომ ადმინისტრაციისა და პოლიციის გადაწყვეტილებებს ემორჩილებოდნენ. პირიქით. შეიძლება გადაჭრით ითქვას, რომ სტუდენტებს ერთი წუთითაც არ მოუხრიათ ქედი მთავრობის უხეში პოლიტიკის წინაშე და 1861 წელს დაწყებული სტუდენტთა მასობრივი მღელვარება შემდეგ წლებშიაც გრძელდებოდა.

---

[1] В. Г. Басскаков, Мировоззрение Чернышевского, стр. 240.

სამოციანი წლების სტუდენტთა მოძრაობის საერთო პოლიტიკური მნიშვნელობა

როგორც განხილული საკითხებიდან ჩანს, რუსეთის სამოციანი წლების სტუდენტთა მოძრაობა დიდი პოლიტიკური მნიშვნელობის მოვლენა იყო. ეს არ წარმოადგენდა მარტო უნივერსიტეტის რეჟიმით უკმაყოფილო ახალგაზრდობის ჯგუფურ მოძრაობას, არამედ იგი აღმოცენებული იყო სამოციანი წლების საერთო პოლიტიკურსა და ეკონომიურ საფუძვლებზე და უშუალოდ მოქმედებდა საერთო რევოლუციური ცენტრის მითითებით და ჩერნიშევსკის ხელმძღვანელობით.

სტუდენტები დაინტერესებულნი იყვნენ არა მარტო უნივერსიტეტის წესდების საკითხით, არამედ გლეხთა განთავისუფლებითაც. ისინი დიდი ინტერესით მსჯელობდნენ მანიფესტის ხასიათის შესახებ. ამის შესახებ პ. ბობრიუკინი საინტერესო ცნობას გვაწვდის: „მე მოვხვდი ჩემს სტუდენტთა წრეში, ბინაში, სადაც ცხოვრობდა მიხაელისი ამხანაგებით. იქვე ვნახე მე... მიხაილოვი... ისინი კითხულობდნენ ხმამაღლა მანიფესტის ტექსტს და შემდეგ დაიწყეს გარჩევა მისი დეტალურად. ის არავის არ აკმაყოფილებდა...“[1]

50 — 60-იანი წლების სტუდენტთა მღელვარება, როგორც, საერთოდ, სამოციანი წლების რევოლუციური მოძრაობის აღმავლობის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მაჩვენებელია.

აღსანიშნავია ისიც, რომ სამოციანი წლები რუსეთში იყო დიდი რევოლუციური აღმავლობის პერიოდი, გერცენის, დობროლუბოვისა და ჩერნიშევსკის ბობოქარი დრო და არ შეიძლებოდა მათ მოძრაობას დიდი გავლენა არ მოეხდინა მოსწავლე ახალგაზრდობაზე. სამართლიანად შენიშნავს ტ. ვოლფსონი, რომ: «Нельзя также забывать, что это было время революционной проповеди Герцена и Михайлова, Добролюбова и Чернышевского, время революционных прокламаций и зарождения радикальных кружков, и что все это не могло не оказывать на молодежь, наиболее отзывчивую часть интеллигенции, самого сильного воздействия»[2].

---

[1] П. Д. Бобрюкин, За полвека, 1929 г., М.-Л., стр. 173.

[2] Т. В. Вольфсон, Петербургские студенты в Петропавловской и Кронштадской крепостях в 1861 г., «Вестник Ленинградского университета», № 1, Ленинград, 1949 г., стр. 133 — 139.

საინტერესოა ისიც, რომ სამოციანი წლების სტუდენტთა მოძრაობას ყურადღება მიაქციეს მსოფლიო პროლეტარიატის დიდმა ბელადებმა კარლ მარქსმა და ფრიდრიხ ენგელსმა. ისინი თავიანთ წიგნში «Альянс социалистической демократии и международное товарищество рабочих» წერდნენ რუსეთის სტუდენტთა მოძრაობის შესახებ, რომ ეს ბრძოლა «...был перенесен на улицу и вылился во внушительные манифестации».

«С каждым днем это движение в учебных заведениях все больше возрастало и вливало в русское общество массу неимущей, вышедшей из простого народа, образованной и проникнутой социалистическими идеалами молодежи»[1].

მართლაც, სამოციანი წლების სტუდენტთა მოძრაობა უნივერსიტეტის კედლებიდან ქუჩაში გადავიდა, იგი მასობრივი ხასიათის გახდა და მას დაუკავშირდნენ მოწინავე ახალგაზრდები, ინტელიგენციის დემოკრატიული ფენები, ჩინოვნიკები, ჯარისკაცები და თვით გვარდიის ოფიცრებიც კი. ამ მოძრაობაში მონაწილეობენ რუსეთის სხვადასხვა უმაღლესი სასწავლებლების და სხვა უწყების მოსწავლეებიც. არალეგალური ორგანიზაციები, პრესა, პროკლამაციები — ყოველივე ეს აკავშირებდა და აძლიერებდა მათ შორის ურთიერთობას და ერთიანი ძალით რაზმავდა ცარიზმისა და მემამულეების შავბნელი რეაქციის წინააღმდეგ.

ყოველივე აქედან გამომდინარე შეიძლება დავასკვნათ, რომ სამოციანი წლების პეტერბურგის უნივერსიტეტი და სხვა უმაღლესი სასწავლებლები დიდად უწყობდნენ ხელს ახალგაზრდობის რევოლუციური იდეებით შეიარაღებას. ამ დროს უმაღლეს სასწავლებელში სტუდენტები არა მარტო სპეციალურ მეცნიერებას ეუფლებოდნენ. არამედ იწვრთნებოდნენ და იარაღდებოდნენ მოწინავე მებრძოლი იდეოლოგიით. ითვისებდნენ დიდი რუსი რევოლუციონერების ჩერნიშევსკის, დობროლუბოვის, ნეკრასოვის და სხვათა რევოლუციურ შეხედულებებს. განსაკუთრებით სამოციანი წლების პეტერბურგის უნივერსიტეტი დიდი სკოლა იყო რუსეთის იმპერიის სხვადასხვა კუთხიდან ჩამოსული არარუსი ახალგაზრდობისათვის. ისინი აქ, დაახლოებულნი რუსეთის მოწინავე ინტელიგენციასთან და პირადად ჩერნიშევსკისთან, ხარბად ეწაფებოდნენ ჩერნიშევსკისა და მისი თანამებრძოლების რევოლუციურ მოძღვრებას და სამშობლოში დაბრუნებულნი ამ რევოლუციურ იდეოლოგიას აღვიეებდნენ მშობლიურ მიწა-წყალზე.

---

[1] К. Маркс и Ф. Энгельс, Соч., т. XIII, часть 2, стр. 595 — 596.

რუსეთის სამოციანი წლების რევოლუციურ ტრადიციებზე აღიზარდა ქართველ მოღვაწეთა ერთი ძლიერი ჯგუფი, რომლებიც, თერგდალეულების სახელწოდებით საქართველოში სამოღვაწეო ასპარეზზე გამოვიდნენ სამოციან წლებში.

პეტერბურგის უნივერსიტეტი და სამოციანი წლების ქართველი სტუდენტები

ქართველი ახალგაზრდობის ლტოლვა პეტერბურგის უნივერსიტეტისაკენ

განიხსნა გზა და ეშვათ ივერელთ სასოება,
რომე მუნით შეეიდეს მათ შორის განათლება.
ალ. ჭავჭავაძე

ეამ-ვითარებით გარდახვეწილთ შენთ შვილთ
მიდამო
მოაქვთ მამულში განათლება და ხმა საბრ.
ნ. ბარათაშვილი

საქართველოს რუსეთთან შეერთებამ მართლაც გაუხსნა გზა ქართველ ახალგაზრდობას რუსეთის საუნივერსიტეტო ქალაქებისაკენ. ჩვენი ქვეყნის ახალი თაობა, დიდი ხანია სწავლას მოწყურებული, სიყვარულით დაეწაფა განათლების ანკარა წყაროს. მათ ადრიდანვე იცოდნენ: „თუ კაცსა ცოდნა არა აქვს, გასტანჯავს წუთისოფელიო“.

მაინც ახალგაზრდობის განსაკუთრებული ლტოლვა პეტერბურგის უნივერსიტეტისკენ იგრძნობოდა.

პეტერბურგის უნივერსიტეტის ტკბილი ნაყოფი პირველმა ქართველმა, უდროოდ დაკარგულმა, ნიჭიერმა ფილოსოფოსმა და ლიტერატორმა სოლომონ დოდაშვილმა იგემა. იგი 1827 წელს კურსდამთავრებული დაბრუნდა საქართველოში.

ვ. გრიგორიევის «Императорский С.-Петербургский университет в течение первых пятидесяти лет его существования», 1870. წიგნის მიხედვით კი, რაც სწორი არაა, პირველი ქართველი რომელმაც პეტერბურგის უნივერსიტეტი დაამთავრა, არის «Чубинов-Георгиев, Давид... по разряду восточной словесности».

დ. ჩუბინაშვილმა უნივერსიტეტი დაამთავრა 1839 წელს ჩვეულებრივი დიპლომით. მას კანდიდატის ხარისხი არ მიუღია. ეს დ. ჩუბინაშვილი გახლავთ ცნობილი მკვლევარი და ლექსიკოგრაფი, პეტერბურგის უნივერსიტეტის ორდინარი პროფესორი.

ამის შემდეგ სისტემატურად ამთავრებდნენ ქართველი ახალგაზრდები პეტერბურგის უნივერსიტეტის კურსს..

პეტერბურგის უნივერსიტეტი დაამთავრეს, სამოციანი წლების ჩათვლით, ქართველმა ახალგაზრდებმა:

№	გვარი და სახელი	რომელ წელს დაამთავრა	რომელი ფაკულტეტი დაამთავრა	რა დიპლომით დაამთავრა
1	ჩუბინაშვილი დავით	1839	აღმოსავლეთის სიტყვიერების	ნამდვილი სტუდ.
2	შანშიაშვილი პეტრე	1843	იურიდიული	კანდიდ. ხარისხით
3	შანშიაშვილი გრიგორი	1845	აღმოსავ. ენების	„
4	ბელიქიშვილი კონსტანტინე	1849	„	„
5	სარაჯიშვილი ვასილ	1850	„	„
6	ციციშვილი იოსებ	1850	„	„
7	ჭავჭავაძე იასე	1850	„	„
8	ქავთარაძე ილარიონ	1853	იურიდიული ფაკ.	ნამდვილი სტუდ.
9	ანდრონიკაშვილი დიმიტრი	1854	„	კანდიდ. ხარისხით
10	ჯაველი სტეფანე	1854	„	„
11	ზუბალიშვილი ივანე	1854	„	„
12	წულუკიძე დიმიტრი	1856	„	„
13	ნაკაშიძე პეტრე	1860	აღმოსავ. ენების	„
14	ყიფიანი დავით	1860	იურიდიული ფაკ.	„
15	თუმანიშვილი ივანე	1860	„	„
16	ღოღობერიძე ნიკო	1861	ისტორიკო-ფილოლ.	„
17	წერეთელი აკაკი	1862	აღმოსავ. ენების	„ [1]
18	ჯაბადარი ნიკოლოზ	1862	იურიდიული ფაკ.	კანდიდ. ხარისხით
19	თუმანიშვილი ვასილ	1862	„	„
20	ჯავახიშვილი გრიგორი	1862	„	„
21	მაღალაშვილი ესტატე	1862	„	„
22	ანდრონიკაშვილი მიხეილ	1862	„	ნამდვილი სტუდ.
23	ბაქრაძე დავით	1862	„	კანდიდ. ხარისხით
24	ოქროპიდლიშვილი ილია	1863	აღმოსავ. ენების	„
25	ღოღობერიძე ბესარიონ	1863	ფიზიკა-მათემატ.	„ [2]

ცხადია, აქ წარმოდგენილი ცნობა სრული არ იქნება. ამას სოლომონ დოდაშვილის მაგალითიც ამტკიცებს. გარდა ამისა, ამ სიაში არ არიან შეტანილნი ის პირები, რომლებიც სწავლობდნენ პეტერბურგის უნივერსიტეტში, დაამთავრეს კიდევაც, მაგრამ სახელმწიფო გამოცდები არ ჩაუბარებიათ. ამის გამო ამათ რიცხვში არ შეიძლებოდა მოხვედრილიყვნენ — ილია ჭავჭავაძე, გიორგი წერეთელი, ნიკო ნიკოლაძე, კირილე ლორთქიფანიძე და სხვები.

ყურადღებას იპყრობს ისიც, რომ ქართველი ახალგაზრდები წარჩინებით სწავლობდნენ პეტერბურგის უნივერსიტეტში. ეს იქიდანაც ჩანს, რომ 25 კურსდამთავრებულიდან მხოლოდ 4 კაცს აქვს მიღებული

[1] აკაკი წერეთელმა გამოცდები ჩააბარა კანდიდატის ხარისხზე, მაგრამ დიპლომი არ მიუღია გიმნაზიის ატესტატის უქონლობის გამო. — კ. მ.

[2] В. В. Григорьев, Императорский С.-Петербургский университет в течение первых пятидесяти лет его существования, С.-Петербург, 1870 г.

„ნამდვილი სტუდენტის“ დიპლომი და 21 — კანდიდატის სამეცნიერ-ხარისხი. მისაღებია მხედველობაში ისიც, რომ კანდიდატის ხარისხზე ჩაბარების უფლება მარტო იმათ ჰქონდათ, რომლებიც წლების განმავლობაში საგნებს წარმატებით აბარებდნენ. თუმცა ისიც უნდა აღვნიშნოთ, რომ ამ ოთხი კაციდან, რომლებსაც უბრალო დიპლომები ჰქონდათ მიღებული, ორი — დავით ჩუბინაშვილი და ილია ოქროპჭედლიშვილი შემდეგში ცნობილი პროფესორები და მკვლევარები იყვნენ. ხოლო სრულიად უდიპლომოდ წამოსულებმა ილია ჭავჭავაძემ, ნ. ნიკოლაძემ და სხვებმა მთელი ეპოქა შექმნეს მე-19 საუკუნის ქართულ აზროვნებასა და ლიტერატურაში.

როგორც აქ წარმოდგენილი ვრცელი სია მოწმობს, ქართველი ახალგაზრდები განსაკუთრებულ მიდრეკილებას ამჟღავნებდნენ პეტერბურგის უნივერსიტეტისადმი. ისინი, სწავლისათვის თავგამეტებულნი მიემგზავრებოდნენ ჩრდილოეთის სუსხიან ქალაქში და ხანგრძლივი შრომისა და ბრძოლის შედეგად ეუფლებოდნენ არა მარტო მეცნიერების იმდროინდელ მიღწევებს, არამედ პროგრესული აზროვნების მწვერვალებსაც.

მიუხედავად იმისა, რომ ზოგიერთ ქართველს, მკაცრი კლიმატის გამო, სიცოცხლის ფასად უჯდებოდა პეტერბურგში უმაღლესი განათლების მიღება, ახალგაზრდები მაინც არ უშინდებოდნენ მოსალოდნელ დაბრკოლებას და, მოწინავე იდეებით შეიარაღებულნი, გამარჯვებულნი ბრუნდებოდნენ საყვარელ სამშობლოში.

პეტერბურგის უნივერსიტეტისაკენ განსაკუთრებით სამოციანი წლებიდან დაიძრა ქართველი ახალგაზრდობის დიდი ნაკადი. მართალია, ქართველები სწავლობდნენ: მოსკოვის, კიევის, ხარკოვის, ყაზანის, დერპტის და სხვა უმაღლეს სასწავლებლებში, მაგრამ ყველაზე დიდი რაოდენობა ჩვენი ახალგაზრდობისა მაინც პეტერბურგის უნივერსიტეტში იმყოფებოდა.

პირადად ჩვენ მიერ შემოწმებული პეტერბურგის უნივერსიტეტის საქმეების მიხედვით 1857 — 1861 წლებში პეტერბურგის უნივერსიტეტში სწავლობდნენ: 1. ანდრონიკაშვილი მიხეილ (იყო ილიას ჯგუფში), 2. აბდუშელიშვილი დავით, 3. აფხაზი ალექსანდრე, 4. ალხაზაშვილი პეტრე, 5. ბაქრაძე დავით, 6. ვაჩნაძე იოსებ, 7. ღოღობერიძე სიმონ, 8. ღოღობერიძე დავით, 9. ღოღობერიძე ბესარიონ, 10. ღოღობერიძე ნიკო, 11. ჯაველიშვილი გიორგი, 12. ეჯიბია გაბრიელ, 13. ისარლიშვილი იაკობ, 14. ისარლიშვილი ივანე, 15. ყიფიანი დავით, 16. ლორთქიფანიძე კირილე, 17. მაღალაშვილი გრიგოლ, 18. მაღალაშვილი ლუარსაბ, 19. მაღალაშვილი ესტატე, 20. მესხი ივანე, 21. მესხიშვილი ნიკოლოზ, 22. ნაკაშიძე პეტრე, 23. ნიკოლაძე ნიკო, 24. ნიკო-

ლაძე დავით, 25. ოქრომჭედლიშვილი ილია, 26. სავანელი ვასილ, 27. თუმანიშვილი ვასილ, 28. თუმანიშვილი მიხეილ, 29. წერეთელი გიორგი, 30. წერეთელი აკაკი, 31. წერეთელი იაგორ, 32. ჭავჭავაძე ილია, 33. ჩოლოყაშვილი აბელ. გარდა ამისა, კირილე ლორთქიფანიძის ცნობით, პეტერბურგის უნივერსიტეტში, დაახლოებით ამავე პერიოდში, სწავლობდნენ: 34. ხამაშურიძე, 35. ანდრონიკაშვილი ნ., 36. ანდრონიკაშვილი ივ., 37. ლოლუა, 38. პიპინაშვილი, 39. ქვარიანი, 40. ფიცხელაური, 41. თარხანოვი, 42. ჟღენტი, 43. წულუკიძე, 44. გამრეკლიძე, 45. ნაკაშიძე მ., 46. მიქელაძე, 47. აბაშიძე სამსონ, 48. წერეთელი სამსონ, 49. თულაშვილი, 50. ნაკაშიძე გ.[1].

პროფესორ დ. ჩუბინაშვილისათვის ქართული წიგნების ჩაბარების გამო სტუდენტების მიერ მიცემული ხელწერილის მიხედვით ამ სიას ემატება: 51. თუმანიშვილი პავლე, 52. ღამაზაშვილი მიხეილ, 53. მეფისაშვილი კონსტანტინე, 54. ჯაბადარი ნიკოლოზ, 55. მიზანდარი ელიოზ[2].

ვფიქრობთ, არც ჩვენს მიერ წარმოდგენილი სია იქნება სრულყოფილი. ამას ისიც ადასტურებს, რომ ამ სიებში არ არის მოხსენებული დიმიტრი ყაზბეგი.

სანიმუშოდ მოგვაქვს პეტერბურგის უნივერსიტეტში მხოლოდ ერთ წელს, 1860 წელს, მოსწავლე ქართველი სტუდენტების სია. იგი ამოღებულია უნივერსიტეტის რექტორის წლიური ანგარიშიდან. სია შედგენილია ფაკულტეტებისა და კურსების მიხედვით. ქართველ სტუდენტებს დატოვებული აქვთ საერთო სიის ნომრები.

Именной список студентов С.-Петербургского университета за 1860 год.

№	Имена и фамилии студентов	Как. лет	Вероисповедания	Происхождение	На каком содержании	Который год учится в университете	Где прежде обучался
	Историко-филологический факультет С кавказского комитета						
3	Князь Лорткипанидзе Кирилл .	20	Правосл.	Дворян.		1	В Кутаисской гимн.
5	Бакрадзе Давид .	21				1	Дома у род.
11	Магалов Григорий .	18				1	

[1] ქუთაისის მუზეუმი, კ. ლორთქიფანიძის არქივი.

[2] А. Цагарели, Свед. о памят. Груз. писем, т. I. стр. 186 — 187.

Физико-математический факультет

III-курс

С кавказского комитета

10	Гогоберидзе Виссарион	19	Правосл.	Дворян.		3	В Тифлисской гимн.

II-курс

8	Алхазов Петр	16	Арм. григ.	Дворян.		2	В Тифлисской гимн.

Физико-математический факультет

Разряд естественных наук

I курс

С кавказского комитета

2	Гогоберидзе Давид	19	Правосл.	Дворян.			В Кутаисской гимн.
96	Туманов Михаил	19					

Юридический факультет

Разряд юридический

II курс

С кавказского комитета

7	Месхиев Николай	20	Правосл.	Дворян.			Дома у родителей
8	Князь Туманов Василий	21	Лютеран.			3	

I курс

36	Князь Вачнадзе Иосиф	22	Правосл.	Дворян.		1	

III курс

42	Князь Челокаев Михаил	20	Правосл.	Дворян.		3	

Юридический факультет

Разряд администр. наук

IV курс

1	Князь Андроников Михаил	26	Католик	Дворян.		4	В Тифлисской гимн.
47	Князь Чавчавадзе Илья	22	Правосл.	Дворян.		4	Дома у родителей

Стипендиат закавказского края

III курс

1	Исарлов Иван .	18	Еврейск.	Мещан.		3	Дома у родителей
2	Князь Магалов Евстафий .	19	Правосл.	Дворян.		3	

II курс

25	Князь Джавахов Григорий .	21	Правосл.	Граждан.		1	Дома у род.

Факультет восточных языков

Разряд Армяно-Грузинской словесности

III курс

2	Мизандаров Алоиз	19	Католик	Дворян.	на собс.	2	В Тифлисской гимн.
1	Князь Афхазов Александр . .	17	Арм.григ.	Дворян.	на собс.	2	В Тифлисской гимн.
2	Князь Челокаев Авел .	20	Правосл.	Дворян.	на собс.	3	Дома у род.

I курс

1	Магалов Луарсаб	17	Правосл	Дворян.	на собс.	1	Дома у родителей
2	Серебряков Илья .	23	Арм.григ.	Сигнаг. граждан.	на собс.	1	
3	Эджибов Гаврил	19		Тифлис. граждан.	на собс.	1	
20	Николадзе Давид	21	Правосл.		на собс.	3	

პეტერბურგი სამოციან წლებში ქართველი მოსწავლე ახალგაზრდობის იდეური წრთობის კერა გახდა. აქ გაიგეს მათ პირველად ცხოვრების ავკარგიანობა. თბილისიდან და ქუთაისიდან ჩამოსული, მანამდე დედის მზრუნველ კალთას ამოფარებული ყმაწვილები პირველად შეეჯახნენ პეტერბურგის ბობოქარ ქუჩებს, პირველად მოისმინეს რადიკალურად მოაზროვნე პროფესორებისაგან მეფისა და ღმერთის წინააღმდეგ მიმართული სიტყვები, აქ პირველად იგემეს მღელვარებისა და მწუხარების მძიმე განცდები, შიშისა და სიხარულის ძვირფასი წუთები, რამაც საუკუნო დაღი დაასვა მათ მგრძნობიარე გულებს.

---

[1] ЦГИАЛО, фонд 14, опись 2, ед. хр. 472, связка 449, год 1869, стр. 217 — 232.

ამიტომ იყო ნიკო ნიკოლაძე დიდი სიყვარულით რომ იგონებდა პეტერბურგში გატარებულ მარად დაუვიწყარ დღეებს:

„წარმოიდგინეთ ახლა, მკითხველო, რომ ეს პეტერბურგი ის ქალაქია, სადაც მე პირველი ახალგაზრდული აღტაცება და უმაწვილური ოცნების ეშხი გამიცვნია, სადაც პირველად ნათელი და მძლავრი შთაბეჭდილება ღირსებია ჩემს ტვინს და გულს. რაღაც უცნაური ძალა და გავლენა ეძლევა ჩვენს გრძნობიერებაზე ყველა იმ ალაგს, სადაც ჩვენ სიყმაწვილეში ფეხი აგვიდგამს, სადაც ჩვენ ბედნიერი ან უბედური ვყოფილვართ, სადაც ჩვენ გვიშრომია და პირველჯერ გამარჯვებისა ან დამარცხების კვამლით თავბრუ დაგვხვევია და განსაცდელი გაგვიცდია. კაცს უყვარს ამნაირი ადგილი, ის ნიადაგაც მშვენიერი სურათებით და ფერებით იხსენიებს იმას, თუნდ ცხრა მთას გადაღმა იყოს“ [1].

მართლაც, დაუვიწყარია პეტერბურგის დღეები სამოციანი წლების ქართველი ახალგაზრდობისათვის. „რაც ერთხელ ცხოვლად გულს დაჩნდების. საშვილიშვილოდ გადაეცემის“ — სთქვა ჩვენმა უდროოდ დამარხულმა გენიამ და ჭეშმარიტად ასე მოუვიდათ სამოციანი წლების ქართველი სტუდენტების გულებს. ერთხელ გაელებული ახალი ცხოვრების სიყვარულის კვალი მათ ყამირ გულებზე სამარადისოდ აღბეჭდა და ვერ წაშალა ვერავითარმა რეპრესიებმა.

ქართველი სტუდენტების იდეური ზვრთნა, ისე როგორც ყველა მაშინდელი ახალგაზრდობისა, ორი გზით მიდიოდა. ერთი ეს იყო პეტერბურგის უნივერსიტეტის მოწინავე პროფესორების ლექციები, ხოლო მეორე, უფრო ძლიერი და საიმედო გზა იყო, არალეგალური წრეები, ჩერნიშევსკისა და მის თანამებრძოლებთან თათბირები და კრებები, რევოლუციონერი მწერლების ნაწერები, პროკლამაციები, რევოლუციური პრესა, დემონსტრაციები და ციხის ნესტიანი კედლები.

საინტერესოა, რომ ჩვენი ახალგაზრდები მხოლოდ შერჩევით ისმენდნენ ლექციებს. ისეთ პროფესორებს ესწრებოდნენ, რომლებსაც თავიანთი პროგრესული აზროვნებით სტუდენტების დიდი სიყვარული ჰქონდათ დამსახურებული. ამის შესახებ ნ. ნიკოლაძე წერს:

„დავდიოდით არა იმ პროფესორების ლექციებზე, რომელთა მოსმენაც ფაკულტეტის წესებით სავალდებულო იყო ჩვენთვის, არამედ მთელი სტუდენტების საყვარელი პროფესორების ლექციებზე, ასეთები იყვნენ: ვ. დ. სპასოვიჩი, კ. დ. კაველინი, პ. რედკინი, პ. ვ. პავლოვი და სხვა. მათ მოსასმენად იმდენი სტუდენტობა გროვდებოდა, რომ უდიდესი აუდიტორია... ვერ იტევდა ყველას. ნახევარი საათის შემდეგ სუნთქვა აღარ შეიძლებოდა. ზოგჯერ პროფესორი იძუ-

---

[1] სკანდელი (ნ. ნიკოლაძე). სხვათა შორის, „კრებული“. № 4, გვ. 148 — 149.

ლებული იყო სააქტო დარბაზში გადასულიყო, სადაც სტუდენტთა უმრავლესობა ფეხზე ისმენდა ლექციებს“ [1].

აღსანიშნავია ისიც, რომ ქართველი სტუდენტები, სამშობლოდან შორს გადმოხვეწილნი, ასევე ინტერესით ზრუნავდნენ ეროვნული კულტურისათვის, თავისი ხალხის სულიერ საზრდოზე. ამ მიზნით აგროვებდნენ ქართულ წიგნებსა და ხელნაწერებს, თავს დასტრიალებდნენ სათეისტომო პატარა ქართულ ბიბლიოთეკას. ნ. ნიკოლაძის გადმოცემით: „ქართველ სტუდენტებს, რომელთაც ხელმძღვანელობდა ილია ჭავჭავაძე, ძველი ქართული წიგნების და ხელნაწერების კარგა გვარიანი კოლექცია შეეგროვებინათ და თავზე ეევლებოდნენ მას“ [2].

„სტუდენტების ბიბლიოთეკა ერთბაშად გაამდიდრა სალომე ბატონიშვილის (დადიანის) წიგნებმა, რომელიც პროფესორმა დავით ჩუბინაშვილმა საჩუქრად გადასცა ქართველ სტუდენტებს. ჩაბარების აქტში დასახელებულია შემდეგი წიგნები: 1) ქილილა და დამანა, 2) სამართალი ვახტანგისა, 3) საქართველოს ისტორია ვახუშტისა, 4) ღრამატიკა, ანტონ კათალიკოზისა, 5) ღრამატიკა გაიოზისა, 6) საქართველოს ცხოვრება ვახტანგ ბატონიშვილისა, 7) რიტორიკა მიხიტარისა. 10) ქართლის ცხოვრება პაპუნა ორბელიანისა და სეხნია ჩხეიძისა, 11) ყარამანიანი, 12) განმარტება აპოკალიფსისა, 13) ვეფხის ტყაოსანი, დაბეჭდილი ვახტანგ მეფისაგან, 14) სიბრძნე სიცრუვის ზღაპარი, 15) სახარება, მხედრულად დაბეჭდილი, 16) გურამიანი, 17) ლექსიკონი საბა ორბელიანისა, 18) ვახტანგ მეფის სრული სამართალი, 19) ასტრონომია, ვახტანგ მეფისაგან ნათარგმნი, 20) სპარსული სახარება, ქართული ასოებით დაწერილი, 21) ველიზარიანი, 22) ვახტანგ მეფის ლექსები. 23) მოგზაურობა ტიმოთესი, 24) მარკ-ავრელიანი, 25) რუსულ-ქართული ლექსიკონი, 26) საქრისტიანო სწავლა გაიოზისა, 27) მოთხრობა დიდის კონსტანტინე მეფისა და სხვადასხვა სიტყვები, 28) მარხვისათვის, დიდი ვასილისა, 29) სადღესასწაულო... 32) ჟამნი, 33) დავითიანი, 34) საღმთო კურთხევა, 35) პარაკლიტინი, 36) ვარლაამის სიტყვები, 37) საღმთო მსახურება, 38) სამოციქულო, და ეს ზემოხსენებული წიგნები სასარგებლოდ ჩვენდა ბიბლიოთეკაში დარჩებიან დაუკარგავად, რაზედაც ხელს ვაწერთ: დავით ბაქრაძე, ალექსანდრე აფხაზი, პავლე თუმანიშვილი, ნიკოლოზ ღოღობერიძე, ლუარსაბ მაღალაშვილი, ესტატე მაღალაშვილი, გრიგოლ მაღალაშვილი, მიხეილ ღამაზაშვილი, ნიკოლოზ ალექსიშვილი-მესხი, კონსტანტინე მესხიშვილი, ივანე ისარლიშვილი. დავით ღოღობერიძე, მიხეილ ანდრონიკაშვილი, ილია ჭავჭავაძე, პეტრე ალხაზაშვილი, ნიკოლოზ ჯაბადარი, ბასილ სავანელი, ბასილ თუმანი-

[1] ნ. ნიკოლაძე, ტ. I, გვ. 95 — 96.

[2] იქვე, გვ. 95.

შვილი, კირილე ლორთქიფანიძე, გრიგოლ ჯავახიშვილი, სამსონ აბაშიძე, ალიოზ მიზანდარი, აკაკი წერეთელი, მიხეილ ტერდავითოვი, ილიკო სერებრიაკოვი" [1].

ამ გზით მიიღო ილია ჭავჭავაძემ ეკატერინე ჭავჭავაძისაგან ნ. ბარათაშვილის ლექსების ხელნაწერებიც. თავის დროისათვის, ასეთი მდიდარი ბიბლიოთეკა ქართული წიგნებისა, ხელს უწყობდა ქართველ ახალგაზრდობაში მშობლიური ლიტერატურის სიყვარულისა და ცოდნის გაღრმავებას. ამის წყალობითაა, რომ ქართული მხატვრული სიტყვის ბუმბერაზები: ილია ჭავჭავაძე და აკაკი წერეთელი თავიანთ შემოქმედებაში ასე დიდ ცოდნასა და სიყვარულს რომ ამჟღავნებენ, საქართველოს წარსულისა და ძველი ქართული მწერლობისადმი.

მაგრამ ქართველი სტუდენტები ასევე ინტერესით კითხულობდნენ მსოფლიოში გამოჩენილი მწერლების; ფილოსოფოსების, ეკონომისტების და სხვათა ნაწერებს. ცხადია, ბელინსკის, ჩერნიშევსკის და მათი თანამებრძოლების რევოლუციური მოძღვრება მათთვის უახლოეს იდეურ საზრდოს წარმოადგენდა.

ილია ჭავჭავაძის შესახებ კოტა აფხაზი თავის მოგონებაში წერს: „უნივერსიტეტში ილიას განსაკუთრებით პოლიტიკური და ეკონომიური სამეცნიერო საგნები აინტერესებდა. აქაც იგივე ჩვეულება ჰქონდა. მთელი წელიწადი სამოსწავლო საგნებს ყურადღებას არ აქცევდა და სულ სხვა წიგნების კითხვაში იყო გართული" [2].

როგორც დოკუმენტებიდან ჩანს, ილიას სტუდენტობის დროს წაუკითხავს ბევრი სხვადასხვა დარგის წიგნი. მაგალითად: დეკარტეს. ბეკონის, ჟორჟ-ზანდის, დიკენსის, გოეთეს, შექსპირის, შილერის და სხვების ნაწერები, საბერძნეთის ისტორია და წიგნი „მსოფლიო მექანიკური თეორიის" შესახებ და სხვა მრავალი [3].

ილიას არ ჩამოუვარდებოდა ამ საქმეში მისი თანამემამულე აკაკი წერეთელი. მას სტუდენტობის დროს წაუკითხავს: ჰომეროსის, პლუტარხის, რასინის, კორნელის. მოლიერის, შექსპირის. დიუმას, ჰიუგოს. ჰაინეს. გუცკოვის და სხვათა ნაწერები. ამას ამტკიცებს მის ბიბლიოთეკაში შემონახული სტუდენტობისდროინდელი წიგნები.

მაგრამ ქართველი სტუდენტებისათვის მაინც ყველაზე საყვარელი და ახლობელი იყო რუსეთის რევოლუციური პრესა და სამოციანი წლების რუსი რევოლუციონერი მოღვაწეები. ისინი აღიზარდნენ ჩერნიშევსკისა და მისი თანამებრძოლების უშუალო ხელმძღვანელობით.

---

[1] Л. Цагарели, Сведения о памяти. груз. писем, т. I, вып. 3, стр. 186--187.

[2] ლიტერატურული მემკვიდრეობა, წ. I, 1935, გვ. 563 — 564.

[3] ი. ბალახაშვილი, ილია ჭავჭავაძის მოწაფეობა და სტუდენტობა, გვ. 56—57.

ქართველი სტუდენტების დამოკიდებულება ჩერნიშევსკისთან და სხვა რუს რევოლუციონერ მოღვაწეებთან

როგორც ადრევე აღვნიშნეთ, ქართველი სტუდენტები მხოლოდ შერჩევით ესწრებოდნენ პროფესორების ლექციებს. უფრო მეტ დროს თვითგანვითარებასა და პრაქტიკულ საქმიანობას ანდომებდნენ.

მათ უფრო აინტერესებდათ — ბელინსკის, გერცენის, ჩერნიშევსკის, დობროლუბოვის, ნეკრასოვის, პისარევის და სხვების რევოლუციური შინაარსის მქონე წიგნები, ვიდრე ცენზურის ფილტრში გატარებული ზოგიერთი ძველი პროფესორის ლექციები.

„ვისაც მაშინ დიდი ნიჭი ჰქონდა, ვისაც მძლავრი ტვინი დაპყოლოდა, იმას როდი აკმაყოფილებდა ადამის წლის პროფესორების დაძველებული და მამა-პაპური ლექციები, იმას... მოსვენებას არ აძლევდა ის კითხვები, რომელნიც ხეირიანი ახალგაზრდობის გონებაში ჯგუფ-ჯგუფად იბადებიან და პასუხს მოუსვენრად ეძებენ. ამისთანა ყმაწვილები თვითონ, თავიანთი შრომით და გაბედულობით შეუდგნენ გონების გამხსნელ სწავლას, რომელთაც არავითარი კავშირი არ ჰქონდათ პროფესორების ლექციებთან“ [1].

გონების გახსნის წყარო და ახალგაზრდობის სულიერი საზრდოს მიმწოდებელი ჩერნიშევსკი იყო. მაგრამ საინტერესო ის არის, რომ ქართველი სტუდენტები ჩერნიშევსკის მოძღვრებას არა მარტო წიგნებითა და სტატიებით იცნობენ, არამედ ისინი ჩერნიშევსკისთან პირად ურთიერთობას ამყარებდნენ. ჩერნიშევსკის ოჯახი მათთვის რევოლუციური აზროვნების სკოლა იყო. აქ ხშირად იკრიბებოდნენ ქართველი ახალგაზრდები და საათობით მსჯელობდნენ საზოგადოების საჭირბოროტო საკითხებზე. ჩერნიშევსკის ოჯახთან ქართველების დაახლოების შემთხვევას ასე გადმოგვცემს ნ. ნიკოლაძე: ჩერნიშევსკის მეუღლეს, ოლღა სოკრატის ასულს, ქართველებისათვის სამასკარადოდ ჩოხა უთხოვნია. წასვლის დროს ქალს თავისი ვინაობა გაუმჟღავნებია და უთქვამს: „მე თქვენ ჩერნიშევსკის გაგაცნობთო“. ამ უკანასკნელ სიტყვებს

[1] ნ. ნ ი კ ო ლ ა ძ ე. „კრებული“, 1872 წ., № 1, გვ. 292—293.

ძლიერ აუღელვებია ნ. ნიკოლაძე და მისი ამხანაგები. მოუთმენლად დალოდებიან ჩერნიშევსკისთან შეხვედრის საინტერესო წუთებს.

„როგორც იქნა, — წერს ნ. ნიკოლაძე, — წუთებისა და საათების თვლით ვეღირსე შემდეგ საღამოს... სტუმრები უკვე სასადილო დარბაზში უსხდნენ ჩაის, ხოლო თვით ჩერნიშევსკი ოთახში არ იყო. — ოლღა სოკრატოვნამ მითხრა, რომ ის მალე მოვაო. მაგიდის გარშემო ისხდნენ თორმეტამდე სტუდენტი... სტუმრების უმრავლესობას შეადგენდნენ ქართველი სტუდენტები უმაღლესი კურსიდან..." [1]

როგორც ნ. ნიკოლაძის მოგონებიდან და სხვა დოკუმენტებიდანაც ჩანს ქართველებს ახლო კავშირი დაუმყარებიათ ჩერნიშევსკის ოჯახთან. ამას ადასტურებს ის შინაურული ხუმრობაც, რომლის მსგავსი მხოლოდ ძალიან ახლო ურთიერთობის დროს შეიძლებოდა წარმოშობილიყო მათ შორის.

ნ. ნიკოლაძის თქმით: „ერთხელ, როცა ჩვენ ქართველ სტუდენტთა ჩვეულებრივ საზოგადოებაში გარს ვუსხედით ჩაის მაგიდას, ჩერნიშევსკი, თავისი ჩვეულების წინააღმდეგ, გამოვიდა სტუმრებთან ერთად ჩაის დასალევად, მისმა ცოლმა ჩემზე ლაპარაკის დროს უთხრა, რომ მე ერთადერთი კავკასიელი ვარ, რომელიც მას არ ეარშიყება, და ამისათვის მას მე განსაკუთრებით უნდა ვუყვარდე" [2].

რომ ქართველი სტუდენტები ჩერნიშევსკის ოჯახში „მოშინაურებულნი" იყვნენ, ამის შესახებ კვლავ ნ. ნიკოლაძეს მივცეთ სიტყვა: „როდესაც ვეთხოვებოდი, ჩერნიშევსკის მეუღლემ მითხრა, ყველა დიასახლისისათვის ჩვეულებრივი ფრაზა: ხშირად შემოიარეთო. მე კი, მიუხედავად ჩემი დიდი სურვილისა, არ შემეძლო მორიდებული არ ვყოფილიყავი... მალე ქ-ნ ოლგას დას ისევ დასჭირდათ ჩოხა-ახალუხი და იმათ გამოიარეს ჩვენთან ეტლით... და წამიყვანეს თავისას. თანდათან შევეჩვიე იმათ და აღარ ვმორცხვობდი სხვა ქართველი სტუდენტების მსგავსად, **რომელნიც ყოველდღე იყვნენ მათ სახლში, მეც მოვშინაურდი**" [3].

ამ მეტად საყურადღებო ცნობიდან ჩანს, რომ ქართველი სტუდენტები ყოველდღე დადიოდნენ ჩერნიშევსკის სახლში და მეტად მოშინაურებულნიც ყოფილან. ამასვე ადასტურებს ბასკაკოვიც: «...к числу посетителей квартиры Чернышевского принадлежали также участники грузинского студенческого кружка в Петер-

---

[1] ნ. ნიკოლაძე, ტ. I, გვ. 123.
[2] იქვე, გვ. 131.
[3] იქვე, გვ. 122.

бурге Н. Я. Николадзе, Г Е. Церетели, Н. В. Гогоберидзе, Д. В. Гогоберидзе и некоторые другие»[1].

საინტერესოა ის ფაქტიც, რომ ქართველი სტუდენტები დასახელებულნი არიან დობროლუბოვის, მიხაილოვის, შელგუნოვის და სხვა დიდი მოღვაწეების გვარებთან ერთად, როგორც ჩერნიშევსკის უახლოესი მოწაფეები და თანამებრძოლნი.

მართლაც, ქართველი სტუდენტები, და მათ შორის ყველაზე უფრო ნ. ნიკოლაძე, ისე დაახლოებული იყო ჩერნიშევსკის ოჯახთან, რომ როცა ჩერნიშევსკის ოჯახის წევრები სააგარაკოდ წავიდოდნენ, მათ ხშირად მიჰყვებოდა ნ. ნიკოლაძეც. როგორც ნ. ნიკოლაძე იგონებს, ხშირად საუბრობდნენ პავლოვსკის პარკში ოლგა სოკრატის ასული და ნ. ნიკოლაძე ჩერნიშევსკის შესახებ. ბევრჯერ მეუღლე აცხობდა ნ. ნიკოლაძეს ქმრის შეხედულებებს საინტერესო საკითხებზე.

ასევე ხშირად ხვდებოდა ნიკოლაძე ჩერნიშევსკის პირადად აგარაკზე, ზოგჯერ საათობით გრძელდებოდა მათი საუბარი.

„როცა კი ის ჩამოვიდოდა პავლოვსკში, — წერს ნიკოლაძე, — მაშინ მეც უფრო ხშირად ვხვდებოდი ჩერნიშევსკის და უკეთ ვაკვირდებოდი ამ ადამიანს. მეტადრე მაშინ, როდესაც ოლგა სოკრატის ასულის თხოვნით დავბინავდი აგარაკზე“ [2].

ქართველი სტუდენტების ჩერნიშევსკის ოჯახთან ახლო კავშირის შესახებ, ნ. ნიკოლაძის საინტერესო მოგონების გარდა, არსებობს სამოციანი წლების პეტერბურგის უნივერსიტეტის მოწინავე სტუდენტის იაკობ ისარლიშვილის მოგონება, რომელიც 1913 წელს გამოაქვეყნა გ. თუმანიშვილმა. ი. ისარლიშვილი წერს:

„... ზოგიერთ ჩვენთაგანს დამოკიდებულება და გულღია მოპყრობა. რომელსაც ჩვენ ვხვდებოდით ჩერნიშევსკის ოჯახში, ძლიერ გვიტაცებდა საღამოებზე, რომელსაც ექსპრომტად აწყობდნენ ამ ოჯახში. ჩვენ ჩვეულებრივად მივდიოდით საღამოობით ჩაიზე... იმ კავკასიელთა რიცხვში, რომელნიც დადიოდნენ ჩერნიშევსკის ოჯახში, მე მახსოვს: ნ. ი. ნიკოლაძე, გ. ე. წერეთელი, ნ. ვ. ღოღობერიძე, დ. გ. ღოღობერიძე, ეჯიბოვი... და სხვები. იქ ჩვენ არა ერთხელ ვხვდებოდით „სოვრემენიკის“ ახალგაზრდა თანამშრომლებს: ნ. ა. დობროლუბოვს, პიოტროვსკის, პანტელეევს და სხვებს. სტუდენტთა მოძრაობასთან დაკავშირებით, კავკასიელებიდან ბ. ლ. ღოღობერიძე არა ერთხელ თათბირობდა ჩერნიშევსკისთან, ანტონოვიჩთან და ელისეევთან [3].

ქართველ ახალგაზრდობას ჩერნიშევსკის მიმართ პატივისცემა და

[1] В. Г. Баскаков, Мировоззрение Чернышевского, стр. 151.

[2] ნ. ნიკოლაძე. ტ. I, გვ. 138.

[3] Г. Туманов, Характеристики и воспоминания, кн. I, стр. 230—233.

სიყვარული შემდეგშიაც არ შეუწყვეტიათ. როგორც გიორგი თუმანიშვილი თავის მოგონებაში გადმოგვცემს, 70-იან წლებშიაც ქართველი მოწაფეები და სტუდენტები ჩერნიშევსკის ნაწერებზე იზრდებოდნენ, მის რომანს „რა ვაკეთოთ?“ ინტერესით კითხულობდნენ გიმნაზიის მოსწავლეები და ზოგჯერ საჯაროდაც არჩევდნენ მას. ხოლო ნოვოროსიის უნივერსიტეტში ქართველ სტუდენტებს თავიანთ ბიბლიოთეკაში მხოლოდ ჩერნიშევსკის სურათი ჰქონდათ ჩამოკიდებული [1].

ქართველი მოღვაწეებიდან განსაკუთრებული და ხანგრძლივი მეგობრობა ჩერნიშევსკისთან ნ. ნიკოლაძეს ჰქონდა. ეს სახელოვანი ქართველი ყოველთვის იმას ცდილობდა სამაგიერო გადაეხადა და შესაფერი პატივი ეცა თავისი სულიერი მოძღვრისათვის.

პირველ რიგში ნ. ნიკოლაძემ განახორციელა ჩერნიშევსკის ნაწერების გამოცემა საზღვარგარეთ. ამ მიზნით იგი საზღვარგარეთიდან წერს და თხოვს პეტერბურგში მყოფ კირილე ლორთქიფანიძეს დაუკავშირდეს ჩერნიშევსკის ნათესავს პროფესორ პიპინს და მისი დახმარებით გაუგზავნოს ცნობები ჩერნიშევსკის ნაწერთა შესახებ. ნ. ნიკოლაძე ამის თაობაზე კირილე ლორთქიფანიძეს წერს: „ეხლა შენთან ერთი თხოვნა მაქვს: როგორც უნდა იყოს, გაიცანი ვინმე პიპინის ნაცნობი, და მიშოვნე სრული (ძალიან სრული) სია „რა ქნათ?“-ის ავტორის თხზულებების. ამ სიის გარდა მიშოვნე გამოშვებული ადგილები. ეს ძალიან, ძალიან, სასარგებლოა. მე ვიცი, რომ ადვილია გითხრა „მიშოვნე“, შოვნა კი ძნელია, მაგრამ... თუ ნაცნობი ვერ გაიცანი. აიღე თავი და წადი პირდაპირ პიპინთან, უთხარი, ასე და ასე, ერთ ჩ-კის თაყვანისმცემელს სურს შეაგროვოს მისი სრული თხზულებები-თქო და იმედი მაქვს რომ არ დამიკავებთ თქვენი სიის და გამოშვებული ალაგების თქვენი თვალების წინ გადაწერას-თქო, — ღმერთმანი ამნაირი პირდაპირი თხოვნა მიზანს მიაღწევს. — შინჯე მაინც. — უბრალო საქმე რომ იყოს, არ გთხოვდი, და რადგანაც გთხოვე. ძალიან საჭიროა“ [2].

როგორც ჩანს, კირილეს პირნათლად შეუსრულებია ნ ნიკოლაძის დავალება და პროფესორ პიპინს გადაუგზავნია ნ. ნიკოლაძისათვის სათანადო მასალები. მართლაც, ნ. ნიკოლაძემ 1866 წელს ჟენევაში თავისი რედაქციითა და წინასიტყვაობით გამოსცა ჩერნიშევსკის თხზულებათა პირველი ტომი. წინასიტყვაობაში ნ. ნიკოლაძემ უდიდესი შეფასება მისცა ჩერნიშევსკის რევოლუციურ მოძღვრებას, რაც იმ დროისათვის მეტად საინტერესო მოვლენას წარმოადგენდა.

---

1 Г. Туманов, Характеристики и воспоминания, кн. I, стр. 136—138.

2 ანა ნიკოლაძე. ეტიუდები რუსული ლიტერატურის ისტორიიდან, გვ. 260—261.

ასევე, ნ. ნიკოლაძე თავგამოდებით იბრძოდა ჩერნიშევსკის პატიმრობიდან განთავისუფლებისათვის. 1882 წელს მას ამ საქმის გამო პროფესორ პიპინისათვის მიუმართავს. როგორც დოკუმენტებიდან ირკვევა, პიპინს შეუდგენია ნ. ნიკოლაძის კითხვარების მიხედვით სათანადო საბუთები, სადაც აღწერილია ჩერნიშევსკის დაპატიმრების პირობები, მისი ბიოგრაფიული ცნობები, საბუთები ოჯახური მდგომარეობის შესახებ და სხვ.

საინტერესოა ისიც, რომ პიპინი თავის დასკვნებში ბრალს დებს მთავრობას ჩერნიშევსკის უსამართლოდ დაპატიმრებაში.

ნ. ნიკოლაძემ დიდი შრომა და ენერგია დახარჯა ამ საპატიო საქმეზე. მას ჩერნიშევსკის დოკუმენტები დაჰქონდა სხვადასხვა ინსტანციებში, რისთვისაც ბევრი უსიამოვნება შეხვედრია, კიდევ მეტი, ჩერნიშევსკისათვის ზრუნვის შედეგად ნ. ნიკოლაძემ საკუთარი თავი სახიფათო მდგომარეობაში ჩააგდო, მაგრამ მეგობრის დახმარების სურვილით გატაცებულ ნ. ნიკოლაძეს ამისათვის ყურადღება არ მიუქცევია. 1889 წელს ჩერნიშევსკის განთავისუფლების გამო ნ. ნიკოლაძეს წერილიც კი დაუწერია, რაც მაშინ არ დაბეჭდილა ცენზურის მიზეზით.

სტატია ასე იწყება: „მე უსაზღვროდ ბედნიერი ვარ, რომ თქვენთან ერთად საუბრის დაწყება შემიძლია ჩვენ გაუხარებელ ცხოვრებაში მომხდარ სასიხარულო ამბით — ნ. გ. ჩერნიშევსკის განთავისუფლების შესახებ. ნ. გ. ჩერნიშევსკის ბედი კოშმარად აწვა ყველას სინდისს, ვინც იცოდა მისი ხვედრი. ეხლა იგი შემსუბუქებულია, და მე მწამს, რომ ამ ცნობის მოსმენისას რუსული განვითარების და რუსული ლიტერატურის ყველა მეგობრის გული ღრმა და წრფელი სიხარულით აღივსება“ [1].

ნ. ნიკოლაძეს მთელ თავის სიცოცხლეში არ შეუწყვეტია ჩერნიშევსკისა და მისი ოჯახისათვის ზრუნვა. საინტერესოა, რომ რევოლუციური აზროვნების ეს უდიდესი ბუმბერაზი — ნ. ჩერნიშევსკი, პირადი ოჯახური საკითხებისათვისაც მიმართავდა ნ. ნიკოლაძეს. ერთ კერძო ბარათში ჩერნიშევსკი ნ. ნიკოლაძეს თავისი ვაჟის მიხეილის სამსახურში მოსაწყობად დახმარებას სთხოვს.

„მოწყალეო ხელმწიფევ ნიკოლოზ იაკობის-ძევ. ვფიქრობ რა, რომ თქვენ ჯერ სავსებით არ დაგვიწყებივართ და კვლავ შეგრჩენიათ ჩემდამი კეთილი განწყობილება, — მოგმართავთ თხოვნით, დამეხმაროთ ისეთ საქმეში, რომელიც იმდენადვე უვნებელია გარეშე პირთა თვალსაზრისით, რამდენადაც ძვირფასია ჩემთვის. სახელდობრ: გთხოვთ, თუ შესაძლებელია, მოაწყოთ ჩემი შვილი მიხეილი ბ-ნ პ ა ლ ა შ კ ო ვ ს კ ი ს ან სხვა ისეთი პირების საქმეში, რომელნიც თქვენს რეკომენდა-

[1] „ისტორიო მოამბე“, 1945 წ., გვ. 115—123.

ციას პატივს სცემენ... კეთილი ინებეთ და რამდენიმე თბილი სიტყვა მოახსენეთ თქვენის მხრით ბ-ნ პალაშკოვსკის. ეს თქვენის მხრით ჩემდამი მნიშვნელოვანი დავალება იქნება.

ჰეშმარიტი პატივისცემით მაქვს პატივი თქვენი უმორჩილეს მონაღ
ყოფნისა ნ. ჩერნიშევსკი.

1884 წ. 27 აგვისტო. ასტრახანი" [1].

რამდენი სითბო და სიყვარულია ჩაქსოვილი ამ პატარა ბარათში, როგორ თავმდაბლობას და პატივისცემას ამჟღავნებს ჩერნიშევსკი ნ. ნიკოლაძისადმი. მაგრამ არც ნ. ნიკოლაძე რჩება ვალში, იგი ჩერნიშევსკის მიმართ უაღრეს თავაზიანობასთან ერთად, არ ივიწყებს იმასაც, რომ დავალებულია გონებრივი და ზნეობრივი განვითარების მხრივ, და ეს ხომ ყველაზე ძვირფასი განძია, რაც ნიკოლაძეს ჩერნიშევსკისგან მიუღია. და ამის გამოა, რომ ნიკოლაძე აუნაზღაურებელ დავალიანებაში თვლის თავის თავს ჩერნიშევსკის მიმართ.

„შემიძლია დაგარწმუნოთ, — სწერს ნ. ნიკოლაძე ჩერნიშევსკის, — რომ ჩემს თავს ჩავთვლიდი უსაზღვროდ ბედნიერად, თუ რითიმე მაინც გასიამოვნებთ ან სასარგებლო ვიქნები თქვენთვის ყოველივე იმის სამაგიეროდ, რითაც მე დავალებული ვარ თქვენგან ჩემი გონებრივი და ზნეობრივი განვითარების მხრით. ყოველი თქვენი დავალება და მომართვა ჩემდამი მე მიმაჩნია და მუდამ მივიჩნევ ბედნიერ შემთხვევად, რომ ნაწილობრივ, ოდნავ მაინც. შევიმსუბუქო თქვენდამი ჩემი მოვალეობის ტვირთი" [2].

ამჟამად, ჩვენ არ შეგვიძლია გადაჭრით ვთქვათ, რომ ნ. ნიკოლაძის ეს წერილი ჩერნიშევსკის ზემოდასახელებული ბარათის პასუხს წარმოადგენს, მაგრამ ამას არსებითი მნიშვნელობა არც აქვს. არსებითი ისაა, თუ როგორი ურთიერთობა არსებობდა ამ ორ მოღვაწეს შორის, ამ საკითხს კი ნათელს ჰფენს აქ წარმოდგენილი ეს ორი დოკუმენტი.

ჩერნიშევსკის ხელმძღვანელობითა და მასთან უშუალო კავშირში იზრდებოდნენ და იწვრთნებოდნენ სამოციანი წლების სხვა ქართველი მოღვაწეებიც.

ჩერნიშევსკისთან ილია ჭავჭავაძის ურთიერთობის შესახებ კრიტიკოსი ხომლელი წერს:

„რუსეთის საუკეთესო ჟურნალი „Современник" და მისი შესანიშნავი ეკონომისტი ნ. გ. ჩერნიშევსკი, რომელსაც ჩვენი სტუდენტი ილია დაახლოებით იცნობდა, როგორც ეს ჩემთვის და ნ. ხიზანიძვილისათვის უთქვამს, იმას ქადაგებდა, ყმა მიწიანად უნდა განთავისუფლდესო,

[1] ლიტერატურული მემკვიდრეობა, წ. I, გვ. 595. ტექსტის პუბლიკაცია ეკუთვნის გ. აბზიანიძეს.

[2] «Заря Востока», 1940 г., 27 июля.

ჩვენი ილიაც ამ აზრს ემსახურებოდა უკანასკნელ სისხლის წვეთამდე. ნ. გ. ჩერნიშევსკისა და ილია ჭავჭავაძის ქადაგება იყო წარმტაცი და აკი ამ მოძრაობამ წარიტაცა რუსეთში მთელი ინტელიგენცია...“ [1]

აღსანიშნავია ისიც, რომ ქართველი სტუდენტები მჭიდრო კავშირს ამყარებდნენ რუსეთის სხვა ეროვნების ახალგაზრდობასთანაც. ყველა ესენი ერთიან რაზმს წარმოადგენდნენ, რომელსაც სათავეში ჩერნიშევსკი ედგა და რომელიც რევოლუციური დროშით წინ მიუძღოდა ახალგაზრდობას ჭეშმარიტების მწვერვალისაკენ. ვ. ბასკაკოვი სამართლიანად უთმობს საპატიო ადგილს ქართველ ახალგაზრდობას ჩერნიშევსკის მოწინავე რაზმში. ამის შესახებ იგი წერს: «В местном единении с русскими революционерами-демократами во главе с Чернышевским вели борьбу против царизма и крепостничества лучшие представители угнетенных народов России: Т. Шевченко, М. Маркевич (Марко Вовчок), И. Франко — на Украине, К. Калиновский, Ф. Богушевич — в Белоруссии; Н. Николадзе, И. Чавчавадзе, А. Церетели — в Грузии; Хачатур Абовян, Микаел Налбандян — в Армении; Мирза Фатали Ахундов — в Азербайджане; Чокан Валиханов, Абай Кунанбаев — в Казахстане; Ахмат Дониш — в Таджикистане; К. Хетагуров — в Осетии; С. Сераковский, Я. Домбровский в Польше и многие другие»[2].

ჩერნიშევსკის ახლო მეგობრად და თანამებრძოლად ითვლებოდა აგრეთვე პეტერბურგის უნივერსიტეტის სტუდენტი ბესარიონ ღოღობერიძე. ჩერნიშევსკისთან სიახლოვის გამო იგი შეტანილი იქნა პოლიტიკურად არასაიმედოთა სიაში. პოლიციის ცნობაში ნათქვამია: „ნიკოლოზ უტინი, პეჩატკინი და ღოღობერიძე სტუდენტები — შენიშნული არიან სტუდენტთა არეულობაში. მოაწყვეს დემონსტრაცია კოსტომაროვის ლექციაზე. იცნობენ ჩერნიშევსკის და ბრალად ედებათ პაულოვის სასარგებლო მოწოდების დაბეჭდვა“ [3].

ქართველი სტუდენტების — ნ. ნიკოლაძის და ბ. ღოღობერიძის უახლოეს მეგობრობაზე ჩერნიშევსკისთან მიუთითებს აგრეთვე დოც. ნ. გ. სლადკევიჩი, ისიც ქართველ სტუდენტებს ჩერნიშევსკის თანამებრძოლთა და მეგობართა შორის ასახელებს.

---

[1] ი. ჭ ა ვ ჭ ა ვ ა ძ ე. ტ. I. გვ. LI, 3. ინგოროყვა, ილია ჭავჭავაძე (ბიოგრაფიული ნარკვევი).

[2] В. Г. Баскаков, Мировоззрение Чернышевского, стр. 67 — 68.

[3] პროფ. ს. ხ უ ნ დ ა ძ ე, მასალები ქართული ლიტერატურისა და საზოგადოებრივი აზროვნების ისტორიიდან, გვ. 9. იხ. აგრ. ნ. ნ ი კ ო ლ ა ძ ე. ტ. I, გვ. 380.

«...после написания им воззвания «Барским крестьянам» ограничивался в беседах с Михаэлисом, Утиным, Гогоберидзе, Николадзе. Спасским и другими активными деятелями студенческого движения...»[1]. ეყრდნობა რა ნ. ნიკოლაძის ცნობებს, სლადკევიჩი ნიკოლაძის შესახებ წერს:

«Интересные сведения сообщает и активный участник движения Н. Николадзе. Николадзе, бывая у Чернышевского, часто встречал у него петербургских студентов. Беседы его с Чернышевским касались и студенческих волнений, и роли студенчества в развитии революционной пропаганды в стране»[2].

პეტერბურგის უნივერსიტეტის სტუდენტი აკაკი წერეთელი დაახლოებული იყო პროგრესულად მოაზროვნე პროფესორთან — კოსტომაროვთან. იგი ხშირად დაიარებოდა კოსტომაროვის ბინაზე და საუბრობდნენ საზოგადოებრივ და პოლიტიკურ საკითხებზე. აქ მიეცა ბედნიერი შემთხვევა აკაკი წერეთელს პირადად გაცნობოდა უკრაინელი ხალხის საყვარელ შვილს, თავისუფლებისა და დემოკრატიის მომღერალ პოეტს — ტარას შევჩენკოს. როგორც თვითონ აკაკი აღნიშნავს, დიდი გავლენა მოახდინა მასზე შევჩენკოსთან საუბარმა.

ქართველი სტუდენტები ასევე დაკავშირებულნი იყვნენ მოწინავე პოლონელ სტუდენტებთან. როგორც ადრევე აღვნიშნეთ, პოლონელები აქტიური მებრძოლები იყვნენ და პირველი კაცი, რომელმაც ნ. ნიკოლაძეს კაცური სიტყვა უთხრა, პოლონელი იყო. ხშირად ქართველ სტუდენტებს პოლონელებთან სჯა-ბაასში ღამეები გაუთენებიათ და გულისტკივილი გაუზიარებიათ ერთმანეთისათვის.

„პირველი კაცი, — წერს ნ. ნიკოლაძე, — რომელმაც პეტერბურგში პირველი კაცური სიტყვა მითხრა, — ის სიტყვა, რომელიც ცხოვრების ყოველდღიურ ხასიათს ერთბაშად მიგავიწყებს და უცებ იდეალისაკენ აგწევს, აგაფრენს, გაგაუმჯობესებს — ეს კაცი გახლდათ. ამ გვარი სიტყვისათვის ვიყავი წამოსული რუსეთისაკენ, მისი იმედით მიყვარდა სტუდენტობა, მისი პატივი აგერ სამი წლის განმავლობაში მემარხა გულში.... მთელი ორი დღე, რომელიც ჩვენს სტუდენტებთან გავატარე, ნიადაგ იმას ველოდი — აბა როდის მომესმება ეს სიტყვა-თქო, აბა ვინ შეეხება ამ ჩემი გულის სიმს-თქო... და ამ კაცმა პირდაპირ, მოუმზადებლად, უკითხველად დაჯდა თუ არა, თითი ზედვე დაადო...

---

[1] Н. Г. Сладкевич. Ленинградский государственный Ордена Ленина университет, 1819 — 1944 г.. Труды юбилейной научной сессии. секция исторических наук, стр. 118.

[2] იქვე. 83. 117.

მთელ ტანზე თმა ამებურძგა მაშინვე და თავიდან ფეხებამდე იმ ჟრუანტელმა დამკრა, რომელიც „ზეგარდმო შთაგონებას“ ჩვევია თურმე...დილას ყველანი ერთად გამოვედით გარეთ და ვასილის კუნძულისაკენ ერთად გავემგზავრეთ. პოლშელები წინ მიდიოდნენ...“[1]

როგორც ნიკოლაძის ამ სიტყვებიდან ჩანს, ქართველმა და პოლონელმა სტუდენტებმა გატაცებით საუბარში გაატარეს მთელი ღამე და თავიანთი გულის ტკივილები ერთმანეთს გაუზიარეს.

პირადად ნ. ნიკოლაძე ჩერნიშევსკის ბინაზე ხშირად ხვდებოდა ჩერნიშევსკის თანამებრძოლს დიდ რევოლუციონერს პოლონელ სერაკოვსკის.

ასე უკავშირდებოდნენ ქართველი ახალგაზრდები რუს, უკრაინელ და სხვა ეროვნების მებრძოლ სტუდენტებს, რომელთა გავლენითა და დახმარებით ქართველებიც მოწინავეთა რიგებში იბრძოდნენ.

---

[1] ნ. ნიკოლაძე, ტ. I, გვ. 46—47.

ქართველი სტუდენტები და რუსული რევოლუციური პრესა

ქართველ ახალგაზრდობას სულიერ საზრდოს რუსული რევოლუციური პრესა აძლევდა. განსაკუთრებით მათ შორის ყველაზე მეტ სიყვარულს „სოვრემენიკი" იმსახურებდა. ხშირად ღამეებს ათენებდნენ ქართველი სტუდენტები „სოვრემენიკის" კითხვაში, მსჯელობდნენ აქ წამოჭრილ საკითხებზე, მოუთმენლად ელოდნენ ყოველი ახალი ნომრის გამოსვლას.

„რა დრო იყო მაშინ, რომ იცოდე. მკითხველო, — წერს ნ. ნიკოლაძე, — რანაირი მოუთმენლობით და წყურვილით ველოდით ჩვენ ახალგაზრდები, იმ ბედნიერ დღეს, როცა საყვარელი ჟურნალის (ლაპარაკია „სოვრემენიკზე") ახალი წიგნი გამოვიღოდა. რა აღტაცებით და აჩქარებით. რა სიხარბითა და დაუღალავად ვეწაფებოდით ჩვენ მის კითხვას, რამდენი გრძელი. ბოლომოუღებელი. ჩრდილოეთის ზამთრის ღამეები გაგვითენებია ჩვენ მის კითხვაში, მისი აზრების რჩევაში. მისი სიტყვების სჯაში, მასზედ დავაში. ვინ დათვლის იმ ხანგრძლივი ბედნიერების აღტაცებას. ტვინის წვალებისა და გრძნობის ამაღლების დღეებს. ან ვინ დაივიწყებს მათ სანიადაგოთ გულში ჩაჭედილ კვალს" [1].

ნ. ნიკოლაძის ეს სტრიქონები კარგად ახასიათებს სამოციანი წლების ქართველ ახალგაზრდობას (ამ საქმეში, ცხადია, ნ. ნიკოლაძე გამონაკლისი არ იქნებოდა).

აღსანიშნავია ისიც, რომ ნ. ნიკოლაძე „სოვრემენიკის" უბრალო მკითხველი კი არ იყო, იგი მეგობრულ კავშირს ამყარებდა ჟურნალის თანამშრომლებთან და მათი საშუალებით ის ჯერ კიდევ პირვანდელ მასალას ცენზურის ქირურგიულ ოპერაციამდე რედაქციაში ეცნობოდა.

ამის შესახებ ნ. ნიკოლაძე მოგონებაში წერს, რომ „ჩემ დროის მეტ ნაწილს ვატარებდი იმ ყმაწვილებთან, რომელთაც დავუმეგობრდი ჩვენი დაპერის დღეებში... მე დამრჩენ მეგობრები: ლევ სამარინი და რაჟდესტვენსკი, იმათ გამაცნეს ე. სტოპაკევიჩი, რომელსაც ახლად დამთავრებული ჰქონდა უნივერსიტეტი. ის ცხოვრობდა სპაასკის შესახვევში, სენნაიას მახლობლად, სულ ახლოს ჩემთან, ყოველთვის

[1] ნ. ნიკოლაძე, სხვათა შორის, „კრებული", 1873 წ., № 3.

იცოდა ყველა ახალი ამბები, ამასთან გულგახსნილი და საინტერესო ადამიანი იყო. უმთავრესი კი ის იყო, რომ ის მაძლევდა წასაკითხავად «Современник»-ის წერილებს კორექტურაში მათი გამოსვლის რამდენიმე კვირის წინ. მასთან მე საბოლოოდ ჩავები მოწინავე მოძრაობის ინტერესებში. ჯერ მე მაინტერესებდა „სოვრემენიკ"-ის ხელნაწერების შედარება ცენზურაში გატარებულ ფურცლებთან, რომელიც ხშირად ბრუნდებოდა წითელი მელნით დაჩითული. ზოგჯერ ზოგიერთ ფურცლებს სრულებითაც არ აბრუნებდნენ. მათ მაგიერ სხვა ფურცლებზე ეწერა ხოლმე: „ესა და ეს წერილი დაკავებულია ცენზურულ კომიტეტში წარსადგენად",—რაც იმას ნიშნავდა, რომ წავიდა და დაიკარგაო. მე დახარბებით ვკითხულობდი ასეთი წერილების ხელნაწერებს...“ [1]

აქ ორი მომენტია აღსანიშნავი, ერთი, რომ ნ. ნიკოლაძე „დახარბებით“ კითხულობდა „სოვრემენიკის“ „ნედლ“ მასალას და რედაქციის ყოველ საქმიანობას იცნობდა, და, მეორე, რომ ასეთი მჭიდრო მეგობრული კავშირი ჰქონდა დამყარებული რუს რევოლუციონერ ახალგაზრდობასთან. როედესტვენსკი ხომ ის ცნობილი ახალგაზრდაა, რომელმაც პეტრეპავლეს ციხიდან მგზნებარე სტრიქონები გაუგზავნა მიხაილოვს და რომელსაც მიხაილოვის საპასუხო ლექსიც მოჰყვა.

„სოვრემენიკის“ მებრძოლ სტრიქონებზე იზრდებოდნენ ქართველი სტუდენტები: გ. წერეთელი, კირილე ლორთქიფანიძე, ნ. ღოღობერიძე, ისარლიშვილი და სხვები.

ქართველი ახალგაზრდობისათვის ასევე საყვარელი იყო გაზეთი „კოლოკოლი“. განსაკუთრებით ნ. ნიკოლაძეზე დიდი გავლენა მოუბდენია «Колокол»-ის იმ ნომერს, რომელშიაც მოთავსებული იყო გერცენის სტატია „Исполин просыпается“ და დაპატიმრებულ სტუდენტთა სია [2].

ციხიდან გამოსულმა ნ. ნიკოლაძემ, რომელიც დიდიხანია გარიცხული იყო უნივერსიტეტიდან და შინ დაბრუნებას აპირებდა, „Колокол“-ის ამ ნომრის წაკითხვის შემდეგ ყველაფერი გადაიფიქრა და სამშობლოში დაბრუნებისა და წვრილმან სამეურნეო საქმიანობას რევოლუციის ცენტრში, მოლვაწე პეტერბურგში დარჩენა ამჯობინა.

„Современник“-ის სტრიქონებმა კიდევ უფრო აამაღლა ნიკოლაძის საბრძოლო განწყობილება და გადააწყვეტინა მონაწილეობის მიღება პეტერბურგში წარმოებულ შემდეგ ბრძოლებში.

---

[1] ნ. ნიკოლაძე, ტ. I, გვ. 129.
[2] იქვე, გვ. 120.

ქართველი სტუდენტები პეტერბურგში

ყველა ზემოდასახელებულმა პირობამ ხელი შეუწყო ქართველი სტუდენტების იდეურ წრთობასა და დაკავშირებას სამოციანი წლების საერთო რევოლუციურ მოძრაობასთან.

მოწინავე რუს, უკრაინელ, პოლონელ და სხვა ეროვნების ახალგაზრდობასთან ერთად ქართველი ახალგაზრდობაც იბრძოდა დემოკრატიისა და თავისუფლებისათვის. შემთხვევითი არ არის ის ფაქტი, რომ პირველად ქართველების რევოლუციურ მოძრაობაში მონაწილეობის ისტორია პეტერბურგის ქუჩებთან არის დაკავშირებული. ქართველი ახალგაზრდობის მოწინავე ნაწილმა 1861 წელს პირველად აღმართა ბრძოლის დროშა პეტერბურგის ქუჩებში და ამ დღიდან რუსი და ქართველი ხალხების თავისუფლებისათვის ბრძოლის ისტორია მჭიდროდ დაუკავშირდა ერთმანეთს.

სტუდენტთა დემონსტრაციისათვის მზადებაში ქართველი სტუდენტებიც ღებულობდნენ აქტიურ მონაწილეობას. უნივერსიტეტის სააქტო დარბაზში პროკლამაციის საჯაროდ წაკითხვამ ხელი შეუწყო სხვადასხვა ეროვნების სტუდენტების მასობრივ დარაზმვას.

სტუდენტთა დემონსტრაციაში ქართველების მონაწილეობის შესახებ ნ. ნიკოლაძე აღნიშნავს:

„მეორე დღეს კვირას, სექტემბრის 24-ს (იგულისხმება სააქტო დარბაზში პროკლამაციის წაკითხვის მეორე დღე. — კ. მ.) ისიც იყო ჩისადილეთ მ. ი. სემიონოვის ქალთან, რომელიც თვეში 7 მან. და 25 კ. გვაქმევდა სადილს ქართველ სტუდენტებს... რომ სასადილოში შემოვიდნენ ორივე ღ ო ღ ო ბ ე რ ი ძ ე, ნ. ბ. და ბ. ლ., რომლებიც დიდიხანია ერთად არ გვენახა... ღოღობერიძეებმა გადმოგვცეს, რომ ხვალ მთელი სტუდენტობა „დემონსტრაციაზე“ გამოდისო და ჩვენც გამოუკლებლივ უნდა მივიღოთ მონაწილეობაო... მოვისმინეთ ეს ცნობა და იმის მაგიერ, რომ პასუხი მიგვეცა, გაკვირვებით დავდუმდით. ბოლოს „პროტესტის“ წინააღმდეგ პროტესტი განაცხადა დ. ნ. ა ბ დ უ შ ე ლ მ ა... მან თქვა... მთავრობა ჩვენ რასაკვირველია, არ გაგვიგონებს და უკან სახლში გაგვიშვებსო, რაც ჩვენთვის გაცილებით უარესია. ვიდრე ციმბირში წასვლაო. ღოღობერიძეებს არც კი სჯეროდათ, რაც მოისმინეს...

ᲛᲐᲗ ის უპასუხეს, რომ შეუძლებელია ქართველები ჩამორჩნენ, როდესაც ყველა სათვისტომოები დემონსტრაციაში მონაწილეობას იღებენ. ამაზე კირილე ლ ო რ თ ქ ი ფ ა ნ ი ძ ე მ შენიშნა, რომ ქართველები სხვებს ვერ მიბაძავენ, რუსეთში, პოლონეთში, მოლოროსიაში ბევრია ნასწავლი ხალხი. ეს ქვეყნები უინტელიგენციოდ არ დარჩება, მათი ახლანდელი სტუდენტობა სულაც რომ აღიგაონ პირისაგან დედამიწისა. ჩვენში კი საქმე სხვანაირია, ჩვენ ქართველი სტუდენტების პირველი თაობა ვართ, ჩვენ ახლა რომ დავბრკოლდებით, ქართველ მამებს შემდეგ ვერც კი გააგონებთ შვილები უნივერსიტეტში გაგზავნონ... ᲩᲥᲔᲠᲘ ᲙᲐᲛᲐᲗᲘᲡ ᲨᲔᲛᲓᲔᲒ ᲜᲘᲙᲝᲚᲝᲖ ᲦᲝᲦᲝᲑᲔᲠᲘᲫᲔᲛ ᲬᲐᲡᲕᲚᲘᲡᲐᲡ ᲡᲘᲢᲧᲕᲐ ᲒᲕᲔᲡᲠᲝᲚᲐ, ᲕᲘᲜᲪ ᲨᲘᲨᲐᲠᲐ ᲮᲐᲠᲗ. ᲡᲐᲡᲚᲨᲘ ᲓᲐᲠᲩᲘᲗᲝ. ᲔᲡ ᲙᲘ ᲡᲐᲙᲛᲐᲝ ᲘᲧᲝ ᲘᲛᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ, ᲠᲝᲛ ᲐᲠᲐ ᲗᲣ ᲓᲔᲛᲝᲜᲡᲢᲠᲐᲪᲘᲐᲖᲔ ᲬᲐᲕᲡᲣᲚᲘᲧᲐᲕᲘᲗ. ᲐᲠᲐᲕᲔᲓ ᲙᲔᲓᲔᲚᲖᲔᲓᲐᲪ ᲨᲔᲒᲕᲔᲮᲔᲗᲥᲐ ᲗᲐᲕᲘ“ [1].

მართლაც, ნ. ღოღობერიძის მოხერხებულმა სიტყვამ შესაფერი ნაყოფი გამოიღო. მეორე დღეს ქართველი სტუდენტები გამოცხადდნენ დემონსტრაციაში მონაწილეობის მისაღებად. ამის შემდეგ 25 სექტემბრიდან 12 ოქტომბრამდე ქართველები. სხვა სტუდენტებთან ერთად, ყოველდღე იკრიბებოდნენ უნივერსიტეტის ეზოში და ნევის სანაპირო ქუჩაზე, სადაც პოლიციელებისა და ჟანდარმერიის ჯარისკაცების წინაშე თავისუფლად მოქმედებდნენ.

სტუდენტები სარგებლობდნენ იმით, რომ, როგორც ადრევე აღვნიშნეთ, იმპერატორი პეტერბურგში არ იმყოფებოდა და მის დაუკითხავად მინისტრები გადამწყვეტი ზომების მიღებას ვერ ბედავდნენ, რადგან მათ კარგად იცოდნენ, რომ სტუდენტები მარტონი არ იყვნენ და საქმის გართულების შემთხვევაში პასუხისმგებლობა მათ დაეკისრებოდათ. იმპერატორის ჩამოსვლის შემდეგ, 12 ოქტომბერს, სხვებთან ერთად ქართველებიც დააპატიმრეს.

შინაგან საქმეთა სამინისტროსა და პოლიციის დოკუმენტებში წარმოდგენილია დაპატიმრებულ სტუდენტთა სხვადასხვა საქმე. განსაკუთრებით, თავისი სიმრავლით, ყურადღებას იპყრობს 12 ოქტომბერს უნივერსიტეტის შესასვლელთან დაპატიმრებულ სტუდენტთა სია. აქვე არის აგრეთვე სხვადასხვა დროს დაპატიმრებულთა საქმეებიც.

მოგვაქვს 12 ოქტომბრის დაპატიმრებულ ქართველ სტუდენტთა სია, რომელიც ამოკრებილია საერთო სიიდან, საერთო ნომრის დატოვებით.

---

[1] ნ. ნ ი კ ო ლ ა ძ ე, ტ. I, გვ. 100—101.

«Список студентов и другого звания лиц. арестованных за беспорядки 12 октября»

Имена и фамилии	Место жительства, место первоначального образования и сведения о том, где находятся родители или лица, на попечении коих они состоят
33. Студент Василий Саванели	На Васил. остр. посеред. просп. между Набережн. и Кадет. линией. № 1/10 кв. № 42. Воспитыв. в Тифлис. гимназии, мать живет в г. Тифлисе. (стр. 159).
65. Авель Чолокаев	На Гороховой, дом Баумгартеновой. Воспитывался в Тифлисской губернской гимназии. Родители живут в Тифлисской губ., уезд Телавский. селение Ахмета. (стр. 162).
68. Студент Давид Гогоберидзе	На Средней Мещанской, в доме № 10, квартира № 3, воспитывался в Кутаисской гимназии. Родителей не имеет. брат живет в губернском городе Кутаисе. (стр. 162).
79. Студент Давид Абдушелишвили	На Большой Мещ. ул., дом № 37, воспитывался в Кутаисской гимназии, родители живут в Кутаисской губ. в Шорапанском уезде, в селении Бжиневи. (стр. 162 об).
80. Петр Алхазов	На Большой Конюшенной, в доме Французской церкви, № 25, кварт. № 10. Воспитывался в Тифлисской губернской гимназии. Родители живут в г. Гори, Тифлисской губернии. (стр. 163).
88. Студент Кирилл Лорткипанидзе	На Средней Мещанской, в доме Зохима, кв. № 14, воспитывался в Кутаисской гимназии. Родители живут в Кутаисской губернии, того же уезда, в селен. Сачино. (стр. 163 об.).

89. Студент Григорий Джавахов	На Вас. остр. по 1-й линии, в д. Колчиной, воспитывался в Тифлисской губерниск. гимназии, родители живут в Тифлисской губернии, в Горийском уезде, в дер. Ховле. (стр. 163 об.)
184. Студент Григорий Церетели	На Большой Мещанской, дом под № 39, квартира № 3, воспитывался в Кутаисской губернской гимназии, родители живут в г. Кутаисе. (стр. 169).
185. Яков Исарлов	На Гороховой улице, № дома 23, квар. 9, родители живут в Тифлисе, воспитывался в Тифлисской гимназии. (стр. 169).
135. Виссарион Гогоберидзе	В Новом переулке, в доме Бари, квартира № 10, воспитывался в Тифлисской гимназии. Отец живет в Кутаисской губернии, в том же уезде, селении Джиханиши. (стр. 172 об)[1].

რაც შეეხება ნ. ნიკოლაძეს, იგი არ არის ამ დიდ სიაში შეტანილი, მაგრამ მოთავსებულია სხვა საქმეში:

«Список студентов и другого звания лиц, арестованных за беспорядки 12-го октября и от коих отобраны показания».

„Нико Николадзе.	На Средней Мещанской, в доме Зохима, кв. № 14, воспитывался в Кутаисской гимназии, родители живут в Кутаисе»[2].

მოგვაქვს აგრეთვე სხვადასხვა შემთხვევის გამო შედგენილი ქართველ პატიმარ სტუდენტთა სიები.

Список студентов и другого звания лиц, арестованных за беспорядки 12-го октября и от коих отобраны показания

33. Василий Саванели...

56. Николай Николадзе...

65. Авель Челакаев...

---

[1] ЦГИАЛ, фонд № 1405, опись № 59, ед. хр. № 6630.

[2] ЦГИАЛ, фонд № 1405, опись № 59, ед. хр. № 6645, год 1861, стр. 3.

68. Давид Гогоберидзе...
80. Петр Алхазов...
88. Кирилл Лорткипанидзе
89. Григорий Джавахов...
184. Георгий Церетели...
185. Яков Исарлов...
295. Виссарион Гогоберидзе[1].

ამ სიაში შეტანილია ის პირები, რომლებსაც საგამომძიებლო კომისიამ ჩამოართვა ჩვენებები.

დაპატიმრებულ სტუდენტთა სია სრული არ უნდა იყოს. პროფ. ს. ხუნდაძე სამართლიანად შენიშნავს, რომ „...რასაკვირველია, არეულობაში მონაწილე ქართველ სტუდენტთა რიცხვი ბევრად მეტი იყო, ვიდრე სიაში არიან მოხვედრილნი[2] ან დაპატიმრებულნი იყვნენ“[3].

სამწუხაროდ, ნ. ნიკოლაძე თავის მეტად საინტერესო მოგონებაში დაპატიმრებულ ქართველებიდან მხოლოდ კ. ლორთქიფანიძესა და დ. აბდუშელიშვილს ასახელებს.

„ქართველები ცოტანი ვიყავით, — წერს იგი, — ამიტომ ცალკე არ გამოვყოფილვართ, ჩვენ კ. ლ ო რ თ ქ ი ფ ა ნ ი ძ ე ს თ ა ნ და აბდუშელიშვილთან ერთად მოვხვდით ჯგუფში“[4].

ციხეში სტუდენტები განაწილებულნი იყვნენ სათვისტომოების მიხედვით, ცალკე მოათავსეს რუსები, უკრაინელები, პოლონელები, ხოლო ქართველები რაოდენობრივი სიმცირის გამო სხვებს შეურიეს კამერებში.

აღსანიშნავია ისიც, რომ ციხეში გადაღებულ სურათში მხოლოდ 8 ქართველია. ესენი არიან: ნ. ნიკოლაძე, ი. ისარლიშვილი. დ. ღოღობერიძე, გ. წერეთელი, ალხაზიშვილი, კ. ლორთქიფანიძე, ბ. ღოღობერიძე და აბ. ჩოლოყაშვილი[5].

სურათში ქართველთა სიმცირე იმით აიხსნება, რომ იგი გადაღებულია კრონშტადტის ციხეში და იქ, ამათ გარდა, როგორც ჩანს, სხვები არ ყოფილან და, ცხადია, სურათშიაც ვერ მოხვდებოდნენ. დანარჩენები, ალბათ, პეტრეპავლეს ციხეში იყვნენ, ხოლო, პეტრეპავლეს ციხის სურათი არ შენახულა, უკეთ რომ ვსთქვათ, იქ გამეფებული მკაცრი რეჟიმის გამო ჯგუფური სურათი არც კი გადაუღიათ.

---

1 ЦГИАЛ, фонд 1405, опись 59, ед. хр. 6645, г. 1861, стр. 1—3.

2 იგულისხმება „კოლოკოლში“ გამოქვეყნებული პატიმარ სტუდ. სია.—კ. მ.

3 ნ. ნიკოლაძე, ტ. I, გვ. 394.

4 ი ქ ვ ე, გვ. 109.

5 სურათი ინახება ქუთაისის მუზეუმში — კ. ლორთქიფანიძის არქივში, იხ. ნ. ნიკოლაძე, ტ. I, გვ. 126.

ამდენად დაპატიმრებულ ქართველ სტუდენტთა ვინაობისა და რაოდენობის დადგენისათვის უდიდესი მნიშვნელობა აქვს აქ მოტანილ პატიმარ სტუდენტთა სიას, რომელსაც აგრეთვე თან ერთვის სხვა საინტერესო ცნობებიც.

აქვე უნდა აღინიშნოს ისიც, რომ არსებობს პატიმარ სტუდენტთა სხვა ოფიციალური სია. ეს გახლავთ „კოლოკოლის" ფურცლებზე გამოქვეყნებული გვარები. შეიძლება ითქვას, რომ ასრულდა სტუდენტების წინასწარ ნაფიქრი. მართლაც, 1861 წლის 114 ნომერ „კოლოკოლში" გერცენმა გამოაქვეყნა დაპატიმრებულთა სია.

„Официальный список студентов и другого звания лиц, арестованных и доставленных в С.-Петербургскую крепость 12/24 октября 1861 года, звание, имена и фамилии».

სიაში შეტანილია პეტერბურგის უნივერსიტეტის 140 სტუდენტის გვარი. «Студенты С.-Петербургского университета».

იწყება ნ ი კ ო ლ ო ზ ვ ი დ ე ნ ი ა პ ი ნ ი თ და მთავრდება ნ ი კ ო ლ ა ფ ა ტ უ რ ო ვ ს კ ი თ. ნომრები გამოყოფილია ყოველი 10 კაცის შემდეგ. სიაში დაწერილებით არის ნაჩვენები მათი ვინაობა-სტუდენტია, კურსდამთავრებულია თუ თავისუფალი მსმენელი

ვადგენთ სიას თანმიმდევრობით:

123. Авель Шаншиев...
125. Василий Саванели...
127. Николай Шаншиев...
131. Николай Николадзе...
134. Авель Чолокаев...
136. Давид Гогоберидзе...
137. Давид Абдушело-швили...
138. Петр Алхазов...
141. Кирилл Лорткипанидзе...
142. Григорий Джавахов...
183. Георгий Церетели...
184. Яков Исарлов...
235. Виссарион Гогоберидзе...

ამ სიაში წარმოდგენილ ქართველ სტუდენტთა ყველა დოკუმენტი აღმოჩნდა მესამე განყოფილების საქმეებში, გარდა ნიკოლოზ და აბელ შაშიაშვილებისა. მოიპოვება მათი დაპატიმრებისა და გაჩხრეკის აქტები, დაკითხვის ქაღალდები და სხვა დამატებითი ცნობები.

ასეთია ქართველ სტუდენტთა საქმიანობა სამოციან წლებში პეტერბურგში. ისინი ყოველთვის მოწინავეთა რიგებში იდგნენ და, რაც მთავარია, ამ პირტიტველა ბალღებს ვაჟკაცურად ეჭირათ თავი პოლიციელებისა და საგამომძიებლო კომისიის წინაშე.

მათ სასახელოდ უნდა ითქვას, რომ სამოციანი წლების ქართველ ახალგაზრდობას არასოდეს სიმხდალე და სისუსტე არ გამოუჩენია განსაცდელის წინაშე. ისინი ყოველთვის ვაჟკაცურად მხარში ედგენ რუსი და სხვა ეროვნების მებრძოლ ახალგაზრდებს. ასე დაიწყო მათი პირველი რევოლუციური წვრთნა პეტერბურგის ქუჩებში.

ილია ჭავჭავაძე

„ოთხი წელიწადი იყო, რაც მე რუსეთში ვიმყოფებოდი და ჩემი ქვეყანა არ მენახა. ოთხი წელიწადი... იცი, მკითხველო, ეს ოთხი წელიწადი რა ოთხი წელიწადია... ეგ ოთხი წელიწადი ცხოვრების საძირკველია, ცხოვრების წყაროს სათავეა, ბეწვის ხიდია სიბნელის და სინათლის შუა ბედისაგან გადებული... ოო, ძვირფასო ოთხო წელიწადო! ნეტავი იმას, ვისაც შენგან გადებული ბეწვის ხიდი ფეხთა ქვეშ არ ჩატყდომია, ნეტავი იმას, ვინც შენ რიგიანად მოგიხმარა“.

ილია

ჯერ კიდევ პირტიტველა ჭაბუკმა, ილია ჭავჭავაძემ, კავკასიონის ქედი გადალახა, თვალუწვდენელი ველები გადასერა და საოცნებო ქალაქში, რევოლუციური აზროვნების ცენტრში, პეტერბურგში ფრთხილად შეაღო საიმპერატორო უნივერსიტეტის კარები. აქედან დაიწყო მისი ნამდვილი ცხოვრება. პეტერბურგში ამართული თავისუფლებისათვის ბრძოლის დროშა სიკვდილამდე ხელიდან არ გაუგდია და იქ ანთებული ჭეშმარიტების ძიების ნაპერწკალი მარად კიაფობდა მის პოეტურსა და პუბლიცისტურ სტრიქონებში.

ილია ჭავჭავაძის ცხოვრების გზა თავიდანვე ვარდ-ყვავილებით არ ყოფილა მოფენილი. მას ბედმა მკაცრი ხვედრი განუმზადა. შეიძლება ითქვას, რომ იგი დიდი ქართველი პოეტის ნ. ბარათაშვილის არა მარტო ლიტერატურული მემკვიდრეობის გამგრძელებელია, არამედ მისი უკეთესი ბედის თანამოზიარეც არის. განსხვავება მხოლოდ იმაშია, რომ ნ. ბარათაშვილი მაშინდელმა უკეთესმა ცხოვრებამ თავის ტალღებში ჩაითრია და ნაადრევი სიკვდილით მხოლოდ ფიზიკურად გაანადგურა, ხოლო ილია ჭავჭავაძემ რკინისებური ნებისყოფით „ბედის სამზღვარი“ გადათელა და ბრძოლით გაიკაფა გზა დიდების მწვერვალებისაკენ. ილიას ცხოვრება თავიდან კარგს არაფერს უქადდა. მთელი თავისი ახალგაზრდობა მან თავისიანების გლოვაში გაატარა. მისი პაპის, პაატა ჭავჭავაძის, ოჯახი უბედური აღმოჩნდა.

ხუთი ვაჟიდან ოთხი ახალგაზრდობაშივე დაეხოცა, მხოლოდ ილიას მამა—გრიგოლი გადაურჩა ჟამთა სიავეს [1].

ილია დედით 11 წლის დაობლდა, 1848 წელს 30 წლის ასაკში გარდაიცვალა მ ა რ ი ა მ ი. 15 წლისამ მამაც დაჰკარგა, 1852 წელს გ რ ი გ ო ლ ჭ ა ვ ჭ ა ვ ა ძ ე 40 წლის გარდაიცვალა. ილიას უფროსი ძმა კ ო ნ ს ტ ა ნ ტ ი ნ ე დაიღუპა 1854 წელს ალექსანდრე ჭავჭავაძის ოჯახზე ლეკების თავდასხმის დროს ბრძოლაში. უმცროსი ძმა თემური პეტერბურგში, კადეტთა კორპუსში მყოფი, 1860 წელს გარდაიცვალა.

უცნაურია, მაგრამ ფაქტია, რომ თითქოს განგებამ შემოინახა პაატას ვაჟებიდან მხოლოდ გრიგოლ ჭავჭავაძე იმისათვის, რომ ილია გაჩენილიყო, ხოლო გრიგოლის ვაჟებიდან — ილია, რომ საქართველოს მე-19 საუკუნის მეორე ნახევარში წინამძღოლი ჰყოლოდა.

ილია ჭავჭავაძე, ბედისაგან გულმოკლული, ყმაწვილობისას, მსგავსად ბარათაშვილისა, მწარედ ჰგოდებდა სოფლის სიმუხთლის გამო. იგი პირად ბარათში პეტერბურგიდან მამიდას სწერდა: „...მამიდაჯან! რა დავუშავეთ ეგრეთი ღმერთსა, რომ ეგრე უწყალოდ და შეუბრალებლად გვიწამლავს დღეებს ამთვენი ტანჯვით. ჩემი პირველი და უკანასკნელი ძმა, მერე რა ძმა... ეეღარ გნახავთ საწყალი და უბედური, ხეტავი თავის ქვეყანაში, გარშემორტყმული ნათესავებით მაინც მიცვალებულიყო. ვაიმე ჩემო პატარა ძმაო, ჩემო კარგო და ჭკუიანო თემურა, რაზედ დამაობლე და დამაგდე, შენ წახვედი, მოგეშორდი ღა შენ მაგიერ დაგვიგდე ნუგეშად ცრემლი და წუხილი.

მაგრამ რაღას უშველით მამიდაჯან. ღვთის ნება და ღვთის რისხვა აღსრულდა ჩვენზედ. რა ვქნათ. რაც გამოვზრდილვარ სულ სიკვდილი მესმის გარშემოდამ, სიკვდილის მეტი ბედი არ დაგვყოლია ჩვენ, მადლობა ღმერთს ამგვარი ბედისათვის!..“ [2]

არ მგონია, ბედისადმი სამდურავში და სოფლის უკეღმართობისადმი ჩივილში აქ ილია ჭავჭავაძე ნ. ბარათაშვილს ჩამოუვარდებოდეს, მასზედ ნაკლებად გულმოკლული იყოს.

ილია ჭავჭავაძე მართლაც ობოლია. მაგრამ, თუ ნ. ბარათაშვილმა მიუხედავად იმისა, რომ მშობლებიც ჰყავდა და „მრავალი მონათესავენი“, მაინც ვერ შესძლო უმაღლესი განათლების მიღება, ილია ჭავ-

---

1 უფროსი შვილი სიმონი სპარსელებთან ომში, ერევნის აღებისას, 1827 წელს დაიღუპა. გარსევანი, ალექსანდრე და იოსები ახალგაზრდები დაიხოცნენ ლეკებთან ბრძოლაში (ა. ი ო ვ ი ძ ე. „საისტორიო მოამბე“, № 3, გვ. 168).

2 ი. ჭ ა ვ ჭ ა ვ ა ძ ე, წერილები. იოსებ ბოცვაძის რედაქციით. გვ. 22, ხაზი ჩვენია. — კ. მ.

ჭავაძემ, საარსებო წყაროს მოკლებულმა, ეკონომიურ სივიწროვეში გაატარა სტუდენტობის წლები.

მისი გამგზავრებაც მძიმე და ნაღვლიანი აღმოჩნდა, რომანტიკული განცდებით გატაცებულ ახალგაზრდა პოეტს მეტად გაუძნელდა საყვარელ სამშობლოსთან გამოთხოვება, განსაკუთრებით მძიმე შეიქმნა მისთვის ყმაწვილობის დროინდელი საყვარელი ადგილების დატოვება. ეს ჩანს მისი კერძო წერილიდან და ლექსიდან, რომლებიც მას გამგზავრების დღეებში დაუწერია.

„...ვაპირებ წასვლას რუსეთში, მაგრამ... ისე მეძნელება დატოვება ამ ჩვენი ყვარელისა, ნამეტნავად ამ ჩვენი სახლისა, სადაც ყოველი ნაწილი ალაგისა, მომაგონებენ ხოლმე ჩემს დაუდეგნელ ყმაწვილობის დროს, სადაც ყოველივე ხე არის ძვირფასი ჩემთვის სასიამოვნო მოგონებითა. ერთი სიტყვით, ვესალმები ყოველისფერს, რაც არის ჩემის გულიდამ დაუვიწყარი და მივდივარ ერთს უცხო ქვეყანას, სადაც ერთი ტკბილი ნათესაური სიტყვა სავსე სიყვარულითა ეღირება ჩემთვის ნეტარებად, სადაც უბედურებაში არავინ მეყოლება ნუგეშისმცემელი და სიამოვნებაში ჩემთან მოხარული. მაგრამ ყოველი ჩემებრივი, რომელსაც მომავალ დროის შავღრუბლებში აღუპრწყინდება ბედნიერების ვარსკვლავი და რომელსაც სურს შეეყაროს იმ ბედის ვარსკვლავს, ყოველთვის ტკბილს მდგომარეობას დაუტევებს და სიმწარით განელის გზას მისთვის, რომ უფრო უტკბილესად შეხვდეს თავის ბედნიერებას. შენ თითონ იცი ვარდსა წინ მიუძღვის ეკალი, ვისაც სურს ვარდის მოწყვეტა არ უნდა შიშობდეს ეკლისაგან“ [1].

იმავე სამშობლოს სიყვარული და მოვალეობა აიძულებდა ილიას, დროებით დაეტოვებინა მშობლიური კუთხე და შორეულ ჩრდილოეთში გადახვეწილიყო. ჯერ მწარე ეჭამა, რათა უტკბესად შეხვედროდა თომავალი, ვარდის სურნელებას ეკლის ნაჩხვლეტი გაენელებინა.

აღსანიშნავია ისიც, რომ იგი მხოლოდ ფიზიკურად ტოვებდა საყვარელ სამშობლოს, ხოლო სულიერად ყოველთვის მასთან იქნებოდა დაკავშირებული. სამშობლოს ტკბილი სიყვარული თან მიჰქონდა პოეტს, როგორც სიცოცხლის განუწყვეტელი ნაწილი.

სამშობლო მთებო! თქვენი შვილი განებებთ თავსა,
მაგრამ თქვენ ხსოვნას ვერ მივცემ მე დავიწყებასა.
თქვენ ჩემთან ოვლით გაუყრელად, ეით ჩემი გული,
– თქვენთან, ჰე, მთებო, ბუნებითა შეუღლებული!..
...და აწ მაშორებს თქვენთან ვალი ამ წუთის-სოფლის,
მომავლის ბედი გაყრას ითხოვს ჩემგან მსხვერპლადა,
და რას მომთხოვდა უარესსა დასასჯელადა?! [2]

---

[1] ი. ჭავჭავაძე, წერილები, I, გვ. 11.

[2] ი. ჭავჭავაძე. ტ. I. 1951 წ., გვ. 3.

ილია ჭავჭავაძე 1857 წლის 28 სექტემბერს ჩარიცხეს პეტერბურგის უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის კამერალურ განყოფილებაზე. ამის შესახებ ილიას პირად საქმეში ვკითხულობთ: „ს.-პეტერბურგის ოლქის მზრუნველის მოვალეობის აღმასრულებლის წინადადებით № 3998, თავადი ილია ჭავჭავაძე ჩარიცხულია იურიდიული ფაკულტეტის კამერალურ განყოფილების, საკუთარ კმაყოფაზე მყოფ სტუდენტად 1857 წლის 28 სექტემბრიდან“ [1].

ილია ოთხ წელს სწავლობდა პეტერბურგის უნივერსიტეტში. ეს ის ოთხი წელია, რომელმაც დიდების მწვერვალზე აიყვანა უკვდავი მგოსანი. ოთხმა წელმა გამოჭედა მასში მიზნის სიცხადე და შესრულების შეუპოვრობა.

და მართლაც, საინტერესოა, რა იქნებოდა ილია ამ ოთხი წლის გარეშე, უნივერსიტეტისა და პეტერბურგის მღელვარე ქუჩების გარეშე? ილია მაინც ილია იქნებოდა, მაგრამ დევი არადევის ძუძუთი გაზრდილი. და როგორც თვით იტყოდა: „დევს დევის ძუძუ გამოზრდისო“, მართლაც თვითონაც აზროვნების დევი იყო და შესაფერი ბარაქიანი საზრდოც იგემა.

ილია უნივერსიტეტში ისმენდა მისთვის საინტერესო ლექციებს. იურიდიული ფაკულტეტი მაშინ გადატვირთული იყო საგნების სიმრავლით. გარდა ძირითადი დისციპლინებისა, იკითხებოდა დამხმარე საგნებიც. მაგალითად, სტატისტიკა, ტექნოლოგია, ზოოლოგია, ბოტანიკა და სხვ. მაგრამ ილიას ლექციებზე უფრო სხვა საკითხები იზიდავდა, იგი გატაცებული იყო ზოგადი პოლიტიკური და ფილოსოფიური პრობლემებით. ღრმად ითვისებდა რუსი რევოლუციონერ-დემოკრატების: ბელინსკის, გერცენის, ჩერნიშევსკის, დობროლუბოვის, ნეკრასოვის, პისარევის, მიხაილოვის და სხვათა რევოლუციურ იდეებს. ინტერესით სწავლობდა ძველი ქართული ლიტერატურის მდიდარ მემკვიდრეობას: „ვეფხისტყაოსანს“, „ვისრამიანს“, „სიბრძნე სიცრუისას“, „დავითიანსა“ და სხვათა უკვდავ სტრიქონებს. მსოფლიო ლი-

---

[1] იხ. ილიას პირადი საქმე «Дело правления императорского СПБ университета о принятии в числе студентов» (ГИАЛО, фонд 14, дело 696, связ. 3404).

აქ დასახელებული ცნობის გარდა, ილიას პირად საქმეში მოთავსებულია შემდეგი სბუთები: 1. თხოვნა უნივერსიტეტის რექტორის სახელზე სტუდენტად ჩარიცხვის შესახებ, 2. თხოვნა სწავლის ქირის 25 მანეთის შეტანის ნებართვაზე და გადახდილი ფულის ქვითარი, 3. უნივერსიტეტის წარდგინება პეტერბურგის ოლქის მზრუნველთან ილიას სწავლის ქირისაგან განთავისუფლების შესახებ, 4. ცნობა იმის შესახებ, რომ ილია ჭავჭავაძე განთავისუფლებულია სწავლის ქირისაგან სიღარიბის გამო, 5. ილიას თხოვნა რექტორის სახელზე დოკუმენტების დაბრუნების შესახებ, 6. უნივერსიტეტის კანცელარ. მიმართვა ილიასადმი დოკუმენტების გადაგზავნაზე

ტერატურის კორიფეებს: შექსპირს, შილერს, გოეთეს, ბაირონს, პაინეს და სხვათა შემოქმედებას. ადამ სმიტის, რიკარდოს, სისმონდის პოლიტიკურ-ეკონომიური ხასიათის გამოკვლევებს. ყოველივე ამას ილია მეტ ყურადღებას აქცევდა, ვიდრე ძველ ყაიდაზე მოაზროვნე პროფესორების ლექციებს.

ილიას მეგობარი კოტა აფხაზი წერს: „უნივერსიტეტში ილიას განსაკუთრებით პოლიტიკური და ეკონომიური საგნები აინტერესებდა. აქაც იგივე ჩვეულება ჰქონდა, მთელი წელიწადი სასწავლო საგნებს ყურადღებას არ აქცევდა და სულ სხვა საგნების კითხვაში იყო გართული. კითხულობდა სხვათა შორის ბევრს ძველს ქართულ წიგნებს. მოახლოვდებოდა ეგზამენი და ილია სწავლას შეუდგებოდა. დღე-ღამეში ხშირად 18 —20 საათს მუშაობდა და რამდენჯერ მინახავს, რომ წიგნებთან მჯდომარეს ჩასძინებოდა“ [1].

ილიას ზოგადი საგნებით გატაცების დაღი უდავოდ ემჩნევა მის ნიშნებს. ამაზე აშკარად მეტყველებენ საგამოცდო უწყისები. მართალია, იგი საგნების უმრავლესობას კარგად აბარებდა, მაგრამ სავალდებულო საგნების ნაწილი ჩაუბარებელი რჩებოდა. ამის გამო ილიას ჯგუფის საგამოცდო ჟურნალში ჭავჭავაძის გვარის პირდაპირ გრაფაში «Решения факультета» წერია: «Оставляется» — ანდა: «Не кончил»[2].

და დასტურის მოთხოვნა ილიასაგან ასეთის მიღებაზე. 7. მოწმობა ილიას უნივერსიტეტიდან დათხოვნის შესახებ.

[1] ლიტერატურული მემკვიდრეობა, 1935 წ., წიგნი I. გვ. 564.

[2] მაგალითად, ჩვენს მიერ მიკვლეული ილია ჭავჭავაძის დოკუმენტების მიხედვით 1857 — 58 სასწ. წელს ჩაბარებული აქვს ოთხი საგანი შემდეგ ნიშნებზე: Внешняя истор. Росс. законод. 4. Богословие 5, Зоология 3, Психология 5. (Дело о переводных и окончательных испытаниях по юридическому факультету Императорского С.-Петербургского университета за 1857/8 акад. год. Протоколы испытаний студентов 1-го курса юридического факультета разряда камеральных наук, в 1858 году. (ГИАЛО, фонд 14, дело 14084, связка 1010, год 1858, стр. 1—5).

1858—59 სასწავლო წელს ჩააბარა: Технология 4, Гражд. право 5, Ботаника 4, Грузинский язык 5. ქართულ ენას აბარებდა, როგორც არა ძირით. საგ. (Список студентов 2-го курса юридического факультета, разряда камеральных наук. Испытания в 1858—59 г. (ГИАЛО, фонд 14, дело 19092, связка 1010, год 1858 — 59, стр. 13).

1861 წელს: Государств. учрежд. Росс. Империи 4, Богословие 5, Русское гражд. право и судопроизв. 5, Грузинский язык 5 (იხ. Ведомость юридического факультета административного разряда IV к., 1861 г. ГИАЛО, фонд 14, дело 14109, связ. 1010, год 1861, стр. 20—21).

ამავე დროს სტუდენტი ილია დიდ შემოქმედებით მუშაობას ეწეოდა. ამ პერიოდში დაიწერა თითქმის მისი ძირითადი მხატვრული ნაწარმოებები. 20 — 23 წლის ჭაბუკმა დაამუშავა ყველა ძირითადი საზოგადოებრივი საკითხი. სტუდენტობის დროს პეტერბურგში დაწერილ ნაწარმოებთა სათაურების დასახელებაც კი გაკვირვებას გამოიწვევს მკითხველში. საერთოდ, ილიას თავისი ხანგრძლივი სიცოცხლის განმავლობაში, ყრმობის ლექსებისა და თარგმანების ჩათვლით, დაწერილი აქვს 136-მდე მხატვრული ნაწარმოები, ამათგან 85-მდე სტუდენტობის პერიოდს მიეკუთვნება. ამათ რიცხვში შედის ისეთი მნიშვნელოვანი თხზულებები, რომლებმაც განსაზღვრეს ილიას როლი ლიტერატურისა და აზროვნების ისტორიაში. მაგალითად, ასეთი სახის ნაწარმოებებია: „კაკო ყაჩაღი“, „აჩრდილი“ და სხვ.

ლექსები: „ხმა სამარიდამ“, „გაზაფხული“, „გუთნის-დედა“, „როდემდის“, „ვიხილე სატრფო“, „მარტო მივცურავ...“, „დაე თუნდ მოვკვდე“, „ქართველის დედას“, „ჩემი თარიარალი“, „ხმა გულისა“, „გავსწორდეთ ბედო“, „ელეგია“, „მუშა“, „ალ. ჭავჭავაძე“, „ნ. ბარათაშვილზედ“, „პოეტი“, „მესმის, მესმის“, „ქართველი სტუდენტების სიმღერა“, „ჩემო მკვლელო“, „იანიჩარი“, „გახსოვს ტურფავ“, „ძმის სიკვდილზედ“, „გაზაფხული“ და სხვა. ამას უნდა დაემატოს ილიას

აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ ილია ჭავჭავაძის სტუდენტობის მასალები — ნიშნები და სხვა დოკუმენტები 1912 წელს შეუკრებია ახალგაზრდა მეცნიერს პროფ. ი. ჯავახიშვილს, ილია ჭავჭავაძის გამომცემელთა სარედაქციო კომისიის დავალებით. ეს და ილიასთან დაკავშირებული სხვა მასალები 1935 წელს პოეტმა აკადემიკოსმა გ. ლეონიძემ გამოაქვეყნა „ლიტერატურული მემკვიდრეობის“ პირველ წიგნში. როდესაც ამას ვადარებთ ჩვენ მიერ 1954 წელს პეტერბურგის ცენტრალურ და საოლქო არქივებში შეკრებილ ილიას სტუდენტობის მასალებს ვამჩნევთ მცირე სხვაობას. მაგ., 1857—1858 წლის ნიშნებში „ლიტერატურულ მემკვიდრეობაში“ გამოქვეყნებული მასალის მიხედვით ზედმეტად არის წარმოდგენილი „სახელმწიფო სამართალში ნიშანი 4, სინამდვილეში ილიას ეს საგანი არ ჩაუბარებია. 1858—1859 წლის ნიშნებში „ტექნოლოგიის“ ნიშანი 4 მიწერილი აქვს „ფსიქოლოგიას“. „ტექნოლოგია“ ნამდვილად ისწავლებოდა იურიდიულ ფაკულტეტზე.

1861 წლის ნიშნებში სამოქალაქო დაწესებულების საგნის ნიშანი 4, მიწერილი აქვს ფინანსების შესახებ კანონებს. გარდა ამისა, „ლიტერატურულ მემკვიდრეობაში“ გამოქვეყნებულ ილიას უნივერსიტეტის მასალებს არ ახლავს არქივის ფონდის, საქმის ნომრის და სხვა წყაროების დასახელება. ჩვენ პუბლიკაციაში ყველა ამას დაწვრილებით ეუთითებთ ლენინგრადის ცენტრალური და საოლქო არქივების აღწერილობის მიხედვით — კ. მ.

პირველი თეორიული ხასიათის წერილი „ორიოდე სიტყვა თავ. რევაზ შალვას-ძის ერისთავის კაზლოვის მიერ „შეშლილის“ თარგმანზედა“, რითაც ახალგაზრდა პოეტმა და მოაზროვნემ ახალი ერა დაიწყო ქართული აზროვნების ისტორიაში. ამასთან დასახელებული უნდა იქნას ილიას მთარგმნელობითი მუშაობა. მან პეტერბურგშივე თარგმნა პ უ შ კ ი ნ ი ს: „ეშმარიტება“, „წინასწარმეტყველება“, „ანგელოზი“, ლ ე რ მ ო ნ ტ ო ვ ი ს: „ჰაჯი-აბრეკი“, „მწირი“, „სიზმარი“, „წინასწარმეტყველი“, „ციცაბო კლდე“, „დემონი“; ბ ა ი რ ო ნ ი ს: „კაენი“ და „მანფრედი“ (ნაწყვეტები); ჰ ა ი ნ ე დ ა ნ: „როცა შეეყურებ“ და „ლოყით მომეპყარ“.

ყოველივე ამასთან იგი ეწეოდა ორგანიზაციული ხასიათის მუშაობასაც. ხელმძღვანელობდა ქართველ სტუდენტთა სათვისტომოს, აგროვებდა ქართულ წიგნებსა და ხელნაწერებს. ასეთ დიდ შრომას ეწეოდა ილია სტუდენტობის დროს, ზღაპრულ უნარსა და ენერგიას იჩენდა იგი.

როგორც კოხტა აფხაზი თავის მოგონებაში აღნიშნავს: ილია დღე და ღამეში 18 — 20 საათს მუშაობდა. ასეთი გადამღლელი შრომის გამო ამ რკინის ჯანის ადამიანს მძიმე ფორმის ტუბერკულოზი აღმოაჩნდა. ილიას სახელზე გაცემულ ექიმის მოწმობაში წერია: „მიეცა ს.-პეტერბურგის უნივერსიტეტის სტუდენტს თავად ილია ჭავჭავაძეს მასზედ, რომ იგი მკურნალობდა ჩემთან 1859 წლის მაისის თვის განმავლობაში სისხლის ღებინების გამო. მართალია, სამედიცინო ზომების მიღების შემდეგ ავადმყოფობამ უკლო, მაგრამ ავადმყოფის საბოლოო განკურნებისათვის აუცილებელია მთელი ზაფხულის განმავლობაში სარგებლობა სამხრეთის ხელისშემწყობი კლიმატით, რასაც ვადასტურებთ ხელის მოწერით და სახელობითი ბეჭდის დასმით“ [1].

მიუხედავად ასეთი სერიოზული ავადმყოფობისა, და ისიც ჩრდილოეთის სუსხიან კლიმატურ პირობებში, ილიას მაინც ინტენსიური მუშაობა არ შეუწყვეტია. იგი მხოლოდ ერთ ზაფხულს ისვენებდა საქართველოში და იმავე 1859 წლის შემოდგომაზე კვლავ პეტერბურგს დაუბრუნდა. ილია ჭავჭავაძის ჯანმრთელობის შერყევას ხელი შეუწყო ეკონომიურმა პირობებმაც. ილია სტუდენტობის დროს ხელმოკლეობას განიცდიდა. როდესაც იგი პეტერბურგში გაემგზავრა, მშობლები დახოცილი ჰყავდა და უპატრონოდ დარჩენილ ხელმოკლე თჯახს, რომელსაც მამიდა მაკრინე განაგებდა, საკმაო მატერიალური დახმარების გაწევა არ შეეძლო ილიასათვის.

---

[1] ლიტერატურული მემკვიდრეობა, წიგნი პირველი, გვ. 566.

ფაქტია ისიც, რომ ილიამ უნივერსიტეტში წარადგინა სიღარიბის მოწმობა, რომლის საფუძველზე იგი განთავისუფლებული იქნა სწავლის ქირისაგან.

«Справка 15 января 1858 г. своекоштный студент I-го курса разряда Камеральных наук князь Илья Чавчавадзе представил свидетельство о своем бедном состоянии, выданное ему Телавским уездным Предводит. Дворянства от 1 ноября 1857 года за № 58... просим уволить его от взноса платы за слушание лекций...

Определено: Исполнить разрешение г. Попечителя на увольнение Чавчавадзе от платы за слушание лекций в продолжение всего университетского курса...»[1]

იქვე ილიას პირად საქმეში არის ჩაკერებული ცნობა სწავლის ფულისაგან განთავისუფლების შესახებ.

«Справка: Предложением Г. Попечителя СПБ учебного Округа от января за № 230, своекоштный студент Князь Илья Чавчавадзе освобожден от вноса платы за слушание лекций...»[2]

სტუდენტობის დროს ილიას ეკონომიურ სიეიწროვეზე მეტყველებენ მისი კერძო ბარათებიც. ხშირად იგი ნათესავებსა და მეგობრებს უფულობისა და სიღარიბის შესახებ წერდა, რათა დახმარება აღმოეჩინათ შორეულ ქვეყანაში უსახსროდ მყოფი პოეტისათვის.

1858 წლის 13 მარიამობისთვეს, პეტერბურგის მახლობელ სოფელ ტიარლოვიდან დასასვენებლად მყოფი ილია თავის ნათესავ ქალს ნენე ანდრონიკაშვილს სწერს: „ჩემი ამბავი რა მოგწეროთ, ხომ იცით ჭავჭავაძის სისუსტე სად არის—ჯიბეში და ისევ ჯიბეში, ხანდისხან რა უგრძნო ქარიშხალი წამოუბერავს ხოლმე ჯიბით, რა რუსეთული თაგვები შედგებიან ხოლმე ყალყზედ თითქოს ძალად დაცარიელებულ ჯიბეში, მაგრამ კი სასოწარკვეთილებაში არ შევალ ხოლმე. ნუგეშვიცემ და ამას ვეტყვი ხოლმე ჩემ თავს: ნუ გეშინიან, ერთხელაც იქნება, რომ ჩვენც გაგვიბრწყინდეს მზე მეთქი და ჩემი თავი ჩვეულებრივ სიცივით მიპასუხებს ხოლმე: პაპაშენიც მაგას ამბობდაო, მაგრამ კი შენი ჯიბე მაინც არ გათბაო. მეც თავს გავიქნევ ხოლმე და ჩვეულებრივ სასოებით შევყურებ პირლია ცას თითქოს იქიდამ მოველოდე გაქლიბულ ჭრელ-ჭრელ მანეთებს, მაგრამ თქვენც იცით, ცას რა რიგად ჰძულს ვერცხლი. მაშასადამე ლოდნა ჩემი ციდამ ფულისა ამაოა“[3].

---

[1] ГИАЛО. фонд 14, дело 696, связка 3404, год 1858, стр. 5.

[2] ი ქ ვ ე.

[3] ილია ჭ ა ვ ჭ ა ვ ა ძ ე. წერილებში, ი. ბოცვაძის რედაქციით, გვ. 12.

სხვა წერილში ილია ისევ „კუტრობაზე“, ე. ი. გაკოტრებაზე, სწერს თავის დას ნინოს.

„...რა არის ნინუცი, რომ იწერებით წიგნს და ახალ მანდაურ ამბებს არ მწერთ ხოლმე... ან მოსავალზე თქვით რამე, ან მანდაურ შექცევაზედ, ან კუტრობაზედ, მარამ კუტრობა წამომცდა, კუტრობაზედ ნურას მომწერთ, თვითონ მე კარგად ვიცნობ რა წითელი კოჭიცა ბრძანდება. ჩემ ჯიბეში ნეტავი ჩამოგახედა, რა ამბავია, რუსულ თაგვებს ისეთი ჯირითი გააქვთ, რომ მეტი არ იქნება. ღმერთმანი ჭრელ-ჭრელ მანეთებს წამოჰკრამენ ფეხს, შენ ნუ მოუკვდე ჩემს თავს! ისეთი მოწმენდილია იქაურობა, რომ ყაბახის მოედანზედ არ იქნება ისე“ [1].

მართალია, ილია ძალიან მოხერხებულად და მხატვრულად გამოხატავს თავის გასაჭირს უფულობის გამო, მაგრამ გულისხმიერი და გულშემატკივარი ნათესავები მაინც მიხვდებოდნენ წერილის მიზანს. ცხადია, ილია მართლაც შევიწროებულ მდგომარეობაში უნდა ყოფილიყო, რომ თავმოყვარე თავადიშვილს ამ სახის წერილები ეგზავნა ნათესავ-მეგობრებისათვის.

ზოგჯერ ილია ერთგვარ დიპლომატობას იჩენს და პირდაპირ თხოვნის ნაცვლად შორიდან მოვლით აცნობებს ადრესატს წერილის მიზანს. მაგალითად, იგი ვინმე ვაჩნაძის ქალს ასეთი შინაარსის წერილს სწერს: „ეს პეტერბურღი საშინელი, უდიდესი ქალაქია, ბევრი მხიარულებაა, ბევრი შექცევა, მაგრამ ჩემთვის კი სულ ფუჭია, მისთვის რომ მე ყოველს ჟამს და ყოველს წუთს ჯიბესთან მწყრალათა ვარ და აბა, ამ ჯიბის მწყრალობით ფეხსაც ვერ გადგამს კაცი“ [2]. ცხადია, ასეთ წერილებს ალბათ ხანდისხან მაინც მოჰქონდა შედეგი, თუმცა ყოფილა ისეთი შემთხვევაც, როცა ფულის გაუგზავნელობის გამო უბრალო პასუხსაც არ უგზავნიდნენ ილიას.

საერთოდ უნდა შევნიშნოთ, რომ ქართველი სტუდენტები პეტერბურგში ხელმოკლედ ცხოვრობდნენ, ამას ამტკიცებს მათი სტუდენტობის პერიოდის დოკუმენტების შესწავლა. ასეთ მძიმე პირობებში გაატარა ილია ჭავჭავაძემ ოთხი წელი პეტერბურგის უნივერსიტეტში, რამაც გადამწყვეტი როლი ითამაშა პოეტის მომავალ ცხოვრებაში.

1861 წელს ილია ჭავჭავაძემ, მეოთხე კურსის სტუდენტმა, დატოვა უნივერსიტეტი და დაჩქარებით გამოემგზავრა საქართველოში. მეოთხე კურსიდან უნივერსიტეტის დატოვების მიზეზად ილია უნივერსიტეტში მომხდარ არეულობას ასახელებს. აი, რას წერს ამის

---

[1] ილია ჭავჭავაძე, წერილები, ი. ბოცვაძის რედაქციით, გვ. 19.

[2] იქვე.

შესახებ იგი: „1861 წელს უკვე მეოთხე კურსზე ვიყავი, მაგრამ გავანებე თავი უნივერსიტეტს მაშინდელ საუნივერსიტეტო არეულობის მიზეზით“ [1].

ამასვე აღნიშნავს კოხტა აფხაზიც, „მართალია ილია არ გარეულა და მონაწილეობა არ მიუღია იმდროინდელ სტუდენტობის არეულობაში, მაგრამ მეც და ილიაც იძულებული ვიყავით უნივერსიტეტიდან მეოთხე კურსიდან გამოვსულიყავით და სამშობლოში დავბრუნებულიყავით. ეს მოხდა ეგრედწოდებულ „მატრიკულების“ წყალობით, რომელიც შემოღებული იქნა პეტერბურღის გენ.-ღუბერნატორის ი გ ნ ა ტ ი ე ვ ი ს მეცადინეობით. ჩვენ თითქმის ყველა სტუდენტმა ამის შესახებ პროტესტი განვაცხადეთ...“ [2]

ილია ჭავჭავაძის ეს განცხადება უნივერსიტეტიდან დაჩქარებით წამოსელის შესახებ დამაჯერებელია, მაგრამ უნივერსიტეტის არეულობაში არ უნდა ვიგულისხმოთ 1861 წლის შემოდგომაზე მომხდარი ამბები. არეულობაში ილია გულისხმობს იმ დაძაბულ მდგომარეობას, რომელსაც ადგილი ჰქონდა ამავე წლის დასაწყისშივე.

მაგრამ ამასთან დაკავშირებული კოხტა აფხაზის მოგონება კი ერთგვარ გაუგებრობას იწვევს. მისი სიტყვებიდან ისე გამოდის, რომ 1861 წლის შემოდგომაზე მომხდარი მღელვარებისა და სტუდენტთა მასობრივად დაპატიმრების დროს თითქოს ილია პეტერბურგში იყო.

„...და ჯართალია, არც მე, არც ილია სტუდენტების კრებას არ დავსწრებივართ (მე ვერ მიუსწარი კრებას, როდესაც მივედით, კრებისათვის უკვე პოლიციას და ჯარს ალყა შემოერტყა), მაგრამ მაინც გამოგვიცხადეს, რომ ვინც მატრიკულებს არ დაგმორჩილება, პეტერბურღიდან ოცდაოთხისაათის განმავლობაში უნდა წავიდეს თავის სამშობლოშიო, ჩვენც წამოვედით“ [3].

ამ სიტყვებიდან შეიძლება ისეთი დასკვნა გამოვიტანოთ, რომ კოხტა აფხაზი და ილია ჭავჭავაძე 1861 წლის სტუდენტთა მღელვარების დროს პეტერბურგში იყვნენ და კრებაზე დაგვიანებით „მისვლის“ გამო გადარჩნენ დაპატიმრებას. მაგრამ ხომ უდავო ფაქტია, რომ ილია ჭავჭავაძე 1861 წლის მაისის თვეში უკვე საქართველოში იყო და თვითონაც იმიტომ ლაპარაკობს კურსის შესრულებას არ მოუცადეო. მაშ როგორ შეეძლო მას დემონსტრაციაში მონაწილეობის მიღება? მართლაც, კოხტა აფხაზის ასეთმა მცდარმა განცხადებამ

---

[1] ილიას ავტობიოგრაფია, „მნათობი“, № 5, 1937 წ.

[2] ლიტ. მემკვიდრეობა, წიგნი I, 1935 წ., გვ. 564.

[3] ი ქ ვ ე.

შეცდომაში შეიყვანა მკვლევარებიც კი. მაგალითად, აწ განსვენებული დიდად ნაყოფიერი და მიუდგომელი მკვლევარი ლევან ასათიანი, იმოწმებს რა კოხტა აფხაზის მოგონებიდან ამ ადგილს, წერს: „25 სექტემბერს მოხდა სტუდენტების გრანდიოზული დემონსტრაცია, რომელსაც შედეგად მოჰყვა ჯერ მათი არჩეული დელეგატების... შეპყრობა. ხოლო 12 ოქტომბერს კი საერთოდ სტუდენტების მასიური დაპატიმრება. სხვებთან ერთად დაპატიმრებულნი და კრონშტადტის ციხეში მოთავსებული იქნენ ქართველებიც: კირილე ლორთქიფანიძე, ნიკო ნიკოლაძე, გიორგი წერეთელი და სხვები. იმ დღეს, უნივერსიტეტის შესასვლელთან შეგროვილ სტუდენტთა კრებაზე მისვლა დააგვიანდა ილია ჭავჭავაძეს და ამით გადარჩა დაპატიმრებას“ [1].

ხოლო ი. ბალახაშვილი წერს: „ეს იყო მიზეზი, — ლაპარაკია ილია ჭავჭავაძის ერთი გვიანდელი წერილის შინაარსზე, რომელიც პეტერბურგელი სტუდენტების საპასუხოდ გაგზავნა ილიამ 1897 წელს, — რომ ილია ჭავჭავაძემ არ მიიღო მონაწილეობა სტუდენტთა მოძრაობაში. ვგულისხმობ ამბოხებაში რაიმე მოვალეობის შესრულებას, აგიტაცია-პროპაგანდას და სხვას და არა უბრალო დასწრებებს სტუდენტთა კრებებზე“ [2].

ცხადია, ორივე მკვლევარი შეცდომაში შეიყვანა კოხტა აფხაზის მოგონებამ. ილია ამბოხების დროს, სექტემბერ-ოქტომბერში, თბილისში იყო და აქედან ხომ ვერ მიიღებდა მონაწილეობას, არც კრებაზე მისვლა შეეძლო ადრე ან დაგვიანებით.

ილია ჭავჭავაძის უნივერსიტეტიდან დაჩქარებით წამოსვლის შესახებ პავლე ინგოროყვა ერთიმეორისადმი საწინააღმდეგო ორ მოსაზრებას გამოთქვამს. ერთ შემთხვევაში იგი აღნიშნავს: „1861 წლის გაზაფხულზე ილია წამოვიდა საქართველოში, ჩანს, ისევ ჯანმრთელობის მდგომარეობის გამო“ [3]. ხოლო ამავე შრომის მომდევნო გვერდზე წერს: „აქ საჭიროა აღინიშნოს ამასთან, რომ დღემდე არ იყო დადგენილი ეს ფაქტი, რომ ილია გამორიცხული იყო უნივერსიტეტიდან, გავრცელებული იყო შეხედულება, რომ ვითომ ილიამ თვითონ დაანება თავი უნივერსიტეტს მეოთხე კურსზე ყოფნის დროს“ [4].

ერთ მომენტში მკვლევარი უნივერსიტეტის დატოვების მიზეზად

---

[1] ლ. ასათიანი, ცხოვრება აკაკი წერეთლისა. პირველი გამოცემა, გვ. 185. შემდეგ გამოცემაში ლ. ასათიანმა ეს გაასწორა. — კ. მ.

[2] ი. ბალახაშვილი. ი. ჭავჭავაძის მოწაფეობა და სტუდენტობა. ფედერაცია, 1937 წელი, გვ. 97.

[3] ილია ჭავჭავაძე, ტ. I, 1951 წლის გამოცემა, გვ. LIX.

[4] იქვე, გვ. LXI.

ავადმყოფობას თვლის, ხოლო მეორე შემთხვევაში — 1861 წელს მომხდარ სტუდენტთა მღელვარებას და ამის გამო ილიას გარიცხვას უნივერსიტეტიდან. გარდა იმისა, რომ ეს ორი დებულება ლოგიკურად ეწინააღმდეგება ერთმანეთს, თვით დასახელებული ფაქტიც არ არის დამაჯერებელი.

ილია რომ ავად ყოფილიყო, ამას იგი თვით აღნიშნავდა, როცა ამ საკითხს შეეხო და, საერთოდ, არა ძგონია, რომ 1861 წელს ილია სამკურნალოდ და დასასვენებლად ჩამოსულიყო საქართველოში. პირიქით, მისი გოლიათური ბრძოლა ძველი თაობის წინააღმდეგ ამის საწინააღმდეგოდ ლაპარაკობს.

ისიც ცხადია, რომ 1861 წლის სტუდენტთა ამბოხება და ამასთან დაკავშირებული გარიცხვაც არ შეიძლებოდა ყოფილიყო ილიას მეოთხე კურსიდან უნივერსიტეტის დატოვების მიზეზი, რადგან სტუდენტთა მღელვარება მოხდა 1861 წლის სექტემბერ-ოქტომბრის თვეში, ხოლო ილიამ უნივერსიტეტი დატოვა გაზაფხულზე. ამავე შეცდომას იმეორებს ახლახან გამოცემულ წიგნში დოკ. ა. კენჭოშვილიც. იგი წერს: „1861 წლის 12 ოქტომბერს სტუდენტთა არეულობაში მონაწილეობისათვის ილია სხვებთან ერთად გაურიცხავთ უნივერსიტეტიდან“ [1].

მაგრამ, ჩვენი აზრით, ილიას პეტერბურგის უნივერსიტეტიდან წამოსვლა დააჩქარა არა გარიცხვამ და სხვა ასეთმა ფაქტებმა, არამედ საქართველოს მაშინდელმა მდგომარეობამ[2]. ილია კარგად ხედავდა, როდ ამ დროს საქართველოს აზროვნება და ლიტერატურა დაქვეითებას განიცდიდა, ცხოვრება დამყაყებულ გუპეს წარმოადგენდა, რომელსაც გაწმენდა, გადახალისება ესაჭიროებოდა. და ილია, ახალი იდეებით შეიარაღებული, უეცრად ჭექა-ქუხილით შემოიჭრა დარიალის მაღალთაღოვან კარიბჭეში. მან ცეცხლითა და მახვილით შეანგრია ძველი ფეოდალური აზროვნების ციხე-სიმაგრეები და. რუსეთის სამოციანი წლების მოწინავე იდეოლოგიით წელგამართულმა, სასიკვდილო განაჩენი გამოუტანა ანტონ პირველის ტრადიციებზე აღზრდილ თეორეტიკოსებს.

ილია ჭავჭავაძემ საბრძოლო პროგრამა პეტერბურგში შეიმუშავა და მისი პრაქტიკულად განხორციელების მიზნით საქართველოსაკენ გამოეჩქარა. ამ საქმის დაგვიანება საკუთარი ერის წინაშე დანაშაულს უდრიდა. ამიტომ დიპლომის მიღებას არ დაუცადა და განა მან დიპლომზე ათასჯერ უფრო ძვირფასი განძი არ ჩამოუტანა საყვარელ სამშობლოს?!

---

[1] აკაკი კენჭოშვილი, ილია ჭავჭავაძე, გვ. 50.

[2] დ. გამეზარდაშვილი, ნარკვევები ქართული რეალიზმის ისტორიიდან. წ. II, გვ. 274 — 275.

ზოგიერთი დილეტანტი იმასაც ბედავდა, რომ ილიას უდიპლომოდ წამოსვლა სასაცილოდ აეგდო. ნ. ნიკოლაძე ირონიულად იგონებს ერთ შემთხვევას:

„ჩემს დღეში არ დამავიწყდება ის აზრი, რომელიც ერთმა უფროსმა სტუდენტმა... გამოთქვა ჩვენსას, როცა „Современник"-ის კითხვაზე წამისწრო, — გაიხსენე ჩემი სიტყვაო, — მითხრა, — თუ შენც ისე არ წამდე, როგორც ილია ჭავჭავაძე წახდა. ისიც აქ შილერის, ბაირონის და ვალტერ სკოტის კითხვის მეტს არა შეერებოდა და დაესხა თავს ლაფი, ისე წავიდა, რომ კურსი ვერ შეასრულა, უდიპლომოდ წაბრძანდა... ბა ეხლა რა ადგილი უნდა მიიღოს იმან..." [1]

ილია ჭავჭავაძე მხოლოდ დიპლომისათვის არ წასულა პეტერბურგში. ასეთის მიღება მას რუსეთის უახლოესი ქალაქების უნივერსიტეტებშიაც შეეძლო, მას უფრო მეტად პეტერბურგის მღელვარე ცხოვრება იზიდავდა, ჩერნიშევსკისა და დობროლუბოვის რევოლუციური მოძღვრება აინტერესებდა.

ამრიგად, 1861 წლის გაზაფხულიდან ილია საქართველოშია და შეუპოვარ ბრძოლას აწარმოებს „ცისკრის" უხეირო და უნიჭო მწერლების წინააღმდეგ, რითაც მან ახალი ერა დაიწყო ქართული აზროვნებისა და ლიტერატურის ისტორიაში.

ამასთან დაკავშირებით მკვლევარი პავლე ინგოროყვა აღნიშნავს: „ილია 1861 წლის სექტემბერსა და ოქტომბერში, როგორც მოვიხსენიეთ, საქართველოში იმყოფებოდა და სტუდენტთა არეულობაში მონაწილეობა არ მიუღია. ასე, რომ თითქოს არავითარი საბუთი არ არსებობდა ილიას უნივერსიტეტიდან დათხოვნისათვის. მიუხედავად ამისა, ილია ძაინც გამოურიცხავთ უნივერსიტეტიდან. ამრიგად ილიას მიმართ განსაკუთრებული ზომა მიუღიათ. აშკარაა ამის მიხედვით, რომ ილია ადრიდანვე იმყოფებოდა პოლიციის საიდუმლო მეთვალყურეობის ქვეშ... უნივერსიტეტიდან გარიცხულები 1861 წელს ღებულობდნენ უნივერსიტეტის მოწმობას მათ მიერ მოსმენილი კურსის შესახებ — ერთნაირი ტრაფარეტით—1861 წ. 12 ოქტომბრის თარიღით. ასეთი მოწმობა, რომელიც მიუციათ სტუდენტთა არეულობაში მონაწილისა და უნივერსიტეტიდან გარიცხულის ნიკო ნიკოლაძისათვის, შენახულია ნ. ნიკოლაძის პირად არქივში... სწორედ ამავე ტრაფარეტს წარმოადგენს ილიას მოწმობა, რომელსაც უზის იგივე თარიღი 1861 წლის 12 ოქტომბერი" [2].

მართალია, ილია ჭავჭავაძე პეტერბურგში ყოფნის დროს დაახლოებული პირი იყო ჩერნიშევსკისთან, მაგრამ სტუდენტთა მღელვარებაში მონაწილეობის გარეშე უნივერსიტეტიდან მისი გარიცხვა არ ნიშნავს

---

[1] ნ. ნ ი კ ო ლ ა ძ ე, ტ. I, გვ. 67.

[2] პ. ი ნ გ ო რ ო ყ ვ ა, ილია ჭავჭავაძე, ბიოგრაფიული ნარკვევი, ტ. I.

ნის მიმართ პოლიციის მიერ განსაკუთრებული ზომების მიღებას. როგორც სტუდენტთა მოძრაობის პეტერბურგის ცენტრალურსა და საოლქო არქივში დაცული საქმეებიდან ჩანს, უნივერსიტეტის დახურვის გამო ყველა მსმენელი 1600 კაცი გარიცხული იქნა მექანიკურად და ნათ შორის ილია ჭავჭავაძეც. მეორეც, მართალია, გარიცხულ სტუდენტებს ერთნაირი ნიმუშის, სტამბაში დაბეჭდილი ბლანკის სახის მოწმობა მისცეს, მაგრამ ამ ბლანკის ცალკეულ პიროვნებაზე შევსების შედეგად ერთგვარი განსხვავება იგრძნობა. მართალია ნიკო ნიკოლაძის მოწმობაში წერია: «... слушал науки по административн. разряду при поведении — очень хорошем, а 12 октября 1861 года по прошению уволен из университета...»[1]

მაგრამ კირილე ლორთქიფანიძეს ყოფაქცევაში უწერია „კარგი" და ამავე დროს აღნიშნულია „უნივერსიტეტის დახურვის გამო დათხოვნილიაო".

«...слушал науки по историко-филологическому факультету при поведении—хорошем[2],а 20 декабря 1861 года, по случаю закрытия университета, уволен из университета»[3].

მრგვალქვს ილია ჭავჭავაძის უნივერსიტეტიდან გარიცხვის- მოწმობა მთლიანად:

„წარმომდგენი ამისა თავადი ილია ჭავჭავაძე ჩარიცხული იქნა სტუდენტად სპბ. უნ. 1857 წლის 21 ივლისს[4]. მოისმინა იურიდიული ფაკულტეტის, კამერალური განყოფილების საგნები საუკეთესო ყოფაქცევით. 1861 წლის 12 ოქტომბერს, მისი თხოვნის თანახმად, დათხოვნილი იქნა უნივერსიტეტის მე-4 კურსიდან. ამის გამო კურსდამთავრებული სტუდენტის უფლებით ვერ ისარგებლებს და სახელმწიფო სამსა-

[1] ГИАЛО, ф. 14, дело 2107. связ. 3405, 1862 г., стр. 20.

[2] „Очень хорошо" გადაშლილია და შემდეგ ჩაწერილია „хорошо".

[3] ГИАЛО, фонд 14, дело 1590. связ. 3433, год 1863, стр. 9.

[4] აქ შეცდომით არის ჩაწერილი ილია ჭავჭავაძის უნივერსიტეტში ჩარიცხვის თარიღად 1857 წლის 21 ივლისი, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ილია უნივერსიტეტში ჩარიცხულია 1857 წლის 28 სექტემბრიდან. აქვე უნდა შევნიშნოთ ისიც, რომ არც პ. ინგოროყვას აქვს სწორად წარმოდგენილი ილიას უნივერსიტეტში ჩარიცხვის თარიღი. იგი წერს: „ილიამ ჩაბარა უნივერსიტეტში შესასვლელი გამოცდები და 1857 წლის 15 ოქტომბერს ჩაერიცხა სტუდენტად პეტერბურგის უნივერსიტეტის იურიდიულ ფაკულტეტზე" (იხ. პ. ინგოროყვას ილია ჭავჭავაძე, ბიოგრაფიული ნარკვევი, ტ. I, გვ. XXIX).

15 ოქტომბერი ილია ჭავჭავაძის უნივერსიტეტში ჩარიცხვის თარიღი კი არ არის, არამედ, ამ დღეს ეცნობა საბჭოს ილიას სტუდენტად ჩარიცხვა. დოკუმენტებში ვკითხულობთ:

«...от 28 сентября 1857 года за № 3998, Князь Илья Чавчавадзе зачислен в число своекоштных студентов по разряду камеральных наук, о чем сообщено 15 октября Совету университета за № 3504 (ГИАЛО, фонд 14, дело 696, связ. 3404).

ხურში მიღებისას კანონის კრებულის თანახმად 1857 წლის გამოცემა) და სახელმწიფოსაგან განსაზღვრული სამსახურის წესდების 88 პარაგრაფის საფუძველზე. მას აქვს უფლება ჩარიცხული იქნას მხოლოდ მეორე კატეგორიის ჩინოვნიკად. რის დასადასტურებლად მიეცა მას, ჭავჭავაძეს, ეს ბრწმობა უნივერსიტეტის გამგეობისაგან სათანადო ხელისმოწერით და უნივერსიტეტის მცირე ბეჭდის დასმით.

ს.-პეტერბურგი, ნოემბერი „14" 1863 წელი, უნივერ. რექტორი ლენცი"[1]. თარიღი საბუთის გაცემისაა, ბლანკის შევსების დროს აღნიშნავს და არა გარიცხვას. ცხადია, ილია ჭავჭავაძის გარიცხვაც უფრო გვიან მოხდებოდა, ვიდრე პატიმრობაში მყოფი კირილე ლორთქიფანიძისა და ნიკო ნიკოლაძის.

აღსანიშნავია ისიც, რომ 1861 წლის მეორე სემესტრის საგამოცდო უწყისებში, ილია ჭავჭავაძის გვარი ისევ შეტანილია და თან მიწერილი აქვს: „არ გამოცხადდა". ხოლო 1862 წლიდან ილია პოლიციის დოკუმენტებში მოხსენებულია, როგორც ყოფილი სტუდენტი.

1861 წლის სტუდენტთა მღელვარებასთან დაკავშირებით სტუდენტთა საქმეების გამოძიება მთელი წელი გრძელდებოდა. მესამე განყოფილება და შინაგან საქმეთა სამინისტრო სისტემატურად ამოწმებდნენ პეტერბურგის ყოფილი სტუდენტების პირად საქმეებს და სხვა დოკუმენტებს. ამასთან დაკავშირებით პეტერბურგის ობერპოლიცმეისტერს უნივერსიტეტიდან წაუღია ყველა სტუდენტის საქმე შესამოწმებლად. რამდენიმე ხნის შემდეგ ეს საბუთები ისევ დაუბრუნებიათ უნივერსიტეტისათვის. ხოლო 52 სტუდენტის დოკუმენტი, რომელთა პატრონები პეტერბურგში ვერ აღმოუჩენიათ, დაუტოვებიათ პოლიციის კანცელარიაში. ამათ შორის არის ილია ჭავჭავაძის საქმეც. ხოლო, რამდენიმე ხნის შემდეგ, სახელდობრ 1862 წლის 30 ნოემბერს, პეტერბურგის პოლიციის კანცელარია, თანდართული სიის მიხედვით, უბრუნებს უნივერსიტეტს 52 სტუდენტის დარჩენილ საქმეს ასეთი მიმართვით: „ს.-პეტერბურგის საიმპერატორო უნივერსიტეტის დროებით მმართველ კომისიას!

„ამა წლის 20 ნოემბერს № 1983 მომართვის გამო მაქვს პატივი მოგართვათ პეტერბურგის უნივერსიტეტის დროებით მმართველ კომისიას, სახელობით სიასთან ერთად, პეტერბურგის უნივერსიტეტის ყოფილი 52 სტუდენტის დოკუმენტი, რომელიც დარჩა დაუბრუნებელი მათი პატრონების პეტერბურგში მოუძებნელობის გამო. უაღრესად გთხოვთ დოკუმენტების მიღება მაუწყოთ. —

გენერალ-ლეიტენანტი (ხელმოწერილია).
კანცელარიის მმართველი (ხელმოწერილია)".

[1] ლიტერატურული ძეგლეიდრეობა, წიგნი I, 1935 წ., გვ. 564.

ამ მიმართვას თან ერთვის სია ს.-პეტერბურგის უნივერსიტეტის ყოფილი სტუდენტებისა, რომელთა დოკუმენტებიც უბრუნდება ს.-პეტერბურგის უნივერსიტეტს. ამ სიის 46 ნომერზე დასახელებულია ილია ჭავჭავაძე:

№	გვარი და სახელი	დოკუმენტის რიცხვი
46	თავადი ილია ჭავჭავაძე	2[1].

ამრიგად, ილია ჭავჭავაძე უკვე 1862 წელს მოხსენებულია როგორც ყოფილი სტუდენტი. ასეთი საბრძოლო გზა განვლო ილია ჭავჭავაძემ პეტერბურგში ოთხი წლის განმავლობაში. ასე მრავალფეროვანი იყო მისი სტუდენტობის წლები.

ილია ჭავჭავაძე ჩერნიშევსკისთან უშუალო კავშირში და მის თანამებრძოლებთან ურთიერთობაში გამოიკვეთა, როგორც მტკიცე მებრძოლი ცარიზმისა და ბატონყმობის სისტემის წინააღმდეგ. შეიძლება გადაჭრით ითქვას, რომ პეტერბურგში იგი ავიდა იმდროინდელი რუსეთის აზროვნებისა და ჭეშმარიტი ხელოვნების უმაღლეს მწვერვალზე.

ჩერნიშევსკის ოჯახი და რევოლუციონერ სტუდენტთა წრეები იყო ნაჭდეილი რევოლუციური სკოლა ილიასათვის.

ვ. ბასკაკოვი შენიშნავს, რომ:

«Революционная группа Чавчавадзе, получившая впоследствии название «Пирвели даси» (первая группа), развила в Грузии кипучую деятельность в соответствии с установками Петербургского революционного центра»[2].

მართალია, ბასკაკოვი ცდება, როცა „პირველი დასი" არალეგალურ ორგანიზაციად მიიჩნია, მაგრამ ის საერთოდ სწორად აფასებს ილიას ჯგუფის მოღვაწეობას და შეხედულებებს.

ისე კი ცხადია, რომ ილია ჭავჭავაძე ღრმად ჩაწვდა სამოციანი წლების ინტელიგენციის საბრძოლო პროგრამას.

ჩერნიშევსკისთან ილიას სიახლოვეზე მიუთითებს კრიტიკოს რომანოზ ფანცხავას ზემოთ წარმოდგენილი ცნობაც.

საინტერესოა ისიც, რომ ილია ჭავჭავაძეს ასევე ახლო ურთიერთობა ჰქონია ჩერნიშევსკის მოწაფეებთან და თანამებრძოლებთან. ამის საუკეთესო მაჩვენებელია მე-19 საუკუნის 90-იან წლებში ი. ჭავჭავაძის და შელგუნოვის ურთიერთობა.

---

[1] ГИАЛО. фонд 14, дело 17, опись 25, связ. 3897, год 1862, стр. 572 — 575.

[2] В. Г. Баскаков. Мировоззрение Чернышевского, стр. 151.

ნ. ვ. შელგუნოვი, როგორც ჩერნიშევსკის თანამებრძოლი და არალეგალური ორგანიზაციის ხელმძღვანელი, დასჯილი იყო მეფის მთავრობისაგან. მკაცრი სასჯელი მიუღია მის შვილსაც, რომელიც იმპერატორის ბრძანებით 6 წლით ჯარისკაცად ჩამოუქვეითებიათ და გაუგზავნიათ კავკასიის მე-60 ბატალიონში, სადაც იგი პატიმარზე უარეს პირობებში ყოფილა.

ნ. ვ. შელგუნოვმა კარგად იცოდა, რომ საქართველოში მოღვაწეობდა გავლენიანი პირი, სამოციანი წლების პეტერბურგის უნივერსიტეტის ყოფილი სტუდენტი, ჩერნიშევსკის წრის აქტიური წევრი, ილია ჭავჭავაძე და მას თხოვნით მიუმართავს ილიასათვის დახმარებოდა შვილის თაობაზე მათი საერთო ნაცნობის ვინმე ფირალიშვილის საშუალებით.

ამის გამო ფირალიშვილი ილიას წერს: „გადმოგცემთ მოხუცი მამის თხოვნას, იზრუნოთ მისი შვილის ბედზე... თქვენი უსაზღვრო გულკეთილობა და გულშემატკივრობა ყოველივე კარგისადმი ძლიერ აიმედებს მას, რომ თქვენი ჩარევა მისი შვილის დასაცავად დიდ შედეგს მოიტანს“[1].

ჩანს ილიას მზრუნველობამ ნაყოფი გამოიღო. საპასუხო წერილში ილია წერს ფირალიშვილს: „გთხოვთ აცნობოთ ეს საინტერესო ამბავი ნ. ვ. შელგუნოვს, რომლის მიმართაც უნივერსიტეტის სკამიდან ვარ გამსჭვალული მეტად გულითადი და ღრმა პატივისცემით. ამავე დროს, არ შეიძლება მადლობა არ გადაგიხადოთ თქვენ იმ დიდი კმაყოფილებისათვის, რომელიც მომანიჭეთ მე, რაიმეთი მაინც ვემსახურო ისეთ პატიოსან და განათლებულ მოღვაწეს, როგორც ნ. ვ. შელგუნოვია. იშვიათად თუ შემისრულებია მე ისეთი დავალება, რომელიც ასე ახლოს ყოფილიყოს ჩემ სულთან“[2].

რა საინტერესო დამთხვევაა ილია ჭავჭავაძესა და ნიკო ნიკოლაძის წერილებს შორის. ნ. ნიკოლაძესაც შვილის შესახებ თხოვდა ჩერნიშევსკი და იმანაც ხომ ასეთი სიყვარულისა და ზნეობრივი მოვალეობის გრძნობით აღსავსე წერილი მიწერა ჩერნიშევსკის?

ასეთი ღრმა სიყვარულით იყვნენ გამსჭვალულნი ქართველი მოღვაწეები სამოციანი წლების რუსი რევოლუციონერებისადმი, რომლებთანაც მათ აკავშირებდათ პეტერბურგის ბობოქარი დღეები.

ილია საქართველოში იდეურად მომწიფებული და პოლიტიკურად ჩამოყალიბებული დაბრუნდა. მან ყველა ძირითადი საბრძოლო პრობლემა, რაც მის პოეტურსა და პუბლიცისტურ ნაწერებში გამოვლინდა.

---

[1] ა ყ. კ ე ნ ტ ო შ ვ ი ლ ი. „მნათობი“. № 10. 1956 წ., გვ. 135.
[2] იქვე.

პეტერბურგში ყოფნის დროს გადაჭრა ისე, რომ მას არ გაუვლია მერ-ყეობის გზები.

ის რაც ილიას აზროვნებაში კარგია, რითაც მას ასე დიდად ვაფა-სებთ, ყოველივე ეს სამოციან წლებში გამომქღავნდა მის აზროვნებაში.

ჩვენი აზრით, ილია ჭავჭავაძის პეტერბურგის პერიოდი არა მარტო პოეტის ცხოვრების დიდად ნაყოფიერი შემოქმედებითი ხანაა, არამედ აგრეთვე ძლიერი პოლიტიკური და იდეური აღმავლობის პერიოდიც არის.

არ დარჩენილა თითქმის არც ერთი მნიშვნელოვანი პრობლემა ილია ჭავჭავაძის შემოქმედებიდან, რომ იგი პეტერბურგში., სტუდენტობის დროს დაწერილ ნაწარმოებებში არ იყოს გადაჭრილი.

1. ილიას სოციალურ-პოლიტიკური ხასიათის შე-ხედულებანი, როგორც ერთიანი სისტემა, ჩამო-ყალიბდა პეტერბურგში დაწერილ ნაწარმოე-ბებში. ასეთია: „კაკო ყაჩაღი", „აჩრდილი", „ღუთნის დედა", „მუშა" და სხვა. ეს ტილოები შექმნა ჭაბუკმა პოეტმა, ახალგაზრდა კალმოსანმ., მაგრამ ვინ იტყვის იმას, რომ ამ ნაწარმოებების ავტორს ცხოვრების ცოდნა ან სახის ძერწვის ხელოვნება აკლდეს? ვინც თქვა „ვინა შრო-მობდა და ვინა ძლება ღვერთო სად არის აქ სამართალიო".

განა იგი დიდი დემოკრატი არაა?

2. ეროვნული განმათავისუფლებელი იდეები პოეტმა გამოხატა ჭაბუკობის ლექსებსა და პო-ემებში: როგორიცაა: „ქართველის დედა", „ქართველის დედა", „აჩრ-დილი", „ქართველი სტუდენტების სიმღერა", „ეზაზადული", „ნანა" და სხვ.

3. ესთეტიკის დარგში — ილია პირველი ქარ-თველი თეორეტიკოსია, რომელმაც ჰატერიალი-სტური ფილოსოფიის საფუძველზე დაამყარა უტილიტარული ხელოვნების თეორია.

ასე გოლიათურად ნაბოიბართა ჩვენი ერის წინაშე პეტერბურგის უნივერსიტეტის ყოფილი სტუდენტი ილია ჭავჭავაძე.

მან ბედნიერი ფეხი შემოადგა საქართველოს ნიწა-წყალზე და არამცთუ თავისი სიტყვა გააგებინა მშობლიურ ქვეყანას, არამედ მის გულის-ტკივილებსაც მიუხვდა და მთელი ნახევარი საუკუნის განსწვრივ ამ დიდი მუხის განიერ ტოტებქვეშ ქართველი ხალხი თავს აფარებდა მტრი-საგან მოელენილი ქარიშხლისა და ჭექა-ქუხილის დროს.

აკაკი წერეთელი

თერგდალეულთა ჯგუფის უძლიერესი წარმომადგენელია; სამოციანი წლების ქართული მწერლობის მეორე ბურჯი აკაკი წერეთელი. მან იდეური წრთობა ილია ჭავჭავაძესთან ერთად მიიღო პეტერბურგში.

აკაკი წერეთელმა 1859 წელს მეშვიდე კლასიდან თავი დაანება ქუთაისის გიმნაზიას. ამავე წლის თებერვლის თვეში როსტომ წერეთელს განცხადება შეაქვს დირექტორის სახელზე აკაკის სკოლიდან განთავისუფლების შესახებ. თხოვნაში აღნიშნულია: „მის მაღალკეთილშობილებას ქუთაისის და ერევნის გუბერნიების სასწავლებლების დირექტორს, სტატსკი სოვეტნიკსა და კავალერს, ივანე ლეონტის-ძე პესოჩინსკის, თავად როსტომ წერეთლის თხოვნა.

მინდა რომ ჩემი შვილი აკაკი წერეთელი დათხოვნილ იქნას გიმნაზიიდან. უმორჩილესად გთხოვთ თქვენს კეთილშობილებას, უბოძოთ მას შესაფერი მოწმობა სწავლისა და ყოფაქცევის შესახებ და მიბოძოთ ის დოკუმენტები, რომლებიც წარმოვადგინე ჩემი შვილის სკოლაში გამწესების დროს.

თავადი როსტომ წერეთელი. თებერვალი 1859 წ.“ [1]

როსტომ წერეთლის თხოვნა შეიწყნარა დირექტორმა და აკაკი განთავისუფლებული იქნა მეშვიდე კლასიდან. ამის შემდეგ აკაკიმ ორი თვე სოფელში გაატარა და მაისის დასაწყისს, სწავლის გასაგრძელებლად შორეულ ქალაქში — პეტერბურგში გაემგზავრა. მამამ სახარჯოთ ხუთასი მანეთი მისცა და ხელზე მოსამსახურედ შინაყმა ივანე კოტრიკაძე გააყოლა. თერგდალეულ აკაკი წერეთელს თერგის ნაპირები არ გადაულახავს. მან შავი ზღვით — ოდესაზე გაევლით პეტერბურგისაკენ აიღო გეზი. რუსეთში წასვლის თაობაზე აკაკი წერს: „დამდეგ მაისს გამოვეთხოვე დედ-მამას, იმერეთს და დავადექი გზას. სრულიად გა-

[1] ქუთაისის არქივი, გიმნაზიის ფონდი № 2, საქმე № 457, გვ. 113. ამჟამად ეს ფონდი გადატანილია საქართველოს ცენტრალურ არქივში (ამ საკითხზე იხილეთ აგრეთვე კ. მეძველიას სტატია „აკაკი ქუთაისის გიმნაზიის მოწაფე“, ჟურნალ „კომუნისტური აღზრდისათვის“, 1940 წ., № 6).

მოუცდელს ცხოვრებაში, ბევრის არ მცოდნეს და სრულიად არაფრის მნახველს უნდა ზღვა გადამეელო, ხმელეთი გადამელახა და ერთი ბიჭის ამარა ჩავსულიყავ .პეტერბურგში. სადაც ჩემი ძმა მეგულებოდა „კონ-ვოიში“ მოსამსახურედ“ [1].

ქუთაისიდან ორპირამდე აკაკიმ ცხენით იმგზავრა. ორპირიდან ფოთამდე ნავით ორი დღე დასჭირდა რიონზე. სამი დღე ფოთში უცადა გემს და მხოლოდ შემდეგ შეიქნა შესაძლებელი სამგზავრო გემით ოდესისაკენ გამგზავრება.

ოდესაში აკაკიმ მიხეილ ვორონცოვის ქვრივი ინახულა. ამის თაობაზე იგი წერს: „იმ დროს საზოგადოდ ქართველებს ისეთი სიყვარული და ხსოვნა ჰქონდათ ვორონცოვის, რომ თუ რუსეთში მყოფი, ან მიმავალი ქართველი ვორონცოვის ქვრივს არ გაუვლიდა და არ ნახავდა, ვერც კი წარმოიდგენდნენ“ [2].

ვორონცოვის ქვრივმა აკაკი დიდი პატივისცემით მიიღო, გამოკითხა საქართველოს მდგომარეობა.

ვორონცოვის ქვრივმა მოიგონა ქმრის სიტყვები საქართველოს შესახებ: „ეს პატარა საქართველო დიდი რუსეთის ქარგაში უმშვენიერესი ფერადი და უმტკიცესი ოქროქსოვილი იქნებაო! მხოლოდ ჩვენ კი უნდა მიუშვათ ნებაზე, ვუწინამძღვროთ და გარედან ხელი შეუწყოთო“ [3].

ქართველი ხალხის დიდ კულტურაზე და სახელოვან ტრადიციებზე ლაპარაკა ვორონცოვის პირადმა ექიმმა ანდრეევსკიმ. ჩანს მას ბევრი საინტერესო მოგონება ჩარჩენოდა გულში საქართველოში გატარებული დღეებიდან.

ვორონცოვის ქვრივმა აკაკის თანამგზავრი უშოვა და სათანადო დარიგების შემდეგ პატივისცემით გაისტუმრა. თვეზე მეტი გაწამებული მგზავრობის შემდეგ აკაკი, როგორც იქნა პეტერბურგს ნახვას ეღირსა.

ისმება კითხვა, რამ აიძულა აკაკი წერეთელი გიმნაზიის უკანასკნელი კურსი დაეტოვებინა და პეტერბურგში სწავლის გასაგრძელებლად უატესტატოდ წასულიყო? ზოგიერთი მკვლევარის აზრით, თითქოს აკაკი წერეთელმა მკაცრი რეჟიმის გამო ვერ შესძლო გიმნაზიის კურსის დასრულება. მაგალითად, ალ. მახარაძე წერს: „გიმნაზიის ეს აუტანელი პირობები იყო ერთ-ერთი მიზეზი იმისა, რომ თვით აკაკის სრული კურსი არც კი დაუმთავრებია, იგი მეშვიდე კლასიდან გამოვიდა“ [4].

---

[1] აკაკი წ ე რ ე თ ე ლ ი. ტ. I, 1930 წლის გამოცემა, გვ. 59.

[2] ი ქ ვ ე. გვ. 61.

[3] ი ქ ვ ე. გვ. 60.

[4] ალ. მ ა ხ ა რ ა ძ ე, ნარკვევები ქართული ლიტერატურის ისტორიიდან, 1952 წ., გვ. 374.

მართალია, ავტორი აქ ერთ-ერთ მიზეზზე ლაპარაკობს, მაგრამ ჩვენი აზრით, ესეც სადავო არის. არსებითად, აკაკის გიმნაზიიდან კურსდამთავრებლად წასვლის მიზეზი სამხედრო სასწავლებელში შესვლის სურვილი იყო. მას თავდაპირველად განზრახვა ჰქონდა სამხედრო განათლება მიეღო და ამისათვის გიმნაზიის დამთავრების ატესტატი საჭირო არ იყო. ამ მიზნით ეს ტუმრა ახალგაზრდა პოეტი პეტერბურგს. ასეთი მისწრაფება გამოამეღავნა მან პეტერბურგში დამხვდურ ახალგაზრდებთან, რაც აშკარად ჩანს აკაკის „...თავგადასავალიდან".

„ბოლოს ყველამ მირჩიეს, — წერს აკაკი, — რადგან სამხედრო სამსახურში აპირებ შესვლას, აქ დარჩი ჩვენთან, კანვოობას არა სჯობია რაო. ჩვენი სამსახური კი არ არის, ლხინი და ქეიფიაო. მართლაც, საზოგადოდ კანვოების და განსაკუთრებით ქართველების მდგომარეობა უსაქმური კაცისათვის სანატრელი იყო. კარგად სვამდნენ, კარგად ჭამდნენ, კარგად ეცვათ, დღეში რამდენიმე საათს ცხენებს აკენებდნენ, ათამაშებდნენ და დანარჩენ დროს აქეთ-იქით საქეიფოდ ინახავდნენ..." [1]

აქ მოტანილი სიტყვები: „ჩემს ძმას გავუტყდი, რომ მე, მართალია, სამხედრო სამსახური მსურს" და ამხანაგების პასუხი: „რადგან სამხედრო სამსახურს აპირებ" და სხვა აშკარად ამტკიცებს აკაკის სამხედრო სასწავლებელში შესვლის განზრახვას. მაგრამ ახლა საინტერესოა, რა მიზნით მიისწრაფოდა აკაკი ასეთი ინტერესით სამხედრო სასწავლებლისაკენ?

რომ აკაკის ბრეკვიალა ჩინ-მედლები არ იზიდავდა, ეს მისივე სიტყვებიდან ჩანს. არა, მას სამხედრო საქმის ცოდნა სხვა მიზნისათვის სურდა გამოეყენებინა. იგი სიყრმიდანვე თავისი ავბედიანი ქვეყნის თავისუფლებაზე ფიქრობდა. მას ერის წინამძღოლობა სურდა და მიცკევიჩის გმირ კონრად ვალენროდს ბაძავდა. ამ მიზნით ეტანებოდა სამხედრო სასწავლებელს. ეს იდეა ჯერ კიდევ ქუთაისის გიმნაზიის მოწაფეს ჩაუნერგეს პროგრესულად მოაზროვნე პოლონელმა რუსული ენის მასწავლებლებმა.

პოლონეთიდან გადმოხვეწილი მასწავლებელი როდზიევიჩი ხშირად ესაუბრებოდა მოსწავლეებს ადამ მიცკევიჩის. ნაწარმოების გმირის კონრად ვალენროდის შესახებ. აკაკის ხშირად მოუსმენია როდზიევიჩის ამაღელვებელი სიტყვები: „ახლა რაღა დროს. ვწუხვარ, რომ სამხედრო სამსახურში არ შეხვედი, რომ სარდალი გავმხდარიყავ და მარჯვე დროს ქვეყნისათვის კონრადივით სამსახური გაგეწია" — და შემდეგ დასძენს აკაკი: „ეს რომ ჩამეწვეთა ყურში, ჩემი

---

[1] აკაკი წერეთელი, ტ. I, 1930 წ., გვ. 67.

თავი ვეღარ ეიცანი, იმ ღამეს აღარ დამიძინია, ვამბობდი: „რა მინდა უნივერსიტეტში. რა კარგი იქნება სამხედრო სამსახური, ოდესმე სარდალი გავხდები. რაც ადრე შეუდგები საქმეს ის აჯობებს, და ამ ერთ წელიწადს მაინც ხომ, უკანასკნელ კლასში, ახალს არას გვასწავლიან, ძველებს გვამეორებინებენ, — და გამოვალ... და გამოვუცხადე მამაჩემს ჩემი სურვილი, მამას ძალიან ეამა: — „შენი ნებაა, შვილო, მე შენი ხნისას ცოლი მყავდა და ოჯახს ვეკიდეო". მაშინვე გამოვეღი სასწავლებლიდან, რითაც ყველა გავაკვირვე და ღილიდან საღამომდე როდზიევიჩს აღარ ვშორდებოდი..." [1]

ასეთი დიდი გავლენა მოახდინა ყმაწვილ აკაკიზე პოლონელმა მასწავლებელმა, მან ჯერ კიდევ ბავშვს ჩაუნერგა გულში თავისუფლებისათვის ბრძოლის სურვილი. ყოველივე ამის შემდეგ აშკარად ჩანს აკაკის გიმნაზიის დაუმთავრებლობის მიზეზი. იგი სამხედრო სასწავლებელში შედიოდა და ამისათვის გიმნაზიის დამთავრების ატესტატი არ იყო საჭირო. აკაკიმ ქუთაისის გიმნაზიიდან ატესტატის ნაცვლად ასეთი ხასიათის მოწმობა მიიღო:

„წარმომდგენი ამ მოწმობისა, ქუთაისის საგუბერნიო გიმნაზიის მეშვიდე კლასის მოწაფე აკაკი წერეთელი, შვილი თავად როსტომ წერეთლისა, 1852 წლიდან, ვიდრე ამა თებერვლამდე, სწავლობდა ქუთაისის გიმნაზიაში.

ახლა კი თანახმად მისი მამის, თავ. როსტომ წერეთლის, თხოვნისა აკაკი საესებით ამორიცხული იქნა გიმნაზიის მოწაფეთა რიცხვიდან. სწავლის დროს ყოფაქცევაში ჰქონდა 5. წლიურ გამოცდებზე, რომელიც მოხდა 1858 წელს, მის მეექვსე კლასიდან მეშვიდეში გადასვლის დროს, მიიღო შემდეგი ნიშნები: საღმთო წერილსა, რუსულსა, ქართულსა, ფრანგულსა და ოსმალურ ენებში და მსოფლიო ისტორიაში 5, მათემატიკასა, გეოგრაფიასა, ფიზიკასა და ლათინურ ენაში 4, საბუნებისმეტყველო საგნებში 3, სუფთა წერასა, ხატვასა და ხაზვაში 3. ბაგრამ, რადგან მან. აკაკი წერეთელმა, საესებით ვერ დაასრულა საშუალო სასწავლებელი, ამიტომ ვერ ისარგებლებს იმ შეღავათებით, რომლითაც სარგებლობენ გიმნაზიისა და სამაზრო სასწავლებლებში სწავლადასრულებულნი.

დასამტკიცებლად ზემოდნათქვამისა, ეძლევა მას, აკაკი წერეთელს, ეს მოწმობა ქუთაისის გუბერნიის სასწავლებელთა დირექციისაგან. ქ. ქუთაისი, თებერვალი 10. 1859 წ."[2]

ახალგაზრდა აკაკის მოსვენებას არ აძლევდა მიცკევიჩის გმირი

---

[1] აკაკი წერეთელი, ტ. I, 1930 წ., გვ. 59.
[2] გაზ. „სახალხო ფურცელი", 1915 წ., № 209.

კონრად ვალენროდი. იგი უსაზღვროდ გატაცებული იყო ბრძოლის სურვილით, ქვეყნის დახმარებაზე ფიქრით. ახალგაზრდა პოეტი ასე გამოხატავს თავის მისწრაფებას:

...ერთი რამ მკლავდა მხოლოდ მე
და მისიებდა ის გულსა,
რომ ჩემს სამშობლოს ვხედავდი
სხვებისგან დამონებულსა.

მეც მი

დაადგე. — მითხრა ხუმრობით — სამხედრო სამსახური ისეთი რამ არის, რომ ბევრი მოცალეობა არ გექნება სწავლა-მეცნიერებას გამოუდგე. აი მეც... შემიყვარდა... მეცნიერება, მაგრამ, მერე, დრო რომ აღარ დარჩა, ჩამოვრჩი“ [1].

ასეთივე რჩევა მისცეს აკაკის პეტერბურგში მყოფმა ქართველმა სტუდენტებმა და საბოლოოდ მან, სამხედრო სასწავლებლის ნაცვლად. უნივერსიტეტის კარებს მიაშურა.

„მაშინდელი სტუდენტობა სულ სხვანაირი იყო, — წერს აკაკი,— საზოგადოდ და ქართველებსაც, მათთან ერთად, სხვა ფერი ედვა... მეც მათთან სტუმრობამ მალე გადამიგდო გულიდან სამხედრო სურვილები და ძალაუნებურად მათ წრეში ამოვყავი თავი“ [2].

წინასწარგანზრახულის შეცვლას ასე გამოხატავს პოეტი ლექსში:

...მაგრამ რომ ჩაველ პეტერბურგს.
იქ სტუდენტობა დამხვდა.
დამიჭდა მათი ნარჩევი...
წინა განზრახვა წამიხდა.
მაშინ დავდექი სხვა აზრზე,
გამომეცალა მე გული.
მივხვდი, რომ მხოლოდ მე მგონია
ვიყავი დაბადებული.

ამრიგად, 1859 წელს პეტერბურგში ჩასული აკაკი წერეთელი, მისი განზრახვის წინააღმდეგ, ჩაირიცხა პეტერბურგის საიმპერატორო უნივერსიტეტის აღმოსავლეთ ენების ფაკულტეტზე, თავისუფალ მსმენელად.

პეტერბურგის უნივერსიტეტის სამოცანი წლების ქართველ სტუდენტთა მასალების შესწავლის დროს ბევრი ვეძებნეთ აკაკი წერეთლის საქმეები ლენინგრადის არქივებში. მაგრამ სამწუხაროდ არაფერი არ აღმოჩნდა. სპეციალურად შევამოწმეთ აღმოსავლეთის ენების ფაკულტეტის 1859, 1860, 1861, 1862 წლების სტუდენტთა საქმეები, საგამოცდო უწყისები, ფაკულტეტის დეკანის ბრძანებები, უნივერსიტეტის რექტორის წლიური ანგარიშები, აღმოსავლურ ენათა ფაკულტეტის სხვადასხვა ქაღალდები, მაგრამ მნიშვნელოვანი არაფერი შეგვხვედრია. ეს ალბათ იმით აიხსნება, რომ აკაკი თავისუფალი მსმენელი იყო და კურსიდან კურსზე გადასასვლელ გამოცდებს არ აბარებდა [3].

---

[1] აკაკი წერეთელი, ტ. I. 1930 წ., გვ. 70.

[2] იქვე.

[3] სხვათა შორის ამდროინდელი ზოგი საქმე დაზიანებულია და დაკარგულია. — კ. მ.

აკაკის სტუდენტობის დროინდელი დოკუმენტებით დაინტერესებულა, ჯერ კიდევ რევოლუციამდე, პეტერბურგის უნივერსიტეტის პრივატ-დოცენტი იოსებ ალექსანდრეს ძე ყიფშიძე, მაგრამ იმასაც, სახელმწიფო გამოცდების მასალების გარდა ვერაფერი უპოვნია.

აი, რას წერს ამის შესახებ იოსებ ყიფშიძე.

„თვით საქმე აკაკის სტუდენტობისა, როგორც საზოგადოთ ყველა სტუდენტების საქმეები, უნდა დაცული ყოფილიყო უნივერსიტეტის საერთო არქივში, მაგრამ მიუხედავად არა ერთგზის ბეჯითი ძებნისა, იქ, ეს საქმე ვერ აღმოვაჩინეთ ჯერჯერობით მაინც. ეს საქმე რომ ვეპოვა, მაშინ უფრო დანამდვილებით გვეცოდინებოდა აკაკის უნივერსიტეტში შესვლის დრო და ისიც, თუ რა და რა დოკუმენტის წარმოდგენა დასჭირდა უნივერსიტეტში ჩასარიცხავად. იქვე დაცული იქნებოდა იმ დიპლომის შავი, რომელიც ჩვენთვის ძვირფასი იქნებოდა იმ შემთხვევაში, თუ თვით დიპლომი არ არსებობს. ამისათვის საჭიროა, თუ აკაკის დიპლომის ბედი ჯერ გამოურკვეველია. ახლავე ზომები იქნას მიღებული მის გამოსარკვევად“ [1].

თუმცა უნდა ითქვას, რომ იოსებ ყიფშიძის შრომას უშედეგოდ არ ჩაუვლია. მან საინტერესო მასალა აღმოაჩინა აკაკი წერეთლის სახელმწიფო გამოცდების შესახებ. მაგრამ ჯერ სანამ სახელმწიფო გამოცდების საკითხს შევეხებოდეთ, მანამდე მინდა, არსებული მასალების მიხედვით, დავახასიათოთ აკაკი, როგორც პეტერბურგის უნივერსიტეტის სტუდენტი. ამ საქმეში ერთგვარ სამსახურს გაგვიწევს აკაკის მოგონება და პირადი ბარათები, რომელიც მას პეტერბურგიდან მშობლებისა და ნათესავებისათვის მიუწერია. ეს დოკუმენტები ავსებენ აკაკის ამ პერიოდის შესახებ მასალების უქონლობით გამოწვეულ ხარვეზებს.

აკაკი თავის ბარათებში ხშირად წერს დედას მისი უნივერსიტეტში სწავლისა და საერთო საქმიანობის შესახებ. ბარათი, რომელსაც ჩვენ ახლა განვიხილავთ რიცხვით მეორე უნდა იყოს პეტერბურგიდან დედის სახელზე გაგზავნილი. ბარათიდან ჩანს, რომ აკაკი ჯერ უნივერსიტეტში არ არის ჩარიცხული, ხოლო შესვლა კი გადაწყვეტილი აქვს. „უსაყვარლესო ბატონო დედა! თქვენს მშვიდობით სუფევას ღ-სა ვთხოვ. ჩვენ მშვიდობით გახლავართ... თქვენი წიგნი, რა წამოვსულვარ ჯერ არ მომსვლია, იმედი მაქვს, რომ მშვიდობით ბრძანდებით... მე უწინაც მოგწერეთ, უნივერსიტეტში შევდივართქო. იქ მინდა ვისწავ-

[1] უნდა ვიგულისხმოთ, რომ დოც. ი. ყიფშიძე დაინტერესებულია უნივერ. დიპლომის ბედით, თორემ საშუალო სკოლის ატესტატი, რომ არ ჰქონდა აკაკის, ეს ალბათ, იმანაც იცოდა. — კ. მ. (საქართველოს ლიტერატ. მუზეუმი, ხელნაწერი № 12146. იხ. აგრეთვე საქართველოს მუზეუმის ხელნაწერთა H ფონდი № 1466).

ლო სხვა საგნებს გარდა უფრო ბეჯითად: ქართული, თათრული, სომხური და თურქული, რადგან ესენი ერთმანეთს არ გამორდებიან, ფრანცუცულს კი შინ ვისწავლიდი, მაგრამ ოცდაათი თუმანი არ ეყოფა ენიტელს და მე ხუთას-ექვსასი მანეთი უმისოდაც გაუვარებით მაცხოვრებს, როდესაც უარს ვყოფ: ტეატრს, კამედიას და ამისთანებს. რა უყოთ, ამათ ყოლიფერს მოესწრება კაცი და სწავლას კი ალარ. მადლობა, რომ აქ წამოვიდეს კაცი და ვერ ისწავლოს რა, ლოდვა არ არის. სწავლა იმას არ ქვიან, ორიოდე ტყიპინი ისწავლოს კაცმა. — არა სწავლა სულ სხვა არის. დიდად ვეწეხვარ, ღ-მან იცის, ამდენი ხარჯსა, ნაგრამ ესეც მანუგეშებს, რომ ვხედავ ისეთი დრო მოდის, რომ საკმაო არ არის კაცს დარჩეს მამისაგან სიმდიდრე და ამისთანეები, და არც ბინი შეადგენს ბედნიერებას და თუ შეადგენდა აქამდეს, ის დრო მალე წაბრძანდება. მხოლოდ საჭირო ყოფილა კაცისათვის ერთი მხოლოდ სწავლა, სწავლა ნამდვილი. რომელიც კაცს დაუახლოებს ღმერთს, აყენებს კეთილს ხასიათზე და აცნობს, თუ რა დანიშნულებით არის კაცი შექმნილი. მაშ ამას რაღა სიმდიდრე და ხარისხი აკლიებს, თქვენც იფიქრეთ...“ [1]

აკაკი წერეთლის ეს ბარათი მეტად საინტერესო დოკუმენტია ახალგაზრდა პოეტის სულიერი საბყარის შესასწავლად, მისი მისწრაფებებისა და იდეალების გამოსარკვევად. აკაკი თავიდანვე არ ყოფილა ენ-მედლებისა და კარიერის თაყვანისმცემელი. რაც მან მთელი თავისი ხანგრძლივი სიცოცხლის მანძილზე პრაქტიკულად დაამტკიცა. ამავე დროს აკაკი აქ დიდი ჰუმანისტი ჩანს. რომელიც გატაცებულია მაღალი იდეალებით, კეთილშობილური განზრახვებით. განსაკუთრებით დიდია მისი სიყვარული სწავლისადმი, რომ ახლანდელ ეპოქაში სწავლა ყოველგვარ სიმდიდრეზე მაღლა დგას, არა როგორც მატერიალურ საშუალებათა წყარო. არამედ, როგორც ადამიანის გამაკეთილშობილებელი ღონისძიება და სულიერი სიმდიდრის სათავე. სწავლა ადამიანს „ღმერთთან აახლოებსო“ წერს ახალგაზრდა პოეტი, და ამით განსაზღვრავს სწავლის მაღალსა და დიად ბუნებას. ამ წერილიდან ჩანს, რომ აკაკის თავიდანვე ჭეშმარიტი გზა აურჩევია და მთელი სერიოზულობით შესდგომია დასახული მიზნის განხორციელების საქმეს. პოეტის ასეთი პრინციპულობა და საქმისადმი დაინტერესება კიდევ უფრო მეტად ჩანს დედის სახელზე გაგზავნილ სხვა ბარათიდან.

„...ეგება გაგიკვირდესთ ჩემი, წიგნის მოწერას როგორ ვერ მოიცლის, სტყუაო. რა ვქნა, დღეს მესამე დღეა თქვენი წიგნი მომივიდა,

---

[1] ქუთაისის ისტორ. ეთნოგრაფიული მუზეუმი, კ. ლორთქიფანიძის არქივი, ხელნაწერი № 13.

პასუხს ეხლა ვწერ, ჩემი გასვლაც, გამოსვლაც, ჭამაც, სმაც, ძილიც გამოანგარიშებული არის, ნახევარი საათი რომ სადმე შევრჩე ნამეტანი, მაგიერი ძილი უნდა დავკარგო და ექვსი საათის მაგიერად ხუთ ნახევარი უნდა ვიძინო დღეში. ამის შემდეგ რა გასაკვირველია, ხშირად ვერ მოგწერო წიგნი. ახლაც რომ ვწერ, მეორედ გადაკითხვის დრო არა მაქვს, ათ წამში უნდა გავათავო“ [1].

ამ წერილიდან ჩანს, რომ აკაკი წერეთელი უკვე პეტერბურგის უნივერსიტეტის სტუდენტია და დიდი ინტერესით შესდგომია სწავლას. მაგრამ სათანადო დოკუმენტების უქონლობის გამო არ ვიცით როგორ ჩაბარა აკაკიმ მისაღები გამოცდები და ან როგორი წარმატებით სწავლობდა სავალდებულო საგნებს.

როგორც ზემოთ მოტანილი წერილიდან ჩანს, მას თითოეული წუთი გამოანგარიშებული ჰქონია და ტყუილუბრალოდ არც ერთი წამი არ დაუკარგავს. მაგრამ საეჭვოა, რომ აკაკი ასე ზუსტად იცავდა დროის რეჟიმს. თუმცა მისი ფაკულტეტის სპეციფიკურობა ყოველდღიურ მოწაფურ მუშაობას მოითხოვდა. მას არ შეეძლო ილია ჭავჭავაძესავით სესიების დროს მომზადებულიყო გამოცდებისათვის, ყოველდღიური მუშაობის გარეშე, უცხო ენების დაუფლება შეუძლებელი იქნებოდა.

აკაკის პეტერბურგიდან გამოგზავნილ წერილებში განსაკუთრებით ერთი თავისებურება შეინიშნება. იგი ყოველთვის ცდილობს მშობლები დაარწმუნოს სიბეჯითეში და მორალურ სიმტკიცეში, ცდილობს ავტორიტეტი აიმაღლოს მშობლების წინაშე. დედას წერს: „პეტერბურგი ძალიან გამოცვლის კაცს, შემიძლია ვთქვა, რომ მანდ მე **ჭკვიანი ვიყავი, რაც ჩემს ხნობას შეეფერებოდა, მაგრამ ესლა მე თვითონ მიკვირს — მაშინდელი, რა ვიყავი იქათქო... ილიკო... რომ არ გაიზარდა,** ისევ ცვიცქვირა არის, არც წვერი აქვს, არც ულაში... ყველას ჩემი უნცროსი ძმა გონიათ... **შენ ოცდახუთზე ნაკლები არ ხარო, ცელქად რომ ვერ მიყურებენ, ასე გონიათ, სიყმაწვილე გაუტარებია, ხანში შესულა და დასერიოზნებულაო“** [2].

აქაც სერიოზულობაზე და ბეჯითობაზე ლაპარაკობს აკაკი. ჩანს, პოეტს რაღაც აწუხებს, ეტყობა ავტორიტეტის ამაღლება სჭირდება მშობლების წინაშე. იგრძნობა, რომ ამხანაგების დამოკიდებულება აკაკის მიმართ პეტერბურგში ჩასვლის პირველი დღეებიდანვე არანორმალური შექმნილა. ჯერ კიდევ, 1860 წლის გაზაფხულზე კირილე ლორთქიფანიძემ პეტერბურგიდან ქუთაისში მიიღო სტუდენტ დავით

---

[1] ქუთაისის ისტ. ეთნოგრაფ. მუზეუმი, კ. ლორთქიფანიძის არქივი, აკაკის წერილი, ხელნაწერი № 26.

[2] იქვე.

ნიკოლაძის წერილი, რომელშიაც დ. ნიკოლაძე კ. ლორთქიფანიძეს აკაკის შესახებ სწერდა: „აკაკი წერეთლის ამბავს თუმც იკითხავთ, — კარგად არის და ამ უკანასკნელ დროში, როგორც ამბობენ... სხვა ყოველად შემკულ თავის ხასიათს მოუმატა კიდევ ერთი მშვენიერი საქმე,— კარტის თამაში, რომელშიაც წააგო ბევრი ფული და დასასრულ ტანისამოსიც“ [1].

რამდენიმე თვის შემდეგ, ამ წერილის მიღებიდან, 1860 წელს კირილე ლორთქიფანიძე თვით ჩავიდა პეტერბურგში უნივერსიტეტში შესასვლელად. ცხადია, იგი ამ წერილის თაობაზე, თავის უახლოეს აქ-ხანაგს, აკაკი წერეთელს მოელაპარაკებოდა.

აკაკიმ დ. ნიკოლაძის წერილის შინაარსი რომ იცოდა, ამას ადასტურებს აკაკის მომდევნო წერილი დედის სახელზე გაგზავნილი. „ახლა კი გავიგე, რათაც მიგვიანებთ ხოლმე წიგნს. ყმაწვილებმა მიამბეს, მე ძალიან ნაგინები ვარ თურმე იმერეთში, გაპლუტდა, ქაღალდში აგებს ფულებსაო და ტანისამოსიც წააგო. არა თუ ქაღალდს ვთამაშობ, რომელიც შესახედავად მეზარება, ილიკოსთან იმისათვის ვიყავი წაყიდებული, — ხანდისხან დროს გასატარებლად რად თამაშობთქო და სამსონი-ათასში ერთხელ პრაფერანს თამაშობდა ხოლმე და ახლა ჩემი ხათრით იმასაც აღარ თამაშობს. შენი ჭირიმე, რა ტანისამოსი მქონდა წასაგები არ იცით?..“[2]

აკაკი, როგორც აქ დასახელებულ წერილებიდან ჩანს, თავის გამართლებას ცდილობს, უნდა მშობლები დაარწმუნოს მის ირგვლივ გავრცელებულ ამ არასასიამოვნო ხმების სიყალბეში.

„...რათ შეწუხებულხარ ჩემთვის, ერთია მაგინებენ თუ არა, რა ვქნა? ჩემი ენა რომ ვერ მომიკავებია, სხვის ენას რით მოვაკავებ მე. რაც უნდა თქვან, ჩემთვის სულერთია, მაგრამ იმან შემაწუხა, რომ თქვენ შეგვიდოდათ რაიმე ეჭვი, ილიკოს რომ უგონებდნენ, ოჯერებდით ხოლმე და ის მახსოვდა. მომწერი ორი აქვე გამოჩნდა, მაგრამ ერთი ცუდი არ მითქვამს რა, თვითონვე შერცხვათ, თვალშიდ ვეღარ მეჩვენებოდნენ, ისე რცხვენოდათ...“ [3]

ამ ჭორის გამავრცელებელი კვლავ დაეით ნიკოლაძე ყოფილა.

აკაკი წერეთლის პეტერბურგელ ქართველ სტუდენტებთან არაკოლეგიალურ დამოკიდებულებაზე მიუთითებს აკაკის „თავგადასავალის“ სხვა ადგილებიც.

---

[1] ქუთაისის ისტ. ეთნოგრაფ. მუზეუმი, კ. ლორთქიფანიძის არქივი.
[2] იქვე, ხელნაწერი № 5.
[3] იქვე.

ამის მიზეზი აკაკის თავისებური ხასიათი და განსაკუთრებით მისი მწარე ენა იყო. სამართლიანად თვლის ლევან ასათიანი აკაკის მწარე ენას ამხანაგებთან კონფლიქტის მიზეზად. ეს თვით აკაკის სიტყვებიდანაც ჩანს: „ჩემი ენა რომ ვერ მომიკავებია, სხვის ენას რით მოვაკავებ მეო“, რომ მისი ენა არ ჰქონდა მოკავებული, ეს იწვევდა სხვისი ენის მოუკავებლობასაც. აბა, სხვა რა ჰქონდათ პეტერბურგელ ამხანაგებს სამტრო და საუგო აკაკი წერეთელთან?

ეს თავისებური ხასიათი შემდეგშიაც არ შეუცვლია აკაკის. ბევრთან ვერ ახერხებდა საერთო ენის გამონახვას, რადგან იგი ოდნავ ნაკლს თუ შეამჩნევდა ვინმეს, განსაკუთრებით სამშობლოს სიყვარულში თუ ეპვი შეეპარებოდა — დაუზოგველად კბენდა და ლანძღავდა მას. ამის შემდეგ, შემჩნეულ პირს ბროლის ციხე-კოშკებიც რომ აეგო მისთვის, მასზე გული მაინც არ გაუმთელდებოდა აკაკის.

აკაკი თავისი ასეთი ხასიათის შესახებ შესანიშნავად გადმოგვცემს „თავგადასავალში“: „... ულუკმაპუროდ, შიშველი, უსახლკაროდ დარჩენილი, მაინც არავის ვეპუებოდი და ჩემსას არ ვიშლიდი. მაშინდელი ჩემი მდგომარეობა მშვენივრად გამოხატა გულმოსულმა ბეს. ღ-ძემ: „მაგასთან ბრძოლა შეუძლებელიაო. რა უნდა წაართვა და რა უნდა დააკლო, რომ არა აბადია რაო... ჭამა-სმას არ დაგიდევს და საწოლ-სახურავს... მარტო ყეფს და იღრინებაო“.

მართალია ვყეფდი და ვიღრინებოდი, მაგრამ ვერავინ ვერ იტყოდა, რომ ჩემ პირადობაზე მე ხელი გამენძრიოს. ყველასაგან მოძულებულს, ბევრჯერ კარგი ადგილის ღირსი რომ არ ვიყავი, მისთანა მაძლია მთავრობამ, მაგრამ, რაღაი კი ერთხელვე სხვა გზა მქონდა ამორჩეული, არ ვქენი სამსახურში შესელა და დავრჩი ოხრად, ანუ გიჟად, როგორც ზოგიერთები ამტკიცებდნენ“ [1].

აკაკი დიდი ტემპერამენტისა და თვითრჯულა ხასიათისა იყო, მაგრამ ყოველივე ეს იმას როდი ნიშნავს, რომ უზნეო და ფუქსავატი ახალგაზრდა იყო და უსაქმოდ გაატარა მან სტუდენტობის წლები. პირიქით, როგორც ამის შესახებ მრავალი დოკუმენტი და კერძო პირთა გადმოცემები მეტყველებენ, აკაკი სერიოზულ შრომას ეწეოდა სტუდენტობის პერიოდში.

აკაკის სტუდენტობის დოკუმენტებიდან გვაქვს მხოლოდ გამოცდების ჩაბარების ნიშნები, რაც აკაკის ბეჯითობაზე მეტყველებს, საინტერესოა რომ აკაკი წერეთელმა სახელმწიფო გამოცდები კანდიდატის ხარისხზე ჩააბარა [2].

ძველ უნივერსიტეტში სახელმწიფო გამოცდების შედეგად იცემოდა

[1] აკაკი წ ერ ე თ ელ ი, თხზულებანი, ტ. I, გვ. 79.

[2] ამ საკითხებზე იხ. შ. რ ა დ ი ა ნ ი, ახალი ქართული ლიტერატურა, 1954, გვ. 304.

ორგვარი დიპლომი. ჩვეულებრივი გამოცდების შემდეგ კურსდამთავრებული ღებულობდა დიპლომს „ნამდვილი სტუდენტის“ წოდების, ხოლო საკანდიდატო გამოცდების ჩაბარებისა და სადისერტაციო შრომის წარდგენის შემდეგ ეძლეოდა დიპლომი „კანდიდატის ხარისხის“. საკანდიდატო გამოცდები იმით განსხვავდებოდა ჩვეულებრივი სახელმწიფო გამოცდებისაგან, რომ ამ შემთხვევაში ჩაბარებული ნიშნების საერთო ბალის რაოდენობა — გაყოფილი საგანთა რაოდენობაზე — არ უნდა ყოფილიყო $4^1/_2$ ნაკლები.

საინტერესოა რომ აკაკის ადრიდანვე ჰქონდა განზრახული უნივერსიტეტის დამთავრება კანდიდატის ხარისხზე. ამის თაობაზე იგი დედას სწერდა: „თუ ცოცხალი ვიქენი, მალე ვამთავრებ უნივერსიტეტს და საღდგომოდ კანდიდატი ჩამოვალ“.

მართლაც 1861 — 1862 წლებში აკაკი წერეთელმა, აღმოსავლეთის ენების, სომხურ-ქართული განყოფილების, სხვა მსმენელებთან ერთად — აბელ ჩოლოყაშვილთან, ალექსანდრე აფხაზთან და რაფიელ პატკანიანთან — სახელმწიფო გამოცდები ჩააბარა [1]. ბრძანება დაიწერა: «...о допущ. посторонних лиц: Челокаева, Абхазова, Церетели и Патканьяна к экзамену на степень кандидата...»[2]

პირადად აკაკი წერეთელმა ჩააბარა შემდეგი საგნები:

1861 წლის 3 აპრილს სომხური ენა და მიიღო ნიშანი 5. მომდევნო ღღეს 4 აპრილს ჩააბარა სომხური ლიტერატურის ისტორია 5-ზე.

საგამოცდო ფურცელს ხელს აწერენ ადიუნქტი ა. ბეროევი და დეკანი მუხლინსკი.

8 აპრილს უნდა ჩაებარებინა თათრულ-აზერბაიჯანული ენა, მაგრამ აკაკი გამოცდაზე არ გამოცხადდა ავადმყოფობის გამო, ჩანს, ეს უფრო დიპლომატიური ავადმყოფობა იყო.

19 აპრილს რუსული ლიტერატურა ჩააბარა 4-ზე.

3 მაისს 5-ზე ჩააბარა ქართული ენა, ქართული ლიტერატურა და საქართველოს ისტორია. საგამოცდო ფურცელს ხელს აწერენ პროფესორი დ. ჩუბინაშვილი და დეკანი მუხლინსკი.

17 მაისს ჩააბარა, გამოუცხადებლობის გამო გადადებული, თათრულ-აზერბაიჯანული ენა და მიიღო ნიშანი 3.

23 მაისს პროფესორ ბ. პოლისადოვს ჩააბარა ღვთისმეტყველება და მიიღო ნიშანი 5.

---

[1] ეს ის პატკანიანია, შემდეგში პატკანოვად წოდებული, რომელიც ილია ჭავჭავაძემ „ქვათა ღაღადში“ სასტიკად გაამათრახა. იგი სწავლობდა ილია ჭავჭავაძისა და აკაკი წერეთლის დროს პეტერბურგის უნივერსიტეტში. — კ. მ.

[2] საქართველოს მუზეუმი, ხელნაწერების განყოფილება, H ფ. 3096 (1).

3 ოქტომბერს პროფ. კოსტომაროვთან რუსეთის ისტორიაში მიიღო 4“ [1].

როგორც წარმოდგენილი დოკუმენტიდან ჩანს აკაკიმ თათრულ-აზერბაიჯანულ და ფრანგულ ენაში მიიღო დაბალი ნიშანი — სამი. ასეთი ნიშნები ხელს შეუშლიდა აკაკის კანდიდატის ხარისხის მიღების საქმეში და ამის გამო იგი თხოვნით მიმართავს უნივერსიტეტის ადმინისტრაციას თათრულ-აზერბაიჯანული ენის განმეორებით მაღალ ნიშანზე გადაბარების შესახებ, მაგრამ ახალი კანონის გამო ადმინისტრაცია ნებას არ რთავს მას. მაშინ აკაკი იძულებული გახდება პეტერბურგის ოლქის მზრუნველს მიმართოს თხოვნით.

ოლქის მზრუნველის ნებართვით, აკაკი 1862 წლის 31 მარტს თათრულ-აზერბაიჯანულ ენას 4-ზე გადააბარებს.

ამის შესახებ ფაკულტეტის საბჭოს სხდომის ოქმში ნათქვამია: „აღმოსავლური ენების ფაკულტეტის სხდომაზე 1862 წლის 31 მარტს, უფ. მზრუნველის ნებართვით, აზერბაიჯანულ ენაში გამოცადეს აკაკი წერეთელი, აღმოსავლური ენების ფაკულტეტის სომხურ-ქართული განყოფილების თავისუფალი მსმენელი, უპასუხა 4-ზე.

საგამოცდო ფურცელს ხელს აწერენ: ადიუნქტი ბუდაგოვი, დეკანი ა. მუხლინსკი, დ. ჩუბინოვი, მ. ნავროცკი. მდივანი დ. კ. ტოლსტუნსკი“ [2].

ამრიგად, აკაკი წერეთელმა სახელმწიფო გამოცდების უკანასკნელი საგანი 1862 წლის 31 მარტს ჩააბარა და კანდიდატის ხარისხის მოსაპოვებლად წარადგინა შრომა: «Несколько слов в пользу оригинальности «Барсовой кожи»[3].

შრომა დაწერილია 1862 წელს. საინტერესოა, რომ „ვეფხისტყაოსნისადმი“ ინტერესი აკაკის ადრეე გამოუჩენია. „თავგადასავალში“ იგი ამაზე კიდევაც მიუთითებს. ცხადია იდეა „ვეფხისტყაოსნისა“ საკანდიდატო თემად აღების შესახებ, თვით აკაკის ეკუთვნის, მაგრამ არ შეიძლება იმის უარყოფაც, რომ ამ საკითხის მეცნიერულ დამუშავებაში ერთგვარ როლს დ. ჩუბინაშვილიც ითამაშებდა, მით უმეტეს ამ საგანში ლექციებს აკაკის ჩუბინაშვილი უკითხავდა და შრომას ახლავს ჩუბინაშვილის რეცენზია.

«... 19 дек. 1862 г. Диссертация эта на степень кандидата на-

---

[1] ლიტერ. მუზეუმი, ხელნაწერი № 12146. აგრ. იხ. საქართველოს მუზეუმი H ფ. 3096.

[2] იქვე.

[3] „მნათობი“, 1956 წ., № 10. ან. აბრამიშვილის და ალ. ღლონტის პუბლიკაცია.

шсана удовлетворительно. Д. Чубинов «ხოლო 1863 წლის 17 იანვარს დისერტაცია განუხილავს ფაკულტეტის საბჭოს. «Диссертация представленная восточному факультету на получение степени кандидата князем Акакием Ростомовичем Церетели. Донесен 17 января 1863 г.»[1].

ფაკულტეტის საბჭოს აკაკის შრომა, ჩუბინაშვილის რეცენზიის საფუძველზე მოუწონებია, მაგრამ აკაკისათვის კანდიდატის ხარისხი კი არა — უბრალო დიპლომიც არ მიუციათ. ამის მიზეზი ის იყო, რომ აკაკის გიმნაზიის დამთავრების ატესტატი არ ქონდა წარდგენილი უნივერსიტეტში.

აკაკი წერეთლის პეტერბურგის უნივერსიტეტის საკითხებით დაინტერესებულა, იოსებ ყიფშიძესთან ერთად, მკვლევარი სერგი გორგაძე, მას ცნობებისათვის მიუმართავს აკაკის სკოლისა და უნივერსიტეტის ამხანაგის — კირილე ლორთქიფანიძისათვის. კ. ლორთქიფანიძეს, ამ მეცხრამეტე საუკუნის ქართველ მოღვაწეთა მემატიანეს — სწორი ცნობა მიუწოდებია აკაკის დისერტაციის წარდგენისა და დიპლომის მიუღებლობის საკითხზე. ამის თაობაზე ს. გორგაძე წერს: ....ამ საახალწლოთ, პირადად ვინახულე (ქუთაისში) აკაკის ერთ-ერთი ნაამხანაგარი, თავადი კირილე ბეჟანის-ძე ლორთქიფანიძე. რომელმაც დაბეჯითებით გვარწმუნა, რომ აკაკის უნივერსიტეტიდან დიპლომი არ მიუღია, თუმცა ეგზამენიც სისრულით ჩააბარა და საკანდიდატო თხზულებაც წარადგინაო. დიპლომის მიუღებლობის მიზეზი ის იყო, რომ აკაკი უნივერსიტეტში თავისუფალ მსმენელათ ითვლებოდა, რადგან გიმნაზიის დამთავრების მოწმობა არ ქონდა. ხოლო ასეთ სტუდენტებს უნივერსიტეტი დიპლომს აძლევდა მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ რომელსამე გიმნაზიაში ეგზამენს ჩააბარებდნენ და კურსის დამთავრების მოწმობას მოიპოვებდნენ. აკაკის გიმნაზიის მოწმობა არ მოუპოვებია და ამიტომ არც საუნივერსიტეტო დიპლომი მიუღია“ [2].

აკაკის სადისერტაციო შრომა „ვეფხისტყაოსანზე“, თავისდროისათვის მეტად საინტერესო მოვლენა იყო. აღსანიშნავია ისიც, რომ ახალგაზრდა პოეტი ყველაზე მნიშვნელოვან საკითხს — სიუჟეტის ორიგინალობის პრობლემას შეეხო. პოემის შინაარსი ქართველი ხალხის ყოფა-ცხოვრებას დაუკავშირა და ამით სასიკვდილო ლახვარი ჩასცა ზოგიერთ უგვარტომო კოსმოპოლიტებს, რომლებიც ქართველი ხალხის უკვდავ საუნჯეს სხვა ხალხების გონების ნაყოფად თვლიდნენ [illegible], ამ მტკივნეულ ადგილს ჩაჰკიდა ხელი ავტორმა და მეტად საინტერესო

---

[1] „მნათობი“, 1956 წ., № 10. ან. აბრამიშვილის და ალ. ღლონტის პუბლიკაცია.

[2] ს. გორგაძის წერილი, ლიტერატურული მუზეუმი, ხელნაწერი № 12146.

მოსაზრებები განავითარა ცილისმწამებელთაგან პოემის დასაცავად.

აკაკი წერეთელი თვით „ვეფხისტყაოსანში" წარმოდგენილი რეალებითა და გმირთა ხასიათების მოშველებით ცდილობს პოემის სიუჟეტის ორიგინალობის დამტკიცებას.

„ამრიგად, თუ ეს პოემა სპარსულიდან ნათარგმანებია... მაშინ როგორ მოხდა, რომ მასში ასახულია ქართული ცხოვრება. ასეთი, მაგალითად, აღწერა ნადიმებისა, სხვადასხვა ადათ-წესებისა, ადამიანთა ხასიათებისა და სხვა. ხოლო განსაკუთრებით სპარსეთში, მუსლიმანურ სახელმწიფოში განა ქალებს შეეძლოთ ასეთი თავისუფლებით ესარგებლათ. ეჭვის გარეშეა, რომ ეს პოემა, რომელსაც ისტორიული მნიშვნელობა აქვს, როგორც სამართლიანად შენიშნავს პროფესორი ჩუბინაშვილი, ორიგინალური ნაწარმოებია"[1].

ცხადია, აკაკი წერეთელმა, როგორც სამართლიანად უსაყვედურებდა მას ილია ჭავჭავაძე, „ვეფხისტყაოსნის" გმირთა ხასიათები ეროვნულ პრინციპამდე დაიყვანა, რითაც თითქოს დაიჩრდილა „ვეფხისტყაოსნის" ზოგადი საკაცობრიო იდეები, მაგრამ ახალგაზრდა აკაკის დამსახურება ამ საკითხში მაინც დიდია, რადგან მან ყურადღება ორიგინალობის საკითხზე გაამახვილა.

ეს შრომა გაავრცელა შემდეგ აკაკიმ და ლექციების სახით წაიკითხა ქართულ და რუსულ ენებზე, სადაც არსებითად იგივე არგუმენტები გამოიყენა სიუჟეტის ორიგინალობის დასამტკიცებლად. ასეთია აკაკი წერეთლის მუშაობა საუნივერსიტეტო საგნებზე და საკანდიდატო დისერტაციაზე.

გარდა ამისა, აკაკი სისტემატურად მუშაობდა საკუთარ თავზე. მას შესწავლილი ჰქონდა უცხოელი მწერლები და ფილოსოფოსები. კარგად იცნობდა რუს დემოკრატებს და მატერიალისტებს. იგი დიდძალ ლიტერატურას კითხულობდა. აკაკის სკოლისა და უნივერსიტეტის მეგობარი კ. ლორთქიფანიძე წერს: „აკაკის ძალიან უყვარდა რუსული ლიტერატურისა და კრიტიკის კითხვა, მე-19 საუკუნის მგოსან ბელეტრისტებსა და კრიტიკოსებს ძალიან კარგად იცნობდა" [2].

განსვენებული მკვლევარი ლევან ასათიანი აღნიშნავს: „თუ ჩვენ გადავსინჯავთ აკაკის ბიბლიოთეკიდან იმ წიგნებს, რომელიც მისი სტუდენტობის პერიოდში, ან იმაზე ადრე არიან გამოცემულნი, ჩვენ ვნახავთ, რომ ახალგაზრდა პოეტს ამ ხანებში ბევრი დრო და ენერგია მოუნდომებია როგორც რუსული და მსოფლიო მხატვრული მწერ-

---

[1] „მნათობი", 1956 წ., № 10, გვ. 167.

[2] ს. გ ო რ გ ა ძ ე, აკაკი უნივერსიტეტში, გაზ. „საქართველო", 1916 წ., № 19.

ლობის შესასწავლად, ისე საზოგადოებრივ-პოლიტიკური ხასიათის ლიტერატურის შესათვისებლად.

აკაკის ბიბლიოთეკაში დაცულ თხზულებათა ავტორებიდან დავასახელებთ ზოგიერთებს, ესენი არიან: ბელინსკი, პისარევი, პისემსკი, ტრეტიაკოვსკი, პუშკინი, შევჩენკო, კოლცოვი, მახლინსკი, პლეშჩეევი, მეი, ფეტი, მირზა-ფატალი ახუნდოვი, ჰომეროსი, პლუტარხი, რასინი, მოლიერი, შექსპირი, ალ. დიუმა, ვ. ჰიუგო, ჰეინე, ბერნე, ეევ. სიუ, ფ. კუპერი, გუცკოვი და სხვა. არის ცალკეული გამოკვლევებიც, მაგალითად: ჰერვინუსის „შექსპირი", ცებრიკოვის — „შელლი", პოლევოის — „ნაპოლეონის ცხოვრება" და სხვა. აქვე ვხვდებით კარლ ფოგტის — „ფიზიოლოგიურ წერილებს", ვირხოვის, კლოდ ბერნარისა, მოლეშოტის და სხვათა თხზულებებს"[1].

დასასრულ დასძენს მკვლევარი: „ამრიგად, ჩვენ ვხედავთ, რომ ახალგაზრდა აკაკი თავის სტუდენტობისას, მარტო აკადემიური მეცადინეობის ვიწრო ნაჭუჭში არ ყოფილა ჩაკეტილი, მას ფართო პოლიტიკური და ლიტერატურული ინტერესები ამოძრავებდა, იგი აქტიურად ადევნებდა თვალყურს, როგორც რუსეთის პოლიტიკურ და სოციალურ, ისე იმ დიდ მოძრაობას, რომელიც იმ დროს აფორიაქებდა ევროპულ დასავლეთს"[2].

და მართლაც, აკაკის დიდი მომზადება და ზოგადი საგნების ცოდნა აშკარად იგრძნობა მის პოეტურ სტრიქონებში. აქ შეითვისა აკაკი წერეთელმა მატერიალისტური ხელოვნების დიადი პრინციპები, რაც თავის პოეტურ მეტყველებაში პრაქტიკულ სინამდვილედ აქცია. აკაკი აღიზარდა ბელინსკისა და ჩერნიშევსკის დიად ტრადიციებზე, რუსი რევოლუციონერების მოძღვრებაზე.

ამის შესახებ იგი წერს:

„...გამოსცა ჩერნიშევსკიმ თავისი პატარა კრიტიკული წიგნაკი: „ხელოვნება მარტო ხელოვნებისათვის, თუ ცხოვრებისათვის". ამან დიდი გავლენა იქონია მკითხველზე... მაშინ ლიტერატურაც ორად გაიყო: უმეტესობა სრულიად უარყოფდა მწერლობაში ხელოვნებას და მეორე ბევრად ნაკლები, ისე გადაჰყვა ხელოვნებას, რომ გარდა კეთილხმოვნებისა და მუსიკისა აღარა სწამდა რა მწერლობაში... სხვებსავით წამხედურობით უმეტესობის მიმდევარი არ ვყოფილვარ, ზაიცევს არად ვაგდებდი, ნიჭიერ პისარევს თუმცა ვაფასებდი, მაგრამ მისი ბევრი რამ არ მომწონდა და არც ის მჯერა მეორე პარტიის, რომ მწერლობაში მხოლოდ მუსიკა და კეთილხმოვანება უნდა იყოს

---

[1] ლ. ასათიანი, ცხოვრება აკაკი წერეთლისა, პირველი გამოცემა, გვ. 145.
[2] იქვე. გვ. 148.

და კმარაო. ორთა შუა მყოფს მე ჩემი გზა მქონდა არჩეული და მივდიოდი წუნარად"[1].

მართლაც, აკაკიმ შუა ხაზი აირჩია. იგი ჩერნიშევსკის ნათელ გზას გაჰყვა. სამართლიანად უარყო, მან ორივე უკიდურესობა, როგორც წმინდა ხელოვნების თეორიის მიმდევრები, ასევე — ზაიცევისა და პისარევის ნიჰილისტური შეხედულებები. ამ ძირითად პრინციპზე ააგო აკაკი წერეთელმა, ჯერ კიდევ პეტერბურგის უნივერსიტეტის სტუდენტმა, თავისი მრავალმხრივი და მრავალფეროვანი შემოქმედება.

აკაკი სტუდენტი დიდ ნაყოფიერ შემოქმედებით მუშაობას ეწეოდა. იგი სისტემატურად თანამშრომლობდა ჟურნალ „ცისკარში" და ბევრი გამოუქვეყნებელი ნაწარმოებიც ჰქონდა.

აკაკის სტუდენტობის პერიოდს მიეკუთვნება მისი შესანიშნავი სატირული სტატია „ახირებული ფურცელი" და მასში ჩართული სატირული ლექსი.

ახალგაზრდა აკაკიმ სტუდენტობის დროს გამოამჟღავნა არა მარტო დიდი პოეტური ნიჭი, არამედ ამავე პერიოდში აახმიანა მან პუბლიცისტის მახვილი კალამიც.

როდესაც ბრძოლის ველზე მარტო გაჭრილ ილია ჭავჭავაძეს „ცისკრის" თეორეტიკოსთა ჯგუფი გარს შემოერტყა და მწვავე ბრძოლა გაიმართა მათ შორის, ამ დროს პეტერბურგიდან ილიას სამი თერგდალეული წამოეშველა და ერთი მათგანი — მესამე თერგდალეული, — „ახირებული ფურცლის" ავტორი — აკაკი წერეთელი იყო[2].

აღსანიშნავია ისიც, რომ მსგავსად თერგდალეულებისა, აკაკი წერეთელმა მკაცრი იერიში თვით „ცისკარზე" მიიტანა. ირონიულად შენიშნავს პოეტი:

„როგორც მოგეხსენებათ ეს ჩვენი ყმაწვილი „ცისკარი" მეექვსე წელიწადში ჩადგა, მაგრამ დღემდე არ ვიცოდი სადაური ყმაწვილი იყო, რუსის თუ ქართველის, ღმერთთან სწორი სჯობს. ზოგიერთი თვისება კი ქართველი ყმაწვილის ჰქონდა, ყოველ თვეში თითო კაბას იცვლიდა, წითელს იცვამდა, ხან ყვითელსა და ლურჯს, ამით სწორედ ცელქი ქართველი ყმაწვილი მაგონდებოდა ხოლმე"[3].

საინტერესოა, რომ ახალგაზრდა პოეტმა თავისი მახვილი სატირა გადაგვარებული ქართველების — ჭრელაძეებისა და რუსეთუმეების —

---

[1] აკაკი წერეთელი, თხზულებანი. ტ. I, გვ. 72 — 73.

[2] ერთ დროს ამ წერილს პროფ. ს. ხუნდაძე გ. წერეთელს მიაკუთვნებდა და კიდევაც შეიტანა მის პირველ ტომში. ამჟამად ეს საკითხი სადაო არ არის, რომ იგი ა. წერეთელს ეკუთნის. დაწვრილებით ამის შესახებ იხ. გ. აბზიანიძის შენიშვნები, ა. წერეთელი, თხზულებანი, ტ. I, 1950 წლის გამოცემა, გვ. 417 — 418. — კ. ბ.

[3] „ცისკარი", 1862 წ., № 5.

წინააღმდეგ მიმართა და ეს ბრძოლა მას თავისი ხანგრძლივი სიცოცხლის მანძილზე ერთი წუთითაც არ შეუნელებია. პოეტის აზრით ესენი არიან:

ქართულზე რომ ხელს იღებენ.
ყველარც რუსულს ახერხებენ,
ულვაშებს ემტერებიან,
რესულად ბაკებს უშვებენ.
...ქართულ ენას არად ხდიან,
შეიღებს რუსულათა ჰზრდიან
ტრეტიაკოვსკის აქებენ
და რუსთველს კი დასცინიან.
ეს გახლავან ჭრელაძენი,
საქართველოს ფეკი ძენი,
უსწავლელნი სწავლელები,
კუტრი-კუანი. სულელ ბრძენნი [1].

„ცისკრის" თანამშრომელთაგან ყველაზე მეტი სიმკაცრე აკაკიმ ექვთიმე წერეთლის მიმართ გამოიჩინა. ჯერ იყო და სამასხაროდ აიგდო ექვთიმე წერეთლის გვარისა და ფსევდონიმის გაბრტყელებული წარწერა: „ზ ე მ ო უ რ ი ი მ ე რ ე ლ ი გ ო რ ი ს ე ლ ი წ ე რ ე თ ე ლ ი ე ფ თ ი მ ე" და ხალხური თქმულება მოიტანა კურდღელისა და ბაკიების შესახებ. ხოლო შემდეგ მკაცრ სატირულ ფორმაში გადმოსცა ექვთიმე წერეთლის სტატიის შინაარსი.

მოგვაქვს რამდენიმე ადგილი აკაკის ლექსიდან:

ზემოური იმერელი
კახელს შემოწყრაო,
ჰეე, ჰოო, ჰეე, ჰოო!
სამ დღეს უღეჯა სტატია
და ძლივს გამოხრაო.
ცილს არ ეწამებთ, ბატონებო,
თვითონ მოგვითხრაო.
ჰეე, ჰოო, ჰეე, ჰოო!
მერე დაჯდა და რედაქტორს
წიგნი მისწერაო:
ჰეე, ჰოო, ჰეე, ჰოო!
თქვენი ცისკრის გამოწერა
თუმც მომენატრაო
ჰეე, ჰოო, ჰეე, ჰოო!
მაგრამ კახელის სტატიამ
გულს ისარი მკრაო.

---

[1] აკაკი წ ე რ ე თ ე ლ ი, თხზულებანი, ტ. I, 1950 წლის გამოც., გ. აბზიანიძის რედაქტ., გვ. 100.

ჰეე, ჰოო, ჰეე, ჰოო!
წიგნის კითხვისა სურვილი
შიგ სულ აღმოფხვრაო...
მაგ თერგის წყალდალეულმა
ეგ რა შეგეკადრაო... [1]

უნდა აღინიშნოს ისიც, რომ სამი თერგდალეულის სტატიებიდან ყველაზე უფრო მახვილი და შინაარსიანი აკაკის „ახირებული ფურცელი“ იყო, ჯერ კიდევ უმაწვილ აკაკის ეტყობოდა სატირის დიდი ნიჭი.

ასევე საინტერესოა სტუდენტობის დროს დაწერილი აკაკის სატირული ლექსი „ფარისეველი“.

ამ ლექსში პოეტს დაგმობილი ჰყავს ფარისეველები, ესე იგი ის ადამიანები, რომლებიც ცხადად ბოროტსა გმობენ, ჩუმად კი ცოდვის მიმდევარნი არიან.

წამის-წამ ახსენებს უფალს,
ამ თვალთმაქცობით გვიხვევს თვალს
მე უღმერთო კაცს მეძახის
და მიზეზს ადებს თერგის წყალს.

როგორც თვით აკაკი შენიშნავს, ამ ლექსს თავის დროზე დიდი მითქმა-მოთქმა გამოუწვევია და ყველას ფარისეველში ექვთიმე წერეთელი უგულისხმებია. ამ აზრის გავრცელებას იმანაც შეუწყო, ალბათ, ხელი, რომ „ახირებულ ფურცელში“ აკაკის, როგორც დავინახეთ, მკაცრად ჰყავდა გაკიცხული ექვთიმე წერეთელი.

აკაკი იძულებული გამხდარა, განმარტება დაეწერა ამ ლექსის შესახებ. აი აკაკის სიტყვები:

„როცა ეს ლექსი დავწერე,— აღნიშნავს აკაკი,— კერძოდ მხედველობაში არავინ მყოლია... საზოგადო ტიპი იყო, ყველამ—კი ექვთიმე წერეთელს მიაწერა. მე იმ ექვთიმეს ვიცნობდი და კარგის მხრითაც, სხვებს იმას ვამჯობინებდი, მაგრამ იმ შემცდარმა აზრმა ისე მტკიცედ გაიდგა საზოგადოებაში ბიჯი რომ თვით ექვთიმემაც დაიჯერა და სამდურავი მოგვივიდა. ახლა, როდესაც ნახევარმა საუკუნემ გაიარა და ისიც განსვენებულია, აღვიარებ, რომ ეს ლექსი ექვთიმეს არ შეეხება, საზოგადო იყო. იმ დროში, რაც უნდა დაწერილიყო საზოგადო ტიპად, გამოჩნდებოდნენ მისთანები, რომ თავის-თავზე იღებდენ, ატყდებოდა ერთი ვაი უშველებელი და ჩამოვარდებოდა ხოლმე სამარადისო მტრობა. ჩემი მტრებიც თანდათან მრავლდებოდნენ...“[2]

---

[1] აკაკი წერეთელი, თხზულებანი, ტ. I, 1950 წლის გამოც. გ. აბზიანიძის რედაქტ., გვ. 101.

[2] იქვე. გვ. 415.

მაგრამ საინტერესოა ამ ლექსის შესახებ კირილე ლორთქიფანიძის განმარტება. მისი მოსაზრება ეწინააღმდეგება აკაკის აქ წარმოდგენილ კომენტარებს. კ. ლორთქიფანიძე წერს:

„...ეს არის დაწერილი („ფარისეველი". — კ. მ.), როგორც ის ამბობდა (იგულისხმება აკაკი წერეთელი. — კ. მ.), ექვთიმე წერეთელზე, გიორგი წერეთლის მამაზე, მაგრამ მე ძალიან ვეჭვობ ამას, იმ დროს დარწმუნებული ვიყავი და ახლაც კიდევ უფრო მჯერა, რომ ეს ლექსი თვით აკაკის მამას შეეხება. ერთობ გაჭირვებულად ცხოვრობდა აკაკი პეტერბურღსა და მის ახლო-მახლო აგარებში და მამის სახელი რომ ეხსენებია, ცუდად ჩამოართმევდნენ. ამას უნდა დავამატო კიდევ, რომ აკაკისაგან ხშირად გამიგონია, მე თუ ვინმე ნიშანში ამოვიღე და მისი მხილება განვიზრახე, აროდეს არ დავწერ ისე, რომ ერთმა კაცმა პირდაპირ თავისთავზე მიიღოსო, მას ასე ვათქმევინებ, ეს თითქო ჩემზე იყო დაწერილი, მაგრამ არ მგონია მე ვიყო, სხვა უნდა იყოსო, თორემ უამისოდ ჩემს დევნულებას ვერ გადავურჩებოდიო. ექვთიმე წერეთლისა და აკაკის მამის გარდა, სხვასაც ბევრს ფარისეველს ნახავდა მაშინ კაცი და ახლაც შეიძლება ვნახოთ"... [1]

კ. ლორთქიფანიძის ამ მოსაზრებას იზიარებს დოც. გ. აბზიანიძე და თავის მხრივ დასძენს: „კ. ლორთქიფანიძის ცნობას მხარს უჭერს შემდეგი ფაქტი: აკაკის აღნიშნული ლექსის პირველ ორ ნაბეჭდს („ცისკარში" და „ჩონგურში") როგორც ტექსტის შენიშვნებიდან ვხედავთ, ქვესათაურად მიწერილი აქვს: „პოემიდგან „რუსეთუმე". ამ პოემას კი, რომლის მეორე და მეათე თავია მხოლოდ ჩვენამდე მოღწეული, — აკაკის თხზულებათა 1912 წლის გამოცემაში შემდეგი შენიშვნა ერთვის თან: — „ეს ვრცელი პოემა იყო, აქ ახალთაობის ტიპად ჩემი თავი მყავდა გამოხატული და ძველი თაობის ტიპად ჩემივე ოჯახი. როცა დავასრულე ეს პოემა, აღტაცებით წავუკითხე სხვებს, მაგრამ ყველამ დამიწუნა: „ითოთაანთ ქორივით რაღა შინაურებს მიხტომიხარო"[2].

მართლაც, საყურადღებო საბუთს წარმოადგენს როგორც კ. ლორთქიფანიძის განცხადება, ისე დოც. გ. აბზიანიძის შენიშვნაც. ლექსს აწერია, რომ იგი ამოღებულია პოემიდან, მაგრამ პოემა არსად ჩანს. ხოლო აკაკის აქ მოტანილი შენიშვნიდან იგულისხმება, რომ ამხანაგებმა პოეტს არ მოუწონეს შინაურების გაკიცხვა და ამიტომ პოემაც განადგურებული იქნა. ამას ემატება კ. ლორთქიფანიძის მოსაზრებაც. მისი ცნობა ხომ ყოველთვის სანდო და სარწმუნოა. მაგრამ ყველა ამ უტყუარ სა-

---

[1] აკად. ს. ჯანაშიას სახ. საქარ. სახ. მუზეუმი, H ფ. № 1466.

[2] აკაკი წ ე რ ე თ ე ლ ი, თხზულებანი, ტ. I, გვ. 406. იხ. აგრ. აკაკის ჩემი ნაწერები, წიგნი I, თბილისი, 1912 წ., გვ. 96.

ბუთს, ლექსში საკუთარი მამის გამოყვანის შესახებ, ეწინააღმდეგება თვით ნაწარმოების „ფარისევლის“ შინაარსი.

ფარისეველში პოეტი გულისხმობს ახალი თაობის იდეურ მოწინააღმდეგეს, რომელიც აკაკისა და მისი ჯგუფის წევრებს უღმერთოებს უწოდებს და „ამის მიზეზს ადებს თერგის წყალს“, ესე იგი ებრძვის თერგდალეულებს. ეს ფარისეველი აკაკის და საერთოდ ახალი თაობის იდეური მოწინააღმდეგეა და ასეთი იდეური მოწინააღმდეგე ახალი თაობისა როსტომ წერეთელი არასოდეს არ ყოფილა. ამდენად „ფარისეველში“ აკაკის მამის, როსტომ წერეთლის წარმოდგენა საეჭვოდ მიგვაჩნია.

საერთოდ უნდა შევნიშნოთ, რომ აკაკის სტუდენტობის პერიოდი ნაყოფიერი შემოქმედებითი მუშაობით ხასიათდება, მაგრამ იგი ამ მხრივ ილია ჭავჭავაძეს მაინც ვერ შეედრება. მაშინ, როდესაც ილია ჭავჭავაძემ ძირითადად სტუდენტობის წლებში შექმნა საგრძნობი დიდი ტილოები, აკაკი წერეთელმა მხოლოდ რამდენიმე საყურადღებო ნაწარმოები დაწერა: ესენი არის: „საიდუმლო ბარათი“, „ცოდვილის სინანული“, „ქართლის სალამი“, „საბრალო გული“, „ფარისეველი“. ცხადია, ამას უნდა დაემატოს აგრეთვე ის ნაწარმოებები, რომლებიც 1860, 1861, 1862 წლებშია დაწერილი, მაგრამ დაწერის ადგილი, პეტერბურგი, არა აქვს აღნიშნული. უდავოა, რომ ეს ლექსები პეტერბურგშია დაწერილი, რადგან ამ წლებში პოეტი მხოლოდ პეტერბურგში და მის ახლო აგარაკებზე იმყოფებოდა. სულ 1859, 1860. 1861 და 1862 წლებში, ესე იგი სტუდენტობის პერიოდში, დაწერილ ნაწარმოებთა რაოდენობა, „ახირებული ფურცლის“ ჩათვლით, 27-მდე აღწევს. ყოველივე ამის შემდეგ საეჭვოდ მიგვაჩნია პეტერბურგიდან დედის სახელზე გაგზავნილ წერილში აკაკის განცხადება, ჩემოდანი მაქვს ხელნაწერებით სავსეო.

„...ცისკარში“ ჩემს ლექსებს, არ დავაბეჭდვინებ აწი, და თუ გნებავთ, მანდ მოგართმევთ ხოლმე, ეგრე ოთხმოცი ფურცელი მექნება სხვადასხვა ლექსები, თუ კომედიები, თუ სხვა რამე, ერთი ჩემოდანი მაქვს, გიგზავნით ხოლმე ნელ-ნელა თუ გენებებათ...“[1]

აქვე უნდა შევნიშნოთ ისიც, რომ აკაკის სტუდენტობის დროინდელ ნაწერებში ეპიური ნაწარმოებები თითქმის არც კი გვხვდება, კომედიები და პოემებიც არ ჩანს. შესაძლებელია ასეთები დაიკარგა.

ვიმეორებთ, ილიასთან შედარებით, გვეცოტავება აკაკის სტუდენტობისდროინდელი ლიტერატურული მემკვიდრეობა, თორემ სხვებთან

---

[1] ქუთაისის ისტ. ეთნოგრაფ. მუზეუმი, კ. ლორთქიფანიძის არქივი.

შედარებით, ახალგაზრდა პოეტისათვის ყოველივე ეს ნაყოფიერი მუშაობაა.

აკაკი წერეთელი, მართალია, დიდი ინტერესით სწავლობდა სამოციანი წლების რევოლუციურ იდეოლოგიას და სხვა თერგდალეულებთან ერთად ღრმად ითვისებდა ჩერნიშევსკის და მისი ჯგუფის რევოლუციურ მოძღვრებას, მაგრამ იგი ორგანიზაციულად ამ ჯგუფთან დაკავშირებული არ ყოფილა.

მართალია, იგი 1861 წლის შემოდგომაზე პეტერბურგში იყო, მაგრამ სტუდენტთა რევოლუციურ მოძრაობაში მონაწილეობა არ მიუღია და არც ამასთან დაკავშირებით, რაიმე რეპრესია განუცდია, ეს იმიტომ, რომ ასეთ საქმეში აკაკი ყოველთვის სიფრთხილესა და თავდაჭერილობას იჩენდა. აღსანიშნავია ისიც, რომ ასეთი პოზიცია აკაკის ხანდაზმულობის პერიოდშიაც გამართლებულად მიაჩნდა. უკვე ჭაღარამოსილი პოეტი „თავგადასავალში“ ამია შესახებ წერს: „...ამ ხანებში მოხდა არეულობა უნივერსიტეტში, ჩვენებმა მიიღეს მონაწილეობა და კიდევაც იგემეს ციხე, მე მათში არ ვრეულვარ... არა იმიტომ, რომ ციხის მშინებოდეს... მაშინაც ის რწმენა მქონდა, რასაც დღეს ვადგივარ და ვერ ვუღალატე, მოსწავლემ ჯერ უნდა ისწავლოს, დაასრულოს სწავლა და მერე აღარ დაერიდოს არავითარ მსხვერპლს. ჩვენში კი უკუღმა ხდება ეს...“ [1]

საერთოდ უნდა აღინიშნოს, რომ აკაკი წერეთელი ნაკლებ დაინტერესებულია სტუდენტობის პერიოდით, სხვათა შორის იგონებს ამ დღეებს და იმასაც უკმაყოფილების კილოთი.

ეს იქიდანაც ჩანს, რომ მეტად საინტერესო ნაწარმოებ „თავგადასავალში“ იგი ძალზე ვრცლად ჩერდება გიმნაზიის პერიოდზე, ხოლო ძლიერ მოკლედ ეხება სტუდენტობის წლებს და ისიც მუქი ფერებით აქვს დახატული, მაშინ, როდესაც მისი სტუდენტობის წლები მეტად საინტერესო მოვლენას წარმოადგენდა.

საინტერესოა ისიც, რომ აკაკი წერეთლის პეტერბურგიდან წამოსვლის შემდეგაც არ შეწყვეტილა მასზე ჭორები და მითქმა-მოთქმა.

აკაკის მიმართ ასეთი დამოკიდებულება შემდეგშიაც, მისი მწარე ენის შედეგი იყო. იგი არა მარტო ფუტკარივით შრომის მოყვარე იყო და მოსიყვარულე თავისი ქვეყნისა, არამედ იმავე ფუტკარივით მწარედ იკბინებოდა, არავის არ ზოგავდა და განაწყენებული „წარჩინებულნი“ არა მარტო აკაკის, თვით აკაკის მშობლებსაც კი ლანძღავდნენ.

ამის შესახებ აკაკი წერს: „მამამ დიდის მწუხარებით მითხრა: შვილო რას მერჩოდი, რომ ქვეყანა გადამამტერე. მტრებს მიზეზი მიეცი და

---

[1] აკაკი წერეთელი, თხზულებანი, ტ. I, 1930 წლის გამოცემა, გვ. 75.

მოყვრები ჩამომაშორეო. აბა, ამაზე არის ნათქვამი: „ავი შვილი დედმამის მაგინებელიაო“ და სხვანი... მიზეზი რომ აუხსენი, არ დაიჯერა: „რა ქვეყანაშიაც ხარ, იმ ქვეყნის ქუდი უნდა გეხუროსო“. ჩვენ ერთმანეთს ვერ დავეთანხმეთ და დიდხანსაც მყავდა მამა გამწყრალი. მხოლოდ ღრმა მოხუცებულებაში რომ შევიდა, მაშინ შემირიგა“ [1].

ამ პრინციპს ემსახურებოდა აკაკი წერეთელი მთელი ნახევარი საუკუნის მანძილზე და მართლაც პირადულზე ხელაღებული ფარვანასავით დაიფერფლა იგი სამშობლოს უანგარო სამსახურში. ამიტომ იყო, რომ აკაკის მთელი ერი აღმერთებდა, თაყვანს სცემდა როგორც ეროვნული თავისუფლებისათვის მებრძოლ მოღვაწეს. მაგრამ, ამავე დროს, მას მტრებიც ყავდა. მისი მტრები უმთავრესად კარიერისტები და გადაგვარებული ქართველები იყვნენ, რომლებსაც არ აკლებდა „ლოცვა-კურთხევას“ ეშმარიტებისათვის მებრძოლი პოეტი.

სამართლიანად შენიშნავს პროფესორ მ. ზანდუკელი: „აკაკი წერეთელი, როგორც ილია ჭავჭავაძე და სხვა თერგდალეულები... იმ ახალგაზრდობას ეკუთვნის, რომელიც ახალი, თვალსაჩინოთ ფერცვლილი ცხოვრებისათვის მომზადების მიზნით რუსეთს წავიდა და რუსეთის 60-იანი წლების საზოგადოებრივი აზროვნების დიდი გავლენა განიცადა“ [2].

---

[1] აკაკი წერეთელი, „ჩემი ნაწერები“, ტ. I, გვ. 162 — 163.
[2] მ. ზანდუკელი, ტ. II, გვ. 320. მეორე გამოცემა.

გიორგი წერეთელი

„ეგზამენები გათავდა. დიტო სახელმწიფო ხარჯით უნივერსიტეტში გაგზავნის ღირსი გახადეს...

186... წელს ოქტომბრის 20-ს გულმოდგინეთ ისმენდა პეტერბურგის უნივერსიტეტის ზალაში ერთი მშვენიერი ახალგაზრდა სტუდენტის ამაღელვებელ სიტყვას. ამ ზალაში იმ დროს ორას სტუდენტამდის იყო მოგროვილი და ყველას დიდად აღელვებდა კათედრიდან მოლაპარაკე ახალგაზრდა". ასე მთავრდება გ. წერეთლის ავტობიოგრაფიული მოთხრობა „ჩვენი ცხოვრების ყვავილი".

დიტო ეს თვით გიორგი წერეთელია და ის ახალგაზრდა, რომელიც უნივერსიტეტის „ზალაში" ლაპარაკობდა ამაღელვებლად, ჩვენთვის უკვე ცნობილი ნეკლიუდოვია, რომელმაც-საჟტო დარბაზში საჯაროდ წაიკითხა პროკლამაცია «К молодому поколению».

გიორგი ექვთიმეს ძე წერეთელმა 1860 წელს დაამთავრა ქუთაისის გიმნაზია და გაემგზავრა პეტერბურგისაკენ უმაღლესი განათლების მიღებად. 1860 წელს ჩარიცხულ იქნა იგი პეტერბურგის უნივერსიტეტის ფიზიკა-მათემატიკის ფაკულტეტის საბუნებისმეტყველო განყოფილებაზე. ცხოვრებაში გამოუცდელი 19 წლის ყმაწვილი პირველად შეეჯახა პეტერბურგის მღელვარე ქუჩებს და უნივერსიტეტის ოპოზიციურად მოაზროვნე ახალგაზრდობას. იგი ჯერ კიდევ გულუბრყვილო ბავშვი იყო, რომელსაც არც კი გაეგონა მთავრობისა და ღმერთის საწინააღმდეგო სიტყვები. ნ. ნიკოლაძე საინტერესო ცნობებს გვაწვდის გ. წერეთლის სტუდენტობის პირველი დღეების შესახებ.

„ახალი გათავებული გვქონდა ეგზამენები, როცა აგვისტოს დამლევს თბილისიდან ყმაწვილები ჩამოვიდნენ, სახელმწიფო ხარჯით გამოგზავნილები. მათ რიცხვში ორი ჩემი ამხანაგი ერია ქუთაისის გიმნაზიაში კურსდამთავრებულები. ღრეჩიას უნცროსი ძმა ჭიჭიკო და გოგიტა ლენჩი. ჭიჭიკო თავის ძმასთან ჩამოხტა, ლენჩი კი ჩვენსას"[1].

---

1 ნ. ნიკოლაძე, ტ. I, გვ. 73. პროფ. ს. ხუნდაძის აზრით, ჭიჭიკო არის ნ. ღოღობერიძის ძმა — სიმონ ღოღობერიძე. ნ. ღოღობერიძის მეორე ძმა დავითი მონაწილე იყო 1861 წლის სტუდენტთა მოძრაობისა, რისთვისაც იჯდა იგი ციხეში. გოგიტა ლენჩი კი გიორგი წერეთელია. — კ. მ.

„გოგიტა ლენჩი ერთბაშად ჩვენი ამხანაგი შეიქნა, გულითადი ამხანაგი, ისეთი, რომელსაც კაცი არც თავის აზრს დაუმალავს, არც მის აზრს დაუტოვებს გამოურკვეველად... მართალია, პირველი კვირის განმავლობაში ცოტაოდენი უთანხმოება ატყდა ჩვენსა და იმას შუა, მაგრამ რა მალე მოვთავსდით, რა მალე დავძმობილდით!..“[1]

უთანხმოების მიზეზი მათი ხასიათის სხვადასხვაობა იყო. გ. წერეთელი უაღრესად ღვთის მოშიში და მორწმუნე ახალგაზრდა იყო, როდესაც ამქვეყნიური ბოროტების არაფერი გაეგებოდა, მაშინ როდესაც ძისი მასპინძლები ათეისტობდნენ და სხვადასხვა წიგნების წაკითხვის შედეგად ოპოზიციურ მოსაზრებებს გამოთქვამდნენ ამა თუ იმ საკითხებზე.

მაგრამ გ. წერეთელმა მალე საერთო ენა გამონახა ახალ ამხანაგებთან და არათუ მათი მებრძოლი იდეები მოიწონა, არამედ, მალე იგი ჩაითრია პეტერბურგის მღელვარე ქუჩებმა თავის ბობოქარ ტალღებში და სხვებთან ერთად ჩადგა მებრძოლთა რიგებში. მოკლე დროის განმავლობაში ამ გულუბრყვილო ახალგაზრდამ აქტიური მონაწილეობა მიიღო სტუდენტთა რევოლუციურ მოძრაობაში. ასეთი დიდი მნიშვნელობა ჰქონდა პეტერბურგის უნივერსიტეტს და თვით მებრძოლ ქალაქს ქართველი ახალგაზრდობის წრთობის საქმეში.

ბუნებრივი ნიჭის მქონე გ. წერეთელი მალე დაინტერესდა საზოგადოებრივი საკითხებით, იგი მჭიდროდ დაუკავშირდა მებრძოლ ახალგაზრდობას და მათ შორის საპატიო ადგილიც დაიკავა.

„მალე ჩვენს პატარა სახლობაში, — წერს ნ. ნიკოლაძე, — ახალი... წრე შესდგა თავისთავად, მივჯდებოდით ხოლმე კუთხეში ჩვენ სამნი— ქერაძე[2], ლენჩი, და მე, ხანდისხან ფილიპეც[3] მოგვიჯდებოდა და ვიწყებდით სჯას,... „ხმა მაღლა ფიქრს“. გადავარჩევდით. რაც მაქნამდე გესმენოდა, ან წაგვეკითხა, ვსჯიდით თვითეულ აზრს, რომელიც კი თავში გაგვკრავდა, ვაშენებდით ოცნებებს, როგორც პაწია ბავშვები ბანქოს სახლებს აწყობენ, ანდა ვისხედით ჩუმათ, ჩაფიქრებული... მერე მოვშორდებოდით ერთმანეთს, კითხვას ვიწყებდით, და ისევ ერთად ვსჯიდით ახალ ამოკითხულ აზრებს... ასე ვფიქრობდით ერთად და ასე ვსჯიდით ერთმანეთის გამოკითხვით ყველაფერს... ასე მიფრინავდნენ დღეები და კვირეები, თითქოს ერთი წუთის მეტი არ გაგვიტარებია“[4].

უცნაურია, მაგრამ ფაქტია, თითქოს ქართველი სტუდენტები თავი-

---

[1] ნ. ნ ი კ ო ლ ა ძ ე, ტ. I, გვ. 74.
[2] დავით აბდუშელიშვილი.
[3] კირილე ლორთქიფანიძეა.
[4] ნ. ნ ი კ ო ლ ა ძ ე, ტ. I, გვ. 76.

დანვე გრძნობდნენ, რომ ერის მომავალი მათზე იქნებოდა დამყარებული და ისინი არა მარტო უნივერსიტეტის დისციპლინებს ითვისებდნენ, არამედ ფართო სამოღვაწეო ასპარეზისათვის ემზადებოდნენ.

გ. წერეთელი 1861 წელს პეტერბურგის უნივერსიტეტში მომხდარი მღელვარების აქტიური მონაწილე გახდა.

საინტერესოა, რომ გ. წერეთელმა ნიშნად პროტესტისა ახალი ტიპის მატრიკული არ მიიღო. 1861 წლის 12 ოქტომბერს, უნივერსიტეტიან ის იმ დროს გამოცხადდა, როდესაც ჯარისკაცებს დაპატიმრებული სტუდენტები ალყაშემორტყმული ციხისაკენ მიჰყავდათ. მან, სხვა სტუდენტებთან ერთად, ძალით გაარღვია ჯარისკაცთა რიგები და თავის ნებით შეუერთდა ციხისაკენ მიმავალ სტუდენტებს. ერთი კვირის განმავლობაში პეტრეპავლეს ციხეში იყო, ხოლო შემდეგ სხვებთან ერთად კრონშტადტში გადაიყვანეს. ციხეში სტუდენტებს საგამომძიებლო კომისიამ კითხვარები დაურიგა, რომელზედაც პასუხი გასცეს პატიმრებმა. ეს პასუხები მოთავსებულია გამოძიების საერთო საქმეში, რომელიც 500-ზე მეტ ფურცელს შეიცავს.

12 ოქტომბერს სტუდენტთა დაპატიმრებისა და ჯარისკაცებთან შეტაკების შესახებ დაწვრილებითი ცნობები მოცემულია გ. წერეთლის საბრალმდებლო აქტში. აქვეა მოთავსებული სხვა ქართველი სტუდენტების: კ. ლორთქიფანიძის, ნ. ნიკოლაძის, დ. ღოღობერიძის, დ. აბდუშელიშვილის, ბ. ღოღობერიძის, გ. ჯავახიშვილის და სხვათა საქმეები.

უნდა აღინიშნოს ისიც, რომ, როგორც ამ დოკუმენტებიდან ჩანს, ქართველი სტუდენტები პოლიციის მოხელეებთან და კომისიის წევრებთან გაბედულებას იჩენდნენ. ისინი პოლიციის ყოველ კითხვაზე მოფიქრებულსა და აზრიან პასუხებს იძლეოდნენ. ზოგჯერ მათი მოქმედება გაკვირვებასაც კი იწვევს, თუ საიდან შეითვისეს ამდენი გამოცდილება და მოხერხება ამ პირტიტველა ყმაწვილებმა?

მაგალითად, გ. წერეთელი 12 ოქტომბერს უნივერსიტეტთან გამოცხადების მიზეზად საინტერესო ფაქტებს ასახელებს.

„რადგან ოქტომბრის 5 რიცხვში მე გამოვიცვალე ბინა, ვალდებული ვიყავი ამის შესახებ მეცნობებია ს. პეტერბურგის უნივერსიტეტის ინსპექტორისათვის, მაგრამ უნივერსიტეტში მე არ შემიშვეს მატრიკულის უქონლობის გამო... მე შემეძლო უკან დავბრუნებულიყავი სახლში, მაგრამ მივდიოდი რა სასახლის ხიდისაკენ, დავინახე უნივერსიტეტის საპარადო შესასვლელთან დიდი რაოდენობა სტუდენტობისა და გვერდზე მთელი ასეული ჯარისკაცებისა. იმ წამსვე გავემართე იქეთ, რათა გამეგო, რაში იყო საქმე, მაგრამ როგორც კი მივუახლოვდი სტუდენტებს, მეც კინაღამ მოვყევი მათ რიცხვში. შემდეგ გავემგზავრე საცენზურო კომიტეტის ახლო ჭიშკართან, საიდანაც შეიყვანეს უნივერსიტეტის ეზოში სტუდენტები და გადაკეტეს კარები.

ამ დროს ჟანდარმთან ერთად მოვიდა ცხენით ობერპოლიცმეისტერი პატკული. რამდენიმე ხნის შემდეგ ცენზურის კომიტეტთან გააღეს ჭისკარი და ეზოდან გამოიყვანეს სტუდენტები იმისათვის, რომ წაეყვანათ ციხეში. უცებ ჩვენი მხრიდან გაისმა გამომშვიდობების ყვირილი, რომელმაც შეაშფოთა პატკული. ყველანი მივმართავდით ჟანდარმებს, დაეპატიმრებინეთ ჩვენც. ისინი გააფთრებით დაგვესხნენ ჩვენ და მიგვიმწყვდიეს კედელთან ისე, რომ კინაღამ მოვხვდი ჟანდარმის ცხენის ფეხქვეშ, რომ საბედნიეროდ არ გადავმხტარიყავ უნივერსიტეტის კედელთან პატარა ორმოში. ამის შემდეგ მათ უბრძანეს უკან დახევა და ჯარისკაცები შემოგვერტყნენ ჩვენც და წაგვიყვანეს პეტრეპავლეს ციხეში.

კავკასიის კომიტეტის სტიპენდიანტი გიორგი წერეთელი“ [1].

დამატებით კითხვებზე პასუხის გაცემის დროს გ. წერეთელი აღნიშნავს:

„1. სტუდენტთა მოლაპარაკების შესახებ, რომ ეცემათ მატრიკულიანტებისათვის და წაერთმიათ მათთვის მატრიკულები, სრულიად არაფერი ვიცი.

2. არამცთუ ვცდილობდი კარებში შეჭრას, არამედ მათთან ახლოსაც არ მივსულვარ, ხოლო ვიდექი ჯიხურის (будка) მახლობლად და დავდიოდი უნივერსიტეტის ტროტუარზე წინ და უკან.

3. არ გამიგია, რომ ობერპოლიცმეისტერს ეთქვას სტუდენტებისათვის დაიშალენითო, არც კი დაუნახავთ ის, რომ მისულიყო მეორე პარტიის სტუდენტებთან.

4. პირველი პარტიის სტუდენტების გამოსვლის შემდეგ სრულებით არ მქონია განზრახვა, რომ შევვარდნილიყავი უნივერსიტეტის ეზოში, ან გამეწყვიტა ჯარისკაცების ჯაჭვი.

5. რომ სტუდენტები სცემდნენ კეტებით ჟანდარმებს ან პრეობრაჟენსკის პოლკის ჯარისკაცებს, არ დამინახავს. მხოლოდ ვხედავდი, ჩემ წინ მდგომი ერთი სტუდენტი როგორ ჩაეჭიდა აღვირში ჟანდარმის ცხენს, რომელიც ძლიერ იწევდა მისკენ და როგორ დასწია უკან. თვით მე მოვასწარი შევარდნა უნივერსიტეტის კედლის კოშკზე და ვიდექი ისე, რომ ხელები არ გამინძრევია.

6. ციხისაკენ სვლის დროს ჩხუბი არ ყოფილა.

7. გზაში ციხისაკენ სვლის დროს სრულებით არ მომიხდია ქუდი და არ მითქვამს არაფერი ოფიცრებისა და ჯარისკაცებისათვის. გ. წერეთელი“ [2].

---

[1] ЦГИАЛ, фонд 14, опись 59, дело 6629, год 1861, стр. 367—368.

[2] იქვე.

ამ ჩვენების ჩამორთმევამდე გაჩხრიკეს ყველა დაპატიმრებული სტუდენტის საცხოვრებელი ბინა, და მათ შორის გ. წერეთლის ოთახიც. ამ დროს გ. წერეთელთან ერთად ცხოვრობდნენ სტუდენტები: დ. აბდუშელიშვილი და ქვარიანი.

გაჩხრეკის დროს გ. წერეთლის ბინაზე მთავრობის საწინააღმდეგო დოკუმენტი ან აკრძალული ლიტერატურა არ აღმოჩნდა. გაჩხრეკის აქტში ნათქვამია:

„1861 წლის ოქტომბრის 16 დღესა, უფროსის დავალებით მე-2 ადმინისტრატიული ნაწილის მე-3 კვარტალის ზედამხედველი (надзиратель) ბეკშლოვი მოვედი დიდი მეშჩანსკის ქუჩაზე № 7-ში ზოხიმის სახლში, რომელიც უპირავს რიგაში დაბადებულ რეინარტს, სადაც ცხოვრობდნენ ს.-პეტერბურგის უნივერსიტეტის სტუდენტები აბდუშელიშვილი და წერეთელი, რომლებსაც ქართველ ქვარიანთან ერთად დაქირავებული ჰქონდათ ერთი ოთახი რეინარტიდან, ნივთებში და ქაღალდებში გაჩხრეკის დროს საეჭვო არაფერი აღმოჩენილა“ [1].

ცხადია, 16 ოქტომბერს გაჩხრეკის დროს საეჭვო დოკუმენტებს ვერ იპოვნიდნენ 12 ოქტომბერს დაპატიმრებულთა ბინაზე, თუკი ასეთი იყო, 4 დღის განმავლობაში მის გადამალვას მოახერხებდნენ გ. წერეთლის ამხანაგები, თუნდაც მასთან მცხოვრები ქვარიანი, რადგან ამ ბინაზე მთავრობის საწინააღმდეგო დოკუმენტების აღმოჩენა თვით ქვარიანისათვის იქნებოდა სახიფათო.

გ. წერეთელმა კრონშტადტის სიმაგრეში ორი თვე გაატარა, ბოლოს სპეციალურმა კომისიამ გამოარკვია მისი საქმე და გამოძიების შედეგად, უმცროსი კურსის სტუდენტებთან ერთად, თავდებით გაანთავისუფლეს იგიც.

მიუხედავად იმისა, რომ გ. წერეთელს აკრძალული ჰქონდა პეტერბურგში ცხოვრება, იგი მაინც იქ რჩება და 1862 წელს ისევ აგრძელებს უნივერსიტეტში სწავლას.

როგორც ზემოთ აღნიშნეთ, 1862 წელს აღდგენილ იქნა აღმოსავლური ენებისა და ფიზიკა-მათემატიკის ფაკულტეტები. გ. წერეთელსაც განუზრახავს სწავლის გაგრძელება აღდგენილ ფაკულტეტზე და ამ მიზნით მას განცხადება შეუტანია პეტერბურგის ოლქის მზრუნველის სახელზე, ხოლო პეტერბურგის ოლქის მზრუნველი თავის მხრივ შუამდგომლობს განათლების მინისტრთან გ. წერეთლის უნივერსიტეტში ხელახლად ჩარიცხვის შესახებ.

---

[1] ЦГИАЛ, фонд 1405, опись 59, дело 6637, год 1861, стр. 145.

«Господину Министру Народного
Просвещения...

Из числа студентов, относящихся к этой категории (იგულისხმება I, II და III კურსის ყოფილი სტუდენტ.— კ. მ.) обратились ныне с прошением о принятии их вновь в студенты С.-Петербургского университета по физико-математическому факультету следующие:...

Церетели Георгий...
Гогоберидзе Давид...

Я имею честь покорнейше просить Ваше Превосходительство о разрешении зачислить означенных выше людей в число студентов С.-Петербургского университета...

Попечитель. (подпись.)
6 октября, 1862 г.» [1].

როგორც ჩანს, გ. წერეთელი ისევ ჩარიცხულა პეტერბურგის უნივერსიტეტში და გაუგრძელებია სწავლა ფიზიკა-მათემატიკის ფაკულტეტის საბუნებისმეტყველო განყოფილებაზე. 1863 წელს იგი პეტერბურგის უნივერსიტეტის სტუდენტთა სიაშია. მაგრამ როგორც შინაგან საქმეთა სამინისტროს დოკუმენტებიდან ჩანს, პატიმრობაში ნამყოფ სტუდენტებზე მეთვალყურეობა და საქმის ძიება დიდხანს არ შეწყვეტილა. მათ საქმიანობას იძიებდნენ არა მარტო უნივერსიტეტის კედლებში, არამედ შინაგან საქმეთა სამინისტროს მკაცრი კონტროლის ქვეშ იმყოფებოდნენ ისინი არდადეგების პერიოდშიაც დასასვენებელ ადგილებზე.

შინაგან საქმეთა სამინისტროს დავალებით პეტერბურგის ოლქის მზრუნველი უნივერსიტეტის დროებით კომისიას ავალებს გადასცეს შინაგან საქმეთა კანცელარიას არდადეგებზე წასული სტუდენტების სია ადგილსამყოფელის აღნიშვნით.

«Временной комиссии, учрежденной для управления С.-Петербургского университета.

По особенным обстоятельствам нынешнего года Министерство Внутренних Дел признало необходимым иметь сведения о тех студентах, которые будут увольняемы в губернии на вакационное время»[2].

უნივერსიტეტის ადმინისტრაციას შინაგან საქმეთა სამინისტროს კანცელარიისათვის გადაუგზავნია ასეთი სია და ამ სიის 46 ნომერზე დასახელებულია გ. წერეთელიც.

«В особенную канцелярию Господина Министра Внутренних Дел.

В дополнение к отношению моему от 24 июля за № 1785 честь имею препровождать при сем в особенную канцелярию Г. Ми-

[1] ЦГИАЛ, фонд 733, опись 27, дело 325, год 1862, стр. 12—13.
[2] ГИАЛО, фонд 14, дело 67, опись 25, связка 3903, год 1863, стр. 8.

нистра Внутренних Дел список студентов С.-Петербургского университета, уволенных в отпуск с 9 прошлого июля по 2 число сего августа.

Испр. должность Инсп. студен. (подпись)

Список студентов
С.-Петербургского университета уволен. в отпуски
3. августа 1863 г.

Фамилии и имена	Курс	Разряд	Вероисповедание	Куда, на какой срок уволены
Церетели Георгий	2	Естеств.	Правосл.	8 июня в Царскую Славянку по 15 августа

— ერთი წლის განმავლობაში სრულიად შეიცვალა გ. წერეთლის პოლიტიკური სახე, მოწინავე იდეებით შეიარაღებული სტუდენტი მალე მებრძოლი ახალგაზრდობის რიგებში ჩადგა და მთელი ხანგრძლივი სიცოცხლის განმავლობაში, როგორც მწერალსა და საზოგადო მოღვაწეს, არ გადაუხვევია მოწინავეთა პოზიციებიდან. ამის გამო გ. წერეთელი, სამოციანი წლების სხვა ქართველ მოღვაწეებთან ერთად, შეტანილია რუსეთის რევოლუციური მოძრაობის მატიანეში. აქ მის შესახებ წერია: «Церетели Георгий студент СПБ. университета, за участие в Петербург. студенч. волнениях 1861 г. заключен 12 окт. с. г. в Петроп. крепость, из которой 17 октября переведен в Кронштадт. Освобожден в декаб. 1861 г.»[1].

აქვე მოთავსებულია ციხის ფორმაში — წელზევით გადაღებული გ. წერეთლის სურათი, რომელსაც ასეთი წარწერა აქვს:

«Г. Церетели с группой, снятой в Кроншт. Казарме в 1861 г. из соб. муз. «Каторга и ссылка». (იქვე).

ასეთი რთული გზა განვლო გ. წერეთელმა პეტერბურგში და 1864 წელს ახალი იდეებით შეიარაღებული გამოემგზავრა საქართველოსაკენ. მართალია, სტუდენტობის პერიოდში მხატვრული შემოქმედების თვალსაზრისით, მნიშვნელოვანი არაფერი შეუქმნია მას, მაგრამ საქართველოში ჩამოსვლის შემდეგ არაჩვეულებრივი ინტენსიურობით შეუდგა ლიტერატურულ მუშაობას და სამოციანი წლების მოღვაწეთა შორის თვალსაჩინო და მრავალფეროვანი მემკვიდრეობა დაგვიტოვა.

პეტერბურგში მიღებული თეორიული ცოდნა მან მხატვრულსა და

[1] Деятели революционного движения в России, Био-библиографический словарь, т. I, часть вторая, Шестидесятые годы, столб, 440, Москва, 1928 г.

პუბლიცისტურ ნაწერებში პრაქტიკულად განახორციელა. აღსანიშნავია ისიც, რომ პეტერბურგის უნივერსიტეტის სტუდენტების ცხოვრება მხატვრულ ნაწარმოებშიაც წარმოადგინა და ზოგიერთი მათგანის დახასიათებაც მოგვცა.

თუ პეტერბურგის უნივერსიტეტის ყოფილი ზოგიერთი ქართველი სტუდენტის მიმართ გ. წერეთელმა არამართებული ნიჰილისტური დამოკიდებულება გამოამჟღავნა, სამაგიეროდ მან დადებით პირად გამოიყვანა პოლონელი სტუდენტი ხ... სკი („კიკოლიკი, ჩიკოლიკი და კუდაბზიკა").

„ეს ყმაწვილი (ხ... სკი. — კ. მ.) ისტორიულ და საპოლიტიკო საგნებზე ათავებდა კურსს და, როგორც მაშინ მითხრეს, მამულის მსხვერპლად ემზადებოდა. იყო კაცი კარგი მოლაპარაკე, ტკბილი და მეგობრული ყოფაქცევისა, ორჯერ რომ ვისმეს დალაპარაკებოდა, იმის გულს მიიზიდავდა..."[1]

გ. წერეთლის გადმოცემით ხ... სკი დიდ გავლენას ახდენდა ქართველ სტუდენტებზე. მისი მსჯელობა და ტკბილი საუბარი იზიდავდა ქართველ ახალგაზრდებს. ხ...სკის საუბარი ეხებოდა მაშინდელ საჭირბოროტო საკითხებს. იგი აიდეალებდა გარიბალდის გმირობას და ყველა ჩაგრული ერის მაგალითად სახავდა იტალიის განმათავისუფლებელ მოძრაობას. გ. წერეთლის აზრით ხ... სკიმ ისე მიიზიდა ქართველი სტუდენტები, რომ თავი დაანებეს კიკოლიკს და ერთბაშად ხ... სკისთან დაიწყეს სიარული.

„...ამის შემდეგ კიკოლიკთან აღარ წავსულვართ მე და ჩემი ამხანაგი. ჩვენ გავიკვლიეთ გზა თვითონ ხ... სკის სადგომისაკენ და ამის შემდეგ დღე და ღამე ძილი აღარ გვქონია. როგორც კი მივიდოდით ამ ჩინებულ სწავლულ კაცთან, ის ან წიგნებით გარშემორტყმული დაგვხვდებოდა. თვითონ-კი სწერდა ან კითხულობდა, ან და გულ-ცხარედ უმტკიცებდა ხოლმე თავის ამხანაგებს რომელსამე შესანიშნავს ისტორიულს გამოკვლევას"[2].

ეს ფაქტი საუკეთესო მაგალითია ქართველი და პოლონელი სტუდენტების მეგობრობისა, რომლის საფუძველზე ვითარდებოდა ეროვნული თავისუფლების იდეები და ერთ ბედში მყოფი ქვეყნების — პოლონეთისა და საქართველოს შვილები ერთნაირი ძალით ირაზმებოდნენ საერთო მტრის ცარიზმის წინააღმდეგ.

გ. წერეთელი ამ ჯგუფის ერთ-ერთი იმ წევრთაგანი იყო, რომელსაც მთელი თავისი მოღვაწეობის მანძილზე ძირს არ დაუხრია ბრძოლის

---

[1] გ. წ ე რ ე თ ე ლ ი, „კიკოლიკი....", 1920 წ. გამოცემა, გვ. 86.
[2] „ქ ვ ე", გვ. 114—115.

დროშა. იგი ჯერ კიდევ 19 წლის ყმაწვილი, ჩადგა ხალხთა თავისუფ-ლებისათვის მებრძოლთა რიგებში და მთელი თავისი სიცოცხლის გან-მავლობაში ამ საქმეს ერთგულად ემსახურებოდა, როგორც პოეტი და მოქალაქე. სამოციანი წლების სხვა ქართველ მოღვაწეებთან ერთად იმანაც პირველი რევოლუციური ნათლობა პეტერბურგის ქუჩებში მიიღო.

ნიკო ნიკოლაძე

სამოციანი წლების ინტელიგენტთა შორის თვალსაჩინო როლი ითამაშა გამოჩენილმა ქართველმა მწერალმა და საზოგადო მოღვაწემ ნიკო ნიკოლაძემ. იგი ჯერ კიდევ 17 წლისაც არ იყო, როდესაც 1861 წელს პეტერბურგის უნივერსიტეტში ჩაირიცხა სტუდენტად. ყველას ანცვიფრებდა წვერულვაშიან სტუდენტებს შორის მცირეწლოვან, ტანით პატარა და ბავშვური შესახედაობის ნ. ნიკოლაძის გამოჩენა.

„მე უნდა მოგახსენოთ, რომ ახალი შესრულებული მქონდა მაშინ მეთექვსმეტე წელიწადი და ტანადობითაც ისეთი პატარა ვიყავი, — წერს ნ. ნიკოლაძე, — რომ ყველა „ციდა-ნახევარს“ მიძახოდა“ [1].

იქვე დასძენს „მომცრო ტანისა ვიყავი, უწვერ-ულვაშო და ბავშვური შეხედულება მქონდა“.

თავიდანვე ნ. ნიკოლაძეს მამა სავაჭრო საქმისათვის ამზადებდა. იგი ფიქრობდა, ამ დარგში ღირსეული მემკვიდრე ეყოლებოდა შვილის სახით „...მამა-ჩემს არამც და არამც არ უნდოდა ჩემი გაგზავნა მაღალს სასწავლებელში... რადგან ის სიყრმიდანვე ვაჭრათ მამზადებდა...“[2]

მაგრამ ნ. ნიკოლაძემ, მამის სურვილის წინააღმდეგ, პეტერბურგის უნივერსიტეტში შესვლა გადაწყვიტა, ერთ მშვენიერ გაზაფხულის დღეს სამი ახალგაზრდა: ნ. ნ ი კ ო ლ ა ძ ე, დ. ა ბ დ უ შ ე ლ ი შ ვ ი ლ ი და გ. მ ე ს ხ ი ორპირიდან ნავებით ფოთისაკენ გაემგზავრნენ. ერთი დღის ცდის შემდეგ ბათუმიდან ფოთის ნავთსადგურს გემი „დიდი მთავარი კონსტანტინე“ მოადგა და ახალგაზრდებმა ქერჩამდე ზღვით იმოგზაურეს. ქერჩიდან საფოსტო ეტლებით, ხარკოვზე და კურსკზე გავლით, მოსკოვამდე რამდენიმე კვირას იარეს. მოსკოვიდან კი ბოლო მოეღო ტანჯულ მოგზაურობას და რკინიგზით პეტერბურგამდე 600 ვერსი 24 საათში გაიქროლეს.

ნ. ნიკოლაძე თავისი ამხანაგებით პეტერბურგში 9 მაისს ჩავიდა. „სამნი ვიყავით მეთქი, ხნითაც და გამოცდილებით უფროსი ჩვენგანი

---

[1] ნ. ნ ი კ ო ლ ა ძ ე, ტ. I, გვ. 36.

[2] ი ქ ვ ე, გვ. 50.

იყო საულ ქერაძე...[1] მეორე იყო გიგო თავძარა...[2] და მესამე — მე... სამივეს ეგზამენი გვქონდა დასაჭერი უნივერსიტეტში შესასვლელად"[3].

პეტერბურგში ახლადჩამოსულები ღრეჭიას[4] ბინას მიადგნენ.

„მოვძებნეთ ის სახლი, — წერს ნ. ნიკოლაძე, — სადაც ძველი სტუდენტი ღრეჭია იდგა... შიშით და კრძალვით ჩამოვარაწკუნეთ ზარი შინი კარების წინ. კარი მაინც დიდხანს დაგდული დარჩა. ხმის ამოუღებლად ერთმანეთს მივჩერებოდით ჩვენ სამივე. ვერც კი ვბედავდით ერთმანეთისთვის გვეკითხა: „იქნებ მეორეჯერ დარეკვა სჯობდესო"[5].

ასეთი მოკრძალებითა და მორიდებით ეწვივნენ ისინი პირველად ჩრდილოეთის თვალწარმტაც ქალაქს — პეტერბურგს. ყმაწვილებზე დიდი შთაბეჭდილება მოახდინა პეტერბურგის ხალხმრავალმა ქუჩებმა და ნევაში უზარმაზარი ყინულების მოძრაობამ.

მაგრამ ახალგაზრდობის მთავარი ყურადღება და ოცნება მაინც უნივერსიტეტის კედლებისაკენ იყო მიპყრობილი.

ნათქვამია რა ქვეყანაში ჩახვალ, იმ ქვეყნის ქუდი უნდა დაიხუროო, და ჩვენმა ახალგაზრდებმაც არა მარტო ქუდი დაიხურეს იმ ქვეყნისა, არამედ მთლიანად ტანისამოსიც შეიცვალეს. მკერავ რაუზერთან ნისიათ კოსტიუმი შეიკერეს, ხოლო მეჩექმე გოზეს ფეხსაცმელებიც გამოართვეს და უნივერსიტეტის კარებს მიაშურეს.

ნ. ნიკოლაძეს მისაღები გამოცდები უნდა ჩაებარებინა ხუთ საგანში. განსაკუთრებით მას ლათინური ენის უცოდინარობა აფერხებდა, მაგრამ კირილე ლორთქიფანიძე დაეხმარა. ამას ხელს უწყობდა ისიც, რომ ნიკოლაძე კირილეს ოთახში ცხოვრობდა.

ნ. ნიკოლაძემ, ფრანგული ენის ეარდა, გამოცდები წარჩინებით ჩააბარა, განსაკუთრებით თავი ისახელა რუსული ლიტერატურის ცოდნით. ამის თაობაზე იგი თავის მოგონებაში წერს: „ნუ დაივიწყებთ, რომ ცოდა-ნახევარი ტანი მქონდა, რომ პირტიტველა ვიყავი... და წარმოიდგინეთ, რომ პეტერბურგის უნივერსიტეტის ზალაში, ეგზამენატორების წინ წამომდგარი ამ სახის ბაღანა, ოთხასიოდე წვერულვაშიან ვაჟკაცებს შუა... ბევრს ეგონა ვინმე სტუდენტს პაწია ძმა მოჰყოლია სეირის საცქერლათაო... პროფესორს, რომ მიუახლოდი... გაკვირვებით მკითხა: ნუთუ შენც საეგზამენოთ მოსულხარო?.. მკითხა, განა წაგიკითხავს რამე რუსული ლიტერატურიდამო? გამეცინა და მივუგე — დიახაც — წამი-

---

1 დავით აბდუშელიშვილი.

2 გიორგი მესხი.

3 ნ. ნიკოლაძე, ტ. I, გვ. 36.

4 ღრეჭია — ნიკო ღოღობერიძე.

5 ნ. ნიკოლაძე, ტ. I, გვ. 36.

კითხავს-თქო. პუშკინს იცნობო? — დიახ-მეთქი"! ასე გაბედულად პასუხობდა ნ. ნიკოლაძე გამომცდელს და მართლაც ისე წარჩინებით ჩააბარა რუსული ლიტერატურა, რომ პროფესორი იძულებული გახდა ეკითხა: „ვინ გასწავლიდა ქუთაისში რუსულ ლიტერატურასაო" [1].

ასე გახდა ნ. ნიკოლაძე პეტერბურგის უნივერსიტეტის სტუდენტი. ნიკო ნიკოლაძის პირადი საქმიდან [2] ჩანს, რომ ის 1861 წ. 15 სექტემბერს ჩარიცხულია იურიდიული ფაკულტეტის ადმინისტრაციულ განყოფილებაზე. ამის შესახებ ნ. ნიკოლაძის მატრიკულში სწერია: „ქალაქ ქუთაისის მოქალაქე, პირველდაწყებითი განათლება მიიღო ქუთაისის საგუბერნიო გიმნაზიაში, რომლისგანაც აქვს ატესტატი კურსის დასრულებისა 20 იანვრის თარიღით № 134, მაგრამ ს.-პეტერბურგის უნივერსიტეტში სტუდენტად შესვლისათვის გაიარა შემოკლებული გამოცდები".

მატრიკულის შემდეგ გვერდზე ვკითხულობთ:

„ნიკო ნიკოლაძე მიღებულია 1861 წლის 15 სექტემბერს გამოცდით ს.-პეტერბურგის საიმპერატორო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის ადმინისტრაციული განყოფილების პირველ კურსზე..." [3]

დიდი ინტერესით დაეწაფა ნ. ნიკოლაძე პროფესორების ლექციებს. აღფრთოვანებული და აღტაცებული ისმენდა მათ ყოველ სიტყვას, „ისეთი სიხარულით და სურვილით დავიარებოდი ამ ლექციებზე, — წერს ნ. ნიკოლაძე, — რომ კაცს ეგონებოდა, საქეიფოდ მიდისო. პირველი ლექცია ჩემ დღეში არ დამავიწყდება. გული ისე მიძგერდა, ისეთი აღელვებული ვიყავი, და ისეთი მოწიწებით გადავიქეცი სმენად, თითქოს პირველჯერ საყვარლის ნახვა მღირსებოდეს და მისი ტიკტიკით ვტკბებოდი" [4].

ყველაზე მეტად ნ. ნიკოლაძეს პროფესორების: კოსტომაროვის, სტასულევიჩის და სპასოვიჩის ლექციები იზიდავდა, მაგრამ დიდხანს არ გაგრძელებულა ეს აღტაცების დღეები. 18 სექტემბერს ლექციები

---

[1] ნ. ნ ი კ ო ლ ა ძ ე, ტ. I, გვ. 71.

[2] იხ. «Дело правления Императорского С.-Петербургского университета о принятии в число студентов Николая Николадзе» (ГИАЛО, фонд 14, дело 2107, год 1861—1862).

აქ დასახელებულ ნ. ნიკოლაძის პირად საქმეში მოთავსებულია შემდეგი დოკუმენტები: 1. ცნობა უნივერსიტეტის სტუდენტად ჩარიცხვის შესახებ, 2. თხოვნა რექტორის სახელზე მისაღებ გამოცდებზე დაშვების შესახებ, 3. მატრიკული, 4. თხოვნა რექტორის სახელზე უნივერსიტეტში ჩარიცხვის მოწმობის მიცემის შესახებ, 5. თხოვნა რექტორის მოვალეობის აღმასრულებლის სახელზე უნივერსიტეტიდან გარიცხვის მოწმობის მიცემის თაობაზე, 6. უნივერსიტეტიდან გარიცხვის მოწმობა.

[3] ი ქ ვ ე.

[4] ნ. ნ ი კ ო ლ ა ძ ე, ტ. I, გვ. 83.

დაიწყო და 25 სექტემბერს უკვე უნივერსიტეტის შესასვლელი კარები დახურეს. როგორც უკვე ვნახეთ ნ. ნიკოლაძე სტუდენტთა მოძრაობის აქტიური მონაწილე იყო, ყველა საჯარო სხდომაზე, მიტინგებზე და დემონსტრაციებში ღებულობდა მონაწილეობას, ეს „ციდა-ნახევარი“ ბალღი მალე მებრძოლ სტუდენტთა მოწინავე რიგებში აღმოჩნდა.

12 ოქტომბერს ნ. ნიკოლაძე, როგორც სტუდენტთა ამბოხების მონაწილე, დაპატიმრებულ იქნა. ისიც ჯერ პეტრეპავლეს ციხეში იყო მოთავსებული და შემდეგ კრონშტადტში გადაიყვანეს. 19 ოქტომბერს წარმოებული დაკითხვის დროს ვრცელსა და საინტერესო პასუხს აძლევს გამომძიებელ კომისიას ნ. ნიკოლაძე. პასუხიდან აშკარად ჩანს „პირტიველა“ და „ციდა-ნახევარი“ ყმაწვილის აზრიანი მსჯელობა და გაბედული საქმიანობა. ნ. ნიკოლაძე ცდილობს, პირიქით, დასდოს ბრალი მთავრობის მოხელეებს უხეში და უსამართლო მოქმედებისათვის; რომ სტუდენტები მოატყუა პოლიციის მოხელემ ობერპოლიცმეისტერის გამოუცხადებლობის გამო, რომ უხეშად ეპყრობოდნენ პატიმარ სტუდენტებს ჯარისკაცები, პოლიციელები და სხვ.

მოგვაქვს ნ. ნიკოლაძის ვრცელი პასუხი:

„მეძახიან ნიკო იაკობის ძე ნიკოლაძეს. ვარ პეტერბურგის უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის ადმინისტრატიული განყოფილების პირველი კურსის ყოფილი სტუდენტი. შვილი ვარ იაკობ ნიკოლაძისა. დაბადებული ქუთაისის გუბერნიაში, ქუთაისის მაზრის, ქალაქ ქუთაისში, თვრამეტი წლისა დაბადებიდან. სარწმუნოებით მართლმადიდებელი. აღსარებასა და ზიარებაზე ვყოფილვარ. ამა წლის 12 ოქტომბერს, დილის 10 საათზე, მე გავემგზავრე სახლიდან (საცხოვრებელი მაქვს შუა მეშჩანსკის და სტალიარნის შესახვევის კუთხეში) საკუთარ საქმეზე სავანელთან ერთად, რომელიც ცხოვრობს ვასილევის კუნძულზე, საშუალო პროსპექტისა და მცირე ნევის სანაპიროს კუთხეში. მივედი რა უნივერსიტეტის შენობის ახლოს, დავინახე რამდენიმე სტუდენტი, რომლებიც ელაპარაკებოდნენ პოლიციის ჩინოვნიკს. როცა მე მივედი მათთან, ის ჩინოვნიკი ურჩევდა სტუდენტებს. დაშლილიყვნენ და შემდეგ შეკრებილიყვნენ სადმე, ქალაქს გარეთ. მან ილაპარაკა რამდენიმე ხანს და წავიდა. ხუთი წუთის შემდეგ ისევ მოსულმა გვითხრა, რომ მან გაგზავნა ოფიცერი ს.-პეტერბურგის ობერპოლიცმეისტერთან, მაგრამ ობერპოლიცმეისტერს მოსვლა არ შეუძლიაო. ჩვენ დავიწყეთ საუბარი ურთიერთშორის ასე, რომ შედგა რამდენიმე წრე. ყველანი ვლაპარაკობდით ხმადაბლა. არ გასულა ათი წუთი რომ მოვიდა ეს უკანასკნელი. მაშინ ჩვენ გვიბრძანეს, ობერპოლიცმეისტერის სახელით, დაიშალენითო. ჩვენ გვინდოდა დავშლილიყავით და ბევრი ჩვენგანი წავიდა დიდი ნევის სანაპიროს მიმართულებით. დანარჩენი სტუდენტები, რომლებიც მი-

დიოდნენ ნელა ალყაშემორტყმულნი იქნენ პოლიციელების მიერ. ამავე დროს მოვიდა ჟანდარმთა ჯარი და ქვეითი ნაწილი, ბატონმა ობერპოლიცმეისტერმა უბრძანა ჟანდარმებს შემორტყმოდნენ სანაპიროზე მიმავალ სტუდენტებს.

ჟანდარმები გაიქცნენ ხმლებამოღებულნი და შემოერტყნენ დაშლის პროცესში მყოფ სტუდენტებს. ისინი მიიყვანეს და შეუერთეს პოლიციელებშემორტყმულ პირველ პარტიას. ასე, რომ ყველა სტუდენტი და კერძო პირი, უნივერსიტეტის ახლო მყოფნი წაყვანილნი იქნენ. პოლიცმეისტერმა ბრძანა ჩვენი შერეკა უნივერსიტეტის კარებში ჯარისკაცებისა და პოლიციელების მოწოლით. აქედან ჩვენ შევედით ეზოში, სადაც დაიწყეს თვითეულის აღწერა. ეს გაგრძელდა ერთნახევარ საათს და ამ დროის განმავლობაში პირველად ჩვენ სრულებით არ გვიშვებდნენ ეზოში, მაგრამ შემდეგ, რომ მიგვეღო ნებართვა უნდა გვეთხოვა კერძო ბოქაულისათვის. მიუხედავად იმისა, რომ ეს უკანასკნელი უშვებდა ზოგიერთებს პოლიციელებიდ, რამდენი შრომა იყო საჭირო პოლიციელებისადმი თხოვნისათვის. ისინი გვპასუხობდნენ უხეშად... რომ თქვენი წყალობით დილიდან საღამომდე ვდგევართ ფეხზეო. ჩაწერის დამთავრებისას ჩვენ გამოგვიყვანეს ცენზურის ჭიშკართან. გზაზე დავინახეთ ჩვენი ამხანაგები და ნაცნობები, რომლებიც გვემშვიდობებოდნენ. ჯარისკაცებმა, რომლებსაც მივყავდით ნამდვილად წარმოიდგინეს, რომ თითქოს მათ უნდოდათ ჩვენი ჩამოშორება. გვერდებში და ზურგში ხელისკვრით გვაიძულებდნენ ჩქარა გავყოლოდით მათ. დანარჩენი ჩვენი მოგზაურობა პეტრეპავლეს ციხემდე მთლიანად ისევე იყო, როგორც დასაწყისში. ოფიცრები, მიუხედავად ჩვენი თხოვნისა და საჩივრისა ჯარისკაცებზე, არ გვაქცევდნენ არავითარ ყურადღებას და მთელ გზაზე ვიმყოფებოდით, როგორც დაუცველი მსხვერპლი თავდაუჭერელი, ცოფმორეული, შიმშილისაგან გაღიზიანებული ჯარისკაცებისა... 14 სტრიქონში დამატებულია სავანელი. ნ. ნიკოლაძე.

შეთქმულების შესახებ, რომ ძალათ წაერთმიათ მატრიკულები სტუდენტებისათვის უნივერსიტეტში შეჭრის შემდეგ, მე არასოდეს არ გამიგონია, რომ პოლიციის ჩინოვნიკი გვირჩევდა დაშალენითო და ობერპოლიცმეისტერი გვიბრძანებდა, ამის შესახებ მე ვთქვი ზემოთ, იმის შემდეგ მე შევჩერდი უნივერსიტეტთან, არც მე არც სხვა ვინმე ძალით არ შესულა კარებში და მე არ მგონია, რომ ვინმე ძალით შესულიყვეს კარებში მანამდე. მე თვითონ არ ვცემივარ ჯარისკაცებს და არც დამინახავს, რომ ვინმე სხვა ეცა მათ. იმ დროს მე და თითქმის ყველა ფიქრობდა იმას, თუ როგორ გადაგვერჩინა ჩვენი ზურგი ჯარისკაცების დარტყმისაგან. მოწოდება ხალხისადმი „За нами, ура!“ მე არ მსმენია. მე არ დამინახავს ვინმე, რომ თანაგრძნობა გამოეწვია ხალხში სიტყვით

ან ქუდის ქნევით. ჩვენ მაშინ ხალხთან ლაპარაკის თავი არ გვქონდა. ასევე ხალხიდან მე არაფერი გამიგონია. კეტი არასოდეს არ მქონია და არ დამინახავს ისეთი ჩემს ახლოს მყოფისათვის, ოფიცრებისათვის ჯარისკაცებზე საჩივრის გარდა, მე არაფერი მითქვამს, და არავისაგან გამიგონია, ეთქვას, რომ ჩვენი სახელი იქნება დაბეჭდილი „კოლოკოლში" ან მსგავსი ამისა, რომ პასუხს აგებთ მომავალი თაობის წინაშე სტუდენტებისათვისო-და სხვა. ნ. ნიკოლაძე" [1].

როგორც ვხედავთ, ნ. ნიკოლაძე ამ საინტერესო ისტორიული ფაქტის აქტიური მონაწილეა. ნ. ნიკოლაძის და, საერთოდ, დაპატიმრებული სტუდენტების დაკითხვები მიმდინარეობდა კომისიის მიერ წინასწარ შედგენილი კითხვარების მიხედვით. ამის შესახებ ნ. ნიკოლაძე წერს: „ნოემბრის შუა რიცხვებში, როგორც იქნა, გვეღირსა და პეტერბურგიდან ჩამოვიდა უმაღლესი მთავრობისაგან დამტკიცებული კომისია... კომისიამ... დაგვირიგა დაბეჭდილი დასაკითხავი ფურცლები, ურიცხვი კითხვებით, სადაც საკუთარი ხელით უნდა ჩაგვეწერა დაწვრილებით საპასუხო ცნობები. მათ შორის იყო ისეთი უცნაური კითხვები, როგორც. მაგალითად, ვემუქრებოდით თუ არა ჩვენ დამტყვევებელ ოფიცრებს, რომ მათი სახელები ზიზღით იქნებოდა მოხსენებული „კოლოკოლში"[2].

სტუდენტთა მოძრაობის საქმის შემსწავლელმა სპეციალურმა კომისიამ უმცროსი კურსის სტუდენტები და მათ შორის ნ. ნიკოლაძეც ორი თვის პატიმრობის შემდეგ გაანთავისუფლა.

ნ. ნიკოლაძეს, როგორც პატიმრობაში ნაბყოფს, ეკრძალებოდა პეტერბურგში ცხოვრება, მაგრამ იგი ისე მჭიდროდ დაუკავშირდა ამ ქალაქს და ისე გაიტაცა რევოლუციურმა მოძრაობამ, რომ საპყრობილედან გამოსვლის შემდეგაც არალეგალურად ისევ პეტერბურგში დარჩა.

მართლაც, ამ მიზნით ნ. ნიკოლაძე აკაკი წერეთლის ბინაზე გადავიდა საცხოვრებლად. ამდენად, ნ. ნიკოლაძე პატიმრობის შემდეგაც კვლავ რევოლუციონური მოძრაობის ცენტრში — პეტერბურგშია და აქტიური მონაწილეა მისი ცხოვრების.

დოც. გ. აბზიანიძე სამართლიანად შენიშნავს, რომ „პეტერბურგის სტუდენტთა არეულობაში მონაწილეობა და კრონშტადტის კაზემატებ-

---

1 ЦГИАЛ, фонд № 1405, 1861 г., опись № 59, дело 6629, стр. 142.
2 ნ. ნიკოლაძე, ტ. I, გვ. 117—118.

ში გატარებული დღეები პირველი რევოლუციური ნათლობა იყო ნ. ნიკოლაძისათვის“ [1].

ნ. ნიკოლაძე საინტერესოა იმითაც, რომ ამ მოძრაობის შესახებ მეტად მნიშვნელოვანი დოკუმენტები დაგვიტოვა „სტუდენტობის პირველი დრო“ და „მოგონებანი სამოციან წლებზე“. ეს უკანასკნელი, რუსულად თარგმნილი, „Воспоминания о шестидесятых годах“ — დაიბეჭდა 1927 წელს ჟურნალ „Каторга и ссылка“-ს 34-ე ნომერში. უნდა აღინიშნოს ისიც, რომ სამოციანი წლების პეტერბურგის სტუდენტთა მოძრაობის შესახებ ბევრი საინტერესო მოგონებაა დაწერილი რუსეთში, მაგრამ ნ. ნიკოლაძის მოგონება გამოირჩევა საკითხის სისწორისა და შინაარსის სისრულით.

როგორც ზემოთ გვქონდა აღნიშნული, ქართველი მკვლევარები დღემდე მხოლოდ ნ. ნიკოლაძის მოგონებას ეყრდნობოდნენ და სხვა პირველწყაროებს ამ საკითხზე არ იცნობდნენ, მაგრამ ცხადია, მხოლოდ ეს მოგონება, როგორ კარგადაც არ უნდა ყოფილიყო დაწერილი, ვერ მოგვცემდა მთლიან წარმოდგენას პეტერბურგის პერიოდის თერგდალეულთა საქმიანობის შესახებ.

აღსანიშნავია ისიც, რომ ამ მოკლე ხანში გამოქვეყნდა ვ. გ. ბასკაკოვის სოლიდური შრომა „ჩერნიშევსკის მსოფლმხედველობა“.

შრომა ყურადღებას იპყრობს იმით, რომ ავტორი სიმპათიურ დამოკიდებულებას იჩენს ქართველი მოღვაწეებისადმი. საკმაოდ ჩერდება სამოციანი წლების გამოჩენილ ქართველ მწერლებზე: ილია ჭავჭავაძეზე, აკაკი წერეთელზე, გ. წერეთელზე, ნ. ნიკოლაძეზე, კ. ლორთქიფანიძეზე, ბ. ღოღობერიძეზე, ნ. ღოღობერიძეზე და სხვებზე. მაგრამ მას მასალად გამოყენებული აქვს არსებითად ნ. ნიკოლაძის მოგონება და ნაწილობრივ ისარლიშვილის „Характеристики и воспоминания“. სხვა შემთხვევაში ბასკაკოვი წყაროებზე არ მიუთითებს, რის გამო ეს წიგნი ქართველ მოღვაწეთა შესწავლის თვალსაზრისით, უფრო საინტერესოა არაქართველი მკითხველისათვის.

რევოლუციური მოძრაობის მატიანეში ნ. ნიკოლაძე ყველა ქართველ მოღვაწეზე ვრცლად არის წარმოდგენილი. მოგვაქვს ეს ადგილი: „ნიკო იაკობის ძე ნიკოლაძე — პუბლიცისტი, სამართლის დოქტორი ციურიხის უნივერსიტეტისა... ღებულობდა მონაწილეობას 1861 წლის 12 ოქტომბრის სტუდენტთა მოძრაობაში. დაპატიმრებული იყო პეტრეპავლეს ციხეში, რომლისგანაც 17 ოქტომბერს გადაიყვანეს კრონშტადტში. გაანთავისუფლეს 6 დეკემბერს 1861 წელს. ცხოვრობს პეტერ-

---

[1] გ. აბზიანიძე, ნიკო ნიკოლაძე, ლიტერატურული ძიებანი, ტ. V, გვ. 55.

ბურგში პოლიციის მეთვალყურეობის ქვეშ. თანამშრომლობს „კოლოკოლში“. 1864 წელს გაემგზავრა საზღვარგარეთ. 1866 წელს ჟენევაში დაბეჭდა ბროშურა „ნიკიფორე გ.“ ფსევდონიმით, „მ თ ა ვ რ ო ბ ა და ა ხ ა ლ გ ა ზ რ დ ა თ ა ო ბ ა“. ეს წარმოადგენდა გამოხმაურებას კარაკოზოვის ალექსანდრე მეორეზე თავდასხმისას და სხვა...[1]

ასეთი იყო ნ. ნიკოლაძის პირველი რევოლუციური დებიუტი, რომელიც დიდი მოაზროვნისა და საზოგადო მოღვაწის მიერ ცხოვრების ბოლოზე მტკიცედ გადადგმულ პირველ ნაბიჯად უნდა ჩაითვალოს.

---

[1] Деятели революционного движения в России, Био-библиографический словарь, том первый, часть вторая, Шестидесятые годы, Москва, 1928 год.

დავით ყიფიანი

დავით ქაიხოსროს ძე ყიფიანი დაიბადა 1835 წელს. 1856 წელს დაამთავრა თბილისის კლასიკური გიმნაზია და მიღებული იქნა სტუდენტად პეტერბურგის უნივერსიტეტის იურიდიულ ფაკულტეტზე. იგი ღებულობდა კავკასიის კომიტეტის სტიპენდიას. 1861 წელს დაამთავრა პეტერბურგის უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტი კანდიდატის ხარისხით. მისი სადისერტაციო თემა იყო „მეფე ვახტანგ VI სამართალი". დავით ყიფიანის შრომამ დიდი მოწონება დაიმსახურა პეტერბურგის უნივერსიტეტის პროფესორთა შორის. ამით მან დაამტკიცა იურიდიული მეცნიერების ღრმა ცოდნა.

თავდაპირველად იგი გვერდს უვლის თავის პირდაპირ დანიშნულებას და უფრო კეთილშობილურ საქმეს, პედაგოგიურ მოღვაწეობას ჰკიდებს ხელს. მან თბილისში პირველმა გახსნა კერძო სასწავლებელი პანსიონით, სადაც იგი მიზნად ისახავდა ახალგაზრდობის პატრიოტულ აღზრდას. ამ დიდ სახალხო საქმეს მან საკუთარ ენერგიასთან ერთად, მატერიალური საშუალებებიც კი შესწირა.

დავით ყიფიანის სააღმზრდელო სისტემა არსებითად განსხვავდებოდა მაშინ სკოლებში გაბატონებულ ჯოხის რეჟიმისაგან. იგი სასტიკად ილაშქრებდა ფიზიკური დასჯის წინააღმდეგ და თავისუფალი აღზრდის პრინციპს ქადაგებდა, რამაც მას, როგორც განათლების დარგის ცნობილ მოღვაწეს, დიდი სახელი მოუხვეჭა.

რამდენიმე ხნის შემდეგ დ. ყიფიანი იძულებული გახდა, თავი დაენებებინა პედაგოგიური მოღვაწეობისათვის და კავკასიაში ახალი სამმართველოების შექმნასთან დაკავშირებით იგი იწყებს მომრიგებელ მოსამართლედ მუშაობას რაჭაში. მსგავსად ილია ჭავჭავაძისა, დ. ყიფიანი მშრომელი გლეხობის ინტერესების დამცველის როლში გამოდის. იგი ცდილობს მშვიდობიანობა ჩამოაგდოს მოდავეთა შორის. ამავე თანამდებობაზე მუშაობს შემდეგ წლებში ქუთაისში, ხოლო 1877 წლიდან სიკვდილამდე, 15 წელი მუშაობდა თბილისში ნოტარიუსად.

1892 წელს 18 ოქტომბერს, თავის მამულში, სოფელ ქვიშხეთში, გარდაიცვალა დავით ქაიხოსროს ძე ყიფიანი.

იგი იყო ილია ჭავჭავაძის თანამოკალმე. სამწერლო ასპარეზზე გა-

მოდის თერგდალეულებთან ერთად. თანამშრომლობს ჟურნალ „საქართველოს მოამბეში“ და „ივერიაში“. კარგად იცოდა ინგლისური ენა, რამაც საშუალება მისცა დ. ყიფიანს ეთარგმნა ინგლისურიდან შექსპირის „დიდი ალიაქოთი არაფრისათვის“. აგოეთვე გადმოთარგმნა ჟორჟ ზანდის ნაწერები.

ყურადღებას იპყრობს დავით ყიფიანის მეტად საინტერესო სტატიები ქართული ენის გრამატიკისა და ქართული სალიტერატურო ენის საკითხებზე. თავის დროზე მნიშვნელოვანი როლი შეასრულა მისმა ეკონომიური და ისტორიული ხასიათის სტატიებმა.

ამ დროს „ცისკარში“ იბეჭდებოდა დ. ბაქრაძის და სხვების გრამატიკის წინააღმდეგ მიმართული სტატიები. ისინი ამტკიცებდნენ გრამატიკის, როგორც მეცნიერების, უსარგებლობას და ამაზე დახარჯულ შრომას უშედეგოდ დაკარგულად თვლიდნენ. ამ მცდარი დებულების დასამტკიცებლად მათ ზოგჯერ მოჰქონდათ უცხოეთის მაგალითებიც.

დავით ყიფიანი სამართლიანად უსაყვედურებდა დ. ბაქრაძეს მცდარი მოსაზრებების გამო და თავის მხრივ ცდილობდა გრამატიკის, როგორც ფილოლოგიური მეცნიერების, ფარგლების გაფართოებას.

„გრამატიკა არის ჯამი, — წერს დ. ყიფიანი, — სხვა სწავლისაგან შემდგარი, რომელსაც ევროპულს ენაში ჰქვიან ფილოლოგია. გრამატიკა ენის კანონების რიგზე დაწყობილი კრებაა“ [1]. ამავე დროს დავით ყიფიანმა საქვეყნოდ დაამტკიცა ძველი „დარბაისლური ენის მოტრფიალეთა სიბრძნის“ სიყალბე. მისი აზრით, ანტონ კათალიკოსის „ღვარჭნილი“ მეტყველების დამცველებს ჰგონიათ, რადგან მათ ლაპარაკს ხალხი ვერ გებულობს, მაშასადამე, ის ღრმა მეცნიერული აზრებს შემცველიაო.

— „ესენი ვითომ ღრმა მეცნიერების ყალიბში გამოსულები არიან და თავის მეცნიერებას ამით იჩენენ. — ესენი ის დარბაისლები არიან, რომლებზედაც ჩვენს საზოგადოებაში ხმა არის გავარდნილი, რომა ვითომ ძალიან ნაკითხი სწავლული მეცნიერები იყვნენ. ესენი თავის მეცნიერებას იმით ამტკიცებენ, რომ ღრმად ლაპარაკობენ, უთუოდ იმ ფიქრითა, რომა ღრმა აზროვნებასა მეტყველებაც ღრმა ეფერებაო. ეს სიმართლე და სიცრუე ეშმარიტებაც რომ იყოს, რასაკვირველია იმოდენა მიხვედრა როგორ არა აქვს, რომ ღრმა მეტყველება უფრო აზრის სიბნელესა ნიშნავს“ [2].

მსგავსად ილია ჭავჭავაძისა, დავით ყიფიანის აზრით, ენა, ისე როგორც ყოველი საზოგადოებრივი მოვლენა, განიცდის ცვალებადობას,

---

[1] „ცისკარი“, 1860 წ., № 9.

[2] „საქართველოს მოამბე“, № 3, გვ. 72.

ამდენად ძველი ცხოვრებისათვის შესატყვისი ენა, მისი აზრით, ახალი ცხოვრებისათვის შეუსაბამოა.

„...როგორც ყველაფერი ქვეყანაზედ და სხვათაშორის ენაც იცვლება, წარმატებაში შედის და ამ წარმატებასა და ცვლილებას თავისი ბუნებითი კანონი აქვს, რომლის წინააღმდეგობა ყოველთვის ფუჭია"[1].

დავით ყიფიანი არსებითად ილია ჭავჭავაძის დებულებებს ანვითარებს ენისა და საზოგადოებრივი მოვლენების საკითხში.

ილია ჭავჭავაძე წერდა: „ხშირად იქნება, რომ კანონები ერთ დროს საჭირონი, სხვა დროს უვარგისნი არიან ხოლმე, იმიტომაც ახალი ენა ძველს ენას არა ჰგავს, როგორც ახალი კაცი არა ჰგავს ძველ კაცსა"[2].

ამავე დებულებას დავით ყიფიანი ასე გამოთქვამს: „რამდენი უგნურება, ურიგ-მარიგობაა ქვეყანაზე, რომლის ჭეშმარიტებაზედაც — რამდენი საუკუნის განმაკლობაში რამდენი არის დარწმუნებულნი და ბოლოს კი შეიტყობენ, რომ ეს ჭეშმარიტება არ ყოფილაო. ამის ცოდნა ჩვენს დროში ურიგო არ არის"[3].

ილია ჭავჭავაძემაც ენის შემქმნელად, მის კანონმდებლად ხალხი აღიარა, — „ხალხია ენის კანონის დამდები და არა ანბანთ თეორეტიკაო"[4].

დავით ყიფიანი კი წერს — „ლიტერატურის ენად უნდა შედგეს მდაბიური ენა, ჩვენ ამის დაკანონება გვსურს... მაშასადამე გრამატიკის დამუშავებისათვის უპირველესი წყარო და საბუთი ნობა უნდა იყოს ცოცხალი ხალხის ენა"[5].

ასევე. დავით ყიფიანი საფუძვლიანად ილაშქრებს ძველი ქართული ორთოგრაფიის წინააღმდეგ და ცდილობს მეცნიერული არგუმენტებით დაამტკიცოს ასოების: უ. ჯ, ჭ, ჲ, Ჰ — დრმოუმულობა და დღევანდელ პირობებში მათი უსარგებლობა. ამრიგად, როგორც ვხედავთ, დავით ყიფიანი ილია ჭავჭავაძის თანამოაზრეა, მისი იდეების პოპულარიზატორი და გამავრცელებელია. მაგრამ განსაკუთრებულ ყურადღებას იპყრობს დავით ყიფიანის პოლიტიკურ-ეკონომიური ხასიათის სტატიები, რომელშიაც იგი თავისი დროისათვის სერიოზულ ანალიზს იძლევა ბატონყმური სისტემის ეკონომიური საფუძვლებისას და თვალსაჩინოდ ამტკიცებს ამ საზოგადოებრივი წყობის დამღუპველ თვისებებს.

თუ ილია ჭავჭავაძე თავისი უკვდავი ნაწარმოებებით სასტიკად იბრძოდა ბატონყმობის, როგორც მონურ პრინციპზე აგებული სოციალური

---

[1] „საქართველოს მოამბე", № 3, გვ. 84.
[2] ილია ჭ ა ვ ჭ ა ვ ა ძ ე, თხზულებანი, ტ. მე-4, გვ. 43.
[3] „საქარ. მოამბე", № 3, გვ. 102.
[4] ილია ჭ ა ვ ჭ ა ვ ა ძ ე. თხზულებანი, ტ. მე-4, გვ. 47.
[5] „საქართველოს მოამბე", № 3, გვ. 85 — 88.

სისტემის წინააღმდეგ და საქვეყნოდ ჰგმობდა მონურ შრომას, როგორც მთელი საზოგადოების განადგურების მიზეზს, დავით ყიფიანმა თავის პუბლიცისტურ სტატიებში კონკრეტული მაგალითების საფუძველზე დაამტკიცა ბატონყმური სისტემისა და მონური შრომის სისაძაგლე, მავნებლობა და ამდენად ასეთი სისტემის მოსპობის აუცილებლობა.

მონური შრომის უარყოფითი თვისება, დავით ყიფიანის აზრით, იმაში მდგომარეობს, რომ ამ შემთხვევაში საზოგადოების მხოლოდ ნაწილია ჩაბმული სასარგებლო შრომაში, მაგრამ უბედურება კიდევ იმაშია, რომ იმ ნაწილის შრომაც ნაკლებ ინტენსიურია, ნაკლებ ნაყოფიერია, რადგან შრომის შედეგი მშრომელს არ ეკუთვნის და ამდენად დაინტერესებაც არ არის.

დავით ყიფიანი წერს: „საზოგადოებაში რომ ერთი ნაწილი სულ არ შრომობდეს და სხვისი შრომით ირჩენდეს თავს და ამ შრომასაც რომ თავისუფლება არა ჰქონდეს, ე. ი. ურთიერთ ნებაყოფაზე დამოკიდებული რომ არ იყოს, საზოგადოებისათვის ცუდია თუ არა?.. ეს მდგომარეობა ორიეე ნაწილისათვის, შეტადრე მთელი საზოგადოებისათვის, სენია“[1].

აღსანიშნავია ისიც, რომ დავით ყიფიანი მონურ შრომას, ე. ი. ბატონყმურ სისტემას, მთელი საზოგადოების სენად აცხადებს, ეროვნულ უბედურებად მიიჩნევს. ბორკილგაყრილი შრომა ნაკლებად ქმნის დოვლათს, და ეს, მისი აზრით, საერთო სიღატაკეს იწვევს. ამის ნათელსაყოფად დავით ყიფიანს მოაქვს ხორბლის გამნიავებლის მაგალითი.

„მე რომ ეხლა თავისუფალი კაცი არ ვიყო, — წერს დავით ყიფიანი, — ფეხებში ბორკილი გაყრილი მქონდეს, ხეირიანი შრომა, ცხადია, არ შემეძლებოდა... ჩემის ნება-ყოფლობის წინააღმდეგობით ბატონმა კალოზე პურის გამანიავებელი რომ გამხადოს, რასაკვირველია, ნახევარ ხორბალს ბზეს გავაყოლებ. ჩემი ბატონიც რომ დარწმუნებული არ იყოს, რომ სხვისი შრომა აცხოვრებს, რასაკვირველია, უფრო იმხნევებდა და თავისუფალ შრომას გასწევდა... და თუ საზოგადოებაში ყოველი მისი წევრი ნაყოფიერათა შრომობს, საზოგაღოებაც კეთილმდგომარეობაში შევა. საზოგადოების კეთილმდგომარეობასა კერძოობითი პირების კეთილმდგომარეობაც უნდა მოჰყვეს თანა. სწორედ ისე, როგორთაც ერთ სახლობაში ყოველი წევრი რომ ნაყოფიერათა შრომობდეს, მთელი სახლობა კეთილმდგომარეობაში შევა და ამ სახლობის კეთილმდგომარეობაც თან მოყვება“[2].

---

[1] „საქართველოს მოამბე“, № 4, გვ. 109.

[2] ი ქ ვ ე.

დავით ყიფიანი ამ მნიშვნელოვანი ნარკვევით იმასვე ამტკიცებდა, რასაც ილია ჭავჭავაძე თავის ნაწარმოებებში მხატვრული სახეებით გვიჩვენებდა.

ყოველივე ამის შემდეგ შეიძლება ითქვას, რომ დავით ყიფიანი ილიას სკოლის, თერგდალეულების ჯგუფის, მნიშვნელოვანი წარმომადგენელია, მან თავისი ფილოლოგიური და ეკონომიური სტატიებით, უცხო ლიტერატურის თარგმნით, კორესპონდენციებითა და პრაქტიკული მოღვაწეობით საგრძნობი წვლილი შეიტანა სამოციანი წლების ქართული ლიტერატურისა და აზროვნების განვითარების საქმეში.

ნიკოლოზ ღოღობერიძე

ნიკოლოზ ბესარიონის ძე ღოღობერიძე დაიბადა 1838 წელს ქუთაისში, ღარიბი აზნაურის ოჯახში. ნიკოს მამა ბესარიონი თავისი დროისათვის განათლებული პიროვნება ყოფილა. პირველდაწყებითი სწავლა ბავშვს ოჯახში მიუღია დედის დახმარებით. ამის შემდეგ იგი მიაბარეს ქუთაისის გიმნაზიაში, მაგრამ ქუთაისის სასწავლებელი ნიკოს არ დაუმთავრებია და 1854 წელს თბილისის გიმნაზიაში გადასულა. თბილისში გადასვლის მიზეზი ყირიმის ომის დროს ქუთაისთან თათრის ჯარის მოახლოება ყოფილა. შიშით ქუთაისიდან მოსახლეობა გახიზნულა და დროებით სკოლებიც დახურულა.

ამის თაობაზე ნ. ნიკოლაძე წერს: „სამეგრელო თითქმის ერთნაირად თათრების ხელში ჩავარდა. ორპირს რაც ჯარებს სურსათი ჰქონდათ დამზადებული, მუხრან-ბატონმა სულ ერთიანად დააწვევინა, — თათრებს არ ჩაუვარდეს ხელშიო, ამ ცეცხლის ალი ქუთაისშიაც მოსჩანდა და ხალხს გულს უხეთქავდა, გიმნაზია და სხვა ყველა სასწავლებლები დახურეს და ბავშვები დაითხოვეს... ქუთაისი იმ დროს სულ დაცარიელებულს გავდა“.

მართლაც, ქალაქი მოსახლეობასაც დაუტოვებია და შორს გახიზნულან. თბილისიდან შეშინებული ნიკო ღოღობერიძე მამას სწერს: „თქვენმა უკანასკნელმა წერილმა მე ძლიერ შემაწუხა, რადგან კიდევ ლაპარაკობენ, ომარფაშამ დაიკავა მარანი. ყოველშემთხვევაში თქვენ კარგად მოიქეცით, რომ დატოვეთ ქუთაისი. როგორ გააწესრიგეთ სახლის და ქონების საქმე?.. ამბობენ, რომ ქუთაისის გიმნაზია დახურულიაო. რა კარგი იქნება, თუ თქვენ იმათ გამოგზავნით აქ... ნ. ღოღობერიძე, 1855 წ. 10 ნოემბერი, თბილისი“[1].

როგორც ჩანს, ფრონტზე მდგომარეობა მალე გამოსწორებულა და ომარფაშას ჯარებს უკან დაუხევია. გამარჯვებულ მურავიოვს თბი-

---

[1] საქართველოს სახელმწიფო ლიტერატურული მუზეუმი, ხელნაწ. № 43. წერილი დაწერილია რუსულ ენაზე. — კ. შ.

ლისში ბევრი ტყვე თათარი ჩამოუყვანია. შემდგომ წერილში ნიკო ღოღობერიძე მამას სწერს:

„ეხლა მხოლოდ ლაპარაკობენ, რომ ომარფაშამ მთლიანად დატოვა სამეგრელო და გურია. ყარსიდან დიდი ხანი არ არის, რაც მოიყვანეს ტყვეები. თათრები ჯგუფ-ჯგუფად დადიან. თბილისში თათრები უფრო მეტია, ვიდრე რუსის ჯარი. მურავიოვი თბილისშია. მე ვნახე ყარსის გმირი დამცველი პოლკოვნიკი ვილიამსი“ [1].

რაკი საერთო მდგომარეობა გამოსწორებულა და ქუთაისში სწავლა განახლებულა, ნ. ღოღობერიძეს მოუსურვებია ისევ ქუთაისის გიმნაზიაში გადმოსვლა, თუ სასწავლო წელი არ დაეკარგებოდა. ამის თაობაზე თბილისიდან მამას სწერს:

„თქვენ მწერთ, რომ სასწავლებლები გაიხსნა ქუთაისში, მაგრამ მე არ ვიცი დაკარგავენ თუ არა წელს იქაური გიმნაზიის მოსწავლეები. როგორ ფიქრობ მამიკო. დავრჩე მე თბილისში თუ არა. თუ ისევ გადმოვიდე ქუთაისის გიმნაზიაში. თუ თქვენ გადაწყვიტეთ უკანასკნელი, მაშინ, რისთვის უნდა დავრჩე აქ და მე ჩამოვალ ქუთაისში, იგულისხმება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ არ დამეკარგება წელი, მოელაპარაკე ამის შესახებ ივანე ვასილის ძე განგესოვს და, თუ არ დავკარგავ წელს, ჩამოვალ თქვენთან საღდგომოდ ბესარიონ ლევანის-ძესთან ერთად. ნ. ღოღობერიძე“[2].

ჩანს, ნ. ღოღობერიძე ქუთაისში არ დაბრუნებულა სწავლის გასაგრძელებლად და 1857 წელს დაუმთავრებია თბილისის გიმნაზია.

თბილისში იგი აგრეთვე სწავლობდა განთქმულ დაუს პანსიონში, სადაც აღმზრდელად იყო ისტორიის ცნობილი მასწავლებელი და საზოგადო მოღვაწე პოლონელი ლ. ზ ა გ ურ ს კ ი.

ზაგურსკიმ ჩაუნერგა ახალგაზრდა ნ. ღოღობერიძეს სამშობლოს სიყვარული და თავისუფლებისათვის ბრძოლის სურვილი. იგი რევოლუციური საქმიანობისათვის პოლონეთიდან საქართველოში იყო გადმოსახლებული და დიდ გავლენას ახდენდა ქართველ ახალგაზრდობაზე თავისი პროგრესული აზრებით.

გიმნაზიის დამთავრების შემდეგ ნ. ღოღობერიძე პეტერბურგის უნივერსიტეტში ჩარიცხულა ისტორიულ-ფილოლოგიურ ფაკულტეტზე თავისუფალ მსმენელად. ეს ჩანს უნივერსიტეტის რექტორის სახელზე სტუდენტობის დროს დაწერილი განცხადებიდან:

„ს.-პეტერბურგის უნივერსიტეტის ისტორიულ-ფილოლოგიურ ფაკულტეტის თავისუფალი მსმენელის ნიკო ღოღობერიძის

[1] საქართველოს სახელმწიფო ლიტერატურული მუზეუმი, ხელნაწერი № 39. წერილი დაწერილია რუსულად.

[2] საქართველოს ლიტერატურული მუზეუმი, ხელნაწერი № 40.

განცხადება!

ვადგენ რა ამასთან ერთად ძველ მოწმობას ს.-პეტერბურგის უნივერსიტეტში ლექციებზე დასწრების ნებართვის შესახებ, გთხოვთ... გასცეთ განკარგულება რათა მომცენ ახალი მოწმობა...

1860 წლის 8 ოქტომბერი. თავისუფალი მსმენელი

ნიკოლოზ ღოღობერიძე“ [1].

ქართველი სტუდენტები პეტერბურგში ხელმოკლედ ცხოვრობდნენ და მათ შორის ნიკოლოზ ღოღობერიძეც. ჯერ კიდევ ორი-სამი თვის ჩასული — პეტერბურგიდან მშობლებს უფულობის შესახებ საყვედურის წერილებს წერს. ნ. ღოღობერიძისა და საერთოდ ქართველი სტუდენტების საცხოვრებელი პირობების გასაგებად საინტერესო დოკუმენტს წარმოადგენს ნ. ღოღობერიძის პეტერბურგიდან მშობლების სახელზე გამოგზავნილი წერილი და აბიტომ მოგვაქვს იგი მთლიანად.

„14 ოქტომბერი 1857 წელსა.

უსაყვარლესო მშობლებო! თქვენი უკანასკნელი წიგნი მივიღე [2]. მე ეს ორი კვირაა, მეველოდი თქვენგან 25 თუმანს და მის მაგიერ მივიღე ხუთი. ამ ფულების საქმემ შეეიწროებულ მდგომარეობაში ჩამაგდო. ბ[illegible]დენხანს ჩემს ამხანაგებს მაინც ჰქონდათ და იმათ ვართმევდი, მაგრამ ახლა ყველას შემოაკლდათ და იგინიც დავარჩინე უფულოდ. ნაკაშიძის მმართებს 120 მანეთი და ბესარიონის 20. ამ უბედურებაზე კიდევ ბესარიონი ელოდა სახლიდამ ფულს, მაგრამ, არაფერი არ ისმის იქიდამ. არ ვიცი მოუვიდა თუ არა მამამისის პირველი წიგნი, რომელიც იმან მიწერა ჩემთან გიორგის სახელზე. თქვენ ბრძანებთ, რომ 30 მანეთი თვეში დიდი არისო სახარჯოთ. რასაკვირველია, მე იმას ვერ ვიტყვი, რომ ნაკლებ არ შეიძლებოდეს ცხოვრება, მაგრამ მაშინ შეეიწროებული ვიქნებით, და მის გარდა პეტერბურგს იმისთანა ჰავა არა აქვს, რომ იქ ისე შეეძლოს კაცს დააკლოს პატიენ თავის თავს, როგორც სხვა ადგილზედ. მაგრამ [illegible]ოგორც გენებოსთ, თქვენ უკეთ იცით თქვენი შეძლება. მე არასოდეს არ მივცემ თავს ნებას იმის თხოვნას, რაც თქვენთვის ძნელი იქნება. გაგიკვირვოთ იმისათვის, რომ მე შეუეიწროებლად ვიცხოვრო. ნ. ღოღობერიძე“ [3].

როგორც შემდგომი წერილიდან ჩანს, ნ. ღოღობერიძეს ამ წერილის საპასუხოდ არც წერილი მოსვლია და არც ფული. იმავე 1857 წლის 25 ნოემბერს იგი მშობლებს კვლავ საყვედურის ბარათს სწერს:

„ძვირფასო მამა! დიდი ხანია მე თქვენგან წიგნი არ მომსვლია და

---

1 ГИАЛО, фонд 14, дело 16237, связка 117, год 1860, стр. 174.

2 წერილი დაწერილია ძველი ორთოგრაფიით. მაგალითად, თქუმნი და სხვა. — კ. ბ.

3 საქართველოს ლიტერატურული მუზეუმი, ხელნაწერი 58.

მართლაც მეც კი კარგი ხანია თქვენთვის არ მომიწერია. მიზეზი იმისა: იყო ის, რომ ყოველდღე ველოდი თქვენგან ფულებსა და წიგნს და მერე ერთად მინდოდა პასუხი მომეწერა, მაგრამ ჯერ კი არაფერი მომსვლია.

უფულობამ ცუდს მდგომარეობაში ჩაგვაგდო მე ჩემის ამხანაგებით, ეს ორი კვირაა ერთი კაპიკიც არ გვქონია ჯიბეში. აწ კი იმედი მაქვს ფული მალე მომივა. უფრო მრცხვენია ნაკაშიძისა, რომლის ფული მმართებს და მის გამო დარჩა უფულოთ.

თქვენი მორჩილი შვილი ნ. ღოღობერიძე, პეტერბურგი.

25 ნოემბერი 1857 წ.“ [1].

ნიკო ღოღობერიძე ქართველ სტუდენტთა შორის დიდი ავტორიტეტით სარგებლობდა. ილია ჭავჭავაძის საქართველოში გამომგზავრების შემდეგ ქართველი სტუდენტების მეთაური ნ. ღოღობერიძე გახდა. ამას. სხვათა შორის, ამტკიცებს ნ. ნიკოლაძის სიტყვებიც:

„ჩვენს წრეში, პოეტის ილია ჭავჭავაძის სამშობლოში დაბრუნების შემდეგ 1861 წლის ზაფხულს (სწორედ ჩვენი ჩასვლის წინ), უდავო გავლენა მოიპოვა ნიკო ღოღობერიძემ, რომელიც იმ შემოდგომაზე ისტორიულ-ფილოლოგიურ ფაკულტეტს ასრულებდა და რომელიც იერონიმე სავონაროლაზე საკანდიდატო დისერტაციის მზადებაში იყო“[2].

ნ. ღოღობერიძის სტუდენტობის წლების შესახებ საინტერესო ცნობებს გვაწვდის გ. წერეთელი მოთხრობაში „კიკოლიკი, ჩიკოლიკი და კუდაბზიკა“, სადაც, როგორც ადრევე აღვნიშნეთ, კიკოლიკის სახით ავტორს ნ. ღოღობერიძე ჰყავს გამოყვანილი.

ცხადია, კიკოლიკმა — ნ. ღოღობერიძემ, — დარიგება და ჭკუის სწავლება დაუწყო ახალჩასულ „ბღარტებს“, ეს კი გ. წერეთელს არ მოსწონებია და ამავე მოთხრობაში საყვედურს გამოთქვამს კიკოლიკის მიმართ.

ნიკოლოზ ღოღობერიძე პეტერბურგის უნივერსიტეტში ისეთ ცოდნასა და წარჩინებას იჩენდა, რომ მას თხოვეს დარჩენა, რათა მომზადებულიყო პროფესორად, მაგრამ უარყო პირადი ინტერესები და საქართველოში გამოემგზავრა თავისი ქვეყნის ხალხის სამსახურისათვის.

ნიკოლოზ ღოღობერიძე პეტერბურგში ყოფნის დროს დაუახლოვდა დობროლუბოვს, ჩერნიშევსკის, პანტელეევს და სხვებს. იგი აქტიური მონაწილე იყო 1861 წლის სტუდენტთა მღელვარებისა, მისმა მახვილ-

---

[1] საქართველოს ლიტერატურული მუზეუმი, ხელნაწერი 43.

[2] ნ. ნიკოლაძე, ტ. I, გვ. 94.

გონივრულმა მოწოდებამ: „ვინც მშიშარა ხართ, სახლში დარჩითო“, დარაზმა ქართველი ახალგაზრდობა დემონსტრაციაში მონაწილეობის მისაღებად.

საქართველოში დაბრუნებული ნიკო ღოღობერიძე დიდი სიყვარულით შეუდგა ხალხის სამსახურს. პირველად მასწავლებლობას მოჰკიდა ხელი და თბილისის გიმნაზიაში ასწავლიდა გეოგრაფიასა და ლათინურ ენას. 1863 წელს ილია ჭავჭავაძის ჟურნალ „საქართველოს მოამბის“ ისტორიულ ნაწილს განაგებდა. იგი ერთ-ერთი დამაარსებელია გაზეთ „დროებისა“ და ბაქრაძესთან ერთად ინიშნება კავკასიის ქრისტიანობის აღმდგენელი საზოგადოების სკოლების ინსპექტორად.

ამ ხანებში ნ. ღოღობერიძე, დ. ბაქრაძე და გ. წერეთელი მოგზაურობენ საქართველოს მთიან რაიონებში სკოლების დასაარსებლად და ჩვენი ხალხის ზნე-ჩვეულებების შესასწავლად. ამ მოგზაურობამ ხელი შეუწყო გ. წერეთელს დაეწერა „კიკოლიკი, ჩიკოლიკი და კუდაბზიკა“.

ნიკო ღოღობერიძეს დიდი დამსახურება მიუძღვის საქართველოში კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებების ორგანიზაციის საქმეში. გარდა სკოლების დაარსებისა, იგი აქტიური მონაწილეა ქართული სტამბის გახსნისა და წიგნების გამოცემის ამხანაგობებისა.

1868 წლიდან ნ. ღოღობერიძე დანიშნული იქნა თბილისის მაზრის მომრიგებელი მოსამართლის თანამდებობაზე, აქედან გადაყვანილ იქნა ქუთაისში მომრიგებელ მოსამართლედ. იყო ნოტარიუსად ქუთაისის საოლქო სასამართლოში. როდესაც ქუთაისში სათავადაზნაურო ბანკის მმართველი ბესარიონ ღოღობერიძე გარდაიცვალა, ამავე თანამდებობაზე არჩეული იქნა ნიკო ღოღობერიძე. შემდეგ იგი ხელს ჰკიდებს შავი ქვის მრეწველობის საქმეს და უნარიანადაც ხელმძღვანელობს მას. მანვე დაამტკიცა პეტერბურგში ქუთაისის საურთიერთო ნდობის კრედიტის საზოგადოება და არჩეული იქნა ბანკის პირველ თავმჯდომარედ. ამ თანამდებობაზე ყოფნის დროს მას ბევრი უსიამოვნება შეხვდა. მის წინააღმდეგ დაიწყო ოპოზიციური ბრძოლა. პირადად ცხოვრობდა ძლიერ უბრალოდ, თავისი ქონება საზოგადოებასა და სტუდენტი ახალგაზრდობის აღზრდას მოახმარა. საკუთარი ბინა არასოდეს არ ჰქონია, სასტუმროში მხოლოდ ერთი პატარა ოთახი ეჭირა ყოველთვის.

1911 წლის 27 დეკემბერს ნიკო ღოღობერიძე გარდაიცვალა თბილისში, სასტუმრო „ორიანტში“.

ნიკო ღოღობერიძის სამწერლო მოღვაწეობა არ არის მრავალფეროვანი. მის კალამს ეკუთვნის სხვადასხვა სტატიები პერიოდულ გამოცემებში, წერდა ევროპის სახელმწიფო კონსტიტუციის შესახებ, ასტრონომიის საკითხებზე, ბამბის მოშენებასა და მის მნიშვნელობაზე. მან ქართულად თარგმნა და გამოსცა მარი ბროსეს „საქართველოს ისტო-

რიის“ ორი ტომი. მის დამსახურებას ქართველი ხალხის წინაშე ასე აღნიშნავენ თანამედროვენი:

„არ ყოფილა არც ერთი საზოგადო საქმე, რომელშიაც ნიკო ღოღობერიძეს არ მიეღოს მხურვალე მონაწილეობა, არ ყოფილიყვეს მხურვალე მოჭირნახულე ჩვენი ქართველობისათვის სასარგებლო საქმისა, რომელი საზოგადო საქმე გინდათ დაასახელოთ, რომ ნიკოლოზ ღოღობერიძეს არ ჰქონდეს ერთი უმთავრესი ადგილი, არ შეეტანოს თავისი წვლილი ამ საქმეში, არ მოჰკიდებოდეს გულმხურვალედ, არ აღმოეჩინოს შესაფერი დახმარება... ბანკის საქმეში, ქალაქის თვითმმართველობის შემოღებაში, სწავლა-განათლების საქმეში, ჟურნალ-გაზეთების დაარსებაში, შავი ქვის მრეწველობის საქმეში, მას ყოველთვის ერთი უმთავრესი ადგილი ეჭირა, მისი ჭკუითა და გამოცდილებით ყველ› სარგებლობდა, მის სიტყვასა და საქმეს ფასი ჰქონდა“ [1].

მისი პირადი ღირსებისა და ადამიანობის შესახებ სტატიაში აღნიშნულია: „ნიკოლოზ ღოღობერიძე... იყო დინჯი, განათლებული, ლმობიერი, ჭკუადამჯდარი, მეტისმეტი ზრდილობიანი, ზედმიწევნით პატიოსანი და შრომისმოყვარე... ნიკოლოზ ღოღობერიძეს ფანტაზია ნაკლებად ჰქონდა განვითარებული. მასში ინტელექტი სჭარბობდა. ეს მისი ნაკლიც იყო და ღირსებაც. ის ასჯერ გაზომავდა და ერთხელ გასჭრიდა. ის პრაქტიკის კაცი იყო, ყველაფერს ჭკუის თვალსაზრისით გადაწყვეტდა, ოცნებას და ფანტაზიას არ გაჰყვებოდა. რა საქმეშიც ყოფილა ყველა კარგად შეუსწავლია, ყველა პატიოსნად და ჯეროვნად შეუსრულებია“[2].

ცხადია, ნიკო ღოღობერიძემ, როგორც რუსეთის მოწინავე კულტურის ტრადიციებზე აღზრდილმა, თავისი საქმიანობით ერთგვარი წვლილი შეიტანა თერგდალეულთა საერთო მოქმედებაში.

ილია ჭავჭავაძისა და აკაკი წერეთლის გარშემო დარაზმულ ჯგუფს საერთო ძალასა და გამბედაობას ასეთი მოღვაწეებიც აძლევდნენ, ჩვენი ცხოვრების მომცდარ ყანაში მათი პრაქტიკული საქმიანობაც მნიშვნელოვან მოვლენას წარმოადგენდა.

---

[1] „ძველი საქართველო“, ტ. მე-2, 1913 წ., გვ. 15.
[2] იქვე.

ბესარიონ ღოღობერიძე

ბესარიონ ლევარსის ძე ღოღობერიძე დაიბადა 1832 წელს სოფელ ჯიხაიშში, ღარიბი აზნაურის ოჯახში. ბავშვობა მან სოფლად გაატარა, აქვე შეისწავლა წერა-კითხვა. 17 წლისა იყო, როდესაც ქუთაისის გიმნაზიაში მიაბარეს. აქ სწავლობდა მეხუთე კლასამდე. შემდეგ ნ. ღოღობერიძესთან ერთად გადადის თბილისის გიმნაზიაში, ქუთაისთან თურქეთის ჯარის მოახლოებისა და გიმნაზიაში სწავლის შეწყვეტის გამო. თბილისის გიმნაზიის დამთავრების შემდეგ მასწავლებლობს იმავე სასწავლებელში. ცდილობს სამსახურში ყოფნით იმდენი თანხა მოაგროვოს, რომ შემდეგ ამის საშუალებით სწავლის გაგრძელება შესძლოს პეტერბურგის უნივერსიტეტში.

მართლაც, იგი თავს ანებებს მასწავლებლობას და ჩაირიცხება პეტერბურგის საიმპერატორო უნივერსიტეტის მათემატიკურ ფაკულტეტზე. ისე, როგორც ბევრი სხვა ქართველი სტუდენტი, ბესარიონ ღოღობერიძეც დიდ ეკონომიურ სიძნელეს განიცდიდა. ხშირად დღიური ლუკმა პური საძებარი ჰქონდა მას, მაგრამ ყოველთვის ბეჯითად სწავლობდა არა მარტო უნივერსიტეტის საგნებს, არამედ ინტერესით ითვისებდა ზოგადსაგანმანათლებლო დისციპლინებსაც.

ბესარიონ ღოღობერიძე სწავლასთან ათავსებდა აქტიურ საზოგადოებრივ საქმიანობასაც. იგი ახლო დაუკავშირდა თავის დროზე სახელგანთქმულ რევოლუციონერებს: ჩერნიშევსკის, დობროლუბოვს, ნეკრასოვს, მიხაილოვს, შელგუნოვს, ოგრიზკოს, სერაკოვსკის და სხვებს. ბესარიონ ღოღობერიძე არა მარტო ახლოს იცნობდა პეტერბურგის რევოლუციური შტაბის წევრებს, არამედ მათთან ერთად საიდუმლო ხელმძღვანელ ორგანოებშიაც შედიოდა, როგორც რევოლუციონერ-კონსპირატორი. საერთოდ, უნდა ითქვას, რომ სამოციანი წლების ქართველ მოღვაწეთა შორის, თვით ნ. ნიკოლაძის ჩათვლითაც, ბესარიონ ღოღობერიძე ყველაზე მეტად დაახლოებული იყო რევოლუციური მოძრაობის ხელმძღვანელებთან და მათი ვიწრო ჯგუფის წევრი იყო. ამის გამო პოლიციისა და მესამე განყოფილების მიერ შედგენილ პოლიტიკურ მოღვაწეთა საიდუმლო სიაში ბესარიონ ღოღო-

ბერიძეც მოხსენებულია შელგუნოვის, პისარევის, ობრუჩევის, პლეშჩეევის და სხვების გვერდით.

«На первом месте в этом секретном документе департамента полиции, — წერს ბასკაკოვი, — стоит имя Чернышевского, вслед затем указываются многие деятели революционного подполья, тайно общавшиеся с ним. В числе других указывались: Шелгунов, Н. Серно-Соловьевич, Писарев, Н. Обручев, ...Елисеев, ...Огрызко, Плещеев, Антонович, Утин, Неклюдов, Печаткин, Гогоберидзе, Боков, Рычков, Покровский и другие. Этот сугубо секретный документ царской полиции в несколько измененной форме приложил шеф жандармов Долгоруков к своему «всеподданнейшему» докладу царю и предлагал у названных и других лиц «сделать одновременный строжайший обыск»[1].

1861 წლის 25 სექტემბერს ფილიპსონის ბინასთან მოწყობილი დიდი დემონსტრაციის ხელმძღვანელთა შორის ვ. ბასკაკოვს ბ. ღოღობერიძე ჰყავს დასახელებული. ამის შესახებ იგი წერს: „დაინახა რა მისი სახლის წინ შეჩერებული კოლონა, რომელიც გაჭიმული იყო ორი კილომეტრის მანძილზე... შეშინებული ფილიპსონი... სტუდენტებს დაპირდა, რომ უნივერსიტეტში მისელისას შეასრულებს მათ მოთხოვნას და დააწყობს საქმეს. სტუდენტთა დემონსტრაციის ხელმძღვანელები: მიხაელისი, უტინი, პეჩატკინი, ღ ო ღ ო ბ ე რ ი ძ ე იძულებული გახდნენ გაყოლოდნენ ფილიპსონს უნივერსიტეტში“[2].

ნ. ნიკოლაძის გადმოცემით კი ვიცით, რომ ფილიპსონის უნივერსიტეტამდე გაცილება დავალებული ჰქონდა გ. ჯავახიშვილს და ნ. ნიკოლაძეს. ამ ორ ცნობას შორის ერთგვარი წინააღმდეგობა ჩანს, მაგრამ საქმის ნამდვილი ვითარება, ალბათ, ასე იქნებოდა, შეიძლება ფილიპსონის უნივერსიტეტამდე გაცილება გ. ჯავახიშვილს და ნ. ნიკოლაძეს მართლაც დაავალეს, მაგრამ ამ საქმეზე პასუხისმგებლობა თვით სტუდენტთა რევოლუციონურ კომიტეტს ეკისრებოდა და ამიტომ ბ. ღოღობერიძე და სხვები მეთვალყურეობას უწევდნენ მათ.

ვ. ბასკაკოვი მეტად საინტერესო ცნობებს გვაწვდის ბესარიონ ღოღობერიძის შესახებ. თავისი კაპიტალური შრომის 229 გვერდზე ბ. ღოღობერიძე წარმოდგენილია, როგორც ერთ-ერთი ხელმძღვანელთაგანი სტუდენტთა რევოლუციური კომიტეტისა, რომელიც აკავშირებდა და ერთიანი ძალით რაზმავდა რუსეთის უნივერსიტეტების მებრძოლ ახალგაზრდობას.

---

[1] В. Г. Баскаков, Мировоззрение Чернышевского, стр. 153. იხ. აგრ. ЦГИАЛ, фонд 1, ед. хр. 519, М., стр. 208—209.

[2] В. Г. Баскаков, Мировоззрение Чернышевского, стр. 227.

„სტუდენტთა პეტერბურგის კომიტეტმა მიხაილესის, უტინის, პეჩატკინის, ბ. ღ ო ღ ო ბ ე რ ი ძ ი ს და სხვათა მეთაურობით მჭიდრო კავშირი დაამყარა რუსეთის სხვა უმაღლეს სასწავლებლების სტუდენტებთან. პეტერბურგის კომიტეტის მოწოდებით მოსკოვის უნივერსიტეტის სტუდენტებმა მოაწყვეს პოლიტიკური დემონსტრაცია“.

ბ. ღოღობერიძე, ისე როგორც ჩერნიშევსკის სხვა თანამებრძოლები, უშუალოდ იყო დაკავშირებული ჩერნიშევსკისთან და მისგან ღებულობდა მითითებებსა და დავალებებს. იგი ხშირად ესწრებოდა არალეგალურ კრებებსა და თათბირებს ჩერნიშევსკის ბინაზე.

ვ. ბასკაკოვი ამის შესახებ შენიშნავს: „მეფის მთავრობამ კარგად იცოდა, რომ რევოლუციონერ სტუდენტთა მოძრაობის სულისჩამდგმელი და ორგანიზატორი სხვა არავინ იყო, თუ არა ჩერნიშევსკი, რომელიც ხშირად იწვევდა ამ დღეებში (იგულისხმება 1861 წლის სტუდენტთა მღელვარების დღეები. — კ. მ.) თავის ბინაზე პეტერბურგის სტუდენტთა კომიტეტის ხელმძღვანელებს: უტინს, მიხაელისს, ნეკლიუდოვს, პეჩატკინს, ღ ო ღ ო ბ ე რ ი ძ ე ს და აძლევდა მათ კონკრეტულ მითითებებს მათ მიერ მიღებული ყოველგვარი ნაბიჯისათვის“[1].

როგორც ცნობილია, 1861 წლის სტუდენტთა მასობრივი მღელვარების და დაპატიმრების შემდეგ პეტერბურგის რევოლუციურ ცენტრს მუშაობა არ შეუწყვეტია. პირიქით, ამ ორგანიზაციამ კიდევ უფრო გააძლიერა მუშაობა. 1862 წლის 29 აპრილს ჩამოყალიბდა პეტერბურგის რევოლუციური ცენტრის „მე-2 განყოფილება“ („2-е отделение“) — და ამ კომიტეტის მდივნად არჩეულ იქნა ღოღობერიძე.

«Секретарем комитета был выдвинут верный ученик Чернышевского В. Л. Гогоберидзе, а пост председателя комитета был предложен престарелому В. П. Ковалевскому»[2].

ყოველი დასახელებული ფაქტი გარკვევით მიუთითებს იმის შესახებ, რომ ბ. ღოღობერიძე, არა მარტო აქტიური მონაწილეა სამოციანი წლების სტუდენტთა მოძრაობისა, არამედ იგი ჩერნიშევსკის თანამებრძოლი და რევოლუციური მოძრაობის ერთ-ერთი ხელმძღვანელთაგანიცაა.

ამდენად ბუნებრივია, რომ პატიმარ სტუდენტთა დასჯის დროს ბ. ღოღობერიძე პირველი კატეგორიის დამნაშავედ იცნეს.

მიუხედავად რევოლუციურ მოძრაობაში აქტიური მონაწილეობისა და დაპატიმრებისა, ბესარიონ ღოღობერიძემ უნივერსიტეტი წარჩინებით დაასრულა. მას წინადადება მისცეს პროფესორებმა უნივერსიტეტში დარჩენილიყო მეცნიერული მუშაობისათვის, მაგრამ, როგორც

---

[1] В. Г. Б а с к а к о в, Мировоззрение Чернышевского, стр. 230.

[2] ი ქ ვ ე, გვ. 245.

6. ღოღობერიძემ, ბესარიონმაც თავისი ქვეყნის სამსახური ამჯობინა პირად ინტერესებს და სამშობლოს სიყვარულით აღტაცებული, დაბრუნდა თავის ქვეყანაში, რათა თავისი ხალხისათვის მოეხმარებინა ცოდნა-გამოცდილება.

„ივერია" აღნიშნავს: „დასტოვა სახელი, მაღალი სამეცნიერო სამსახური, დასტოვა გულით საყვარელი სფერა მეცნიერებისა, გამოსწია თავის სამშობლოსაკენ და მიეცა ცხოვრების აყალ-მაყალსა" [1].

ქართველ სტუდენტთა შორის ბესარიონ ღოღობერიძეს ავტორიტეტის შესახებ ლაპარაკობს კოტა აფხაზი თავის მოგონებაში.

„ჩვენ — სტუდენტები ხშირად ვიკრიბებოდით და ვბაასობდით,— წერს კოტა აფხაზი, — როგორც საზოგადო საკითხებზე, აგრეთვე ჩვენს დაბეჩავებულს სამშობლოს მომავალზედ, ვკითხულობდით ხშირად ქართულ წიგნებს, ყველა ჩვენზე დიდი გაელენა ჰქონდა ბესარიონ ღოღობერიძეს, რომელსაც „პატრიარქს" ვეძახოდით" [2].

1863 წლიდან ბესარიონ ღოღობერიძე იწყებს მასწავლებლობას თბილისის გიმნაზიაში, რამდენიმე წლის შემდეგ ინიშნება ინსპექტორად თბილისის საქალებო ინსტიტუტში. 1874 წლიდან დანიშნულ იქნა თბილისის გუბერნიის სახალხო სკოლების დირექტორად.

ბესარიონ ღოღობერიძემ დიდი როლი ითამაშა საქართველოში, განსაკუთრებით მის აღმოსავლეთ ნაწილში, სწავლა-განათლების დანერგვის საქმეში. მისი ინიციატივით გახსნილი იქნა სკოლები კახეთის სოფლებში: საგარეჯოში, ყვარელში, ენისელში, გურჯაანში და სხვაგან. კახეთში სკოლების გახსნას და საგანმანათლებლო კერების შექმნას უდიდესი ეროვნული მნიშვნელობა ჰქონდა მაშინ. ამის შემდეგ იგი გადადის ქუთაისში სამუშაოდ, იმერეთში სათავადაზნაურო საადგილმამულო ბანკიც დაარსდა და ხელმძღვანელად უკეთეს კაცს ვერც იშოვნიდნენ. „მხნე, მცოდნე, პატიოსანი, საქმისათვის თავდადებული... ამკვარი კაცი გამოჩნდა ისევ ბესარიონ ღ ო ღ ო ბ ე რ ი ძ ე" [3].

ბანკის საქმეს შესწირა თავისი სიცოცხლე ჯერ კიდევ ახალგაზრდა მოღვაწემ. იგი 1879 წლის 6 მარტს გარდაიცვალა 47 წლის ასაკში. „ივერიამ" ასე დაიტირა თავისი სასახელო მამულიშვილი: „სჩანს სიცოცხლისა და წარმატების სახსარი არ გასწყვეტია იმ ერს, რომელსაც ებადება ამისთანა სახელოვანი შვილი" [4].

ბესარიონ ღოღობერიძის გარდაცვალებამ დიდი გამოხმაურება გამოიწვია ქართველ ინტელიგენციაში. დასაფლავებაზე წარმოითქვა

---

[1] „ივერია", 1879, № 3.

[2] ლიტერატურული მემკვიდრეობა, ნაწილი პირველი, გვ. 564.

[3] ი ქ ვ ე.

[4] „ივერია", 1879, № 3.

საინტერესო სიტყვები. აღსანიშნავი ის არის, რომ ბესარიონ ღოღობერიძის ღირსებასა და სახელოვან ცხოვრებას სამართლიანად უკავშირებდნენ სამოციანი წლების რუსი ხალხის საუკეთესო ტრადიციებს.

ბესარიონ ღოღობერიძის პირად ღირსებაზე და ერის წინაშე მის დამსახურებაზე ილია ჭავჭავაძე ასე აღნიშნავს „ივერიის" ფურცლებზე:

„ჩვენ არას ვიტყვით განსვენებულის ჭკუა-გონებაზედ. ეს ყველასაგან ცნობილია, არას ვიტყვით მის ცოდნაზედ — ყველასაგან აღიარებულია, ჩვენ ვიტყვით მასზედ — რაც უკეთესი საწყაოა კაცისა, რაც ცივს ჭკუას ათბობს და ორპირად სახმარ ცოდნას მარტო საქვეყნო საკეთილდღეოდ მიჰმართავს ხოლმე... მართალია ის იმისთანა კაცი იყო, რომ ყოველს გამველელს და გამომველელს არ ჩაახედებდა ხოლმე გულში და ამის გამო ბევრს ეგონა, რომ გული მისი ცივია, როგორც ყინული, მაკრამ ძალიან სტყუვდებოდნენ, იმთავად ყინულ კაცში იყო გული მხურვალე. გული კაცური, მას გულში ჰქონდა ის წმინდა ნაღვერდალი ქვეყნის სიყვარულისა, ხალხის ტრფიალებისა, კაცთა მოყვარეობისა, რომელთაც ღმერთი მიანიჭებს ხოლმე მარტო თვისთა რჩეულთა და რომელიც ამ ორფეხ ცხოველს ადამიანს სასწაულთ ათქმევინებს ხოლმე. დიახ, ის იყო ღვთისაგან რჩეული კაცი, პატიოსანი სულგრძელი და მტკიცე ყოველგან და ყველაფერში. ვიცით ჩვენო ერთგულო და უანგარო მუშაკო, რა ტკივილი გაიყოლე საიქიოს. ვიცით რა იმედი გინელებდა იმ მწვავე ტკივილს, რომელიც გაგიძლიერდებოდა ხოლმე, როცა ავი რამ მოელოდა შენს ქვეყანას... ვიცით და შენი დამკარგველი მით ვინუგეშებთ, რომ ის ტკივილი და ის იმედი ანდერძად ექნებათ უკეთესთა შვილთა შენის საყვარლის ქვეყნისათა, რომელნიც უშენოთ, მართლა რომ ერთით ნაკლები ღა არიან" [1].

ამის შემდეგ „ივერია" თვით ხალხის ღირსებაზედაც ლაპარაკობს, რომ სახელოვანი შვილი სახელოვნად დააფასა მადლიერმა ერმა.

„თურმე ნუ იტყვით, ჩვენს საზოგადოებას. ხალხს თვალ-ყური ეჭირა თავის შვილებზედ, თვალყური უდევნებია მის მოქმედებისათვის და უტყუარი სასწორიც სჭერია ხელში, რომ კაცი მართლა, მარტო მის კაცურის ღირსების კვალობაზე დააფასოს და ამ ღირსებისავე მიხედვით თავისი პატივისცემა გამოაცხადოს საქვეყნოდ. სახელი და დიდება ჩვენს საზოგადოებას, რომ ამდენს უბედურებაში, ამდენს ბედის წაღმა-უკუღმა ტრიალში, თავისი მართლმსაჯულების ნიჭი, თავისი ზნეობრივი მოვალეობა თვისთა შვილთა მიმართ არ დავიწყებია, არ დაჰსთურგვნია. ეს ერთი დიდი ნუგეშია ყოველი იმისათვის, ვისაც თავისი ბედი

[1] „ივერია", 1879 წ., № 3.

ხალხის ბედზე გადაუბამს, ეს ერთი იმისთანა მაგალითია, რომელმაც გარემოცულს წყვდიადს შუქი იმედისა მოჰფინა, ეს იმის საბუთია, რომ დღეს აქამომდე კაცურ-კაცობას, ჭეშმარიტ ღირსებას კაცისას, არამც თუ მარტო ფასი ჰქონია ჩვენში, არამედ პატივიცა და ხსენებაც" [1].

ჩვენ განზრახ მოვიტანეთ დიდი ამონაწერი — „ივერიიდან", ერთი იმიტომ, რომ იგი ასე დიდ საეროვნო მნიშვნელობას აძლევს, ჩვენთვის საინტერესო პიროვნებას, თერგდალეულ ბესარიონ ღოღობერიძეს და მეორე მხრივ, მასში სტატიის ავტორის — ილია ჭავჭავაძის — მეტად ბევრისმეტყველი აზრებია ჩაქსოვილი.

ბესარიონ ღოღობერიძის შესახებ რევოლუციის მატიანეში წერია:

«Гогоберидзе Виссарион Леванович, студ. физ-мат. фак. СПБ ун-та. За участие в студ. беспорядках в качестве депутата был арестован и 12 окт. 1861 г. заключен в Петроп. крепость, освобожден 6 дек. 1861 г. Позднее занимался педагогической деятельностью в Грузии. В 1876 г. председатель дворянского земельного банка в Кутаисе. Умер в 1879 г...»[2].

---

[1] „ივერია", 1879 წ., № 3. ამ სტატიას ხელს არ აწერს ილია ჭავჭავაძე და იგი ჩართულია „შინაურ მიმოხილვაში", მაგრამ ავტორი რომ ილია არის, ამას სტატიის სტილიც ადასტურებს. — კ. ბ.

[2] В. Л. Гогоберидзе с группой, снятой в Кронш. казарме в 1861 г. Из сбор. муз. «Катор. и ссылка» — Деятели революционного движения в России, Био-библиографический словарь, том первый, часть вторая, Шестидесятые годы, столб. 85, Москва, 1928 г.

ილია ოქრომჭედლიშვილი

ილია ლაზარეს ძე ოქრომჭედლიშვილი (სერებრიაკოვი) დაიბადა 1836 წელს სიღნაღში ოქრომჭედლის ოჯახში. ბავშვობა თელავში გაატარა, როდესაც წამოიზარდა, ნაცვლად იმისა, რომ სასწავლებელში შეეყვანათ, მშობლებმა თბილისში ჩამოიყვანეს და თამამშევის ქარვასლაში ფარჩეულის მაღაზიაში მიაბარეს შეგირდად.

ბუნებრივმა ნიჭმა მაინც თავისი გაიტანა. ყმაწვილი დაინტერესებული იყო წიგნების კითხვით, ვარჯიშობდა რუსულ ენაში, კითხულობდა დამოუკიდებლად სხვადასხვა დარგის წიგნებს. დაუახლოვდა მოწინავე ახალგაზრდობას და ნოქარმა გამოიჩისა იმდენი გამბედაობა, რომ გადაწყვიტა პეტერბურგში გამგზავრებულიყო უნივერსიტეტში შესასვლელად. 1859 წელს ილია ოქრომჭედლიშვილი ჩავიდა პეტერბურგში. სწავლით დაინტერესებულმა, ჯერ გამოცდები გიმნაზიის ატესტატის მისაღებად ჩააბარა, შემდეგ ასევე წარმატებით ჩააბარა უნივერსიტეტში მისაღები გამოცდები და ჩაირიცხა აღმოსავლური ენების ფაკულტეტის სომხურ-ქართულ განყოფილებაზე. ამავე დროს იგი ისმენდა ლექციებს სხვა ფაკულტეტზეც, განიცდიდა უკიდურეს ეკონომიურ სივიწროვეს, თბილისიდან ამხანაგებმა დაპირება ვერ შეუსრულეს და დღიური ლუკმა პურისათვის ძებნაში ატარებდა უმთავრეს დროს. შემდეგ ღებულობს სტიპენდიას და ამით საშუალება ეძლევა უნივერსიტეტის დამთავრებისა. უნივერსიტეტის კურსდამთავრებული ილია ოქრომჭედლიშვილი მიწვეული იქნა მოსკოვის ლაზარევის ინსტიტუტში ქართული ენის პროფესორად. აქ დარჩა იგი 1886 წლამდე. შემდეგ, თავისი კათედრა პროფესორ ალ. ხახანაშვილს გადასცა და თვითონ ხელი მიჰყო ვაჭრობის საქმეს. შეირთო მოსკოველი ქალი, ვაჭრობით საკმაო ქონება დააგროვა. მოსკოვიდან თბილისში გადასახლდა და ხეტყის მრეწველობას მოჰკიდა ხელი. იჯარით აიღო ცხენისწყლის ნაპირზე დადიანის ტყე. გახსნა სახერხი ქარხანა, გაიყვანა გზები და ხელი შეუწყო ამ მხარის კულტურულ და ეკონომიურ აღორძინებას.

ილია ოქრომჭედლიშვილი მწერლობაშიაც ცნობილია. სისტემატურად თანამშრომლობდა ქართულ ჟურნალ-გაზეთებში. მისი სტატიე-

ბიდან საყურადღებოა: „მოკლე განხილვა სომხური ენის წარმოშობისა უკანასკნელ დროს“ („საქართველოს მოამბე“, 1863 წ., № 6), „ვინ მოიგონა ქართული ანბანი“ („ივერია“, 1881 წ., № 10). აქ ილია ოქრომჭედლიშვილი ამტკიცებს, რომ ქართული ანბანი შემოღებულია ქრისტიანობის გავრცელებამდე. „წერილი დ. ბაქრაძის მიმართ „ქილილა და დამანას“ გამოცემის შესახებ“ („ივერია“, 1886 წ., № 167), „საისტორიო და საბიბლიოგრაფიო წერილი“ („ივერია“, 1887 წ., №№ 194, 197, 200), „შესახებ ქართველთა და სომეხთა ძველისძველი ისტორიისა“ („ივერია“, 1890 წ., №№ 33, 36, 40, 41, 42). აგრეთვე „საქართველოს მოამბეში“ დაბეჭდილია წერილი „სომეხთა კონსტიტუციისა და ვაგანკოვაციის სომეხ ისტორიკოსის ცხოვრების და მოღვაწეობის შესახებ“.

გარდა ამისა, იგი დიდ მუშაობას ეწევა კულტურულ-საგანმანათლებლო დარგში. თეატრის გაუმჯობესება, სტამბის დაარსება, წიგნების გამოცემა, წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოებისათვის დახმარების გაწევა და სხვა მისი პირველი საქმიანობა იყო. ქართული მწერლობის ნაწარმოებთა გამოსაცემად გაიღო 6000 მანეთი, მან დაბეჭდა „ვისრამიანი“ და დ. ჩუბინაშვილის ქართულ-რუსული ლექსიკონი. ქართულ თეატრს შესწირა 1400 მანეთი, წინამძღვრიანთკარის სასოფლო სკოლას გადასცა 6000 მანეთი. მთელი თავისი ქონება ქართული კულტურის აყვავების საქმეს მოახმარა. „მოამბე“ ილია ოქრომჭედლიშვილის შესახებ წერს: „ილია ლაზარეს ძე ოქრომჭედლიშვილი, ერთი იმ უჩინარ მუშაკთაგანია საზოგადო წარმოებისა, რომელთა მთელი ცხოვრება და ყოველი წელილი სამშობლოს სიყვარულით არის გამსჭვალული“[1].

---

[1] „მოამბე“, 1898 წ., № 1, გვ. 102.

სამსონ აბაშიძე

სამსონ ივანეს ძე აბაშიძე დაიბადა 1835 წელს სოფელ თირში (ქიათურის რაიონში). სწავლობდა ქუთაისის გიმნაზიაში. გიმნაზიის დამთავრების შემდეგ მიემგზავრება პეტერბურგში და სწავლას აგრძელებს „კანვოიში". ამავე დროს იგი ეწყობა პეტერბურგის უნივერსიტეტში თავისუფალ მსმენელად.

უნივერსიტეტში სამსონ აბაშიძე ახლო გაეცნო ილია ჭავჭავაძეს, აკაკი წერეთელს, კირილე ლორთქიფანიძეს, ნიკო ნიკოლაძეს და სხვებს.

„სამსონ აბაშიძემ კორესპონდენციებისა და მხატვრული თხზულებების წერა დაიწყო 1862 წლიდან. მისი თხზულებები იბეჭდებოდა „ცისკარში" და „საქართველოს მოამბეში". პეტერბურგსა და მოსკოვში მას დაწერილი აქვს სხვადასხვა თხზულებები დათარიღებული 1863 წლით. ს. აბაშიძეს უთარგმნია ლესინგის „ნათან ბრძენი". პეტერბურგში შეურთავს ცოლად ალექსანდრე უხტომსკის ასული ადელაიდა. სამშობლოში დაბრუნებულს დაუწყია მამულის კულტურული დამუშავება"[1].

სამსონ აბაშიძის ცოლის შერთვის შესახებ კირილე ლორთქიფანიძე ნიკო ნიკოლაძეს სწერს: „... სამსონ აბაშიძემ ცოლი შეირთო, მაგრამ ძალიან მოატყუეს, ის თურმე დიდკაცად იჩენდა თავს, ფულებზე სულ არაფერი გაუმხელია, ეგონა არა თუ ვალებს, მეტსაც მომცემენო, მაგრამ ქორწილის შემდეგ სამი ათასი მისცეს და ათი ვერცხლი"[2].

სამსონ აბაშიძემ თავისი ცხოვრების უმეტესი წლები რუსეთში გაატარა, სამშობლოში დაბრუნდა 1890 წელს, გარდაიცვალა 1894 წელს.

როგორც პ. ინგოროყვამ და დოც. ს. ხუციშვილმა გამოირკვიეს მას ეკუთვნის მეორე თერგდალეულის სტატია „რამეენაზე სიტყვა

---

[1] ს. ხ უ ც ი შ ვ ი ლ ი, „მნათობი". 1956 წ., № 2. ს. აბაშიძის მოღვაწეობა სპეციალურად შეისწავლა დოც. ს. ხუციშვილმა. — კ. ბ.

[2] ქუთაისის მუზეუმი, კ. ლორთქიფანიძის არქივი, ხელნაწერი № 395.

ზემოური იმერლის გორისელის სტატიაზედ“ („ცისკარი“, 1862 წ.. № 4.).

1861 წელს „ცისკრის“ მაისის ნომერში დაიბეჭდა თარგმნილი მოთხრობა „ნამდვილი შემთხვევა“. „საქართველოს მოამბის“ მეთერთმეტე ნომერში მოათავსა მან ერთმოქმედებიანი ვოდევილი „ლოტო“.

1863 წლის აგვისტოს „ცისკარში“ იბეჭდება ჯვარელის ფსევდონიმით „ჩემი აღსარება“ და სხვა. სამსონ აბაშიძეს საქართველოს გარეთ ცხოვრებამ ხელი შეუშალა უფრო აქტიურად დაკავშირებოდა თერგდალეულთა ჯგუფს და მეტი ინტენსიური მონაწილეობა მიეღო საქართველოს კულტურულ და ლიტერატურულ ცხოვრებაში.

დავით აბდუშელიშვილი

დავით ნიკოლოზის ძე აბდუშელიშვილი დაიბადა 1841 წელს სოფ. ბეინევში (შორაპნის მაზრა), ღარიბი აზნაურის ოჯახში. დავითის მამას ნიკოლოზ აბდუშელიშვილს ჰყოლია 4 ვაჟი, ალექსანდრე, დავითი, სიმონი და ლევანი. მამამ ოთხივე ვაჟი მიაბარა ქუთაისის გიმნაზიაში. უფროსი ძმა ალექსანდრე სწავლობდა აკაკი წერეთლისა და კირილე ლორთქიფანიძის ჯგუფში. ხოლო დავითი კი — ნ. ნიკოლაძესთან ერთად.

დავით აბდუშელიშვილი გიმნაზიის დამთავრების შემდეგ 1861 წელს შავი ზღვით მიემგზავრება პეტერბურგში.[1] მასაც აუხდა დიდი ხნის ოცნება და იმავე 1861 წელს ჩაირიცხა პეტერბურგის უნივერსიტეტის იურიდიულ ფაკულტეტზე. განიცდიდა ძლიერ ეკონომიურ სიღარიბეს. მამა თვეში მხოლოდ 8 მანეთს უგზავნიდა, რაც საშუალებას აძლევდა მას მხოლოდ ერთხელ ეჭამა დღეში. ცხადია, ის სარგებლობდა ამხანაგების მხარდაჭერით.

ისე, როგორც ნ. ნიკოლაძეს და გ. წერეთელს დავით აბდუშელიშვილსაც დიდხანს არ დასცალდა პეტერბურგის უნივერსიტეტში ლექციების მოსმენა. 1861 წლის სტუდენტთა არეულობის დროს იგი, სხვა ქართველ სტუდენტებთან ერთად დააპატიმრეს და მოთავსებული იქნა ჯერ პეტრეპავლეს ციხეში, შემდეგ კი კრონშტადტის სიმაგრეში[2].

ციხიდან განთავისუფლების შემდეგ ამთავრებს უმაღლეს სასწავლებელს, ბრუნდება საქართველოში და თავის ბიძა ლოლუასთან[3] ერთად მუშაობს ნაფიც მსაჯულად, ხოლო შემდეგ ნოტარიუსად.

---

[1] დაწვრილებით იხილეთ ნ. ნიკოლაძის ტ. I, გვ. 36.

[2] საინტერესოა ერთი მომენტი. პეტერბურგის სამთო ინსტიტუტში სწავლობდა დავითის უმცროსი ძმა ლევანი, რომელმაც აქტიური მონაწილეობა მიიღო მთავრობის წინააღმდეგ მოწყობილ სტუდენტთა შეთქმულებაში, რისთვისაც ისიც ჩასვეს პეტრეპავლეს ციხეში და მკაცრი რეპრესიების შედეგად იქვე გარდაიცვალა. — კ. ბ.

[3] ლოლუა იმდროინდელი სტუდენტია, იხ. ქართველი სტუდენტების სია.— კ. ბ.

დავით აბდუშელიშვილი გამოირჩეოდა ზნეობრივი სისპეტაკით და მშრომელი ხალხისადმი სიყვარულით. ხშირად იგი გლეხობას უფასოდ იცავდა სასამართლოში. მონაწილეობას ღებულობდა საზოგადოებრივ საქმიანობაში. ქველმოქმედების მიზნით თავის ხარჯზე ზრდიდა ახალგაზრდობას.

დავით აბდუშელიშვილი გარდაიცვალა 1919 წელს ქუთაისში, დასაფლავებულია საფიჩხიის სასაფლაოზე.

დავით ბაქრაძე

დავით ნიკოლოზის ძე ბაქრაძე დაიბადა 1838 წელს, რაჭაში, სოფელ სევაში. დავითის მამა ღარიბი აზნაური — სოფლის მღვდელი იყო.

დავით ბაქრაძე თბილისის სასულიერო სემინარიის დამთავრების შემდეგ 1860 წელს ჩაირიცხა პეტერბურგის უნივერსიტეტის იურიდიულ ფაკულტეტზე.

პეტერბურგის უნივერსიტეტის 1860 წლის სტუდენტთა სიაში სხვა ქართველ სტუდენტებთან ერთად მოხსენებულია დავით ბაქრაძეც.

«Список молодым людям, принятым по журналу Правления С.-Петербургского университета 15 сентября 1860 года в число студентов С.-Петербургского университета в I курс.

Фамилии и имена	Лета	Разряд	Вероисповедения	Происхождения	Где обучал.	Примечание
33. Бакрадзе Давид		юридич.	Правосл.	Дворян.	Дома[1] родит.	

იგი ითვლებოდა წარჩინებულ სტუდენტად. მას ყველა კურსის ლექციები არც კი მოუსმენია. 1862 წელს ძველ სტუდენტებთან აბელ ჩოლოყაშვილთან და ესტატე მაღალაშვილთან ერთად წარჩინებით ჩააბარა სახელმწიფო გამოცდები და მიიღო კანდიდატის ხარისხი. მისი საკანდიდატო დისერტაციის თემა იყო „როგორ გაჩნდა და დამყარდა საქართველოში თავადაზნაურობა“.

იურიდიული ფაკულტეტის საბჭომ მაღალი შეფასება მისცა დ. ბაქრაძის შრომას. მიუხედავად უნივერსიტეტის დამთავრებისა, იგი 1864 წლამდე მაინც პეტერბურგში დარჩა და ღრმად შეითვისა რუსეთის მოწინავე საზოგადოების იდეოლოგია.

1864 წელს იგი დაბრუნდა საქართველოში და შეყვანილი იქნა ბატონყმობის გაუქმების კომისიაში.

---

1 ГИАЛО, фонд 14, дело 6078, связ. 161, год 1860, стр. 83.

1868 წელს დ. ბაქრაძე დანიშნული იქნა გურიაში მომრიგებელ მოსამართლედ, აქედან ის გადადის სამუშაოდ ქუთაისში, სადაც ეწევა ნაყოფიერ საზოგადოებრივ მოღვაწეობას. აქტიურ მონაწილეობას ღებულობს გაზ. „შრომის“ დაარსებისა და მისი გამოცემის საქმეში. ერთ-ერთი ინიციატორთაგანია ქუთაისში სასოფლო-სამეურნეო სასწავლებლის გახსნისა.

1898 წელს არჩეული იქნა ამავე. სკოლის მზრუნველად და ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების ქუთაისის და სენაკის მაზრების სკოლების კომიტეტის თავმჯდომარედ.

ამავე დროს დ. ბაქრაძე იყო ქუთაისის საადგილმამულო ბანკის გამგეობის თავმჯდომარე. მასთან ერთად ბანკის საქმეებს განაგებდა კირილე ლორთქიფანიძე.

დ. ბაქრაძე 1894 წელს არჩეული იქნა ქუთაისში საპატიო მსაჯულად. დ. ბაქრაძის მოღვაწეობა დიდად არის დაკავშირებული ჭიათურის შავი ქვის მადნის მოპოვებისა და მისი წარმოების განვითარების საქმეესთან. ამის თაობაზე საინტერესო მიმოწერა აქვს დ. ბაქრაძეს აკაკი წერეთელთან.

დ. ბაქრაძე თავისი მოღვაწეობის გარკვეულ პერიოდში დაკავშირებული იყო ქუთაისში მომუშავე ხალხოსნების ჯგუფთან. იგი ეწეოდა კულტურულ მუშაობას, ხელმძღვანელობდა ქუთაისში სასტამბო მეურნეობის განვითარებისა და წიგნის ბეჭდვის საქმეს.

1892 წელს შეადგინა ანდერძი, რომლის მიხედვით თავისი ქონება გადასცა კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებებს. 25000 მანეთი გაიღო ჯილდოდ საქართველოს ისტორიის შემდგენელისათვის.

დ. ბაქრაძე წერდა თეორიული ხასიათის სტატიებსა და ფელეტონებს. თანამშრომლობდა ჟურნალ-გაზეთებში „დროებაში“, „კვალში“, „შრომაში“ „მწყემსში“. იგი კარგად იცნობდა ევროპის ქვეყნების პოლიტიკურ-ეკონომიურ წყობას და ხასიათს, უმთავრესად მისი სტატიები ამ საკითხებს ეხებოდა.

დიდ ზნიშვნელობას აძლევდა სოფლის მეურნეობას. მოითხოვდა მიწის ინტენსიურ დამუშავებას, ამისათვის ცდილობდა რეფორმის ჩატარებას, მაგრამ წინ აღუდგა მის განზრახვას თავადაზნაურობა.

დ. ბაქრაძე მონაწილეობდა მმართველობის შეცვლის პროექტის შედგენაში. მოითხოვდა მთავრობის მაღალი წრეების უფლებების შეზღუდვას.

იგი აქტიურად ებრძოდა ცარიზმის უხეშ პოლიტიკას, დაუზოგავად ამხელდა თავგასულ მოხელეებს. რუსეთის მოწინავე ინტელიგენციისა და მშრომელი ხალხისადმი პატივისცემა სრულიად არ უშლი-

და ხელს, მკაცრად გაელაშქრებინა თავხედი რუსი ჩინოვნიკების წინააღმდეგ.

1893 წელს ილია ჭავჭავაძესთან და სხვებთან ერთად მან საინტერესო სიტყვა წარმოსთქვა ნ. ბარათაშვილის ნეშტთან. იგი ქართველი ხალხის მოვალეობად თვლიდა, უფრო მეტად დაეფასებინათ სახელოვანი შვილის ნ. ბარათაშვილის საფლავი მომავალში. „...ეს იქნება მაშვინო. — მიმართავს იგი, — ნ. ბარათაშვილს, — როცა ახლო და შორე მეზობლებს შორის და მთელს ევროპაშიაც, რომელთანაც ჩვენ გადაბმული ვართ კაცობრიობის განუწყვეტელი ჯაჭვითა, შური შეიცვლება მეგობრობად, სიძულვილი სიყვარულად და მონობა ძმობად. ეს დრო ძლიერ შორს არ არის, თუ მივიღებთ მხედველობაში კაცობრიობის მაღალ ზნეობისა და განვითარების გზით მუდმივ სიარულსა და თუ ამოიხედავ შენის კუბოდან, ახლაც დაინახავ მის ბრწყინვალე ცისკარს, ცხოველმყოფელი მზის წინამორბედს...“[1]

ამ სიტყვებიდან აშკარად ჩანს დ. ბაქრაძის დამოკიდებულება მომავალ ცხოვრებასთან, იგი ხალხთა ძმობისა და თვისუფლების იდეას ქადაგებს მასებში. ასეთია თერგდალეული დ. ბაქრაძის პრაქტიკული საქმიანობა და იდეური მისწრაფებები[2].

ამით ვამთავრებთ სამოციანი წლების ქართველი მოღვაწეების, პეტერბურგის უნივერსიტეტის ქართველ სტუდენტთა ცხოვრებისა და საქმიანობის ცალკეულ დახასიათებას. მაგრამ, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ამჟამად კირილე ლორთქიფანიძეს არ ვეხებით რადგან იგი გადატანილია მეორე წიგნში.

პეტერბურგის უნივერსიტეტის დანარჩენი ქართველი სტუდენტები: პეტრე ნაკაშიძე, ვასილ სავანელი, იაკობ ისარლიშვილი, დავით ღოლობერიძე, გიორგი ჯავახიშვილი, ივანე მესხი და სხვები, მართალია მონაწილეობდნენ ეროვნული კულტურის აღორძინების საქმეში, მაგრამ მათ ისეთი როლი არ შეუსრულებიათ ჩვენი ქვეყნის ლიტერატურულ ცხოვრებაში, რომ ამ პიროვნებებზე ცალკე შევსერებულიყავით.

საერთოდ, როგორც დავინახეთ. მე-19 საუკუნეში ყველაზე ნაყო-

---

[1] „კვალი“, 1893 წ., № 18.

[2] თ. ხუსკივაძე — დავით ნიკოლოზის ძე ბაქრაძე. მისი 40 წლის მოღვაწეობა და ქუთაისის ინტელიგენცია, ქუთ. 1905 წელი. აგრეთვე იხ. დოკ. არ. გოგუაძე. დავით ნიკოლოზის ძე ბაქრაძე, სეველი, ქუთაისის პედინსტიტუტის შრომები, ტ. 17.

ფიერი ხანა მხატვრული მწერლობის განვითარების მხრივ სამოციანი წლები იყო. ყველაზე მეტი მრავალმხრივი მოღვაწე ამ წლებმა მისცა საქართველოს, ეს არის დიდი გარდატეხის ხანა მე-19 საუკუნის ქართულ აზროვნებაშა და ლიტერატურაში და ყოველივე ეს პეტერბურგის უნივერსიტეტის ქართველი სტუდენტების სახელთან არის დაკავშირებული.

ასეთი დიდი როლი შეასრულა სამოციანი წლების პეტერბურგის უნივერსიტეტის ქართველმა სტუდენტებმა ჩვენი ქვეყნის კულტურის ისტორიაში. ახლა საინტერესოა ისიც, თუ რა შედეგი მოგვცა ამავე პერიოდში მოსკოვის უნივერსიტეტმა.

მოსკოვის უნივერსიტეტი სამოციან წლებში და ქართველი სტუდენტები

ამ შრომის წინა თავში ჩვენ განვიხილეთ პეტერბურგის უნივერსიტეტი სამოციან წლებში და გავარკვიეთ ამ პერიოდის ქართველი სტუდენტების საქმიანობა უნივერსიტეტში, კავშირი და ურთიერთობა დიდ რუს რევოლუციონერ მოღვაწეებთან, მათი მონაწილეობა ამდროინდელი ახალგაზრდობის რევოლუციურ მოძრაობაში და ნაწილობრივ მიუთითეთ მათ როლზე სამოციანი წლების ქართული ლიტერატურისა და აზროვნების განვითარების საქმეში.

ამჟამად გვაინტერესებს, ანალოგიური თვალსაზრისით, გავარკვიოთ სამოციანი წლების მოსკოვის უნივერსიტეტის ქართველი სტუდენტების საქმიანობა, კავშირი რუს რევოლუციონერ ახალგაზრდობასთან და მათი ღვაწლი ეროვნული კულტურის და ლიტერატურის აღორძინების საქმეში. მაგრამ სათანადო მასალების გაცნობამ დაგვანახვა, რომ ამ თვალსაზრისით ამ ორ უნივერსიტეტს შორის დიდი განსხვავებაა. თუ სამოციანი წლების პეტერბურგის უნივერსიტეტმა უდიდესი ქართველი მწერლები და მოღვაწეები აღზარდა, ამავე პერიოდში მოსკოვის უნივერსიტეტს არც ერთი თვალსაჩინო ქართველი საზოგადო მოღვაწე არ მოუცია, თუ არ მივიღებთ მხედველობაში ცნობილი ქართველი პოეტის სოლომონ რაზმაძის შვილს, ალექსანდრე რაზმაძეს, რომელიც შემდეგში ცნობილი პროფესორი იყო რუსეთში და საინტერესო შრომები შექმნა მუსიკის ისტორიიდან.

ამდროინდელი მოსკოვის უნივერსიტეტის ქართველი სტუდენტები არც ახალგაზრდობის რევოლუციურ მოძრაობაში ჩანან აქტიურნი და არც შემდეგ საქართველოში მოღვაწეობით გამოუჩენიათ თავი, ამ შემთხვევაში, უდავოდ, თვით მოსკოვის უნივერსიტეტის თავისებურებასაც ჰქონდა გარკვეული მნიშვნელობა.

როგორც ადრევე აღვნიშნეთ, მოსკოვის უნივერსიტეტი რუსეთის უძველესი უმაღლესი სასწავლებელია. იგი სახელგანთქმული იყო და

არის მსოფლიოში სახელმოხვეჭილი პროფესორებით და სტუდენტებით. ბევრი სახელოვანი მამულიშვილი გაზრდილა მის კედლებში, ბევრი რევოლუციონერი და საზოგადო მოღვაწე გაუწვრთნია მას, როგორიცაა: ბ. ბელინსკი, ა. გერცენი, ნ. ოგარიოვი და სხვა. აგრეთვე მოსკოვის უნივერსიტეტში იზრდებოდნენ და რევოლუციურ მოღვაწეობას ეწეოდნენ სამოციან წლებში მებრძოლი სტუდენტები: პ. არგიროპულო, გიჟიცკი, პ. ზაიჩნევსკი, ა. ნოვიკოვი, ი. პონიატოვსკი, ა. პიოტროვსკი და სხვები. სტუდენტები სცემდნენ არალეგალურ ლიტერატურას, ბეჭდავდნენ და ხალხში ავრცელებდნენ პროკლამაციებს, მაგრამ ახალგაზრდობის რევოლუციური მოძრაობის ცენტრს 60-იან წლებში პეტერბურგი წარმოადგენდა.

რომ მოსკოვის უნივერსიტეტი 60-იან წლებში შედარებით პეტერბურგის უნივერსიტეტთან ნაკლებად მღელვარებდა ამას ისიც ადასტურებს, რომ მოსკოვში 1861 წელს სწავლა ნორმალურად დაიწყო და აქაური სტუდენტები არც კი ფიქრობდნენ ახალი წესების წინააღმდეგ რაიმე ორგანიზაციული ზომების მიღებას. მხოლოდ პეტერბურგის უნივერსიტეტის სტუდენტთა დემონსტრაციისა და მიტინგის შემდეგ ამოძრავდნენ მოსკოვის უნივერსიტეტის სტუდენტებიც. 27 სექტემბრიდან აქაც დაიწყო მიტინგები და დემონსტრაციები. მაგრამ მოსკოვის უნივერსიტეტის სტუდენტთა მღელვარება უფრო ხანმოკლე აღმოჩნდა. მთავრობამ შესძლო მეამბოხე სტუდენტები კვლავ დაებრუნებინა აუდიტორიებში, მაშინ როდესაც პეტერბურგის უნივერსიტეტის სტუდენტები ვერავითარი ხერხითა და მეთოდით ვერ დაიმორჩილეს და პეტერბურგის საიმპერატორო უნივერსიტეტი ერთ წელზე მეტი დროის განმავლობაში დახურული იყო.

ცხადია ისიც, რომ, როგორც ადრევე დავინახეთ, მოსკოვის უნივერსიტეტის იმდროინდელი პროფესორები უფრო მთავრობას უჭერდნენ მხარს, ვიდრე მებრძოლ ახალგაზრდობას. მაშინ, როდესაც პეტერბურგის სამეცნიერო საბჭო აშკარად იცავდა რევოლუციონერი სტუდენტების ინტერესებს და ბევრჯერ საბჭოს წევრებს შერცხვენილი გაუქცევიათ სხდომიდან პეტერბურგის ოლქის მზრუნველი — კავკასიის ომების ვეტერანი, გენერალი ფილიპსონი და განათლების მინისტრი ადმირალი პუტიატინი. მოსკოვის უნივერსიტეტის საბჭო კი თვით უსაყვედურებდა ადგილობრივ ხელისუფლებას სტუდენტებისადმი მკაცრი ზომების მიუღებლობის გამო. ყოველივე ეს თავისებურ გავლენას ახდენდა ახალგაზრდობაზე და ხელს უწყობდა სტუდენტთა შორის პასიური განწყობის დანერგვას.

აღსანიშნავია ისიც, რომ 1861 წლის შემოდგომაზე მოსკოვში მომხდარ სტუდენტთა მღელვარების დროს არც ერთი ქართველი სტუ-

დენტი არ ყოფილა რეპრესირებული, მაშინ, როდესაც პეტერბურგის სტუდენტთა მღელვარებაში მონაწილეობისათვის 13 ქართველი იყო დაპატიმრებული პეტრეპავლესა და კრონშტადტის სიმაგრეში. რიცხობრივადაც ნაკლები იყო. პეტერბურგის უნივერსიტეტთან შედარებით მოსკოვის უნივერსიტეტში ქართველი ახალგაზრდობა. მაშინ, როდესაც ამავე პერიოდში (1857 — 1862) პეტერბურგში ჩვენი მასალების მიხედვით 50 კაცამდე ქართველი სწავლობდა, მოსკოვის უნივერსიტეტში 17 ქართველი იყო, ამათგან 4 პეტერბურგის უნივერსიტეტის დახურვის შემდეგ არის გადასული მოსკოვში. ასე, რომ მოსკოვის უნივერსიტეტის ძირითად მსმენელად შეიძლება ჩაითვალოს 13 ქართველი, რომლებსაც თავიდანვე დაუწყიათ სწავლა ამ უმაღლეს სასწავლებელში, მაგრამ ბევრ მათგანს პირველ-მეორე კურსამდე ძლივს მიუღწევია.

ამ დროს მოსკოვის უნივერსიტეტში სწავლობდნენ შემდეგი ქართველი სტუდენტები:

ჩიკვაიძე მიხეილ ფილიპეს ძე

დაბადებული 1837 წ. თბილისში, 1857 წელს ჩაირიცხა მოსკოვის უნივერსიტეტის სამედიცინო ფაკულტეტზე. 1861 წელს იყო III კურსზე. ავადმყოფობის გამო 1865 წელს აუღია აკადემიური შვებულება და ამის შემდეგ სწავლა არ გაუგრძელებია (ГИАМО, ф. 418, оп. 26. д. 601, г. 1861).

მაისურაძე ივანე სიმონის ძე

დაიბადა 1834 წელს ახალციხეში. 1858 წელს ჩაირიცხა მედიცინის ფაკულტეტის საპროვიზორო სპეციალობაზე. 1862 წელს ჩაბარა სახელმწიფო გამოცდები პროვიზორის წოდებაზე (ი ქ ვ ე. оп. 31, д. 82, г. 1862).

ლეონიძე სოლომონ ივანეს ძე

არის ერეკლეს კანცელარის სოლომონ ლეონიძის შვილიშვილი. დაიბადა 1842 წ. სოფ. კაცხში. 1862 წელს ჩაირიცხა მოსკოვის უნივერსიტეტის იურიდიულ ფაკულტეტზე. მოღვაწეობდა ქუთაისში, იყო ქუთაისის სათავადაზნაურო ბანკის გამგეობის წევრი. გარდაიცვალა 1901 წელს ქუთაისში (ი ქ ვ ე, оп. 31, д. 776. г. 1862).

ჯავახიშვილი კონსტანტინე ალექსანდრეს ძე

დაიბადა 1844 წ. თბილისის გიმნაზია დაამთავრა 1862 წელს, იმავე წელს ჩაირიცხა მოსკოვის უნივერსიტეტის იურიდიულ ფაკულტეტზე, ხოლო 1862 წელსვე გადასულა მათემატიკურ ფაკულტეტზე, მაგრამ უნივერსიტეტი არ დაუმთავრებია ავადმყოფობის გამო. ჯერ აკადემიური შვებულება აუღია და შემდეგ სულ დაუნებებია თავი (ი ქ ვ ე, оп. 31, д. 776, г. 1862).

ჯავახიშვილი გრიგოლ ალექსანდრეს ძე

დაიბადა 1839 წ. გორის მაზრაში. 1857 წელს დაამთავრა თბილისის გიმნაზია, 1858 წელს ჩაირიცხა ფიზიკა-მათემატიკის ფაკულტეტზე (იხ. იქვე).

ჭიჭინაძე ნიკოლოზ

დაიბადა 1841 წელს. 1862 წელს დაამთავრა ქუთაისის გიმნაზია და იმავე წელსვე ჩაირიცხა მოსკოვის უნივერსიტეტის იურიდიულ ფაკულტეტზე (იხ. იქვე).

მრევლიშვილი სოლომონ იოსების ძე

დაიბადა 1838 წელს სოფელ ბცხეთას. 1858 წელს დაამთავრა თბილისის სასულიერო სემინარია, იმავე წელს ჩაირიცხა მოსკოვის უნივერსიტეტის სამედიცინო ფაკულტეტზე. ჩაბარა გამოცდები მედიცინის დოქტორის წოდებაზე (იხ. იქვე).

ისარლიშვილი ივანე სტეფანეს ძე

დაამთავრა თბილისის გიმნაზია 1857 წელს. 1858 წელს შეაქვს განცხადება მოსკოვის უნივერსიტეტში სამედიცინო ფაკულტეტზე ჩარიცხვის შესახებ. ჩაირიცხა .იდევაც, მაგრამ იმავე წელს თავს ანებებს სწავლას (იქვე. оп. 25. д. 175, г. 1858).

ჯაბადარი ნიკოლოზ სპირიდონის ძე

დაიბადა 1836 წელს საგარეჯოში, სწაელა მიიღო ოჯახში. 1858 წელს ჩაირიცხა მოსკოვის ფიზიკა-მათემატიკის ფაკულტეტზე. იმავე წელს პირველი კურსიდან ჯაბადარი თავს ანებებს სწავლას (იხ. იქვე).

მეფისაშვილი ბექა კონსტანტინეს ძე

დაბადებულია 1838 წელს ახალციხეში. აქვს მიღებული ოჯახური განათლება. 1858 წელს რექტორის ბრძანებით ჩარიცხულია მოსკოვის უნივერსიტეტის სამედიცინო ფაკულტეტის პირველ კურსზე (იხ. იქვე).

გამრეკლიშვილი ვასილ

დაიბადა 1840 წელს. დაამთავრა ქუთაისის საგუბერნიო გიმნაზია. 1861 წელს ჩაირიცხა მოსკოვის უნივერსიტეტის სამედიცინო ფაკულტეტზე სახელმწიფო ხარჯზე. გადასულია მეორე კურსზე (იხ. იქვე).

ქავთარაძე პლატონ

1856 წელს დაამთავრა სტავროპოლის გიმნაზია. 1857 წელს მოსკოვის ოლქის მზრუნველის განკარგულებით ჩაირიცხა მოსკოვის უნივერსიტეტის იურიდიულ ფაკულტეტზე. დაამთავრა უნივერსიტეტი და 1860 წელს მოითხოვს რექტორისაგან გამოცდების ჩაბარების ნებართვას კანდიდატის ხარისხზე (იქვე, оп. 29, д. 36, г. 1860).

ამათ გარდა პეტერბურგის უნივერსიტეტის დახურვის გამო 1861 წელს პეტერბურგიდან მოსკოვის უნივერსიტეტში სწავლის გასაგრძელებლად გადმოვიდნენ:

ვაჩნაძე იოსებ რევაზის ძე

დაბადებული თელავის მაზრაში, სოფ. ყვარელში 1837 წელს. 1860 წელს ჩაირიცხა პეტერბურგის უნივერსიტეტის იურიდიულ ფაკულტეტზე. 1861 წელს პეტერბურგის უნივერსიტეტის დახურვის დროს იყო მეორე კურსზე. 1862 წ. იოსებ ვაჩნაძე ჩაირიცხა მოსკოვის უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის მეორე კურსზე (იქვე. оп. 31, д. 153, г. 1862).

მესხი გრიგოლი

1861 წელს პეტერბურგის უნივერსიტეტის დახურვის გამო 1862 წელს გადადია მოსკოვის უნივერსიტეტში იურიდიული ფაკულტეტის პირველ კურსზე (იხ. იქვე).

ღოღობერიძე სიმონ ბესარიონის ძე

პეტერბურგის უნივერსიტეტში ჩაირიცხა 1861 წელს. უნივერსიტეტის დახურვის შემდეგ გადადის მოსკოვის უნივერსიტეტში. აქ სწავლობს 1863 წლამდე და საგნებს აბარებს წარჩინებით. მაგრამ რაღაც მიზეზის გამო სიმონ ღოღობერიძე თავს ანებებს უნივერსიტეტს. სიმონ ღოღობერიძე არას ძმა ნ. ღოღობერიძისა, პედაგოგი და ისტორიკოსი, თანამშრომლობდა ჟურნალ „მოამბეში", გარდაიცვალა 1914 წელს. პეტერბურგში სწავლობდა და სტუდენტთა მოძრაობაში აქტიურ მონაწილეობას ღებულობდა ნ. ღოღობერიძის მეორე ძმა დაეით ღოღობერიძე (იხ. იქვე).

თუმანიშვილი მიხეილ

პეტერბურგის უნივერსიტეტში სწავლობდა იურიდიულ ფაკულტეტზე. 1861 წელს იყო II კურსზე. უნივერსიტეტის დახურვის გამო სწავლას აგრძელებს მოსკოვის უნივერსიტეტში (იხ. იქვე).

რაზმაძე ალექსანდრე სოლომონის ძე

არის შვილი პენზაში გადასახლებული ქართველი პოეტის სოლომონ რაზმაძისა. ალექსანდრე რაზმაძემ 1862 წელს 17 წლის ახალგაზრდამ ოქროს მედლით ღამთავრა პენზის გიმნაზია და იმავე წელს ჩაირიცხა მოსკოვის უნივერსიტეტის იურიდიულ ფაკულტეტზე. რაზმაძემ დიდი როლი შეასრულა რუსეთის კულტურის ისტორიაში. იყო პროფესორი მუსიკის მცოდნე და რუსული მუსიკის ისტორიკოსი.

ალ. რაზმაძე, რა თქმა უნდა, არ ჩაითვლება სამოციანი წლების ქართველ მოღვაწედ, ხოლო დანარჩენებს არაფრით არ გამოუჩენიათ თავი ეროვნული კულტურის აღორძინების საქმეში.

ასეთი დიდი სხვაობა მოგვცა ამ ორმა უნივერსიტეტმა 60-იან წლებში ქართველი ახალგაზრდობის აღზრდის საქმეში. ეს უცნაურია. მაგრამ ფაქტია.

თერგდალეულების მოღვაწეობის ძირითადი საკითხები

პეტერბურგის უნივერსიტეტის ქართველი სტუდენტების როლი მე-19 საუკუნის მშობლიური ლიტერატურისა და აზროვნების განვითარების საქმეში

აღიარებული ფაქტია, რომ 60-იანი წლები მე-19 საუკუნის ქართული აზროვნებისა და ლიტერატურის განვითარების ერთი უძლიერესი ეტაპია. ამ დროიდან არა მარტო იდეური გარდატეხა მოხდა ქართულ ინტელექტუალურ სამყაროში, არამედ მხატვრული სიტყვა აღორძინდა და ჯანსაღი აზრი კვლავ ხელოვნების მაღალ ფორმაში გამოვლინდა. აზროვნების სფეროში სრულიად ახალი მეთოდი გამოჩნდა, რომლის საშუალებით გზა გაიკაფა ხელოვნებამ ჭეშმარიტებისაკენ.

ხელოვნებამ და მეცნიერებამ მიზნად ხალხის სამსახური დაისახეს. ახლებურად გადაფასდა ჩვენი მრავალსაუკუნოვანი კულტურული მემკვიდრეობა. არ დარჩენილა ჩვენი ცხოვრების არც ერთი კუნჭული, რომ თერგდალეულებს მათ შესახებ ახალი არ ეთქვათ, ახლებურად არ დაეყენებინათ საკითხი.

მართალია, ქართული ლიტერატურის და აზროვნების ისტორია ერთი უძლიერესი ნაკადია კაცობრიობის მატიანეში, მაგრამ მე-19 საუკუნის პირველი ნახევრის ქართული ლიტერატურა ანტონ პირველის სქოლასტიკის გავლენითა და სათანადო პრესის უქონლობის გამო, მასებისგან მოწყვეტილი იყო. თუმცა ამ პერიოდში საქართველოს ისეთი ბრწყინვალე პოეტები ჰყავდა, როგორიც იყვნენ: ალ. ჭავჭავაძე, გრ. ორბელიანი, ნ. ბარათაშვილი და სხვები, მაგრამ მათი ნაწერები მხოლოდ მუზეუმში ჩაკეტილ განძეულს ჰგავდა, და ამდენად მათი გავლენის სფეროც ძალზე ვიწრო წრით შემოიფარგლებოდა.

სამართლიანობა მოითხოვს აღინიშნოს ისიც, რომ თერგდალეულებმა არა მარტო თავიანთი შემოქმედებით აამაღლეს ქართული მხატვრული სიტყვის კულტურა და ეს სიმდიდრე მასებს დაუკავში-

რეს, არამედ ამავე დროს მთელი ქართული ინტელექტუალური საუნ-ჯე, მრავალსაუკუნოვანი ეროვნული განძეული, მანამდე მტვერწაყრილი, მზის სინათლეზე გამოიტანეს და ერის სამსახურში ჩააყენეს.

კიდევ მეტი, ილია ჭავჭავაძემ და მისმა თანამებრძოლებმა ქართული აზრი და სიტყვა საერთაშორისო არენაზე გაიტანეს.

ილია ჭავჭავაძე ნ. ბარათაშვილის შესახებ წერდა: „ნ. ბარათაშვილმა ჩვენს აზრს, ჩვენს გულისთქმას, ჩვენს ჭკუა-გონებას დიდი განი და სიღრმე მისცა, კაცობრიობის წყურვილს ქართველიც თანამოზიარედ გაუხდა და კაცობრიულ წყურვილის მოსაკლავ წყაროს ქართველიც დააწაფა"[1].

ეს სიტყვები შეიძლება სიამაყით გავიმეოროთ თვით ილია ჭავჭავაძისა და მისი თანამებრძოლების შესახებ. ილიამ ქართულ სიტყვას დიდი ძალა და მიმზიდველობა მისცა. თერგდალეულებმა მხატვრულ ჟანრებთან ერთად ღრმა თეორიული პრობლემები წამოაყენეს. ისინი იმ დროის მოწინავე მსოფლიო აზროვნების დონეზე იდგნენ, მათ ნაწერებში იგრძნობა ფილოსოფიის, ესთეტიკის, ისტორიის, პოლიტეკონომიის, ბუნებისმეტყველებისა და სხვა დარგების ღრმა ცოდნა.

ილია ჭავჭავაძე, აკაკი წერეთელი, გიორგი წერეთელი, ნიკო ნიკოლაძე და სხვები ამ ეპოქის ნამდვილი ენციკლოპედისტები იყვნენ. მათთვის არ არსებობდა ჟანრობრივი შეზღუდულობა. ისინი ყველგან და ყოველთვის, მხატვრულ სახეებს ქმნიდნენ თუ მეცნიერულ ტრაქტატებს სწერდნენ, გოლიათებად გვევლინებოდნენ. ილია ისევე დიდი მოაზროვნე იყო, როგორც დიდი მხატვარი. მართალია, მას სპეციალური ფილოსოფიური გამოკვლევები არ დაუწერია, მაგრამ იგი ასეთი ჩანს თვით პოეტურ სტრიქონებში და კიდევ უფრო მეტად თეორიული ხასიათის სტატიებში.

ილია მე-19 საუკუნეში არა მარტო მხატვრულ სახეებს ძერწავდა. არამედ ხელოვნების პრობლემებზე თვალსაჩინო გამოკვლევებსაც წერდა.

აკაკი წერეთლის პოეტური მადლის სათავიდან არა მარტო ლირიკული ანკარა ნაკადული მორაკრაკებდა, არამედ აზროვნების ბობოქარი ტალღებიხ ცემაც იგრძნობოდა, თუმცა აკაკი მაინც, არსებითად, პოეტად იყო დაბადებული.

თერგდალეულების თვალსაჩინო წარმომადგენელი გიორგი წერეთელი ერის გაჭირვების ტალკვესად ითვლებოდა. აბა რა საკითხი უნდა ყოფილიყო ჩვენი ხალხის ცხოვრებაში ისეთი, რომელსაც თერგდალეულები არ შეეხებოდნენ: — ფილოსოფია, ისტორია, ესთეტიკა,

---

[1] ი. ჭ ა ვ ჭ ა ვ ა ძ ე. თხზულებანი. ტ. 3, 1953 წ., გვ. 219.

არქეოლოგია, ბუნებისმეტყველება, სასოფლო-სამეურნეო მეცნიერება, ასტრონომია და სხვა მრავალი ობიექტი წარმოადგენდა, მხატვრულ შემოქმედებასთან ერთად მათი კვლევის საგანს.

ნიკო ნიკოლაძე ისეთი დიაპაზონის მოაზროვნე იყო, რომელმაც თავის დროზე ღრმა კვალი დააჩნია, არა მარტო ქართულ სინამდვილეს, როგორც აღნიშნული გვქონდა, არამედ მის ფარგლებს გარეთაც. ჯერ კიდევ ახალგაზრდა ნიკოლაძე აქტიური მონაწილე იყო რუსეთის მოწინავე იდეებისა, ხოლო საზღვარგარეთ იგი ცნობილი გახდა ემიგრაციის შემდეგ. ნ. ნიკოლაძე პარიზში, ლონდონში და ჟენევაში თანამშრომლობდა სხვადასხვა ჟურნალ-გაზეთებში, თვით ბეჭდავდა უცხო ენაზე წიგნებსა და ბროშურებს, მას ანგარიშს უწევდნენ და მისი აზროვნების სიღრმით დაინტერესებული იყვნენ იმდროინდელი მსოფლიოს მოწინავე მოღვაწეები. იგი მეგობარი იყო ჩერნიშევსკისა და გერცენის, ახლო იცნობდა ლუი ბლანსს, ლაფარგს, ბაკუნინს და სხვებს.

როგორც ადრევე აღვნიშნეთ, სამოციანი წლების მოღვაწეებმა ქართულ აზრსა და სიტყვას მეტი ძალა მისცეს, მეტად გაზარდეს მისი მოქმედების საზღვრები.

თერგდალეულების სამოღვაწეო ასპარეზზე გამოსვლა ბურუსიან ამინდში კაშკაშა მზის მოულოდნელ გამონათებას უდრიდა.

მართალია, ჯერ კიდევ ილია ჭავჭავაძის ეპიკური ნაწარმოებების გამოქვეყნებამდე განთიადის ნაპერწკლები უკვე ჩანდა საქართველოს ჰორიზონტზე დანიელ ჭონქაძის „სურამის ციხის“, ლავრენტი არდაზიანის „სოლომონ ისაკიჩ მეჯღანუაშვილის“, გიორგი ერისთავის კომედიების და სხვათა სახით, მაგრამ ახალი ეპოქის დაბადების ნამდვილი თარიღი თერგდალეულების სახელთან არის დაკავშირებული.

ყველა დიდ ეპოქას თუ დიდ მოვლენას თავისი წინამორბედები ჰყოლია. თერგდალეულების მოღვაწეობასაც წინ უსწრებდა დ. ჭონქაძის, ლ. არდაზიანის და გ. ერისთავის შემოქმედება. ცხადია, მათ მოღვაწეობას დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ახალი ხანის დასაწყებად, მაგრამ ეს მნიშვნელობა დიდი შენობისათვის ნიადაგის მომზადების ფარგლებს არ სცილდებოდა. შენობის საძირკველი თერგდალეულებმა ჩაჰყარეს და შენობის ისტორიაც აქედან უნდა დავიწყოთ [1].

რუსეთის სამოციანი წლების რევოლუციონერ მოღვაწეთა მებრძოლი იდეები ქართულ ნიადაგზე თერგდალეულებმა დაამკვიდრეს, მათ საკაცობრიო აზრებს ეროვნული ხორცი შეასხეს, მაგრამ ეს ისე

---

[1] ამ საკითხზე საინტერესო მოსაზრებები აქვთ გამოთქმული ა. გაჩეჩილაძეს, „ლიტერატურული ძიებანი“, ტ. IX, გვ. 183 და დ. გამეზარდაშვილს, ნარკვევები ქართული რეალიზმის ისტორიიდან, წ. II, გვ. 352 — 354.

მოხდენილად გააკეთეს, რომ საკაცობრიო სული ეროვნულ ნაკუწში კი არ მოამწყვდიეს, არამედ, პირიქით ეროვნული სული საკაცობრიო იდეებამდე აამაღლეს.

მართალია, რუსეთის სამოციანი წლების რეოლუციური იდეები ჰკვებავდა ამ პერიოდის ქართულ კულტურას და ეს აზროვნების ნაკადული უხვად რწყავდა ჩვენი ქვეყნის გონებრივ ნიადაგს, მაგრამ ქართველი მოღვაწეები ტრაფარეტულ გზას არ გაჰყოლიან, ამ დიდ მოძრაობაში მათ ბევრი რამ თავისი შეიტანეს. რუსეთის მოწინავე იდეები დიდ ქართულ მოწინავე კულტურას დაუკავშირეს და ახალი ეპოქის შესაფერი ხელოვნებისა და აზროვნების ძეგლები შექმნეს.

ამავე დროს სამოციანი წლების ქართველ მოღვაწეთა მოქმედების ხასიათი ნაწილობრივ მაინც განსხვავდებოდა ამდროინდელი რუსული რევოლუციური მიმართულებისაგან. ჩვენ გვგონია, რომ რუსეთის სამოციანი წლების რევოლუციური იდეები, ჩერნიშევსკის მებრძოლი შტაბის რადიკალური ხასიათი მისი სამოქმედო პროგრამით, არალეგალური პრესით და კონსპირატული ორგანიზაციებით, კატორღითა და გადასახლებებით, თავგანწირული სულისკვეთებით და მტკიცე რადიკალიზმით არ დამკვიდრებულა საქართველოში.

სამოციანი წლების ქართველი მოღვაწეები, მართალია, პეტერბურგის ბობოქარ ქუჩებში გამოიწვრთნენ, ჩერნიშევსკის უშუალო ხელმძღვანელობით აღიზარდნენ, მაგრამ პეტერბურგის რევოლუციური მოძრაობა ყველა თავისი დამახასიათებელი ნიშნით საქართველოში იმავე სახით არ განხორციელებულ-.

თერგდალეულები ისეთ რადიკალურ-ორგანიზაციულ შეტევაზე არ გადადიოდნენ, როგორც: ჩერნიშევსკი, დობროლუბოვი, ნეკრასოვი, მიხაილოვი და სხვები. მაშინ, როდესაც ჩერნიშევსკიმ და სხვა მისმა თანამებრძოლებმა თავიანთი ცხოვრების დიდი ნაწილი ციხეებსა და კატორღაში გაატარეს, თერგდალეულებს ასეთი მწვავე რეპრესიები არ განუცდიათ. თერგდალეულების ბრძოლა, უფრო ლიტერატურულ-იდეური ხასიათის ბრძოლა იყო. ისინი ღრმა მხატვრულ სახეებში და ალეგორიებში აწნავდნენ მებრძოლ იდეებს, არსებითად, ცენზურის ფარგლებში თავსდებოდნენ. მაგრამ ეს სრულებით არ ამცირებს ქართველ მოღვაწეთა ღირსებას. მათი საბრძოლო პროგრამა იმ ეტაპზე ჩვენი ქვეყნისათვის უდიდესი მოვლენა იყო. იგი არსებითად სამოციანი წლების რუსეთის რევოლუციური მოღვაწეების საქმის გაგრძელებას წარმოადგენდა.

ამასთან ისიც უნდა აღინიშნოს, რომ თერგდალეულების ჯგუფი, რუსეთის სამოციანი წლების იდეებისათვის მებრძოლთა დიდი რაზმი, რომელსაც ილია ჭავჭავაძე ხელმძღვანელობდა, არსებითად პეტერბურ-

გის უნივერსიტეტის ყოფილი სტუდენტებისაგან შედგებოდა. მართალია, შემდეგ სხვებიც შეუერთდნენ მათ რიგებს, მაგრამ სამოციანი წლების ქართული ლიტერატურისა და აზროვნების დიდი შენობა პეტერბურგის უნივერსიტეტის ყოფილი ქართველი სტუდენტების მხრებზეა დაბჯენილი. ამიტომ დავიწყეთ ჩვენ თერგდალეულების შემოქმედების შესწავლა რუსეთის სამოციანი წლების რევოლუციური მოძრაობიდან და პეტერბურგის უნივერსიტეტიდან. ამის გარეშე სამოციანი წლების ქართველ მოღვაწეთა შესწავლა არ იქნებოდა სრულფასოვანი.

თერგდალეულების მოღვაწეობის პირველი ეტაპი

თერგდალეულების მოღვაწეობის ისტორია ილია ჭავჭავაძის სახელთან არის დაკავშირებული. ამ მოძრაობის დასაწყისად 1861 წლის აპრილის თვე უნდა ჩაითვალოს. ეს ილია ჭავჭავაძის პირველი საპოლემიკო სტატიის — „ორიოდე სიტყვა თავად რევაზ შალვას ძის ერისთავის მიერ — კოზლოვის „შეშლილის" თარგმანზედა" — დაბეჭდვის თარიღია. ეს სტატია ახალთაობის მანიფესტი იყო, რომელმაც რადიკალურად განსაზღვრა რეაქციულ და პროგრესულ მიმართულებათა იდეური მიჯნები. ამ დღიდან ფარდა აეხადა რეაქციული დაჯგუფების სიყალბესა და ჩამორჩენილობას.

„ცისკარში" მოთავსებული ილია ჭავჭავაძის ზემოაღნიშნული წერილი წყვდიადითა და სიჩუმით მოცულ ჩვენი საზოგადოების თავდამვიწყებ-ალერსიან თვლემაში ძლიერი ნასროლი იყო. ჩვენი საზოგადოებისათვის იმ წერილის არც ახალი ენა, არც კადნიერი კილო, არც რადიკალური, ძველის უარმყოფი მიმართულება მისაღები და მოსაწონი არ იყო"[1].

ცხადია, ილიას მკაცრი პოლემიკა და საკითხების ახლებურად დაყენება ძველი თაობისათვის არამცთუ მიუღებელი, უჩვეულოც იქნებოდა.

ილია ჭავჭავაძემ ამ სტატიაში მნიშვნელოვანი ყურადღება „ცისკრის" რაობის განხილვას მიაქცია, მის იდეურ განსაზღვრას მიუძღვნა. „ცისკარი", არსებითად, ფეოდალური კლასის ინტერესებს ემსახურებოდა. მისი თანამშრომლებისა და რედაქციის წევრთა ძირითადი ნაწილი რეაქციულ მიმართულებას მიეკუთვნებოდა. ჟურნალში უმთავრესად იბეჭდებოდა იდეურად და მხატვრულად სუსტი ნაწარმოებები. მის დამსახურებად, ილიას აზრით, მხოლოდ ქართველ რომანტიკოსთა ნაწარმოებების გამოქვეყნება თუ ჩაითვლებოდა.

„კიდევ, მადლობა ღმერთს, რომ „ცისკარი" მაგ ყოფაშია, ორიოდე

---

[1] ი ბ ი ბ. ზ ა ნ დ უ კ ე ლ ი, ახალი ქართული ლიტერატურა, ტ. II, 1939 წ., გვ. 185.

თავად ალ. ჭავჭავაძის, თავად ნ. ბარათაშვილის და გრ. ორბელიანის ლექსებთან მაინც გაგვაცნო, რომ სხვა არა იყოს-რა. სხვა ახალი პროზაიკები და მოლექსეები, ზოგიერთის გარდა, ღმერთმა შეინახოს" [1]. ამ ზოგიერთებში იგი გულისხმობდა დანიელ ჭონქაძესა და ლავრენტი არდაზიანს.

მართალია, „შეშლილის" რეცენზიაში ილია ჭავჭავაძე რევაზ ერისთავის თარგმანის ღირსებას ეხება, მაგრამ ფაქტიურად სტატია რეცენზიის ფარგლებს სცილდება და ავტორი ამ წერილში ზოგადსაპროგრამო დებულებებს აყალიბებს.

ეს დებულებები ასეთი ხასიათისაა:

I. ჟურნალი „ცისკარი" და მისი თანამშრომლები ცხოვრებას მოწყვეტილნი არიან. მათი ლიტერატურული პროდუქცია მდარე და პრიმიტიულია. ამას ადასტურებს რევაზ ერისთავის მიერ კოზლოვის „შეშლილის" თარგმანის „ცისკრის" ფურცლებზე გამოქვეყნება.

II. სალიტერატურო ენა ხალხური მეტყველების საფუძველზე უნდა იყოს აღმოცენებული. ენის ღირსება მისი ხალხურობაა. რევაზ ერისთავის და საერთოდ „ცისკრის" ენა ამ თვისებას მოკლებულია და ამდენად უვარგისია.

III. ენა და აზროვნება თანასწორი კომპონენტებია. ენა არ არსებობს აზროვნების გარეშე და აზრი ენის გარეშე.

IV. ენა ისტორიული კატეგორიაა: იგი ვითარდება და იცვლება საზოგადოებრივი მოვლენების ცვალებადობასთან ერთად.

V. ერის ღირსება ენის ღირსებით განისაზღვრება.

VI. სენტიმენტალიზმი დრომოჭმული ლიტერატურული მიმართულებაა, სენტიმენტალისტი კოზლოვი კი მათ შორის ყველაზე სუსტი მწერალია. ხოლო კოზლოვის ნაწარმოებთა შორის „შეშლილი" უსუსტესი ნაწარმოებია. მხოლოდ ისეთი ნაწარმოები უნდა ითარგმნოს, რომელიც სასარგებლო იქნება ხალხისათვის.

VII. წმინდა ხელოვნების თეორია უაზრობაა. ხელოვნება მაშინ შეასრულებს თავის საპატიო მოვალეობას, როდესაც იგი ცხოვრების საჭირბოროტო საკითხებს გამოხატავს.

VIII. ხელოვნება აზროვნებაა სახეებში და, მაშასადამე, მან ჭეშმარიტება უნდა დაგვანახოს სახეებში. რაკი ხელოვნება აზროვნებაა. აზრიანი ხელოვნება არ შეიძლება არსებობდეს შინაარსის გარეშე.

IX. ჭეშმარიტი ხელოვნება ხალხურია, ხალხურობა აძლევს ნაწარმოებს ცხოველმყოფელ ძალას.

სტატიის ბოლოს ილია დასძენს: „სამი ღვთაებრივი საუნჯე დაგვრჩა ჩვენ მამაპაპათაგან: მამული, ენა და სარწმუნოება. თუ ამათაც

[1] ილია ჭავჭავაძე. თხზულებანი, ტ. 3, 1953 წ.. გვ. 16.

არ უპატრონეთ, რა კაცები ვიქნებით, რა პასუხს გავცემთ შთამომავლობას? სხვისა არა ვიცით და ჩვენ-კი მშობელ მამასაც არ დაუთმობდით ჩვენი მშობლიური ენის მიწასთან გასწორებას. ენა საღვთო რამ არის, საზოგადო საკუთრებაა, მაგას კაცი ცოდვილის ხელით არ უნდა შეეხოს"[1].

ილია ჭავჭავაძე ჭეშმარიტად იცავდა ქართულ ენას თავისი ხანგრძლივი სიცოცხლის განმავლობაში. მშობლიური ენა მას, მართლაც ერის საუნჯედ მიაჩნდა, მაგრამ ამაში ძნელი დასარწმუნებელი იყო „ცისკრის" თეორეტიკოსები და იმათ თვალში ილია დიდხანს ითვლებოდა საკუთარი ენის წამრყვნელად.

როგორც ვხედავთ, აქ წარმოდგენილი ყველა საკითხი თეორიული ხასიათისაა და უმთავრესად ენის, ლიტერატურისა და ხელოვნების სპეციფიკურობას შეეხება, მაგრამ ამავე დროს ილია სოციალურ მოვლენებსაც არ ტოვებდა უყურადღებოდ. მისი დაჟინებითი მოთხოვნა ლიტერატურის ხალხურობისა და ცხოვრების საჭირბოროტო საკითხების გამოხატვის შესახებ ამავე დროს არსებული სოციალური უკუღმართობის წინააღმდეგ ბრძოლას ნიშნავდა.

ილიას აპრილის სტატიამ დიდი არეულობა გამოიწვია „ცისკრის" თანამშრომლებში. რევაზ ერისთავი, ბარბარე ჯორჯაძისა, გიორგი ბარათაშვილი და სხვები მიუჩვეველნი იყვნენ პოლემიკას. ისინი, ანტონ პირველის აუტორიტეტს ამოფარებულნი, თავისუფლად გრძნობდნენ თავს სამწერლო სარბიელზე. მკითხველის იდეური და მხატვრული დონე იმდენად დაბალი იყო, რომ „ცისკრის" ლექსები თუ კრიტიკული სტატიები ხალხის სულიერ საზრდოდ ითვლებოდა.

მათთვის უცხო იყო ბელინსკისა და ჩერნიშევსკის მატერიალისტური და მაღალპრინციპული თეორიები. ილიას მოწინააღმდეგეთა თეორიული განათლება ანტონ პირველის „ანბანთ თეორეტიკას" და გრამატიკის ფარგლებს არ გასცილებია. ილიას აპრილის სტატიის საწინააღმდეგოდ სამი საპასუხო წერილი დაიბეჭდა „ცისკრის" მომდევნო ნომერში. მაგრამ მოწინააღმდეგენი თეორიულ დებულებებზე პასუხის გაცემის მაგიერ, ილიას ლექსების განხილვას შეუდგნენ და შეცდომების ძებნას მიჰყვეს ხელი. ეს იმიტომ მოხდა, რომ ძველი თაობის წარმომადგენლებს ილიასთან პირდაპირ კამათი არ შეეძლოთ და იოლი გზა აირჩიეს ანგარიშის გასასწორებლად.

ბარბარე ჯორჯაძე, რევაზ ერისთავი და სხვები ანტონ პირველის „ანბანთ თეორეტიკის" და გრამატიკის სიბრძნით იყვნენ დამძიმებულნი მაშინ, როდესაც ილია ჭავჭავაძე, გიორგი ბარათაშვილის თქმით, ბელინსკის ტომებით იყო შეიარაღებული.

---

[1] „ცისკარი", 1861 წ., № 4.

ბარბარე ჯორჯაძისა ილიას საწინააღმდეგო სტატიას სახარების სიტყვებით იწყებს და სახარების სიტყვებითვე ამთავრებს. და ამას იმით ამართლებს, რომ ფილოსოფიისა და ხელოვნების პრობლემებს „საღმრთო წიგნებში ვპოებთო“.

თავად რევაზ ერისთავმა კამათის ნაცვლად ლანძღვა დაუწყო ილიას.

„ეტყობა ძალიან ზაფრიანი აგებულების ბრძანებულა თავ. ჭავჭავაძე, ეშმაკათ, აკი იმ დროს წაუკითხავს ის ჩვენგან თარგმნილი, როდესაც ზაფრა ჰქონია აშლილი და ჯავრიც ჩვენზედ უყრია“[1].

ხოლო, გიორგი ბარათაშვილი, როგორც მისი სტატიის დასაწყისიდან ჩანს, „ცისკრის“ რედაქციას ძალად გამოუყვანია სამწერლო ასპარეზზე. რედაქტორის დავალებით დაუწერია მას ილიას საწინააღმდეგო სტატია.

„არ ვიცი, რა მიზეზია, — წერს იგი, — რომ ჩამაცივდით დაწერე რამე ცისკრისთვის. ნუთუ გსურთ ჩემზედაც ალაჟღანდაროთ ზოგი ერთნი მჭერმეტყველნი და შეამკობინოთ ჩემი თავი, როგორათაც საბრალო კოზლოვი?“[2]

სამართლიან შიშს შეუპყრია გ. ბარათაშვილი, რომ იგიც ილიას „სალაჟღანდარო“ არ გამხდარიყო. მართლაც, რა იმედი ჰქონდა მას როცა ხელს კიდებდა კალამს, თუ გიმნაზიაში მისი „ცოდნა ქართულს ენაში ნაცვალს სახელს არ გადასცილებია“, თუ ხელოვნებისა და ლიტერატურის ელემენტარული საკითხები არ გაეგებოდა და მამულის აყვავებაში მწვანე ბალახის აყვავების ნატვრას ხედავდა!

სამი სტატია დაიბეჭდა ილიას წინააღმდეგ და სამივე, ილიას თქმისა არ იყოს, ერთადაც არ ღირდა, მათგან ერთი „ზომიერი ლუკმა“ არ გამოიჭრებოდა.

ილია იძულებული გახდა პასუხი გაეცა რიცხობრივად მოძალებულ მოკამათეთათვის. მისი ეს მეორე საპასუხო სტატია ნამდვილად მომწიფებული მწერლის მომწიფებულ ნაყოფს წარმოადგენდა. აქ უფრო მეტად ჩანს მწერლის ზოგადი ფილოსოფიური განათლება, ხელოვნებისა და ლიტერატურის თეორიის ღრმა ცოდნა, მსოფლიო კორიფეების შექსპირის, გოეთეს, ბაირონის და სხვათა შემოქმედების ანალიზის შესაძლებლობა და მკვეთრი ლოგიკური მსჯელობის გასაოცარი უნარი. გიკვირთ, 22 — 23 წლის ყმაწვილმა როგორ შესძლო ასეთი დიდი დამაჯერებლობითა და საკითხის ცოდნით, გზადაგზა მახვილი ირონიითა და პოლემიკის ამაღლებული ტონით, პასუხი გაეცა მოწინააღმდეგეებისათვის!

---

[1] „ცისკარი“, 1861 წ., № 5.

[2] ი ქ ვ ე.

ეს სტატია, უდავოდ, ქართული პუბლიცისტური ლიტერატურის კლასიკურ ნიმუშს წარმოადგენს. კითხულობთ ამ სტატიას და აშკარად ხედავთ, მართლაც რა დიდი ზღვარი ყოფილა „შინიდან ფეხგაუდგმელ“ მწერლებსა და ახალი მსოფლმხედველობით შეიარაღებულ ილია ჭავჭავაძეს შორის.

საპასუხო სტატიას ილია ბელინსკის ციტატით იწყებს და ბელინსკის მსჯელობის მაგალითებიც მოაქვს საკითხის გადაჭრის დროს. ილიამ ამ სტატიაში კიდევ უფრო განავითარა პირველ წერილში წამოყენებული თეორიული დებულებები და მან, კერძოდ, ამ მეორე სტატიაში ზოგი რამ ახალიც დაუმატა.

I. სიტყვა და აზრი მჭიდროდ დაუკავშირა ერთმანეთს, მაგრამ აზრს მაინც გადაწყვეტი მნიშვნელობა მისცა.

II. მოითხოვა, რომ სალიტერატურო ენას ხალხის ენა დასდებოდა საფუძვლად.

III. ჭეშმარიტი ხელოვნება და ჭეშმარიტი პოეტი ხალხთან კავშირში წარმოადგინა.

IV. რომ მწერლისათვის თანდაყოლილ ნიჭთან ერთად აუცილებელია გარემო მდგომარეობის ცოდნა.

V. აზროვნება და მეტყველება იცვლება საზოგადოებრივი მოვლენების ცვალებადობასთან ერთად, ყველაფერი დიალექტიკის პრინციპებს ექვემდებარება.

გარდა ამ ზოგადი დებულებებისა, ილია ამ სტატიაში მკაცრად ილაშქრებს ბარბარე ჯორჯაძისა და საერთოდ „ცისკრის“ პრიმიტიული პოეზიის წინააღმდეგ.

ილია სამართლიანად აღნიშნავს, რომ მოწინააღმდეგეები ნაცვლად იმისა, რომ მის თეორიულ დებულებებს შეხებოდნენ, ლექსების შეფასებას მიჰყვეს ხელი და უთავბოლო ლანძღვა-გინება დაუწყეს სტატიის ავტორს.

აქვე უნდა აღინიშნოს ისიც, რომ ილიას საპასუხო სტატია ვრცელი კომენტარებით დაიბეჭდა „ცისკარში“. ილიას ყოველ თეორიულ დებულებას რედაქცია უპირისპირებს თავის უხეირო მოსაზრებებს. სხვათა შორის, რედაქცია კარგად გრძნობს იმასაც, რომ ილია ჭავჭავაძე მარჯვედ იყენებს ბელინსკის თეორიულ დებულებებს.

„ცისკრის“ რედაქციას არ მოსწონს ილიასეული ჭეშმარიტი განმარტება ხელოვნების სპეციფიკისა.

ილია წერს: „ხელოვნება არის განხორციელება სახეში იდეისა, აზრისა: მუსიკა, მხატვრობა, პოეზია — ესენი სულ სახეში გამოსთქვამენ იდეას, მხოლოდ იმით განიყოფებიან, რომ თავის იდეის გამოსათქმელად სხვადასხვა მასალებსა ხმარობენ, როგორც მუსიკა — ხმასა, მხატვ-

რობა — ხაზსა, პოეზია — სიტყვასა. სიტყვიერებითი ხელოვნება პოეზიას ჰქვიან, რადგანაც სიტყვის საშუალებით და შემწეობით აღასრულებს ხელოვნების მნიშვნელობასა“ [1].

„ცისკრის“ რედაქცია იქვე სქოლიოში ეწინააღმდეგება ამ განმარტებას და თავის მხრივ დასძენს: „ძალიან სასტიკად ანბობთ კნ. ბარბარე ჯორჯაძის უმეცრებასა და თქვენ თითონ არა გცოდნიათ, რა არის ხელოვნება, არც გესმის ეს სიტყვები. ...როგორ თუ სახეში. ანუ, როგორ თუ განხორციელება. სახე თქვენს აზრში მხატვრობას ხომა არ ნიშნავს? მაშ თუ ასეა, თქვენ გინდათ სთქვათ: ხელოვნება არის გახორციელება, ან მხატვრობითი გამოთქმა იდეისა, აზრისა... ეს ასე არ არის...“

აქაც გიორგი ბარათაშვილის მსგავსი პრიმიტიული მსჯელობაა მოცემული.

როგორც ვიცით, ილიამ პირველ წერილშივე უარყო ძველი ორთოგრაფიული ნიშნები და არქაული მეტყველების ნორმები, მოწინააღმდეგენი ამაში ენის წარყვნას ხედავდნენ და მის ხმარებას მოითხოვდნენ. მაგრამ ამისათვის მათ არავითარი მეცნიერული არგუმენტი არ გააჩნდათ. მათი ერთადერთი საბუთი მხოლოდ ის იყო, რომ ძველები ხმარობდნენ და ჩვენც უნდა ვიხმაროთო. ამ არამეცნიერულ-სქოლასტიკურ მსჯელობას ილიამ დაუპირისპირა მეცნიერული ცნებები და, რაც მთავარია, ილიამ, პირველმა, გამოიყენა ცხოვრების მოვლენების ასახსნელად დიალექტიკის პრინციპი. რომ საზოგადოებრივი მოვლენები იბადებიან, იზრდებიან და რომ ამ ზრდაში განიცდიან ცვალებადობას. მისი აზრით, ამ კანონს ემორჩილება ენაც. „კაცის ენა კერძობით პირსავით იზრდება და ვითარდება; ამ ზრდაში იცვლება. როგორც ჩვენ კაცნი ზრდაში ვიცვლებით ხოლმე; ხშირად იქნება, რომ კანონები ერთს დროს საჭირონი, სხვა დროს უვარგისნი არიან ხოლმე; იმიტომაც ახალი ენა ძველს ენას არა ჰგავს. როგორც ახალი კაცი არ ჰგავს ძველს კაცსა. მაშასადამე, თუ მიბრძანებთ, რომ რადგანაც ძველ წიგნებში ხმარებულა, იმიტომ ეხლაც უნდა ვიხმაროთო ეგ ასო, — ეგ უსაფუძვლო ბრძანება იქნება, როგორც უსაფუძვლოა თქვენი რჩევა, რომ ანბანის თეორეტიკა უნდა ისწავლოთ ხელოვნებისათვისო“ [2].

ამ დებულებით ილია ჭავჭავაძემ არა მარტო „ცისკრის“ მწერლები მოაქცია გამოუვალ ჩიხში, არამედ ქართულ აზროვნებას გზა გაუხსნა ჭეშმარიტებისაკენ. ეს იყო ზედნაშენური მოვლენების ახსნის ახლებური გზა, რასაც ძველი თაობის მესვეურები არამცთუ არ მიიღებდნენ, ვერც გაიგებდნენ. არ ცდებოდა „ცისკრის“ რედაქცია. როდესაც შენიშ-

---

[1] „ცისკარი“, 1861 წ., № 6.

[2] ი. ჭ ა ვ ჭ ა ვ ა ძ ე, თხზულებანი. ტ. 3, 1953 წ., გვ. 40.

ვნებში ილიას შესახებ წერდა: „იქნება ამგვარი წერა ბელინსკისაგან ისწავლაო"; ანდა „თქვენი მაგალითი და ავტორიტეტი ბელინსკიაო". ეს უდავო ჭეშმარიტებაა მაგრამ, ვფიქრობთ, ბელინსკის გარდა, ბევრი სხვა ავტორები უნდა წაეკითხა ილია ჭავჭავაძეს, რომ ასეთ ჭეშმარიტ გზამდე მისულიყო.

ცნობილია, რომ ბელინსკიმ და რუსეთის სამოციანი წლების რევოლუციონერ-დემოკრატებმა სასტიკად დაამარცხეს იდეალისტური თეორიები და უტილიტარული მიმართულება დაამკვიდრეს ლიტერატურასა და ხელოვნებაში.

ილია ჭავჭავაძე საქართველოში პირველი პოეტი და მოაზროვნეა, რომელმაც მატერიალისტური მსოფლმხედველობის მაღალი პრინციპებიდან თეორიული ბრძოლა გამოუცხადა „წმინდა ხელოვნების" თეორიას და პუბლიცისტურ სტატიებში წამოჭრილი დებულებები პრაქტიკულად განახორციელა მხატვრულ შემოქმედებაში.

უტილიტარული ხელოვნების დებულებებიდან გამომდინარე საპასუხო სტატიაში ილია განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევდა ენისა და ლიტერატურის ხალხურობას.

მაშინ, როდესაც ბარბარე ჯორჯაძისას სიბრძნის წყაროდ ანტონ პირველის ანბანთ თეორეტიკა და გრამატიკა მიაჩნდა, ილია სიბრძნის წყაროს ხალხში ხედავდა. „...ანბანთ თეორეტიკით-კი ნუ ცდილობს დამტკიცებას, — უპასუხებს ილია მწერალ ქალს, — არამედ ყურადღება მიაქციოს დაკვირვებით ხალხის სიტყვის გამოთქმასა, ხალხის ენაში მონახოს ფაქტი, დამანახოს და მაშინ დავეთანხმები" [1].

ილიას აზრით, ენას ხალხი ქმნის და არა გრამატიკა. „...მაშასადამე, ჯერ ხალხს მოაშლევინეთ ეგრეთ ულოღიკო ლაპარაკი და მერე მე. წინათვე მოგახსენეთ, ხალხია ენის კანონის დამდები და არა ანბანთ თეორეტიკა". „უვარგისი სიტყვა არც არის ქვეყანაზედ, თუ ხალხი ხმარობს. მაშასადამე ვარგისია". ჩვენ აქ არ შეეუდგებით იმის მტკიცებას, რომ ილია გადაჭარბებულად იყენებს ხალხის ავტორიტეტს, რომ ხალხის მეტყველებას ყოველთვის განურჩევლად ვერ მიიღებს სალიტერატურო ენა. ამას ილიას პრაქტიკული მოღვაწეობაც ამტკიცებს. მაგრამ მაშინ, როდესაც ალ. ორბელიანი, ბ. ჯორჯაძისა და სხვები ხალხს ბრბოდ წარმოიდგენდნენ და მათ უშვერ ენაზე რაიმე ხეირიანი აზრის გამოთქმა შეუძლებლად მიაჩნდათ, ილიას მიერ ხალხური მეტყველებისადმი ასეთი პატივისცემა დიდ პროგრესულ ნაბიჯს წარმოადგენდა ლიტერატურისა და აზროვნების ისტორიაში. ამდენად გადაჭარბებული შეფასებაც კი ხალხური ენის მნიშვნელობისა იმ პირობებში საჭირო იყო. მაშინ

---

[1] ი. ჭ ა ვ ჭ ა ვ ა ძ ე. ნაწერები. ტ. 3. 1953 წ., გვ. 40.

როდესაც „წმინდა ხელოვნების“ თეორიის დამცველები პოეტს ზეციდან მოვლინებულად თვლიდნენ და მხატვრულ ნაწარმოებში „ჟუჟყიანი ცხოვრების“ გამოხატვას გაურბოდნენ — ილია კატეგორიულად აცხადებდა: „პოეტსა ხალხი დაპბადავს და ხალხის ცხოვრება ძუძუს აწოვებს;. ამ საფუძვლით ამბობენ, პოეზია ხალხის ცხოვრების გამომთქმელიაო. ჯერ უნდა ხალხმა დაიმუშაოს თავისი სულიერი ბუნება, შეანძრიოს თავისი უკვდავების ძარღვი, მოამზადოს მასალა თავის ცხოვრებითა და მერე თავისთავად, უთქვენბრძანებლოდ ძლიერი სული გენიისა ძლიერად გამოპსცემს პასუხს ხალხის განვითარებასა“ [1].

ასეთ დიდ ყურადღებას აქცევდა ახალგაზრდა ილია ენისა და ლიტერატურის ხალხურობის საკითხს და ამას პრაქტიკულად ახორციელებდა კიდევაც თავის მხატვრულ შემოქმედებაში. ცნობილია, რომ იგი ხალხიდან კრებდა ლიტერატურულ მასალებს. ზოგჯერ სიუჟეტებსა და გმირებსაც ხალხიდან იღებდა. უხვად იყენებდა ლეგენდებსა და გადმოცემებს. ხალხურ თქმულებებს და ანდაზებს მარგალიტის მძივებივით აწნავდა პოემებსა და მოთხრობებში. ამიტომ იყო ილიას ნაწარმოებებმა ხალხის გულში ღრმად რომ გაიდგეს ფესვები.

———. . .———

ილიას წინააღმდეგ დავა საპასუხო სტატიით არ დამთავრებულა. ბრძოლამ სერიოზული ხასიათი მიიღო. კვლავ გამოჩნდნენ ლიტერატურის სარბიელზე „შინაური განათლების“ კალმოსნები. 1861 წლის „ცისკრის“ მეექვსე ნომერში სარდიონ ალექსი-მესხიშვილმა გამოაქვეყნა „უსტარი ანტიკრიტიკული“.

ამ ახალმა „თეორეტიკოსმა“ „ცისკრის“ მკითხველებს სამი შტილის თეორიის შესახებ დაუწყო ახსნა-განმარტება. „წერა არის სამგვარი: მაღალი, საშუალო და მდაბალიო“ და მოითხოვდა ლიტერატურაში მაღალი სტილის მეტყველების გაბატონებას. ასევე შეეცადა სარდიონ ალექსი-მესხიშვილი ხმარებაში დაებრუნებინა ილიასაგან განდევნილი ძველი ორთოგრაფიული ნიშნები, მაგრამ რატომ იყო ეს აუცილებელი, ამისათვის ნაკლები საბუთი ჰქონდა. ყველაზე მეტად, როგორც ჩანს, მას ის აწუხებდა, რომ რეკაზ ერისთავის თარგმანთან ერთად ილია ჭავჭავაძემ მის მიერ ნათარგმნი მარმონტელის „მეუდაბნოეც“ ცუდად მოიხსენია. მაგრამ ილიას სხვა მოწინააღმდეგეებისაგან იმით განსხვავდება „უსტარი ანტიკრიტიკულის“ ავტორი, რომ მსჯელობის დროს თავაზიანობას იჩენს და პატივისცემით იხსენიებს ყველასაგან შეჩვენებულ ილია ჭავჭავაძეს. ფაქტიურად სარდიონ ალექსი-მესხიშვილის გამოსვ-

[1] ი. ჭ ა ვ ჭ ა ვ ა ძ ე, თხზულებანი. ტ. 3, 1953 წ., გვ. 45.

ლია არაფერი შემატებია „ცისკრის“ თეორეტიკოსებს და არაფერი დაკლებია ილიას.

მალე ისევ ბარბარე ჯორჯაძისა გამოჩნდა ბრძოლის არენაზე. ეტყობა ის ძალზე აღუშფოთებია ილიას საპასუხო სტატიას, მაგრამ არც თვითონ აკლებს სალანძღავ სიტყვებს მას. გარდა ინისა, რომ უზრდელსა და უხეშს უწოდებს, პლაგიატობაშიც დებს ბრალს ილია ჭავჭავაძეს. სხვისი წიგნებიდან არის მოპარული შენი აზრებიო, თუმცა კონკრეტულად არც წიგნს ასახელებს და არც ავტორზე მიუთითებს, ისე კი გვაგრძნობინებს, რომ მას ბელინსკის ნაწერები აქვს მხედველობაში.

ამათ შორის ყოველგვარ მოლოდინს ექვთიმე წერეთელმა გადააჭარბა. ჩვენი სახელოვანი მწერლის გ. წერეთლის მამა ექვთიმე წერეთელი მხოლოდ იმით შერჩა ლიტერატურის ისტორიას, რომ მან 1862 წლის თებერვლის „ცისკარში“ ილიას საწინააღმდეგო სტატია გამოაქვეყნა. ისიც „შინაურ განათლებულთა“ რიგებს მიემატა.

ექვთიმე გორისელი ანტონ პირველისა და ბარბარე ჯორჯაძის უდიერად ხსენებას აღუშფოთებია და გულისტკივილით გაიძახის: „ოჰ. ღმერთო, რა მესმის! ქართველი კაცის სასმენელი იმდენად როგორ შეიცვალოს, რომ ანტონ კათალიკოსის მაღალ-ნიჭიერს სიტყვაობას სწუნობდეს და რას სახელდობრ: მის წყობილ სიტყვაობას, მის აკროსტიხულობას და მის იამბიკოებას“ [1].

გორისელი განაგრძობს „ამას მოვახსენებ კნიაზ ჭავჭავაძეს, რომ კნეინა ჯორჯაძისა თავისის მშვენიერი ლექსებით დიდი სასარგებლო წერილი არის ჩვენის ქართულის ჟურნალისა და ვსთხოვთ, რომ თავისი ნიჭი დაცემულის ენის აღსადგენად არ მოგვაკლოს...“ [2]

სტატიის დასასრულს ექვთიმე გორისელი შენიშნავს, რომ — „ესეც შევიტყეედ ჭორად ქუთაისშიდ, რომ ვითომც ეხლა უფ. ჭავჭავაძე აპირებდეს მეორეს ჟურნალის გამოცემას. უეჭველია, ის ჟურნალიც ისე ახალის ენისა იქნება, რა ენისთვისაც გამობრძანდა მწერლობის ასპარეზზედ შარშან და იმედი ჰქონდეს, რომ ბევრს ხელისმომწერს ჰპოვებს“ [3].

ამრიგად, ექვთიმე გორისელმა ბარბარე ჯორჯაძისა და „ცისკრის“ სხვა თანამშრომლების დაცვასთან ერთად, ილია ჭავჭავაძისა და მისი მომავალი ჟურნალის ავტორიტეტის დაცემა დაისახა მიზნად [4].

როგორც დავინახეთ, ილიას მოწინააღმდეგეთა რიგები კიდევ გაი-

---

[1] „ცისკარი, 1862 წ., № 2.

[2] იქვე.

[3] იქვე.

[4] როგორც ადრევე პროფ. ს. ხუნდაძემ გამოარკვია, ექვთიმე გორისელს სტატია ფაქტიურად ივანე კერესელიძის ნახელავი ყოფილა. ამაზე სხვა დროს გვექნება ლაპარაკი. — კ. შ.

ზარდა, ხოლო თვით ილია ჯერ კიდევ მარტოკა იდგა ბრძოლის ველზე. თუმცა კიდევ რომ გამრავლებულიყო „ცისკრის“ დამცველთა რიცხვი (და ეს მართლაც მოხდა შემდეგში), ამით ილიას არაფერი დააკლდებოდა, რადგან მისი უნიკო მოწინააღმდეგენი თუთიყუშივით მხოლოდ ერთსა და იმავეს გაიძახოდნენ: სახარებასა და ანტონ პირველის წიგნებში ასე არ წერიაო. მაგრამ საზოგადოებრივად გაბატონებული აზრის უარსაყოფად მარტო ერთი კაცის ბრძოლა მაინც უხერხული იყო. შემთხვევით არ უთქვამს ბატბარე ჯორჯაძისას: „ერთი კაცი დასცინის ათასს, ათი ათასს, ერთი სიტყვით მთელს საზოგადოებას“.

მაგრამ დიდხანს არ გაგრძელებულა ბრძოლის ველზე ილიას მარტოობა, მალე მას მხარში ამოუდგნენ პეტერბურგელი ქართველი სტუდენტები. 1862 წელს „ცისკრის“ რედაქციამ თერგდალეულის ხელმოწერით სამი სტატია მიიღო პეტერბურგიდან. სამივე სტატია მოკლე დროში გამოქვეყნდა „ცისკრის“ ფურცლებზე.

პირველი სტატია — **„წიგნი მიწერილი რედაქტორთან“** ე ფ თ ი მ ე წ ე რ ე თ ლ ი ს ა — ეკუთვნოდა პირველ თერგდალეულს — კ ი რ ი ლ ე ლ ო რ თ ქ ი ფ ა ნ ი ძ ე ს („ცისკარი“, 1862 წ., № 4). მეორე სტატია **„რამდენიმე სიტყვა ზემოური იმერელის გორისელის სტატიაზე“** — ეკუთვნის მეორე თერგდალეულს — ს ა მ ს ო ნ ა ბ ა შ ი ძ ე ს[1] („ცისკარი“, 1862 წ., № 4). ხოლო მესამე სტატია „ახირებული ფურცელი“ ეკუთვნის მესამე თერგდალეულს — ა კ ა კ ი წ ე რ ე თ ე ლ ს („ცისკარი“, 1862 წ., № 5). აქ დასახელებული სამივე წერილი ექვთიმე გორისელის წინააღმდეგაა მიმართული. როდესაც ქართველ სტუდენტებს პეტერბურგში „ცისკრის“ ის ნომერი მიუღიათ, სადაც გორისელის სტატია იყო მოთავსებული, აღშფოთებულებს, გადაუწყვეტიათ მკაცრი პასუხი გაეცათ ამ ახალგამოჩენილ თეორეტიკოსისათვის და დაუწერიათ ზემოთ დასახელებული სამი სტატია.

კ. ლორთქიფანიძე, მართალია, სტატიის დასაწყისში „ცისკრის“ ჩამორჩენილობაზე ლაპარაკობს და სარდიონ ალექსი-მესხიშვილსაც გაჰკრავს კრიტიკულ შენიშვნებს, მაგრამ არსებითად, გორისელის წინააღმდეგ ილაშქრებს.

პირველი თერგდალეული არ იზიარებს გორისელის მოსაზრებას ორი ჟურნალის არსებობის შეუძლებლობის შესახებ და დასძენს „ტყუილი შიშია: ორივეს ეყოფა საქართველო“.

კირილე იმასაც უსაყვედურებს ილიას მოწინააღმდეგეებს, რომ წა-

---

[1] მეორე თერგდალეული, რომ სამსონ აბაშიძეა და არა გ. წერეთელი, ამის შესახებ იხ. პ. ინგოროყვას შენიშვნები (ი. ჭავჭავაძე, თხზულებათა სრული კრებული, ტ. III, გვ. 482) და ს. ხუციშვილის სტატია, „მნათობი“, 1956 წ., № 2.

ბაძვით ყველა ცდილობს სტატიები წეროს. „მიბაძეს და ყველამ მახვილობა დაიწყო, მაგრამ ჩვენდა სამწუხაროდ უთავბოლოდ".

მას ექვთიმე გორისელიც ამ ტიპის მწერალთა რიგში პყავს წარმოდგენილი.

კ. ლორთქიფანიძის აღნიშნულ სტატიაში ლაპარაკია გორისელის ნაცნობი ქუთაისელი ქალების შესახებ, რომლებმაც ილია ჭავჭავაძის სტატიის გამო „ცისკრის" გამოწერაზე უარი განაცხადეს და ანბანის უცოდინარი გორისელი, რომ სამ დღეს მოუნდა ილიას სტატიის წაკითხვას. უარყოფილია ბარბარე ჯორჯაძის პოეტური ტალანტის შესახებ გორისელის მსჯელობა, კ. ლორთქიფანიძე აგრეთვე ბრალს დებს ანტონ პირველს „ვეფხისტყაოსნის" დაწვასა და რუსთაველის შეუფასებლობაში. ამის შესახებ გულისტკივილით აღნიშნავს — „ანტონ კათალიკოზი უბნობს ჩახრუხაძეზე, რომ „დიდი პოეტი იყოო" და რუსთაველზედ „ამაოთ დაშვრაო".

მეორე თერგდალეული სამსონ აბაშიძე გორისელის კრიტიკით იწყებს თავის სტატიას — „რამდენიმე სიტყუა ზემოურის იმერლის გორისელის სტატიაზედ".

„ამ წლის თებერვლის ცისკარში სხვათა შორის იყო გორისელის სტატია თ. ი. ჭავჭავაძეზედ. მე ვრაცხ ჩემს თავს ვალდებულად, რომ ვთქვა რამოდენიმე აზრი გორისელის სტატიაზედ" [1].

ს. აბაშიძის სტატია არსებითად იმავე საკითხს ეხება, რასაც კ. ლორთქიფანიძის წერილი. პირველ ნაწილში ავტორი უსაყვედურებს გორისელს ყალბად წარმოდგენილი ქუთაისელი ქალების საუბრისათვის, ილიას თანამშრომლობის გამო „ცისკრის" გამოწერაზე რომ ხელს იღებდნენ. შემდეგ ეხება ბარბარე ჯორჯაძის ნიჭიერების საკითხსა და ორი ჟურნალის არსებობის აუცილებლობას. სამსონ აბაშიძეც დასცინის გორისელს სამი დღის განმავლობაში ილიას სტატიის კითხვის გამო. ანტონ კათალიკოსს ედავება და ვოლტერს იცავს გორისელის თავდასხმისაგან. ბოლოს ავტორი ასეთი ლექსით ამთავრებს თავის სტატიას:

ჩვენ აქა ვართ სამნი ძმანი,
სამივ თერგდალეულთგანი.
მე გახლავარ გორისელი,
ერთი ამ სამ ძმათაგანი.

მესამე სტატია „ახირებული ფურცელი" აკაკისებურად არის დაწერილი.

აკაკი ილიას მოწინააღმდეგეთა გამოსაჯავრებლად მისაბაძ მწერ-

---

1 „ცისკარი". 1862 წ., № 4.

ლებს დაეძებს, მაგრამ, რაკი სხვებს ვერ პოულობს, ბოლოს ისევ ჭრელაძეებს მიბაძავს. აი ვინ არიან აკაკის აზრით ჭრელაძეები:

ქართულზედ რომ ხელს იღებენ,
ვეღარც რუსულს ახერხებენ,
ულვაშებს ემტერებიან,
რუსულად ბაკებს უშვებენ.
ქართულ ენას არად ხდიან,
შვილებს რუსულათა ზრდიან,
ტრეტიაკოვსკის აქებენ
და რუსთველს კი დასცინიან.
ეს გახლავან ჭრელაძენი
საქართველოს ფუქნი ძენი...

სხვებისაგან განსხვავებით, აკაკი „ცისკარს" ეროვნული სახის უქონლობაზე მიუთითებს. „როგორც მოგეხსენებათ, ეს ჩვენი ყმაწვილი „ცისკარი" მეექვსე წელიწადში ჩადგა, მაგრამ დღემდე არ ვიცოდი სადაური ყმაწვილი იყო — რუსის თუ ქართველის" [1]. აკაკი აქებს მოლაყბეს და დასცინის გორისელს გაგრძელებული წარწერისათვის. ბევრი ანდაზები და თქმულებები მოაქვს გორისელის გამოსაჯავრებლად და სასტიკად ამასხარავებს გორისელის თეორიულ დებულებებს პოეზიის შესახებ. „უფალს ზემოურ იმერელს, წერეთელს, ეფთვიმეს, არ ესმის პოეზია. საღმთო სიტყვა და პოეზია იმ დალოცვილს ერთი გონია. ასე რომ: ერთი ალილუია ერთი პოეზია ჰგონია, ორი ალილუია ორი პოეზია, სამი — სამი და ამგვარად" [2].

აკაკის ეს მოხდენილი დაცინვა არა მარტო გორისელს შეეხება, არამედ ილიას ყველა მოწინააღმდეგის ზუსტ დახასიათებას წარმოადგენს. ბარბარე ჯორჯაძისა ხომ სახარებაში ეძებდა ფილოსოფიისა და ხელოვნების პრობლემატური საკითხების ახსნას?

აღსანიშნავია ისიც, რომ აკაკის გესლიანი ენა პირველად ექვთიმე გორისელს მოხვდა და ეტყობა მწარედ დასუსხა იგი. მაგრამ აკაკიმ პუბლიცისტიკის მწარე სტრიქონებს არ დააჯერა გორისელი და ბლიაცის მოტივზე მკაცრი სატირული ლექსი დაამღერა ექვთიმე წერეთლის გამოსაჯავრებლად. ლექსში პოეტმა გორისელის სტატიის მთელი შინაარსი გალექსა და სასაცილო მდგომარეობაში ჩააყენა ეს გაჭირვების დროის თეორეტიკოსი. სანიმუშოდ მოგვაქვს ერთი ადგილი:

---

[1] „ცისკარი", 1862, № 5.

[2] ი ქ ვ ე.

ზემოური იმერელი
კახელს შემოწყრაო,
ჰეე, ჰოო, ჰეე, ჰოო!
სამ დღეს უღეჭა სტატია
და ძლივს გამოხრაო.
ცილს არ ვწამებთ, ბატონებო,
თვითონ მოგვითხრაო...

აღსანიშნავია ისიც, რომ თერგდალეულების სტატიები, თეორიული სიღრმით, მოწინააღმდეგეთა სტატიებზე მაღლა დგანან, მაგრამ ილია ჭავჭავაძის საპოლემიკო წერილებს ვერ შეედრებიან. ილიას ნაწერებს მაინც სხვა მადლი აქვს. მასში იგრძნობა საკითხის ღრმა ცოდნა, საგნის სინათლე და მსჯელობის ლოგიკური სიზუსტე. მაგრამ სხვა თერგდალეულების სტატიებმაც იმ დროისათვის დიდი როლი შეასრულა საზოგადოებრივი აზრის მომზადებისა და განვითარების საქმეში.

თავიდანვე შეინიშნება ისიც, რომ თერგდალეულებმა მაინცდამაინც გორისელი ამოიღეს ნიშანში. თითქმის სამივე სტატიის საბრძოლო ცეცხლი გორისელის წინააღმდეგ იყო მიმართული. ეს თვით სტატიების სათაურიდან ჩანს. „წიგნი მიწერილი რედაქტორთან, ეფთვიმე წერეთლისა", — „რამდენიმე სიტყვა ზემოური იმერლის გორისელის სტატიაზე" და სხვ.

რომ პეტერბურგელი სტუდენტები განსაკუთრებით ექვთიმე გორისელის სტატიას აღუშფოთებია, ეს კარგად ჩანს კ. ლორთქიფანიძის კერძო ბარათიდან, რომელიც, სტატიასთან ერთად, გაუგზავნია მას „ცისკრის" რედაქტორის ივანე კერესელიძისათვის.

აი ეს ბარათიც: „ასე სისხლიანი ნაღველი გადაევლება ხოლმე ჩვენს გულს, როცა იმისთანა უებრო ცუდ სტატიებს ვამჩნევთ, როგორიც იყო ამ ნომერში უ. ეფ. წერეთლის... ისე გავცეცხლდი ამ სტატიის დანახვაზედ, რომ არ შეგვეძლო, რომ არ დაგვეწერა რამე, ვინ წერს? წერს კაცი, რომელსაც, როგორც თვით ეფ. წერეთელი უბნობს, სიკვდილში უდგია ფეხი და რომელიც აქამდის არ უნახავს ხორციელს მწერლის ადგილზე. ვიცნობ იმ კაცს, რა კაცია. როგორ გაბედა ამგვარი სტატიის დაწერა... მაგრამ ანდაზა იტყვის: „კუმ ფეხი გამოყო, მეც ნახირი ვარო", როგორც გაუნათლებლობით და ფარისევლობით გაყინული აქვს თავი ეფთ. წერეთელს, ისეთი გაყინული აზრები უთქვამს. იპოვის ნეტავი კაცი მის სტატიაში რაიმე აზრს? აი, ასე შეწუხებულმა დაეწერე თქვენი ჟურნალისათვის ორიოდე სიტყვა და ამ წიგნთან გიგზავნით თუ წინააღმდეგი არ იქნეს თქვენი ჟურნალი, გთხოვთ დაბეჭდვინოთ ან აპრილის ან მაისის წიგნში, რასაკვირველია, პირველი ემჯობინება. ჩემს სახელს და გვარს ნუ გამოაცხადებთ, ჩვეულებრივი ფსევდონიმი იყოს,

ის ფსევდონიმი, რომელიც მიმიწერია სტატიის ქვემოთ „თერგდალეული“ [1].

განსაკუთრებით საყურადღებოა კირილეს სიტყვები: „ისე გავცეცხლდი ამ სტატიის დანახვაზედ, რომ არ შეგვეძლო არ დაგვეწერა რამეო“. იბადება კითხვა, რა ეწერა ასე განსაკუთრებული გორისელის სტატიაში, რომელმაც აღაშფოთა ახალგაზრდები?

ამ საკითხზე ნაწილობრივ პასუხს კ. ლორთქიფანიძის აქ დასახელებული ბარათი იძლევა. სახელდობრ:

1. კირილე აღაშფოთა იმან, რომ ილიას წინააღმდეგ „წერს კაცი რომელსაც... სიკვდილში უდგია ფეხი და რომელიც აქამდის არ უნახავს ხორციელ კაცს მწერლის ადგილზე“.

2. რომ გორისელის სტატია სუსტია და უაზროა — „იპოვის ნეტავი კაცი მის სტატიაში რაიმე აზრს?“ — წერს კირილე.

მაგრამ ყველა ეს საკითხი ისეთია, რომლის მსგავსი შეიძლებოდა ილიას მოწინააღმდეგეთა ყველა წერილში გვეპოვა. მაშასადამე, ის განსაკუთრებული მომენტი აქ მაინც არ ჩანს.

ჩვენი აზრით, ის განსაკუთრებული საკითხი, რომელმაც პეტერბურგელი ქართველი სტუდენტები ასე აღაშფოთა და რომლის მსგავსს ილიას სხვა მოწინააღმდეგეთა სტატიებში ვერ შეეხვდებით, არის ახალთაობის მომავალი ჟურნალის ავტორიტეტის შელახვა. ამას აშკარად ადასტურებს ნ. ნიკოლაძის ერთი კერძო ბარათი, სადაც ლაპარაკია გორისელის წერილის დაწერის ისტორიაზე. ამ წერილში, სხვა საინტერესო ცნობათა გარდა, ნათქვამია გორისელის მისამართით: „ჩვენ (ე. ი. სტუდენტებს. — კ. მ.) **სრულიადაც არ მოგვივიდოდა ფიქრში თქვენი ლანძღვის დაწერა** (ე. ი. გორისელის. — კ. მ.), **რომ თქვენ ჭავჭავაძის ჟურნალი არ გეგონებიათქო. ჩვენ იმ ჟურნალის დიდი იმედი გვაქვს,** თქვენ კი ჟურნალი არ ჩასახულათქო და კრედიტს უკარგავთქო“ [2].

ჟურნალის კრედიტის დაკარგვაში ახალგაზრდები გულისხმობენ გორისელის სტატიის იმ ადგილს, სადაც ლაპარაკია. „ესეც შევიტყვეთ ჭორად ქუთაისში, რომ ვითომც ახლა უფ. ჭავჭავაძე აპირებდეს მეორე ჟურნალის გამოცემას, უეჭველია ის ჟურნალიც ისე ახალის ენის იქნება, რა ენისთვისაც გამობრძანდა მწერლობის ასპარეზზედ შარშან და იმედი ჰქონდეს, რომ ბევრს ხელმომწერს ჰპოებს“ [3].

მართლაც, ძნელი დასაჯერებელია, რომ ეს სტრიქონები ექვთიმე

---

[1] ეს დოკუმენტი პირველად გამოაქვეყნა აწ განსვენებულმა ს. ხუნდაძემ. — კ. მ. იხ. გ. წერეთლის ტ. I, გვ. 388.

[2] ქუთაისის მუზეუმი, კ. ლორთქიფანიძის არქივი, ხაზი ჩვენია. — კ. მ.

[3] „ცისკარი“, 1862 წ.

გორისელს ეკუთვნოდეს. აქ უფრო ჩანს, მეორე ჟურნალის გამოსვლით შეშინებული, „ცისკრის“ რედაქტორის ივ. კერესელიძის გულისტკივილი. და ამას ამტკიცებს ნ. ნიკოლაძის აქ მოტანილი ბარათის მთლიანი ტექსტი.

„ძმაო კირილე!

დღეისწორ პარასკევს მოვედი ქუთაისს. გზაზედ ვიყავი თვრამეტ აგვისტოდან ოცდა რვა სექტემბრამდი [1]. აქაური საზოგადოების ამბავი ხომ შენც გეცოდინება. ქალები და კაცები არიან სწორედ როგორც გინახავს უწინ. პატარა პროგრესი კი არის, ლაპარაკობენ ლიტერატურაზე. მართლა: გორისელმა შემეხვეწა თქვენთან ბოდიშის მოხდა. რათ არ დამიჯერე. ნუ დაწერ სტატიასთქო ექვთიმეზე? ხომ მისი ბრალი არ ყოფილა. წარმოიდგინე გორისელს დაუწერია სტატია, რომელშიაც გაულანძღია რაფიელ ერისთავი მისი ლექსისათვის, რომელშიაც სწერია. რომ მე ხომ კატა არა ვარ და შენ თაგვიო, ერთი სიტყვით პოლონოვის ლექსის გადმოთარგმნისათვის [2]. მერე მოუყვანია ჭავჭავაძის ლექსი „ეყვავებულა ველი“ მაგალითათ ანტონისა და ჩახრუხაძის ლექსები: ვითომ აი, ამისთანა ლექსები უნდა წერონო. ჩვენ ვირისთავს (ესე იგი მიხვდები ვის, ანუ. ესე იგი კერესელიძეს, ჩვენს პუშკინს და სხვა) ჭკუაში მოსვლია: ამ წიგნს მე გამოვცელიო; მაშინვე აუღია ხელში რედაქტორის, ცენზორის და არ ვიცი კიდევ ვისი კალამი, გორისელის სტატიიდან რაფიელის ლანძღვა გამოუშვია. ჭავჭავაძის გინება კი თავისი ჩაუმატებია, და ეს ყოვლად უსახო უგვარო სტატია შეგზავდა ჩვენ წასაკითხად. გორისელმა ეხლა სტატია დაწერა, რომელშიაც სრულიად ბრალს ადებს კერესელიძეს. მე ვუთხარი: ჩვენ სრულიადაც არ მოგვივიდოდა ფიქრში თქვენი ლანძღვის დაწერა. რომ თქვენ ჭავჭავაძის ჟურნალი არ გეგინებიათქო. ჩვენ იმ ჟურნალის დიდი იმედი გვაქვს, თქვენ კი ჯერ ჟურნალი არ ჩასახულა და კრედიტს უკარგავთქო. გორისელმა ფიცი, მტკიცე, აი ღმერთი, აი ხატი, არც კი მცოდნია თუ ჭავჭავაძე ჟურნალის გამოცემას აპირებსო. მაგ სიტყვებია: „ეიღაც ჭავჭავაძე ჟურნალის გამოცემას აპირებსო“ და სხვანი კერესელი-

---

[1] ეს დრო, 42 დღე, დასჭირვებია ნ. ნიკოლაძეს პეტერბურგიდან ქუთაისამდე მგზავრობისათვის. — კ. მ.

[2] აქ ნ. ნიკოლაძე გულისხმობს რაფიელ ერისთავის სატრფიალო ლექსს „ჩვიდმეტი წლის ქალს“. ეს ლექსი 1861 წ. № 7 „ცისკარში“ დაბეჭდა სათაურით „თხუთმეტი წლის ქალს“. ლექსში ერთი ადგილი ასე იკითხება: „თაგვი არ ხარ, არ ვარ კატა, რომ მოპარვით გელამუნო, გავგორდე და გამოვგორდე და ხან სული გავეტრუნო“ (იხ. რაფ. ერისთავის ლექსები, ტ. I, გვ. 13, აგრეთვე იქვე პროფ. შ. რადიანის შენიშვნები, გვ. 355).

ძის ჩამატებული არისო. გორისელმა მთხოვა დრო დამინიშნეო და იმ სტატიის შავს მოვიტანო წაგაკითხებო, თუ ამ სტატიაში რაიმე სწერიაო მაგისთანაო, სულ მაგინეთო. მეც უთხარი, თუ თქვენ არ დაგიწერიათ, ჩვენ ბოდიშს მოვიხდითქო, მაგრამ არც ჩვენ ვართქო მაგაში დანაშაულნი... ჭავჭავაძის ჟურნალმა[1] აქ ფურორი მოახდინა ჯერჯერობი.ი. გენაცვალე კირილე, რაიმე სტატია გაგზავნე დასაბეჭდავად, უსათუოდ გაგზავნე"[2].

ივანე კერესელიძის ოინები გახდა სტუდენტებისათვის ცნობილი, მაგრამ უკვე გვიანლა იყო. წერილობით ამის შესახებ არც ექვთიმე გორისელს გაუცხადებია რამე და არც სტუდენტებს. ამ წერილიდან ისიც ჩანს, რომ ნ. ნიკოლაძე წინააღმდეგი ყოფილა ექვთიმე გორისელის საპასუხო სტატიის დაწერისა.

როგორც ვხედავთ, ბრძოლამ სერიოზული ხასიათი მიიღო. ილია თუ ამდენ ხანს მარტო იყო, ახლა მისი მომხრეთა რიგებიც გაიზარდა. აღსანიშნავია ისიც, რომ არც ერთი მხარე არ თმობდა ბრძოლის ველს, თუმცა ძველი თაობის მესვეურები თანდათან გრძნობდნენ ფეხქვეშ ნიადაგის გამოცლას. ილია ჭავჭავაძე ვეფხვივით ტრიალებდა ბრძოლის ველზე და ცდილობდა ყველასათვის შესაფერი პასუხი გაეცა. მან სპეციალური სტატია დაწერა სარდიონ ალექსი-მესხიშვილის „უსტარი ანტიკრიტიკულის" წინააღმდეგ, მაგრამ „ცისკრის" რედაქციამ დააბრკოლა მისი გამოქვეყნება.

რედაქციამ „ცისკრის" 1861 წლის ოქტომბრის ნომერში ასეთი განცხადება გააკეთა: „თ. ილია ჭავჭავაძისაგან მივიღეთ სტატია უფ. მესხიევის ანტიკრიტიკული უსტარის პასუხად, რომლის დაბეჭდვა ვერ მოვახერხეთ ამ ნომერში, — შემდეგ წიგნში უეჭველად დაიბეჭდება"[3]. „ცისკარმა" ეს დაპირება არ შეასრულა და შემდეგ ნომერშიაც არ დაუბეჭდავს დასახელებული წერილი. კიდევ მეტი, რედაქციაში წერილი დაიკარგა და მისი აღდგენა შეუძლებელი შეიქნა. ჩვენამდე მოღწეულია ამ წერილის შავი, რომელიც ილიას მესამე ტომში „სარდიონ მესხიევის კრიტიკის გამო" სახელწოდებით არის გამოქვეყნებული. რა თქმა უნდა, წერილი დაუმთავრებელია და ბევრი ადგილი აკლია, მაგრამ წერილის ძირითადი ხაზის აღდგენა ამითაც შესაძლებელია. თვით წერილის სახელწოდებიდან ჩანს, რომ ილია ჭავჭავაძის კრიტიკის ობიექტი იმჟამად მხოლოდ სარდიონ ალექსი-მესხიშვილი ყოფილა.

„როცა შორიდამ შევიტყვე, — წერს ილია. — რომ უფ. სარდიონ მესხიევი ჩემზედ კრიტიკას წერს, გამიხარდა ძალიან, იმიტომ, რომ მე-

---

[1] ლაპარაკია „საქართველოს მოამბეზე". — კ. მ.

[2] ქუთაისის მუზეუმი, კ. ლორთქიფანიძის არქივი.

[3] „ცისკარი", 1861 წ., № 10.

გონა, ერთი იმისთანა კრიტიკა მაინც იქნება მეთქი, რომ ღირდეს წაკითხვად. არ ვიცი კი რა მიზეზით მეგონა ეს ესრეთ, მაგრამ კი. ეხლა, როცა გადავიკითხე „უსტარი ანტიკრიტიკული“ უფ. მესხიევისა, ვცანი რომ ძალიან შევცდი და მომაგონდა თვით უფ. მესხიევის სიტყვები, — სჯობდა მაგისთანა სუსტი ფარ-ხმალით არ გამოსულიყავით“[1]. სტატიის შემდეგ სტრიქონებში ილია ჭავჭავაძე მისთვის ჩვეული ღრმა მეცნიერული მსჯელობით ამტკიცებს მესხიშვილის დებულებების სიყალბეს. ეხება რა მესხიშვილის სამი სტილის თეორიას, ილია დასძენს, რომ რადგან ბუნებისათვის ყველა საგანი ერთნაირია, მათი გამოთქმის საშუალებაც ერთნაირი უნდა იყოსო. ბუნებისათვის უსუსური პოლიპი და ინფუზორი ისეთივე მოვლენაა, როგორც უზარმაზარი პლანეტები.

ასევე დამაჯერებლობით ამტკიცებს ილია მის მიერ განდევნილი ასოების ზედმეტობას. აღსანიშნავია ისიც, რომ ილიამ სწორად გაიგო ქართული ენის ბუნება, როდესაც ქართული ენის სიმდიდრედ ზმნების მრავალფეროვნება გამოაცხადა. ილია ყველა ამ დებულებას ფაქტიურ მასალაზე დაყრდნობით ამტკიცებს და მოწინააღმდეგეებისაგანაც ასეთსავე საბუთიანობას მოითხოვს. მისი აზრით, მსჯელობის დროს მთავარია მტკიცება და არა სურვილის გამოთქმა. სამართლიანად უსაყვედურებს ილია მესხიშვილს, რომ „ჩახრუხაძეს აქებს და არაფრით კი არ ამტკიცებს. ცარიელი სიტყვები არ დაგვაჯერებენ, რომ ჩახრუხაძე დიდი მწერალია, ფაქტი უნდა, ფაქტი“[2].

ეს სიტყვები არა მარტო მესხიშვილს ეხებოდა, არამედ ილიას ყველა მოწინააღმდეგეს.

„ცისკრის“ რედაქცია, მართალია, ადგილს უთმობდა თერგდალეულებს, მაგრამ შემდეგში შეეცადა შეეზღუდა ისინი და ბოლოს სრულიად შესწყვიტა მათი სტატიების ბეჭდვა. მიუხედავად ასეთი პირობებისა, 1862 წლის სექტემბრის „ცისკარში“ კ. ლ ო რ თ ქ ი ფ ა ნ ი ძ ე მ მაინც გამოაქვეყნა მეორე სტატია **„ორიოდე სიტყვა „ცისკარზედ“ და ახალის ჟურნალის ხარგებლობაზედ“**. ამ სტატიის ძირითადი მიზანია მომავალი ჟურნალის „საქართველოს მოამბის“ აუცილებელი საჭიროების დამტკიცება და მისი ავტორიტეტის ამაღლება. ეტყობა, ახალგაზრდებს ილიას მომავალი ჟურნალის აუგად ხსენება ვერ მოუთმენიათ და ცდილობენ, ექვთიმე გორისელის ბრალდება საზოგადოების თვალში გააქარწყლონ. სხვა ნაკლოვანებათა შორის კ. ლორთქიფანიძე „ცისკრის“ რედაქციას სამართლიანად უსაყვედურებს, რომ ჟურნალს გარკვეული მიმართულება არ გააჩნია.

---

[1] ი. ჭ ა ვ ჭ ა ვ ა ძ ე, თხზულებანი, ტ. 3, 1953 წ., გვ. 445.
[2] ი ქ ვ ე, გვ. 449.

„ყველამ ვიცით, რომ ჟურნალს უნდა ჰქონდეს ერთი მიმართულება, ან კარგი ან ცუდი... ჟურნალი არასოდეს არ ბეჭდავს თავის ფურცლებზე მოპირდაპირე სტატიებს... ისეთს, რომელიც არ ეთანხმება მის მიმართულებას“[1].

ეს უხერხულობა რომ აიცილოს „ცისკარმა“, ამისათვის, კირილეს აზრით, საჭიროა არსებობდეს მეორე ჟურნალი.

„ამისათვის კარგია, რომ ორი ჟურნალი იყოს ქართულს ენაზედ. მეორე ჟურნალის ყოფნა გაანთავისუფლებდა „ცისკარს“ მოპირდაპირე სტატიებისაგან... ჟურნალების რიცხვის მომატებას იმ სიკეთესთან, რომელნიც ზევით მოვიხსენე, შეუძლია მოგვიმატოს მკითხველის რიცხვი. რომელიც დამოკიდებულია ერთი ან მეორე ჟურნალის მოწონებაზედ და ამ მკითხველი საზოგადოების სიდიდეს მოსდევს საზოგადო განათლების მომატებაც. ცხადად ჩანს, რომ ამ მეორე ჟურნალის „საქართველოს მოამბის“ ფეხზე დაყენებას უნდა ვცდილობდეთ, მაგრამ ჩვენ არათუ ვცდილობთ მეორე ჟურნალის კეთილდღეობას, ვგონებ საფლავშიაც ჩავსდიოთ დაბადებამდისვე“[2].

მართლაც, „ცისკარს“ რომ ერთი გარკვეული ძიმართულება არ გააჩნდა, ამას ისიც ამტკიცებს, რომ ალექსანდრე ორბელიანის, ბარბარე ჯორჯაძის და სხვა რეაქციონერთა სტატიების გვერდით, იბეჭდებოდა დ. ჭონქაძის „სურამის ციხე“, ლ. არდაზიანის „სოლომონ ისაკიჩ მეჯღანუაშვილი“ და თერგდალეულთა სტატიები.

თერგდალეულებს ილიას ახალი ჟურნალის დიდი იმედი ჰქონდათ და არც შემცდარან ამაში.

საინტერესოა ისიც, რომ კ. ლორთქიფანიძეს ამ წერილთან ერთად კერძო ბარათი გაუგზავნია ივანე კერესელიძისათვის. ამ ბარათშიც ლაპარაკია მეორე ჟურნალის გამოცემის აუცილებლობაზე.

„მოწყალეო ხელმწიფეო ივანე ივანეს-ძევ!

ვგონებ თქვენც იმ აზრის იყოთ, რომ მეორე ჟურნალის ყოფნა საჭიროებელო იქნება, როგორც საზოგადოებისათვის, აგრეთვე „ცისკრისათვისაც“...

ეს სტატია, რომელიც, თითქოს ერთი თვეა მას აქეთ რაც დავწერე და აქამდის ვერ გადავწერე უდროობის გამო[3]. ამ სტატიაში მოკლეთ ვუბნობ მეორე ჟურნალის საჭიროებლობაზე. არის ჩემი აზრის გამოხატულება, თუმცა შემოკლებით, მრავალში გამტყუნებთ ივანე ივანეს-ძევ, მაგრამ ყველა საყვედური თქვენ არ გეკუთვნის. საზოგადოებაც

[1] „ცისკარი“, 1862 წ., № 9.

[2] იქვე.

[3] აქ ლაპარაკია ზემოთ განხილულ კ. ლორთქიფანიძის სტატიაზე: „ორიოდე სიტყვა „ცისკარზედ“ და ახალი ჟურნალის საჭიროებლობაზედ“. — კ. ბ.

დანაშაულია „ცისკრის“ წინაშე. მიახლებია ეს სტატია თქვენთვის და იმედი მაქვს, იმ კეთილ განზრახულებას საზოგადოებისათვის და თქვენ-ნის ჟურნალისათვის, რომელმაც დამაწერია ეს სტატია, ადგილს მის-ცემთ თქვენს ჟურნალის აგვისტოს ნუმერში. თუ ვინიცობაა არ დაბეჭ-დოთ, მიზეზი გამოაცხადეთ, როგორც წინათ გთხოვეთ.

თქვენი ჟურნალის კეთილდღეობის მოსურნე თ. კ. ლორთქიფანიძე.

ჩემი ვინაობის მოწერა, ვგონებ, საჭირო არ იყოს... 15 ივლისი, ქა-ლაქი პავლოვსკი“[1].

როგორც ჩანს, რედაქციამ კირილეს თხოვნა შეიწყნარა და ფრთი-თვის გამოშვებით, სექტემბრის ნომერში გამოაქვეყნა ეს სტატია.

ასეთია თერგდალეულების ბრძოლა „ცისკრის“ რედაქციული ჯგუფის დრომოჭმული იდეების წინააღმდეგ. აქ ერთმანეთს შეეჯახა ორი სხვა-დასხვა მსოფლმხედველობის მქონე ბანაკი. უნდა ითქვას, რომ თერგდა-ლეულების საბრძოლო პროგრამა და თემატიკა „ცისკრის“ ფურცლებზე ძალზე შეზღუდული იყო. სადავო საკითხები ენისა, ლიტერატურისა და ხელოვნების ფარგლებს არ სცილდებოდა. საზოგადოებრივ სოციალურ-პოლიტიკური და ეკონომიური ყოფის საკითხებზე თითქმის არაფერი ნათქვამი. მაგრამ ამაში თერგდალეულები არ იყვნენ დამნაშავე-ნი, ამ შემთხვევაში ცენზურასა და „ცისკრის“ რედაქციასაც მიუძ-ღოდათ უმთავრესი ბრალი. ისინი ზღუდავდნენ ბატონყმობის სა-კითხზე წერას, მით უმეტეს განსაკუთრებულ სიფრთხილეს იჩენდნენ „სურამის ციხის“ დაბეჭდვის შემდეგ. თუმცა ისიც უნდა აღინიშნოს, რომ „საქართველოს მოამბემ“ იმავე ცენზურულ პირობებში ბევრი რამ გააკეთა ამ მიმართულებით.

აღსანიშნავია ისიც, რომ თერგდალეულების ბრძოლა „ცისკრის“ ფურცლებზე მარტო პუბლიცისტიკით არ შემოიფარგლებოდა. აქ უკვე სისტემატურად ქვეყნდებოდა ილიასა და აკაკის პოეტური ნაწარმოე-ბები, მაგრამ სოციალური საკითხები არც ამ ნაწარმოებებში ყოფილა წამოყენებული. აკაკი და ილია „ცისკარში“ დაბეჭდილ ლექსებში არ-სებითად ეროვნულ საკითხებს ეხებოდნენ, თუმცა ცენზურა და რედაქ-ცია ამ შემთხვევაშიაც სიმკაცრეს იჩენდნენ და მხოლოდ სათანადო ოპერაციების შემდეგ ბეჭდავდნენ მათ ლექსებს. ამის საუკეთესო სა-ბუთს წარმოადგენს აკაკის კერძო ბარათი დედისადმი: „მე და კერესე-ლიძე როგორღაც ვერ მოვეწყვეთ, ლექსები წამიხდინა, თავისებურად გადააკეთა და შარშან სექტემბრის აქეთ არაფერს აღარ ვუგზავნი, ესე-ნი რაც ეხლა იბეჭდება სულ შარშანდელებია“.

---

[1] ქუთაისის ისტორიული მუზეუმი. კ. ლორთქიფანიძის არქივი.

და მართლაც, აკაკის ბევრი ლექსი შეუსწორებიათ რედაქტორსა და ცენზორს. აკაკის ლექსებიდან „ცისკარში“ დაიბეჭდა: „პ. წ.“, „ჩემს ვენერას“, „ნავი“, „საიდუმლო ბარათი“, „ცოდვილის სინანული“, „ქართლის სალამი“, „ამაო ძებნა“, „მოხუცის მოგონება“, „მარიამს“, „ალექსანდრა“, „ლოდინი“, „პატარა მეგობარს“, „საბრალო გული“ და სხვა [1].

აკაკისთან შედარებით, ილიას უფრო ნაკლები რაოდენობით აქვს „ცისკარში“ გამოქვეყნებული ლექსები. ასეთებია: „ჩიტი“, „ელეგია“, „ალექსანდრე ჭავჭავაძე“, „გახსოვს ტურფავ“, „გაზაფხული“. თარგმანები: „ცრემლთა შინა ნუგეში“, „სტიროდეთ“, „ჰაჯი აბრეკი“ და სხვ. ეს ლექსები, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, მხოლოდ ეროვნულ მოტივზეა შედგენილი, არის აგრეთვე ინტიმური ხასიათის და სხვა შინაარსის ლექსებიც. ჩვენ სანიმუშოდ განვიხილავთ აკაკისა და ილიას მხოლოდ ზოგიერთ ნაწარმოებებს. ეროვნული თავისუფლების იდეა აკაკიმ გამოხატა ალეგორიულ ლექსში, რომელსაც ეწოდება „ნავი“. პატარა ნავი დაცურავდა ზღვაში, მაგრამ ქარიშხალი მას დაღუპვას უქადდა, ამ დროს ნავმა თავი შეაფარა ზღვაში მცურავ დიდ გემს, გემმა ნავი დაღუპვას გადაარჩინა, მაგრამ ახლა გემი მტვერსა და ნაგავს აყრის თავზე ამ პატარა ნავს:

მას შემდეგ ვითომ აქვს მშვიდობა ნავს,
და მავნებელიც აღარაევინ ჰყავს...
გაძული არის გარეშე მტერი,
შოშორდა იმ ნავს, აღარსადა ჰყავს,
მაგრამ რაი, რომ თვით ის ხვამალდი
მას თავზე აყრის მტვერსა და ნაგავს [2].

აკაკის „ნავის“ ანალოგიური შინაარსისაა ილიას პეტერბურგში დაწერილი ლექსი „ჩიტი“. ჩიტი თავისუფალი და ლაღი ფრინველია. იგი დანავარდობს ცის კამარაში და ამ თავისუფლებაში გრძნობს ბედნიერებასა და სიხარულს.

მინამ ვარ უფლად
ჩემის თავისა,
მხიარულ სტუმრად
ვარ მაისისა, —

მაგრამ თუ ეს ლაღი ფრინველი გალიაში მოხვდა, მაშინ თავისუფლებასმოკლებული თანდათან დაჭკნება და მოკვდება კიდევაც.

---

[1] ვგულისხმობთ სტუდენტობის პერიოდს, „საქართველოს მოამბის“ გამოსვლამდე, თორემ აკაკი შემდეგშიაც თანამშრომლობდა „ცისკარში“. — კ. ბ.

[2] „ცისკარი“, 1859 წ., № 9.

და როს ცდუნებით,
ძალდატანებით,
გალიას ჩამსმენ,
მშვიდობით ველო
მაშინ აღარ ვსტკვენ.
საწყალობელო
დაღონებული,
ფრთებდაშვებული
დავიწყებ ჭკნობას,
სიკვდილის ხმობას...
და ველო, შენსა
გამღვიძებელსა
შენს ჩიტს პატარას
მალე ნახავ მკვდარს.
რაი სურს კაცსა,
რომ მიბამს ფრთასა.
თავისუფლება
ჩიტის ჰშურდება?[1]

საინტერესოა ილიას „ელეგია", „გაზაფხული" და სხვა.

ასეთი ხასიათის ლექსებს აპარებდნენ ცენზურის ცხავში ილია და აკაკი.

როგორც აღვნიშნეთ, „ცისკარი" დიდ სიმკაცრეს იჩენდა ნაწარმოებების იდეურად შერჩევის დროს. თერგდალეულები „ცისკარში" სტუმრების მდგომარეობაში იყვნენ და ამდენად გავლენაც ნაკლები ჰქონდათ, მაგრამ, როდესაც „საქართველოს მოამბე" გამოვიდა, მაშინ მათ მასპინძლის როლი დაიკავეს და მეტი ძალა და უფლებები მოიპოვეს.

მიუხედავად „ცისკრის" იდეურ-პროგრამული შეზღუდულობისა, მაინც ამ ჟურნალმა, ნებით თუ უნებლიედ, დიდი როლი ითამაშა სამოციანი წლების დემოკრატიული აზროვნების გამომჟღავნების საქმეში.

---

[1] ი. ჭ ა ვ ჭ ა ვ ა ძ ე, თხზულებანი, ტ. 1, გვ. 13.

თერგდალეულები და „საქართველოს მოამბე“

„ცისკრის“ რედაქცია ყოველგვარ საშუალებას იყენებდა იმისათვის, რათა მეორე ჟურნალი არ გაჩენილიყო მის მეტოქედ, მაგრამ ბოლოს თვით „ცისკარი“ გახდა იძულებული საზოგადოებისათვის ეუწყებია „საქართველოს მოამბის“ დაბადება.

1862 წლის „ცისკრის“ მე-10 ნომერში გამოქვეყნებულია ახალი ჟურნალის პროგრამა და რედაქტორის განცხადება.

„მომავალ 1863 წ. იანვრის თვიდგან გამოიცემა ტფილისში ახალი ქართული ჟურნალი „საქართველოს მოამბე“...

რაც შეეხება ჟურნალის ხასიათს და მიმართულებას, — აცხადებს რედაქტორი ილია ჭავჭავაძე, — ამაზედ არაფერს ვიტყვით, ჩვენ ვარჩევთ, რომ თვითონ ჟურნალმა გამოიჩინოს თავისი თავი, თვითონ საქმეში გამოსთქვას თავისი ხასიათი და არჩეული გზა. ეს ემჯობინება ყოველ წინასიტყვაობას. ჩვენ გვსურს ვემსახუროთ საზოგადოებას, ვარგოთ და გამოვადგეთ. ამისათვის ვიკისრეთ ჟურნალის გამოცემა. სურვილი ჩვენი გულწრფელია და ჭეშმარიტი... ჩვენის მხრით, რასაც კი შევიძლებთ, არას დავზოგავთ, დანარჩენი კი თვით საზოგადოებაზე ჰკიდია“[1].

როგორც დოკუმენტებიდან ირკვევა, ილია ჭავჭავაძე ერთი წლით ადრე შედგომია ჟურნალის გამოცემის საქმეს. ჯერ კიდევ 1862 წლის 20 მარტის თარიღით კავკასიის კომიტეტი მიმართავს უგზავნის პეტერბურგში განათლების სამინისტროს „საქართველოს მოამბის“ გამოცემის ნებართვის შესახებ.

«Господину Управляющему Министерством народного просвещения.

Г-н исправляющий должность Наместника Кавказского, сообщает, что князь Илья Чавчавадзе обратился с просьбою о дозволении ему издавать в Тифлисе новый журнал на грузинском языке, под заглавием «Грузинский Вестник»... შემდეგ მიმართვაში ნათქვამია, რომ კავკასიის საცენზურო კომიტეტი თანახმაა ასე-

[1] „ცისკარი“, 1862 წ., № 10.

თი სახის ჟურნალის გამოცემისა. ამასთანავე კავკასიის კომიტეტი იმოწმებს გრ. ორბელიანის ავტორიტეტსაც.

«Князь Орбелиани разрешил издание означенного грузинского журнала...»[1]

აქვე დართულია ჟურნალის პროგრამა.

«Программа предполагаемого к изданию «Грузинского Вестника» состоит из семи отделов.

1. Чисто-литературный: стихотворение, романы, повести, драматические пьесы и проч. оригинальные и переводные,

2. Исторический: статьи, относящиеся к всеобщей и в особенности русской истории и истории края. — оригинальные и переводные.

3. Политико-экономический и сельско-хозяйственный.

4. Критика и библиография новых книг и журнальных статей.

5. Юмористический.

6. Смесь преимущественно из русских периодических изданий.

7. Приложения: старинные грузинские книги, рукописи и проч.

«Грузинский Вестник» выходит ежемесячно книжками от 10-ти до 15-ти печатных листов...»[2]

კავკასიის კომიტეტის შუამდგომლობა განათლების მინისტრმა დაამტკიცა და ილია ჭავჭავაძეს ნება დართეს „საქართველოს მოამბის“ გამოცემისა. ამ საქმეში დიდი როლი შეასრულა პოეტმა გრ. ორბელიანმა.

„საქართველოს მოამბის“ გამოსვლა დიდი მოვლენა იყო ქართული აზროვნებისა და ლიტერატურის ისტორიაში. მან პირველი ნომრიდანვე საზოგადოების დიდი ყურადღება მიიქცია. არ გამართლდა ექვთიმე გორისელის „წინასწარმეტყველება“, ჟურნალმა ხელისმომწერებიც იშოვა და ხალხის სიყვარულიც დაიმსახურა. ეს იმიტომ, რომ მისი სამოქმედო პროგრამა ხალხის ინტერესებს ემსახურებოდა. ჟურნალს სათავეში თერგდალეულები ჩაუდგნენ. ილიამ თავის გარშემო პეტერბურგელი ამხანაგები შემოიკრიბა. ასეთები იყვნენ: გიორგი წერეთელი, კირილე ლორთქიფანიძე, დავით ყიფიანი, ილია ოქრომჭედლიშვილი, ნიკოლოზ ღოღობერიძე, პეტრე ნაკაშიძე, სამსონ აბაშიძე და სხვები. ამათ გარდა, „საქართველოს მოამბეში“ თანამშრომლობდნენ: გიორგი ერისთავი, სულხან ბარათაშვილი, დიმიტრი ყიფიანი, გიორგი ჩიქოვანი, ლ. ჯანდიერაშვილი, მიხეილ ყიფიანი, ი. ბერიძე, გაბრიელ სულხანიშვილი, მაქსიმე ღოღანიძე და სხვები.

[1] ЦГИАЛ. фонд 773, опись 1, ед. х. 32. год 1862. ст. 1.

[2] იქვე.

თუ „ცისკარი“ გაურბოდა სოციალურ-პოლიტიკურ საკითხებზე მსჯელობას და არსებითად თავადაზნაურობის ინტერესებს იცავდა, „საქართველოს მოამბემ“ მშრომელი ხალხის ინტერესები წამოაყენა წინა პლანზე და ბატონყმობის სისტემის მოსპობის აუცილებლობა აღიარა.

ილია ჭავჭავაძემ საზოგადოებრივი მოვლენების ახსნელად მატერიალიზმის მეთოდი მოიმარჯვა და ამ სწორი მეცნიერული ანალიზის საფუძველზე თვალსაჩინოდ დაამტკიცა, საზოგადოების კანონზომიერი განვითარების გზით, ძველი დრომოჭმული წყობილების დაღუპვის აუცილებლობა.

„საქართველოს მოამბის“ საპროგრამო წერილში ილია ამტკიცებს: „ყოველი კაცი, რომელსაც კი თვალებზე ჩამოფარებული არა აქვს რა, ხედავს, რომ ცხოვრება რაც გუშინ იყო, ის დღეს აღარ არის, რომ იგი იცვლება, მიდის წინ და მოაქვს განახლება ყოველისფერისა. წესი, ჩვეულება, აზრი, გრძნობა, ენა, რომელიც მაგათი გამომეტყველია, ყოველიფერი იცვლება მისი ძლიერ გავლენისაგან. რაც გუშინ კაცს ჰგონებია დაურღვეველ ჭეშმარიტებად, რისთვისაც უცია პატივი, როგორც მიუცილებელი საჭიროებისათვის, ხშირად მოხდება ხოლმე, რომ ის დღეს გაუთლელ შეცდომად მიგვაჩნია, ასე, რომ კიდევაც გვიკვირს, ადრინდელს კაცს როგორა სწამდა ამისთანა ცხადი სისულელე დაურღვეველ ჭეშმარიტებად“[1].

მაშასადამე, ილიას აზრით, ბუნებაში მარადიული და უცვლელი არაფერია, ყველაფერი ვითარდება, ყველაფერი იცვლება და ამ დებულებიდან გამომდინარე ძველი დრომოჭმული უნდა შეიცვალოს ახლით, პროგრესულით.

ილიამ გაიგო ბაზისისა და ზედნაშენის ურთიერთობა.

„რომ ცხოვრება ძირია, ხელოვნება და მეცნიერება მასზედ ამოსული შტოები არიან. როგორც მიწიდგან ამოხეთქილი შტოები ისხამენ ნაყოფსა და როცა სათესლედ მოჰსწევენ, ისევ მიწას გადმოსცემენ, რომ ახალი ძირი გაიკეთონ და ამ ძირმა სხვა ახალი შტოები ამოხეთქოს, აგრეთვე ცხოვრებაზედ ამოსულნი შტოები — მეცნიერება და ხელოვნება — ისხმენ ზედ ცხოვრების ნაყოფსა და როცა მოასწევენ სათესლოდ, ისევ ცხოვრებასვე გადმოსცემენ ახალის ცხოვრების გამოსაკვანძავად“ [2].

მართალია, აქ ილიას არ გამოუყენებია ტერმინი ბაზისი და ზედნაშენი, მაგრამ მსჯელობის არსი ფაქტიურად ამას გულისხმობს. ილიასათვის მთავარია ბაზისი, ე. ი. თვით ცხოვრება და მასზე დამოკიდებულია ზედნაშენი, ხელოვნება და მეცნიერება.

---

[1] ი. ჭავჭავაძე, თხზულებანი, ტ. 3, 1953 წ., გვ. 56.

[2] იქვე, გვ. 62.

„თუ ცხოვრებას არ უნდა, — აგრძელებს ილია, — ვერაფერს ვერ მიამყნობთ ისე, რომ იმ ნამყნობმა იხეიროს და ნაყოფი მოიტანოს. მარტო ის საქმეა მკვიდრი და მტკიცე, რომლის ფესვიც შიგ ცხოვრებაშია გამოკვანძილი... ღმერთმა გვიხსნას იმ სულელური თამამობისაგან, რომელიცა ფიქრობს გადაასხვაფეროს ცხოვრება თავისებურად. ჩვენ ისე არ გავბრიყვდებით, რომ ჩვენ საკუთარ წესზე მოვინდომოთ ცხოვრების გატარება“ [1].

მართალია, ილია თანამიმდევრული, სრულყოფილი მატერიალისტი არ ყოფილა, მას აქვს იდეალისტური აზრებიც. იგი ზოგჯერ ცხოვრების შამოძრავებელ ძალად ცოდნასა და მეცნიერებას მიიჩნევს. მაგრამ ასეთი ნაკლი თვით მის მასწავლებლებსაც ახასიათებდათ.

ილია ჭავჭავაძე და სხვა თერგდალეულები, მართალია, მატერიალიზმის მაღალი პრინციპების საფუძველზე ცდილობდნენ ცხოვრების გარდაქმნას, მაგრამ მაინც გადაჭარბებულად გვეჩვენება ქართველ სამოციანელთა შესახებ ასეთი განცხადება: „სამოციანი წლების რადიკალურ მოაზროვნეთა შორის პირველი ადგილი უკავია „საქართველოს მოამბის“ თანამშრომლებს... მათ იდეალს წარმოადგენდა დემოკრატიული წყობილება, თავისუფალი შრომა, საყოველთაო თანასწორობა, ხოლო ასეთი ცხოვრების განხორციელების ძირითად საშუალებას ისინი რევოლუციაში ხედავდნენ. მაშასადამე, დემოკრატიული წყობილების განხორციელება რევოლუციის გზით-აი „საქართველოს მოამბის“ თანამშრომელთა საბრძოლო ამოცანა და ცხოვრების იდეალი...“ [2]

უდავოა, რომ თერგდალეულებს ფეოდალიზმის ნანგრევებზე სურთ დემოკრატიული წყობილების დამყარება, მაგრამ ეს დიდი საზოგადოებრივი მოვლენა მათ მიერ ყოველთვის რევოლუციის გზით არ ყოფილა განზრახული. თერგდალეულები ამ კეთილშობილური მიზნების განხორციელებას ზოგჯერ რეფორმებითა და ცოდნა-განათლების გზითაც ცდილობდნენ.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ქართველ სამოციანელებს აკლდათ ჩერნიშევსკისებური რევოლუციური რადიკალიზმი. ეს ბუნებრივიც არის. ჩერნიშევსკის ზურგს უმაგრებდა მრავალი წლის რევოლუციური ტრადიციები, რადიშჩევის, დეკაბრისტებისა და გერცენის მებრძოლი იდეები, ილიას კი სამოციან წლებში საქართველოში ანტიკათალიკოსისა და სახარების მოძღვრებით შეიარაღებული თეორეტიკოსები დახვდნენ. საქართველოში ეს თაობა პირველად გამოვიდა საბრძო-

---

[1] ი. ჭავჭავაძე, თხზულებანი, ტ. 3, გვ. 65 — 66.

[2] ვ. გაგოიძე, „საქართველოს მოამბე“, გვ. 142.

ლო პროგრამით და ძნელი იყო მათთვის, კომპრომისის გარეშე, პირდაპირი რევოლუციური გზით სიარული. ყოველ შემთხვევაში, ქართველ და რუს სამოციანელებს შორის, ამ საკითხში, იგივეობის ნიშნის დასმა მართებულად არ მიგვაჩნია.

ილიას გაგებით, ჟურნალის დანიშნულებას წარმოადგენს მეცნიერებისა და ხელოვნების მონაპოვარის მასებში გატანა, მაგრამ, რაკი ხალხის მომზადების დონე დაბალია და მას არ შესწევს ძალა თავისი გონებით, სხვის დაუხმარებლად, აითვისოს ეს ძვირფასი საუნჯე, ამისათვის, ჟურნალი ვალდებულია აზრები გამარტივებული სახით მიაწოდოს მკითხველ საზოგადოებას.

„...ძნელი მისახვედრი ცნობები საყოველთაო გასაგებად გაამარტივოს, გააადვილოს და ამით განავრცელოს საჭირო სწავლა და ცნობები ხალხში. ამგვარ ლიტერატურას ეკუთვნის ჟურნალიცა, ნამეტნავად ის ჟურნალი, რომელსაც ეძახიან „საზოგადო ჟურნალს". აი, რა-რიგ სამსახურისათვის ვნიშნავთ ჩვენ „საქართველოს მოამბეს"[1].

ამავე წერილში ილია ეხება ორი ჟურნალის საჭიროებისა და ხალხისათვის მის სარგებლიანობის საკითხს. ხალხისათვის ორი ჟურნალის არსებობა ილიას საჭიროდ და სასარგებლოდ მიაჩნია.

„ამის გამო ჟურნალების სიმრავლე არამცთუ უნდა იყოს საწყენი, არამედ სასიხარულო იმისათვის, ვისაც უანგაროდ უყვარს თავისი ხალხი და იმისი ბედნიერება"[2].

სამართლიანად უსაყვედურებს ილია „ცისკრის" რედაქციას რომ მან „საქართველოს მოამბის" სახით ქონების გამყოფი ძმა დაინახა, და იმის ნაცვლად, რომ გახარებოდა „მშველელი" მოძმის დაბადება, წინასწარ აშინებდა „მოამბეს", მკითხველებს ვეღარ იშოვნისო"[3].

მართლაც, „საქართველოს მოამბის" გამოსვლა არამცთუ საზიანო. არამედ უდიდესი მოვლენა იყო ქართველი ხალხისათვის.

„საქართველოს მოამბე" ცოტა ხანს გამოდიოდა, მაგრამ მან ამ მოკლე დროის განმავლობაში მთელი ეპოქა შექმნა, საუკეთესო იდეალები დაუსახა საზოგადოებას, რომლის მიღწევისათვის თავგანწირულად იბრძოდნენ თერგდალეულები.

ეს საბრძოლო პროგრამა მიზნად ისახავდა შემდეგი პრობლემების გადაჭრას.

1. უტილიტარული ხელოვნებისა და ახალი სალიტერატურო ენის დამკვიდრება.

2. მეცნიერებისა და ხელოვნების მონაპოვართა შეტანა ხალხში.

---

[1] „საქართველოს მოამბე", 1863, № 1.

[2] იქვე.

[3] იქვე.

3. ეროვნული თავისუფლების მოპოვება.

4. ბატონყმობის დამხობა და შრომის განთავისუფლება.

„საქართველოს მოამბის“ პროგრამა ფაქტიურად თერგდალეულების საერთო სამოქმედო პროგრამა იყო.

მეცნიერებისა და ხელოვნების საკითხებს ილია ჭავჭავაძე კვლავ შეეხო „საქართველოს მოამბის“ საპროგრამო სტატიაში „საქართველოს მოამბეზედ“. ახლა ილია უფრო კონკრეტულ ფორმაში აყალიბებს მათ პრაქტიკულ ამოცანას. მეცნიერებასა და ხელოვნებას ცხოვრების გასაუმჯობესებელ მოთხოვნას უყენებს იგი.

„მეცნიერებასა და ხელოვნებას“ ჩვენ ვუყურებთ როგორც ცხოვრების გასაუმჯობესებელ ღონისძიებათა... ჩვენ მეცნიერებასა და ხელოვნებას მოვსთხოვთ არსებითსა პურსა ცხოვრებაში გამომცხვარსა და მშიერთათვის მოსახმარსა და გამოსადეგსა“[1].

ილიას გაგებით, ხელოვნებამ ცხოვრება სარკესავით უნდა დაგვანახოს. მისი ავი და კარგი მზის სინათლეზე უნდა გამოიტანოს, ცუდი დაგმოს და კარგი იდეალად გაიხადოს. ხელოვანმა ეს საპატიო მოვალეობა რომ შეასრულოს, ცხოვრების სიღრმეში უნდა ჩაიყურყუმალოს და ლექიცა და მარგალიტიც მზის სინათლეზე ერთნაირად უნდა გამოიტანოს.

მართლაც, „საქართველოს მოამბე“ გადაიქცა ბრძოლის ტრიბუნად, საიდანაც საქვეყნოდ გაისმოდა, მკაცრი ცენზურული პირობების მიუხედავად, ეროვნული თავისუფლებისა და ბატონყმობის სისტემის მოსპობის მქუხარე ხმა.

ჟურნალმა თავიდანვე გაბედული ნაბიჯი გადადგა. მან ფართოდ გაუღო კარები რუსეთის სამოციანი წლების რევოლუციურ-დემოკრატიულ მოძღვრებას. „საქართველოს მოამბეში“ ფარულად თუ აშკარად იბეჭდებოდა ჩერნიშევსკის, დობროლუბოვის, ნეკრასოვის, პისარევისა და სხვათა მებრძოლი იდეების შემცველი მხატვრული ნაწერები.

თვით ილია ჭავჭავაძემ პირველად „საქართველოს მოამბის“ ფურცლებზე გამოაქვეყნა ბატონყმობის სისტემის წინააღმდეგ მიმართული ნაწარმოებები: ნაწილობრივ „გლახის ნაამბობი“, „კაცია-ადამიანი?!“ მთლიანად, „მუშა“, „გუთნის დედა“, ნაწილი „აჩრდილიდან“ და „კაკო ყაჩაღიდან“.

ეს იყო პირველი მძლავრი შეტევა დრომოჭმული სისტემის წინააღმდეგ, რამაც ბრძოლის მადა დაუკარგა ძველის დამცველებს საქართველოში.

---

[1] „საქართველოს მოამბე“, № 1.

ილია ჭავჭავაძის მხატვრულ ნაწარმოებებს მოჰყვა ღრმა მეცნიერული და პოლიტიკურად მახვილგონიერი გამოკვლევები და სტატიები: დობროლუბოვის — „მამა ალექსანდრე გავაცი“, გ. წერეთელის — „ცისკარს რა აკაკანებდა“, მიხეილ ყიფიანის — „სფირიდონის და თადეოზის ბაასი“, დავით ყიფიანის — „სხვადასხვა ამბავი“, კ. ლორთქიფანიძის — „ამაო ამაოთა“, „ამერიკის შეერთებული შტატები და იქაური ტყვეობა“ და სხვა მრავალი.

გ. წერეთელი თავის სტატიაში „ცისკარს რა აკაკანებდა“ ცდილობდა დაეცვა ილია ჭავჭავაძის დებულებები მეცნიერებისა და ხელოვნების დანიშნულების შესახებ.

მსგავსად ილია ჭავჭავაძისა, გ. წერეთელი განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევდა ხელოვნების ხალხურობას და მასთან დაკავშირებულ საკითხებს. იგი სამართლიანად უსაყვედურებდა „ცისკრის“ რედაქციას, რომ მათი ლიტერატურული პროდუქცია ცხოვრებისაგან მოწყვეტილი იყო და ფანტასტიკურ სამყაროში დაატარებდა ამქვეყნიური სინამდვილით დაინტერესებულ მკითხველს. „სინამდვილის ცხოვრების თვისების ნაცვლად ფანტაზიაში შედგენილ სურათებზე გვაცქერინებსო“, — საყვედურობდა კრიტიკოსი.

გ. წერეთელი ეკამათება მოლაყბეს და „ცისკრის“ სხვა თანამშრომლებს მწერლის დანიშნულებისა და მისი მასებთან დაკავშირების შესახებ.

„მწერალი, ჩემის ფიქრით, — წერს გ. წერეთელი, — ყველაზე პირველად იმ ქვეყნის შვილია, სადაც რომ შრომობს, არის დაბადებული იმ საზოგადოებაში, აღზრდილი იმ საზოგადოებაში და მიმღები ყოველივე ზნეობითის ჩვევებისა, რომლებიც სუფევენ იმ საზოგადოებაში, მაშ მწერალი უნდა იყოს საზოგადოების შვილი“[1].

გ. წერეთელი სტატიის დასასრულს „ცისკარს“ ასე მიმართავს: „მაშასადამე „ცისკარს“ თუ თავის სიკვდილი არ უნდა, უსათუოდ დასტოვოს ის გზა, რომელზედაც აქამდინ მოდიოდა... ჩაღრმავდეს სიცოცხლის მორევში“[2].

მაშასადამე, აქედან ის დასკვნა უნდა გამოვიტანოთ, რომ თუ ჟურნალი საზოგადოებას მოწყდება, იგი სასიკვდილოდ განემზადება, თუ ხელოვნებასა და ლიტერატურას ცხოვრებაში ღრმად არა აქვს ფესვები გადგმული, თუ ხალხი სასიცოცხლო წყაროს არ აპკურებს მის ნაყოფს, ასეთი ხელოვნება და მისი გამომხატველი ჟურნალი ვერასოდეს ვერ

---

[1] „საქართველოს მოამბე“, № 5. იხ. აგრეთვე დოც. ს. ხუციშვილის რედაქციით გამოსული კრებული „ქართული ლიტერატურული კრიტიკის ისტორიისათვის“, ტ. I, გვ. 331.

[2] ი ქ ვ ე, გვ. 334.

იხეირებს. ასეთია ხელოვნების დანიშნულება და სპეციფიკურობა გ. წერეთლის განმარტებით, რითაც ავტორი ი. ჭავჭავაძის მოსაზრებათა დაცვასა და განმტკიცებას ისახავს მიზნად.

ამავე საკითხზე ყურადღებას იპყრობს „საქართველოს მოამბის“ ფურცლებზე გამოქვეყნებული სფირიდონ ჩიტორელიძის სტატია **„სფირიდონისა და თადეოზის ბაასი“.**

შეიძლება გადაჭრით ითქვას, რომ იმ ეტაპზე, ილია ჭავჭავაძის წერილების შემდეგ, ყველაზე მეტად გამოირჩეოდა თემის მრავალფეროვნებითა და საკითხის თანამიმდევრობით ეს სტატია. და, ალბათ, ესეც ერთი მიზეზთაგანი იყო იმისა, რომ ამ წერილის ავტორად ილია ჭავჭავაძეს თვლიდნენ [1].

ავტორი დიალოგის ფორმაში გადმოგვცემს ხელოვნებისა და ლიტერატურის სადავო საკითხებზე თავის მოწინააღმდეგეს, იგი არსებითად ეყრდნობა ბელინსკისა და სხვა მეცნიერთა დებულებებს.

სტატიის ავტორი, მიხეილ ყიფიანი, ცდილობს გაამართლოს თერგდალეულების მოქმედება რუსული მოწინავე იდეების ქართულ ნიადაგზე დანერგვის საქმეში და დასძენს: „...კარგი ამბავი უცხო ქვეყნისა, კარგი აზრი ჭკვიანი ხალხის ნათქვამი ყოველისფერი ამორჩევით გადმოვიტანოთ ჩვენს ენაზედ, დავაკვირდეთ, გავშინჯოთ, შეუფარდოთ ჩვენს ანბავს და ჩვენს აზრსა და ამ შეფარდებით გავიგოთ რა არის ჩვენში კარგი და რა არის ცუდი“[2].

მიხეილ ყიფიანი იწუნებს „ცისკრის“ ენასა და ლიტერატურულ პროდუქციას. მისი აზრით, ეს იმის ბრალია, რომ მწერლობას ყველა ჰკიდებს ხელს, საამისო მომზადება და ნიჭი აქვს თუ არა. ამავე დროს სტატიის ავტორი იმასაც აღნიშნავს, რომ ადამიანს თუ თანდაყოლილი ნიჭი არა აქვს, იგი ვარჯიშითა და სწავლით ხელოვანი ვერასოდეს ვერ გახდება.

ეყრდნობა რა ავტორი ბელინსკის თვალსაზრისს პოეზიის არსის შესახებ, იგი წერს: „პოეზია არის გამოხატვა სიცოცხლისა“ ან უკეთ, ვსთქვათ, „პოეზია არის თვითონ სიცოცხლე“. ჩერნიშევსკიც ხომ ამბობს: „მშვენიერება არის ცხოვრებაო“. მაგრამ საინტერესო ის არის, რომ ჩიტორელიძე ხელოვნებისა და სინამდვილის მიმართების საკითხში ჩერნიშევსკის მოძღვრებას არ იზიარებს. ჩერნაშევსკი ბუნებაში არსებულ მშვენიერებას მაღლა აყენებს ხელოვნებაში შექმნილ მშვენიერებაზე, „საქართველოს მოამბის“ თანამშრომელი მიხ. ყიფიანი კი ჩერნი-

---

[1] ამის შესახებ დაწვრილებით იხილეთ ი. ჭავჭავაძის თხზულებათა IV ტ., გვ. 427—434. „ქართულის წიგნის“ გამოცემა პ. ინგოროყვასა და ალ. აბაშელის რედაქციით. — კ. ბ.

[2] „საქართველოს მოამბე“, № 5, 6, 7, 8.

შევსკის საწინააღმდეგოდ მსჯელობს. მისი აზრით „ლანდშაფტი დახატული ტილოზე ნიჭიანი მხატვრისაგან უკეთესია, ქვეყანაში ყოველ ჩინებულ სანახავ ადგილზე“.

ამ დებულების დასამტკიცებლად სტატიის ავტორს საინტერესო მაგალითები მოაქვს. მისი თქმით ბუნებაში მშვენიერება არ არის გამოკვეთილი. მშვენიერი და არამშვენიერი ერთმანეთშია არეული, ხელოვანმა ოქროს მარცვალი უნდა გააცალკევოს უბრალო მიწისაგან, ჩამოასხას ხელოვნების ყალიბში და ამაღლებულის სახით წარუდგინოს საზოგადოებას. ავტორის აზრით, ხელოვნური მშვენიერება უკეთესია ბუნებრივზე „იმისათვის, რომ იმაში არა არის რა შემთხვევითი და მეტი, ყოველი მისი ნაწილი არის შეერთებული... ყველანი ერთად შეკრებილნი შეადგენენ ერთს მშვენიერს, მთელსა და განუყოფელ აზრსა. სინამდვილე მშვენიერია თავისთავად, მაგრამ მშვენიერია ის თავის საგნით, თავისი ნაწილებით, თავისი აზრით და არა ნაკვთით (ფორმით). ამ შემთხვევაში სინამდვილე არის წმინდა ოქრო, მაგრამ გამოურჩეველი, ერთად არეული ლითონი და მიწა. სწავლა და ხელოვნება განსწმენდნენ ოქროს სინამდვილისას, გადააადნობენ და ჩაასხამენ მშვენიერს ყალიბში“[1].

წინააღმდეგ ჩიტორელიძის მსჯელობისა, ჩერნიშევსკის აზრით, სინამდვილეში არსებული მშვენიერება გაცილებით უფრო სრულყოფილი და ჰეშმარიტია, ვიდრე ხელოვნების მიერ შექმნილი.

ჩერნიშევსკის ამ დებულებას ბევრი უარყოფითი და სადავო მხარე გააჩნია მარქსისტული ესთეტიკის თვალსაზრისით და საყურადღებოა ის ფაქტი, რომ მიხეილ ყიფიანს ეს ნაკლოვანებანი შეუმჩნეველი არ დარჩენია.

„საქართველოს მოამბემ“ ყველაზე დიდი გავლენა ილიას მხატვრული ნაწარმოებებით მოახდინა. საქართველოში ბატონყმობა ჯერ ისევ არსებობდა, როცა ილია ამ სისტემას სამარცხვინო ბოძზე აკრავდა.

„კაკო ყაჩაღში“, რომლის საგრძნობი ნაწილი „საქართველოს მოამბეში“ გამოქვეყნდა, ილიამ ყმას ბატონი მოაკვლევინა და უსამართლობისაგან გაქცეულ კაკოს კვალს ზაქროც გაუყენა. ილიამ მასების სულიერი ტკივილი კიდევ იმითაც გამოხატა, რომ ზაქროსადმი გზაში შეხვედრილ მეურმეს ყაჩაღის ბედი სანატრელად გაუხადა.

აპ. მახარაძე სამართლიანად აღნიშნავს, რომ „ძნელია დავასახელოთ სხვა ნაწარმოები ბატონყმობის თემაზე, რომელიც ისე გავრცელებუ-

---

[1] „საქართველოს მოამბე“, № 5, 6, 7, 8.

ლი იყოს ფართო მოსახლეობაში, როგორც ეს წილად ხვდა ილია ჭავ-ჭავაძის ამ ნაწარმოებს"[1].

„გლახის ნაამბობში" ილიამ დათიკოს ბოროტი სახე დახატა და გაბრიელთან მეგობრობა სისხლის ღვრით დაამთავრა. ბატონთან მოჩვენებითი სიყვარულით გაწბილებულ გაბრიელს შეურიგებელი კლასობრივი ბრძოლის გამომხატველი სიტყვები ათქმევინა: „დათიკოს ვუყვარდი და მეც მიყვარდა. მაშინ რა ვიცოდი სულელმა, რომ უფროს-უმცროსობაში სიყვარული სიზმარია? რა ვიცოდი, რომ ბატონ-ყმობის შუა სიყვარულის ხიდი არ გაიდებოდა? ეგრე ყოფილა ქვეყანაზედა, ცალს თურმე ცალმა უნდა უცალოს!.. ეს რომ მცოდნოდა, ღმერთს ვფიცავ და ჩემ მამა პაპის სალოცავს, გულში ნაღველს ჩავიწურავდი და იმის სიყვარულს კი იქ არ გავიტარებდი".

„კაცია-ადამიანში?!" ილიამ ცხოვრების წუმპიდან ამოთრეული ლუარსაბ თათქარიძის უკვდავი სახე დახატა. ამით საქვეყნოდ დაამტკიცა, რომ ბატონყმობის სისტემა სამუდამოდ განწირულია და აუცილებელია მისი დამსხვრევა. ილიამ ამ ნაწარმოებში კრიტიკული რეალიზმი უმაღლეს მწვერვალზე აიყვანა და ხელოვნება მართლაც ცხოვრების გარდაქმნის საშუალებად გამოიყენა. მონური შრომის პრინციპზე დამყარებული საზოგადოებრივი წყობა ერის დამღუპველად გამოაცხადა და ლუარსაბის პიროვნებაში კლასობრივ თვისებებთან ერთად, ერის საერთო ტკივილებიც გამოაჩინა. ჩვენთვის ხომ ცნობილია, რომ ილია ჯერ კიდევ „საქართველოს მოამბის" საპროგრამო წერილში მიზნად ისახავდა ქართველი ხალხის უარყოფითი თვისებების გამომზეურებას და იმასაც ამტკიცებდა, რომ ამით სამოყვრო საქმეს აკეთებდა.

„როდი უნდა იწყინოს ქართველმა, — წერს ილია, — როცა ჩვენი „მოამბე" სხვათა შორის ხელოვნების შემწეობით დაუნდობლად გამოჰფენს ჩვენის ცხოვრების ჭუჭყსაცა. ქართველის უსიყვარულობაში ნუ ჩამოგვაერთმევენ, როცა ჩვენი ჟურნალი მკაფიოდ საქვეყნოდ გამოსთქვამს მას, რაც ქართველში ცუდია და საზიზღარი. საქართველოში თუ სადმე ორსა და სამს უყვარს ქართველი, ჩვენ იმათში უკანასკნელი არა ვართ. ეს კი უნდა ვსთქვათ, რომ ჩვენ ქართველში გვიყვარს მხოლოდ მისი სიკეთე, სიცუდე ყველგან საზიზღარია, ქართველი იქნება მისი მექონი თუ ანგლიელი"[2].

და მართლაც არ დაინდო ილიამ ჩვენი ხალხის ცუდი მხარეები და, როგორც მოყვარემ, ამხილა იგი. მაგრამ საკითხავია, ვის თვლის ილია

---

[1] ა პ. მ ა ხ ა რ ა ძ ე, „ნარკვევები ქართული ლიტერატურის ისტორიიდან", 1957 წ., გვ. 158.

[2] ი. ჭ ა ვ ჭ ა ვ ა ძ ე, თხზულებანი, ტ. 3, 1953 წ., გვ. 69.

მოყვარედ? თავადაზნაურობას? რა თქმა უნდა, არა. იგი ქართველის ჭირზე ლაპარაკობს და მისი მოყვარეც მთელი ქართველი ხალხია. მაგრამ ასეთი ულმობელი კრიტიკის მათრახი ყველაზე მეტად იმას მოჰკედა, ვინც ყველაზე მახინჯი იყო, ე. ი. თავადაზნაურობას.

ილიას აზრით, თავადაზნაურობა იმდენად განწირულია, რომ ეათი ხსნა არავითარ ძალას არ შეუძლია. შემთხვევით არ არის ისიც, რომ ლუარსაბ თათქარიძეს ავტორმა მემკვიდრე არ მისცა. ამით, საბოლოოდ, ფიზიკურად და იდეურად ისტორიულ წარსულს ჩააბარა საზოგადოების ეს სიმახინჯე.

მაგრამ ყველაზე მეტად ილიამ ბატონყმობის სისტემის მოსპობის გარდუვალობა „აჩრდილში“ გვაგრძნობინა. ამ ნაწარმოებში განსაკუთრებულ ყურადღებას იპყრობს შრომის თავისუფლების ჰიმნი. ილია სასტიკი წინააღმდეგია მონური შრომის, ჯერ ერთი, იმიტომ, რომ მონური შრომა აგებულია უსამართლობის პრინციპზე, ერთი შრომობს და მეორე ჭამს. გარდა ამისა, მონური შრომა დამღუპველია ერისათვის, რადგან მშრომელი ხელებშებორკილია, ნაშრომში მას წილი არ უდევს და ამდენად მისი შრომა ნაკლებნაყოფიერია, ნაკლებინტენსიურია. მაგრამ ილია გრძნობს იმასაც, რომ მონური შრომის პრინციპზე დაფუძნებული ქვეყანა დიდხანს ვერ იბოგინებს, მალე დაიმსხვრევა მისი ბორკილები.

შრომა, აწ ქვეყნად ტყვედ პყრობილი,
მძარცველობის ქვეშ ჩაგრულ-ვნებული,
ხოლო რღვეულა მისი ბორკილი
და დასამსხვრევად გამზადებულა...
ვეღარ განუძლებს ქვეყანა ძველი
განახლებისა გრიგალის ქროლვას,
ვეღარ განუძლებს ქვეყნის მძარცველი
ჭეშმარიტების აღძრულსა ბრძოლას, —
და დაიმსხვრევა იგი ბორკილი
შემფერხებელი კაცთა ცხოვრების,
და ახალს ნერგზედ ახლად შობილი
ესე ქვეყანა კვლავ აყვავდების...

თუ ილია ჭავჭავაძემ თავის მხატვრულ ნაწარმოებებში ასე პრინციპულ სიმაღლემდე აიყვანა შრომის თავისუფლების, ე. ი. გლეხთა განთავისუფლების საკითხი, ილიას თანამებრძოლმა, თერგდალეულების თვალსაჩინო მოღვაწემ, დავით ყიფიანმა პუბლიცისტურ წერილებში, მსგავსად ილია ჭავჭავაძისა, თავისუფალი შრომის იდეა წამოაყენა და პრაქტიკული მაგალითებით მისი უპირატესობა დაამტკიცა. ამის შესახებ „საქართველოს მოამბის“ ფურცლებზე დავით ყიფიანი წერს: „საზოგადოებაში რომ ერთი ნაწილი სულ არ შრომობდეს და სხვისი შრომით

ირჩენდეს თავს და იმ შრომასაც რომ თავისუფლება არ ჰქონდეს, ე. ი. ურთიერთ-ნებაყოფლობაზე დამოკიდებული რომ არ იყოს, საზოგადოებისათვის ცუდია თუ არა... მე რომ ეხლა თავისუფალი კაცი არ ვიყო, ფეხებში ბორკილი მქონდეს გაყრილი, ხეირიანი შრომა, ცხადია, არ შემეძლებოდა... თავისუფალი შრომა უფრო ნაყოფიერია... თუ საზოგადოებაში ყოველი მისი წევრი ნაყოფიერადა შრომობს, საზოგადოებაც კეთილმდგომარეობაში შევა" [1].

ასეთ მხატვრულ ნაწარმოებებსა და პუბლიცისტურ ნაწერებს აქვეყნებდა „საქართველოს მოამბე", უმკაცრეს ცენზურულ პირობებში.

ბევრს ჰგონია, რომ 1861 წლის რეფორმის შემდეგ ბატონყმობის საკითხებზე წერა უფრო გაიოლდა, ცენზურა უფრო ლმობიერი გახდა, მაგრამ სინამდვილეში მოხდა საწინააღმდეგო. რადგან რეფორმამ ვერ დააწყნარა მოტყუებული გლეხები და რუსეთის გუბერნიებში მასობრივმა აჯანყებებმა კვლავ ახალი ძალით იფეთქა, საქმის გართულების გამო, მთავრობა იძულებული გახდა მეტი სიმკაცრე გამოეჩინა ბეჭდვითი სიტყვის მიმართ და სპეციალური ღონისძიება გატარდა შინაგან საქმეთა სამინისტროში ცენზურის უმკაცრესი პირობების შესაქმნელად. ამის საუკეთესო დასაბუთებას წარმოადგენს 1862 წ. გამოქვეყნებული სპეციალური ბრძანება ამ საკითხზე.

შინაგან საქმეთა სამინისტროს ინსტრუქციაში, რომელიც 1862 წელს დაეგზავნა საცენზურო კომიტეტებს ადგილებზე სამოქმედოდ, ნათქვამია:

«Не разрешать к печатанию статей оскорбительных для дворянского сословия или высказывающих положительные мнения о необходимости уничтожения дворянства...

Не допускать никакого порицания в общем виде Высочайше утвержденных положений 19-го февраля 1861 года и вообще ничего противного основным началам этих положений. Не дозволять к печатанию статей, которых содержание переносит разрешение крестьянского вопроса с сельскохозяйственной на политическую арену...

Не допускать ни под каким видом статей, в которых излагаются мнения о принадлежащем будто бы крестьянам праве собственности на землю, предоставленную им только в пользование на установленных в законе условиях...»[2]

ჩვენ ეს ამონაწერი იმისათვის მოვიტანეთ, რომ ნათლად წარმოგვედგინა მკითხველის წინაშე ილია ჭავჭავაძისა და მისი თანამშრომლე-

[1] „საქართველოს მოამბე", № 4, გვ. 109.

[2] ЦГИАЛ. ф. 773, оп. 1, дело 71, год 1862, стр. 13—14.

ბის ის გმირული მოქმედება, რასაც „საქართველოს მოამბის“ ფურცლებზე „კაცია-ადამიანის?!“, „გლახის ნაამბობის“, „კაკო ყაჩაღის“ და სხვა მხატვრული ნაწარმოებებისა და სტატიების გამოქვეყნება წარმოადგენდა.

აი, ასეთ პირობებში შესძლო „საქართველოს მოამბემ“ ხმა აღემაღლებინა ბატონყმობის სისტემის უსამართლობის წინააღმდეგ და თავისუფალი შრომის იდეა ექადაგნა. მართალია, „საქართველოს მოამბემ“ მაქსიმუმი გააკეთა იმ პირობებში, მაგრამ ვერ თქვა ყველაფერი ის. რაც მის რედაქტორს ილია ჭავჭავაძესა და თანამშრომლებს უნდოდათ ეთქვათ. ილია ჭავჭავაძის სამოქმედო პროგრამა უფრო ვრცელი იყო, მას გადაწყვეტილი ჰქონდა „დავრდომილის აღდგენა“, „უნუგეშოსათვის ნუგეშის ცემა“, „მტირალისათვის ცრემლის მოწმენდა“, „მუშაკისათვის ძრომის გაადვილება“, მაგრამ განა ყველაფერი ეს შესაძლებელი იყო იმ დესპოტურ პირობებში? ეს ჰქონდა ილიას მხედველობაში, როდესაც „საქართველოს მოამბის“ შესახებ წერდა: „ყველაზე დიდი ნაკლოვანება ჩვენი ჟურნალისა ის იყო, რომ სხვათა შორის დროების ინტერესი არ ჰქონდა... არც ერთი თითქმის ფაქტი, არც ერთი საქმე, რომელიც ყველას თვალწინ გვიტრიალებს და რომელიც ყოველი ცოცხალი კაცისათვის საინტერესოა, არამცთუ ვერ ახსნა ჩვენმა ჟურნალმა. არამედ ვერც კი გაბედა, რომ მიჰკარებოდა, თუმცა ზოგჯერ სცადა კიდეც, იმავე მიზეზით, რომ „დრონი მეფობენო“, ამის გამო ჩვენს ჟურნალს ფერი დააკლდა, „მოამბემ“ შორიდან დაუწყო ტრიალი მას, რაც ახლო გასასინჯი იყო...“ [1]

რედაქტორის ამ სიტყვებში ყველაფერია ნათქვამი, აქ მან იმის თქმაც კი მოახერხა, რასაც მხატვრულ ნაწერებსა და პუბლიცისტიკაში ვერ ამბობდა, იმავე ცენზურული მიზეზების გამო.

მოხევის არ იყოს, ილიამ თავის გულისტკივილს მიგვახვედრა. მას უფრო მეტის თქმა უნდოდა მაგრამ არ ჰქონდა ამის საშუალება.

ჩვენ გადაჭარბებულადაც კი გვეჩვენება ილიას ასეთი მოკრძალებული განცხადება. არამცთუ ახლოს არ მიჰკარებია ჟურნალი ჩვენი ხალხის საჭირბოროტო საკითხებს, არამედ ბევრი მათგანი თვალნათლივ წარმოადგინა კიდევაც, თუნდაც ბატონყმობის საკითხი. კიდევ მეტი. „საქართველოს მოამბემ“ დაგმო არა მარტო ფეოდალიზმის პირობებში გამეფებული მონური შრომის პრინციპი, არამედ სამარცხვინო ბოძზე გააკრა ამერიკელი კაპიტალისტების უსულგულო დამოკიდებულება ფერადკანიანებისადმი და საქვეყნოდ შეაჩვენა ოკიანეგაღმელების მოჩვენებითი დემოკრატიზმი.

---

[1] „საქართველოს მოამბე“, № 11.

თერგდალეულების ბრძოლა სოციალური უკუღმართობის წინააღმდეგ გრძელდებოდა „საქართველოს მოამბის“ დახურვის შემდეგაც. ილია ჭავჭავაძე, გიორგი წერეთელი, აკაკი წერეთელი და სხვები სისტემატურად აქვეყნებდნენ გაზეთებისა და ჟურნალების ფურცლებზე ბატონყმობის უმსგავსოების შესახებ ახალ-ახალ ნაწარმოებებს და მშრომელ გლეხობას მიუთითებდნენ ბრძოლით მოპოვებული თავისუფლების უპირატესობაზე.

ეროვნულ-განმათავისუფლებელი იდეები „საქართველოს მოამგეში“

ეროვნული საკითხი ქართულ ლიტერატურაში ყოველთვის მტკივნეულ პრობლემას წარმოადგენდა. არ დარჩენილა თითქმის არც ერთი მწერალი, ძველი თუ ახალი დროისა, რომელსაც ხელში კალამი აეღოს და ეროვნულ საკითხს არ შეხებოდეს. ეს იმიტომ ხდებოდა, რომ საქართველო, ეს პატარა, მაგრამ დაუშრეტელი ენერგიით სავსე ქვეყანა, ყოველთვის გარშემორტყმული მაჰმადიანური და სხვა ჯურის სახელმწიფოების მიტაცების საგანს წარმოადგენდა, მის მიწაზე „ცეცხლის კვერი“ ტრიალებდა და უხვად იღვრებოდა ქართველების სისხლი წმიდათა წმიდა საზღვრების დასაცავად. ძნელია დასახელებული იქნეს სხვა ისეთი ქვეყანა, რომლის ისტორია, საქართველოს ისტორიასავით სისხლიანი სტრიქონებით იყოს დაწერილი. ძნელია წარმოვიდგინოთ სხვა ერი, რომელსაც ასეთი უთანასწორო ომები გამოევლოს და ეროვნული თვითარსებობა შეენარჩუნებიოს.

აქ არ შეიძლება არ გავიხსენოთ დიდი ილიას პატრიოტული გრძნობით აღსავსე სტრიქონები:

ქართველის სამკვიდროვ, ქვეყნის თვალად დაბადებულო,
რამდენს ვაებას შენსა თავზე გადაუვლია...
ჯვარცმულის ღვთისთვის თვით ჯვარცმულო და წამებულო,
ეკლიანს გზაზედ შენებრ სხვას რომელს უელია?
სხვა რომელია, რომ ათასთ წელთ ბრძოლა მედგარი
გამოევლოს და სრულად მტერად არ აღგვილიყოს?
შენა ხარ, მარტო შენ... მაგალითი სხვა არსად არის
რომ სხვა ქვეყანას, სხვასა ერსა ეგ შეძლებიყოს.

ასეთ მართალ სტრიქონებში გამოხატა ილია ჭავჭავაძემ ქართველი ხალხის სახელოვანი, მაგრამ ჭირნახული წარსული.

ბევრი ქართველი მწერალი შეხებია საქართველოს წარსულის საკითხს, მაგრამ წარსულთან დამოკიდებულება ყოველთვის როდი ყოფილა მომავლის ინტერესებით განცდილი.

მაგალითად, ქართველი რომანტიკოსები აიდეალებდნენ ისტორიულ წარსულს, მისტიროდნენ გარდასულ გმირთა აჩრდილებს და უიმედობით შესცქეროდნენ მომავალს. ისინი ოცნებობდნენ წარსული დიდების აღდგენაზე. პოეტი გრ. ორბელიანი იძულებული გახდა ნიკოლოზ პირველისათვის შეეთხოვა „თამარის ღღეთა“ დაბრუნება.

ხოლო თერგდალეულებმა და მათმა ბელადმა ილია ჭავჭავაძემ სრულიად ახლებურად დააყენეს საკითხი, ახლებური აზრი და მიმართულება მისცეს ეროვნულ საკითხს. ილიამ ჯერ კიდევ სტუდენტობის პერიოდში დაწერილ ლექსებშივე დაგმო რომანტიკოსების ცალმხრივი პატრიოტიზმი, წუწუნი და გოდება წარსულზე და თანამოძმეებს მოუწოდა:

მას ნუღარ ვსტირით, რაც დამარხულა,
რაც უწყალო დროთ ხელით დანთქმულა.
მოვიკლათ წარსულ დროებზე დარდი...
ჩვენ უნდა ვსდიოთ ეხლა სხვა ვარსკვლავს.
ჩვენ უნდა ჩვენი ვშვათ მყოფადი,
ჩვენ უნდა მივსცეთ მომავალი ხალხს...

ამ სტრიქონებიდან ნათლად ჩანს ილიას აზრის პროგრესულობა, რომ მისთვის, როგორც პროგრესული იდეებით შეიარაღებული მწერლისათვის, მთავარია ხალხის მომავალზე ზრუნვა და არა გოდება წარსულზე.

საქართველოს ბრწყინვალე წარსული თერგდალეულებს რომანტიკოსებზე ნაკლებ როდი აინტერესებთ, მაგრამ წარსული თვითმიზანი კი არ ყოფილა მათთვის, არამედ იგი ახლის შექმნისათვის უნდა ყოფილიყო გამოყენებული, როგორც მისაბაძი მაგალითი. „აწმყო, შობილი წარსულისაგან, არის მშობელი მომავალისა“, — ეს დებულება ხომ ილიას სამოქმედო დევიზი იყო.

თერგდალეულებმა სხვა სიახლეც შეიტანეს ეროვნულ-პატრიოტულ საკითხში. თუ რომანტიკოსები წარსულის დიდებაში მხოლოდ მეფეებისა და რაინდების დამსახურებას ხედავდნენ, თერგდალეულებმა ისტორიის სცენაზე უბრალო ადამიანებიც გამოიყვანეს, მეფეებისა და სარდლების გვერდით პატრიოტებად უბრალო ხალხიც წარმოადგინეს, ამის საილუსტრაციოდ შეიძლება დავასახელოთ ილია ჭავჭავაძის „მეფე დიმიტრი თავდადებული“ და აკაკი წერეთლის „პატარა კახი“. მართალია, ამ ნაწარმოებების მთავარი მოქმედი გმირები პატრიოტი მეფეებია, მაგრამ მათ გვერდით მწერლებმა მშრომელი ხალხის უკვდავი სახეებიც დახატეს მოხუცი გლეხისა და ბრმა გელას სახით.

საინტერესოა ისიც, რომ თერგდალეულებმა პატრიოტიზმი ინტერ-

ნაციონალიზმის პრინციპებამდე აამაღლეს და იგი ეროვნულ-განმათავისუფლებელ იდეებს დაუკავშირეს. „პრავდამ“ ილია ჭავჭავაძეს „მე-19 საუკუნის მეორე ნახევრის საქართველოს ნაციონალურ-რევოლუციური მოძრაობის უპოპულარესი საზოგადო მოღვაწე“ უწოდა. და ეს განსაზღვრა არა მარტო ილია ჭავჭავაძეს, არამედ თერგდალეულების მთელ პლეადას ეკუთვნის.

თერგდალეულებმა, სოციალურ საკითხებთან ერთად, დიდი ადგილი დაუთმეს „საქართველოს მოამბის“ ფურცლებზე ეროვნულ-განმათავისუფლებელ იდეებს. და ეს იდეები ჯერ კიდევ ახალგაზრდა თერგდალეულების ცნობიერებაში გამოიკვეთა პეტერბურგში ყოფნის დროს. თუმცა ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ეს ახალგაზრდები, საქართველოში გიმნაზიის კედლებში, ითვისებდნენ ცარიზმის სიძულვილს.

თერგდალეულებმა ჯერ კიდევ სკოლის კედლებში იგემეს მწვავე ეროვნული ტკივილები, როდესაც ზოგიერთი რუსი უღირსი მასწავლებელი ქართულ ენას ძაღლის ენას უწოდებდა.

მაგრამ ზოგი რუსი ან პოლონელი მოწინავე მასწავლებელი მოსწავლეებს ხშირად ესაუბრებოდა სხვადასხვა ქვეყანაში დაწყებული ეროვნული მოძრაობის შესახებ და ესეც ცარიზმის სიძულვილს ნერგავდა ახალგაზრდა პატრიოტებში.

ქუთაისის გიმნაზიის მასწავლებლებმა კ ო ხ ა ნ ო ვ ს კ ი მ და რ ო დ ხ ე ვ ი ჩ მ ა იმდენი გავლენა მოახდინეს მოსწავლეებზე, რომ აკაკი წერეთელმა გიმნაზიას თავი დაანება და პეტერბურგში გაემგზავრა სამხედრო სასწავლებელში შესასვლელად, რათა სამხედრო ცოდნით შეიარაღებულს, გარიბალდობა გაეწია საქართველოსათვის. თბილისის პანსიონის პოლონელმა მასწავლებლებმა ზაგურსკიმ და სხვებმა ისე იმოქმედეს ილია ჭავჭავაძეზე, რომ ახალგაზრდა პატრიოტი გარიბალდის ვოლონტერობაზე ოცნებობდა.

ასე რომ ეროვნული თავისუფლებისა და ცარიზმის ტირანიის წინააღმდეგ ბრძოლის სურვილი საქართველოშივე ჩაესახა ჩვენს ახალგაზრდებს, მაგრამ ეს კვირტი კიდევ უფრო გაიშალა და მწიფე ნაყოფად იქცა პეტერბურგში.

პეტერბურგმა თერგდალეულები არა მარტო სოციალური უსამართლობის წინააღმდეგ საბრძოლველად მოამზადა, არამედ ეროვნული თავისუფლების ბრძოლის იდეებიც აქ დავაჟკაცდა მათს ცნობიერებაში. ამას ხელი შეუწყო ჩერნიშევსკისა და მისი თანამებრძოლების გავლენამ, პეტერბურგის უნივერსიტეტის მოწინავე პროფესორების ლექციებმა, პოლონელი ხალხის თავგანწირულმა ბრძოლამ ცარიზმის კოლონიალური პოლიტიკის წინააღმდეგ, პოლონელ სტუდენტებთან ქართველი ახალგაზრდობის დაახლოებამ და ჯუზეპე გარიბალდის ტრიუმფა-

ლურმა გამარჯვებებმა იტალიის განთავისუფლებისათვის წარმოებულ ბრძოლებში. ეს ფაქტორები საქართველოს ისტორიის მაგალითებთან ერთად კვებავდნენ და ზრდიდნენ ქართველ ახალგაზრდებში ჯერ კიდევ მოწაფეობის პერიოდში. გაღვიძებულ თავისუფლებისათვის ბრძოლის იდეებს.

დიდმა რუსმა მოაზროვნემ ჩერნიშევსკიმ ეროვნული თავისუფლების ბრძოლის შინაარსი კიდევ უფრო გაამდიდრა და გაამრავალფეროვნა. ამ მოძრაობაში მცირე განაპირა ერების ინტერესებთან ერთად თვით დიდი რუსი ხალხის ინტერესებიც დაინახა, რადგან განაპირა ქვეყნების ეროვნულ-განმათავისუფლებელი ბრძოლა ცარიზმის მთლიან ორგანიზმს ასუსტებდა და თვით რუს ხალხს უადვილებდა მეფის მთავრობის დამხობისა და ბატონყმობის სისტემის მოსპობის ისტორიული საქმის მოგვარებას.

ვ. ბასკაკოვი სამართლიანად აღნიშნავს: «Большое значение придавал Чернышевский и национально-освободительному движению в Польше. Он рассчитывал на то. что борьба польского народа, достигшая огромной остроты и напряженности в период революционной ситуации, отвлечет значительную часть войск царской России, заставит царское правительство распилить свои силы и тем самым облегчить победу крестьянской революции...»[1]

ამდენად, როგორც ვხედავთ, ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა და ცარიზმის განადგურებისა და ბატონყმობის მოსპობის საკითხი, რისთვისაც თავგამოდებით იბრძოდა რუსი ხალხის მოწინავე ნაწილი, ერთმანეთთან იყო დაკავშირებული. ამ მიზნით ჩერნიშევსკი და მისი თანამებრძოლები თავის გარშემო იკრებდნენ პოლონელებს, უკრაინელებს, ბელორუსებს, ქართველებს და სხვა ეროვნებათა საუკეთესო წარმომადგენლებს.

ასე გადაეჯაჭვა ერთმანეთს ეროვნული და სოციალური ხასიათის საკითხები სამოციანი წლების რევოლუციონერ მოღვაწეთა საქმიანობაში და, ბუნებრივია, ქართველებიც ორივე ამ საკითხით იყვნენ დაინტერესებულნი.

სამოციან წლებში ეროვნული თავისუფლებისათვის ყველაზე შეუდრეკელ ბრძოლას პოლონელები აწარმოებდნენ. ხშირად იფეთქებდა პოლონეთის სხვადასხვა ქალაქში ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა, რომელსაც ყოველთვის ცეცხლითა და მახვილით აქრობდა ცარიზმის უხეში ძალები, მაგრამ ეს მაინც არ აშინებდა მათ.

1861 წლის 10 ოქტომბერს პოლონელების ისტორიულ ქალაქ გო-

---

[1] В. Г. Баскаков, Мировоззрение Чернышевского, стр. 67.

როდლოში 12000 პოლონელი შეიკრიბა ღია ცის ქვეშ, ეკლესიიდან გამოიტანეს ხატები და შეასრულეს ღვთის მსახურება, წარმოსთქვეს ნაციონალური ჰიმნი, შეჰფიცეს ერთმანეთს და შეადგინეს ერთგულების ოქმი, რომელშიაც ნათქვამია:

«...состоялся на черте Городла на Буге, воеводстве Люблинском, в округе Холмском 10 октября 1861 года. Сего числа собрались сюда, в лице своих представителей, области, составлявшие польское королевство, в этом собрании наших предков в городе Городле, в 1413 году. Упомянутое собрание скрепило неразрывною связью три страны: Польшу, Литву и Русь...» ოქმში აგრეთვე ნათქვამია: «...возобновляют, на граничной черте сего знаменитого союзом трех народов города Городлянского как во всем его объеме и требуют восстановления Польши в старых пределах»[1].

ჩვენთვის უკვე ცნობილი რეაქციონერი კონსტანტინე აკსაკოვი ისე ძლიერ აღუშფოთებია პოლონელების გამბედაობას, რომ ამ ისტორიული ნაბიჯისათვის სასტიკად კიცხავს იგი პოლონელებს, თავის გაზეთში „День“.

«...Безумные поляки, как спешите вы проиграть ваше дело! Как торопитесь вы затушить всякую искру сочувствия, которую могла бы зажечь в единоплеменных вам братьях ваша любовь к родине! Неужели вы так глухи, так слепы, неужели вы думаете, что в пространной Русской земле, от Камчатки до Карпат... найдется хоть один Русский, который бы не загорелся весь самым жгучим огнем негодования при таких лживых и наглых ваших притязаниях, который бы не отдал жизни в борьбе с вами, за сохранение наших древних русских областей, нашего трижды святого, прекрасного Киева... видно, еще жив ваш дух, который как прежде сгубил, так и теперь, безумный, губит дело своей родной земли!—Мы остовались чужды доселе ваших тяжб с провительствами, но вы хотите возобновить международную тяжбу и воскресить вражду, которую сострадание к вам начинало изглаживать в сердцах наших! Несчастные, несчастные безумием, как Божьей карой пораженные поляки»[2].

აკსაკოვის რეაქციონურმა გამოსვლამ პოლონელების წინააღმდეგ ააშფოთა რუსეთის მოწინავე ინტელიგენცია. აკსაკოვის საპასუხოდ მრავალი სტატია დაიბეჭდა, რომელთაგან გამოირჩევა თავისი პოლიტიკური სიმახვილითა და ეროვნული თავისუფლების ჭეშმარიტი გაგებით პეტერბურგის უნივერსიტეტის პროფესორის კოსტომაროვის პასუხი:

---

[1] Н. Барсуков, Жизнь и труды М. П. Погодина, стр. 117—118.

[2] ibid.

«Вы говорите, что готов предоставить Польше ведаться самой себе, а в то же время пишите: «Впрочем, разумеется, кроме Царства Польского, я бы не дал им пяди русской земли». Хорошо. Но ведь эта русская земля населена русским народом. Но если бы этот русский народ оказал симпатию к Польше и пожелал бы с нею соединиться? Как же по вашему? Надобно было бы его усмирять штыками, картечами, плетьми и насильно заставить благоденствовать созерцанием цельности, которую вы желаете! В таком случае, проповедуемая вами свобода противоречит вашим делам... Вы говорите: будьте свободны, но думайте и поступайте, чувствуйте желайте так, как мы хотим и вам приказываем. Ваша свобода ни чем есть лучше свободы, исходящей от королей и министров... Вы хотите совместить несовместимое, служить Богу и Мадоне. Хотите государственной цельности и проповедуете свободу... Либо поддерживаете государство и тогда сознайте необходимость цензуры, III Отделения, Петропавловской крепости и совершенного порабощения индивидуальной мысли и убеждения воле правительства, либо рискуйте государством, будьте готовы на его разложение, если хотите свободу. Российское государство невозможно без самодержавия, а самодержавие невозможно при свободе мысли и слова...

Либо станьте на точку государственной принудительности и действуйте за одно с III-им Отделением, либо уважайте право южнорусского народа и не приказывайте ему молчать на своем языке и говорить на вашем. Позвольте ему самому решать свою судьбу...» [1]

ჩვენ განზრახ მოვიტანეთ კოსტომაროვის საპასუხო სტატიიდან ვრცელი ამონაწერი, რათა დაგვენახა პეტერბურგის უნივერსიტეტის პროფესორის პოზიტიური მსჯელობა ეროვნული თავისუფლების საკითხზე. შეიძლება კოსტომაროვის ეს პოზიცია ჩაითვალოს ეროვნულ-განმათავისუფლებელი ბრძოლის საუკეთესო ნიმუშად მაშინდელ მკაცრ ცენზურულ პირობებში.

მართალია, კოსტომაროვი შორს იდგა ჩერნიშევსკის რევოლუციური ჯგუფისაგან და უფრო მეტად იგი ლიბერალური პოზიციებისაკენ იხრებოდა, მაგრამ ეროვნულ საკითხებში მან, უდავოდ, სწორი და რადიკალური პოზიცია გამოამჟღავნა აკსაკოვთან კამათის დროს.

ჩვენ ხომ ვიცით, რომ ქართველი სტუდენტები კოსტომაროვის ლექციებს ისმენდნენ და არ შეიძლებოდა ლექციების დროს მას გაკვრით მაინც არ ეგრძნობინებინა მსმენელებისათვის თავისი გულისტკივილი ამ საკითხზე.

ამ საქმეში ერთგვარ როლს ისიც თამაშობდა, რომ კოსტომაროვი

---

[1] Н. Барсуков, Жизнь и труды М. П. Погодина, стр. 121—126.

უკრაინელი იყო. ისიც ხომ ფაქტია, რომ ზოგიერთი ქართველი სტუდენტი ახლო დამოკიდებულებაში იმყოფებოდა კოსტომაროვთან. მაგალითად, აკაკი წერეთელი ხშირად დადიოდა მასთან ბინაზე და აქ მიეცა შესაძლებლობა ქართველ პატრიოტ ახალგაზრდას, გასცნობოდა დიდ უკრაინელ პოეტს ტარას შევჩენკოს.

ცხადია, ისტორიის პროფესორი კოსტომაროვი ოფიციალურად თუ არაოფიციალურად გავლენას მოახდენდა ქართველ ახალგაზრდებზე.

ქართველ სტუდენტებზე, როგორც ზევითაც აღვნიშნეთ, დიდ გავლენას ახდენდნენ აგრეთვე პოლონელი ახალგაზრდები. პოლონელი და ქართველი სტუდენტები ხშირად უზიარებდნენ თავიანთ გულისტკივილს ერთმანეთს და საერთო საბრძოლო საკითხებზედაც საუბრობდნენ.

ქართველი სტუდენტების მჭიდრო კავშირი პოლონელ ახალგაზრდებთან ყველაზე საინტერესოდ დახატა გიორგი წერეთელმა თავის მოთხრობაში „კიკოლიკი, ჩიკოლიკი და კუდაბზიკა". აქ მან ქართველებთან ერთად მთავარ გმირად გამოიყვანა პოლონელი სტუდენტი ხ...სკი... ხ...სკი აღფრთოვანებით უხსნიდა ქართველ სტუდენტებს პატრიოტიზმის მგზნებარე საკითხებს და გარიბალდის გმირული ბრძოლების ეპიზოდებს.

გ. წერეთლის ცნობით „ხ...სკი ყოველ საღამოს ჯერ თავისიანებში იქნებოდა, და მერე, თუ დრო ექნებოდა, იმავე დღეს, და თუ არა, მეორე დღეს მაინც შემოირბენდა ჩვენსკენ, განსაკუთრებით კიკოლიკთან... [1].

ხ...სკისადმი ქართველი სტუდენტების ერთი ჯგუფის დამოკიდებულება შემთხვევითი მოვლენა არ იქნებოდა. ეს გარკვევით ლაპარაკობს იმის შესახებ რომ პოლონელი ახალგაზრდები მჭიდრო კავშირში იმყოფებოდნენ ქართველ სტუდენტებთან, რომლებსაც ისინი უნერგავდნენ ეროვნული თავისუფლების ცხოველმყოფელ იდეას.

ქართველ სტუდენტებზე, აგრეთვე, დიდი გავლენა მოახდინა იტალიის განმათავისუფლებელმა მოძრაობამ. ჯუზეპე გარიბალდის გმირულმა მაგალითმა თავისუფლების წყურვილი დაბადა ჩაგრული ერების მოწინავე ახალგაზრდობაში. იტალიის ხალხთა მოძრაობამ საგონებელში ჩააგდო მეფის მთავრობა. განსაკუთრებით სახიფათო იყო მათთვის ამ დროს ეროვნებათა თავისუფლების პროპაგანდა, რადგან ამის გარეშეც, რუსეთის სხვადასხვა კუთხეში ჩაგრული ერების წინააღმდეგობა ყოველდღიურად იზრდებოდა და რეფორმის მატყუარა ხასიათის გამო საერთო პოლიტიკური მდგომარეობა კიდევ უფრო მწვავდებოდა.

---

[1] გ. წ ე რ ე თ ე ლ ი, „კიკოლიკი, ჩიკოლიკი და კუდაბზიკა". 1920 წ. გამოცემა, გვ. 90.

ამდენად, გარიბალდისა და მისი წარმატების შესახებ არამცთუ წერა, ლაპარაკიც კი დანაშაულად ითვლებოდა. მაგრამ მგზნებარე რევოლუციონერმა ჩერნიშევსკიმ მაინც მოახერხა „სოვრემენიკის“ ფურცლებზე იტალიის ხალხთა მოძრაობის პროპაგანდა, სადაც მან ისეთი აზრი გამოატარა, რომ ყოველგვარი თავისუფლების მოპოვება, ეროვნული ხასიათისა იქნება იგი თუ პოლიტიკური, მხოლოდ ძალდატანებისა და რევოლუციის გზით არის შესაძლებელი.

ამის თაობაზე ჩერნიშევსკი წერს: «В Сицилии в Неаполе, в большей части папских областей произошла перемена коренных учреждений. Как произошла она? Насильственным образом, вторжением вооруженных людей, восстанием. Как называется перемена коренных учреждений, производимая путем насилия? Она называется революциею. Как называются люди, идущие к целям, требующим революции для своего достижения? Они называются революционерами»[1].

როგორც ამ სტრიქონებიდან ჩანს, ჩერნიშევსკი რევოლუციური მოძრაობისაკენ მოუწოდებს ჩაგრულ ერებს, მას მხოლოდ ეს გზა მიაჩნდა ნამდვილი თავისუფლების მოპოვების გზად და მაგალითად იტალიელი ხალხის ბრძოლას ასახელებდა. სტუდენტების იდეურ საზრდოს ხომ „სოვრემენიკი“ წარმოადგენდა და მის ფურცლებზე დაწერილი ასეთი სტრიქონები ცეცხლის ალივით ინთებოდა ახალგაზრდობის გულებში, რომლებსაც ისედაც არ აკლდათ საბრძოლო წრთობა.

იტალიის მაგალითით აღფრთოვანებული იყო მთელი მოწინავე კაცობრიობა. დიდად განიცდიდნენ ამ მოვლენას ჩაგრული ქვეყნის შვილები—ქართველი ახალგაზრდებიც. მართალია, თერგდალეულები ჯერ კიდევ სკოლის კედლებში იცნობდნენ გარიბალდის საგმირო საქმიანობას და თვითონაც გარიბალდობაზე ოცნებობდნენ, მაგრამ პეტერბურგში ყოფნის დროს, ჩერნიშევსკისა და პოლონელი ახალგაზრდობის გავლენით, კიდევ უფრო გაიზარდა ინტერესი გარიბალდის მოძრაობისადმი.

თერგდალეულების ამ საკითხისადმი დაინტერესების საუკეთესო დადასტურებას წარმოადგენს „საქართველოს მოამბის“ პირველ ნომერშივე დაბეჭდილი დობროლუბოვის სტატია: „მამა ალექსანდრე გავაცი და მისი ქადაგება“.

ალექსანდრე გავაცი, მართალია, სასულიერო პირია, მაგრამ ამავე დროს ჯუზეპე გარიბალდის დიდი თანამებრძოლიცაა. ეტყობა, მან რელიგიური რწმენა უკვე დიდი ხანია დაჰკარგა და კათოლიკური ეკლესიისა და რომის პაპების მზაკვრობის მამხილებლად გამოვიდა ქუჩებში, ბოულებზე, თეატრებში, კლუბებში და ხალხის ყველა შესაკრებ ად-

[1] «Современник», 1860 г.

გილზე იგი მკაცრად ილაშქრებდა მეფის დესპოტიზმისა და სამღვდელოების მატყუარა მოქმედების წინააღმდეგ.

ალექსანდრე გავაცცი კათოლიკური ანაფორის ნაცვლად გარიბალდის წითელ პერანგს ატარებდა და ჯვრის ნაცვლად რევოლვერს. იგი ყოველთვის მზად იყო საკუთარი სიცოცხლე იტალიელი ხალხის თავისუფლებისათვის შეეწირა მსხვერპლად. გავაცცის შესახებ სტატიაში ნათქვამია: „გამოჩნდა ფრანციზულ თეატრში, ნეაპოლში, ის ის იყო მოსულიყო ჯარებიდან, რომელსაც ომი გადაუხდიათ კაპუასთან (ქალაქია სამხრეთ სიცილიაში), წითელი გარიბალდული პერანგი ანაფორის ქვეშ, კეპი თავზე სამონაზვნო თავსახურავის მაგიერ, ხმალი გვერდზე, და რევოლვერი სარტყელში“ [1].

გავაცცის გამოსვლას თეატრში ისეთი დიდი შთაბეჭდილება მოუხდენია ხალხზე, რომ წარმოდგენა შეუწყვეტიათ და დარბაზში რამდენიმეჯერ გარიბალდის ჰიმნი evviva უმღერიათ.

„ატყდა ერთი საშინელი ტაშის ცემა ყიჟინა და გარიბალდის ჰიმნი იგალობეს. და ერთი აღტაცებული გრიალი მთელის პუბლიკის გალობას ზედ მისდევდა“ [2].

გავაცცის ქადაგებაში, რომელიც ვრცლად მოაქვს დობროლუბოვს თავის საინტერესო სტატიაში, შექებულია გარიბალდის პატრიოტული და თავგანწირული მოქმედება. გავაცცის აზრით, გარიბალდისა და აჯანყებული იტალიელი ხალხის ძლიერება სამართლიანობისათვის ბრძოლით არის განპირობებული.

„გარიბალდი ყოველთვის გაიმარჯვებს, იმიტომ რომ იმის სახით გამოდის ბრძოლაში თვით... პატიოსნება, სამართალი, ერთი სიტყვით საქმე ღვთისა“ [3].

„გარიბალდი არის დიდი წარმომადგენელი ჩვენის ძლევამოსილის და გამარჯვებულის რევოლუციისა, რომელიც ნიშნავს ხალხთა რჯულიერების აღდგენასა მფლობელების ბოროტ-მოქმედების წინააღმდეგ“ [4].

საინტერესოა ისიც, რომ დობროლუბოვის წერილს ალექსანდრე გავაცცის შესახებ დიდი სიყვარულით გამოეხმაურა ქართველი მოწინავე ინტელიგენცია. თვით „საქართველოს მოამბის“ სერიოზული მოწინააღმდეგე ანტონ ფურცელაძე დიდ დამსახურებად უთვლის ჟურნალს ასეთი ხასიათის სტატიის დაბეჭდვას.

„...სტატია: „მამა ალექსანდრე გავაცცი“ სწორეთ რომ კარგათ

---

[1] „საქართველოს მოამბე“, № 1, გვ. 63.

[2] ი ქ ვ ე.

[3] ი ქ ვ ე, გვ. 71.

[4] ი ქ ვ ე, გვ. 93.

ამოურჩევია ეს ამის მთარგმნელსა. ამ გამოჩენილი მქადაგებლის მართალი სიტყვები, ამის მტკიცე ქადაგებაები, ამის ჭეშმარიტი სიმართლისა და ქვეყნის კეთილობისათვის თავდადება არის სწორედ ყოველი პატიოსანი კაცისაგან პატივსაცემი და მისაღები... გავაც�d... ჰქადაგებს ერთობას, ძმობას, სიყვარულს, თავისუფლებას. ის თავისის ძლიერის და გაბედვით ქადაგებით ჰმუსრავს ხალხის შემავიწროებელთ მეფეთ და ისეთ პირთა, უხსნის ხალხს ცრუმორწმუნეობიდამ თვალებსა, ის განდევნის თავის მართლის სიტყვებით სამღვდელოთა, რომელნიც ხოლო თავის სარგებლობის გულისათვის ვინ იცის, რა ბოროტებას არ ჩაიდენენ...“[1]

სტატიის ავტორი რეცენზიაში არსებითად ეწევა გარიბალდის მოძრაობის აგიტაციას და საინტერესოა ისიც, რომ მეფეებისა და სამღვდელოების ასეთი გაკიცხვა როგორ დაბეჭდა „ცისკარმა“.

ასეთივე ეროვნულ-განმათავისუფლებელი იდეებია გამოხატული „საქართველოს მოამბეში“ გამოქვეყნებულ ლექსებში. ამ მხრივ განსაკუთრებით გამოირჩევა ილია ჭავჭავაძის ლექსი — „მას აქეთ, რაკი შენდამი ვსცან მე სიყვარული“, მასში პოეტი გამოხატავს სამშობლოს კეთილდღეობისათვის დაუცხრომელი მოქმედებისა და ბრძოლის სურვილს. მაგრამ ლექსის ფინალში პოეტი გულგატეხილობას ამჟღავნებს:

> მაგრამ მამულო, ჩემი ტანჯვა მხოლოდ ის არის.
> ის არის მხოლოდ საკალალო და სამწუხარო,
> რომ შენს მიწაზედ, ამდენ ხალხში კაცი არ არი.
> რომ ფიქრი ვანდო, გრძნობა ჩემი გაუზიარო...[2]

ცხადია, ილია ჭავჭავაძემ მხატვრულ თქმაში. განზოგადებული სახით წარმოადგინა საქართველოს მაშინდელი დაქვეითებული მდგომარეობა, რომ ნაკლებად ჩანდნენ ერისთავის გულშემატკივარი ადამიანები, შეიძლება აქ მხატვრული ჰიპერბოლაც იყოს, მაგრამ საოცარია, რომ ანტონ ფურცელაიემ ეს მხატვრული თქმა უხეიროდ გაიგო.

ანტონ ფურცელაძემ „საქართველოს მოამბის“ ორი ნომერი იმავე წელს „ცისკარში“ გაარჩია და ბევრი რამ დაუწუნა ამ ჟურნალის რედაქტორს ილია ჭავჭავაძეს. ასევე დაიწუნა მისი ლექსის ზემოთ ციტირებული სტრიქონებიც. აი რას წერს ანტონ ფურცელაძე:

„ერთი ჰკითხეთ, საყვარელნო მკითხველნო, უფ. ჭავჭავაძეს: მაშ რისთვის უკრთება ასე უწყალოდ ძილი, ვისთვის იკლავს თავსა, თუ კი მთელს საქართველოში იმისთანა კაცი არ არის, რომ ღირსი იყვეს მა-

---

[1] ქერელი ბექა, „ცისკარი“, 1863 წ., № 7.

[2] „საქართველოს მოამბე“, № 2.

გის აზრის „განზიარებისა“. როგორც სჩანს ეგ ცარიელი საქართველოს მიწისთვინა დრტვინავს და ფიქრობს... ბრავო, ბრავო, ბრავო, უფ. ჭავჭავაძე, ეგ ძალიან მოგიეიდათ“ [1].

საერთოდ, ანტონ ფურცელაძე თავიდანვე ოპოზიციურ დამოკიდებულებაში იმყოფებოდა ილია ჭავჭავაძესთან და მისი ასეთი შეფასება ილიას ლექსისა მორიგი გაუგებრობა იყო.

„საქართველოს მოამბეში“ დაიბეჭდა ილია ჭავჭავაძის პატრიოტული ხასიათის სხვა ნაწარმოებები, მაგალითად, ნაწყვეტები „აჩრდილიდან“ — ლოცვა აჩრდილისა („საქ. მოამბე“, № 7), კიდეე „აჩრდილიდან“ („საქ. მოამბე“, № 8). ჩაგრული ხალხების დაცვის იდეა მძლავრადაა გამოხატული „საქართველოს მოამბის“ XI და XII ნომრებში დაბეჭდილ თერგდალეულის სტატიებში — **„ჩრდილოეთ ამერიკის შეერთებული შტატები და იქაური ტყვეობა“.**

ეს სტატიები მრავალმხრივაა საინტერესო ქართული პროგრესული აზროვნების ისტორიის თვალსაზრისით და ამდენად ამ სტატიების მთლიანი მნიშვნელობის შესახებ შემდეგ გვექნება საუბარი, ამჟამად ეს წერილები გვაინტერესებს, როგორც უუფლებო ერების ინტერესების დაცვისა და ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის წაქეზების საუკეთესო მაგალითი.

აქ თერგდალეულმა კ. ლორთქიფანიძემ სამარცხვინო ბოძზე გააკრა ამერიკელების ეგრეთწოდებული „დემოკრატიზმი“ და „ჰუმანიზმი“. ავტორი გულისწყრომით აღნიშნავს, რომ „თავისუფალ“ ამერიკაში ოფიციალურად შეიქნა საზოგადოებები და კომპანიები, რომელთა საქმიანობას ადამიანებით ვაჭრობა წარმოადგენდა. ამ კომპანიებს აფრიკიდან გამოჰყავდათ ზანგები და ყიდდენ ამერიკელ პლანტატორებზე, რომელი კომპანიაც მეტად გამოიჩენდა თავს ამ საქმეში, ღებულობდა მთავრობისაგან ჯილდოებს. მაგალითად, გვინეის და სენეგალის კომპანიები აფრიკიდან გადმოყვანილ თითოეულ ზანგზე ღებულობდა საჩუქრად ცამეტ ლივრს, მაგრამ იმ პირობით, რომ წელიწადში ათასზე ნაკლები არ უნდა გამოეყვანათ.

მონა ზანგები მოკლებული იყვნენ ყოველგვარ ადამიანურ უფლებებს, პირუტყვებს უფრო უკეთესად ეპყრობოდა რიგიანი პატრონი, ვიდრე ამ უმწეო ადამიანებს პლანტატორები. თერგდალეული აღნიშნავს, რომ პატრონები „პირუტყვს... უფრთხილდებიან, მას კარგად იხახავენ, კიდევაც სწამლობენ, ერთი სიტყვით სცთილობენ, რომ დიდხანს გასძლოს პირუტყვმა“, რადგან ამით პატრონს სარგებლობა ეძლევა, ხოლო ფულის შოვნის სურვილით გამხეცებული, პლანტატორები სა-

[1] „ცისკარი“, 1863 წ., № 7.

სარგებლო ცხოველზე უარეს მდგომარეობაში ამყოფებენ ამ უბედურ ადამიანებს „აი ოთახი, სადაც განურჩევლად დაყრილნი არიან მამაკაცები და დედაკაცები, მოხუცებულები და ყმაწვილები და სძინავთ ატალახიანებულს აყროლებულს მიწაზედ“ [1].

საქონელივით ნაყიდ ზანგებს არც საზრდო გააჩნიათ და არც თავშესაფარი. გაძვალტყავებულ ადამიანებს შრომის უნარი დაუკარგავთ, მაგრამ პლანტატორების ხელჯოხიანი მოხელეები ცდილობენ ცემით დაუბრუნონ მათ დაკარგული ძალა. აქვე მოჩანს შიმშილისაგან დასიებული ბავშვები, ჩონჩხადქცეული დედების მკერდზე მიკრულნი, და არავინ იცის, რომელი უწინ დალევს სულს დედა თუ შვილი. ეს ამერიკული საზოგადოებისათვის დღესაც ჩვეულებრივი მოვლენაა, რადგან ზანგები შავკანიანები არიან და. მათი აზრით, ფერადკანიან ხალხს არა აქვს უფლება ადამიანური ცხოვრებისა.

როგორც ვხედავთ, ჯერ კიდევ ერთი საუკუნის წინ აღიმაღლა ხმა ქართულმა პრესამ უუფლებო ზანგების დასაცავად.

საყურადღებო მოვლენას წარმოადგენს ამიერკავკასიის ხალხთა მეგობრობის თვალსაზრისით „საქართველოს მოამბის“ მეექვსე ნომერში გამოქვეყნებული პროფ. ილია ოქრომჭედლიშვილის სტატია „მოკლე განხილვა სომხური ენის წარმატებისა უკანასკნელ დროს“.

ილია ოქრომჭედლიშვილი, რომელმაც სამოციან წლებში პეტერბურგის უნივერსიტეტში დაამთავრა აღმოსავლურ ენათა ფაკულტეტის სომხურ-ქართული განყოფილება, სპეციალურად იკვლევდა სომხურ და ქართულ ფილოლოგიურ საკითხებს.

იგი ამ სტატიაში ვრცლად ჩერდება სომეხი ხალხის ისტორიულ წარსულზე და მათი ენის განვითარების საკითხებზე. იმასაც აღნიშნავს, რომ სომხებს დიდად უყვართ თავიანთი ენაო.

„რვაას წელიწადზე მეტია, რაც ნამდვილი სომხეთი დაეცა და იმისმა შვილებმა დაიცვეს მტკიცედ თავიანთი ენა, თუმცა დიდი შეპირვებით კი“ [2].

ავტორი აღწერს სომხეთის ცნობილი მოღვაწეების დამსახურებას ეროვნული კულტურისა და ენის წინაშე. განსაკუთრებით პატივისცემით იხსენიებს სომხური კულტურისა და მეცნიერების მოამაგეს მხითარს (1676 — 1747). ეხება მხითარისტების — მიხეილ ჩამჩიანის (1738 — 1825), ვარდანეს აკვარიანის (1720 — 1810) და სხვების დამსახურებას.

წერილში ავტორი, შეიძლება ითქვას, უხვევს თემიდან და აღტაცებული მსჯელობს ხონთქარის სამეფოში მცხოვრები სომხების კონტი-

[1] „საქართველოს მოამბე“, № 11, 12.
[2] ი ბ ი ვ ე, № 6.

ტუციის შესახებ. კონსტიტუცია, რომელიც, ავტორის გადმოცემით, შესდგება 150 მუხლისაგან, სომხებს ანიჭებს სრულ თავისუფლებას „ამ კონსტიტუციით სულთანს მიუცია სომხებისათვის ყველა იმათი სამოქალაქო შინაური საქმეების გამგებლობა (მართვა) ასე, რომ პატრიარქის გარდა, არც ერთ სომეხს ხონთქრის მთავრობასთან არაფერი საქმე არ აქვს“ [1].

ავტორი იმდენად გატაცებულია ამ კონსტიტუციით, რომ მკითხველებს ჰპირდება, თუკი ამის საშუალებას მისცემენ, გადმოთარგმნოს ის ქართულად. სტატიის დასასრულს ავტორი დასძენს: „ეს საქმე სომხებმა შემთხვევით არ მოიპოვეს, ამას ისინი დიდხანს სძებნიდნენ და მოსაპოვებლად არ დაუზოგავთ არც ოფლის ღვრა და არც სისხლისა. რისთვისაც კაცს სისხლი დაუღვრია, იმას ადვილად არ დასტოვებსო“ [2]. ავტორის ეს სიტყვები იმაზე მიუთითებს, რომ მას მისაბაძად მიაჩნია სომხების ასეთი მოქმედება.

ჩანს „საქართველოს მოამბე“ სიმპათიითა და სიყვარულით ეპყრობა ამიერკავკასიის ერების კულტურული ურთიერთობის საკითხს. და ეს ხომ ილია ჭავჭავაძის შეხედულებებიდან მომდინარეობდა? ილია ჭავჭავაძემ ხომ აღტაცებით უმღერა კავკასიის ხალხთა მეგობრობას და თავისუფლების იდეას?

ხალხი აზვირთდა, ხალხი აღსდგა, ხალხი მოქმედებს,
კასპიის ზღვიდამ შავ ზღვამდინა ერთს ფიქრსა ფიქრობს...

და ეს ხალხი, ილიას აზრით, იბრძოდა „კაცთა ნავთსაყუდელის“ — თავისუფლების მოსაპოვებლად.

„საქართველოს მოამბეში“ გამოქვეყნდა ილიას „იანიჩარიც“.

როგორც განხილული მასალებიდან ჩანს, „საქართველოს მოამბეში“ ილია ჭავჭავაძისა და აკაკი წერეთლის ეროვნული თავისუფლების მოტივის შემცველი დიდი მხატვრული ტილოები არ გამოქვეყნებულა, თუმცა ისინი ამ დროს უკვე დაწერილი იყო. ბუნებრივია, ერთი წლის განმავლობაში ჟურნალი ყველა ამის დაბეჭდვას ვერ შესძლებდა. ამავე დროს ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ჟურნალმა პირველად მკაცრი იერიში ბატონყმობის სისტემაზე მიიტანა და ესეც ბუნებრივი იყო, რადგან ამ დროს, რეფორმის მატყუარა ხასიათის გამო, რუსეთის მთელი მოწინავე ინტელიგენციის ყურადღება იქით იყო მიპყრობილი. მაგრამ ამავე დროს „საქართველოს მოამბემ“ ეროვნული განთავისუფლებისათვის ბრძოლაც სწორი გზით წარმართა.

---

[1] „საქართველოს მოამბე“, № 6, გვ. 64.

[2] იქვე, გვ. 67.

ეროვნული თავისუფლების იდეის გამომხატველი ნაწარმოები „მგზავრის წერილები“, რომელიც ილიამ სამოციან წლებში დაწერა, მხოლოდ სამოცდაათიან წლებში გამოქვეყნდა ჟურნალ „ქრებულში“; ასევე დაგვიანებით გამოქვეყნდა ილიას „მეფე დიმიტრი თავდადებული“, აკაკი წერეთლის „თორნიკე ერისთავი“ და სხვები. თერგდალეულებს „საქართველოს მოამბის“ დახურვის შემდეგაც არ შეუწყვეტიათ ეროვნული თავისუფლებისათვის ბრძოლა და, ცენზურული პირობების მიუხედავად, სისტემატურად აქვეყნებდნენ ჟურნალ-გაზეთებში ამ თემაზე მხატვრულ თუ პუბლიცისტურ ნაწერებს.

პროკოფი რატიანი სამართლიანად შენიშნავს, რომ „ილია ჭავჭავაძისათვის შემდეგშიაც, თავისი ხანგრძლივი მოღვაწეობის თითქმის მთელ პერიოდში უმთავრეს პრობლემად რჩება ნაციონალური პრობლემა. აქეთაა მიპყრობილი მთელი მისი გულისყური, ამ საკითხის ირგვლივ ტრიალებს მისი ძლიერი გონება“ [1]. ასე, რომ ეს საკითხი „საქართველოს მოამბის“ დახურვის შემდეგ უფრო სრულყოფილ სახეს ღებულობს, შაგრამ ამ მიმართულებით მაინც პირველი საბრძოლო დროშა „საქართველოს მოამბემ“ აღმართა. ამრიგად, „საქართველოს მოამბემ“ როგორც ფილოსოფიური, ესთეტიკური, ისე სოციალური და ეროვნული საკითხების გადაჭრის დროს საკუთარი სწორი პოზიცია დაიკავა და დიდი როლი შეასრულა ჩვენი ქვეყნის აზროვნებისა და ლიტერატურის ამაღლების საქმეში.

ჩვენ საკუთარი ვიზიარებთ პროფ. მ. ზანდუკელის მოსაზრებას „საქართველოს მოამბის“ მნიშვნელობის შესახებ.

„თერგდალეულთა მოღვაწეობის განვითარების პროცესში კულმინაციურ საფეხურს „საქართველოს მოამბეში“ ვხედავთ. აქ თერგდალეულნი საკმარისად მძლავრნი და საერთო მოქმედების პოზიციაზე მთლიანი ფრონტის მოქმედნი არიან. მათ ამ პერიოდში კარგად აქვთ გათვალისწინებული მოქმედების საგანი. ისინი საკმარისად მძლავრად ამყარებენ ძველისადმი შეურიგებელ და გამკილავ სულიერ განწყობილებას და თითქოს საზოგადოებრივ ცხოვრებასაც სადავეს ართმევენ. ამიტომ „საქართველოს მოამბე“ და მისი ხმა ერთი უდიდესი მნიშვნელობის მომენტია ჩვენი საზოგადოებრივი აზროვნებისა და ლიტერატურის განვითარების გრეხილში და კერძოდ თერგდალეულთა ცხოვრებამოღვაწეობაში“ [2].

---

[1] პ. რატიანი, ილია ჭავჭავაძე, — ფილოსოფიური და პოლიტიკურ-ეკონომიური შეხედულებანი, გვ. 135.

[2] მ. ზანდუკელი. ახალი ქართული ლიტერატურა, ტ. II. გვ. 219, 1939 წლის კამოცემა.

60-იანი წლების მოწინავე რუსული იდეების ანარეკლი ქართულ მწერლობაში

რუსეთის 60-იანი წლების რევოლუციურ-დემოკრატიული იდეები ჩვენში უფრო მეტად განვითარდა პუბლიცისტიკაში.

მართალია, თერგდალეულებმა 60-იანი წლების მოწინავე რუსული აზროვნების საერთო გავლენა განიცადეს, მაგრამ ამ საქმეში ყველაზე მეტი მნიშვნელობა მაინც ბელინსკისა და ჩერნიშევსკის მოძღვრებას ჰქონდა.

ბელინსკის გავლენის შესახებ პროფ. გ. ჯიბლაძე აღნიშნავს: „პირდაპირ უნდა ითქვას, რომ გასული საუკუნის სამოციანი წლების ქართული მწერლობის ახალი თაობის — თერგდალეულების ლიტერატურული შეხედულებანი ბევრ შემთხვევაში ძალიან ახლო დგანან ბელინსკის... ძირითად დებულებებთან. და როდესაც ჩვენ ვლაპარაკობთ ილია ჭავჭავაძის, აკაკი წერეთლის, ანტონ ფურცელაძის, გიორგი წერეთლის კრიტიკულ-ესთეტიკურ თვალსაზრისის შემუშავებაზე... ჩვენ შეგვიძლია ვთქვათ, რომ ამ მხრივ ისინი ბევრად არიან დავალებულნი, როგორც საერთოდ ბელინსკის, ისე კერძოდ აღნიშნულ წერილისაგან“ (იგულისხმება „1847 წლის რუსული ლიტერატურის მიმოხილვა“.—კ. მ.) [1].

ჩერნიშევსკის გავლენაზე მიუთითებს პროფ. ს. ხუნდაძე „...60-იანი წლების ქართველმა ინტელიგენციამ უშუალოდ შეითვისა რუსეთის 60-ანი წლების რადიკალური აზროვნება და ამით სრულიად უჩვეულო ნაკადი შეიტანა ქართულ აზროვნებასა და ქართულს ლიტერატურაში. ჩერნიშევსკის გავლენა დემოკრატულად მოაზროვნე ინტელიგენციაზე აქ უდავოთ უნდა იქნეს ცნობილი: მისი ესთეტიკური თეორია, რეალიზმი, კრიტიკა მაშინდელი არსებული წყობილებისა. რაციონალიზმის,

---

[1] ბ. ბ ე ლ ი ნ ს კ ი, რჩეული თხზულებანი, ტ. I, გვ. LVIII — LIX. ბელინსკისა და ქართველ სამოციანელთა ურთიერთობის შესახებ ასეთივე აზრს ავითარებს ანანიოლაძე თავის წიგნში: რუსი რევოლუციონერ-დემოკრატები და ქართული ლიტერატურა, გვ. 44.

უტილიტარიზმისა და დემოკრატიზმის პრინციპები საკმაოდ გამოიყენა ინტელიგენციამ და გაამდიდრა ქართული ლიტერატურის ოჯახი რუსეთის ახალი აზროვნების ნაყოფით“ [1].

მართალია, 60-იანი წლების ქართველი მოღვაწეები-რუსი დემოკრატების გავლენას განიცდიდნენ, მაგრამ ისინი ეპიგონობის გზას არ გაჰყოლიან. ხშირად რუსულ ლიტერატურაში წამოყენებულ ცალკეულ დებულებებს ქართველი მოღვაწეები კრიტიკის ქარცეცხლში ატარებდნენ, ახალი არგუმენტებით ამდიდრებდნენ, ზოგჯერ ღრმა თეორიულ დასაბუთებას აძლევდნენ და ადგილობრივ პირობებთან შეფარდებით თავისებურად ანვითარებდნენ.

ამის შესახებ ილია ჭავჭავაძე სამართლიანად აღნიშნავს: „რასაკვირველია, ამ ზემოქმედებამ რუსულის ლიტერატურისამ მარტო იმას შესძინა სიკეთე, რომელმაც ყოველი გამონარკვევი ამ ლიტერატურისა თავის საკუთარ კრიტიკის ქარცეცხლში გაატარა, ბრმად არ იწამა, ბრმად არ მიიჩემა... ყოველი აზრი მარტო ცარიელი ფრაზაა იმის ხელთ, ვისაც კრიტიკის ცეცხლში არ გამოუფოლადებია და ისე არ შეუთვისებია. ამნაირი კაცი კაჭკაჭია და არა ჭეშმარიტი წარმომადგენელი მის მიერ ქადებულის აზრისა, რომელიც თუ სხვისგან დაუჩემებია, კრიტიკის ძალით უნდა უსათუოდ თავისად გარდაექცია. უამისოდ ზედმოქმედება... არაფრის კეთილის მომასწავებელი არ არის. პირიქით, იგი აძინებს, ჰკლავს მსჯელობის უნარსა, ყოველს მჭრელობასა და გამჭრიახობას გონებისას სჩაგრავს და აბათილებს. ჩვენდა საბედნიეროდ ვიტყვი, რომ ზოგნი ჩვენში, რუსული ლიტერატურის მეოხებით გაზრდილნი და გაწურთვნილნი, ასე ბრმად ტყვედ არ მისცემიან ამ ლიტერატურის აუცილებელს ზედმოქმედებას. ანათ ჯერ გამოუძიებიათ მისი გამონარკვევნი და მერე ისე ან შეუთვისებიათ, ან უარუყვიათ. ჩვენდა სანუგეშოდ, მარტო ამას არ დასჯერებიან. იმავე კრიტიკით და გამოძიებით მხარდა-მხარ ასდევნებიან ამ ლიტერატურის წინსვლასა, წარმატებას და არ გაჩერებულან მის რომელსამე ხანაზედ“[2].

ამ სტრიქონებიდან ნათლად ჩანს ქართველი მწერლების აქტიური დამოკიდებულება მოწინავე რუსული იდეებისადმი. მათი ნააზრევი ქართველებს კრიტიკულად აუთვისებიათ, მსჯელობის ქარცეცხლში გაუტარებიათ, ზოგი მიუღიათ და ზოგი უარუყვიათ; რაც მიუღიათ, „თავისად გადაუქცევიათ“ და თავისი ქვეყნის პირობებთან შეუფარდებიათ. კიდევ მეტი, მათს მიღწეულზე არ გაჩერებულან. რუსებს „მხარ-

---

1 მასალები ქართული ლიტერატურისა..., გვ. 15—16.

2 ი. ჭ ა ვ ჭ ა ვ ა ძ ე, თხზულებანი, ტ. VIII, 1928 წ., გვ. 285 — 286.

დამხარ ადევნებიან“ და ეს აზრები და იდეები ახალ საფეხურზე აუყვანიათ.

მართლაც, როგორ შეიძლება ამა თუ იმ ერის სულიერი საუნჯე მხოლოდ გავლენით განვითარდეს. გავლენას მაშინ ექნება ცხოველმყოფელი ძალა, თუ ამისათვის ნიადაგია მომზადებული, პირობებია მომწიფებული. მაშასადამე, უცხო თესლი მხოლოდ მაშინ იხარებს ნიადაგში, თუ ამ თესლს გაღვივებისათვის სათანადო გარემო აქვს შექმნილი. და როცა ეს უცხო თესლი ახალს ნიადაგზე აღმოცენდება და ამ ქვეყნის სახესა და იერს მიიღებს, უცხო მოვლენად არც კი ჩაითვლება. ამ საკითხთან დაკავშირებით გავიხსენოთ თვით ილია ჭავჭავაძის ბრძნული სიტყვები:

„თუ ცხოვრებას არ უნდა ვერაფერს ვერ მიამყნობთ ისე, რომ იმ ნამყნობმა იხეიროს და ნაყოფი გამოიტანოს“.

ცხადია, რომ შემოტანილი ამაღლებული კულტურა თუ იდეოლოგია შესატყვისი კულტურისა და პირობების გარეშე ვერ იხეირებს, ვერ განვითარდება. რუსეთის დიდი იმპერიის მრავალმა ერმა განიცადა მოწინავე რუსული კულტურის გავლენა, მაგრამ ამ გავლენამ განა ყველგან ერთნაირი ნაყოფი გამოიღო? ცხადია, არა.

სამოციანი წლების ქართულ აზროვნებაზე განსაკუთრებული კვალი ბელინსკიმ და ჩერნიშევსკიმ დაამჩნიეს, მაგრამ უფრო ბელინსკის ციტატებსა და სახელს ვხვდებით თერგდალეულების ნაწერებში, ვიდრე ჩერნიშევსკისას. ეს იმიტომ, რომ ბელინსკი ამ დროს უკვე დიდიხნის მკვდარი იყო და ცენზურისათვის მისი სახელის ხსენება ისე საშიშს არ წარმოადგენდა, როგორც მთავრობის ურჩობისათვის იმჟამად ციხეში გამომწყვდეული ჩერნიშევსკის სახელი.

ილია ჭავჭავაძე არა მარტო ბელინსკის თეორიულ დებულებებს იყენებდა მოწინააღმდეგეებთან ბრძოლის დროს, არამედ იგი ბელინსკისებურად ებრძოდა წირპლიანი კოზლოვის პოეტურ მემკვიდრეობას და ცხოვრებისაგან მოწყვეტილ „ცისკრის“ უნიჭო მწერლებს, ასევე მათი მოქმედების ფორმალური მხარეებიც ემთხვევა ერთმანეთს. მსგავსად ბელინსკისა ილიამ პირველსავე სტატიაში გაიჩაღა მკაცრი ბრძოლა უიდეო და უნიჭო მწერლების წინააღმდეგ. თუ ბელინსკი თავს ესხმოდა თავის პირველ სტატიაში კოზლოვებს, ხერასკოვებს, კარამზინებს, ბრამბეუსებს, ბულგარინებს და კალაშნიკოვებს, ანალოგიურად ილია ჭავჭავაძე პირველ სტატიაში თავს ესხმის კოზლოვს, ხერასკოვს, კარამ-

ზინს და „ცისკრის“ უხეირო თანამშრომლებს: რევაზ ერისთავს, ბარბარე ჯორჯაძისას და სხვებს.

ამავე სტატიებში ილია ჭავჭავაძემ, მსგავსად ბელინსკისა „წმინდა ხელოვნების“ თეორიის წინააღმდეგ წამოაყენა ხელოვნების შინაარსიანობისა და ცხოვრებასთან კავშირის აუცილებლობის საკითხი. გავიხსენოთ ილიას სიტყვები, რომ ხელოვნება არის აზრის განხორციელება ალეგორიებში და რომ მუსიკა, მხატვრობა და პოეზია სპეციფიკური საშუალებებით გამოხატავენ ამ აზრსაო.

ბელინსკი ამის შესახებ წერდა: „ხელოვნება არის ჭეშმარიტების უშუალო შეგრძნება, ანუ აზროვნება სახეებში... პირველი რამაც ხელოვნების ჩვენს განსაზღვრაში განსაკუთრებით უნდა გააკვირვოს მრავალი მკითხველი, როგორც უცნაურობამ, — უეჭველია ის არის, რომ ჩვენ ხელოვნებას ვუწოდებთ აზროვნებას. და ამით ერთმანეთს ვუერთებთ ორ სრულიად საწინააღმდეგო, ყოველად შეუერთებელ წარმოდგენას“ [1].

როგორც ვხედავთ, აქ ბელინსკი „წმინდა ხელოვნების“ თეორეტიკოსებს უპირისპირდება. ამათ განცვიფრებას გულისხმობს, როდესაც იგი ლაპარაკობს ხელოვნების აზროვნებასთან დაკავშირებით გამოწვეული უცნაურობის შესახებ. „წმინდა ხელოვნების“ მომდევარნი ხონ ეარყოფდნენ ხელოვნებაში აზროვნებასა და მხოლოდ უშინაარსო ხელოვნებას აიდეალებდნენ. ილია ჭავჭავაძემ ბელინსკის ეს ეშმარიტი დებულება „ცისკრის“ თანამშრომლების წინააღმდეგ გამოიყენა.

ასევე მეცნიერებისა და ხელოვნების განსაზღვრისა და მისი დანიშნულების შესახებ ილიას მიერ წამოყენებული დებულებები ენათესაობა ბელინსკის მოსაზრებებს.

ბელინსკი ხელოვნებასა და მეცნიერებას ასე განსაზღვრავს:

„ხელოვნება და მეცნიერება ერთი და იგივე არ არის, მაგრამ ...ისინი განსხვავდებიან... არა შინაარსით. არამედ მხოლოდ მოცემული შინაარსის დამუშავების ხერხით. ფილოსოფოსები სილოგიზმებით მეტყველებენ, პოეტი—სახეებით და სურათებით, ხოლო ორივენი ერთსა და იმაზე ლაპარაკობენ... ერთი ამტკიცებს, მეორე აჩვენებს და ორივე არწმუნებს, ოღონდ ერთი ლოგიკურის საბუთებით მეორე კი სურათებით... საზოგადოების უმაღლესი და უწმინდესი ინტერესი მისი საკუთარი კეთილდღეობაა, რომელიც თანაბრად უნდა ვრცელდებოდეს ყოველ მის წევრზე. ამ კეთილდღეობის გზაა შემეცნება, შემეცნებას კი ხელოვნება მეცნიერებაზედ ნაკლებად როდი უწყობს ხელს. აქ მეცნიერებაც

[1] ი. ჭავჭავაძე. რჩეული თხზულებანი, ტ. I, გვ. 434. ხაზი ჩვენია. — კ. მ.

და ხელოვნებაც თანაბრად საჭიროა და არც მეცნიერებას შეუძლია ხელოვნების შეცვლა და არც ხელოვნებას — მეცნიერებისა“ [1].

ახლა გავიხსენოთ ილია ჭავჭავაძის განმარტება მეცნიერებისა და ხელოვნების ურთიერთობისა და დანიშნულების შესახებ.

„მეცნიერებას და ხელოვნებას ჩვენ ვუყურებთ, როგორც ცხოვრების გასამჯობინებელ ღონისძიებათა... ჩვენ მეცნიერებას და ხელოვნებას მოვსთხოვთ არსებითსა პურსა ცხოვრებაში გამომცხვარსა და ჭშიერთათვის მოსახმარსა და გამოსადეგსა. მეცნიერებამ უნდა გვიშველოს თავის გამოცნობილ ჭეშმარიტებაებით ცხოვრების ახსნა და გაგება...“ [2]

გარდა იმისა, რომ ილია ჭავჭავაძე მეცნიერებისა და ხელოვნების დანიშნულებას ბელინსკისებურად განმარტავს, ილიას დებულებები ხელოვნებისა და მეცნიერების სპეციფიკურობისა და მათი სამოქმედო ობიექტის შესახებ ბელინსკისებურია, რომ ორივე დარგის სამოქმედო უბანი რეალური ცხოვრებაა, მაგრამ განსხვავება მხოლოდ ასახვის ფორმაშია. ერთი ჭეშმარიტებას იძლევა ლოგიკური ცნებების საშუალებით, მეორე — სახეებითა და სურათებით.

ილია წერს: „მეცნიერება და ხელოვნება სხვადასხვა გზით იკისრებენ ახალის ვითარების ახსნასა, ცნობაში მოყვანასა“ — ანდა „როგორც ვსთქვით, მეცნიერება და ხელოვნება — ეს ორნივ ერთსა და იგივეს მსახურებენ: აზრის მოძრაობას, ერთსა და იგივეს გამოსთქვამენ: ხალხის აზრსა და, თუ რაშიმე განირჩევიან, მხოლოდ იმაში, რომ სხვადასხვა გზით და სხვადასხვანაირად მოქმედებენ და გამოსთქვამენ“ [3].

მაგრამ სამართლიანობა მოითხოვს აღინიშნოს, რომ ილია ჭავჭავაძე ბელინსკის ამ დებულებებს უფრო აღრმავებს, აკონკრეტებს და მსჯელობის დროს მომარჯვებულად იყენებს.

ილიამ სასტიკად გაკიცხა ცხოვრებისაგან მოწყვეტილი მწერლები, რომლებიც პირს არიდებდნენ ხალხის სინამდვილეს და მაღლა ზეცას აშტერებდნენ გაბეცებულ თვალებს. ილიამ ზეციდან ძირს ჩამოიყვანა პარნასაზე მდგარი პოეტები და მიწიერი ცხოვრების მოვლენებით დაინტერესება დაავალა მათ.

ასევე საინტერესოა ბელინსკისა და ილიას ურთიერთობა ტიპიურობის გაგების საკითხში. ბელინსკისათვის სახე ტიპიურია მაშინ თუ

---

[1] В. Белинский, Избр. соч., 1947 г., стр. 586.

[2] „საქართველოს მოამბე“, № 1.

[3] ibid.

მასში მოცემულია ზოგადობის ნიშნები. სახე იმდენად ძლიერია, რამდენადაც ეს „ზოგად-გვაროვნული“ თვისებები ჭარბად ვლინდება მასში, ბელინსკის გაგებით, კერძობითი მოვლენა, ერთი პიროვნების თვისებები, როგორიც არ უნდა იყოს ის, არ შეიძლება ხელოვნების საგნად იქცეს, მხატვრული სახე გახდეს.

ბელინსკი წერს: „პორტრეტი, ვისიც არ უნდა იყოს იგი, არ შეიძლება ჩაითვალოს მხატვრულ ნაწარმოებად რადგან იგი არის გამოხატულება კერძო და არა ზოგადი იდეისა, რომელსაც ერთად-ერთს აქვს უნარი იყოს ტიპიური. მაგრამ პირი, რომელშიაც ყველა, მაგალითად გამოიცნობს ძუნწს, არის იდეალი, როგორც ტიპიური გამოსახულება ზოგად-გვაროვნული სიძუნწის იდეისა, რომელიც შეიცავს თავის თავში ყველა თავის შემთხვევით მოვლენათა შესაძლებლობას. ამიტომ როგორც კი სახეთ იქცევა, მაშინ ამ სახეში ყველა ხედავს არა რომელიმე ძუნწის პორტრეტს, არამედ ყოველი ძუნწის პორტრეტს, თუნდაც, მას სახის სრულიად განსხვავებული ნაკვთები ჰქონდეს“ [1].

ბელინსკის აბ სტრიქონების კითხვის დროს არ შეიძლება არ მოგვაგონდეს ილია ჭავჭავაძის გმირის სახის განსაზღვრა. ილია როდესაც ეხება ტიპიურობის საკითხს, ანალოგიურ დებულებას ავითარებს. მისი აზრით მხატვრული სახისათვის აუცილებელია ტიპიურობა და რაც მეტად გამოჩნდება ზოგადობა სახეში, იმდენად იგი ძლიერი და სრულყოფილი იქნება. გავიხსენოთ „კაცია-ადამიანის?!“ წინასიტყვაობის ის ადგილი, სადაც ლუარსაბს კითხვაზე: „რაღა მე წამავლე, შე ულმერთო ხელი, ათასია სხვა ჩემისთანაო“—ილია უპასუხებს:

„აბა უფრო მაგისათვის წაგავლე, რომ შენ ათასსა ჰგავხარ და ათასი შენა. რაც ბევრს ეგვანები, უფრო კარგია, აქეთ მობრძანდით, აქეთ, შენ ძვირფასი მარგალიტი ხარ“ [2].

ე. ი. ილიას გაგებით, მხოლოდ მრავლის მსგავსება, ზოგადობა, ანიჭებს ტიპს მეტ ძალას და ამდენად ათასის მსგავსი ლუარსაბი ძვირფასი მარგალიტი იყო მისთვის, როგორც მწერლისათვის. ასევე, ბელინსკის ძუნწის მაგალითთან ბევრი საერთო აქვს ილიას მსჯელობას გმირის ქანდაკების შესახებ. ილიას აზრით, მარმარილოს ქანდაკებაში გამოკვეთილი გმირის სახე კიდევაც ჰგავს ჩვენ მიერ ნახულ გმირს და კიდევაც არ ჰგავს. ჰგავს ზოგადობაში და არ ჰგავს კონკრეტულობაში.

„მთელი ქვეყნის ვაჟკაცების, დიდებულების და თავგამოდებულე-

---

[1] В. Белинский, Избр. соч., 1947, стр. 586.

[2] ილ. ჭავჭავაძე. თხზულებანი, ტ. II. 1926 წ., გვ. 307.

ბის სახეები ამ მარმარილოს სახეს რომ შევადაროთ, არც ერთი არც ემგვანება და ემგვანება კიდეც. გიკვირთ თქვენ, მაგრამ საკვირველი აქ არ არის-რა. ჰგავს იმიტომ, რომ რაც საზოგადო ნიშნები ჰქონიათ ვთელი ქვეყნის ვაჟკაცებს, დიდებულებს, თავგამოდებულებს, ისინი სულ არიან გამოკვეთილნი ამ მარმარილოს სახეზედ და ამიტომ გვანან და ამიტომაც ადვილად მიუხვდით გამომკვეთელს აზრსა, და რაც კი კერძოობითი ნიშანი ჰქონიათ, რაც კი ერთსა ჰქონია და მეორეს კი არა, იმისათვის გული არ უთხოვებია გამომკვეთსა. ამიტომ არ ჰგავს" [1].

ამ შემთხვევაში განსხვავება მხოლოდ იმაშია, რომ ბელინსკი ძუნწის სახეზე მსჯელობს, ილიას კი გმირის მაგალითი მოაქვს, სხვა მხრივ აქ აზროვნების მსგავს მოვლენასთან გვაქვს საქმე.

ბესარიონ ბელინსკისა და ილია ჭავჭავაძეს შორის აზრობრივ მსგავსებას ვხვდებით აგრეთვე გენიოსის დაბადებისა და საზოგადოებაში მისი საჭიროების აუცილებლობის საკითხის გარკვევისას.

ბელინსკის მსგავსად, ილიას აზრით, გენიოსის დაბადება თვით საზოგადოების საჭიროებით არის გამოწვეული. ამისათვის მომწიფებული პირობები წარმოშობს ასეთ ადამიანს. მაგრამ ორივე მოაზროვნის წარმოდგენით გენიოსი სასწაულთმოქმედი კი არ არის, მას კი არ შეუძლია ცხოვრება თავისი სურვილის მიხედვით წაიყვანოს, როგორც ამას იდეალისტები ფიქრობდნენ, არამედ მას სხვაზე ადრე შეუძლია მომწიფებული სინამდვილე დაინახოს და წინამძღოლის როლი ითამაშოს საზოგადოებრივი მოვლენების ორგანიზაციის საქმეში.

„ეს გოლიათი გონიერებისა, — წერს ილია, — თავის ძლიერის მკლავით გადასწვდება მთელი ცხოვრების ნამუშევარსა; შემოაგროვებს ერთად, რაც ცხოვრებას გამოუჩენია; თავისი გამჭრიახი თვალით თავიდან ბოლომდე განსჭვრიტავს, გაანათლებს იმ შემოქროვილსა და ყოველს ცხოვრების კითხვას მისცემს შესაფერ პასუხს" [2].

ჩვენ განსაკუთრებით გვინდა მკითხველის ყურადღება შევაჩეროთ ბელინსკისა ილიასთან ერთი საკითხის მსგავსებაზე. ეს არის საზოგადოებაში წოდებათა ან კლასთა შორის ურთიერთობის საკითხი.

მიუხედავად იმისა, რომ ბელინსკი შეურიგებელ ბრძოლას აწარმოებდა ცარიზმისა და ფეოდალიზმის რეაქციის წინააღმდეგ და მასებს რაზმავდა ბატონყმობის სისტემის სრული განადგურებისათვის, საზო-

---

[1] ილ. ჭ ა ვ ჭ ა ვ ა ძ ე, თხზულებანი, ტ. IV, 1927 წ., გვ. 403.
[2] ი ქ ვ ე, გვ. 71.

გადოების კლასებად დაყოფა და მათ შორის ანტაგონიზმის არსებობა ბელინსკის ქვეყნის უბედურებად მიაჩნდა.

„ჩვენს საზოგადოებაში გათიშვის სულისკვეთება სჭარბობს,— წერს ბელინსკი, — ჩვენს თითოეულს წოდებას ყველაფერი თავისი, განსაკუთრებული აქვს — ტანსაცმელიც, მანერებიც, ყოფა-ცხოვრებაც, ზნე-ჩვეულებაც და ენაც კი. ამაში რომ დავრწმუნდეთ, საკმარისია ერთი ისეთი საღამო გაატაროთ, რომელზედაც უცაბედად შეკრებილან მოხელე, სამხედრო პირი, მემამულე, ვაჭარი, ქალაქელი მდაბიო, საქმეთა რწმენებული ან მოურავი, სასულიერო პირი, სტუდენტი, სემინარიელი, პროფესორი, მხატვარი, თქვენს თავს ასეთ საზოგადოებაში რომ დაინახავთ, შეიძლება იფიქროთ, რომ ენათა აღრევის მოწამე ხართ... ესოდენ დიდია გათიშვა, რომელიც ერთი და იგივე საზოგადოების სხვადასხვა კლასების ამ წარმომადგენელთა შორის მეფობს! გათიშვის სულისკვეთება საზოგადოების მტერია“ [1].

ბელინსკის ეს სტრიქონები, უდავოდ, მოგვაგონებს ილია ჭავჭავაძის საყვედურს წოდებათა დაქსაქსულობის შესახებ. ილიასაც აწუხებდა ქართველებში მთლიანობის დაკარგვა და წოდებათა შორის გამეფებული ანტაგონიზმი, რომელსაც იგი ეროვნული მთლიანობის იდეას უპირისპირებდა.

ბელინსკის მსგავსად ილია წერდა: „...არიან თავადნი, აზნაურნი, მღვდელნი, ვაჭარნი, გლეხნი, ჩინიანნი და უჩინონნი ყველანი არიან, და ქართველი კი არსად არის. თავადს აზნაური სძულს, აზნაურს — თავადი, გლეხსა ორივე, ნუთუ ესენი ქართველნი არიან, ერთი დედის, საქართველოს ოჯახის შვილნი? თავადის აზრი—სათავადოა, აზნაურის—სააზნაურო, გლეხის—საგლეხო, ვაჭრის—სავაჭრო, ნუთუ ესენი ქართველნი არიან, ერთ თესლზედ აღმოსულნი? თავადის აზრი აზნაურს არ უხდება, აზნაურისა — თავადსა, ორივესი გლეხსა, ნუთუ ესენი ქართველნი არიან, ერთისა და იგივე ხორცისა და სულის ნაყოფნი და ერთის დედის, საქართველოს ძუძუთ გაზრდილნი?“[2]

აქ ორივე შემთხვევაში კლასობრივი განხეთქილების შესახებ ერთნაირი გულისტკივილია გამოთქმული, ილია ბელინსკისებურად აღუშფოთებია ამ მწარე სინამდვილეს, მაგრამ ახლა საკითხავი ისაა, ილიამ ამ საკითხში ბელინსკის გავლენა განიცადა. თუ აზრის შემთხვევით

---

[1] ბ. ბ ე ლ ი ნ ს კ ი, რჩეული თხზულებანი, ტ. I, გვ. 631.

[2] ი. ჭ ა ვ ჭ ა ვ ა ძ ე, თხზულებანი, ტ. IV, 1927 წ., გვ. 147.

დამთხვევასთან გვაქვს საქმე? ილიამ კლასობრივი ცნება ეროვნული მთლიანობის იდეას დაუქვემდებარა. ამის მიზეზი იყო ეროვნული თავისუფლებისათვის ბრძოლა. ილია ჭავჭავაძემ, როგორც ნაციონალ-რევოლუციონერმა, ყველა ქართველი საერთო მტრის — ცარიზმის წინააღმდეგ დარაზმა და საბრძოლო დროშაზე ერთიანი საქართველოს დევიზიც წააწერა. არავითარ შემთხვევაში ეს აზრი ილიას გავლენით არ შეიძლებოდა მიეღო, იგი თავისი ქვეყნის ავბედობამ მიიყვანა ასეთ დასკვნამდე.

ზოგ შემთხვევაში ილიას თავისი დებულების დასამტკიცებლად ვრცელი ციტატები მოჰქონდა ბელინსკის ნაწერებიდან. მაგალითად, „ცისკრის" თანამშრომლების საპასუხო სტატიას ილიამ ასეთი ეპიგრამა წარუმძღვარა:

«Из нашей литературы хотят устроить бальную залу, и уже зазывают в нее дам; из наших литераторов хотят сделать светских людей в модных фраках и белых перчатках, энергию хотят заменить вежливостью, чувство — приличием, мысль — модною фразою, изящество — щеголеватостью, критику — комплиментами» [1].

ბელინსკის გავლენა განსაკუთრებით მძლავრად იგრძნობოდა „საქართველოს მოამბეში". სახელდობრ, „სფირიდონისა და თადეოზის ბაასი" პირდაპირ გადმოღებულია ბელინსკის შრომებიდან, ზოგი თავი უშუალო თარგმანსაც წარმოადგენს.

ბელინსკი საქართველოში მიმდევრებს პედაგოგიური აზროვნების დარგშიაც პოულობს.

ამ თვალსაზრისით საინტერესოა „საქართველოს მოამბეში" (№ 8 და 10) დაბეჭდილი ვინმე მაქსიმე ღოღანიძის წერილები: „ბელინსკის აზრი შვილების აღზრდაზედ". ღოღანიძის ეს სტატიები არ არის ორიგინალური. იგი ფაქტიურად ბელინსკის სტატიის „Две сказки Гофмана и сказки дедушки Иринея»-ს თარგმანს წარმოადგენს, მაგრამ ეტყობა შიგადაშიგ მთარგმნელი თავის აზრებსაც ჩაურთავს ხოლმე. განსაკუთრებით ეს იგრძნობა სტატიის იმ ადგილებში, სადაც ყმაწვილების ყურადღება გამახვილებულია სარწმუნოებრივ თვალსაზრისზე.

---

[1] ი. ჭავჭავაძე, თხზულებანი, ტ. IV, 1927 წ., გვ. 29.

აღნიშნულ წერილში მრავალი საინტერესო საკითხია წამოყენებული. ლაპარაკია ბავშვის აღზრდაზე ოჯახში, ქალის აღზრდაზე და განათლებაზე. მშობლიური ენის სიყვარულზე. ავტორი სინანულს გამოთქვამს იმის გამო, რომ ჩვენს ახალგაზრდებს „ღვიძლ ენაზედ კი ორი ფრაზის მიკერება ვერ მოუხერხებიათ, ან ორი სტრიქონის დაწერა შეუცდომლად“ [1].

ავტორი აანალიზებს შვილის სიყვარულის გრძნობას და მას ადარებს ცხოველურ სიყვარულს. მისი აზრით, ცხვარსაც კი უყვარს თავის ბატკანი, მაგრამ ადამიანური სიყვარული ამაზე მეტი უნდა იყოს. მაგრამ ზოგჯერ, სამწუხაროდ, ადამიანის მშობლიური სიყვარული პირუტყვის სიყვარულამდე დადის და ამის საბუთად ავტორს მოაქვს პრასტაკოვის ცოლის სიყვარული მიტროფანუშკასადმი:

„იმას ისე უყვარდა თავისი შვილი,—წერს ბელინსკი, — რომ დაეწყო დედისათვის თავპირში ცემა. დედა მწარედ მოჰყვებოდა ტირილს, რომ მისი კარგი და მშვენიერი მიტროფანუშკა ხელებს იტკენს დედის ცხვირპირზე. განა ცხვრის გრძნობა, რომელიც თავის ბატკანს აწოვებს ძუძუს და გრძნობა უფ. პრასტაკოვის ცოლისა, რომელიც იყო ცხვარიცა, ძროხაცა და გამზრდელიც, რომ ცხენად გადაქცეულიყო და ეტარებინა თავისი ოცი წლის მიტროფანუშკა კალიასკითა, განა ყოველივე ეს სიყვარული არ არის? დიახ სიყვარულია, მაგრამ როგორი? ეს არის... პირუტყვული... პირუტყვს შეშვენის“ [2].

სტატიაში საინტერესოდ არის გადაჭრილი ადამიანისა და გარემოს ურთიერთობის საკითხი. ბელინსკი აღზრდასა და გარემოს გადამწყვეტ მნიშვნელობას ანიჭებს. მისი აზრით: „არც არის ისეთი ცუდი ადამიანი, რომელსაც კარგმა აღზრდამ არ მოაშლევინოს ცუდი თვისება“ [3].

მიუხედავად იმისა, რომ ბელინსკი გარემოს გადამწყვეტ მნიშვნელობას ანიჭებს, იგი მაინც არ იზიარებს ჯონ ლოკის „სუფთა დაფის“ თეორიას და სამართლიანად ანგარიშს უწევს ადამიანის ინდივიდუალურ თვისებებს.

საინტერესოა ისიც, რომ ქართველ სამოციანელებსაც აინტერესებთ ეს საკითხი. ამისათვის საკმარისია გავიხსენოთ ილია ჭავჭავაძის მოთხრობა „სარჩობელაზე“ და აკაკი წერეთლის „გამზრდელი“.

---

[1] „საქართველოს მოამბე“, № 9, გვ. 34.
[2] იქვე. გვ. 42.
[3] იქვე. გვ. 51.

ამავე სტატიაში ბელინსკი საინტერესო მოსაზრებებს ავითარებს საბავშვო ლიტერატურისა და საბავშვო მწერლების შესახებ.

როგორც ვხედავთ, ასეთი მრავალფეროვანია ბელინსკის მოსაზრებათა ანარეკლი ქართულ აზროვნებაში. არ ცდებოდა გ. ბარათაშვილი ილიას შესახებ რომ წერდა: „შეემზადა პეტერბურგში, ...მარცხენა ხელში ეპყრა ფარის მსგავსად ბელინსკის ტომები და ისე დაიარაღებული გამოილაშქრა საქართველოზეო“ [1].

ბელინსკის შემდეგ თერგდალეულების სულიერი მოძღვარი და მასწავლებელი ნ. გ. ჩერნიშევსკი იყო. ჩერნიშევსკის გავლენის შესახებ ჩვენს მოღვაწეებზე მიუთითებს ჩვენი ლიტერატურული აზროვნების თითქმის ყველა მკვლევარი. მე მხოლოდ ზოგ მათგანს დავასახელებ. მაგალითად, ს. ხუნდაძე, მ. ზანდუკელი, შ. რადიანი, გ. ჯიბლაძე, დ. გამეზარდაშვილი, აპ. მახარაძე, გ. აბზიანიძე, ალ. ქუთელია, ან. ნიკოლაძე, ა. გაჩეჩილაძე, ს. ხუციშვილი, დ. ბენაშვილი, ს. ჭილაია, პრ. კეკელიძე, გ. კიკნაძე და სხვები.

ჩვენ განზრახული გვაქვს ზოგიერთი რამ დავუმატოთ აქ წარმოდგენილ საკითხებს. ამავე დროს არაფერს ვიტყვით სტუდენტი თერგდალეულების დამოკიდებულებაზე ჩერნიშევსკისთან, რადგან ამ საკითხზე ცალკე თავი გვაქვს გამოყოფილი შრომაში და აგრეთვე ვრცლად გვაქვს გარკვეული სამოციანი წლების რევოლუციური სიტუაციის დახასიათების დროს. ამჟამად მხოლოდ თერგდალეულების საქართველოში მოღვაწეობის პერიოდზე გვინდა შევჩერდეთ.

თუ რუს რევოლუციონერთა შორის ყველაზე მეტი გავლენა თერგდალეულებზე ჩერნიშევსკიმ მოახდინა, აქ მოულოდნელი არაფერია. ეს ასეც უნდა მომხდარიყო, რადგან ჩერნიშევსკი მრავალმხრივი მოღვაწე იყო და ამავე დროს თერგდალეულების პოლიტიკურ-იდეურ აღზრდას უშუალოდ იგი ხელმძღვანელობდა [2].

ჩერნიშევსკი ქართველ ახალგაზრდობას არა მარტო თეორიულად წრთვნიდა, არამედ სამშობლოსა და ხალხისათვის თავგანწირულების ჩვეულებასაც უნერგავდა პირადი მაგალითით.

ჩერნიშევსკის ბრძოლა ცარიზმისა და ბატონყმობის სისტემის წი-

---

[1] „ცისკარი“, 1861, № 5.

[2] ამ საკითხზე იხ. დ. გ ა მ ე ზ ა რ დ ა შ ვ ი ლ ი, ნარკვევები ქართული რეალიზმის ისტორიიდან. გვ. 207.

ნაალმდეგ ყველაზე მკაცრად გამოვლინდა პუბლიცისტურსა და საგაზეთო წერილებში, თერგდალეულებმაც, მსგავსად მასწავლებლისა, მძლავრად მოიმარჯვეს პუბლიცისტიკის ბასრი მახვილი მრავალრიცხოვან მტერთა შესამუსრავად.

საერთოდ, როდესაც ვლაპარაკობთ ქართველ სამოციანელებზე ჩერნიშევსკის გავლენის შესახებ, ერთ გარემოებას უნდა მივაქციოთ ყურადღება. ჩერნიშევსკიმ თერგდალეულებზე ყველაზე დიდი გავლენა მოახდინა, როგორც სოციალური უკუღმართობის წინააღმდეგ მებრძოლმა. არსებითად. თერგდალეულების სამოქმედო პროგრამა, მიმართული ბატონყმობისა და ცარიზმის წინააღმდეგ, ჩერნიშევსკის რევოლუციური მოძღვრების საფუძველზე იქნა შემუშავებული.

„საქართველოს მოამბეში" და საერთოდ თერგდალეულების შემოქმედებაში ცარიზმის სიძულვილი. ბატონყმობის სისტემის წინააღმდეგ რადიკალური ბრძოლა და შრომის თავისუფლების სიყვარული მეტწილად ჩერნიშევსკისა და მისი „სოვრემენიკის" უშუალო გავლენით დაინერგა.

პროფ. ს. ხუნდაძე ამის შესახებ წერს: „განსაკუთრებით აღსანიშნავი არის ჟურნალის მიერ თავისუფალი შრომის პრინციპის წამოყენება, რომელიც პირდაპირ გადმოღებული არის ჩერნიშევსკის მოძღვრებიდან"... [1]

ამის საილუსტრაციოდ ავტორს მოაქვს „საქართველოს მოამბეში" დაბეჭდილი დავით ყიფიანის სტატიიდან ის ადგილები, სადაც პუბლიცისტი ცდილობს პრაქტიკული მაგალითებით დაამტკიცოს თავისუფალი შრომის უპირატესობა და მისი სარგებლიანობა ხალხისათვის.

ჩერნიშევსკის თავისებურ გავლენაზე მიუთითებს აგრეთვე პროფ. მ. ზანდუკელი, რომელიც აღნიშნავს, რომ „ჩვენი თერგდალეულნი რუსეთის საზოგადო აზროვნების უფრო პრაქტიკული მხრით არიან დაინტერესებულნი" [2].

ეს პრაქტიკული მხარე, როგორც აღვნიშნეთ, ის სამოქმედო პროგრამა იყო, რომელიც თერგდალეულებმა ჩერნიშევსკის უშუალო გავლენით შეიმუშავეს და ბატონყმობის და ცარიზმის წინააღმდეგ საბრძოლველად მოიმარჯვეს.

ხალხოსანი მწერალი სტეფანე ჭრელაშვილი ასე გამოხატავს რუსეთის სამოციანი წლების გავლენას ილია ჭავჭავაძეზე: „შემთხვევამ მოიყოლია ეს შეგნებით მდიდარი, ნიჭიერი (ილია ჭავჭავაძე) იმ ქართველი ყმაწვილების რიცხვში, რომელნიც იზრდებოდნენ და იწვრთნებოდ-

---

[1] ს. ხ უ ნ დ ა ძ ე, მასალები ქართული ლიტერატურისა... გვ. 14.

[2] მ. ზ ა ნ დ უ კ ე ლ ი. ახალი ქართული ლიტერატურა, ტ. II, გვ. 202.

ნენ ჰუმანურ და სოციალისტურ ნაწერებით დობროლუბოვისა და ჩერნიშევსკისა... დაეცა სინათლის სხივი ქართველი ახალგაზრდობის გულსა და გონებასა. ჭავჭავაძემაც გადაათვალიერა ეს ცხოვრება და თანაც რუსეთის ნათელი რიკოშეტით გადმოფინა ქართველ საზოგადოებას" [1].

პეტერბურგის უნივერსიტეტის ყოფილი სტუდენტი ი. ბ. ისარლიშვილი საინტერესო ცნობებს გვაწვდის ჩერნიშევსკისა და „სოვრემენიკის" ქართველ მოღვაწეებზე გავლენის შესახებ.

„ქართველ სტუდენტთა წრე, რომელშიაც შედიოდნენ ისეთი პირები, რომლებმაც შემდეგ მეტად დიდი როლი ითამაშეს კავკასიის პერიოდული პრესის შექმნაში და კავკასიის საზოგადოებრივ ცხოვრებაში დიდი სიცოცხლე შეიტანეს, ძალიან მიისწრაფოდა „სოვრემენიკის" რედაქციისაკენ. ზოგიერთ ჩვენგანს ძალიან იზიდავდა ის გულღიაობა და გულთბილობა, რომელსაც ჩერნიშევსკის ოჯახში ვპოულობდით ექსპრომტად გამართულ საღამოებზე... ჩერნიშევსკის ოჯახის ხშირ სტუმარ კავკასიელთა შორის მე მახსოვს ნ. ი. ნიკოლაძე, გ. ე. წერეთელი, ნ. ბ. ღოღობერიძე, ბ. ლ. ღოღობერიძე და სხვა (შემდეგში მათ, როგორც ცნობილია, დააარსეს თბილისში ქართული გაზეთი „დროება" და საერთოდ თვალსაჩინო როლი ითამაშეს ქართული ჟურნალისტიკის ისტორიაში). იქ ხშირად ვხვდებოდით „სოვრემენიკის" ახალგაზრდა თანამშრომლებს: ნ. ა. დობროლუბოვს, პიოტროვსკის, პანტელეევს და სხვა.

სტუდენტთა მოძრაობასთან დაკავშირებულ საქმეებზე კავკასიელებიდან ბ. ლ. ღოღობერიძე (...) ხშირად ეთათბირებოდა ჩერნიშევსკის, ანტონოვიჩსა და ელისეევს. „სოვრემენიკის" წრის ძლიერი გავლენის ქვეშ იმყოფებოდა აგრეთვე ქართველი სტუდენტი კირ. ბეჟ. ლორთქიფანიძე (შემდეგში ქართველი ჟურნალისტი და პოეტი)... ნ. ი. ნიკოლაძეს ხშირად შემოჰქონდა საზოგადოებაში ჩერნიშევსკისა და დობროლუბოვის იდეები. ასე, მაგ., გ. ე. წერეთელთან ერთად მის მიერ გამოცემულ ჟურნალის „კრებულის" პირველი ნომრის 1871 წ. „საახალწლო" ფელეტონში მან მოიყვანა დიდი ციტატი რომანიდან „რა ვაკეთოთ?", ისე რომ საცენზურო პირობების გამო არ დაუსახელებია წყარო და ავტორი, მასვე მოჰყავდა აგრეთვე ციტატები ჩერნიშევსკიდან შემდეგშიც, 1878 — 80 წლებში. რუსულ გაზეთ „ობზორში", რომლის გამომცემელი თვითონვე იყო" [2].

---

[1] ჟურნალი „ნიმედი", 1882 წ., № 3, გვ. 63.

[2] Г. М. Туманов, Характеристики и воспоминания, ტ. I, 1913 წ., თბილისი, გვ. 220 — 232.

აქ დასახელებული ქართველი ახალგაზრდებიდან ჩერნიშევსკის ყველაზე უახლოესი მეგობარი ნიკო ნიკოლაძე იყო.

ნ. ნიკოლაძემ ღრმად შეითვისა ჩერნიშევსკის სოციალურ-პოლიტიკური და ესთეტიკური შეხედულებები. იგი, მსგავსად დიდი რუსი რევოლუციონერებისა, დაუნდობლად ებრძოდა ცარიზმის ტირანიასა და ბატონყმობის რეაქციონერ დამცველებს. საძარცხვინო ბოძზე აკრავდა ალექსანდრე II-ის მატყუარა პოლიტიკას და ხალხს ნამდვილი თავისუფლებისაკენ მოუწოდებდა. თუმცა, ამ პოზიციას ყოველთვის ვერ ინარჩუნებდა. ჩერნიშევსკის ბრძოლის ნაპერწკლები ჩანს ნ. ნიკოლაძის აქ მოტანილ სტრიქონებში:

„ახალთაობას არ შეეძლო, — წერს ნიკოლაძე, — მეფე ალექსანდრე II-ის ცრუ-რეფორმატორულ მთავრობასთან ხელჩაკიდებული სიარული. ეს ორი ერთმანეთის სრულიად საწინააღმდეგო ძალა მალე უეჭველად უნდა დასტაკებოდა და დაიწყო ურთიერთ შორის, როგორც იტყვიან, სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლა. ამ ორ ბანაკს შორის შეუძლებელია რაიმე, დიახ ოდნავ რაიმე დაახლოება, შეუძლებელია რაიმე მორიგება, წარმოუდგენელია ოდნავი დათმობაც კი, გარდა, რასაკვირველია, მოქმედების ასპარეზის დათმობისა. ბრძოლა ამ ბანაკს შორის ცხადად გვიჩვენებს, რომ იგი დაუნდობელი და შეუბრალებელია... თუმცა, ახლა, საქმე ეს როდია; ჩვენ გვინდოდა გვეჩვენებინა, რომ ალექსანდრე II მთავრობა მოწინააღმდეგე იყო, არის და იქნება ხალხის საკეთილდღეოდ მიმართული ყოველგვარი მოძრაობისა"[1].

მეფისა და მისი მინისტრების წინააღმდეგ ასე შეუპოვარი გამოსვლა ჩერნიშევსკის საბრძოლო ტაქტიკის ერთგვარ გაგრძელებას წარმოადგენდა. ნ. ნიკოლაძე ასეთი რადიკალური შინაარსის სტატიებს გაბედულად ბეჭდავდა ქართულ და რუსულ პრესაში. ხშირად ასეთი შინაარსის წიგნებსა და ბროშურებს აქვეყნებდა საზღვარგარეთ.

როგორც პროფ. ს. ხუნდაძე ამტკიცებს, ნ. ნიკოლაძემ ჩერნიშევსკისგან ხალხოსნური იდეებიც შეითვისა. მსგავსად ჩერნიშევსკისა, მას ჩვენი საზოგადოების წამყვან ფორმად თემი და თემური წყობილება მიაჩნდა.

აი როგორ აიდეალებს ნ. ნიკოლაძე თემურ მიწათმფლობელობას: „ჩვენ რელიგიურად დარწმუნებულნი ვართ, რომ ერთად-ერთი ფორმა საზოგადოებრივი და სახელმწიფოებრივი წყობილებისა, რომელსაც შეუძლია ნამდვილი სარგებლობა მოუტანოს საქართველოს, არის თემობრივი (общинное) განაწილება მიწის და ყველა სხვა საკუთრებისა და თემობრივი ორგანიზაცია. როგორც სახალხო შრომისა, ისე სახელმწი-

[1] ნ. ნიკოლაძე, რჩეული ნაწერები, ტ. I გვ. 240.

ფოებრივი მმართველობისა. ეს დაწესებულებანი სწორედ იმიტომ მოუტანენ სარგებლობას საქართველოს, რომ ისინი, ყველაზე უფრო, ვიდრე სხვა რომელიმე, უწყობენ ხელს, შეძლებისდაგვარად, ხალხის კეთილდღეობის სრულს განვითარებას, რაც თავის მხრივ ხელს უწყობს ხალხის გონებრივ და ზნეობრივ განვითარებას. ყველა ამაში ჩვენ ექვიოტის ოდენადაც არ გვეპარება. მაშასადამე, ღრმად დარწმუნებულნი ასეთი სახელმწიფოებრივი წყობილების უდიდეს სარგებლიანობაში, ჩვენ უნდა ვცდილობდეთ, რაც შეიძლება უახლოეს დროში შემოვიღოთ იგი (თემობრივი წყობილება) საქართველოში; ამიტომ უნდა ვიფიქროთ იმაზე, რომელ პირობებში უფრო ადრე მივაღწევთ ჩვენს იდეალს, ევროპის მფარველობის თუ რუსეთის ბატონობის პირობებში?" და ამ პრობლემის გადაჭრის ყველაზე ხელსაყრელ პირობებს ნ. ნიკოლაძე საქართველოსათვის რუს ხალხთან კავშირში ხედავს.

„ჩვენის აზრით, იდეალი უკეთესი სახელმწიფოებრივი და საზოგადოებრივი წყობილებისა ყველაზე უფრო ადრე შეიძლება მიღწეული იქნეს რუსეთში... ჩვენ სრულიადაც არ ვიღებთ რუსეთის თემს ჩვენს იდეალად, მაგრამ ის ათასჯერ უფრო ახლო დგას საზოგადოებრივი წყობილების ჩვენს გაგებასთან, ვიდრე რომელიმე ინდივიდუალიზმის პრინციპი, რომელიც დასავლეთ ევროპაში ბატონობს"[1].

გარდა ჩერნიშევსკის გავლენისა, ნ. ნიკოლაძის აქ წარმოდგენილი სტრიქონები, სხვა მხრივაც არის საინტერესო. ნ. ნიკოლაძე ჯერ კიდევ სამოციან წლებში გრძნობდა საქართველოს რუსეთთან დაკავშირების უპირატესობას შედარებით ევროპის სახელმწიფოებთან. ამავე დროს აქ ნიკოლაძე გვეელინება ჩვენი დღევანდელი ცხოვრების წინასწარმეტყველადაც. იგი ასი წლის წინ დარწმუნებული იყო იმაში, რომ რუსეთი ევროპაზე ადრე მიაღწევდა კაცობრიობის სანატრელ იდეალს და გზის მაჩვენებელი იქნებოდა ეგრეთწოდებული ცივილიზირებული ქვეყნებისათვის. რომ რუსების დახმარების გარეშე ევროპა ვერ „მოეწყობოდა უკეთესად".

აი რას წერს ამის შესახებ ნ. ნიკოლაძე: „ევროპა თავის ცხოვრებაში დახავსდა და მას არ შეუძლია უკეთესად მოეწყოს სლავიანური ან რომელიმე სხვა ელემენტის დაუხმარებლად... ევროპის მუშაობა მეტისმეტად ძნელია და, რაც უმთავრესია. მას მოუხდება ჯერ კიდევ დიდი ბრძოლა, მაშინ როდესაც რუსეთი, ჩვენი აზრით... თუ სავსებით არ არის განთავისუფლებული მუშაობის სიძნელი-

[1] Рио-Нели, Освобождение крестьян в Грузии, «Колокол», № 199 1865 г.

საგან, ეს მუშაობა მისთვის მაინც შეუდარებლივ უფრო ადვილია და მიიყვანს სასურველ დანემდე უფრო ადრე, ვიდრე თანამედროვე ევროპიული მოძრაობა. ამ მოსაზრებით, ჩვენ ვფიქრობთ, რომ დაუკავშირებდა რა თავის ბედს თუ გინდ თანამედროვე რუსეთის ბედს, საქართველო ადრე მიაღწევდა თავისი მდგომარეობის უკეთეს შესაძლებელ წყობილებამდე, ვიდრე რომელიმე ევროპიული ნაციის კავშირში და მფლობელობაში მყოფი"[1].

აქ ნ. ნიკოლაძის პოლიტიკური პოზიცია მცდარია, რადგან მას ხალხის ბედნიერების მისაღწევ ერთადერთ გზად მხოლოდ თემური ობშჩინები მიაჩნია, მაგრამ, საერთოდ, რუსეთის მომავალის როლის შეფასება კაცობრიობის იდეალის განხორციელების საქმეში, როგორც აღვნიშნეთ, უცნაურია და წინასწარმეტყველური. ამ მხრივ ნ. ნიკოლაძის ალღო მართლაც გაამართლა ისტორიულმა მსვლელობამ. თვითური წყობილების ხალხისნური კონცეფცია კი ნ. ნიკოლაძეს უშუალოდ ჩერნიშევსკისაგან ჰქონდა აღებული.

ქართველ მწერლებზე დიდი გავლენა მოახდინა ჩერნიშევსკის სამაგისტრო დისერტაციამ „ხელოვნების ესთეტიკური დამოკიდებულება სინამდვილესთან", რომელშიაც ავტორმა ფეიერბახის მატერიალისტური ფილოსოფიის საფუძველზე ახლებურად გადაჭრა ესთეტიკის ძირითადი საკითხები.

ჩერნიშევსკის ესთეტიკამ თავისებური გამოხატულება ჰპოვა ი. ჭავჭავაძის, ა. წერეთლის, ნ. ნიკოლაძის, გ. წერეთლის, კ. ლორთქიფანიძის და სხვათა მხატვრულსა და თეორიული ხასიათის ნაწერებში.

ჩერნიშევსკის იდეურ ნათესაობას გამოხატავს აკაკი, როდესაც წერს: „მწერლობა გონებითი და ზნეობითი მესარეობაა, ნაწერში, როგორც სარკეში, ნათლად უნდა ისახებოდეს მწერლის თანადროება, ჰისის სისწორ-სიმრუდით, რომ საინტერესო სურათებად გადაეცეს მომავალ დროებას. და როგორც სარკეში ისე იხატება. რაც მხოლოდ მის გარშემოა და რაც მის გულში ჩაჰყურებს, ისე პოეტის ნაწერშიაც იმას უნდა ვხედავდეთ, რაც მის გულს, როგორც ხალხის თანაზიარს, მოხვედრია. და მაშასადამე მწერალს ნება არ აქვს, ყოველდღიურ საერთო მოვლენებს, რაგინდ წვრილმანიც იყოს, თვალი აარიდოს; რაც უფრო

---

[1] Рио-Нели, Освобождение крестьян в Грузии, «Колокол», № 199, 1865 г. ხაზი ჩვენია. — კ. ბ.

ნიჭიერია პოეტი, უფრო ძლიერად ექვემდებარება ამ ზემომოყვანილ პირობებს“ [1].

ნ. ნიკოლაძე ესთეტიკის დარგშიაც ჩერნიშევსკის მოწაფე იყო. ხელოვნების დანიშნულებისა და ამოცანების საკითხების გარკვევისას თავის მასწავლებელს ენათესავებოდა. ამა თუ იმ მწერლის შემოქმედების განხილვის დროს ამოსავალ პრინციპად უტილიტარულ შეხედულებებს იყენებდა. მწერალსა და ნაწარმოებს იმის მიხედვით აფასებდა, თუ იგი როგორ პასუხობდა ცხოვრების აქტუალურ საკითხებს და რა სარგებლობა მოჰქონდა მშრომელი ხალხისათვის ეს იყო მისი მისწრაფების საგანი.

„ხელოვნებისაგან უნდა მოვითხოვოთ სიმართლე, — წერს ნ. ნიკოლაძე, — ყოველთვის სიმართლე, მაგრამ არა ყოველი სიმართლე ყველგან და ყოველთვის მნიშვნელოვანია და ერთნაირად შეუძლია — აღძრას ყურადღება. ყოველ საუკუნეს ყოველ ხალხს აქვს თავისი მოთხოვნილებანი. საჭიროა საუბარი იმაზე, რა სჭირდება ჩვენს საზოგადოებას, ჩვენს დროს“. მისი აზრით, მწერალი იმას უნდა აქცევდეს ყურადღებას, „თუ რა უმთავრესი საჭიროებაა რომელიმე დროს საზოგადო ცხოვრებისათვის“ [2].

აღსანიშნავია ისიც, რომ ნ. ნიკოლაძე თავისი იდეების პროპაგანდისათვის ჩერნიშევსკის მხატვრულ ნაწარმოებებსაც იყენებდა. წერილს — „მკითხველთან საუბარი“ წამძღვარებული აქვს ჩერნიშევსკის რომანიდან „რა ვაკეთოთ?“ ვერა პაელოვნას მეოთხე სიზმრის ადგილები.

აი ეს სტრიქონებიც: „მომავალი ბრწყინვალე და მშვენიერია. შეიყვარეთ იგი, გაეშურეთ მისკენ, იმუშავეთ იმისათვის, დაიახლოეთ იგი, რამდენის გადმოღებაც შეგიძლიანთ, გადმოიღეთ იქედგან ამ ცხოვრებისათვის. თქვენი ცხოვრება იქნება იმდენად ნათელი, სავსე სიკეთით, მხიარულებით და სიამოვნებით, რამდენათაც უფრო ბევრის გადმოღებას მოახერხებთ მომავალი ცხოვრებისაგან აწინდელში. გაეშურეთ მისკენ, იმუშავეთ იმისათვის, რამდენიც შეგიძლიანთ გადმოიღეთ იქიდგახ ყოველივე ახლანდელი ცხოვრებისათვის“[3].

როდესაც ვლაპარაკობთ ჩერნიშევსკის ესთეტიკური იდეების გავლენის შესახებ ქართველ მწერლებზე, განსაკუთრებული ყურადღების ღირსია ერთი გარემოება. სახელდობრ ის, რომ ქართველმა მწერლებმა შეითვისეს მისი ესთეტიკის ძირითადი იდეები, მაგრამ არ მიიღეს მისი

[1] გ. ერისთავი, თხზულებანი, 1884 წ., გვ. VIII.

[2] ნ. ნიკოლაძე, „კრებული“, 1871 წ., № 3. ამ საკითხზე იხ. ანა ნიკოლაძე, რუსი რევოლუციონერ-დემოკრატები და ქართული ლიტერატურა.

[3] „კრებული“, 1871 წ., № 1, გვ. 158.

მცდარი თეორიული დებულება ბუნებაში და ხელოვნებაში არსებულ მშვენიერის მიმართების შესახებ.

როგორც ცნობილია, ჩერნიშევსკის სამაგისტრო დისერტაცია „ხელოვნების ესთეტიკური დამოკიდებულება სინამდვილესთან“ წარმოადგენს ფეიერბახის მატერიალისტური ფილოსოფიის გამოყენებას ესთეტიკის საკითხებში და ამავე დროს შეიცავს ჰეგელისა და ფიშერის იდეალისტურ მოსაზრებათა კრიტიკას. ჩერნიშევსკიმ დაამტკიცა მათ საწინააღმდეგოდ, რომ ბუნებაში არსებული მშვენიერი უფრო მაღალი და სრულყოფილია, ვიდრე ხელოვანის შექმნილი მშვენიერი.

აი, რას ამბობს ამის შესახებ ჩერნიშევსკი „ყველაფერი, რაც კი მეცნიერებისა და ხელოვნების მიერ გამოითქმება, ცხოვრებაშიაც მოიპოვება და მოიპოვება უაღრესად სრული სახით... ცხოვრება უფრო სრულია, უფრო მართალია, უფრო მხატვრულიც კი არის, ვიდრე მეცნიერთა და პოეტთა ყველა ქმნილება“[1].

ამ დებულებას ჩერნიშევსკი იმით ამტკიცებს, რომ, მისი აზრით, პრაქტიკულ ცხოვრებაში უფრო მეტი სრულყოფილი დრამები, რომანები, კომედიები, ტრაგედიები, ოდეევილები და სხვა სახის ნაწარმოებები გვხვდება, ვიდრე მწერლის შემოქმედებაშიო. ჩერნიშევსკის აზრით, მსოფლიოში თითებზე ჩამოსათვლელია კარგი რომანები, მაშინ როდესაც ცხოვრებაში ისინი მრავლად მოიპოვებიან და უფრო მაღალი და სრულყოფილნი არიან, ვიდრე მწერლის მიერ შექმნილნი რომანები და დრამები.

ცხადია, ჩერნიშევსკი იდეალისტებთან მკაცრმა შებრძოლებამ მეორე უკიდურესობამდე მიიყვანა. მან ყველაზე სრულყოფილ ქმნილებად ბუნებაში მოცემული მშვენიერება აღიარა და ამით ხელოვნებისა და მწერლობის როლი ერთგვარად დაამცირა. სხვაგვარად რომ ვთქვათ, ჩერნიშევსკი ასე ფიქრობს: რა დიდი რამე გგონიათ თქვენი სათაყვანებელი მწერლების მიერ შექმნილი ნაწარმოებები, განა იმათზე ნაკლებს შევხვდებით ცხოვრებაში? აი, როგორია ასეთ საკითხებზე ჩერნიშევსკის პასუხი:

„1. ხდება თუ არა სინამდვილეში პოეტური ამბები, ხდება თუ არა სინამდვილეში დრამები, რომანები, კომედიები, ტრაგედიები? და პასუხობს „ყ ო ვ ე ლ წ უ თ ს“.

2. ჭეშმარიტად პოეტურია თუ არა ეს ამბები თავიანთი განვითარებით და კვანძის გახსნით? აქვთ თუ არა მათ სინამდვილეში მხატვრული სისრულე და დამთავრებულება? ძალიან ხშირად კი აქვთ.

3. არის თუ არა ამ დასრულებულ პოეტურ ამბებში ისეთები, რომლებიც სრულიად შეუცვლელად შეიძლებოდა გადმოგვეცა სათაურით

[1] ნ. გ. ჩ ერ ნ ი შ ე ვ ს კ ი, რჩეული ფილოსოფიური თხზულებანი, გვ. 420.

„დრამა“, „ტრაგედია“, „რომანი“ და ა. შ.? პასუხობს ჩერნიშევსკი. „ძალიან ბევრი“ [1].

ცხადია, აქ ჩერნიშევსკი გადაჭარბებულად აფასებს ცხოვრებაში შექმნილ ხელოვნების ძეგლებს, მისი შეცდომა ის არის, რომ მან ემპირიულად მოცემული ფაქტი, ცხოვრებაში მომხდარი დრამა ან ტრაგედია მწერლის მიერ შექმნილ ნაწარმოებზე მაღლა დააყენა.

ამ საკითხის შესახებ ილია ჭავჭავაძე უფრო მართებულ აზრს ანვითარებს. მისი გაგებით, პოეტური შემოქმედება ხალხთან არის დაკავშირებული. ზოგჯერ მწერალი სიუჟეტებსაც ხალხიდან იღებს, მაგრამ მას განაზოგადებს და ამაღლებულის სახით ისევ ხალხს დაუბრუნებს.

„ცხოვრებისაგან დაბადებულნი ფაქტები, — წერს ილია ჭავჭავაძე, — გენიოსის ჭკვისაგან ახსნილნი და ცნობაში მოყვანილნი, მეცნიერებისაგან მიღებულნი, როგორც კანონნი და ხელთმძღვანებელი მომავლისათვის, გადადიან დანარჩენ ხალხშიაცა. რამოდენადაც ეგ ახალი ცნობანი, აზრები ადვილად გასაგებნი არიან ხალხისათვის, იმოდენად ადვილად განსდევნიან უწინდელებსა, რომ ცხოვრებაში იმათი ადგილი თითონ დაიპირონ და იწარმოონ შემდგომში. ეგრე. ცხოვრებისავე მოღებულისა, ცხოვრებავე მიიღებს ხოლმე; ეგრე, ცხოვრებისაგან აღმოსულნი, მეცნიერების სიცხოვლით ნაყოფად მოწეულნი, ისევ ცხოვრებასვე დაუბრუნდება ხოლმე წარმატებისათვის“ [2].

მაშასადამე, ილიას აზრით, ცხოვრებისაგან მოცემულს. თვით ცხოვრება მიიღებს უკანვე, მაგრამ მიიღებს არა იმას, რაც გასცა თვით ცხოვრებამ. არამედ უფრო მეტად ამაღლებულსა და სრულყოფილს. ცხოვრებაში მომხდარი ფაქტი, როგორი სახითაც არ უნდა იყოს იგი, სრულყოფილ ნაწარმოებად მაინც არ ჩაითვლება.

როგორც მიწის წიაღში მდებარე ოქროს გაწმენდა და გადადნობა ესაჭიროება, ასევე ხალხურ „დრამას“ თუ „ტრაგედიას“ მწერლის შემოქმედებითს ქურაში გადადნობა და განზოგადება ესაჭიროება. ხელოვნება ხომ ამაღლებული სინამდვილეა. იგი აქტიური შემოქმედების პროცესის შედეგია, რომელიც მწერლის იდეოლოგიით არის გაპიროვნებული. ჩერნიშევსკის განძარტებაში ხელოვნების ეს თავისებურება დამცირებულია.

ჩერნიშევსკიმ ქართველ მწერლებზე გავლენა მოახდინა, აგრეთვე. როგორც მხატვრული სიტყვის ოსტატმა, როგორც რომანისტმა.

ჩერნიშევსკის რომანის „რა ვაკეთოთ?“ გავლენაზე მიუთითებდნენ,

---

[1] ნ. გ. ჩერნიშევსკი, რჩეული ფილოსოფიური თხზულებანი, გვ. 391 — 392.
[2] ი. ჭავჭავაძე, თხზულებანი, ტ. IV, 1927 წ., გვ. 72.

ანტონ ფურცელაძის მოთხრობა „სამის თავგადასავალზე“. ხოლო რომანის დაწერილებითი შესწავლა გვარწმუნებს იმაში, რომ ნაწარმოებმა სხვა ქართველ მწერლებზედაც მოახდინა გავლენა. მაგრამ სანამ ამ საკითხებს შევეხებოდე, მინდა გავლენის ერთ საკითხზე შევაჩერო მკითხველის ყურადღება.

დოც. ა. ნიკოლაძე ეხება რა ჩერნიშევსკის რომანის „რა ვაკეთოთ?“ გავლენას ანტონ ფურცელაძის „სამის თავგადასავალზე“ წერს: „აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ ქართულ სინამდვილეში დიდი რეზონანსი ჰქონდა ჩერნიშევსკის არა მხოლოდ პუბლიცისტურ და ლიტერატურულ-კრიტიკულ თხზულებებს, არამედ მის რომანს „რა ვაკეთოთ?“ „ამ წიგნმა გარკვეული კვალი აღბეჭდა ქართულ მხატვრულ ლიტერატურაში. ამ რომანმა გავლენა მოახდინა ანტონ ფურცელაძის მოთხრობაზე „სამის თავგადასავალი“, რომელიც თუმცა 70-იან წლებში გამოქვეყნდა, მაგრამ როგორც უკანასკნელ ხანებში გამოირკვა 1863 წელს არის დაწერილი. ამ მოთხრობის მთავარი პერსონაჟი სვიმონ ბადლაძე ერთგვარად მოგვაგონებს რახმეტოვს, ხოლო ქართველი პროზაიკოსის გმირი ქალი შექმნილია ვერა პაველოვნას მხატვრული სახის ზეგავლენით“ [1]. გმირ ქალში ავტორი გულისხმობს მაშა სტრუგოვსკოიას.

ჩვენ საეჭვოდ მიგვაჩნია სვიმონ ბადლაძის მსგავსება რახმეტოვთან, ამის დასამტკიცებლად მოტანილი მაგალითი სვიმონ ბადლაძის, როგორც მონანიე კეთილშობილის. გლეხების ცხოვრებითა და სოფლის მეურნეობით დაინტერესებულის შესახებ, არსებითად ძალიან ცოტას ლაპარაკობს რახმეტოვთან მსგავსებაზე. ხოლო „სამის თავგადასავალის“ მოქმედი პერსონაჟი მაშა სტრუგოვსკოია შეიძლება ითქვას, რომ პაველოვნას გავლენით კი არ შეუქმნია ანტონ ფურცელაძეს, არამედ იგი შეიქმნა ამავე რომანის სხვა პერსონაჟი ქალის — ნასტია კრიუკოვას გავლენით. მსგავსების სხვა მხარეს, რომ თავი დავანებოთ, ისიც საკმაოა, რომ ორივე მათგანი უზნეო ყოფაქცევის იყვნენ და კეთილი ადამიანების დახმარებით ისინი განთავისუფლდნენ ამ სამარცხვინო საქმიანობისაგან.

ანტონ ფურცელაძის მოთხრობის პერსონაჟი მაშა ცოლად შეირთო დიდგვარიანმა სვიმონ ბადლაძემ და ნასტია ბორისოვნა, როგორც ცოლი, დიდხანს ცხოვრობდა სამედიცინო აკადემიის პროფესორ ალექსანდრე კირსანოვთან.

ჩერნიშევსკის აზრით, ნასტია კრიუკოვას ცუდი ყოფაქცევა გამოწვეული იყო საზოგადოებრივი წყობის უსამართლობით. ასევე ანტონ

[1] ა. ნ ი კ ო ლ ა ძ ე, რუსი რევოლუციონერ-დემოკრატები და ქართული ლიტერატურა, გვ. 108 — 109.

ფურცელაძეც მაშას უკეთმართი ცხოვრების მსხვერპლად თელის. როდესაც ორივე მათგანს შეექმნებათ ნორმალური ცხოვრების პირობები, ისინი საზოგადოებისათვის სასარგებლო, კეთილ ადამიანებად გარდაიქმნებიან. ნასტია საზოგადოებრივ შრომას ეწევა, იგი ვერა პავლოვნას მიერ დაარსებულ სამკერვალოში იწყებს მუშაობას, ხოლო მაშა ბადლაძის ოჯახის ნორმალურმა ცხოვრებამ გამოასწორა. და დღეს ეს ადამიანები სინანულით იგონებენ განვლილ სამარცხვინო გზას.

აი, რას ეუბნება ნასტია ბორისოვნა ამის შესახებ ვერა პავლოვნას „მე ძალიან ცუდი ზნის ქალი ვიყავი, ვერა პავლოვნა... ძალიან თავგასული და უტიფარი ვიყავი; არაფრის არ მრცხვენოდა, მუდამ მთვრალი დავეთრეოდი; იმიტომაც დავსნეულდი, ვერა პავლოვნა, რომ სუსტი აგებულების პატრონი ძალიან ბევრსა ვსვამდი“ [1].

და ეს ადამიანი, შეცვლილმა ცხოვრებამ ბუნებითაც შესცვალა. ახლა მოუსმინოთ ანტონ ფურცელაძის მოთხრობის „სამის თავგადასავლის“ პერსონაჟ ქალს მაშა სტრუგოვსკოვას. იგი ახალგაცნობილ სვიმონ ბადლაძეს ეუბნება: „გარწმუნებ რომ ამ ყოფაში ჩავარდნილი ქალი (ე. ი. მეძაობის გზაზედ დამდგარი. — კ. მ.) იშვიათია უმიზეზოდ... რომელსაც გინდა კითხე ამ ჩვენს სახლში მყოფთ ქალსა და იმათგან გაიგონებთ იმისთანა სამწუხარო თავგადასავალებს, რომელნიც ამაზე ნაკლები სამწუხარონი არ არიან... მაგრამ ბევრნი მალე ეჩვევიან ამ ცხოვრებას, მე კი მგონია არასოდეს... და ნუ ქნას ღმერთმა... როგორც იქნება და როდესაც იქნება გადავიხდი ჩემს ვალსა... და მას უკან... როგორც იქნება მოვინანიებ ჩემს ცოდოსა“ [2].

მაშას სიტყვებიდან აშკარად ჩანს ავტორის დამოკიდებულება ადამიანისა და გარემოს ურთიერთობის საკითხზე, რომ, მისი აზრით, არ არსებობენ ბუნებით გარყვნილნი ან ბოროტი ადამიანები, არამედ არსებობენ უკეთმართი ცხოვრების მსხვერპლნი. მართლაც. სვიმონ ბადლაძემ მაშას დახმარების ხელი გაუწოდა და კიდევაც ამოიყვანა ცხოვრების წუმპედან.

ანტონ ფურცელაძის მოთხრობის „სამის თავგადასავალის“ პერსონაჟი ქალის მაშა სტრუგოვსკოვას მსგავსი პირი ჩერნიშევსკის რომანში, ნასტია ბორისოვნას გარდა, კიდევ არის გამოყვანილი პარიზის ქუჩების ყოფილი მეძავი ფრანგი ქალი ჟიული. ამისათვისაც ეს სამარცხვინო მოქმედება თითქოს განვლილი გზაა, და იგიც გულისტკივილით იგონებს ამ წლებს. „ორი წელიწადი ქუჩის ქალი ვიყავი პარიზში, ნახევარი წლის განმავლობაში ისეთ სახლში ვცხოვრობდი, სადაც ქურდები იკ-

---

[1] ნ. გ. ჩერნიშევსკი. „რა ვაკეთოთ?“. გვ. 273.

[2] „ეკისკარი“, 1867, № 1.

რიბებოდნენ“...[1], და ამ ქალის გარყვნილების მიზეზსაც ჩერნიშევსკი ცხოვრებაში ეძებს.

ჟიული განაგრძობს „...იმიტომ როდი ვარ გარყვნილი, რისთვისაც ქალს დაღუპულად სთვლიან... იმიტომ კი არ ვარ გარყვნილი, რომ ჩემი სხეული შეგინებულია, არამედ იმიტომ, რომ... არ ძალმიძს დამოუკიდებელი არსებობა, სხვები მესაჭიროებიან, სხვებს ვემონები, ვაკეთებ იმას, რაც თვითონ არ მინდა“ [2].

ჩერნიშევსკის აზრით ადამიანისათვის გადაჭწყვეტია გარემო პირობები და თვით გზააცდენილი ადამიანები ნაკლებ არიან თავიანთი მოქმედებისათვის პასუხისმგებელნი, ეს კარგად ჩანს ვერა პავლოვნას დედასთან — მარია ალექსეევნასთან — ავტორის საუბრიდან. მარია ალექსეევნაც ხომ ურიგო ყოფაქცევის ქალი იყო, მან თავისი ზნეობრივი ღირსების გაყიდვით მოუპოვა ქმარს და თავის ოჯახს მატერიალურად შეძლებული ცხოვრება. მაგრამ მისი მოქმედებაც გამართლებულად მიაჩნია ავტორს და ასეთი დამამშვიდებელი სიტყვებით მიმართავს მას: „თქვენ ამოიყვანეთ თქვენი ქმარი არარაობიდან, უზრუნველყავით თქვენი მოხუცებულება, — ეს კარგი საქმეა, მაგრამ ეს თქვენთვის ფრიად ძნელი იყო... მაგრამ თქვენი ცხოვრების გარემოება არ გაძლევდათ სხვა საშუალებას. თქვენი საშუალებანი თქვენი გარემოების ბრალი იყო და არა თქვენი პიროვნებისა; ამიტომ თქვენ როდი ხართ გასაკიცხი... ამჟამად თქვენ ცუდ საქმეებს მისდევთ, რადგან ამას მოითხოვს თქვენი პირობები, მაგრამ თქვენ, სხვა პირობებში ჩაგაყენონ, სიამოვნებით გახდებოდით უვნებელი და სასარგებლოც კი“[3].

შეიძლება ითქვას, რომ ჩერნიშევსკის ეს დებულება ანტონ ფურცელაძემ არა მარტო „სამის თავგადასავალში“ გამოიყენა, არამედ ყველა მის ნაწერში იგრძნობა მისი გამოძახილი.

ამ პრინციპითაა დაწერილი „მაცი ხვიტიაც“.

ავტორის აზრით, მაცი ხვიტიას მიერ ჩადენილ ბოროტებაში თვით მაცი არ არის დამნაშავე, რადგან მაცისა და მის მსგავს აბრაგებს თვით ცხოვრება წარმოშობდა.

განსაკუთრებით საინტერესოა სასამართლოზე მაცის დამცველის ფრანგი ადვოკატის სიტყვა, რომელიც ფაქტიურად ანტონ ფურცელა-

---

[1] ნ. გ. ჩერნიშევსკი, „რა ვაკეთოთ?“ გვ. 56. ქართული თარგმანი, 1955.
[2] იქვე, გვ. 74.
[3] იქვე, გვ. 200 — 202.

ძის სიტყვაა. იგი ამბობს: რომ „შიმშილი აღვიძებს კაცის გულში სურვილსა, რომელსაც უეჭველი დაკმაყოფილება უნდა, თუნდ რომ კაცი რკინის ნებისყოფისა იყვეს, სურვილს შესრულება უნდა“[1].

ვექილის (აგრეთვე ავტორის) დასკვნით, მაცი უკუღმართმა ცხოვრებამ მიიყვანა საბრალმდებლო სკამამდე. კიდევ ბევრი შეეწირება ამ საზოგადოებას. თუ მდგომარეობა არ შეიცვალა. მიეცით ხალხს ნორმალური ცხოვრების საშუალება, მიეცით თავისუფლება კეთილ ადამიანებს და ნახავთ, რომ ბოროტებაც მოისპობა. აი, ძირითადი აზრი ანტონ ფურცელაძის „მაცი ხვიტიასი“, რაც ჩერნიშევსკის გავლენით აიხსნება.

საერთოდ უნდა ითქვას, რომ ჩერნიშევსკის „რა ვაკეთოთ?“ ენციკლოპედიური ხასიათის ნაწარმოებია, იგი ახალი ცხოვრებისა და ახალი ადამიანების იდეური მისწრაფებებით არის გასხივოსნებული. თითქმის შემდეგი დროის ყველა მებრძოლი და რევოლუციონერი ამ წიგნში პოულობდა იდეურ საზრდოს.

როგორც სერგეი მესხი აღნიშნავდა, ჩერნიშევსკის რომანს ისეთი გავლენა მოუხდენია საზოგადოებაზე, რომ ხშირად მის გმირებზე ყოფილა საუბარი და ვერა პაველოვნას პრაქტიკული მიმდევრებიც კი გაჩენიან და მისი გავლენით ქალთა სამკერვალოებიც კი გაუხსნიათ საქართველოში.

სერგეი მესხი, ეხება რა ქალთა საკითხს, იხსენიებს, მ. მიხაილოვის სტატიებს და ლაპარაკობს ჩერნიშევსკის რომანზე ისე, რომ ცენზურის შიშით არც ნაწარმოებს ასახელებს და არც მის ავტორს.

„რუსეთში ქალებზე ლაპარაკი, — წერს ს. მესხი, — პირველად 1861 წელს დაიწყო, როცა მაშინ დიდი გავლენის მქონე ჟურნალში, — „თანამედროვეში“ დაიბეჭდა უფ. მ. მიხაილოვის საუთარი და ნათარგმნი სტატიები ქალთა მდგომარეობაზე. მაგრამ ყველაზე უფრო მომეტებულათ რუსეთში ქალებზე და სხვა რამეზედაც დაიწყეს ლაპარაკი მაშინ, როდესაც 1863 წელს დაიბეჭდა ამ საქმის შესახებ რომანი... მას შემდეგ რუსულ საზოგადოებაში და ლიტერატურაში თითქმის არ გაწყნარებულა ამ საგანზე სჯა: ყოველი გაზეთი და ჟურნალი, ყოველი განათლებული და გაუნათლებელი საზოგადოების წევრი ვალდებულად რაცხდა თავის თავს, რაიმე დაეწერა ან ეთქვა რუსის და უცხო ქვეყნების ქალების მდგომარეობაზე. ზოგიერთი იმ ახალი აზრისა და საქმისა,

---

[1] ფ ურ ცე ლ ა ძ ე, რჩეული ნაწერები, გვ. 143.

რომელსაც რომანისტი ქადაგებდა, აღსრულებაშიაც მოიყვანეს, მაგ.. დააარსეს ქალთა სახელოსნოები და სხვა“ [1].

მართლაც, როგორც გაზეთში მოთავსებული განცხადებებიდან ჩანს. საქართველოშიაც გამოჩენია ვერა პავლოვნას მიმბაძველები და აქაც დაუარსებიათ 70-იან წლებში ქალთა სახელოსნოები.

ასე ახლოს იყო დაკავშირებული სამოციანი წლების ქართველი ინტელიგენცია ბ. ბელინსკის, ნ. გ. ჩერნიშევსკის იდეებთან და ასე დიდი როლი ითამაშეს ამ დიდმა რუსმა მოაზროვნეებმა ჩვენს ქვეყანაში ბოწინავე იდეების გავრცელების საქმეში.

მაგრამ როგორც ვხედავთ, ეს იდეური გავლენა არსებითად თერგდალეულების პუბლიცისტურ ნაწერებში იგრძნობა, მათ თეორიულ მოსაზრებებში ჩანს, ხოლო რაც შეეხება თერგდალეულების მხატვრულ შემოქმედებას, მათ პოეტურ სამყაროს, ხელოვნების სფეროს, ისინი სრულიად ორიგინალურსა და სრულყოფილ ნაწარმოებებს ქმნიან და ამდენად სამოციანი წლების ქართული ლიტერატურა ერთ უმძლავრეს ეტაპს წარმოადგენს ქართული მხატვრული აზროვნების ისტორიაში.

---

[1] სერგეი მ-ე ს ხ ი, „ნაწერები“, I, 1904 წ., 55 — 56.

ს ა რ ჩ ე ვ ი

წინასიტყვაობა 3
შესავალი 7

თ ა ვ ი პ ი რ ვ ე ლ ი

რუსეთის სამოციანი წლების რევოლუციური მოძრაობა და სტუდენტი ახალგაზრდობა

რევოლუციური სიტუაცია 60-იანი წლების რუსეთში 19
პოლიტიკური დაძაბულობა რუსეთის იმდროინდელ უნივერსიტეტებში 30
პეტერბურგის უნივერსიტეტი 40
პეტერბურგის უნივერსიტეტის სტუდენტთა მღელვარება 1861წელს 51
პეტერბურგის უნივერსიტეტის სტუდენტთა მღელვარების გამოძახილი რუსეთის სხვა უნივერსიტეტებში . . . 74
პეტერბურგის უნივერსიტეტის დაპატიმრებულ სტუდენტთა საქმის გამოძიება და სასჯელი 87
ახალგაზრდობის იდეური წრთობისათვის ხელისშემწყობი პირობები 104
პეტერბურგის უნივერსიტეტის ზოგიერთი ფაკულტეტის აღდგენა და საჯარო ლექციები 143
სამოციანი წლების სტუდენტთა მოძრაობის საერთო პოლიტიკური მნიშვნელობა 152

თ ა ვ ი მ ე ო რ ე

პეტერბურგის უნივერსიტეტი და სამოციანი წლების ქართველი სტუდენტები

ქართველი ახალგაზრდობის ლტოლვა პეტერბურგის უნივერსიტეტისაკენ 155
ქართველი სტუდენტების დამოკიდებულება ჩერნიშევსკისთან და სხვა რუს რევოლუციონერ მოღვაწეებთან . . . 164
ქართველი სტუდენტები და რუსული რევოლუციური პრესა 173
ქართველი სტუდენტები პეტერბურგში 175
ილია ჭავჭავაძე 182
აკაკი წერეთელი . 200
გიორგი წერეთელი 223
ნიკო ნიკოლაძე . 232

დავით ყიფიანი 240
ნიკოლოზ ღოღობერიძე 245
ბესარიონ ღოღობერიძე 251
ილია ოქრომჭედლიშვილი 257
სამსონ აბაშიძე 259
დავით აბდუშელიშვილი 251
დავით ბაქრაძე 263

თ ა ვ ი მ ე ს ა მ ე

**მოსკოვის უნივერსიტეტი ხამოციან წლებში
და ქართველი სტუდენტები** 267

თ ა ვ ი მ ე ო თ ხ ე

თერგდალეულების მოღვაწეობის ძირითადი საკითხები
პეტერბურგის უნივერსიტეტის ქართველი სტუდენტების როლი მე-19 საუკუნის მშობლიური ლიტერატურისა და აზროვნების განვითარების საქმეში . 272
თერგდალეულების მოღვაწეობის პირველი ეტაპი 277
თერგდალეულები და „საქართველოს მოამბე" . . . 298
ეროვნულ-განმათავისუფლებელი იდეები „საქართველოს მოამბეში" . 312
60-იანი წლების მოწინავე რუსული იდეების ანარეკლი ქართულ მწერლობაში 326